2. Interest of the Euro-Atlantic Institutions in the Region

The role of Euro-Atlantic institutions in the Black Sea region is shaped by the fact that they view the region as part of a broader European system of security, resilience and connectivity. However, it should be noted that NATO's and the European Union's strategic approaches to the region are neither identical nor fully consistent, even though in both cases the general objective is oriented toward peace, security and development. For NATO, the Black Sea represents an important space for organisational and therefore security of the Alliance and regional stability. For the EU, priorities are mainly economic, environmental, energy-related and technological in nature. This creates both opportunities and certain limitations for Western engagement in the region (Atlantic Council, 2023).

For NATO, the Black Sea is first and foremost a security dimension. Russia's military build-up, the militarisation of Crimea and the war against Ukraine have made it clear to the Alliance that Black Sea security is directly linked to the protection of its south-eastern flank. Therefore, the region is increasingly perceived as part of the deterrence and defence system, where the development and mobilisation of defence capabilities, enhancing the situational awareness in maritime and air domains, support for partner states and the Alliance's operational readiness are of critical importance (Task Force of the Black Sea Security, 2023). In this context, NATO's activity in the region is not limited to military presence; it also includes the development of partner states' defence capabilities in order to respond to threats emanating from the Russian Federation and to support resilient defence and security systems (Alexandros Petersen, 2011).

The role of the European Union is more complex and multidimensional. For the EU, the importance of the Black Sea is not limited to the military-security context. The Union also assesses the region in terms of energy diversification and security, transit routes, economic connectivity, political resilience and the promotion of democratic governance (Stefan Meister, 2021). This is particularly evident as the development of alternative energy and trade corridors becomes increasingly important for Europe, including projects such as the Trans-Anatolian Natural Gas Pipeline. Accordingly, the EU is interested in the region not only for its security challenges, but primarily for the infrastructural and institutional

development projects that can help transform the Black Sea into a practical component of the European strategic space.

At the same time, it should be also noted that Western engagement in the region has often been characterised by reactive steps rather than preventive measures. Russia's military-aggressive actions against Georgia in 2008 and against Ukraine in 2014 and 2022 demonstrated that the Western response has frequently taken the form of reacting to crises once they have already emerged, rather than preventing them or improving the mechanisms designed to deter and avert them. This practice enabled Russia to gradually create military and political advantages that gradually over the time became far more difficult to balance (William Courtney, 2023).

Furthermore, the effectiveness of Euro-Atlantic policy depends significantly on the internal political resilience and political maturity of the regional states themselves. Strategic importance for the West cannot replace the issue of credibility. A state may be geographically important, but if its internal political trajectory is uncertain, institutional resilience weakens and its foreign policy signals are ambiguous, this inevitably reduces the depth and quality of Western engagement. Georgia's example is particularly important in this respect. Its structural role as a hub connecting the Black Sea and the South Caucasus remains unchanged and probably without an alternative. However, its political credibility and partnership clarity will determine whether this geographic advantage can be transformed into a genuine strategic asset.

Conclusion: Towards a new Geopolitical Order in the Black Sea?

The ongoing processes in the Black Sea region demonstrate that the formation of a new geopolitical order has already begun. This change is not merely the consequence of a single military crisis. Rather, it is connected to a deeper transformation involving the security environment, the political orientations of states, the energy and transit architecture and competing perceptions of spheres of influence. The Black Sea is no longer a space of a mere regional importance and interest of the littoral states exclusively. It has become one of the central arenas of European security, Eurasian connectivity and the redistribution of power.

Russia's policy in the region shows that Moscow regards the Black Sea as its privileged geopolitical space, where maintaining military superiority, political influence and economic leverage is decisive. This objective is served by occupation, the instrumentalization of conflicts, the strengthening of maritime and air capabilities, hybrid pressure and the systematic obstruction of neighbouring states' Western integration. In this sense, Russia's actions in the region not only disrupt the previously existing status quo, but also form part of an aggressive, coercive and intimidation-based policy that seeks to impose a new regional order on Moscow's own terms and standards.

Euro-Atlantic institutions, for their part, operate in the region as supporters of security, political-economic cooperation and regional stability. However, it must also be noted that NATO's and the EU's strategic decisions toward the Black Sea region have not always been consistent and given their different organisational priorities, cannot be identical either. For this reason, the reassessment of the Black Sea policy should be driven not only by the need to respond to crises, but primarily by its strategic necessity (Thomas de Waal, 2024). If the region is considered part of the European security architecture, then policy toward it must be more systematic, more consistent and clearer in terms of both defence-security and economic-political integration.

In this context, Georgia's significance gradually gains its momentum. The country has a dual role in the region. On the one hand, it represents a node connecting the Black Sea, the South Caucasus and Central

Asia with Europe; it is an important component of the Middle Corridor and a key artery of energy and transport infrastructure (Nata Koridze, 2026). On the other hand, its political orientation should determine whether it remains merely a functional transit space or succeeds in becoming a contributor to regional security through full integration into Western institutions. Contemporary assessments point precisely to this issue, that Georgia's structural importance is high, yet its actual strategic weight depends substantially on its democratic governance, the rule of law, the construction of a liberal state and its foreign policy vector - oriented toward full membership in NATO and the European Union in accordance with the norms and provisions of the Georgian Constitution.

Accordingly, the answer to the question of whether a new geopolitical order is emerging in the Black Sea is affirmative. However, this order is still in the process of formation. Its final shape will depend on the extent to which Russia is able to maintain its coercive and revisionist policy and achieve its strategic objectives; the extent to which NATO and the European Union can develop a more consistent and structurally coherent regional policy; and the extent to which the regional states are in a position to protect their sovereignty, political choices and institutional resilience. It is under the conditions of preserving a rules-based international order, promoting partnership-based cooperation and linking the region to a unified security architecture that will determine the future geopolitical configuration of the Black Sea - oriented toward peace, stability and development.

Bibliography

1. Anlar, A., 2013. *Security in the Black Sea Region: Continuity and Change.* Retrieved from https://www.researchgate.net/publication/295672938_SECURITY_IN_THE_BLACK_SEA_REGION_CONTINUITY_AND_CHANGE#fullTextFileContent

2. Aronsson, L., & Mankoff, J., 2023. *The Inhospitable Sea: Toward a New U.S. Strategy for the Black Sea Region.* Retrieved from https://www.csis.org/analysis/inhospitable-sea-toward-new-us-strategy-black-sea-region

3. Atlantic Council., 2023. *A Security Strategy for the Black Sea.* Retrieved from https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/a-security-strategy-for-the-black-sea/

4. Coffey, L., 2024. *Georgia, Ukraine and the Euro-Atlantic Community: Update from the Front Lines of Freedom.* Retrieved from https://www.hudson.org/preview-link/node/48143/be042885-e30a-4686-afcc-9dcb99c83061

5. Courtney, W., 2023. *What does Russia's War on Ukraine Mean for the International Order?* Retrieved from https://www.rand.org/pubs/commentary/2023/03/what-does-russias-war-on-ukraine-mean-for-the-international.html

6. Daly, J. C. K. (2025). *Russian Black Sea Fleet Intends to Establish Base in Abkhazia.* Retrieved from https://jamestown.org/russian-black-sea-fleet-intends-to-establish-base-in-abkhazia/

7. Dupuy, A. C., 2023. *The Bider Administration finally has a Black Sea Security Strategy.* Retrieved from https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-biden-administration-finally-has-a-black-sea-security-strategy-its-what-comes-next-that-matters/

8. EU NEIGHBOURSEAST., 2024. *EU Enlargement – Ukraine, Moldova and Georgia.* Retrieved from https://euneighbourseast.eu/enlargement/

9. Flanagan, S. J., etal., 2020. *Russia, NATO, and Black Sea Security.* Retrieved from https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA357-1.html

10. Garton, A. T., 2023. *Europe Whole and Free.* Retrieved from https://www.nybooks.com/articles/2023/11/02/europe-whole-and-free-timothy-garton-ash/

11. Koridze, N. (2026). *Georgia and the Black Sea: Strategic Relevance in a Changing Regional Order.* Retrieved from https://ugspn.org/wp-content/uploads/2026/03/Georgia-and-the-Black-Sea.pdf

12. Meister, S., 2021. *Strategic sovereignty in the EU's Southeastern neighbourhood: The Black Sea as part of a larger geopolitical region.* Retrieved from https://ge.boell.org/en/2021/01/28/strategic-sovereignty-eus-southeastern-neighborhood-black-sea-part-larger-geopolitical

13. Melvin, N. J., & Seskuria, N., 2022. *A New Security Order in the Black Sea.* Retrieved from https://rusi.org/explore-our-research/publications/emerging-insights/new-security-order-black-sea-role-georgia

14. Miller, M., 2024. *Statement on Georgia's Suspension of European Union Accession.* Retrieved from https://www.state.gov/statement-on-georgias-suspension-of-european-union-accession/

15. Petersen, A. (2011). *Black Sea Security: The NATO Imperative.* Retrieved from https://www.wilsoncenter.org/publication/black-sea-security-the-nato-imperative

16. Regional Institute for Security Studies (RISS). (2025). *The Future of the Russian Black Sea fleet (Analytical Brief).*

17. Republic of Türkiye, Ministry of Foreign Affairs., 2023. *Implementation of the Montreux Convention.* Retrieved from https://www.mfa.gov.tr/implementation-of-the-montreux-convention.en.mfa

18. Steamship Mutual., 2023. *Drifting Mines and Other Threats – Black Sea.* Retrieved from https://www.steamshipmutual.com/drifting-mines-and-other-threats-black-sea

19. Task Force on the Black Sea Security., 2023. *A Security Strategy for the Black Sea.* Retrieved from https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2023/12/A-security-strategy-for-the-black-sea.pdf

20. Trans-Anatolian Natural Gas Pipeline. *The Southern Gas Corridor.* Retrieved from https://www.tanap.com/en/southern-gas-corridor

21. Waal, T. D., 2024. *The End of the Near Abroad.* Retrieved from https://carnegieendowment.org/research/2024/05/the-end-of-the-near-abroad?lang=en

Synchronizing Global Alliances: From Diplomatic Protocols to Executional Drivers
A Framework for Institutionalizing Strategic International Cooperation

ABDULLAH SAEED M AL SWAID
Director of International Committees at Saudi Water Authority (SWA)
0009-0002-5868-740X

Abstract

This research addresses the "execution gap" within international cooperation. Based on years of close observation in diplomatic environments, it argues that the proliferation of Memorandums of Understanding (MoUs) has led to an "intent inflation" that lacks operational sustainability. This paper proposes a transition from "Paper Diplomacy" to "Executive Diplomacy" through a tripartite framework: Structuring Project Processing Units (PPUs), enhancing Cultural Intelligence (CQ) as a de-risking tool, and aligning all global activities with sovereign strategic goals, specifically using Saudi Vision 2030 as a primary model for success.

Keywords:

Executive Diplomacy, Strategic Alliances, Saudi Vision 2030, Procedural Integration, Cultural Intelligence.

Introduction

After years of direct engagement in diplomatic and partnership landscapes, I have observed a recurring paradox: the global challenge is not a lack of "will" to cooperate, but a lack of structured mechanisms to architect that cooperation. We are living in an era of "MoU Inflation," where most agreements dissolve once the ink dries within diplomatic circles. This research is a proactive attempt to bridge the gap between high-level diplomatic intent and field-level execution.

1. **Pillar I: Structuring Joint Committees (Overcoming Bureaucracy)**

The true hurdle in Joint International Committees lies not in the "agenda," but in the "divergence of activation mechanisms" and operating systems between nations.

- Project Processing Units (PPUs): I propose replacing traditional committees with dynamic units focused on seamless business flow within unified international tracks.
- The Goal: Achieving **Procedural and Organizational Integration** to ensure data and decision flow without colliding with local bureaucratic friction.

2. **Pillar II: Cultural Intelligence (CQ) as a De-risking Tool**

From my firsthand observations of cultural diversity, I believe that cultural exchange is a fundamental pillar for risk mitigation. Understanding the cultural background of the counterpart is the primary engine for project delivery.

- The Concept: CQ acts as a "Trust Safety Valve" that shields strategic alliances from emergency obstacles or procedural misunderstandings.

4. Pillar III: Sovereign Strategic Alignment (The Saudi Vision 2030 Model)

For a partnership to be truly "Strategic," it must align with national priorities. As a Saudi citizen, I view "Vision 2030" as the premier model for this alignment. Any partnership that does not directly serve the national strategic vision fails its purpose.

- The Goal: Transforming alliances into "National Capital" that facilitates knowledge transfer and investment, turning diplomacy into a powerful economic tributary.

5. Conclusion

I am convinced that transitioning from "Paper Diplomacy" to "Executive Diplomacy" requires the courage to reinvent our administrative tools and unify procedural tracks globally. Institutionalizing excellence is the only way to ensure vibrant and sustainable alliances.

References

1. Allison, G. T. (1971). Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis. Little, Brown.
2. Keohane, R. O. (1984). After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press.
3. Nye, J. S. (2004). Soft Power: The Means to Success in World Politics. Public Affairs.
4. Saudi Vision 2030 Official Portal. (2026). Strategic International Partnership Programs. Retrieved from vision2030.gov.sa

ისლამის როლი ევროპეიზებულ თურქეთში
The Role of Islam in Europeanized Turkey

ნინო კოპალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
https://orcid.org/0000-0002-0203-9641
Nino Kopaliani
Akaki Tsereteli State University
Doctor of Political Science
https://orcid.org/0000-0002-0203-9641

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომში მეცნიერულად შესწავლილი და გაანალიზებულია ისლამის როლს თურქეთის ევროპეიზაციის ხანგრძლივ და საინტერესო პროცესში. XX საუკუნის დასაწყისში მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ გატარებულმა რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა მკაცრად სეკულარულ ((ფრანგული laïcité-ს მსგავს) სახელმწიფოს, რომლის მიზანიც იყო ისლამის საჯარო სივრციდან სრული განდევნა და ქვეყანაში დასავლური სოციო-პოლიტიკური მოდელის დამკვიდრება. მიღწეული წარმატებების მიუხედავად, კვლევა ცხადყოფს, რომ ისლამი არასოდეს გამქრალა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან. ის კვლავ დარჩა ეროვნული იდენტობის ფუნდამენტურ საყრდენად, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს მიერ არჩეულ ქვეყნის ვესტერნიზაციის კურსთან.

ნაშრომში გაანალიზებულია ბოლო ათწლეულების პოლიტიკური ტენდენციები, კერძოდ, კონსერვატიული ძალების აღზევება და ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“(AKP) მმართველობის გავლენა. სიღრმისეულადაა განხილული თუ როგორ მოხდა რელიგიური ფასეულობების თანდათანობით ისევ წინა პლანზე წამოწევა ქვეყანაში და როგორ ჩამოყალიბდა ე.წ. „ისლამური მოდერნიზმის” გაძლიერება თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პროცესი წარმოადგენს მცდელობას, შეიქმნას დასავლური დემოკრატიისა და ადგილობრივი ტრადიციების ერთგვარი სინთეზი, სადაც მოდერნიზაცია სულაც არ ნიშნავს რელიგიურ იდენტობაზე უარის თქმას.

სტატიაში ყურადღება ეთმობა იდეოლოგიური წინააღმდეგობების ფონზე ევროკავშირთან ურთიერთობის დინამიკას, ხაზგასმულია, რომ თანამედროვე თურქეთში ისლამი გვევლინება როგორც სოციალური მობილიზაციის, ისე პოლიტიკური ლეგიტიმაციის მძლავრ იარაღად, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ვექტორზე.

დასკვნის სახით ნაჩვენებია, რომ ევროპეიზაცია თურქეთისთვის არ გულისხმობს ისლამის გაუფასურებას, არამედ მის ტრანსფორმაციასა და ადაპტაციას გლობალურ კონტექსტში. ისლამისა და ევროპეიზაციის რთული ურთიერთქმედება რჩება მნისვნელოვან გამოწვევად, რომელიც განსაზღვრავს თურქეთის მომავალს როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, ისლამი, ევროპეიზაცია, სეკულარიზმი, იდენტობა.

Abstract: The present paper explores the complex and dynamic role of Islam in the long and intriguing process of Turkey's Europeanization. The reforms implemented by Mustafa Kemal Atatürk in the early 20th century laid the foundation for a strictly secular state (similar to the French laïcité), which aimed to completely exclude Islam from the public sphere and establish a Western socio-political model. Despite the successes achieved, the study reveals that Islam never disappeared from the public consciousness and remained a fundamental pillar of national identity, which stood in contradiction to the state-mandated course of Westernization. The paper analyzes the political trends of recent decades, in particular, the rise of conservative forces and the influence of the Justice and Development Party (AKP) government. It discusses how religious values have gradually strengthened in the country and how the so-called "Islamic modernism" has emerged in Turkish political life. This process represents an attempt to create a kind of synthesis of Western democracy and local traditions, where modernization does not necessarily mean renouncing religious identity. The article focuses on the dynamics of relations with the European Union against the backdrop of ideological contradictions. It emphasizes that in contemporary Turkey, Islam emerges as a powerful tool for both social mobilization and political legitimization, directly influencing the country's foreign policy vector.

Keywords: Turkey, Islam, Europeanization, Secularism, Identity.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო მოწმე გახდა მთელი რიგი წინააღმდეგობრივი პროცესებისა, რომლითაც ხასიათდება თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა ისლამური ფაქტორის გააქტიურებამ, რამაც თავი იჩინა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და ეს სახელმწიფო თავისებურად უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეკუთვნის ისლამურ ცივილიზაციას, მეორე მხრივ კი, 1928 წლიდან თურქეთს აქვს მმართველობის სეკულარული ევროპული მოდელი, აგრეთვე არის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებითი ორგანიზაციის წევრი და სურს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა, ამასთანავე ქვეყანამ დააგროვა სეკულარული და ევროპული ტრადიციების ერთობლიობის, ასევე დემოკრატიისა და რელიგიის თანაარსებობის საკმაოდ დიდი ისტორიული გამოცდილება **(Разливаев, 2009).**

დროთა განმავლობაში თურქეთმა ძალიან ბევრი რამ ისესხა ან ისწავლა დასავლეთისაგან. ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიას დაარსებიდანვე ჰქონდა ახლო ურთიერთობა ევროპელ ხალხთან, მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა ბიზანტია და ბალკანეთის ხალხები, ხოლო ტერიტორიული გაფართოების პერიოდში ამ სახელმწიფოს საზღვარი ვენასაც მოიცავდა **Орешкова, 2010).** მეცხრამეტე საუკუნეში ევროპის ქვეყნებიდან შემოსულმა ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის იდეებმა თანდათანობით აქაც მოიკიდა ფეხი და 1839-1876 წლებში არაერთი რეფორმა განხორციელდა, რაც ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში თანზიმათის სახელით არის ცნობილი.

პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ ოსმალეთის იმპერია დაიშალა და ქვეყანამ დაკარგა თითქმის ყველა ტერიტორია, რომელიც ამ იმპერიაში შედიოდა, კრიზისმა მოიცვა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო, თუმცა სრულ განადგურებას გადაურჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეშვეობით (**Сергеев В, Саруханян, 2013:137).** 1920-იანი წლებიდან კი მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით თურქეთმა აირჩია პროდასავლური პოლიტიკური კურსი და უარი თქვა ისლამზე **(მიქავა, 2012).**

მუსტაფა ქემალიმ გარკვეული მიზეზების გამო სასულთნო და სახალიფო ეტაპობრივად გააუქმა **(Fortna, 2002:37-38).** სულთნის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაუქმების მიუხედავად, თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციით (1924)) ისლამი კვლავ რჩებოდა ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიად (**Гасратян, 1983:296).** ამ პერიოდიდან დაწყებული დაპირისპირება კი სეკულარიზმის მომხრეებსა და მუსტაფა ქემალის მიერ დამკვიდრებული პრინციპების მოწინააღმდეგეებს შორის თურქეთში დღემდე გრძელდება.

თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე გატარდა მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას, 1924 წელს ქვეყანაში შეიქმნა რელიგიურ საქმეთა სამმართველო. მის უმთავრეს ფუნქციას რელიგიურ ცხოვრებაზე თვალყურის დევნება წარმოადგენდა **(Berkes, 1964:290).** გაუქმდა შარიათის სამართალწარმოება, დაიწყო შარიათის შეცვლა ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან ნასესხები და თურქულ რეალობასთან მორგებული კანონებით, შემოღებულ იქნა ევროპული ტიპის, შვეიცარიული სამოქალაქო, იტალიური სისხლის სამართლის და გერმანული კოდექსები, დადგინდა სამოქალაქო ქორწინება, აიკრძალა მრავალცოლიანობა და ვაკფები. ათათურქი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქალთა საკითხს: გამოდიოდა ჩადრის ტარების წინააღმდეგ, XX ს-ის 30-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, გაჩნდნენ თურქეთში პარლამენტარი ქალები, ქალი-ექიმები, იურისტები, მასწავლებლები და ა.შ. (**Сулеиманова, 2017).**

1924 წლის მარტში, შარიათისა და ვაკფების აკრძალვის შემდეგ, შეიქმნა კულტურის სამინისტრო, რომელსაც დაექვემდებარა თექეები და მეჩეთები. სამინისტრო ნიშნავდა ან თანამდებობიდან ათავისუფლებდა შეიხებს, იმამებს და ა. შ. გაუქმდა მუსლიმური მონასტრები და ორდენები, შეიცვალა აზანი, ანუ ლოცვისკენ მოწოდების წესი, ყურანი, რომელიც ადრე არაბულ ენაზე იყო, ახლა თურქულად იკითხებოდა, სავალდებულოდ გამოცხადდა ევროპული ტანსაცმელის ტარება, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში წვავდნენ მუსლიმურ ფესებსა და ფაფახებს. მუსტაფა ქემალი თავადაც ევროპულ ტანსაცმელს ატარებდა და იმისათვის, რომ გამოეხატა ისლამთან კავშირის გაწყვეტა ალკოჰოლურ სასმელსაც კი სვამდა. შემოღებულ იქნა მისალმების ევროპული წესი და ყოველდღიურ ურთიერთობებში დამკვიდრდა სიტყვა ,,მეჰრაბა“ სალამის ნაცვლად, რადგან სალამი ისლამთან ასოცირდებოდა. 1924 წელს მეჯლისის მიერ მიღებულ იქნა კანონი N430, რომლის თანახმადაც აიკრძალა სკოლებში სასულიერო დისციპლინების სწავლება. თუმცა სტამბოლის უნივერსიტეტში შენარჩუნდა ფაკულტეტი, სადაც სპეციალური საგანი ღვთისმეტყველება ისწავლებოდა **(Скоринина, 2019).** 1925 წლის ნოემბერში მოხდა დერვიშული რელიგიური ორდენებისა და მათი თექეების (მონასტრების) გაუქმება.

ქემალ ათათურქი და მისი მომხრეები მკაცრად აკონტროლებდნენ, რომ ისლამი არ გასულიყო მეჩეთის კარიბჭის გარეთ, რათა რელიგია კვლავ არ გამხდარიყო პოლიტიკური ბრძოლის იარაღი სეკულარული ხელისუფლების წინააღმდეგ(**Сулеиманова, 2017).** თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის რეფორმებმა ქვეყანა თეოკრატიული სახელმწიფოდან სეკულარულ სახელმწიფოდ აქცია. გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შედეგად წარმატებით განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკაში საზოგადოების თანდათანობითი დეისლამიზაცია, რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაიწერა მუხლი ლაიციზმის შესახებ და დაარსებიდანვე თურქეთის რესპუბლიკის არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი გახდა, ამ პრინციპის დაცვა კი საზოგადოების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან პირობად იქცა.

ფაქტობრივად მუსტაფა ქემალ ათათურქის დროიდან თურქეთი სეკულარულ სახელმწიფოდ ითვლება და თურქი ხალხის კულტურაც მუსიკიდან ფილოსოფიამდე და პოეზიიდან არქიტექტურამდე სეკულარულია, რაც იმას გულისხმობდა, რომ კულტურა და მეცნიერება თავისუფალი უნდა ყოფილიყო ეკლესიის მეურვეობისაგან, რელიგიური მსოფლმხედველობისაგან **(Дружиловскии, 1982).**

1925 წლის 26 დეკემბერს მიღებული კანონით თურქეთში ევროპული წელთაღრიცხვა დამკვიდრდა და დასვენების დღედ პარასკევის ნაცვლად კვირა გამოცხადდა. ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 1928 წლის ნოემბერში ლათინური ანბანის შემოღება, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული სკოლების დაარსებას, სადაც უცხოეთიდან მოწვეული სწავლულების დახმარებით მიმდინარეობდა ახალ სასწავლო პროგრამებზე მუშაობა და პედაგოგების გადამზადება, გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილი ლინგვისტური და ისტორიული საზოგადოებები ხელს უწყობდნენ სახელმწიფოში სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებას **(სვანაძე, 2007:434).** იმავე 1928 წელს ქემალისტებმა მოახერხეს რელიგიის საბოლოო გამოყოფა სახელმწიფოსაგან, რაც აისახა ამავე წელს შესწორებულ კონსტიტუციაში. საზოგადოების მოდერნიზაციის მიზნით მთავრობამ 1934 წელს ეკლესიის მსახურებს აუკრძალა რელიგიური სამოსით გამოსვლა ერში, ამავე წელს გატარდა გვარების რეფორმა და მუსტაფა ქემალ ფაშას ეწოდა მუსტაფა ქემალ ათათურქი, რაც ,,თურქების მამას“ ნიშნავს **(Akgul, 2019:19-21).** აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქემალიზმის მრავალი იდეოლოგიური პრინციპი შემუშავებული და დასაბუთებული იყო ცნობილი თურქი ფილოსოფოსის და სოციოლოგის ზიაია გოკალპის (1876-1924) ნაშრომებში, ასევე გოკალპი იყო ერთ-ერთი პირველი მუსლიმი მოაზროვნე, რომელსაც კარგად ესმოდა რელიგიური და სახელმწიფო ინსტიტუტების გამიჯვნის აუცილებლობა**(Баибатырова, 2010:239).**

ასე დაიწყო თურქეთის სვლა ევროპული განვითარებისაკენ. ქვეყანაში თანდაანობით მმართველი პარტიის მიმართ თურქი ხალხის დამოკიდებულება შეიცვალა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოება დემოკრატიული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე აქტიურად ალაპარაკდა. ხშირი გახდა მმართველი სახალხო - რესპუბლიკური პარტიის საქმიანობით უკმაყოფილო პოლიტიკოსების მიერ პარტიის რიგების დატოვება.რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის შემოღებას, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მმართველი პარტიის ძირითადი კონკურენტი ჯელალ ბაიარის დემოკრატიული პარტია გახლდათ, რომელიც ხმამაღლა ამბობდა, რომ ქემალისტური პრინციპების დამცველი იქნებოდა.

დემოკრატიულ პარტიასთან ერთად თურქეთში გაჩნდნენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც. 1946 წელს ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით პირველად ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მმართველი პარტიის უპირატესობით დასრულდა, თუმცა ქვეყანაში ჩამოყალიბდა მძლავრი ოპოზიციური პარტია. პოლიტიკური პარტიების მომრავლება და საარჩევნო სისტემის თანდათანობითი დახვეწა თავისთავად მეტყველებდა თურქეთში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე.

1948 წელს პრეზიდენტი ისმით ინონუ და მმართველი პარტია იძულებული გახდა სკოლების სასწავლო პროგრამაში დაებრუნებინა რელიგიის გაკვეთილები. იმავე წელს მუსლიმებს ნება დართეს წასულიყვნენ სალოცავად მექაში და შეესრულებინათ მუსლიმთა ერთ-ერთი უწმინდესი მოვალეობა - ჰაჯჯი. ქვეყანაში ისლამის გაძლიერებას ხელი შეუწყო საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამაც, კერძოდ, ამ პერიოდის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელისუფლებაში მოვიდნენ პროკომუნისტური ძალები და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ეს ქვეყანა შეეცადა ისლამი მძლავრ იარაღად გამოეყენებინა კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ. ყველაფერმა ამან გამოიწვია ისლამის კვლავ აღორძინება თურქეთში. 1950 წლის არჩევნების საფუძველზე თურქეთში ძალაუფლება ხელში აიღო დემოკრატიულმა პარტიამ. მისი მმართველობის პერიოდში გაიხსნა რელიგიური სკოლები, დაიწყეს ახალი მეჩეთების მშენებლობა და ძველის რესტავრაცია, სტამბოლის უნივერსიტეტის მსგავსად ღვთიმეტყველების ფაკულტეტები გაიხსნა

სხვა უმაღლეს სასაწავლო დაწესებულებებში (ანკარის უნივერსიტეტი) და რელიგიის სწავლება შემოიღეს სკოლებში, როგორც დაწყებით, ასევე საშუალო საფეხურზე. უკვე XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისათვის თურქეთში 20-მდე რელიგიური სკოლა არსებობდა 5000-მდე სწავლის მსურველით.

რელიგიური საკითხი თურქეთში განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ქვეყანაში ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა რელიგიური სექტები და ორდენები, 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ახალი კონსტიტუცია მიიღო. 1965 წლის 13 ივლისის კანონით აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენის მოთხოვნით, მაგრამ, მიუხედავად ამ აკრძალვისა, თურქეთში რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა. ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბებულ იქნა „განთავისუფლების პარტია“ (დამფუძვნებელი ოზქანი). აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა იმდროინდელი მმართველი პარტიის („ხსნის პარტია“) სასტიკი წინააღმდეგობის გამო **(ჭიღვარია, 2014:109).**

მსოფლიოში ,,ისლამური რენესანსი“ ან ,,ისლამური აღორძინება“ განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და ამ პროცესის შემდგომ განვითარებას თურქეთში ხელი შეუწყო ნეჯმეთინ ერბაქანის მიერ ჩამოყალიბებულმა ,,ეროვნული წესრიგის პარტიამ“, რომელიც თავისი არსით პროისლამური პარტია იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სეკულარიზმის მიუხედავად 1924 წლიდან მოყოლებული ისლამს ყოველთვის თავისი მხარდამჭერები ჰყავდა ყველა მმართველი პარტიის რიგებში მაგრამ ამ ეტაპზე პროისლამური ,,ეროვნული წესრიგის პარტიის“ დაარსება და ლეგალურად საქმიანობა ქვეყანაში ისლამის გაძლიერების უტყუარ დასტურს წარმოადგენდა. მიუხედავად მზარდი სტატისტიკისა, ,,ეროვნული წესრიგის პარტიამ“ დიდხანს ვერ იარსება და 1971 წლის სამხედრო მემორანდუმით პარტიის თავჯდომარე დააპატიმრეს, პარტია კი აკრძალეს, თუმცა თურქეთში ისლამის განმტკიცების მომხრეები აგრძელებდნენ ასევე ბრძოლას და მომდევნო წელს ძველი პარტიის ბაზაზე შექმნეს ,,ეროვნული ხსნის პარტია“ **(ჭიღვარია, 2014:110).**

1980 წელს ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა ისლამური მოძრაობა, რამაც აიძულა სამხედროები მოეხდინათ გადატრიალება, რათა ხელი შეეშალათ ზომიერი ისლამის იდეოლოგიის მიმდევრების ხელისუფლებაში მოსვლისათვის, თუმცა ამით არ მომხდარა ისლამის როლის გამორიცხვა თურქეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან. 1995 წლის არჩევნებმა აჩვენა კიდეც მისი სიძლიერე და გავლენა - პირველად სეკულარული თურქეთის ისტორიაში ზომიერი ისლამური კეთილდღეობის პარტიამ დაახლოებით ხმების 22% მიიღო და პარლამენტში მანდატების საკმაო რაოდენობა მოიპოვა.

მოვლენების ამგვარი განვითარება დიდი მოულოდნელობა იყო თურქული საზოგადოებისა და დასავლელი პოლიტიკოსებისათვის, მას შემდეგ რაც მიიღეს მნიშვნელოვანი საარჩევნო მხარდაჭერა, ისლამური პარტიები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, ქვეყანაში გაჩნდა და აქტიურად ვითარდებოდა რელიგიური ორდენები, შეიქმნა მუსლიმური საქველმოქმედო საზოგადოებები თუ მუსლიმური კომერციული სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ისლამურ პარტიებთან. ისლამის გაზრდილ მნიშვნელობაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით ადამიანებს, რომლებიც მუსლიმური ჩვეულების

მიხედვით თავსაბურავითა და წვერით დადიოდნენ, რაც ადრე პრაქტიკულად ასე აშკარად არ შეინიშნებოდა **(Буянов, 2005:216).** მართალია, 1997 წელს სამხედროების ჩარევამ კეთილდღეობის პარტიას არ მისცა საშუალება თავისი პოლიტიკური პროგრამისა და ჩანაფიქრის რეალიზება მოეხდინა, თუმცა 2002 წელს სამართლიანობისა და განვითარების ზომიერ ისლამურ პარტიას გამარჯვებაში ხელი ვერავინ შეუშალა **(ლებანიძე, 2014:114).**

თანამედროვე თურქეთის ევროპეიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხს, რომლის შესახებ განაცხადი ქვეყანამ 1959 წელს გააკეთა. 1963 წლის 12 სექტემბერს ანკარაში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა თურქეთსა და ევროკავშირს შორის, საფუძველი ჩაეყარა თურქეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის ისტორიას. ,,ანკარის შეთანხმება“ ორივე მხარეს ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების მიზნით დაახლოების შესაძლებლობას აძლევდა.

2004 წლის ნოემბერში ბრიტანული ჟურნალი The economist-ში გამოქვეყნდა კარსტენ ჰეფეკერის სტატია: ,,რატომ უნდა უთხრას ევროპამ თურქეთს დიახ?“- ის ამტკიცებდა, რომ უკვე დრო იყო, მწვანე შუქი აენთოთ ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. მიიღება თუ არა თურქეთი ევროკავშირში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიწევს ეს მოლაპარაკებები წინ და შეუძლია თუ არა თურქეთს სარწმუნოდ აჩვენოს, რომ იგი აკმაყოფილებს კოპენჰაგენის კრიტერიუმებს სტაბილური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, უმცირესობების უფლებების დაცვის, ბაზარზე დაფუძვნებული და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შესახებ. ამ პირობების დანერგვა და განხორციელება აუცილებელია ევროკავშირის წევრობისათვის **(Hefeker, 2004).** ავსტრიელმა კომისარმა ფიშლერმა თურქეთი მიაკუთვნა ,,უფრო აღმოსავლური და არა ევროპული ქვეყნების რიცხვს“, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და ევროპული კონვენციის თავჯდომარე ჟისკარ დესტენი კი აცხადებდა, რომ თურქეთის შესვლას ევროკავშირში ნამდვილად მოჰყვებოდა ,,ევროპის დასასრული“(**Alkan, 2017)** ასეთი იყო ევროპელი პოლიტიკოსების პოზიცია.

ჯერ კიდევ 2012 წელს ბერლინში მყოფი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, რომელსაც იმ დროს თურქეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, აცხადებდა, რომ მისი ქვეყნის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა მის უდიდეს სურვილს წარმოადგენდა და ევროკავშირში გაწევრიანების ვადაც განსაზღვრა _ ეს უნდა მომხდარიყო 2023 წლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირი დაკარგავს თურქეთს-ამბობდა იგი **(Knight, 2018).** ხომ არ იყო ერდოღანის ეს სიტყვები ერთგვარი გაფრთხილება ევროპის ლიდერებისთვის. უკვე ექვსი ათეულ წელზე მეტი გავიდა და თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე ისევ მოლოდინის რეჟიმშია, უფრო მეტიც - 2016 წლიდან თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები შეფერხდა. ამ უკანასკნელმა დაადანაშაულა და გააკრიტიკა მოქმედი მთავრობა ადამიანის უფლებების დარღვევისა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დეფიციტის გამო **(Agartan, 2010).** ერდოღანი და მისი ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP) კი თავს საკმაოდ ძლიერად და თავდაჯერებულად გრძნობენ და ცდილობენ კიდევ უფრო გააძლიერონ თურქეთის გავლენა მუსლიმურ სამყაროში. ეს ერთგვარი სტრატეგიაა: თურქეთს სურს გააძლიეროს თავისი, როგორც ანგარიშგასაწევი რეგიონული ძალის პოზიციები, რომ დაანახვოს ევროპას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ქვეყანა დასავლეთისათვის, როგორც ისლამურ და არაბულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდი.

გარდა ამისა, თურქეთსა და ევროკავშირს შორის საკმაოდ მზარდი ეკონომიკური კავშირები არსებობს. ევროკავშირის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია, თურქული ექსპორტის 40 %-ზე მეტი

ევროკავშირში მიდის, თურქეთი კი ამბობს, რომ მათ ევროკავშირი ნაკლებად სჭირდებათ, ვიდრე ევროკავშირს – თურქეთი **(Head, 2012).** საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ამტკიცებენ, რომ თურქეთის ეკონომიკასა და დიდ ბაზარს ევროკავშირისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევს ადამიანის უფლებების, მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის, რელიგიური განსხვავებულობისა და სხვა საკითხი ამ ქვეყანაში. ამიტომაც ევროპის რიგი ქვეყნები: საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და სხვა მხარს არ უჭერენ ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას **(თურქეთი და ევროკავშირი, 2016).**

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე არსებულ დაბრკოლებათაგან ერთ-ერთს კვიპროსის საკითხი წარმოადგენს. გარდა ამისა, ბევრ წინააღმდეგობას შორის არსებობს პრეტეზია, რომ თურქეთი იქნება ერთ - ერთი ძლიერი აქტორი ევროკავშირში, რომელსაც ეყოლება გერმანიის ტოლი ან მასზე უფრო მეტი მოსახლეობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს ევროკავშირზე, ვინაიდან თურქეთს აქვს უფრო მეტად მზარდი დემოგრაფიული მაჩვენებელი, ვიდრე ევროკავშირის მოსახლეობას. გარდა ამისა, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყანაში ყველაზე დიდი ეროვნული უმცირესობის, ქურთული პრობლემაც. აღსანიშნავია, რომ ქურთთა ორ დიდ ამბოხებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ მუსტაფა ქემალის პერიოდში, 1925 და 1937 წლებში, მართალია, ეს აჯანყებები ქურთებისთვის სასარგებლო შედეგით არ დასრულებულა, თუმცა ისინი მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, ქმნიდნენ პოლიტიკურ პარტიებს და უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აბდულა ოჯალანის მეთაურობით აქტიურად გამოვიდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიის საკითხს. თურქეთში პოლიტიკური ისლამის ფორმირებისა და მისი შემდგომი ევოლუციის ისტორიის შესწავლა, ისლამური იდეოლოგიის მიმდევარი თურქი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიზეზების, მიზნების, ფორმებისა და მეთოდების განხილვა საშუალებას იძლევა ერთი ქვეყნის მაგალითზე დავაგროვოთ საინტერესო ინფორმაცია პოლიტიკური ისლამის ფენომენის გასაგებად, კონკრეტულად თურქეთის მაგალითზე.

ისლამს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო რელიგია იყო და არეგულირებდა მისი ცხოვრების ყველა სფეროს, დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს მასებსა და პოლიტიკურ წრეებში. თურქეთი კი ნატოს წევრი და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ისტორიული არჩევანის წინაშე დგას: კვლავ გახდეს თეოკრატიული თუ დარჩეს სეკულარულ სახელმწიფოდ. ფაქტია, რომ ის დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეგიონული ძალაა და 75 მილიონიანი მუსლიმი მოსახლეობით შეშფოთებასაც კი იწვევს ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობაში **(ევროკავშირი და თურქეთი: 2016).** გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის მოსახლეობის რიცხვი 100 მილიონს მიაღწევს, და ამის მოლოდინს აჩენს მისი დადებითი დემოგრაფიული ბალანსი, ის გახდება მოსახლეობის მხრივ ორგანიზაციის ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა და შესაძლებლობა ექნება, მიიღოს ათი კვოტა. ამ შემთხვევაში კი თურქეთი მოახერხებს ზეგავლენა მოახდინოს ევროკავშირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე **(სვანიძე, 2007:543).**

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ, ალბათ, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ პროისლამური მთავრობა მოვიდოდა დიდი სეკულარული სახელმწიფოს ხელისუფლებაში (Семедов, 2009). დღეს თურქეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია უკავია და ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, აქვს საკმაოდ კარგად განვითარებული ეკონომიკა, ჰყავს მრავალრიცხოვანი თანამედროვე შეიარაღებული ძალები და ასევე მრავალრიცხოვანი დიასპორა ევროკავშირის ქვეყნებში

(განსაკუთრებით გერმანიაში).... ამ პრივილეგიებთან ერთად ზომიერი ისლამის აღზევება საფრთხეს უქმნის თურქეთის სეკულარული სახელმწიფოს მომავალს. ობიექტურად რომ ვთქვათ, ზომიერი ისლამი საფრთხეს უქმნის ქემალისტურ, მკაცრ სეკულარიზმს, რომელიც რელიგიას საჯარო ველიდან რიყავდა.

მთავარი საფრთხე არა რელიგიის არსებობაა პოლიტიკაში, არამედ პოლარიზაცია. როდესაც სეკულარიზმი და ისლამი აღარ არის მხოლოდ მსოფლმხედველობა, არამედ ხდება პოლიტიკური იარაღი. ზიანდება დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობა. თურქეთი იმყოფება გარდამავალ ეტაპზე, სადაც ყალიბდება ე.წ. „პოსტ-სეკულარული“ მოდელი. მისი წარმატება იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქვეყანა შეინარჩუნოს კანონის უზენაესობა ისე, რომ არცერთმა იდეოლოგიამ (იქნება ეს რელიგიური თუ სეკულარული) არ მოახდინოს სახელმწიფო აპარატის მონოპოლიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროკავშირი და თურქეთი, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი: ევროკავშირს თურქეთი არ სჭირდება, https://tinyurl.com/434829rp, ბოლოს გადამოწმდა: 21.03,2023

2. მიქავა მ, მუსლიმი ძმები, https://tabula.ge/ge/news/546264-muslimi-dzmebi , ბოლოს გადამოწმდა: 22.03.2023

3. სვანიძე მ. (2007). თურქეთის ისტორია (1299-2000 წლები), გამომცემლობა ,,არტანუჯი“, თბილისი.

4. ჭიღვარია გ. (2014). თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, თბილისი.

5.Agartan K, Turkeys accession to the European Union and the Turkish Labor Movement, https://journals.openedition.org/ejts/4297, ბოლოს გადამოწმდა: 25.05,2023

6. Akgul A, The Case of Ataturk Reforms in Early Turkish Republic Between 1923-1946 From an Educational Perspective. Master's thesis, Harvard Extension School, https://tinyurl.com/mwx46fdf , ბოლოს გადამოწმდა: 27.05.2023

7. Alkan U, The Modernization of Turkeys Customs Union with the European Union: Reasons and Possible Outcomes, http://aei.pitt.edu/92484/1/edp-9-2017_alkan.pdf, ბოლოს გადამოწმდა: 27.05.2023

8. Berkes N. (1964). The Development of Secularism in Turkey, London.

9. Fortna B. (20020. Imperial Classroom: Islam, the State, and Education in the Late Ottoman Empire, Oxford, University Press. https://tinyurl.com/2whxkvkf, ბოლოს გადამოწმდა: 30.05.2023

10. Head J, Analysis: Turkeys long wait to join EU club, https://tinyurl.com/3hhw3k8h, ბოლოს გადამოწმდა: 6. 06. 2023

11. Hefeker C, Turkey and the Borders of Europe, https://ideas.repec.org/f/phe271, ბოლოს გადამოწმდა: 4.06.2023

12. Knight B, Turkeys Erdogan in Berlin for contentious state vizit, https://tinyurl.com/3h2p5k29, ბოლოს გადამოწმდა: 10.06.2023

13. Баибатырова Н. (2010). Отражение процессов исламизации и секуляризации турецкого обшества в прессе, Вестник ,СПБГН, Сер 9, вып 1

14. Гасратян М, Орешкова С Очерки истории Турции, издательста Наука. Москва 1983

15. Дружиловскии С, О теории и практике исламского правления в странах Среднего Востока (Иран, Афганистан, Турция) , http://www.istorya.ru/referat/referat2/17362.php , ბოლოს გადამოწმდა: 12.04. 2023.

16. Орешкова С, Ислам и европеизация: турецкии опыт синтеза двух путеи цивилизационного развиеия, https://tinyurl.com/msmx7ntm, ბოლოს გადამოწმდა: 6.05.2023

17. Разливаев А, Исламскии фактор в Турции и его влияние на вступление в Европеискии Союз: политическии анализ, https://tinyurl.com/49fachdp, ბოლოს გადამოწმდა: 27.04. 2023

18. Семедов С, Причины политизации ислама в современном мире, https://tinyurl.com/mvvzkzsv, ბოლოს გადამოწმდა: 6.05.2023

19. Сергеев В, Саруханян С. (2013). Модернизация и политическии ислам в Турции

20. Скоринина В, Исламскии фактор в Турции в начале XX века и антиисламские реформы М. К. Ататюрка, https://tinyurl.com/mrtyanae , ბოლოს გადამოწმდა: 5.05,2023

21. Сулеиманова З, Реформы Мустафы Кемаля, https://tinyurl.com/39d38ttz, ბოლოს გადამოწმდა: 3.05.2023

დიდი პოლიტიკური აქტორების ინტერესები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში[1]

The Interests of Major Political Actors in the Formation of the Foreign Policy of South Caucasus Countries[2]

Nikoloz Ovsianikov
Georgian Technical University
Master's Student
ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-4313-837X
Manana Darchashvili
Georgian Technical University
Professor
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-7414-5160
ნიკოლოზ ოვსიანიკოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
მანანა დარჩაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი

აბსტრაქტი. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს, სადაც დიდი პოლიტიკური აქტორების ინტერესები გავლენას ახდენს ადგილობრივი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ჩვენი კვლევის მიზანია გაანალიზოს თუ როგორ განაპირობებენ გლობალური და რეგიონული ძალები (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, ჩინეთი, ირანი, თურქეთი) სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე და როგორ

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი MR-25-1100).

[2] This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number MR-25-1100].

ინარჩუნებენ რეგიონის სახელმწიფოები კონკურენტული გეოპოლიტიკური ზეწოლის პირობებში საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და სტრატეგიული ბალანსის დაცვას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, სატრანზიტო ფუნქციის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რეგიონში არსებულ კონფლიქტებს როგორც განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. აღნიშნული ფაქტორები განიხილება როგორც ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებასა და საერთაშორისო არენაზე მათ ქცევაზე.

კვლევის პროცესში, დამუშავდა (სხვადასხვა ენაზე) არსებული არა ერთი საყურადღებო მასალა. მუშაობისას გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის. შედარებითი ანალიზის და შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდები.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს ძალთა ბალანსის დინამიკა, შეფასდეს ინსტიტუციური თანამშრომლობის როლი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში.

შესწავლილი საკითხი ცხადყოფს, რომ გარე აქტორების ჩართულობა ზრდის როგორც განვითარების შესაძლებლობებს, ასევე დამოკიდებულების რისკებს. ამასთან, კვლევა მიუთითებს, რომ რეგიონის საგარეო პოლიტიკა არამხოლოდ შიდა საჭიროებებით, არამედ დიდწილად გარე ძალთა სტრატეგიული ინტერესებითაა განპირობებული, რაც სამხრეთ კავკასიას მუდმივი გეოპოლიტიკური კონკურენციის არეალად ხდის.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, საგარეო პოლიტიკა, ენერგეტიკა, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა.

Abstract. The South Caucasus is a geopolitically significant region where the interests of major political actors influence the formation of the foreign policies of local states. Our research aims to analyze how global and regional powers (the USA, Russia, the EU, China, Iran, and y) determine the foreign policy formation of South Caucasian countries (Georgia, Armenia, and Azerbaijan), and how the states of the region maintain their sovereignty and strategic balance amidst competitive geopolitical pressures.

Particular attention in this paper is devoted to energy security issues and their associated challenges, the strategic importance of the region's transit function, and regional conflicts as factors hindering development. These factors are considered key determining elements that significantly influence the formation of foreign policy priorities of the countries in the region, as well as their behavior on the international stage.

During the research process, numerous noteworthy materials in various languages were processed. The study employed content analysis, comparative analysis, and case study methods.

Political Realism was selected as the theoretical framework for the paper, providing an opportunity to analyze the dynamics of the balance of power and to evaluate the role of institutional cooperation within the context of international relations.

The study reveals that the involvement of external actors increases both development opportunities and the risks of dependency. Furthermore, the research indicates that the region's foreign policy is conditioned not only by domestic needs but is largely shaped by the strategic interests of external powers, making the South Caucasus an arena of constant geopolitical competition.

Keywords: South Caucasus, foreign policy, energy, security, geopolitics.

Introduction

The South Caucasus occupies a unique position on the world map. It is perhaps for this reason that the eminent Russian scholar, Academician Yury Zhdanov, defined it as "the solar plexus of Eurasia" (2019) - a definition which underscores the region's critical importance for Russia in pursuing its Eurasian agenda. At present, interest in the region is largely linked to its conflict potential, predetermined by its specific ethnocultural and political diversity, by disputed borders between states, by frozen conflicts and the existence of unrecognised and partially recognised entities, as well as by the absence of constructive solutions to these conflicts. Furthermore, the region's significance and role are conditioned by the divergent and competing interests and policies of the major geopolitical players, which continuously seek to consolidate their political influence over the South Caucasus. The energy component plays a substantial

role in this competition. As a consequence of the Russia–Ukraine war and the ongoing political processes in Iran, the security environment in the region has steadily and persistently deteriorated. Accordingly, its central position on the political map, together with the complex combination of challenges and security threats, has placed the South Caucasus and the wider Black Sea region at the centre of current international developments.[1]

The present paper seeks to address the following question: how, and to what extent, have the major global actors shaped the foreign-policy trajectories of the South Caucasus states in recent years, particularly against the backdrop of the historical events of the 2020 - 2026 period? The study focuses on six central actors - the United States, the Russian Federation, the People's Republic of China, the European Union, Türkiye and Iran - analysing their interests, the instruments through which these interests are pursued, and the actual influence each exerts on the foreign policy of the regional states.

In order to examine the subject comprehensively, the paper draws on historical, comparative, structural-analytical and case-study methods. The analysis is grounded in Georgian and foreign-language literature, as well as in the work of reputable research centres and individual experts and scholars.

The United States: From Hegemonic Ambition to Transactional Leverage

The South Caucasus, and more broadly the Black Sea–Caspian region, has emerged as one of the most contested arenas of great-power rivalry in the post-Cold War era. This rivalry has been driven, to a considerable extent, by the region's geopolitical location and its substantial reserves of energy resources.[2]

Historically, Washington's interests in the South Caucasus have rested on four principal objectives: containing Russian influence, diversifying Europe's energy supply, restraining Iran and promoting democracy.[3] The most visible manifestation of these interests is the Baku–Tbilisi–Ceyhan (BTC) oil pipeline - one of the longest in the world. Commissioned in 2006, the BTC carries Caspian oil to the Mediterranean while bypassing both Russia and Iran, and constitutes the first and shortest export route for hydrocarbons of this kind.

It is noteworthy that, in recent years, no South Caucasian state has been mentioned by name in the U.S. National Defense Strategy[4], while the U.S. National Security Strategy of 2022 refers to the "South Caucasus" only once, in the context of conflict resolution[5]. This clearly indicates that Washington's engagement in the region has been strategic in character.

Of particular significance, in our view, is the summit held on 8 August 2025[6] - an event of historic importance, as for the first time in three decades Armenia and Azerbaijan sat at the negotiating table together with a Western, rather than Russian, power. The "TRIPP" project (Trump Route for International

---

[1] Bekiarova, Natalia. "South Caucasus as a region of strategic importance." *IJASOS-International E-Journal of Advances in Social Sciences* 5, no. 14 (2019): 1016-1025.

[2] Pipinashvili, David., "სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“ [Conflicts of the South Caucasus and Problems of Regional Stability], PhD diss., Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2009, p. 23, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164394/1/Disertacia.pdf, (08.02.2026).

[3] Tashjian, Yeghia., Poghosyan, Benyamin., Rubin, Michael., "US Strategic Interests in the South Caucasus and its Post-2020 War Policy towards Armenia", Armenian Weekly, 2024, https://armenianweekly.com/2024/01/31/us-strategic-interests-in-the-south-caucasus-and-its-post-2020-war-policy-towards-armenia/, (15.03.2026).

[4] U.S. Department of Defense., "2022 National Defense Strategy of the United States of America", 2022, Pdf, https://media.defense.gov/2022/Oct/27/2003103845/-1/-1/1/2022-NATIONAL-DEFENSE-STRATEGY-NPR-MDR.PDF, (26.03.2026).

[5] The White House., "National Security Strategy", The Biden–Harris Administration, 2022, Pdf, https://bidenwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2022/10/Biden-Harris-Administrations-National-Security-Strategy-10.2022.pdf, (26.03.2026).

[6] U.S. Department of State., "Joint Declaration between the Republic of Azerbaijan and the Republic of Armenia", 2025, Pdf, https://www.state.gov/wp-content/uploads/2025/08/2025JointDeclaration.AzerbaijanArmenia.pdf, (26.03.2026).

Peace and Prosperity) envisages the integration of the energy systems of Armenia and Azerbaijan, providing both sides with the opportunity to derive mutual benefit from exports and imports under equal conditions. Under this agreement, a transport link will be established between Azerbaijan proper and Nakhchivan via Armenia's Syunik province, while the United States is granted a 99-year lease over the so-called "Zangezur corridor."[1]

Russia: The End of the "Unipolar Moment"

Following the dissolution of the Soviet Union, Russia regarded the South Caucasus as a sphere of "privileged interests." The Kremlin's objective was to keep Armenia, Azerbaijan and Georgia at a distance from NATO and the European Union, while ensuring their integration into Russian-led organisations such as the CIS, the CSTO and the EAEU.

Moscow employed a range of instruments in pursuit of these aims, namely military-security, economic and cultural levers. The "frozen conflicts" - Nagorno-Karabakh, Abkhazia and South Ossetia - served as a permanent instrument with which to obstruct the region's Euro-Atlantic integration.[2]

Since 2022, the events unfolding in Ukraine have considerably weakened Moscow's position in the South Caucasus: financial and logistical resources have shrunk sharply, prompting Armenia to suspend its CSTO membership de facto, while in 2023 the Russian peacekeeping contingent in Karabakh proved ineffective.[3] Russia continues to regard Armenia as its principal foothold in the region, hosting the Russian military base at Gyumri and remaining a member of both the CSTO and the EAEU. The future of Russia's role in the Caucasus depends to a large extent on the outcome of the Armenian parliamentary elections scheduled for June 2026, with two principal scenarios envisaged.

In the event of a victory by pro-Western forces and the conclusion of a "peace agreement," Armenia is likely to become a destination for Western investment.

Should pro-Russian forces prevail, the Armenia–Azerbaijan "peace process" is likely to stall and the "Trump route" to be frozen. The general regional climate could deteriorate accordingly.

China: A Strategy of Economic Engagement

Until 2022, China's Belt and Road Initiative (BRI) prioritised the northern corridor running through Russia. Following the war in Ukraine, however, sanctions and logistical disruptions have undermined the reliability of that route, with the result that the so-called "Middle Corridor" running from Central Asia through the South Caucasus has become a focus of China's Eurasian strategy.[4] In the first half of 2025, China–Europe trade flowing along the Middle Corridor increased by 173 per cent compared with the same period of 2024[5]. China has now concluded strategic partnerships with all three regional states: with

[1]Lezhava, Nino , "With New Transit Routes and Investment, the U.S. Aims to Counter China and Russia in the South Caucasus and Central Asia", Just Security, 2025, https://www.justsecurity.org/125271/us-counter-china-russia-south-caucasus-central-asia/, (27.03.2026).

[2] Melvin, Neil., "Retying the Caucasian Knot: Russia's Evolving Approach to the South Caucasus", Royal United Services Institute (RUSI), 2024, p. 8, Pdf, https://static.rusi.org/retying-the-caucasian-knot-russias-evolving-approach-to-the-south-caucasus.pdf, (18.03.2026).

[3] Foster, Marion., "How Russian Weakness in the South Caucasus Can Reward the West", Center for European Policy Analysis (CEPA), 2025, https://cepa.org/article/how-russian-weakness-in-the-south-caucasus-can-reward-the-west/, (17.03.2026).

[4] Avdaliani, Emil., "China's Shifting Calculus in the South Caucasus: Cases of Armenia and Azerbaijan", China Observers in Central and Eastern Europe (CHOICE), 2026, https://chinaobservers.eu/chinas-shifting-calculus-in-the-south-caucasus, (02.02.2026).

[5]Lezhava, Nino, "With New Transit Routes and Investment, the U.S. Aims to Counter China and Russia in the South Caucasus and Central Asia", Just Security, 2025, https://www.justsecurity.org/125271/us-counter-china-russia-south-caucasus-central-asia/, (27.03.2026).

Georgia[1] in 2023, with Azerbaijan in April 2025[2] (a "Comprehensive Strategic Partnership") and with Armenia in September 2025[3].

China's tactics in the South Caucasus differ substantially from the Western approach. Beijing does not demand democratic reform, the promotion of human rights or demonstrations of geopolitical loyalty; rather, it concentrates primarily on economic engagement.[4] China's long-term posture, however, depends largely on the outcome of the war in Ukraine, since the reopening of the northern corridor would diminish the comparative advantage of the Middle Corridor.

The European Union: From "Neighbourhood" to Strategic Engagement

The European Union's engagement with the South Caucasus began with the establishment of the Eastern Partnership (EaP) in 2009. Georgia signed an Association Agreement in 2014 and was granted candidate status in 2023; Armenia, in light of the Nagorno-Karabakh conflict, prioritised integration into the EAEU in 2013; while no comprehensive agreement has been reached with Azerbaijan.[5]

The principal element of Brussels' regional engagement has been its energy interest. In 2022, European Commission President Ursula von der Leyen and President Aliyev signed a Memorandum of Understanding under which Azerbaijani gas exports to Europe are to be doubled by 2027 (in 2024, Baku supplied roughly 3 per cent of the EU's gas imports).

Brussels' civilian-military missions in the region - the European Union Monitoring Mission (EUMM) in Georgia since 2008 and the European Union Mission in Armenia (EUMA) on the Armenia–Azerbaijan border since 2023 - symbolise the bloc's physical presence on the ground. In recent times the EU's influence in Georgia has weakened and the country's European integration process has been temporarily suspended. At present, the principal anchor of EU engagement in the South Caucasus is Armenia, which signed an EU–Armenia Strategic Partnership Agenda in December 2025.

Türkiye: An Ambitious "Middle Power"

Türkiye's influence in the South Caucasus rests, first and foremost, on the strategic partnership between Ankara and Baku. Türkiye's military and diplomatic support during the 2020 Karabakh war was a decisive factor in Azerbaijan's victory.[6] The infrastructural manifestation of the Ankara–Baku alliance can be seen in the Baku–Tbilisi–Ceyhan oil pipeline, the Baku–Tbilisi–Erzurum gas pipeline and the Baku–Tbilisi–Kars railway.[7]

---

[1] Embassy of the People's Republic of China in Georgia., "Joint Statement between the People's Republic of China and Georgia on the Establishment of a Strategic Partnership", 2023, https://ge.china-embassy.gov.cn/eng/xwdt/202308/t20230807_11123383.htm, (26.03.2026)

[2] President of the Republic of Azerbaijan., "Joint Declaration on the Establishment of a Comprehensive Strategic Partnership between the Republic of Azerbaijan and the People's Republic of China", President.az, 2025, https://president.az/en/articles/view/68634, (26.03.2026).

[3] Office of the Prime Minister of the Republic of Armenia., "Joint Statement on the Establishment of a Strategic Partnership between the Republic of Armenia and the People's Republic of China", 2025, https://www.primeminister.am/en/press-release/item/2025/08/31/Nikol-Pashinyan-joint-statement/, (26.03.2026);

[4] Popkhadze, Miro., "China's Georgian Gamble", Foreign Policy Research Institute (FPRI), 2025, https://www.fpri.org/article/2025/03/chinas-georgian-gamble/, (19.02.2026).

[5] Akhvlediani, Tinatin "The EU and the South Caucasus: Geoeconomics at Play", Carnegie Endowment for International Peace, 2024, https://carnegieendowment.org/research/2024/10/the-eu-and-the-south-caucasus-geoeconomics-at-play, (17.03.2026).

[6] Pkhaladze,Tengiz "Navigating Geopolitical Realities: How the EU Can Reshape its Energy and Trade Strategy in the South Caucasus", Policy Brief No. 10/2025, European Centre for International Political Economy (ECIPE), 2025, p. 7, Pdf, https://ecipe.org/wp-content/uploads/2025/04/ECI_25_PolicyBrief_10-2025_LY01.pdf, (21.03.2025).

[7] Duran, Burhanettin., İnat, Kemal., eds., "Türk Dış Politikası Yıllığı 2024" [Turkish Foreign Policy Yearbook 2024], SETA Vakfı, 2025, p. 29, Pdf, https://media.setav.org/tr/dosya/2025/05/turk-dis-politikasi-yilligi-2024.pdf, (23.03.2026).

Following the second Karabakh war, the weakening of Russia's influence in the South Caucasus, the growing intersection of Central Asia and the South Caucasus, and the launch of the TRIPP project have all encouraged Ankara to seek an enhanced regional status. Türkiye has accordingly assumed the role of a regional mediator.

Türkiye's strategy serves two objectives simultaneously: maintaining its strategic bond with Baku, while presenting itself as an mediator of regional peace. It remains uncertain to what extent Ankara will be able to overcome Azerbaijan's effective veto on the question of normalisation with Armenia. Türkiye's active involvement in South Caucasian political processes is evident, and is reinforced by economic cooperation. The strategic linkage afforded by the Middle Corridor forms part of joint EU–Türkiye cooperation, and Brussels has come to regard Ankara as part of its regional policy rather than as an external factor. Türkiye's most recent political interest in the South Caucasus is shaped by three principal aspects: (1) President Erdoğan's pursuit of two parallel objectives - loyalty to Baku and normalisation with Armenia; (2) the reopening of the Gyumri–Kars railway, the launch of airline connections with Armenia and the simplification of visa procedures[1]; and (3) the rise of Türkiye's political authority in the region, set against a new geopolitical environment marked by Russia's weakening, Central Asia's active engagement, the economic dimension of TRIPP and other supporting political-economic factors.

Iran and the South Caucasus

Iran's interest in the South Caucasus is, simultaneously, strategic, demographic and economic in nature. Tehran opposes the opening of the so-called "Zangezur corridor," since this project would alter the character of Iran's 44-kilometre northern border with Armenia.[2]

Armenia constitutes Iran's strategic foothold in the region. Despite fundamental differences between the two political systems, a shared interest - opposition to the opening of the "Zangezur corridor" and the expansion of the International North–South Transport Corridor (INSTC) - has fostered cooperation between them. With regard to Georgia, no significant change should be expected in Iran's foreign policy: it is likely to remain as pragmatic as before.[3]

In the South Caucasus, Iran has emerged as a defender of Russia's interests and an opponent of Western policy.

General Assessment of the State of Research

In recent years, the South Caucasus has emerged as a region of considerable strategic importance, shaped by persistent conflicts, shifting alliances and the influence of external powers such as Russia, Türkiye and Western actors. As of 2025, the South Caucasus is undergoing significant geopolitical transitions, driven by regional realignments, economic challenges and the diminishing influence of Russia.

The principal significance of this region lies in its critical geographical location at the intersection of both East-West and North-South transport and trade corridors. For millennia, the Caucasus has functioned as a connecting link - or, alternatively, as a buffer - between the Black Sea and Caspian Sea regions and, consequently, between Europe and Asia (including both China and India), as well as between Northern

[1] Caspian Post., "Turkish Airlines Launches Istanbul–Yerevan Flights", 2026, https://caspianpost.com/economics/turkish-airlines-launches-istanbul-yerevan-flights, (26.03.2026).

[2] Tatikyan, Sossi., "Armenia's Precarious Position on Iran", New Eastern Europe, 2025, https://neweasterneurope.eu/2025/06/26/armenias-precarious-position-on-iran/, (25.03.2026).

[3] Avdaliani, Emil, "ახალი გეოპოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში" [New Geopolitical Realities in the South Caucasus], Geocase, n.d., https://geocase.ge/ka/publications/395/akhali-geopolitikuri-realiebi-samkhret-kavkasiashi, (02.02.2026).

Europe, Russia and the Middle East. Its principal value lies in its position at the narrow neck of the East–West corridor, which connects Europe with Central Asia and beyond, while at the same time serving as the meeting point of powers that play a substantial role in international politics. The region has long constituted an arena of competing interests for both regional and global powers, owing to its location, its natural resources, its lines of communication, its prospects for economic diversification and its potential for new transit routes. Traditionally, the region - which has remained under Russian influence over the past several centuries - has been witnessing growing competition, in which both proximate regional actors (Russia, Türkiye and Iran) and extra-regional actors (China, the European Union and the United States) are involved. The 2020 Nagorno-Karabakh war marked a turning point that reshaped alliances and the dynamics of power in this volatile region.

In the case of the South Caucasus, it is evident that the balance of power is undergoing a process of transformation. Competing geo-strategic vectors are intersecting in this region, and this process is exerting a profound influence on the situation on the ground. In particular, both Eastern and Western actors are becoming increasingly assertive in advancing and consolidating their economic and political interests, while seeking to marginalise the region's traditional power-holders.[1]

Conclusion

The analysis of the interests of six external actors in the South Caucasus has revealed four principal aspects. First, there is competition among transport and transit corridors: the "Middle Corridor" (China, the European Union and Türkiye) competes with the INSTC (Iran and Russia) and with TRIPP (the United States). Secondly, energy considerations are paramount: Baku's oil and gas remain of interest to all major players. Thirdly, security and military engagement manifests itself in a variety of forms - from the CSTO to NATO, and from EUMM to the 3+3 platform. Fourthly, the normative frameworks differ: while Western actors (the United States and the European Union) emphasise democracy and the rule of law, China, Russia and Iran prioritise a model based on economic engagement.

The geopolitical landscape of the South Caucasus has undergone fundamental change between 2020 and 2026. From a presumptive "enclave" of a single dominant power, the region has become an arena of multipolar competition, opening up an unprecedented space for balancing for all three states - though not without serious challenges. Three plausible scenarios may be identified for the period 2026–2030. Under an optimistic scenario, the successful implementation of TRIPP, the normalisation of the Armenia–Türkiye border and the ratification of the Armenia–Azerbaijan peace agreement would together establish a "new South Caucasus" model. A second scenario - involving slow progress on TRIPP, the postponement of the Armenian constitutional referendum and the freezing of Georgia–EU relations - would, in all likelihood, fail to produce significant change. The third scenario - the defeat of Pashinyan in the parliamentary elections of June 2026, accompanied by Russian hybrid operations and Iranian escalation - could place the progress achieved in 2025 under serious question. It remains a fact that the foreign policy of the South Caucasus is determined not only by domestic needs, but to a substantial extent by the strategic interests of external powers, leaving the region as a permanent arena of geopolitical competition.

[1] Ordukhanyan, Emil, Hayk Sukiasyan, Levon Shirinyan, and Gohar Ananyan. "A new balance of power in the South Caucasus: How can it lead to regional stability?." *INTERNATIONAL JOURNAL* 8, no. 2 (2025): 206-220.

Bibliography

1. Avdaliani, E. "ახალი გეოპოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში" [New Geopolitical Realities in the South Caucasus],Geocase, https://geocase.ge/ka/publications/395/akhali-geopolitikuri-realiebi-samkhret-kavkasiashi , (02.02.2026);

2. Avdaliani, E. "China's Shifting Calculus in the South Caucasus: Cases of Armenia and Azerbaijan", China Observers in Central and Eastern Europe(CHOICE),2026, https://chinaobservers.eu/chinas-shifting-calculus-in-the-south-caucasus , (02.02.2026);

3. Akhvlediani, T. "The EU and the South Caucasus: Geoeconomics at Play", Carnegie Endowment for International Peace, 2024, https://carnegieendowment.org/research/2024/10/the-eu-and-the-south-caucasus-geoeconomics-at-play , (17.03.2026);

4. Bekiarova, N., "South Caucasus as a region of strategic importance." *IJASOS-International E-Journal of Advances in Social Sciences* 5, no. 14 (2019): 1016-1025;

5. Duran, B & İnat, K., "Türk Dış Politikası Yıllığı 2024" [Turkish Foreign Policy Yearbook 2024], SETA Vakfı, 2025, https://media.setav.org/tr/dosya/2025/05/turk-dis-politikasi-yilligi-2024.pdf , (23.03.2026);

6. Foster, M. "How Russian Weakness in the South Caucasus Can Reward the West", Center for European Policy Analysis (CEPA), 2025, https://cepa.org/article/how-russian-weakness-in-the-south-caucasus-can-reward-the-west/ , (17.03.2026);

7.Lezhava, N., "With New Transit Routes and Investment, the U.S. Aims to Counter China and Russia in the South Caucasus and Central Asia", Just Security, 2025, https://www.justsecurity.org/125271/us-counter-china-russia-south-caucasus-central-asia/, (27.03.2026);

8. Melvin, N., "Retying the Caucasian Knot: Russia's Evolving Approach to the South Caucasus", Royal United Services Institute (RUSI), 2024, https://static.rusi.org/retying-the-caucasian-knot-russias-evolving-approach-to-the-south-caucasus.pdf , (18.03.2026);

9. Ordukhanyan, Emil, Hayk Sukiasyan, Levon Shirinyan, and Gohar Ananyan. "A new balance of power in the South Caucasus: How can it lead to regional stability?." *INTERNATIONAL JOURNAL* 8, no. 2 (2025): 206-220;

10. Pipinashvili, D., "სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები " [Conflicts of the South Caucasus and Problems of Regional Stability], PhD diss., Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2009,
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164394/1/Disertacia.pdf , (08.02.2026);

11. Pkhaladze, T. " Navigating Geopolitical Realities: The EU's Strategic Positioning in the South Caucasus and Central Asia ", Policy Brief No. 10/2025, European Centre for International Political Economy (ECIPE), 2025, https://ecipe.org/wp-content/uploads/2025/04/ECI_25_PolicyBrief_10-2025_LY01.pdf , (21.03.2025)

12. Popkhadze, M., "China's Georgian Gamble", Foreign Policy Research Institute (FPRI), 2025, https://www.fpri.org/article/2025/03/chinas-georgian-gamble/ , (19.02.2026);

13. Tashjian, Y., Poghosyan, B & Rubin, M., "US Strategic Interests in the South Caucasus and its Post-2020 War Policy towards Armenia", Armenian Weekly, 2024, https://armenianweekly.com/2024/01/31/us-strategic-interests-in-the-south-caucasus-and-its-post-2020-war-policy-towards-armenia/ , (15.03.2026);

14. Tatikyan, S., "Armenia's Precarious Position on Iran", New Eastern Europe, 2025, https://neweasterneurope.eu/2025/06/26/armenias-precarious-position-on-iran/ (25.03.2026); ***Official websites:***

15. "Joint Declaration between the Republic of Azerbaijan and the Republic of Armenia", U.S. Department of State, 2025, https://www.state.gov/wp-content/uploads/2025/08/2025JointDeclaration.AzerbaijanArmenia.pdf , (26.03.2026);

16."Joint Declaration on the Establishment of a Comprehensive Strategic Partnership between the Republic of Azerbaijan and the People's Republic of China", President of the Republic of Azerbaijan, 2025, https://president.az/en/articles/view/68634 , (26.03.2026);

17. "Joint Statement between the People's Republic of China and Georgia on the Establishment of a Strategic Partnership", Embassy of the People's Republic of China in Georgia, 2023, https://ge.china-embassy.gov.cn/eng/xwdt/202308/t20230807_11123383.htm , (26.03.2026);

18. "Joint Statement on the Establishment of a Strategic Partnership between the Republic of Armenia and the People's Republic of China", Office of the Prime Minister of the Republic of Armenia, 2025, https://www.primeminister.am/en/press-release/item/2025/08/31/Nikol-Pashinyan-joint-statement/ , (26.03.2026);

19. "National Security Strategy", The White House, Biden–Harris Administration, 2022 ,https://bidenwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2022/10/Biden-Harris-Administrations-National-Security-Strategy-10.2022.pdf , (26.03.2026)

20. "Turkish Airlines Launches Istanbul–Yerevan Flights", Caspian Post, 2026, https://caspianpost.com/economics/turkish-airlines-launches-istanbul-yerevan-flights, (26.03.2026);

21. "2022 National Defense Strategy of the United States of America", U.S. Department of Defense, 2022,https://media.defense.gov/2022/Oct/27/2003103845/-1/-1/1/2022-NATIONAL-DEFENSE-STRATEGY-NPR-MDR.PDF , (26.03.2026)

ქალთა პოლიტიკური აქტივობის გამოცდილება თურქეთში
Women's Political Activism in Turkey

მაია კაპანაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
მანანა გაბრიჭიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი ,,მაიორი''
Maia Kapanadze
Caucasus International University
Doctor of Historical Sciences
Faculty of Social and Humanitarian Sciences
Associate Professor
Manana Gabrichidze
Caucasus International University
Faculty of Social and Humanitarian Sciences
PhD Candidate in the Doctoral Educational Program in Political Science
Officer (Major), Ministry of Defence of Georgia

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილული გვაქვს თურქეთში ქალთა პოლიტიკური აქტივობის გამოცდილება ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდიდან, თანამედროვე ეტაპამდე. ნაშრომში გაანალიზებულია ის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის ფორმირება და მისი ეტაპობრივი ტრანსფორმაცია ამ ქვეყანაში.

მასში ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ ოსმალეთის პერიოდში ქალთა პოლიტიკური აქტივობა ინსტიტუციურად შეზღუდული იყო. თუმცა თანზიმათის რეფორმების შედეგად, განათლების დონის ამაღლებამ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის ზრდამ შექმნა მათი პოლიტიკური თვითშეგნების ფორმირების საფუძველი. რესპუბლიკის პერიოდში განხორციელებულმა რეფორმებმა, მათთვის საარჩევნო უფლებების მინიჭებამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალების პოლიტიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბებაში, თუმცა ფორმალური თანასწორობა ყოველთვის არ უზრუნველყოფდა მათ რეალურ პოლიტიკურ გავლენას.

ნაშრომში მკაფიოდ არის ხაზ გასმული პარტიული სისტემის, სამოქალაქო საზოგადოების და ფემინისტური მოძრაობების როლი ქალთა პოლიტიკური აქტივობის განვითარებაში. უნდა აღნიშნოს, რომ თუქეთში ქალების პოლიტიკაში ჩართულობის გააქტიურების პროცესი მრავალგანზომილებიანია და დღემდე დამოკიდებულია ინსტიტუციურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ ფაქტორებზე. აღსანიშნავია რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ქალების რაოდენობა იზრდება, სულ უფორ მეტი ქალი გვხვდება პარტიებსა და პარლამენტში.

საკვანძო სიტყვები: ქალები, პოლიტიკა, აქტივობა, თურქეთი, საზოგადოება.

Abstract. The paper discusses the experience of women's political activism in Turkey from the late period of the Ottoman Empire to the modern era. It analyzes the social, political, and cultural factors that have shaped women's involvement in politics and its gradual transformation in the country.

It emphasizes that during the Ottoman period, women's political activity was institutionally restricted. However, as a result of the Tanzimat reforms, the rise in education levels and the increase in women's participation in public life created the foundation for the development of their political consciousness. Reforms implemented during the Republican period, including granting women the right to vote, played an important role in establishing women as political subjects, although formal equality did not always ensure real political influence.

The paper clearly highlights the role of the party system, civil society, and feminist movements in the development of women's political activism. It should be noted that the process of increasing women's participation in politics in Turkey is multidimensional and still depends on institutional, social, religious, and cultural factors. It

is noteworthy that in recent decades, the number of women in Turkey's political arena has been increasing, with more women represented in political parties and parliament.

Keywords: women, politics, activism, Turkey, society.

ქალთა პოლიტიკური აქტივობის გამოცდილება თურქეთში

ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა ჯერ კიდევ თურქეთის რესპუბლიკის დაარსებამდე, ოსმალეთის იმპერიის პერიოდიდან იწყება, იმ პერიოდიდან, როდესაც საზოგადოებრივი და პოლიტიკური სივრცე მკაცრად იყო სტრუქტურირებული პატრიარქალური და რელიგიური ნორმების საფუძველზე. იმპერიის პოლიტიკური სისტემა არ ითვალისწინებდა მოქალაქეობრივი ჩართულობის თანამედროვე გაგებას, რის გამოც ქალთა პოლიტიკური აქტივობა ინსტიტუციურად პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნიდან დაწყებულმა თანზიმათმა და შემდგომმა რეფორმებმა შექმნა სოციალური ტრანსფორმაციის წინაპირობები, რომლებმაც ქალების საზოგადოებრივი თვითშეგნების გაღვიძებას შეუწყო ხელი. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა განათლების სფეროში ქალთა ჩართულობის ზრდითა და პრესაში მათი მონაწილეობის გააქტიურებით, რაც პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციად შეიძლება შეფასდეს[1].

ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო ეტაპზე ქალთა პოლიტიკური აქტივობის ფორმები კვლავ არ იყო ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული, თუმც უკვე აშკარად იკვეთებოდა მათი საზოგადოებრივი როლის გაზრდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თურქი ქალები აქტიურად ჩაერთვნენ სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობაში, რაც ომის პირობებში სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ფაქტორად იქცა. ამგვარმა პრაქტიკამ ხელი შეუწყო ქალების აღქმას არა მხოლოდ ოჯახური სივრცის წარმომადგენლებად, არამედ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტებად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩართულობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ გავლენას არ ახდენდა, მან საფუძველი ჩაუყარა ქალთა სამომავლო პოლიტიკურ აქტივობასა და საჯარო სივრცეში ლეგიტიმაციის პროცესს [2].

იმპერიის დაშლისა და თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების წინარე პერიოდში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიას. გასული საუკუნის 20-იან წლებში თურქეთში მიმდინარე ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ლოგისტიკურ, ისე მორალურ მხარდაჭერაში, რაც მათ პოლიტიკურ სუბიექტებად აღქმის პროცესს კიდევ უფრო აჩქარებდა. ამ ეტაპზე ქალთა აქტივობა უკვე სცილდებოდა სოციალურ ჩარჩოებს და ეროვნული ინტერესების დაცვის კონტექსტში განიხილებოდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საფუძვლები ჯერ კიდევ რესპუბლიკის ოფიციალურ გამოცხადებამდე ჩამოყალიბდა [3].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებში ქალთა უფლებების საკითხი ინტელექტუალურ დისკურსშიც აქტიურად განიხილებოდა. ქალთა ჟურნალები, პუბლიცისტიკა და განათლებული ელიტის წარმომადგენლების ნაშრომები ხაზს უსვამდა ქალის საზოგადოებრივ როლს და თანასწორობის აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს დისკუსიები არ იძლეოდა უშუალო პოლიტიკურ შედეგს, ისინი ქმნიდნენ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელზეც შემდგომში რესპუბლიკური რეფორმები აიგო. ამგვარად, შეიძლება

[1] სვანიძე მ., *თურქეთის ისტორია*, თბილისი, 2007, გვ. 312–315.

[2] Zurcher, E. J., *Turkey: A Modern History*, London–New York: I.B. Tauris, 2004, გვ. 118–121.

[3] მაკარაძე ე., *თურქეთი 1918–2018 წლებში*, თბილისი, 2018, გვ. 34–37.

ითქვას, რომ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის წინაპირობები ინტელექტუალურ და კულტურულ სივრცეში უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე სამართლებრივ დონეზე [1].

რესპუბლიკის ჩამოყალიბების დროისათვის თურქული საზოგადოება ისტორიულად იმ ეტაპზე იმყოფებოდა, როდესაც ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხის იგნორირება უკვე შეუძლებელი იყო. ოსმალეთის იმპერიის ბოლო ათწლეულებში დაგროვილმა პოლიტიკურმა, სოციალურ და კულტურულმა გამოცდილებამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სახელმწიფოს მოდერნიზაცია ვერ განხორციელდებოდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, კერძოდ ქალების, პოლიტიკურად პასიურ მდგომარეობაში დატოვების პირობებში. იმპერიული მმართველობის კრიზისმა და სახელმწიფო ინსტიტუტების დეგრადაციამ მოახდინა გააზრება, რომ ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვდა მოქალაქეობის ფართო გაგებას, რომელშიც სქესობრივი განსხვავება პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის საფუძვლად აღარ უნდა ქცეულიყო.

მოდერნიზაციის პროცესებმა, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალეთის პერიოდში დაიწყო, თანდათან შეცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება და პოლიტიკური ელიტის ხედვა ქალის როლის შესახებ. განათლების სფეროში ქალთა ჩართულობის ზრდამ, ინტელექტუალური დისკუსიების გააქტიურებამ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი მონაწილეობის გაფართოებამ შექმნა ის სოციალური ფონი, რომელზეც შემდგომში აიგო თუქეთის რესპუბლიკაში გატარებული სეკულარული რეფორმები. ქალები უკვე აღარ აღიქმებოდნენ მხოლოდ ოჯახური სივრცის წარმომადგენლებად, არამედ თანდათან მოიაზრებოდნენ როგორც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილეები, რაც პოლიტიკურ სუბიექტობამდე მისვლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.[2]

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების (1923 წლის 29 ოქტომბერი) შემდეგ სახელმწიფო იდეოლოგიამ ეს ისტორიული გამოცდილება მიზანმიმართულ პოლიტიკად გარდაქმნა. ქალთა პოლიტიკური უფლებების საკითხის ჩართვა რეფორმების პირველ ეტაპზევე მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლება ქალთა პოლიტიკაში ჩართულობას აღიქვამდა, როგორც სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულ კომპონენტს და არა მეორეხარისხოვან სოციალურ პრობლემას. ქალების ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გაფართოება დაკავშირებული იქნა რესპუბლიკური მოქალაქეობის ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებასთან, რომლის მიხედვითაც მოქალაქეობა ეფუძნებოდა ინდივიდის პოლიტიკურ უფლებებს და არა ტრადიციულ სოციალურ სტატუსს.[3]

ამგვარად, თურქეტში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ეს ეტაპი (იგულისხმება მუსტაფა ქემალის პერიოდი) ვერ განიხილება როგორც უეცარი ან ხელოვნურად წრმოქმნილი მოვლენა. იგი წარმოადგენდა იმ სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების ლოგიკურ გაგრძელებას, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდში დაიწყო და რესპუბლიკის ჩამოყალიბებისას ინსტიტუციური ფორმა შეიძინა. აღნიშნული პროცესები ადასტურებს, რომ ქალთა პოლიტიკური უფლებების აღიარება თურქეთში ისტორიული განვითარების შიდა პროცესით იყო განპირობებული და ეფუძნებოდა სახელმწიფოს განვითარების აუცილებლობის გააზრებას ფართო სოციალურ ჭრილში[4].

---

[1] Zurcher, E. J., *Turkey: A Modern History*, London–New York: I.B. Tauris, 2004, გვ. 124–127.

[2] სვანიძე მ., *თურქეთის ისტორია*, თბილისი, 2007, გვ. 312–315.

[3] Istanbul Üniversitesi. (n.d.). *Geç Osmanlı döneminde kadının sosyal ve siyasal konumu*. Yüksek Lisans Tezi, İstanbul Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü

[4] მაკარაძე ე., *თურქეთი 1918–2018 წლებში*, თბილისი, 2018, გვ. 41–44.

თურქეთში ქალთა პოლიტიკური აქტივობა პარტიულ სისტემაში ისტორიულად თანდათანობით იზრდებოდა. რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში (1935) პარლამენტში ქალები სიმბოლურად იყვნენ წარმოდგენილნი 17 ქალი დეპუტატი 395 წევრიდან (4,3%) CHP-ის რიგებიდან [1]. მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრების შემდეგ ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ნელ-ნელა გაიზარდა, თუმცა უმაღლესი აღმასრულებელი პოზიციები ჯერ კიდევ მამაკაცებით იყო დაკომპლექტებული. 1992 წელს თიურქიან აქიოლი გახდა პირველი ქალი მინისტრი (ოჯახისა და ქალების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი) სულეიმან დემირელის კოალიციურ მთავრობაში რომელსაც აღნიშნული პოსტიეჭირა 1995 წლამდე, ხოლო 1993–1996 წლებში პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი იყოს თანსუ ჩილერი, რაც მიუთითებს ქალების პოლიტიკაში ჩართულობის და პოლიტიკური გადაწყვეტილებების როლის **ზრდაზე,** მაგრამ ეს როცესი არც თუ ისე ხშირი იყო თურქეთის პოლიტიკაში, 2007–2023 წლებში პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა თანდათან გაიზარდა: 9.1% (2007), 14.3% (2011), 14.7% (2015), 17.1% (2018) და 20.1% (2023) .[2]

რესპუბლიკური პერიოდის დასაწყისიდან თურქი ქალების პოლიტიკაში ჩართულობა განიხილება, როგორც სახელმწიფოს მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ქალებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მიეცათ 1934 წელს, რის შედეგადაც 1935 წლის პარლამენტში 17 ქალი დეპუტატი მოხვდა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება არ წარმოადგენდა მხოლოდ სამართლებრივ აქტს, არამედ იგი ასახავდა სახელმწიფოს მცდელობას, ჩამოეყალიბებინა ახალი პოლიტიკური კულტურა, რომელიც ეფუძნებოდა მოქალაქეობრივი თანასწორობის იდეას. თურქეთის რესპუბლიკაში ქალებმა ეტაპობრივად მიიღეს როგორც ხმის მიცემის, ასევე არჩევით ორგანოებში მონაწილეობის უფლება, რაც მათ პოლიტიკურ სისტემაში ჩართულობას უზრუნველყოფდა:

პირველი ეტაპი იწყება თურქეთის რესპუბლიკის დაარსებით და ხასიათდება ქალთა პოლიტიკური უფლებების **ზემოდან, სახელმწიფოს მიერ მინიჭებული** მოდელით. ამ პერიოდში ქალებმა მიიღეს როგორც მუნიციპალური 1930 წ, ისე სრული საარჩევნო უფლება 1934წ, რამაც გარკვეულწილად შექმანა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის თანასწორობის საფუძველი.

მეორე ეტაპი ხასიათდება ქალთა პოლიტიკური აქტივობის **ინსტიტუციური შემცირებით**, 1950 წლიდან 1980 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი უფლებები ამ მხრივ შენარჩუნებული იყო. ,,დემოკრატიული პარტიის“ მმართველობის პერიოდიდან დაწყებული, (1950 წლიდან 1960 წლამდე) ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში და პარტიულ სტრუქტურებში მკვეთრად შემცირდა. იმ პერიოდში ქალი კვლავ განიხილებოდა როგორც **ოჯახისა და სოციალური სფეროს სუბიექტი,** ხოლო პოლიტიკა განისაზღვრებოდა მკაცრად ,,მამაკაცურ სივრცედ“ [3]

მესამე ეტაპი დაიწყო 1980-იანი წლებიდან და გაგრძელდა 2000 წლამდე. იგი უკავშირდება თურქეთში **ფემინისტური მოძრაობების გაძლიერებასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.** ამ პერიოდში ქალთა პოლიტიკური აქტივობა გადავიდა პარტიული პოლიტიკის მიღმაც. ქალების პოლიტიკაში ჩართულობა აქტიურად გამოვლინდა არასამთავრობო ორგანიზაციებში, საარჩევნო კამპანიებსა და საზოგადოებრივ დისკურსში. სეზენ იარაში ხაზს

[1] Arat, Y. (1998). *Feminists, Islamists, and political change in Turkey*. Political Psychology, 19(1), 117–131

[2] **Inter-Parliamentary Union (IPU).** *Women in National Parliaments: Turkey 2023.* Geneva: IPU, 2023. https://www.ipu.org/resources/publications

[3] Istanbul Üniversitesi. (n.d.). *Woman's position in social and political life during Democratic Party Era*. Thesis, Istanbul University

უსვამს, იმ გარემოებას რომ ამ ეტაპზე ქალები პოლიტიკაში ჩნდებიან როგორც **იდენტობის მქონე აქტორები** ისლამური, ქურთული და ფემინისტური მოძრაობების კონტექსტში[1]. თუმცა, მიუხედავად მზარდი აქტივიზმისა, ეს მონაწილეობა ნაკლებად აისახა ინსტიტუციურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით პარლამენტის დონეზე.

მეოთხე ეტაპი დაკავშირებულია ,,სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (AKP-ის) მმართველობის პერიოდთან, (2002 წლიდან 2015 წლამდე) და ქალთა მასობრივ პარტიულ მობილიზაციასთან. ნურ სინემ კუროლუს კვლევა აჩვენებს, რომ ამ პერიოდში ქალები აქტიურად ერთვებიან პარტიულ სტრუქტურებში, განსაკუთრებით კონსერვატიულ პარტიებში, როგორც ორგანიზატორები, ამომრჩეველთა მობილიზატორები და სოციალური ქსელების გამაძლიერებლები[2] თუმცა ავტორი ამტკიცებს, რომ ქალთა ეს აქტივობა იშვიათად გარდაიქმნება **,,პოლიტიკურ ძალაუფლებად“**[3]. ქალები უფრო ხშირად რჩებიან პარტიული იერარქიის ქვედა დონეზე და ნაკლებად მონაწილეობენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

თანამედროვე ეტაპი 2015 წლიდან დღემდე, ხასიათდება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის **შინაარსობრივი და დისკურსული განზომილების გაძლიერებით.** ფათმა იოლ უზუმჯუს კვლევიდან იკვეთება, რომ ქალი პოლიტიკოსები აქტიურად მონაწილეობენ პარლამენტში ისეთ სენსიტიურ თემებზე დებატებში, როგორიცაა ჰიჯაბი, აბორტი და ქალთა მიმართ ძალადობა[4].

თამაი გიულთეფე ხაზს უსვამს, რომ ქალთა წარმომადგენლობა განსაკუთრებით ძლიერია ოპოზიციურ პარტიებში მაშინ, როდესაც მმართველ პარტიაში ქალთა ხმა უფრო მკაცრი პარტიული დისციპლინით არის შეზღუდული[5]. ეს ეტაპი ცხადყოფს, რომ ქალთა პოლიტიკური გავლენა დამოკიდებულია არა მხოლოდ რაოდენობრივ წარმომადგენლობაზე, არამედ იმ პოლიტიკურ სივრცეზე, სადაც ისინი მოქმედებენ.

რესპუბლიკურ პერიოდში ქალების პოლიტიკაში ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ჩამოყალიბდა პარტიული აქტივობა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მრავალპარტიული სისტემის განვითარებასთან. პოლიტიკური პარტიები არის ის სივრცე, სადაც ქალებს შეეძლოთ საკუთარი ინტერესების არტიკულაცია და პოლიტიკური გამოცდილების დაგროვება. მიუხედავად ამისა, პარტიულ სტრუქტურებში ქალთა წარმომადგენლობა ხშირად ნომინალურ ხასიათს ატარებდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი როლი შეზღუდული რჩებოდა. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ფორმალური ჩართულობა ყოველთვის არ ნიშნავს რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას, თუმცა ქალების პარტიული აქტივობა მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯია პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე[6].

თურქი ქალების პოლიტიკაში ჩართულობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა სამოქალაქო მოძრაობებში მათი მონაწილეობა, რამაც თურქეთის რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სამოქალაქო ორგანიზაციები და არასამთავრობო

[1] Yaraş, S. (2016). *Gender and the formation of late modern national subjectivity in Turkey: Islamic and Kurdish women in local politics*. Ph.D. Dissertation, Bilkent University

[2] Kourou, N. S. (2022). *Conservative women in contemporary Turkish politics: Mobilization, party politics and voting*. Ph.D. Dissertation, Boğaziçi University

[3] Kourou, N. S. (2022). *Conservative women in contemporary Turkish politics: Mobilization, party politics and voting*. Ph.D. Dissertation, Boğaziçi University

[4] Üzümcü, F. Y. (2025). *Women's constitutive representation in Turkey: Parliamentary debates on headscarf, abortion and violence against women*. Ph.D. Dissertation, Bilkent University

[5] Gültepe, T. (2022). *Women's substantive representation: The case of opposition women representatives in the TBMM*. Master's Thesis, Middle East Technical University

[6] Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 214–217.

სექტორი ქალებისთვის წარმოადგენს ალტერნატიულ პლატფორმას, სადაც შესაძლებელი ხდება სოციალური და პოლიტიკური საკითხების წამოწევა პარტიული შეზღუდვების გარეშე. სწორედ ამ სივრცეში ჩამოყალიბდა ქალთა უფლებებზე ორიენტირებული დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს გენდერული თანასწორობის, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებს. ამგვარმა აქტივობამ ხელი შეუწყო ქალთა პოლიტიკური ცნობიერების ზრდას და მათ საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას[1].

თურქეთის რესპუბლიკაში ქალების პოლიტიკური ჩართულობის შეფასებისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობის დინამიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ჰქონდათ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, პრაქტიკაში მათი მონაწილეობა ხშირად დაბალი იყო, რაც განაპირობა სოციალურ-კულტურულმა ბარიერებმა და პოლიტიკური ინსტიტუტების შიდა სტრუქტურებმა. ამასთან, არჩევნებში ქალი კანდიდატების რაოდენობის ზრდამ ნელ-ნელა შეცვალა ქვეყნის შიდა პოლიტიკური ლანდშაფტი და ქალთა საკითხები საჯარო დისკურსის ნაწილად აქცია. აღნიშნული პროცესი ადასტურებს, რომ რაოდენობრივი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკის შინაარსობრივ ტრანსფორმაციაზე[2].

თურქი ქალების პოლიტიკაში ჩართულობა უნდა შეფასდეს როგორც რთული, მრავალგანზომილებიანი და თანდათანობით განვითარებადი პროცესი, რომელიც ერთდროულად მოიცავს, როგორც ფორმალურ ინსტიტუციურ მექანიზმებს, ისე არაინსტიტუციურ აქტივობის ფორმებს. ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაცია არ შემოიფარგლა მხოლოდ სამართლებრივი უფლებების მინიჭებით, არამედ ის მოიცავს პოლიტიკური კულტურის ცვლილებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციას. ამ პროცესში საარჩევნო უფლებებმა, პარტიულმა აქტივობამ და სამოქალაქო მოძრაობებმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჩამოაყალიბა და ქალებისთვის პოლიტიკური სივრცის ეტაპობრივი ათვისების ძირითადი არხები შექმნა.

პარტიული აქტივობა ქალების პოლიტიკაში ჩართულობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. პოლიტიკური პარტიები არის ის ინსტიტუციური სივრცე, სადაც ქალებს შეუძლიათ პოლიტიკური გამოცდილების დაგროვება, ორგანიზაციული უნარების განვითარება და საკუთარი ინტერესების დაცვა. მიუხედავად ამისა, პარტიული იერარქიები ხშირად რჩება ხოლმე მამაკაცური დომინაციის ქვეშ, რის შედეგადაც ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პარტიებში უმეტესად მეორეხარისხოვან როლებს მოიცავს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური ჩართულობა ყოველთვის არ ნიშნავდა რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას.[3]

სამოქალაქო მოძრაობებმა და ქალთა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალების პოლიტიკაში ჩართულობის ალტერნატიული გზების განვითარებაში. სამოქალაქო სივრცეში ქალებს ჰქონდათ მეტი თავისუფლება სოციალური და პოლიტიკური პრობლემების დასაყენებლად, რამაც მათ შესაძლებლობა მისცათ, პოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოებისა და ყურადღების გამახვილებისა გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ამგვარმა აქტივობამ

[1] სერპი ლ., *ქალი პოლიტიკაში: ფოკუსჯგუფების კვლევის შედეგები*, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2012, გვ. 9–12.

[2] Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 219–222.

[3] Gültepe, T. (2022). *Women's substantive representation: The case of opposition women representatives in the TBMM*. Master's Thesis, Middle East Technical University

ხელი შეუწყო ქალთა პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოებრივ დისკურსში მათი პოზიციის გამყარებას.

მიუხედავად ინსტიტუციური და სოციალური ბარიერების არსებობისა, თურქეთის რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა პრაქტიკამ შექმნა საფუძველი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის გაფართოებისთვის. თურქი ქალების მონაწილეობამ საარჩევნო პროცესებში, პარტიულ საქმიანობასა და სამოქალაქო მობრაობებში თანდათან გააძლიერა გენდერული თანასწორობის საკითხის პოლიტიკური ლეგიტიმაცია. შედეგად, ქალების პოლიტიკური აქტივობა თურქეთში შეიძლება შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც განსაზღვრა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის განვითარების სხვადასხვა მიმართულებები [1].

თურქეთში ქალთა პოლიტიკაში აქტიურად ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა პარტიული სისტემის შიდა ორგანიზაციული სისტემა. პოლიტიკური პარტიები ხშირად იყენებდნენ ქალებს როგორც სიმბოლურ რესურსს დემოკრატიულობის დემონსტრირებისთვის, ხოლო რეალური ძალაუფლება კვლავ პარტიული ელიტის ხელში რჩება. ამგვარმა პრაქტიკამ შეზღუდა ქალთა შესაძლებლობა, აქტიურად ემოქმედათ პოლიტიკის ფორმირების პროცესში და დღის წესრიგში დაეყენებინათ საკუთარი ინტერესები[2].

გენდერულმა სტერეოტიპებმა და ტრადიციულმა სოციალურმა როლებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის აქტიურობაზე. თურქეთის რესპუბლიკაში როგორც უკვე ავღნიშნეთ ქალი ხშირად აღიქმებოდა, როგორც ოჯახურ სივრცესთან დაკავშირებული სუბიექტი, რაც პოლიტიკურ საქმიანობას „არაქალურ“ სფეროდ წარმოაჩენდა. ეს შეხედულებები განსაკუთრებით ძლიერად ვლინდებოდა რეგიონულ დონეზე, სადაც ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა გაცილებით დაბალი იყო. შედეგად, ქალებს უწევდათ ორმაგი წინააღმდეგობის გადალახვა ერთის მხრივ, ინსტიტუციური ბარიერების, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური მოლოდინების წინააღმდეგ ბრძოლა[3].

სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ფინანსური და ინსტიტუციური რესურსების სიმცირეს, რაც ქალთა ორგანიზაციების მდგრად განვითარებას აფერხებდა. ფემინისტური და ქალთა უფლებებზე ორიენტირებული მობრაობები ხშირად ფუნქციონირებდა შეზღუდული ფინანსური მხარდაჭერის პირობებში, რაც მათ საქმიანობას ფრაგმენტულ და მოკლევადიან ხასიათს აძლევდა. ასეთ გარემოში რთული იყო გრძელვადიანი სტრატეგიების დაგეგმვა და პოლიტიკური პროცესების სისტემური მონიტორინგი. ფემინისტური მობრაობები, მიუხედავად მათი იდეალური მიზნებისა, ხშირად იძულებული იყვნენ, ემოქმედათ მარგინალური პოზიციიდან და ეტაპობრივად ეძიათ გზა პოლიტიკური ცენტრისკენ, რაც მათი გავლენის ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებდა[4].

სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობებს დამატებით ზღუდავდა სახელმწიფოს მხრიდან არსებული კონტროლის მექანიზმები, რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდებოდა პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებზე მუშაობისას. ქალთა უფლება დამცველი ორგანიზაციები ხშირად ექცეოდა სახელმწიფოსა და პოლიტიკური ელიტების ყურადღების ქვეშ, რაც მათ აიძულებდა, საკუთარი მოთხოვნები ნაკლებად კონფლიქტური ფორმით

[1] ლებანიძე ტ., *თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა*, თბილისი, 2011, გვ. 33–36.

[2] ლებანიძე ტ., *თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა*, თბილისი, 2011, გვ. 38–41.

[3] სერპი ლ., *ქალი პოლიტიკაში: ფოკუსჯგუფების კვლევის შედეგები*, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2012, გვ. 14–17.

[4] გაფრინდაშვილი ლ., *ფემინიზმი და ქალის უფლებები: მობრაობა ნაპირდან ცენტრისაკენ*, 2014, გვ. 6–9.

წარმოედგინათ. ამგვარ პირობებში სამოქალაქო აქტივობა ხშირად კარგავდა კრიტიკულ პოტენციალს და უფრო ადაპტირებულ, კომპრომისულ ფორმებს იძენდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა პოლიტიკური აქტივობა არა მხოლოდ სოციალური ინიციატივების შედეგი იყო, არამედ პირდაპირ იყო დამოკიდებული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის მოდელზე[1].

აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, ქალთა მოძრაობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გენდერული საკითხების პოლიტიზაციაში და საზოგადოებრივი აზრის გარდაქმნაში. სამოქალაქო ორგანიზაციებმა შექმნეს ის სივრცე, სადაც შესაძლებელი გახდა ქალთა უფლებების, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და სოციალური თანასწორობის საკითხების სისტემური განხილვა. თანამედროვე თურქეთში დემოკრატიული პროცესების განხილვა შეუძლებელია ქალთა პრობლემების იგნორირების პირობებში, რადგან სწორედ ეს საკითხები ავლენს დემოკრატიის ხარისხს. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების სუსტი ინსტიტუციური ბაზა ჯერ კიდევ ზღუდავს ქალთა მოთხოვნების პოლიტიკურ რეალიზაციას[2].

ქალთა პოლიტიკური აქტივობის განვითარებაზე გავლენა მოახდინა რელიგიის, კერძოდ ისლამის ფაქტორმაც. რელიგიურ და სეკულარულ ნარატივებს შორის დაპირისპირება ხშირად აისახება ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე და მათ პოლიტიკურ აქტივობაზე[3].

აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა ადასტურებს, რომ თურქი ქალების პოლიტიკური აქტივობის გამოწვევები უნდა განიხილებოდეს როგორც მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ, ინსტიტუციურ და კულტურულ კომპონენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ქემალისტურმა რეფორმებმა ქალებს ფორმალური პოლიტიკური უფლებები მიანიჭა, ამ უფლებების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გახდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონეზე და პოლიტიკურ კონტექსტზე. ქალთა თანმიმდევრულმა მონაწილეობამ პარტიულ, სამოქალაქო და საზოგადოებრივ სივრცეებში ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ლეგიტიმაციას და პოლიტიკური დისკურსის გაფართოებას, თუმცა ეს პროცესი არასოდეს ყოფილა სწორხაზოვანი ან უპრობლემო [4]. საბოლოო ჯამში, ქალთა პოლიტიკური აქტივობა თურქეთში განვითარდა წინააღმდეგობებით სავსე გზით, სადაც პროგრესი და

შეზღუდვები ერთმანეთთან მჭიდროდ იქნა გადაჯაჭვული. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციურმა სისუსტემ გარკვეულწილად შეაფერხა ქალთა პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება, თუმცა ვერ შეაჩერა მათი აქტივობა მთლიანად. სწორედ ამ არათანაბარმა და რთულმა პროცესმა შექმნა საფუძველი შემდგომი დემოკრატიული ტრანსფორმაციებისთვის და ქალთა პოლიტიკასი მონაწილეობის ახალი ფორმების წარმოშობისთვის თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ რეალობაში.

[1] Zaki, M., *Civil Society and Democratization in Egypt*, Cairo: Ibn Khaldun Center, 1994, გვ. 27–30.

[2] ბოკუჩავა თ., *თურქული დემოკრატია და თანამედროვე გამოწვევები*, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, №8, თბილისი, 2014, გვ. 44–47.

[3] კომახია მ., *პოლიტიკური ისლამი თურქეთში*, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტინი №47, თბილისი, 2001, გვ. 11–14.

[4] Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 227–230.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სვანიძე მ., *თურქეთის ისტორია*, თბილისი, 2007, გვ. 312–315.
2. მაკარაძე ე., *თურქეთი 1918–2018 წლებში*, თბილისი, 2018, გვ. 34–37.
3. მაკარაძე ე., *თურქეთი 1918–2018 წლებში*, თბილისი, 2018, გვ. 41–44.
4. სერპი ლ., *ქალი პოლიტიკაში: ფოკუსჯგუფების კვლევის შედეგები*, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2012, გვ. 9–12.
5. ლებანიძე ტ., *თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა*, თბილისი, 2011, გვ. 33–36.
6. ლებანიძე ტ., *თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა*, თბილისი, 2011, გვ. 38–41.
7. სერპი ლ., *ქალი პოლიტიკაში: ფოკუსჯგუფების კვლევის შედეგები*, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2012, გვ. 14–17.
8. გაფრინდაშვილი ლ., *ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირდან ცენტრისაკენ*, 2014, გვ. 6–9.
9. ბოკუჩავა თ., *თურქული დემოკრატია და თანამედროვე გამოწვევები*, „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, №8, თბილისი, 2014, გვ. 44–47.
10. კომახია მ., *პოლიტიკური ისლამი თურქეთში*, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტინი №47, თბილისი, 2001, გვ. 11–14.
11. Zurcher, E. J., *Turkey: A Modern History*, London–New York: I.B. Tauris, 2004, გვ. 118–121.
12. Zurcher, E. J., *Turkey: A Modern History*, London–New York: I.B. Tauris, 2004, გვ. 124–127.
13. Istanbul Üniversitesi. (n.d.). *Geç Osmanlı döneminde kadının sosyal ve siyasal konumu*. Yüksek Lisans Tezi, İstanbul Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü.
14. Arat, Y. (1998). *Feminists, Islamists, and political change in Turkey*. Political Psychology, 19(1), 117–131.
15. **Inter-Parliamentary Union (IPU).** *Women in National Parliaments: Turkey 2023.* Geneva: IPU, 2023. https://www.ipu.org/resources/publications.
16. Istanbul Üniversitesi. (n.d.). *Woman's position in social and political life during Democratic Party Era*. Thesis, Istanbul University.
17. Yaraş, S. (2016). *Gender and the formation of late modern national subjectivity in Turkey: Islamic and Kurdish women in local politics*. Ph.D. Dissertation, Bilkent University.
18. Kourou, N. S. (2022). *Conservative women in contemporary Turkish politics: Mobilization, party politics and voting*. Ph.D. Dissertation, Boğaziçi University
19. Kourou, N. S. (2022). *Conservative women in contemporary Turkish politics: Mobilization, party politics and voting*. Ph.D. Dissertation, Boğaziçi University.
20. Üzümcü, F. Y. (2025). *Women's constitutive representation in Turkey: Parliamentary debates on headscarf, abortion and violence against women*. Ph.D. Dissertation, Bilkent University.
21. Gültepe, T. (2022). *Women's substantive representation: The case of opposition women representatives in the TBMM*. Master's Thesis, Middle East Technical University
22. Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 214–217.
23. Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 219–222.

24. Zaki, M., *Civil Society and Democratization in Egypt*, Cairo: Ibn Khaldun Center, 1994, გვ. 27–30.

25. Beer, C., "Democracy and Gender Equality", *Studies in Comparative International Development (SCID)*, Vol. 44, Issue 3, 2009, გვ. 227–230.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მისი მნიშვნელობა
Restoration of the autocephaly of the Georgian Church and its significance

ციცინო ჩხაიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
Tsitsino Chkhaidze
Caucasus International University.
PhD student in the Political Science Doctoral Educational Program
Faculty of Social Sciences and Humanities

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია საქართველოსათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. უნდა აღნიშნოს, რომ ქართული ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიაა მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალის გაუქმება, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ მოხდა, უარყოფითად აისახა ქვეყნის როგორც სულიერ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზეზების განხილვას და აღნიშნულია, რომ საქართველოსათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენას ხელი შეუწყო რუსეთში გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა. შესაბამისად, მკაფიოდ გამოკვეთილია ის პოლიტიკური გარემო, რის გამოც მაშინდელ რუსეთის ხელისუფლებას მის წინაშე მდგარი სხვადასხვა რთული გამოწვევებიდან გამომდინარე, არ შეეძლო ხელი შეეშალა საქართველოს სუვერენიტეტისა და პოლიტიკური ძლიერების ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენისათვის, როგორიც იყო თითქმის ერთი საუკუნის წინ ქართული ეკლესიის გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა.

კვლევაში სათანადო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით სიღრმისეულადაა გაანალიზებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდათვის შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, როგორც რუსეთში. ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რამაც შესაძლებელი გახადა ქართულლი სახელმწიფისათვის ისეთი მნიშცნრლოვანი მოვლენა. როგორიცაა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამ მნიშვნელოვან მოვლენას როგორც უკვე ზემოთაა აღნიშნული, ხელი შეუწყო გარკვეულმა პოლიტიკურმა მიზეზებმა. ესენი იყო რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია (ამან რუსეთი გამოთიშა პირველი მსოფლიო ომიდან), რასაც შედეგად მოჰყვა სამხრეთ კავკასიაში დროის მცირე მონაკვეთით რუსეთის პოლიტიკური გავლენის შესუსტება.

კვლევაში ასევე ყურადღებაა გამახვილებული ქართული ეკლესიისათვის რუსეთის იმპერიის მიერ წართმეული ავტოკეფალიის აღდგენის არა მხოლოდ მნიშვნელობაზე, არამედ ქვეყნისათვის ამ ფაქტის შედეგებზე. ნაშრომში ქრონოლოგიურადაა განხილული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესები და ის შედეგები, რაც ამ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა არა მხოლოდ ეკლესიის, არამედ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და საქართველოს როლისათვის მსოფლიოს მართლმადიდებელ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: ავტოკეფალია, საქართველო, ეკლესია, აღდგენა, შედეგი.

Abstract. The article discusses such an important issue for Georgia as the restoration of the autocephaly of the Church. This was one of the important events for strengthening the sovereignty of the Georgian state. It should be

noted that the Georgian Church is one of the oldest autocephalous churches in the world. Therefore, the revocation of autocephaly for the Georgian Church, which was carried out by the Russian Empire at the beginning of the 19th century, had a negative impact on both the spiritual and political life of the country. The work devotes a large part to the discussion of the reasons for creating favorable conditions for the restoration of the autocephaly of the Georgian Church and it is noted that this important event for Georgia was facilitated by the political processes that developed in Russia in the late 1920s. Accordingly, the political environment is clearly outlined, due to which the then Russian government, due to the various difficult challenges it faced, could not prevent such an important event for Georgia's sovereignty and political strength as the restoration of the autocephaly of the Georgian Church, which was abolished almost a century ago.

The study, based on relevant sources and scientific literature, provides an in-depth analysis of the favorable political situation created for the restoration of the autocephaly of the Georgian Church, both in Russia and in the South Caucasus region, which made possible such an important event for the Georgian state as the restoration of the autocephaly of the Church. As already mentioned above, this important event was facilitated by certain political reasons. These were the Russian February Revolution of 1917 (which took Russia out of World War I), which resulted in a temporary weakening of Russian political influence in the South Caucasus.

The study also focuses not only on the importance of the restoration of autocephaly for the Georgian Church, which was taken away by the Russian Empire, but also on the consequences of this fact for the country. The work chronologically discusses the processes of restoring the autocephaly of the Georgian Church and the consequences that this important event had not only for the Church, but also for the sovereignty of the Georgian state and Georgia's role in the Orthodox world.

Keywords: autocephaly, Georgia, church, restoration, result.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მისი მნიშვნელობა

საქართველოს ეკლესია ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვასა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უკანონოდ იქნა გაუქმებული მეფის რუსეთის მიერ. 1811 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის შესაბამისი ბრძანებულებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტმა არსებობა შეწყვიტა და ქართულ ეკლესიას სათავეში რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი ჩაუყენეს, რაც მიზნად ისახავდა საქართველოში ცარისტულ რეჟიმის განმტკიცებას. ეკლესიებიდან განიდევნა ქართული ენა, ქართული წირვა-ლოცვა, გაიძარცვა საეკლესიო საგანძური, მოხდა ქართული საეკლესიო კანონიკური ტრადიციების სრული უგულვებელყოფა…ქართველი ხალხი ამას აღიქვამდა როგორც ეროვნულ ტრაგედიას.

110-წლიანი იძულებითი და უკანონო ანექსიის შემდეგ დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნების პროცესი. ქართულმა სამღვდელოებამ კარგად ისარგებლა რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმით და 1917 წლის 12 მატს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს იყო მრავალწლიანი პროცესის დაგვირგინება და სამართლიანობის აღდგენა. ავტოკეფალიის აღდგენისთვის ნიადაგი მოამზადა გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომძლავრებულმა ავტოკეფალისტების მოძრაობამ, რომელშიც ჩართულები აღმოჩნდნენ გამოჩენილი საერო და სასულიერო მღვაწეები: ამბროსი ხელაია, ეპისკოპოსი კირიონ სამაგლიშვილი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. მათი არგუმენტაცია ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა ჯერ კიდევ V საუკუნეში და დადასტურდა ანტიოქიის საპატრიარქოსა და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ.

1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვერ მოხერხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რადგან მიმდინარეობდა სასულიერო პირების დევნა-შევიწროვება, გარდა ამისა, მსოფლიო მართლმადიდებლურმა სამყარომ (კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ) დაუშვებლად მიიჩნია ერთი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის) ფარგლებში ორი ავტოკეფალური ეკლესიის (საქართველოს და რუსეთის ეკლესიების) არსებობა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აგრეთვე მიუთითებდა, რომ არ არსებობდა ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ნამდვილობას.

ავტოკეფალია მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიებს აქვთ. ამჟამად მართლმადიდებლურ სამყაროში თხუთმეტი ავტოკეფალური ეკლესიაა. მათ შორის ერთერთია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. თითოეული ავტოკეფალური ეკლესია საეკლესიო კანონიკაზე დაყრდნობით, სხვა ავტოკეფალური ეკლესიებისგან დამოუკიდებლად, მათი ჩარევის გარეშე წარმართავს საკუთარ საქმიანობას: ირჩევს მწყემსმთავარს, ეპისკოპოსებს[1], იწვევს საეკლესიო კრებებს, იღებს გადაწყვეტილებებს ეკლესიის ეპარქიებად დაყოფის თაობაზე, ადგენს ეპარქიების საზღვრებს, ახორციელებს ეპარქიების მართვას და ა.შ[2]. თითოეული ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავარი ერთმანეთის თანასწორია[3], რაც იმას ნიშნავს, რომ არცერთ ავტოკეფალურ ეკლესიას არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის საქმიანობაში. ამის უფლება არ აქვს არც კონსტანტინოპოლის პარტრიარქს. კონსტანტინოპოლის პატრიარქი არ არის სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მწყემსთავრებზე აღმატებული[4]. ამავეზე მეტყველებს მისი სტატუსი-,,უპირველესი თანასწორთა შორის"[5]. ,,უპირველესი" ნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უზრნველყოფს ავტოკეფალური ეკლესიების ერთობის შენარჩუნებას და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას[6].

ავტოკეფალური ეკლესიები არ ეფუძნება ეროვნულ, ან ეთნიკურ ნიშანს. ავტოკეფალური ეკლესიები ტერიტორიული ეკლესიებია[7]. ეკლესიების ეროვნული ნიშნით დაყოფა დაუშვებელია სახარებისეული სწავლების მიხედვით, რომლის თანახმად ქრისტიანი არის ის, ვინც უფლის ცნებებს აღასრულებს. მათეს სახარების მეთორმეტე თავში ქრისტე ამბობს: „ვინ არის დედაჩემი და ვინ არიან ჩემი ძმები? აჰა, დედაჩემი და ჩემი ძმები; ვინაიდან, ვინც ჩემი ზეციერი მამის ნებას აღასრულებს, ის არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც.[8]" ქრისტეს ეს სიტყვები ნიშნავს, რომ ქრისტიანობა არაა დამოკიდებული ეთნიკურ, ეროვნულ ან/და სოციალურ კუთვნილებაზე.[9] ქრისტიანობაში ეროვნული, ეთნიკური ან სხვა რომელიმე ნიშნის არარსებობაზე მიუთითებს პავლე მოციქულიც გალატელთა მიმართ ეპისტოლეში, რომლის მესამე თავში აღნიშნავს, რომ

---

[1] ბუბულაშვილი, ე., „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია," ჟურნალი **„ჩემი სამყარო", №**30, 2020, 4

[2] იხ, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მცხეთა, 1995; ხელმისაწვდომია https://patriarchate.ge/news/3205 (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

[3] ბუბულაშვილი, ე., „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია," ჟურნალი **„ჩემი სამყარო", №**30, 2020, 4

[4] იქვე, 4

[5] Pittidou,A., Perceptions of the Rum Orthodox Patriarchate in the Turkish Press: 2005–2011, Istanbul Bilgi University, Social Sciences Institute, MA Program in International Relations, 2011, p. 90; https://tinyurl.com/3w8xhrpd

[6] Pittidou,A., Perceptions of the Rum Orthodox Patriarchate in the Turkish Press: 2005–2011, Istanbul Bilgi University, Social Sciences Institute, MA Program in International Relations, 2011, 90

[7] ბუბულაშვილი, ე., „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია," ჟურნალი „ჩემი სამყარო", №30, 2020, 4

[8] ბიბლია, მათეს სახარება 12:46:50. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 2002, 21

[9] ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტება, თბ., გამომცემლობა ,,წიგნის სავანე", 2013, 61

ღვთის შვილია ყველა ის ადამიანი, რომელმაც ქრისტე ირწმუნა და მოინათლა. ,,უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი, არც ბერძენი, არც მონა არც თავისუფალი, არც მამრი არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტეში[1]"-წერს პავლე მოციქული.

მართლმადიდებლურ სამყაროში არ არსებობდა საერთო აზრი იმის შესახებ, რომელი კრიტერიუმების მიხედვით უნდა მომხდარიყო ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება. ამ კრიტერიუმების არარსებობა ართულებდა ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის გადაწყვეტას. 1993 წლის ნოემბერში შვეიცარიის ქალაქ შამბეზეში შეიკრიბა მართლმადიდებლური ეკლესიების კომისია, რომელმაც დაადგინა ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებისთვის საჭირო ზოგიერთი კრიტერიუმი.[2] კერძოდ, იმ ეკლესიის სინოდის კრებამ ან ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომელსაც უკვე აქვს ავტოკეფალია, უნდა მიმართოს მსოფლიო საეპისკოპოსოს თხოვნით ახალი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე[3]. ეს მიმართვა საფუძვლიანად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ახორციელებს დედა ეკლესია (რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც უნდა შეიქმნას ახალი ავტოკეფალური ეკლესია). ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის ამგვარ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს 34-ე სამოციქულო წესი, რომლის თანახმად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს იმ საეპისკოპოსოსთან, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება კონკრეტულ ტერიტორიაზე[4]. ეკლესიისთვისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე უნდა იქნას მიღწეული კონსესუსი ავტოკეფალური ეკლესიების სინოდების მიერ. კონსესუსის მიღწევის პროცესს კოორდინაციას უწევს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. იმ შემთხვევაში, თუ მიიღწევა კონსესუსი, მსოფლიო პატრიარქი ახლად წარმოშობილ ეკლესიას გადასცემს ტომოსს-დოკუმენტს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ. ტომოსი ხელმოწერილი უნდა იყოს კონსტანტინოპოლის პატრიარქის და დედა ეკლესიის მწემსმთავრის მიერ.[5] 2009 წელს რუსეთის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მოთხოვნის საფუძველზე შეიცვალა ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების წესი. ამჟამინდელი რეგულაციის თანახმად ტომოსი ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ[6].

ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საბაზისო კრიტერიუმია მრევლის და სასულიერო პირების ნების მკაფიო გამოხატულება. ნების გამოხატვა უნდა მოხდეს კანონიკური საეკლესიო ინსტიტუტის მეშვეობით-საეკლესიო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც ავღნიშნე ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მოთხოვნით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შეიძლება მიმართოს სინოდის საეკლესიო კრებამ, ან საერთო საეკლესიო კრებამ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება არ წარმოადგენდეს საზოგადოების, ან სასულიერო პირების ნაწილის ნება-სურვილს. ეკლესიას

[1] ბიბლია, ეპისტოლე გალატელთა მიმართ 3:28. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 2002, 251

[2] Šljivić, D., "Self-Ruled and Self-Consecrated Ecclesiastic Schism as a Nation-Building Instrument in the Orthodox Countries of South Eastern Europe," Religions 4, # 2, 2020; retrieved from https://www.mdpi.com/2313-5778/4/2/52

[3] Лищенюк,С., ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии", Праксис, № 1(18), 2025, 133

[4] Лищенюк,С., ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии", Праксис, № 1(18), 2025, 133

[5] Šljivić, D., "Self-Ruled and Self-Consecrated Ecclesiastic Schism as a Nation-Building Instrument in the Orthodox Countries of South Eastern Europe," Religions 4, #2, 2020

[6] Московский Патриархат, Отдел внешних церковных связей, «Мы достигли консенсуса в вопросе о предоставлении автокефалии». Интервью председателя ОВЦС Журналу Московской Патриархии; ხელმისაწვდომია https://mospat.ru/ru/news/57316/ (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

ავტოკეფალია უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტალურად დასტურდება, რომ მრევლის და სასულიერო პირების უმრავლესობა მხარს უჭერს ავტოკეფალიის მინიჭებას[1].

ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების ერთერთი კრიტერიუმია დამოუკიდებლად არსებობის უნარი. ამ უნარის შეფასებისათვის საჭიროა საკმარისი საეპისკოპოსო სტრუქტურების არსებობა იმ ტერიტორიაზე, რომლის ეკლესიასაც უნდა მიენიჭოს ავტოკეფალია. არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სათანადო საეკლესიო ინფრასტუქტურის არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკლესიის დამოუკიდებლად ფუნქციონირება (ინფრასტრუქტურაში იგულისხმება სემინარიები, აკადემიები, საგამომცემლო ცენტრები, ეკლესიის ეფექტიანი მართვისთვის საჭირო ადმინისტრაციული რესურსი). ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საღვთისმეტყველო და ლიტურგიულ ტრადიციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი ეკლესიის თვითმყოფადობის, მისი იდენტობის და სამოციქულო გარდამოცემის უწყვეტობის შენარჩუნება[2].

3. ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საბაზისო კრიტერიუმს წარმოადგენს ტერიტორიის დამოუკიდებლობა. ეკლესიას შეიძლება მიენიჭოს ავტოკეფალია იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან კარდინალურად შეიცვლება ტერიტორიის გეოპოლიტიკური სტატუსი. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ავტომატურად არ განაპირობებს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას. პოლიტიკური დამოუკიდებლობა არის ფაქტორი, რომელიც ზრდის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების ალბათობას. საერო ხელისუფლება ვერ მიანიჭებს ეკლესიას ავტოკეფალიას, რადგან ეს საკითხი კანონიკური სამართლის და ეკლესიოლოგიის სფეროს განეკუთვნება. ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მიზანია მართლმადიდებლურ სამყაროში მისი ადგილის განსაზღვრა.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ წარმოშვა ხელსაყრელი პირობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ქართველმა იერარქებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე და სხვები) მყისიერად იმოქმედეს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა 1917 წლის 12 მარტს. ამ დღეს, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა განცხადება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ[3]. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მეფის რუსეთს არ ჰქონდა უფლება გაეუქმებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ავტოკეფალიის გაუქმების უფლება ჰქონდა მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას. ამ გარემოების გათვალისწინებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უკანონოდ იქნა შეწყვეტილი მეფის რუსეთის მიერ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა უნდა მოხდეს რუსეთში არსებული მართვა-გამგეობის სახეცვლილების გათვალისწინებით (იგულისხმება თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია) და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველად დაინიშნოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე[4]. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დაევალა აღმასრულებელ-კომიტეტს[5]. 1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა

---

[1] *Лищенюк,С.,* ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии“, Праксис, № 1(18),2025, 133-134

[2] *Лищенюк,С.,* ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии“, Праксис, № 1(18),2025, 134

[3] *ტყეშელაშვილი, ლ.,* საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012, 225

[4] საქართველოს ეროვნული არქივი, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“, archive.gov.ge, წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026, https://tinyurl.com/mja3juaa

[5] ტყეშელაშვილი, ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი

დაგვირგვინდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პოსტზე კირიონ მეორის (საძაგლიშვილის) არჩევით. თუმცა ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს იყო შიდა აქტი, რომელსაც სჭირდებოდა მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს დასტური. საბჭოთა ოკუპაციის პირობებში ეს პროცესი შეფერხდა. მხოლოდ 1990 წლის 4 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ძალისხმევით, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად ცნო და დაადასტურა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული.[1].

მეფის რუსეთის ბრძოლა საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებისთვის დაიწყო 1801 წელს, მას შემდეგ რაც პავლე პირველმა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და მისი რუსეთთან მიერთების შესახებ[2]. საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების პროცესში მნიშვნელოვანი თარიღი იყო 1809 წლის ნოემბერში, პეტერბურგში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან საქართველოს კათალიკოს პატრიარქის-ანტონ მეორის მიწვევა. ერთი წლის შემდეგ-1810 წლის ნოემბერში ანტონ მეორე პეტერბურგში გაემგზავრა[3]. ანტონ კათალიკოსის საქართველოდან გაწვევის შემდეგ რუსეთის საიმპერტორო კარმა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში გააუქმა კათალიკოსობა (1811 წლის ივნისში), ხოლო 1814 წელს მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმების შესახებ.[4] აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. ანტონ II გარდაიცვალა 1828 წლის ნოემბერში-ნიჟნი ნოვგოროდში.[5]

1917 წლის მარტში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოიწვია ორმა ძირითადმა ფაქტორმა. პირველი მიზეზია რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობა. მეორე მიზეზია მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი სასულიერო პირების და საზოგადო მოღვაწეების ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისთვის. 1905 წლის მარტში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ მიმართა რუსეთის მინისტრთა კაბინეტს პეტიციით. პეტიციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა დაუბრუნებდა ფუნქციას საქართველოს ეკლესიას. პეტიციის თანახმად საქართველოს ეკლესიამ ფუნქცია დაკარგა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ და ჩადგა რუსეთის საიმპერატორო კარის სამსახურში. იმავე წლის აპრილში რუსეთის ხელისუფლებას მსგავსი შინაარსის მოთხოვნა გაუგზავნეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო პირებმა[6]. 1905 წლის ოქტომბერში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში ქართველი თავადაზნაურობა ჩაერთო. ქართველმა თავადაზნაურებმა მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე[7]. ავტოკეფალიის აღდგენას მხარს

საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012, 225

[1] იქვე, 227

[2] კვიციანი, ტ ., რუსი სამღვდელოებისსა და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხში 1905–1917 წლებში (პრესის მასალების მიხედვით)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 19; ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yvw53by5, (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026)

[3] *კვიციანი, ტ.,* რუსი სამღვდელოებისსა და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხში 1905–1917 წლებში (პრესის მასალების მიხედვით)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 20

[4] იქვე, გვ:21

[5] იქვე, გვ: 21

[6] *გუგულაშვილი, ე.,* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, 276, წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026 , ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/2m6p3b8u, (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

[7] *გუგულაშვილი, ე.,* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006, 282

უჭერდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშივილი, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები[1]. 1905-1906 წლებში რუსულ ენაზე დაიბეჭდა კალისტრატე ცინცაძის ორი ნაშრომი საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ, ხოლო 1906 წელს ისტორიკოს სერგი გიორგაძის ხელშეწყობით საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტი დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე ,,საქართველოს საეგზარქოსოს მოამბეში[2]“. მიუხედავად ქართველი ავტოკეფალისტების არაერთი მცდელობისა, მომხდარიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რუსეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა რეაგირება ავტოკეფალისტების მოთხოვნაზე. ამის მიზეზი სავარაუდოდ იყო ის, რომ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის ხელისუფლების ვარაუდით ხელს შეუწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო, ხოლო საქართველოში მეფისნაცვალი შეცვალა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზკომმა). ქართველმა ავტოკეფალისტებმა მიმართეს კომიტეტს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ოზაკომმა გამოსცა დეკრეტი საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, რის შემდეგაც ქართველმა ავტოკეფალისტებმა დაიწყეს მზადება საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით[3].

მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა 1943 წელს[4]. 1943 წლის ნოემბერში აღდგა ლოცვითი და კანონიკური კავშირი რუსეთის და საქართველოს ეკლესიებს შორის.[5]. 1943 წლის ოქტომბერში რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ცნო საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და მეექვსე ადგილი მსოფლიო დიპტიხში[6].

1918 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ. 20-იან წლებში საქართველოში ათასზე მეტი ეკლესია დაიხურა. შეწყდა ღვთისმსახურება. რამდენიმე ათეულამდე შემცირდა სასულიერო პირების რიცხვი[7]. 1922 წლის აპრილში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ წერილით მიმართა გენუის კონფერენციას, რომელშიც 29 სახელმწიფო მონაწილეობდა. წერილში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ,,ქართველ ერს უბღალავს სარწმუნოებრივ გრძნობას, ...არ აძლევს საშუალებას დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. სამღვდელოება დევნილია, ხოლო ეკლესია უფლებააყრილი“-აღნიშნულია წერილში[8]. ამ ვითარებაში ვერ მოხერხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა

---

[1] იქვე, 282

[2] იქვე, 277

[3] *სარია, ა.,* საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921–1927 წლებში, საქართველოს უნივერსიტეტი (UG), თბილისი, 2019, 37; ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mpm8ajm6 (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

[4] *Лищенюк,С.,* ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии“, Праксис, № 1(18),2025, 135

[5] „Возобновление молитвенно-канонического общения между двумя православными церквами-Грузинской и Русской. Выписка из журнального определения Священного Синода при Святейшем Патриархе Московском и всея Руси от 19 ноября 1943 года № 12, Журнал Московской Патриархии. № 3, 1944, 6; ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3a9jzhn5, (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

[6] *ტყემალაშვილი, ლ.,* საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012, 236

[7] *ჯაფარიძე, ა.,* საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II გამოცემა, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2009, 1115 ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3xbyxs2d (წვდომის თარიღი: 2 მარტი. 2026).

[8] იქვე, 1116

ავტოკეფალური ეკლესიების მიერ. საბჭოთა მმართველობის პერიოდში 1918 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ცნო მხოლოდ რუსეთის ეკლესიამ[1].

1990 წლამდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ეს ორი მიზეზით იყო გამოწვეული: 1.კონსტანტინოპოლის საპატრირქო დაუშვებლად მიიჩნევდა ერთი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის) ფარგლებში ორი ეკლესიის არსებობას. 2.ვერ ხერხდებოდა იმ დოკუმენტების მოძიება, რომლის საფუძველზეც დადასტურდებოდა საქართველოს ეკლესიის ძველი ავტოკეფალია[2]. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ისტორიული დოკუმენტების მოძიების პროცესში (რომლებიც დაადასტურებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას) საქართველოს პატრიარქმა ჩართო სინოდის წევრები, მეცნიერები, ყველა ის პირი, რომელსაც შეხება ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან. წლების მანძილზე მიმდინარეობდა ისტორიული დოკუმენტების ძიება, რომლებიც დაადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. 1982 წლის 3 ივლისს პატრიარქმა წერილით მიმართა ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს. წერილს თან ერთვოდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდა საქართველოს ეკლესიის უძველეს ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულს და მის მეექვსე ადგილს დიპტიქში[3]. 1990 წლის 25 იანვარს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გამოსცა სიგელი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ. იმავე წლის მარტში მანვე მიიღო განჩინება საპატრიარქო ღირსების ცნობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მსოფლიო საპატრიარქომ ცნო საქართველოს ეკლესიის მეთაურის-პატრიარქის ტიტული[4]. მსოფლიო პატრიარქის-დიმიტრიოსის მიერ გაცემულ სიგელში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიამ *„უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც*“ (იგულისხმება ანტიოქიის საპატრიარქოს სინოდის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე ავტოკეფალია მიენიჭა იბერიის ეკლესიას). საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია გახდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიის მინიჭების ერთერთი მთავარი მიზეზი[5].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის განვითარებისთვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის დადგენილების საფუძველზე საქართველოს ეკლესიას მიენიჭა საკუთარი სახსრების და ქონების დამოუკიდებლად აღრიცხვის უფლება. ამავე დადგენილების თანახმად საქართველოს ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობები მათი უძრავ-მოძრავი ქონებით[6].

რომ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, შეუძლებელი იქნებოდა კონკორდატის დადება საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის. 2002 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთაში-სვეტიცხოვლის ტაძარში ხელი მოეწერა

---

[1] *ტყეშელაშვილი, ლ.,* საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012, 236

[2] *ჯაფარიძე, ა.,* საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II გამოცემა, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2009, 1128

[3] იქვე, 1130

[4] იქვე, 1126

[5] „საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, Allgeo.org, წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026, https://tinyurl.com/3d22r336

[6] *ტყეშელაშვილი, ლ.,* საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012, 245

კონკორდატს საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის. საკონსტიტუციო შეთანხმებამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკლესიის ეკონომიკურ მოძლიერებას და შექმნა მისი განვითარების შესაძლებლობა. კერძოდ, კონკორდატის 6.5 მუხლის თანახმად გადასახადებისგან განთავისუფლდა ეკლესიის მიერ წარმოებული პროდუქცია, ეკლესიის კუთვნილი მიწები და არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება[1]. ეკლესიის საკუთრებად იქნა ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მართმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (როგორც მოქმედი ასევე არამოქმედი), მათი ნანგრევები, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ეს ნაგებობებია განლაგებული[2]. კონკორდატის მე-11 მუხლის მიხედვით სახელმწიფომ დაადასტურა, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან 1990 წლამდე საქართველოს ეკლესიას მიადგა როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანი. სახელმწიფომ იკისრა მატერიალური ზიანის წილობრივ ანაზღაურების ვალდებულება[3].

ავტოკეფალიის აღიარების შემდეგ საქართველოს ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა სხვა ავტოკეფალური ეკლესიებისგან დამოუკიდებლად განესაზღვრა საკუთარი მოწყობა. დადგინდა საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის და საეკლესიო სასამართლოს უფლებამოსილებების ფარგლები[4], განისაზღვრა მოთხოვნები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქობის კანდიდატის მიმართ, მოწესრიგდა ეკლესიის მართვა-გამგეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები[5].

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1811-1814 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება განაპირობა მეფის რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ საქართველოში, რომლის ერთერთი მიზანიც იყო ცარისტული რეჟიმის განმტკიცება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არ მომხდარა მყისიერად. ეს იყო ხანგრძლივი პროცესის დაგვირგვინება. კერძოდ, საქართველოში მიმდინარე ავტოკეფალისტურმა მოძრაობამ მოამზადა ნიადაგი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. მეორე მხრივ ავტოკეფალიის აღდგენა მნიშვნელოვნად განაპირობა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ-რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობამ.

საქართველოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი შესაძლოა მრავალი წლით შეფერხდეს იმ შემთხვევაში, თუ ისტორიული დოკუმენტები მიუწვდომელია, ან/და გეოპოლიტიკური ვითარება აფერხებს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას. 1990 წლამდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არაღიარება ორი მთავარი მიზეზით იყო განპირობებული: საბჭოთა კავშირის ფარგლებში ორი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის მიუღებლობა და იმ ისტორიული დოკუმენტების ნაკლებობა, რომლებიც დაადასტურებდა საქართველოს უძველეს ავტოკეფალიას, იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ანტიოქიის ეკლესიის მიერ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ილია მეორის ხელმძღვანელობით განხორციელებულ მრავალწლიან პროცესს, რომლის მიზანიც იყო ისტორიული დოკუმენტების მოძიება. ამ დოკუმენტების მოძიების შედეგი იყო ის რომ 1990

[1] საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697–IIს, 22 ოქტომბერი, 2002, 6.5-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ, №116, 27 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/57cnx7j8 , (წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026).

[2] საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697–IIს, 22 ოქტომბერი, 2002, 6.5-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ, №116, 27 ნოემბერი, მუხლი 7.

[3] იქვე, მუხლი 11.1

[4] იქვე, , მე-7 და მე-8 პარაგრაფები

[5] იქვე, მეოთხე თავი

წლის იანვარში კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ცნო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია. ავტოკეფალიის აღიარებამ გავლენა მოახდინა საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებზე და შესაძლებელი გახადა საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. კონკორდატმა კიდევ უფრო გაამყარა ეკლესიის ინსტიტუციური და ეკონომიკური საფუძვლები-საქართველს ეკლესიას მისცა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განესაზღვრა საკუთარი მართვა-გამგეობა (ეპარქიული მოწყობა, სინოდის/საეკლესიო სასამართლოს უფლებამოსილებები და სხვ.) და დაემყარებინა ურთიერთობები სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან.

აქედან გამომდინარე, 1917 წლის 12 მარტის მოვლენა არ იყო მხოლოდ რელიგიური რიტუალი; ეს იყო ქართველი ერის სულიერი თავისუფლების აქტი. ავტოკეფალიის აღდგენამ გადაარჩინა ქართული ენა, კულტურა და შეამზადა ნიადაგი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისთვის. დღეს საქართველოს ეკლესია რჩება ქვეყნის სტაბილურობისა უმთავრეს ბურჯად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, მათეს სახარება 12:46:50. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი. 2002
2. ბუბულაშვილი, ე., „საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია,“ ჟურნალი „ჩემი სამყარო“, №30, 2020
3. *კვიციანი, ტ.,* რუსი სამღვდელოებისსა და ინტელიგენციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხში 1905–1917 წლებში (პრესის მასალების მიხედვით)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yvw53by5
4. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, მათეს სახარების განმარტება, თბ., გამომცემლობა ,,წიგნის სავანე”, 2013
5. *სარია, ა.,* საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921–1927 წლებში, საქართველოს უნივერსიტეტი (UG), თბილისი, 2019; ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/mpm8ajm6
6. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მცხეთა, 1995; ხელმისაწვდომია https://patriarchate.ge/news/3205
7. საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1697–IIს, 22 ოქტომბერი, 2002, 6.5-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ, №116, 27 ნოემბერი
8. *ტყეშელაშვილი, ლ.,* საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. აკ, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი,
2012
9. ჯაფარიძე, ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II გამოცემა, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2009
10. *Comănoiu, M.,* “Ecclesiological Dynamics between Identity and Unity in Orthodoxy: Primacy, Synodality, Authority,” in Globale Christentümer: Theologische und religionswissenschaftliche

Perspektiven, ed. Bernhard Grümme, Claudia Jahnel, Martin Radermacher, Claudia Rammelt, and Jens Schlamelcher, Leiden: Brill, Schöningh, 2022, p. 152; https://tinyurl.com/4etdbzpx

11. Keleher S,, „Orthodox Rivalry in the Twentieth Century: Moscow versus Constantinople“, Religion, State & Society 25, № 2, 1997, https://tinyurl.com/4fvav86m

12. Šljivić, D., "Self-Ruled and Self-Consecrated Ecclesiastic Schism as a Nation-Building Instrument in the Orthodox Countries of South Eastern Europe," Religions 4, # 2, 2020; retrieved from https://www.mdpi.com/2313-5778/4/2/52

13. Pittidou,A., Perceptions of the Rum Orthodox Patriarchate in the Turkish Press: 2005–2011, Istanbul Bilgi University, Social Sciences Institute, MA Program in International Relations, 2011, p. 90; https://tinyurl.com/3w8xhrpd

14. „Возобновление молитвенно-канонического общения между двумя православными церквами-Грузинской и Русской. Выписка из журнального определения Священного Синода при Святейшем Патриархе Московском и всея Руси от 19 ноября 1943 года № 12, Журнал Московской Патриархии. № 3, 1944, https://m.bigenc.ru/vault/ec77076b1504c128c288b5651c723f16.pdf

15. Лищенюк,С., ,,К вопросу о критериях предоставления автокефалии на примере Православной Церкви Чешских земель и Словакии“, Праксис, № 1(18), 2025

16. Московский Патриархат, Отдел внешних церковных связей, «Мы достигли консенсуса в вопросе о предоставлении автокефалии». Интервью председателя ОВЦС Журналу Московской Патриархии; https://mospat.ru/ru/news/57316/

გამოყენებული ბმულები:

17. საქართველოს ეროვნული არქივი, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“, https://tinyurl.com/mja3juaa

18. „საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, Allgeo.org, წვდომის თარიღი: 2 მარტი, 2026, https://tinyurl.com/3d22r336

19. „Georgia's Catholicos Patriarch leaves for Jerusalem“, GHN-News Agency (17 February 2012), https://tinyurl.com/2wpw7mxk

Air Law: Evolution of International Regulation, Contemporary Challenges and Development Trends

Ana Kurtanidze
Georgian Aviation University
Faculty of Business Administration
Professor
Tamar Rukhadze
Georgian Technical University
Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering
Associate Professor
Ana Tabutsadze
Caucasus University (CU)
Caucasus School of Law
Student

Abstract. Air law constitutes a complex and dynamic branch of international public and private law governing state sovereignty over airspace, international air navigation, air carrier liability, aviation safety, and environmental protection standards. The rapid development of civil aviation and the expansion of global air transport have significantly increased the need for a harmonized and coherent legal framework at the international level.

This article examines the historical evolution of air law, its normative foundations, and institutional mechanisms, with particular emphasis on the Convention on International Civil Aviation (1944), the Warsaw Convention (1929), and the Montreal Convention (1999). It further analyzes the role of the International Civil Aviation Organization (ICAO) in establishing global standards and recommended practices.

Special attention is devoted to contemporary challenges, including unmanned aerial systems (UAS), cybersecurity threats, environmental sustainability, and the legal implications of global crises such as pandemics. The paper argues that the effectiveness of international air law depends on continuous normative adaptation, strengthened international cooperation, and the integration of emerging technological and environmental considerations into the regulatory framework.

Keywords: Air Law; International Civil Aviation; State Sovereignty; ICAO; Chicago Convention; Montreal Convention; Air Carrier Liability; Aviation Security; Environmental Protection; Unmanned Aerial Systems (UAS)

Introduction

Airspace constitutes an integral part of a state's territorial sovereignty. The development of aviation in the 20th century radically altered the nature of international relations and gave rise to new legal challenges. Air Law emerged as a specialized field, integrating elements of international public law, private law, and administrative regulation.

In the context of globalization, international air traffic has become a pillar of the global economy. Aviation ensures the rapid movement of people and cargo, facilitating international trade, tourism, and investment. Consequently, the function of air law extends beyond mere technical regulation to include economic, social, and humanitarian aspects.

The Evolution of Air Law

The formation of air law is closely linked to technological progress in aviation:

· **Early Stage:** The **1919 Paris Convention** first established a state's full and exclusive sovereignty over its airspace. This principle laid the foundation for subsequent legal developments.

· **1929 Warsaw Convention:** This established uniform rules regarding liability for international carriage by air. The convention aimed to ensure legal uniformity and protect the financial stability of airlines.

· **The Chicago System:** The **1944 Chicago Convention** serves as the foundation of modern air law. It established the **International Civil Aviation Organization (ICAO)**, tasked with developing International

Standards and Recommended Practices (**SARPs**). The Chicago system created a legal framework ensuring the safety, regularity, and efficiency of flights.

Modern Reforms: The 1999 Montreal Convention

The **Montreal Convention (MC99)** is of decisive importance for the modernization of the legal regime governing international air carriage. This convention unified the "Warsaw System," which consisted of the original Warsaw Convention and its subsequent protocols. The Warsaw regime was characterized by fragmentation and limited—often obsolete—liability limits that failed to meet the scale of modern air traffic or consumer protection requirements.

The primary innovation of the Montreal Convention is the introduction of a **two-phase liability system** in cases of passenger death or injury:

First phase: Provides for the carrier's **strict liability** (functioning regardless of proof of fault) up to a specified limit.

Second phase: Liability is effectively unlimited unless the carrier can prove the damage was not the result of its negligence. This strengthened the legal protection of passengers and balanced the interests of all parties.

Other updates included:

- Revised liability regimes for damage to or loss of baggage and cargo.
- New jurisdictional grounds for filing claims (including the **"Fifth Jurisdiction"** principle—the court of the passenger's place of residence).
- Recognition of electronic documentation (e-ticketing, e-air waybill).
- Setting compensation limits in **Special Drawing Rights (SDR)** to ensure economic stability.

State Sovereignty and International Cooperation

According to Article 1 of the Chicago Convention, a state possesses complete sovereignty over its own airspace. This means a foreign aircraft has no right to fly over or land without appropriate permission. Simultaneously, international aviation relies on the principle of cooperation. The **"Freedoms of the Air"** define the conditions for commercial flights between states. These freedoms are typically established through bilateral agreements and form the basis of international air economic law.

Carrier Liability and Passenger Rights

The Montreal Convention establishes carrier liability for passenger injury, baggage loss, and flight delays. It reinforces the two-phase system:

- **Up to a specific limit:** Strict liability.
- **Above the limit:** Full liability of the carrier, unless they can prove the absence of fault.

This model ensures a fair balance between the interests of the affected passenger and the economic capabilities of the airline.

Aviation Security and Legal Mechanisms

The rise of international terrorism and transnational crime has significantly influenced the development of air law. Several international agreements have been adopted to criminalize aircraft hijacking and acts directed against aviation safety. ICAO coordinates global security policy and approves technical standards.

Modern threats include:

- Regulation of Unmanned Aerial Vehicles (UAVs/Drones).
- Ensuring cybersecurity.
- Protection of critical infrastructure.

Environmental Aspects

Aviation is a significant source of greenhouse gas emissions. The **CORSIA** mechanism, developed by ICAO, aims to offset the growth of CO_2 emissions from international aviation. Environmental regulations include noise standards, fuel efficiency requirements, and the promotion of alternative fuels.

Contemporary Challenges in Air and Space Law

Technological progress and globalization have transformed the regulatory landscape. The field currently faces several systemic challenges:

Drone Legal Regime: Linked to the rapid proliferation of UAVs in civilian and military spheres. While ICAO develops standards, regulations remain fragmented at the national level. Issues of cross-border operations, liability, and personal data protection highlight the need for a unified international framework.

Digital Transformation and Cybersecurity: Digitalization of air traffic management and navigation improves efficiency but increases the risk of cyberattacks. While the Chicago Convention provides a foundation for safety, specific cybersecurity norms require further international coordination.

Global Pandemics: COVID-19 demonstrated the importance of emergency legal mechanisms. Flight restrictions and border closures raised questions about the balance between international obligations and public health interests.

Space Tourism: The growth of private operators blurs the line between air law and space law. While the **Outer Space Treaty** forms the foundation of space law, it does not establish a clear boundary between airspace and outer space, complicating issues of jurisdiction and liability.

Conclusion

Air law is one of the most dynamic and rapidly transforming branches of international public law. Its effectiveness depends on international cooperation, particularly within institutional mechanisms like ICAO. While the principles of the Chicago Convention remain fundamental, they require interpretative development to meet modern realities.

In today's world, air law integrates state sovereignty, the liability of private entities (airlines, operators, manufacturers), and the collective interest of global security. Maintaining this balance is essential for international stability and economic integration.

Bibliography

1. **Chicago Convention** on International Civil Aviation, 1944.
2. **Warsaw Convention** for the Unification of Certain Rules Relating to International Carriage by Air, 1929.
3. **Montreal Convention** for the Unification of Certain Rules for International Carriage by Air, 1999.
4. International Civil Aviation Organization. **Annexes to the Chicago Convention**.
5. Shaw, M. N. *International Law*. Cambridge University Press, 2017.
6. Dempsey, P. S. *Public International Air Law*. McGill University Press, 2008.
7. Havel, B. F., & Sanchez, G. S. *The Principles and Practice of International Aviation Law*. Cambridge University Press, 2014.
8. Abeyratne, R. *Convention on International Civil Aviation: A Commentary*. Springer, 2013.

Constitutional Challenges of Georgia's Territorial Organization

Aksana Guchua
Caucasus International University
PHD candidate in legal sciences

Abstract. The issue of Georgia's territorial organization still remains an area of constitutional development where legal norms and political reality are not fully aligned. Although the state is constitutionally defined as a unified and indivisible space, the final model of territorial organization is still in the process of formation. This situation is caused not only by the problem of the occupied territories, but also by internal institutional uncertainties related to the vertical distribution of power, the functions of regional governance, and the place of autonomous units within the general state system.

The paper aims to identify the constitutional contradictions that hinder the practical implementation of Georgia's territorial organization. The study analyzes to what extent the current constitutional framework ensures state unity together with flexibility of governance, regional representation, and administrative efficiency. Special attention is given to the tension between the tradition of centralization and the demand for decentralization, which appears as one of the main dilemmas of modern Georgian statehood.

The research concludes that a sustainable model of Georgia's territorial organization cannot be established only on the basis of formal legal norms. It is necessary to connect the constitutional order with real political, social, and regional needs. Such a synthesis will create a solid foundation for state stability and democratic development.

Keywords: Georgia, territorial organization, constitution, centralization, decentralization, regional governance, state unity.

Introduction

In the process of the development of Georgian statehood, the issue of territorial organization remains a serious constitutional challenge. It concerns not only the definition of administrative borders, but also the distribution of power, the effectiveness of governance in the regions, and the ability of the state to fully exercise its sovereignty throughout its entire territory. For this reason, territorial organization is a key foundation of the country's political stability, institutional resilience, and democratic development. The territorial distribution of power is an important mechanism for maintaining internal balance and ensuring effective governance.

Informal peacebuilding initiatives in the Georgian–Abkhaz context encompass a range of activities designed to foster interaction and dialogue between divided communities. Participants reported that these initiatives primarily fall into four categories: **youth and educational programs, cultural projects, dialogue workshops, and joint social or community-based projects**.

Youth-focused programs were among the most frequently cited initiatives. These programs included **cross-community exchange visits, summer schools, and joint educational seminars**, often facilitated by NGOs and international organizations. According to one Georgian participant:

"The youth exchange programs are essential because young people have fewer entrenched prejudices. They experience life on the other side, meet their peers, and begin to question stereotypes passed down by older generations." (Participant 5, NGO practitioner, Georgia)

Abkhaz participants similarly emphasized the value of educational programs in creating spaces for dialogue. Document analysis revealed that organizations such as the **Caucasus Research Resource Center** and other local NGOs organized summer schools focusing on history, civic engagement, and reconciliation. These programs aimed to foster mutual understanding and critical reflection on the conflict's legacy. Cultural initiatives, including joint arts, music, and sports events, emerged as another key form of informal peacebuilding. These activities created **shared experiences that transcended political or ethnic divisions**, allowing participants to engage in cooperative, non-political contexts. A participant from Abkhazia noted: *"During the joint music workshops, people forget about politics for a moment. They collaborate on something creative. It builds informal trust because they see common humanity, not just conflict narratives."* (Participant 12, Community leader, Abkhazia)

Documents from NGOs highlighted programs like art exhibitions, theater performances, and sports tournaments, designed to bring together young people and families from both communities. While these activities were limited in scale, they served as **symbolic and relational bridges,** providing opportunities for trust-building outside formal political contexts. Dialogue workshops were a central feature of Track II initiatives. These workshops provided structured environments for participants to **share personal narratives, discuss grievances, and explore potential pathways toward reconciliation**. Interviews revealed that workshops were particularly effective in fostering **interpersonal empathy**, as participants reflected on lived experiences of displacement, loss, and conflict trauma.

One participant emphasized:

"The dialogue workshops allow people to speak honestly, to express fears and hopes. Even if it doesn't solve politics, it changes the way people see each other." (Participant 7, NGO facilitator, Georgia)

Workshop facilitators reported that sessions often focused on active listening, conflict transformation, and problem-solving exercises, encouraging participants to practice skills that could reduce hostility in everyday interactions. However, these initiatives faced challenges in reaching wider community audiences, often remaining limited to small, urban-based groups. A smaller subset of initiatives focused on joint community-based projects, such as environmental clean-ups, infrastructure improvement, or small-scale entrepreneurial programs. These projects allowed participants to cooperate on shared goals, fostering trust through tangible collaboration rather than dialogue alone. Observational data suggested that such projects helped participants develop practical confidence in cross-community cooperation, though their scope remained highly localized.Participants reported that informal initiatives had significant micro-level impact, particularly in fostering interpersonal trust and empathy. Across interviews, three sub-themes emerged: individual-level attitude change, perception shifts about the other side, and skill development for dialogue.Several participants emphasized that their experiences in informal initiatives challenged prior prejudices and stereotypes. One Georgian youth participant reflected:

"Before the program, I believed what I was told in my town about Abkhaz people. But meeting them and hearing their stories made me realize that we are not so different." (Participant 3, Youth participant, Georgia)

Similarly, Abkhaz participants reported increased understanding of Georgian perspectives, particularly regarding historical narratives and experiences of displacement. Document analysis corroborated these observations, noting that program evaluations consistently reported increased empathy and willingness to engage in dialogue among participants. Informal initiatives also contributed to **shifts in perceptions about group identities**, highlighting commonalities rather than solely emphasizing differences. Dialogue workshops encouraged participants **to reflect critically on collective narratives**, often leading to recognition of shared suffering, resilience, and aspirations. Facilitators noted that even minor changes in perception—such as willingness to collaborate on projects or speak respectfully across ethnic lines represented **meaningful steps toward reconciliation.** Programs provided participants with practical skills for conflict resolution and dialogue facilitation, which could be applied in broader social contexts. Skills included active listening, constructive communication, empathy exercises, and collaborative problem-solving. These capabilities were especially valued by participants who assumed leadership roles in their communities, allowing informal initiatives to have **a ripple effect**, albeit limited, beyond the immediate program participants. Despite these positive outcomes, participants and document analysis indicated that broader societal reconciliation remained elusive. The majority of communities continue to exhibit segregation, mistrust, and entrenched political narratives, limiting the translation of micro-level successes into systemic change. One NGO practitioner noted:

"We can see changes in the individuals we work with, but it's frustrating because the broader community and political environment often negate our progress." (Participant 9, NGO practitioner, Georgia)

A central finding of the study is that informal peacebuilding initiatives operate under significant constraints, which limit their effectiveness. Participants repeatedly cited governmental restrictions, legal limitations, and political sensitivities as major barriers. In Georgia, movement across Abkhaz-controlled areas is heavily regulated, while in Abkhazia, formal recognition issues and political tensions restrict program participation. These constraints reduce the reach, frequency, and continuity of informal initiatives. One participant observed:

"Even if we want to expand programs to rural areas, security and bureaucratic hurdles prevent people from joining. Politics always overshadows peacebuilding." (Participant 11, NGO facilitator, Abkhazia)

Historical grievances, collective trauma, and ethnic polarization emerged as persistent challenges. Many participants reported that **family, community, and media narratives reinforce divisions**, undermining the trust built during program activities. In addition, socioeconomic disparities, particularly in rural or marginalized areas, limit participation, as youth and families face competing priorities such as employment, education, and survival. External political actors, particularly Russia, influence both formal and informal peacebuilding processes. Interviews revealed that the **presence of external powers shapes program feasibility, legitimacy, and perception**, with participants often expressing caution in navigating politically sensitive environments. While international organizations provide funding and technical support, their influence is mediated by local political realities. External actors play a dual role, both **facilitating and constraining** informal peacebuilding. NGOs, international organizations, and donor agencies contribute resources, expertise, and frameworks for dialogue, enabling initiatives that might otherwise be impossible. Documents from international donors highlighted funding for youth exchanges, workshops, and joint projects, emphasizing cross-community engagement and capacity building.However, external influence also has limitations. Participants reported that **dependency on donor**

priorities, misalignment with local needs, and political sensitivities sometimes hindered program design and implementation. One facilitator noted:

"Sometimes the program design is influenced by donor expectations rather than local realities. This can make our efforts less relevant or effective." (Participant 14, NGO facilitator, Georgia)

Despite these challenges, external actors remain important enablers of informal peacebuilding, providing legitimacy, visibility, and technical support to grassroots initiatives. **meaningful micro-level impacts**, particularly in fostering interpersonal trust, empathy, and dialogue skills. Youth exchanges, cultural projects, dialogue workshops, and joint community initiatives provide spaces for cross-community interaction and trust-building. Participants consistently reported **attitude shifts, perception changes, and enhanced dialogue skills,** reflecting the positive outcomes of grassroots diplomacy. However, the study also highlights significant **limitations**. State-level restrictions, societal divisions, collective trauma, and geopolitical influences constrain the effectiveness and scalability of initiatives. Despite successful individual-level outcomes, **broader societal reconciliation remains limited,** illustrating the persistent gap between micro-level interventions and macro-level change. External actors, while critical for enabling initiatives, sometimes introduce dependency or misalignment with local contexts.These findings underscore the **complex and context-dependent nature of informal peacebuilding**, revealing both its potential and limitations. They suggest that informal diplomacy, while essential, cannot substitute for formal negotiation and political solutions. Instead, it should be **strategically integrated with broader peacebuilding strategies**, considering structural constraints, local needs, and long-term sustainability.

Conclusion

This study examined the role of informal peacebuilding initiatives in the Georgian–Abkhaz conflict, focusing on Track II and Track III diplomacy mechanisms. Through semi-structured interviews, document analysis, and limited field observation, the research explored the **scope, effectiveness, constraints, and external influences** of grassroots peacebuilding. Guided by the research question *How effective are informal peacebuilding initiatives in fostering trust, dialogue, and reconciliation in the Georgian–Abkhaz conflict, and what factors limit their impact?*—the study identified key insights into the micro- and macro-level dynamics of informal diplomacy.

The findings indicate that informal initiatives have **positive micro-level impacts**, particularly in fostering interpersonal trust, empathy, and dialogue skills. However, their effectiveness is constrained by **structural, political, and societal barriers**, and their contribution to systemic reconciliation remains limited. The following sections summarize these insights, relate them to existing literature, and discuss practical and theoretical implications for peacebuilding in protracted conflicts.

1. **Diverse forms of informal peacebuilding initiatives exist**, including youth and educational programs, dialogue workshops, cultural projects, and joint community-based projects. These initiatives create spaces for cross-community interaction and foster mutual understanding. Youth programs, in particular, were highlighted as effective in challenging stereotypes and promoting empathy among younger generations. Cultural projects and collaborative activities provided non-political platforms for trust-building, while dialogue workshops emphasized interpersonal reflection and skill development.

2. **Informal initiatives produce meaningful micro-level outcomes**, such as individual attitude shifts, enhanced dialogue skills, and perception changes regarding the "other" side. Participants consistently reported increased empathy, willingness to collaborate, and greater understanding of different perspectives. These findings align with Lederach's (1997) conflict transformation theory, which emphasizes the importance of bottom-up engagement and interpersonal trust in long-term peacebuilding.

Similarly, Kelman (2008) argues that social-psychological mechanisms, including dialogue and empathy, are crucial for reconciliation in protracted conflicts.

3. **Significant constraints limit the broader impact of informal initiatives**. Structural barriers, such as government restrictions, legal regulations, and security concerns, restrict mobility and access to programs. Societal factors, including ethnic polarization, collective trauma, and socio-economic disparities, further inhibit the scalability of initiatives. Geopolitical influences, particularly the role of Russia and other external actors, shape the feasibility and perceived legitimacy of peacebuilding efforts. These constraints reflect a persistent **micro-macro gap**, where individual-level successes do not translate into systemic change—a theme widely discussed in peacebuilding literature (Caspersen, 2012; Ramsbotham et al., 2016).

4. **External actors play a dual role** in enabling and constraining informal peacebuilding. NGOs, international organizations, and donor agencies provide critical resources, expertise, and platforms for dialogue. However, their influence can introduce dependency, misalignment with local priorities, and perceived political bias. Effective integration of external support requires careful attention to **contextual relevance and sustainability**, emphasizing the need for locally grounded approaches.

The findings corroborate and extend existing research on informal peacebuilding. Consistent with Lederach (1997), the study demonstrates the value of bottom-up engagement in fostering interpersonal trust and social cohesion. Informal initiatives provide opportunities to transform social relationships, challenge stereotypes, and create new narratives, which are essential components of long-term reconciliation.The study also aligns with Kelman's (2008) work on the social-psychological dimensions of reconciliation, highlighting the importance of dialogue, empathy, and cooperative problem-solving. The reported individual-level attitude changes and perception shifts among participants reflect the theoretical claim that micro-level interactions can influence conflict transformation, even in the absence of formal political solutions.However, the research emphasizes the **limitations of informal initiatives in achieving macro-level change**, echoing the concerns of Caspersen (2012) and Lynch (2005). Despite individual transformations, structural constraints, political tensions, and societal divisions limit the broader societal impact. This underscores the importance of integrating informal diplomacy with formal negotiation processes, institutional reforms, and policies that address systemic grievances. The study's findings have several practical implications for policymakers, practitioners, and civil society actors involved in peacebuilding:

1. Informal initiatives should complement state-led negotiations and policy reforms. Establishing communication channels between grassroots actors and government officials can enhance the strategic impact of informal diplomacy. For example, program outcomes could inform negotiation strategies, confidence-building measures, and policy development.

2. Governments and international organizations should work to **reduce legal, bureaucratic, and mobility barriers**, ensuring greater access to programs for rural and marginalized populations. Initiatives should also incorporate culturally sensitive approaches that acknowledge historical grievances and collective trauma, fostering broader societal acceptance.

3. Micro-level successes should be leveraged to expand participation and create networked programs across regions. Long-term funding, capacity-building for facilitators, and ongoing evaluation mechanisms are essential to maintain program continuity and enhance impact.

4. Donor organizations and international actors should prioritize locally informed designs, ensuring that programs address community needs rather than external agendas. This approach enhances legitimacy, relevance, and sustainability of initiatives.

The study contributes to conflict and peacebuilding scholarship by providing empirical evidence on the role of informal diplomacy in a **post-Soviet, protracted territorial conflict**. Key theoretical contributions include:

1. The research confirms that informal peacebuilding fosters interpersonal trust, empathy, and dialogue skills, supporting existing theories on the social-psychological mechanisms of reconciliation (Kelman, 2008; Lederach, 1997).

2. By highlighting structural, political, and societal constraints, the study extends theoretical understanding of the **micro-macro gap**, demonstrating that informal initiatives are necessary but insufficient for systemic reconciliation.

3. The findings reinforce the need for **multi-level approaches**, combining grassroots initiatives, formal negotiations, and supportive institutional frameworks, consistent with contemporary peacebuilding theory (Ramsbotham et al., 2016).

In conclusion, the study highlights the **dual nature of informal peacebuilding** in the Georgian–Abkhaz conflict. While grassroots initiatives demonstrate meaningful **micro-level impacts**, fostering trust, empathy, and dialogue skills, their broader societal influence is constrained by structural, political, and societal factors. Informal diplomacy cannot substitute for formal negotiation or systemic reform, yet it provides a **critical foundation for reconciliation**, especially by engaging youth and fostering interpersonal understanding.

The findings underscore the importance of **integrating informal and formal mechanisms**, addressing contextual constraints, and ensuring sustainability through strategic planning and inclusive program design. For scholars, policymakers, and practitioners, the study provides evidence that **peacebuilding beyond formal negotiations is both necessary and complex**, requiring multi-level approaches that recognize the interplay between micro-level change and macro-level structures.

Ultimately, informal peacebuilding initiatives are a **vital component of conflict transformation**, offering pathways for trust, dialogue, and reconciliation that can complement formal negotiations and contribute to long-term stability in protracted conflicts. By understanding both their potential and limitations, actors involved in peacebuilding can design more effective, context-sensitive strategies that advance sustainable peace in Georgia, Abkhazia, and similar post-conflict settings globally.

References

arb, P. (2012). *Civil society and conflict transformation in the Georgian–Abkhaz conflict: Accomplishments and challenges*. *European Security, 21*(1), 90–101. https://doi.org/10.1080/09662839.2012.656599

Lasariya, A. O. (2017). *The dynamics of peaceful resolution of the Georgian–Abkhaz conflict (before the August 2008 events). RUDN Journal of Political Science, 19*(3), 316–324. https://doi.org/10.22363/2313-1438-2017-19-3-316-324

Hoch, T., & Khundadze, T. (2017). *Orthodox churches and the transformation of the Georgian–Abkhaz conflict. Czech Journal of International Relations, 52*(3), 7–22. https://doi.org/10.32422/cjir.190

Kikalishvili, S. K., & Bragvadze, D. (2025). *Rethinking historiographical disparities and pathways to reconciliation in the Georgian-Abkhazian conflict*. *Frontiers in Political Science, 7*, Article 1523526. https://doi.org/10.3389/fpos.2025.1523526

Otrosh, M. (2023). *The history of the emergence and current state of the Georgian-Abkhazian conflict*. *Problems of World History, 22*, 93–113. https://doi.org/10.46869/2707-6776-2023-22-6

 Clogg, R., Elbakidze, M., & Inal-Ipa, A. (2016). *The art of the possible: Dealing with past violence in the Georgian-Abkhaz conflict*. Conciliation Resources. Retrieved from https://www.c-r.org/accord/reconciliation-and-peace-processes/art-possible-dealing-past-violence-georgian-abkhaz

Popescu, N. (2010). *The EU and civil society in the Georgian–Abkhaz conflict*. Istituto Affari Internazionali. Retrieved from https://www.iai.it/it/pubblicazioni/c09/eu-and-civil-society-georgian-abkhaz-conflict

Aspects of the Georgian-Abkhaz Conflict: Volumes 1–15 (1999–2008). University of California, Irvine Peacebuilding Publications. Retrieved from https://abkhazworld.com/aw/publications/e-library/2547-aspects-of-the-georgian-abkhaz-conflict-vol-1-15

Abkhaz-Georgia peacebuilding cooperation project (n.d.). UC Institute on Global Conflict and Cooperation. Retrieved from https://www.peacebuilding.uci.edu/research/reports/pb_cs_abkhaz_pub.php

Peacebuilding prospects in Abkhazia. (2016). Peace Insight. Retrieved from https://www.peaceinsight.org/en/articles/peacebuilding-prospects-in--abkhazia/

Coppieters, B. (2004). *Federalism and conflict in the Caucasus: The case of Georgia and Abkhazia*. European Centre for Minority Issues.

Paffenholz, T. (2010). *Civil society and peacebuilding: A critical assessment*. Lynne Rienner Publishers.

Hewitt, G. (Ed.). (1999). *The Abkhazians: A handbook*. Routledge.

Lynch, D. (2004). *Engaging Eurasia's separatist states: Unresolved conflicts and de facto states*. United States Institute of Peace Press.

Fuller, L., & Starr, F. (2004). *The Georgian–Abkhaz conflict: A bibliographic guide*. ABC-CLIO.

რუსეთ-უკრაინის ომი, როგორც თავდაცვის ინდუსტრიის განვითარების კატალიზატორი და მსოფლიო ძალთა ბალანსი მომავალში

The Russia-Ukraine War as a Catalyst for the Development of the Defense Industry and the Future Balance of World Power

ქეთევან მესხიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი
Ketevan Meskhidze
Associate Professor of Master's program
in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia
Academic Doctor of International Relations

აბსტრაქტი. კაცობრიობის ისტორია სამხედრო ინოვაციების ისტორიაა - ცივი ომის ტექნოლოგიური რბოლის შედეგად დაბადებული ინტერნეტიდან დაწყებული, დღევანდელი ბრძოლის ველით დამთავრებული, სადაც დრონები და ხელოვნური ინტელექტი სამხედრო ოპერაციების ახალ რუკას განსაზღვრავს. წარმოიდგინეთ სილიკონის ველი 1950-იან წლებში, ჯაშუშური თვითმფრინავების პროგრამული უზრუნველყოფისა და ფრთოსანი რაკეტების ჩიპების სამჭედლო. შევხედოთ უკრაინას, სადაც წელიწადში ოთხი მილიონი დრონის მასობრივი წარმოება ქმნის ახალ რეალობას, რომელშიც ინდივიდუალური ბრძოლები მაუსის ერთი დაწკაპუნებით შეიძლება გადაწყდეს. ამასობაში კი, კულისებში, ახლა ბრძოლა მიმდინარეობს თავდაცვის სამრეწველო გიგანტებსა და ახალ მოთამაშეებს შორის.

კომპანია „Palantir"-ი, რომლის ღირებულებაც 2024 წელს 300%-ით გაიზარდა, ამერიკული თავდაცვის სექტორის მთლიანი კაპიტალის დონეს აღემატება. 28 მილიარდი დოლარის ღირებულების კომპანია „Anduril"-ი პენტაგონის ტენდერებში იმარჯვებს და ისეთ კომპანიებს ჯობნის, როგორიცაა „Lockxit"-ი და „Boeing"-ი. ხოლო ხუთი მილიარდი ევროს ღირებულების „European Helsing"-ი საბრძოლო დრონების მაღალი სიზუსტის მასას ქმნის. ნუთუ ეს გარე სტარტაპები ომის მომავალს ქმნიან? ჩვენ რევოლუციის ზღვარზე ვიმყოფებით. ხელოვნური ინტელექტი ბრძოლის ველზე გადის. უპილოტო ტექნიკა ჯარისკაცებს ცვლის, ხოლო ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები ომსა და მშვიდობასა შორის ზღვარს შლიან. და ამ ყველაფერს ადგილი აქვს მსოფლიოში, სადაც ძალთა გეოპოლიტიკური ბალანსი კვლავ მრავალპოლარული ხდება.

კაცობრიობის დასაბამიდან მოყოლებული, ომი და ტექნოლოგიები განუყოფლად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ისინი, ვინც პირველები ნერგავდნენ ინოვაციებს ბრძოლის ველზე, იღებდნენ უპირატესობას, რომელიც ხშირად განსაზღვრავდა მთელი ცივილიზაციების ბედს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ტექნოლოგიამ, რომელიც თავდაპირველად სამხედრო გამოყენებისთვის იყო შემუშავებული, საბოლოოდ ძლიერი გავლენა მოახდინა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

სტსტიაში განხილულია ახალი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე სამხედრო კონფლიქტებსა თუ ომებში. ძირითადი აქცენტირება ხდება იმაზე, როგორ ცვლის თანამედროვე ტექნოლოგიები გლობალურ მსოფლიო წესრიგს.

საკვანძო სიტყვები: თავდაცვის ტექნოლოგიები, სამრეწველო კომპლექსი, სტარტაპები, ინოვაციები, დრონები, სილიკონის ველი, ტექნოლოგიური უპირატესობა.

Abstract. The history of humanity is a history of military innovation - from the Internet, born of the Cold War technological race, to today's battlefield, where drones and artificial intelligence are defining a new map of military operations. Imagine Silicon Valley in the 1950s, a forge of software for spy planes and chips for cruise missiles. Consider Ukraine, where the mass production of four million drones a year is creating a new reality in which individual battles can be decided with the click of a mouse. Meanwhile, behind the scenes, a battle is now underway between defense industrial giants and new players.

Palantir, whose value increased by 300% in 2024, exceeds the total capitalization of the American defense sector. Anduril, valued at $28 billion, is winning Pentagon tenders, beating out companies such as Lockxit and

Boeing. And the five billion euro “European Helsing” is creating a high-precision mass of combat drones. Are these outside startups creating the future of warfare? We are on the verge of a revolution. Artificial intelligence is taking to the battlefield. Unmanned aerial vehicles are replacing soldiers, and dual-use technologies are blurring the lines between war and peace. And all of this is taking place in a world where the geopolitical balance of power is once again becoming multipolar.

Since the dawn of humanity, war and technology have been inextricably linked. Those who were the first to introduce innovations on the battlefield gained an advantage that often determined the fate of entire civilizations. It is also worth noting that many technologies that were originally developed for military use ultimately had a powerful impact on accelerating the economic development of society and improving the well-being of society.

The article discusses the role and significance of new innovations and technologies in modern military conflicts and wars. The main emphasis is on how modern technologies are changing the global world order.

Keywords: defense technologies, industrial complex, startups, innovations, drones, Silicon Valley, technological advantage.

შესავალი

მსოფლიო ომებმა, ცივი ომის დაძაბულ პერიოდთან ერთად, შექმნა ოპტიმალური პირობები სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებისთვის. დასავლეთის ბლოკის ქვეყნების სტრატეგიულმა საჭიროებებმა ხელი შეუწყო იმ ინოვაციების დაფინანსებას, რამაც განაპირობა პერსონალური კომპიუტერებისა თუ ინტერნეტის გავრცელება, რომელიც წარმოიშვა პენტაგონის მიერ კოორდინირებული „Arpannet“ პროექტის შედეგად. რევოლუციური ტექნოლოგიის კიდევ ერთი მაგალითი, რომელმაც გააუმჯობესა დაზვერვა და იარაღის სიზუსტე, იყო GPS სისტემა, რომელიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში ამერიკული სამხედრო წარმატებების საფუძვლად იქცა. ამდენად, სამხედრო ტექნოლოგიებმა, ოპერატიული უპირატესობების უზრუნველყოფის გარდა, შეიძლება მიგვიყვანოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების უფრო ფართო ადაპტაციამდე სამოქალაქო სფეროში, რაც ხშირად ამა თუ იმ ტექნოლოგიის ცალკეული ასპექტების შემდგომ დახვეწას იწვევს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია პერსონალური კომპიუტერებისა და ნახევარგამტარების სექტორი, რომელიც ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავდა შეერთებული შტატების ტექნოლოგიურ უპირატესობას. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში, მისი არსებობის გარიჟრაჟზე, სილიკონის ველი ძირითადად დაკავებული იყო სადაზვერვო თვითმფრინავებისთვის სადაზვერვო პროგრამული უზრუნველყოფისა და ფრთოსან რაკეტებში გამოსაყენებელი ჩიპების წარმოებით.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ რევოლუციურ ტექნოლოგიებში მრავალმილიარდიანი ინვესტიციების გარდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ათწლეულების განმავლობაში გამოყენებული გადაწყვეტილებების მუდმივი გაუმჯობესება და დახვეწა, რომლის კარგ მაგალითია კოსმოსური და სარაკეტო ინდუსტრია, სადაც დიდი იმედები იყო დამყარებული ჰიპერბგერით რაკეტებზე, რაც მაღალი სიზუსტის იარაღის შემუშავების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს.

პირველი ასეთი იარაღი მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა და შემდგომ, იგი ცივი ომის დროს, სტანდარტული, სტრატეგიული არსენალის სიმბოლოდ და ერთ-ერთ მთავარ ელემენტად იქცა. ამჟამად, ისეთი მსხვილი სამხედრო ძალების მქონე დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი და სხვა, უკვე ჰიპერბგერითი რაკეტების სხვადასხვა ვერსიაზე მუშაობენ.

მსგავსი ვითარებაა საჰაერო თავდასხმის ფართო სპექტრის საშუალებების - ზემოხსენებული ჰიპერბგერითი იარაღიდან დაწყებული დრონებით დამთავრებული - წინააღმდეგობის გაწევის სფეროშიც, სადაც ლაზერულ ან მიკროტალღურ იარაღს განსაკუთრებით მაღალი პოტენციალი აქვს, რაც არსებულ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებთან შედარებით აშკარად უფრო

იაფ ალტერნატივას წარმოადგენს. თუმცა, ილუზიების ქონა საჭირო არ არის და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უახლოეს წლებში სატრანსპორტო საშუალებების პროგრესული ავტონომიზაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო სფეროში.

დაზვერვის ახალი მეთოდების დანერგვითა თუ შეტევითი ტექნოლოგიების რანგში მოქმედებით, უპილოტო სისტემები, როგორც უფრო ეკონომიური საშუალებები, ჩაანაცვლებენ რა ჯარისკაცებს ყველაზე სახიფათო მისიებში, რევოლუციას მოახდენს ბრძოლის ველზე. მიმდინარე კონფლიქტებში, დრონები გამოყენებულ იქნება როგორც დაზვერვის, ისე საცეცხლე მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით ტაქტიკურ დონეზე და ჩაანაცვლებენ სხვა ტრადიციულ სისტემების, როგორიცაა არტილერია ან ძვირადღირებული მაღალი სიზუსტის რაკეტები.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროების ანალიზზე, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

ძირითადი ნაწილი

უპილოტო სისტემების ფართოდ დანერგვის ტენდენციას ადასტურებს ახალი თაობის საჰაერო და სახმელეთო მანქანების პროექტები, როგორიცაა ევროპული „FCAS“ (Future Combat Air System) და „MGCS“(Main Ground Combat System), რომლებიც უპილოტო ბლოკების მხარდაჭერით გამოირჩევიან, რომლის წყალობითაც გაზრდიან როგორც მთელი სისტემების სიცოცხლისუნარიანობას (გადარჩენის უნარს), ისე საცეცხლე შესაძლებლობებს. უპილოტო მანქანებს, ანუ აპარატურის უზრუნველყოფას მოჰყვება ავტონომიური პროგრამული უზრუნველყოფა. ხელოვნური ინტელექტი ცვლის თამაშის წესებს. იგი საშუალებას იძლევა შექმნას ავტონომიური შეიარაღების სისტემები, რომლებიც ადამიანაბზე სწრაფად რეაგირებენ და გადაყწვეტილებების მიღების ისეთი სიზუსტით გამოირჩევიან, რომლის მიღწევაც ადამიანი-ოპერატორის შემთხვევაში შეუძლებელია. ხელოვნური ინტელექტის განვითარება ასევე ხელს შეუწყობს უპილოტო ხომალდების ავტონომიზაციას და საშუალებას მისცემს მათ უფრო ეფექტურად განახორციელონ დარტყმა წინაღობებისა და დაბრკოლებების ქვეშ მყოფ სამიზნეებზე, ან შეიმუშონ საბრძოლო მასალების უფრო ეფექტური ფორმები. აგრეთვე სისტემები, უპილოტო საფრენი აპარატების კოორდინირებული ჯგუფების ფრენის მისიების დაგეგმვის, მომზადებისა და რელურ დროში მართვისთვის. აქ ბუნებრივია, ლოგიკურად თავს იჩენს არაერთი კითხვა ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, იმასთან დაკავშირებით, მივცეთ თუ არა მანქანებს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხების გადაწყვეტის უფლება. ეს არის დილემა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს გარკვეული სახის ინოვაციებს. თუმცა, არსებული სერიოზული კონფლიქტებიდან მომდინარე ზეწოლა, მუდმივად ცვლის ამ საზღვრებს.

ამავდროულად, მიმდინარე კონფლიქტები, როგორიცაა უკრაინაში სამხედრო მოქმედებები, მოწმობს აღნიშნულ სფეროში სწრაფ პროგრესს, რაც ძირითადად იმპროვიზაციის საჭიროებიდანაა გამოწვეულია[387]. ხელოვნური ინტელექტი ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას მონაცემთა მონიტორინგისა და ანალიზის მოწინავე სისტემებში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფრთხეების გამოვლენაში, რისკების შეფასებასა და რეალურ დროში

[387] Humble Kristian., „War, Artificial Intelligence, and the Future of Conflict“, Jeorgetown Joirnal of International Affairs, 2024, rb.gy/4adtfc, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

გადაწყვეტილების მიღების დაჩქარებაში. ხელოვნური ინტელექტის თანდათანობითი განვითარება ხელს შეუწყობს თანამედროვე მართვისა და კონტროლის სისტემების გაჩენას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამხედრო მოქმედებების კოორდინაციაში ე.წ. მრავალდომენიანი ოპერაციების ეპოქაში.

კიდევ ერთი სფერო, რომელიც აშკარად დარჩება მოგებული ხელოვნური ინტელექტის განვითარების შედეგად, არის სამხედრო სიმულატორები, რომელიც ხელს შეუწყობს სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის შემცირებას. ხელოვნური ინტელექტი, შესაძლებელს გახდის რა უკეთ იქნას გამოყენებული საინფორმაციო სფერო და ცეცხლსასროლი იარაღის ეფექტურობა, გახდება გასაღები ტექნოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად მომავალ კონფლიქტებში. აღნიშნული ტექნოლოგიის მნიშვნელობას ასევე აღიარებენ ტრადიციული თავდაცვის ინდუსტრიაში ჩართული წარმომადგენლებიც, რომლებიც ხშირად სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ინოვაციების მიმართ. მაგალითად, გერმანული კომპანია „რეინმეტალის“ აღმასრულებელი დირექტორის - არმინ პაპენგერის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, უახლოეს მომავალში ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბრძოლის ველის მართვასა და მოწინააღმდეგის ქვედაყანოფების იდენტიფიცირებაში[388].

ყოველივე ზემოაღნიშნული კი ერთ რამეზე მიუთითებს: ბოლო აღწლეულების განმავლობაში უკრაინა იქცა ინოვაციების უდიდეს ლაბორატორიად, სადაც ტექნოლოგიები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ შორეულ პერსპექტივად გვევლინებოდა, ახლა რეალურ დროში გამოცდას გადის.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მუდმივად ვითარდება და ცვალებად გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია როგორც ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ დონეზე გამარჯვების მთავარი საწინდარია.

ამჟამად რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი დასკვნები ჯერჯერობით დაკავშირებულია ზუსტი საჰაერო დარტყმების განხორციელებისთვის საჭირო ყველაზე ხარჯვადი და იაფი საშუალებებისა და დაზვერვასა თუ საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის განკუთვნილი უპილოტო ხომალდების გავრცელებასთან. კონფლიქტის გარე დამკვირვებლებისთვის ყველაზე შოკის მომგვრელია დრონების მასიური წარმოება. უკრაინა წელიწადში ოთხ მილიონამდე ერთეულ დრონს აწარმოებს და ამ წარმატების უკან დგას არა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავდაცვის კონგლომერატი[389], არამედ კერძო სექტორი, რომელიც სწრაფად მოერგო ომის დროს არსებულ საჭიროებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც დაკვირვების შედეგად იქნა გამოვლენილი, არის დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსცირების საშუალებების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და რაოდენობის ზრდა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ძალთა კონცენტრაციას, განსაკუთრებით, ჯავშან-სატანკო ქვედანაყოფებისთვის, რაც დიდწილად ხსნის ფრონტის ხაზზე მრავალ რაინში არსებულ ჩიხს.

ომი უკრაინაში - არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ელექტრომაგნიტურ სპექტრში უხილავ ბრძოლასაც წარმოადგენს. ის, ვინც აკონტროლებს რადიოტალღებს, აქვს უპირატესობა. ამიტომ RSI-ის[390] ანალიტიკოსების განცხადებით, კონფლიქტმა აჩვენა, თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს

[388] Brandenstein Philipp von., „Dimensions“, „The Rheinmetall Magazine, Conflicts“, The New Facts of War Call For Integrated Security, Pdf, 2024;

[389] კონგლომერატი - ფირმების გაერთიანება, ზოგჯერ იურიდიული პირი, რომელიც მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ეკონომიის სხვადასხვა სექტორში; ურიდია ს., გურგენიძე ვ., მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004 წ, გვ.483;

[390] Relative Strength Index (RSI is a momentum indicator used in technical analysis);

რადიოელექტრონულ ბრძლას ოპერატიულ მოქმედებებზე და რამდენად რთულია ელექტრომაგნიტურ სფეროში მდგრადი უპირატესობის მოპოვება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია დრონების გამოყენებისას, რომლებიც მუდმივ განახლებას საჭიროებენ.

ასევე თვალშისაცემია ჯავშანტექნიკის დაბალი „სიცოცხლისუნარიანობა“ და საჰაერო თავდაცვის ფასდაუდებელი როლი არა მხოლოდ შეიარაღებული ძალებისთვის, არამედ მთელი ეკონომიკის სტაბილურობისა და ეფექტური ფუნქციონირების შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამიტომ, საჰაერო თავდასხმის დაბალფასიანი საშუალებებით წინააღმდეგობის გაწევა, მაგალითად როგორიცაა დრონები ან დისტანციური მართვის უპილოტო საფრენი აპარატები - „კამიკაძე დრონებით“, ისე, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტს მოიცავდეს - ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. და აქ, ისევე, როგორც კონფლიქტის სხვა მრავალ სფეროში, კერძო სექტორს შეუძლია ფასდაუდებელი მხარდაჭერის გაწევა. და ისევ უკრაინის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, აქ გამოყენებული არაერთი სამხედრო გადაწყვეტილება ეფექტურად განხორციელდა სწორედ სამოქალაქო კომპონენტის ჩართულობის წყალობით[391]. ზემოაღნიშნული დრონების მასობრივი წარმოებაც სწორედ ამის ილუსტრირებას წარმოადგენს. ეჭვგარეშეა, რომ ამ ომმა მნიშვნელოვნად დააჩქარა სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება, აიძულა შეიარაღებული ძალები მოეხდინათ მათთან ადაპტაცია და ამით შექმნა ხელსაყრელი პირობები ახალი გადაწყვეტილებების აპრობაციისთვის. ალიანსის ქვეყნებს შორის თავდაცვის ხარჯების მკვეთრი ზრდისა და კერძო ბაზრის დაინტერესების წყალობით, კონფლიქტი ასევე გარდამტეხ მომენტად იქცა თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

მართლაც, გასათვალისწინებელია, რომ ცივი ომის დასრულებიდან ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში თავდაცვის სექტორი ხასიათდებოდა მაღალი კონცენტრაციითა და სამთავრობო შეკვეთებზე დამოკიდებულებით. ახალი ეპოქის სიმბოლო გახდა ე.წ. „უკანასკნელი ვახშამი“, რომლის დროსაც ამერიკელებმა გადაწყვიტეს თავდაცვის სექტორის კონსოლიდაცია მხოლოდ ხუთ ორგანიზაციამდე, ე.წ. „თავდაცვის პრაიმებამდე“[392]. შედარებისთვის, 1950-იან წლებში ამერიკაში 50-ზე მეტი მსგავსი ზომის კომპანია არსებობდა. თავდაცვის ხარჯებისა და კონკურენციის შემცირებამ, რომელიც გამოწვეული იყო დამოკიდებულებებისა და გრძელვადიანი სამხედრო კონტრაქტების მჭიდრო ქსელით, შექმნა შესვლის მაღალი ბარიერები, რამაც თავდაცვის სექტორი სტაგნაციამდე მიიყვანა, რაც ბევრი ანალიტიკოსის აზრით, უარყოფითი გავლენის მქონე აღმოჩნდა ტექნოლოგიური პროგრესის ტემპისა და ადაპტაციის შესაძლებლობების თვალსაზრისით. თუმცა, ბუნება ვერ იტანს ვაკუუმს და ვენჩურული კაპიტალის[393] განვითარებული სექტორის ნაყოფიერ ნიადაგზე, ხუთეულ დიდ კომპანიასთან ძლიერი კონკურენცია იზრდება.

თავდაცვის სექტორში სტატუსკვოს დარღვევისკენ მიმართული ინოვაციების ტალღის სიმბოლო აღმოჩნდა კერძო ამერიკული კომპიუტერული პროგრამების კომპანია „პალანტირი“, რომელმაც ფუნქციონირება 2004 წელს, ტერორიზმის წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე დაიწყო.

---

[391] Robertson Noah., As Ukraine builds better drones, do American firms still have a role? Defense News, rb.gy/qcrkyz, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[392] Robertson Noah., The Pentagon wants industry to transform again to meet demand.Can it? Defense News, rb.gy/yw7dr5, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[393] ვენჩურული კაპიტალი - კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ინოვაციური პროექტების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური დამუშავებებისა და გამოგონებების დასაფინანსებლად და დაკავშირებული დიდ რისკთან. ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვისას, მოსალოდნელი შედეგების ნაკლებად სტაბილურობის გამო, მას ხშირად „სარისკო კაპიტალსაც“ უწოდებენ. ასათიანი რ., ჭითანავა ნ., პავლიაშვილი ს., არჩვაძე ი., კახნიაშვილი ჯ., თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, „სიახლე“, 2012 ;

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამ კომპანიის მთავარი შემკვეთი და ინვესტორი იყო საკუთარი „Inqutel“ ტექნოლოგიური ფონდის მეშვეობით. აღნიშნული კომპანია სპეციალიზირდება ე.წ. „big data analysis“-ზე, ანუ დიდი მონაცემების დამუშავებასა და ანალიზზე. მის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა გამოყენება ორგანიზაციებს შორის მონაცემების ერთ ინტეგრირებულ პლატფორმაზე უფრო ეფექტური კონსოლიდაციისთვის. გარდა ამისა, კომპანია ავითარებს ციფრული ორეულების ტექნოლოგიებს, რომელიც გამოიყენება ეკონომიკის დარგების უმეტესობაში, კერძოდ, ტექნოლოგიების წარმოებაში, არა მხოლოდ სამხედრო მიმართულებით, არამედ ასევე უზრუნველყოფს მომსახურებას საავტომობილო, ფინანსურ და ენერგეტიკის სექტორებში. მაგალითად, კომპანია „Brytish Petroleum“-ი იყენებს მის პროგრამულ უზრუნველყოფას რესურსების აქტივების სამართავად და ნავთობსაბადოებიდან ნავთობის მოპოვებისთვის[394]. ამჟამად, კომპანიის შემოსავლების თითქმის ნახევარი კომერციულ სექტორზე მოდის. ტექნოლოგიების ორმაგი დანიშნულების ბუნებამ იგი აიძულა, შეემუშავებინა ორი ცალკეული ოპერაციული სისტემა საჯარო და კერძო სექტორებისთვის. კომპანია მრავალი წლის განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობდა ამერიკულ სპეცსამსახურებთან, ისეთი, როგორიცაა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, ეროვნული უსაფრთხოების ბიურო და ფედერალური საგამოძიებო ბიურო, ასევე სპეციალური დანიშნულების ძალებთან. ამასთან, საგულისხმოა, რომ კომპანი „პალანტირი“ არ ჰყიდის საკუთრ პროდუქციას ჩინეთზე ან სხვა ქვეყნებში მცხოვრებ მომხმარებლებზე, რომლებიც შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ მეტოქედ ითვლებიან. კომპანიის დამფუძნებელი ალექს კარპი სხვა ტექნოლოგიურ კომპანიებთან შედარებით, უფრო ხშირად უსვამს ხაზს კომპანიის ორგანიზაციული კულტურისა და მისიის მნიშვნელობას. კომპანია დაფუძნებულია პატრიოტიზმსა და შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაზე როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს.

ამერიკული წარმატების კიდევ ერთ ისტორიას წარმოადგენს კომპანია „Anduril“-ის სწრაფი ზრდა, რომელიც პასუხისმგებელია სამხედროებოსთვის უპილოტო ხომალდებისა და პროგრამული სისტემების შემუშავებაზე. 2025 წელს კომპანია 2.5 მილიარდი დოლარის მოზიდვას გეგმავს, რომლის ღირებულებაც 28 მილიარდ დოლარადაა შეფასებული[395]. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, სტარტაპმა გააფართოვა თავისი ბიზნესი და რაკეტების ძრავის სისტემების წარმოებაც მოიცვა. კომპანია ასევე მუშაობს ავსტრალიისთვის ავტონომიური ხომალდების პროექტებზე და განიხილავს დრონების წარმოების ქარხნის აშენებას დიდ ბრიტანეთში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვილი სამხედრო კონტრაქტები უკვე აღარ წარმოადგენენ მხოლოდ დარგის მსხვილი კომპანიების პრეროგატივას.

პენტაგონი აღიარებს კერძო სექტორის მნიშვნელობას და ამავდროულად ცდილობს ადაპტაციას ახალ ბრძოლის ველთან, ასიმეტრიული შესაძლებლობების განვითარებისა და სამხედრო სისტემების მასიური გაციფროვნების ხარჯზე. მიდგომებთან დაკავშირებული ცვლილებები დასტურდება შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა კორპუსისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის შესყიდვების გეგმებით, რომელიც ორიენტირებულია ძალების გაშორიშორებასა და ისეთი მძმე და ძვირადღირებული ქვედანაყოფების აღმოფხვრაზე, როგორიცაა ტანკები ან კრეისერები. ასეთივე ტენდენცია შეინიშნება პენტაგონის ზოგიერთ სამხედრო პროგრამაში, როგორიცაა მაგალითად, „Replicator“-ი, რომელიც დაკავშირებულია

[394] Mascall Ben., „Palantir and Agree to 5-Year Strategic Relationship With New AI Capabilities“, Palantir, Investor Relations, rb.gy/470rql, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[395] Brennan Morgan., Levy Ari., „Anduril in talks to raise money at &28 Billion valuation as defense-tech booms“, CNBC, rb.gy/kgabny, 2025, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

დრონებთან[396]. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, პროგრამაში მონაწილე 500-ზე მეტი კომპანიიდან 30-მა მიიღო კონტრაქტი. ამასთან, კომპონენტების მომწოდებელი კომპანიების 75%-მდე სამოქალაქო სექტორშია დასაქმებული. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოებაც, რომ ამავდროულად, სახმელეთო სფეროში, შეერთებული შტატების არმია კომპანია „Epiros“-ის მიერ შექმნილი მიკროტალღური იარაღის სახით დრონებისგან თავდაცვის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ირჩევს[397].

სამხედრო სფეროში საჭიროებების ცვალებადობამ და აქედან გამომდინარე, თავდაცვის სექტორის წინაშე არსებულმა გამოწვევების მასშტაბმა ათწლეულების განმავლობაში ხელი შეუწყო თანამშრომლობასა და ტექნოლოგიების შერწყმას ახალი სისტემების შემუშავების სტადიიდან დაწყებული სერიულ წარმოებამდე და შეიარაღებულ ძალებში დანერგვის პროცესამდე. ბოლო პერიოდში თანამშრომლობის ტალღა, მათ შორის მცირე მოთამაშეებს შორის, წარმოადგენს ბრძოლის ველის მზარდი გაციფროვნებისა და ინოვაციების ტემპის მკვეთრი აჩქარების შედეგს, რასაც რუსეთსა და უკრაინას შორის სამხედრო მოქმედებებიც ადასტურებს.

შეერთებულ შტატებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდა უმსხვილესი თავდაცვითი კომპანიების ოლიგოპოლია[398], ახლა უკვე შეინიშნება ახალი ტენდენცია ინდუსტრიული პარტნიორობის განზომილებაში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს კომპანია „Anduril“-სა და „General Atomics“ შორის თანამშრომლობა, რომლებმაც ერთად მოიგეს კონტრაქტი ახალი უპილოტო ხომალდების შემუშავებასა და წარმოებაზე აშშ-ის საჰაერო ძალების უპილოტო სატრანსპორტო საშუალებების პროგრამის ფარგლებში[399].

უპილოტო საფრენი აპარატები გამოყენებულ იქნება ახალი თაობის გამანადგურებელ „NGAD“-თან (Next Generation Air Dominance) ერთად. გარდა ზემოაღნიშნული კონტრაქტისა, გაფორმულ იქნა შეთანხმება ხელოვნური ინტელექტის ამერიკულ ორგანიზაცია „Open AI“-თან, დრონების საწინააღმდეგო ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით[400].

ამასობაში, კომპანია „Polantir“-მა გადაწყვიტა კიდევ ერთ - ამერიკულ აეროკოსმოსურ და თავდაცვის ტექნოლოგიების კომპანია „SHIEL AI“-თან თანამშრომლობა ერთობლივი მართვისა და კონტროლის სისტემებისა და აგრეთვე უპილოტო ხომალდების ავტონომიურობის განვითარების სფეროში[401]. ახალი გადაწყვეტილებებში გამოყენებულ იქნება კომპანიების - „Palantir“-ის მიერ შემუშავებული ინოვაციური ოპერაციული სისტემა და „Shield AI“-ის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები. კომპანია „Palantir“-მა ასევე გადაწყვიტა თავისი ტექნოლოგიების კომპანია „Anduril“-ის პროდუქტებში ინტეგრირება[402].

---

[396] Replicator. „The Replicator initiative is DoD's effort to accelerate delivery of innovative capabilities to the warfighter at speed and scale trough senior leader focus on solving a specific operational challenge“, Defense Innovation Unit, 2025, https://www.diu.mil/replicator, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[397] Bisht, Inder singh., „US Army Receives First Microwave Based Counter Drone Swarm Prototype“, The Defense Post, 2023, https://thedefensepost.com/2023/11/02/us-army-microwave-drone/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[398] ოლიგოპოლია - ეკონომიკის ერთ რომელიმე დარგში რამდენიმე მსხვილი ფორმის ბატონობა. - თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ასათიანი რ., ჭითანავა ნ., პავლიაშვილი ს., არჩვაძე ი., კახნიაშვილი ჯ., თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, „სიახლე“, 2012.

[399] Tirpak John., Harpley Unshin Lee., Gordon Chris., „Anduril and General Atomics to Develop New Collaborative Combat Aircraft for Air Force“, Air & Space Forces Magazine, 2024, rb.gy/zazp3w/ (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[400] Article: „Anduril Partners with Open AI to Advancr U.S. Artificial Intelligence Leadership and Protect U.S. and Aiiles Forces“, Anduril Industries, 2024; rb.gy/jhnwa4/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[401] Gordon Lisa., „SHIEL AI and Palantir Technologies Deepen Strategic Partnership and Announce Deployment of Warp Speed“, 2024, rb.gy/9a0wpe, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[402] Article: „Anduril and Palantir to Accelerate AI Capabilities for National Security“, Anduril, SIMI VALLEY, CA, 2024, rb.gy/heez95/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

ამდენად, ამერიკული თავდაცვის-ტექნოლოგიური კომპანები „Palantir“-ის, „Space X“-ისა და „Anduril“-ის ხელმძღვანელობით, გეგმავენ კონსორციუმის შექმნას, სამხედრო კონტრაქტების მიღების ხელშეწყობის მიზნით, რათა უზრუნველყონ საკუთარი პოზიციების წინ წაწევა არსებულ ხუთ დომინანტურ თავდაცვის კომპანიებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული პენტაგონის შეკვეთების აბსოლუტურ უმრავლესობას ახორციელებენ.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის ივნისში, კომპანია „Palantir“-მა, თერთმეტ სხვა კომპანიასა და ინვესტორთან ერთად, ღია წერილით მიმართა პენტაგონს, რომელშიც სამხედრო კონტრაქტების მიღების მსურველი კერძო საწარმოების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. თუ კარგად დავაკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ კომპანია „პალანტირი“ საკუთარ თავს სამხედრო შესყიდვების სისტემის რეფორმირებისა და მთელი თავდაცვის სექტორის სტრუქტურის მთავარ მხარდამჭერად მიიჩნევს. დოკუმენტში ხაზგასმული იყო მხოლოდ ერთ მომწოდებელთან კონტრაქტებზე დამოკიდებული სექტორის კონსოლიდაციის ნეგატიური შედეგები. ასევე, ამჟამინდელი ვითარება შედარებული იყო ცივი ომის პერიოდთან, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტის ლომის წილი როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ბაზრებზე მომუშავე კომპანიებზე მოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში, სადაც პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „ორმაგი ცირკულაციის მოდელი“ და სამოქალაქო და სამხედრო სექტორების შერწყმა, თავდაცვის კომპანიები შემოსავლების 40%-მდე სამოქალაქო სექტორიდან იღებენ. კომერციული ტექნოლოგიების მხარდაჭერაზე უარის თქმამ ინდუსტრიაში სტაგნაცია და, საბოლოო ჯამში, უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო სახსრების ფლანგვა გამოიწვია. ამაში მთავარ დამნაშავეებად დასახელებულ იქნა ე.წ. „ხარჯები პლუს“ ტიპის კონტრაქტები, რომლებიც არ აწესებენ კონკრეტულ ვადებს და შესაბამისად, არ ქმნიან სტიმულს ეფექტურობის გაზრდისა და პროექტების უფრო სწრაფად დასრულებისთვის.

კომპანია „Palantir“-ის კონცეფციას იზიარებს თავდაცვის კონტრაქტორი და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებელი ამერიკული ტექნოლოგიური კომპანია „L3 Harris Technologies“, რომელიც აწარმოებს პროდუქტებს მართვისა და კონტროლის სისტემებისთვის, ამავდროულად წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს იარაღის მიმწოდებელ კომპანიასაც. კომპანიებმა სტრატეგიული პარტნიორობა გააფორმეს, რომელიც პენტაგონის შესყიდვების პროცესის რეფორმირებას მოითხოვს[403]. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ანგარიშგების პროცესის გამარტივებისა და სხვა კომპანიებთან ერთობლივი შეკვეთების ორგანიზების აუცილებლობაზე. აღნიშნულ პოსტულატებს, ყოველ შემთხვევაში - თეორიულად, იზიარებს აშშ-ის თავდაცვის ახალი ადმინისტრაციაც. შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა პირ ჰექსეტმა, თავის პირველ განცხადებაში პირდაპირ მიმართა სილიკონის ველს და თავდაცვის ტექნოლოგიების მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მისი აზრით, ტექნოლოგიური უპირატესობა ამერიკელი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის მთავარ წყაროდ უნდა იქცეს[404].

ტრადიციული კომპანიების - როგორიცაა „RTX“, „Lockheit Martin“ ან სტარტაპების გარდა, პენტაგონიდან კონტრაქტებს იღებენ ისეთი ტექნოლოგიური გიგანტები, როგორიცაა „Amazon“-ი, „Google“-ი, „Microsoft“-ი ან „Oracle“-ი. მაგალითისთის, ეს უკანასკნელი დაიწყებს

[403] Article: „Corporate Headquarters, L3 Harris and Palantir Announce Strategic Partnership“, Press Rellease, 2024; rb.gy/8yxdyt. (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[404] Article: „Can America’s weapons-makers adapt to 21st-century warfare“? The Economist, 2023, https://www.economist.com/business/2023/11/01/can-americas-weapons-makers-adapt-to-21st-century-warfare, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

პენტაგონისთვის სათვალეების მიწოდებას, რომელიც გაძლიერებული იქნება რეალობის აღქმითა და მისთვის ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის შექმნით. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ მზარდი თვდაცვის ბიუჯეტი ძირითადად სამოქალაქო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიების ყურადღებას იპყრობს. რეფორმის მთავარ დაბრკოლებად შესაძლოა იქცეს კონგრესი, რომლის თანხმობაც საჭიროა ბიუჯეტის გეგმების შესაცვლელად. წლების განმავლობაში, მისი წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ სტატუს-კვოს შენარჩუნებასა და ცალკეულ შტატებში სამრეწველო წარმოების დაცვას, რომელიც დამოკიდებული იყო გრძელვადიან სამხედრო კონტრაქტებზე.

საინტერესო ვითარება იკვეთება ატლანტიის ოკეანის მეორე მხარესაც. თუმცა, ევროპაში, ტრადიციულად, მოქმედებს უფრო სარისკო ბაზრის პრობლემა. თავდაცვის ტექნოლოგიების სექტორში ერთად-ერთ კომპანიას წარმოადგენს დაახლოებით ერთი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების გერმანული „ჰელსინგი“, რომელმაც გასულ წელს შემდგომი განვითარებისთვის 450 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტიცია მოიზიდა და მისმა ღირებულებამ ხუთ მილიარდ ევროს მიაღწია. აქვე, აღსანიშნავია გერმანული კომპანიის სტრატეგიული პარტნიორობა კიდევ ერთ ევროპულ წამყვან კომპანიასთან, კერძოდ, ფრანგულ „მისტრალთან“[405], რომელიც ხელოვნური ინტელექტის სფეროში მუშაობს.

გერმანული „ჰელსინგი“ ასევე აქტიურად თანამშრომლობს უკრაინასთან, სადაც აწარმოებენ HX2 ტიპის საბრძლო დრონებს. 100 კმ ფრენის დიაპაზონითა და ელექტრომაგნიტური დაბრკოლებებისადმი მდგრადობით გამორჩეული აღნიშნული საფრენი აპარატი, დიდი ალბათობით, მაღალი სიზუსტის რაკეტებისა და სარაკეტო არტილერიის უფრო იაფ ალტერნატივად იქცევა. უკრაინაში ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, გერმანულმა სტარტაპმა მნიშვნელოვნად დააჩქარა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების პროცესი, რაც უმნიშვნელოვანესია დრონების გამოყენების ეფექტურობისთვის. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ტორსტენ რაილი, ღიად საუბრობს საბრძოლო დრონების მაღალი სიზუსტის მასის შექმნასთან დაკავშირებით. მხოლოდ უკრაინაში, გერმანულმა მწარმოებელმა 6000 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატის მიწოდების ვალდებულება აიღო. ამავდროულად, საზღვაო სექტორში, კომპანია „ჰელსინგს“ აქვს ამბიცია, ჩაანაცვლოს გემები წყალზედა უპილოტო საფრენი აპარატებით, რომლებიც წარმატებით მოქმედებენ შავ ზღვაში უკვე მრავალი თვის განმავლობაში, რაც ეფექტურად ანეიტრალებს რუსეთის უპირატესობას დიდი წყალზედა გემების სფეროში.

სტარტაპების სხვა საინტერესო მაგალითებს წარმოადგენს ფრანგული „Command AI“, რომელიც დაკავებულია მართვისა და კონტროლის (C2) პლატფორმების განვითრებასთან, ან გერმანული „ARX Robox“-ი. კომპანიების უმეტესობა დრონებისთვის მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების პროგრამული უზრუნველყოფისა და ასევე მართვის სისტემებსა და სამხედრო მონაცემთა ანალიზში ახალი გადაწყვეტილებების შექმნაზეა ორიენტირებული.

მნიშვნელოვანი ევროპული პროექტი, რომელიც მოითხოვს მოწინავე ინდუსტრიულ სფეროში თანამშრომლობას, არის ახალი თაობის გამანადგურებლის - „Future Combat Air System (FA AS)“-ის კონცეფცია. შვიდი ცალკეული ტექნოლოგიური კომპონენტისგან შემდგარმა პროექტმა უდიდესი თავდაცვის კომპანიების დაინტერესება გამოიწვია. კერძოდ, მასში ჩართულნი არიან „Airbus“, „Dasso Aviation“ და ესპანური „Indra“. ამავდროულად, ახალი

[405] Macaulay Thomas., „Europe boosts military AI as Mistral and Helsing from defence tech alliance“, TNW, 2025, https://thenextweb.com/news/mistral-helsing-form-european-defence-tech-military-ai-alliance, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, გერმანული კომპანია „ჰელსინგი“ ჩაერთო პროგრამაში „FCAS“ (Future Combat Air System), რომელიც პასუხისმგებელი იქნება გამანადგურებელში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შემუშავებაზე[406]. აღნიშნული მაგალითი და გერმანული კომპანიისთვის მინიჭებული როლი აჩვენებს თავდაცვის ტექნოლოგიური კომპანიების მზარდ როლს, მნიშვნელობასა და შედეგად, თავდაცვის სექტორის უდიდესი სტრუქტურების მიერ წარმართულ პროექტებში პირდაპირ მონაწილეობას. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანია „ჰელსინგმა“ 2022 წელს სტრატეგიული პარტნიორობა გააფორმა ისეთ გიგანტთან, როგორიცაა „რეინმეტალი“. მიუხედავად მოცემული მაგალითებისა, ევროპა კვლავაც ჩამორჩება სტარტაპების დაფინანების მასშტაბებით, რაც ეხება როგორც კერძო ბაზარს, ისე პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში განსაზღვრავდა შეერთებული შტატების ფინანსურ უპირატესობას. ბოლო პერიოდის განმავლობაში აშშ-ში დაფინანსების ოთხჯერ მეტი რაუნდი იქნა განხორციელებული, თანაც, უფრო მასშტაბური, ვიდრე ძველ კონტინენტზე. არსებული მონაცემებით, 2023 წლისთვის ევროპაში ვენჩურული კაპიტალის ფონდებს თავდაცვის ტექნოლოგიებში ინვესტირებისთვის მხოლოდ 3 მილიარდი ევრო ჰქონდათ, რაც 10-ჯერ ნაკლებია აშშ-ში არსებულ მაჩვენებელზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ წარმატებული ევროპული სტარტაპების უმეტესობა, რომლებსაც ასობით მილიონი ევროს ოდენობის მხარდაჭერა სჭირდებათ, ხელშეკრულებებს არა ევროპელ, არამედ ამერიკელ ინვესტორებთან აფორმებენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ზრდა 2022 წელს დაფიქსირდა, ძირითადად, რუსეთ-უკრაინას შორის ომის დაწყების საპასუხოდ.

ტრანსატლანტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ნატომ ასევე გააძლიერა ძალისხმევა ამ სფეროში უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ 2019 წელს, განსაზღრულ იქნა საკვანძო მნიშვნელობის მქონე თავდაცვის ტექნოლოგიები და განხორციელდა განვითარების შესაბამისი სტრატეგიები. ორი წლის შემდეგ შეიქმნა ინოვაციური აქსელერატორი „DIANA“, რომლის მთავარი მიზანი შეიარაღებულ ძალებს, უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორს შორის კავშირების განმტკიცებასა და ასევე სტარტაპების მხარდაჭერას ემსახურება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ნატო ასევე წარადგენს ინფრასტრუქტურას ტექნოლოგიების ტესტირებისთვის.

2023 წელს ამოქმედებულ იქნა ნატოს ინოვაციების ფონდი „NIF“ - პირველი მრავალეროვნული ვენჩორული ფონდი, რომელიც თავდაცვის ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული და მის ამოცანას სტარტაპებში ღრმა ტექნოლოგიების სექტორში სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება წარმოადგენს, რომლებიც ტრადიციულ საწარმოებთან შედარებით მეტ კაპიტალურ მხარდაჭერას საჭიროებენ. ფონდი მართავს მონაწილე ქვეყნების შენატანებიდან შეგროვებულ ერთ მილიარდ ევროს. და რაც ყველაზე საინტერესოა, მას არ ჰქონია შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მხარდაჭერა.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის ივლისიდან ასევე ამოქმედდა ნატოსა და უკრაინას შორის სამხედრო ინოვაციების სფეროში თანამშრომლობის საგზაო რუკა[407]. მოცემულ ინიციატივას მხარს უჭერს არაერთი ევროპული თავდაცვის კონგლომერატი და სტარტაპი. გეგმა ასევე მოიცავს „განვლილი გაკვეთილებიდან“ დასკვნების გამოტანის (სწავლების) პროგრამას და ახალი ტექნოლოგიების ექსპერიმენტებისა და ტესტირების შესაძლებლობების უზრუნველყოფას

[406] Article: „Helsing commissioned foe Ai Backbone in FCAS“, A consortium of Helsing, Press Release, 2023, https://helsing.ai/newsroom/helsing-commissioned-for-ai-backbone-in-fcas, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[407] Article: „Summary of the NATO-Ukraine Innovation Cooperation Roadmap“, North Atlantic Treaty Organization, 2024, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_228255.htm#:~:text=The%20aim%20of%20this%20Roadmap,and%20ensuring%20long%2Dterm%20cooperation. (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

საბრძოლო პირობებში. პირდაპირი მხარდაჭერა ექნება ასევე უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ინოვაციების ცენტრს - BRAVE 1“, რომელიც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს საწარმოებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ალიანსის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის გარდა, ევროპის უდიდესი ეკონომიკები, ისეთი, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, მუდმივად უჭერენ მხარს საკუთარ სტარტაპებს, სახელმწიფო განვითარების ფონდების გამოყენებით, რომლებიც ათობით მილიარდი ევროს ოდენობის დაფინანსებას სთავაზობენ. სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და იაპონია, მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სამხედრო ინოვაციების სააგენტოების შექმნასთან დაკავშირებით, შეიარაღებული ძალების კერძო სექტორთან უკეთ ინტეგრირების მიზნით. ამის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ბუნდესვერში მოქმედი კიბერინოვაციების ცენტრი, რომელიც ტექნოლოგიების კომერციალიზაციამდე და სამხედრო კონტრაქტების მიღებამდე სამხედრო ქვედანაყოფებში მათი ტესტირების საშუალებას იძლევა. ამ ინსტიტუციური ძალისხმევის მიუხედავად, ნატოს ევროპულ ნაწილში თავდაცვის ეროვნული ეკონომიკური ხარჯები კვლავ განსაკუთრებით დაბალია და საშუალოდ თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 5%-ს შეადგენს. ეს სამჯერ ნაკლებია, ვიდრე შეერთებულ შტატებში, სადაც გასულ წელს მოცემული მიზნებისთვის 150 მილიარდ დოლარზე მეტი იყო გამოყოფილი, რაც 55%-ით მეტია გასული ხუთი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით[408].

ერთ-ერთი ანგარიშის თანახმად, ევროპაში თავდაცვის სფეროში ინოვაციების ეკოსისტემას მინიმუმ ხუთი წელი დასჭირდება, რათა ამერიკას დაეწიოს. გრძელვადიანმა არასაკმარისმა ინვესტიციებმა ასევე გავლენა იქონია წარმოების პოტენციალზე. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირის უდიდესი ეკონომიკა, რომელსაც, განვითარებული ინდუსტრიული ბაზის მიუხედავად, შეუძლია წელიწადში მხოლოდ 100-ზე ნაკლები ტანკის წარმოება. მართალია, ევროპაში თავდაცვის ბიუჯეტები 2014 წლიდან სტაბილურად იზრდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც 1/3-ით ნაკლებია 1990-იანი წლების დასაწყისში არსებულ ვითარებასთან შედარებით[409].

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ერთმანეთთან. განსაკუთრებით მათ, ვინც რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებიდან გამომდინარე მიიჩნევენ, რომ მეტი სიფრთხილის გამოჩენაა საჭრო. ამიტომ, ფინეთმა, შვედეთმა და ნორვეგიამ გადაწყვიტეს საბრძოლო მასალების შესყიდვების კონსოლიდაცია.

იგივე სახელმწიფოები, ნორვეგიის გარეშე, მაგრამ პოლონეთის, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების მონაწილეობით, განიხილავენ ეროვნული ბანკის შექმნის იდეას, რომელიც სპეციალურად იარაღის ერთობლივი შესყიდვებისა და ამ უკანასკნელისთვის ხარჯების შემცირებისკენ იქნება მიმართული.

საგულისხმოა, რომ ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ცივი ომის პერიოდის შემდეგ ყველაზე მასშტაბური გადაიარაღების პროგრამის შესახებ, რათა შეძლოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავება. ალიანსის თავდაცვის მინისტრების მიერ ბრიუსელში, 2025 წლის ივნისში გამართული შეხვედრების შემდეგ გაკეთებული განცხადების თანახმად, გეგმა

[408] Swartz Dale., Brukardt., Hujsak Karl., Greating a modernized defence technology frontier, McKinsey &Company, Aerospace & Defence, 2025, https://www.mckinsey.com/industries/aerospace-and-defense/our-insights/creating-a-modernized-defense-technology-frontier, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25)

[409] Defence Expenditure of NATO Countries (2014-2024), Development of defence budgets in NATO Evrope, Press Release, Public Diplomacy Division, 2024, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2024/6/pdf/240617-def-exp-2024-en.pdf, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

მომდევნო წლებში შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობების მნიშვნელოვან გაფართოებას ითვალისწინებს. ორგანიზაციის გენერალური მდივნის, მარკ რუტეს განცხადებით, „როდესაც ომისთვის ნამდვილად მზად ხარ, თავს არავის გესხმის“[410]. მისივე თქმით, საჭიროა ინვესტირება საჰაერო თავდაცვის სისტემებში, დიდ რადიუსზე მოქმედ რაკეტებში, სახმელეთო ქვედანაყოფების მანევრირებასა და მართვისა და კონტროლის სისტემებში, რაც ნატოს წევრი ყველა ქვეყნისგან კოლოსალურ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. ამასთან, ასეთი ინვესტიციები ევროპისა და კანადის ხარჯების დონეს აშშ-ის ხარჯებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე, მოკავშირეები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. ნატოს გენერალური მდივნის, რუტეს წინადადების თანახმად, თავდაცვის ოფიციალური ხარჯები 2032 წლისთვის მშპ-ს 3.5%-მდე უნდა გაიზარდოს, ხოლო კიდევ 1.5% თავდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს უნდა მოხმარდეს. ეს შეესაბამება ვაშინგტონის მოთხოვნებს, რომლებიც არაერთხელ იქნა გაჟღერებული ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ[411].

ასევე, პენტაგონის ხელმძღვანელის პიტ ჰეგსეტის მიერ ბრიუსელში 2025 წელის ივნისში გაკეთებული განცხადების თანახმად, „ნამდვილი სამხედრო ალიანსისთვის მხოლოდ დროშების აღმართვა არ არის საკმარისი. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი ფორმირებები. გვჭირდება საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ძალები. ჩვენ აქ ვართ, რათა გავაგრძელოთ პრეზიდენტ ტრამპის მიერ დაწყებული საქმე - მივაღწიოთ ალიანსის ყველა წევრისგან თავდაცვის ხარჯების 5%-ით გაზრდის ვალდებულებას“[412]. მისი განცხადებით, ეს არის პრიორიტეტი და იმის უზრუნველყოფა, რომ ნატო კონცენტრირდეს თავის უმთავრეს ამოცანაზე - ევროპული კონტინენტის დაცვაზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბალტიის ზღვაში ნატომ დაიწყო საზღვაო წვრთნები „Baltops“, რომელიც ყველაზე მასშტაბურია ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. სწავლებაში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 9 000 სამხედრო მოსამსახურე, ჩვიდმეტი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები, 50 გემი და 25 საჰაერო ხომალდზე მეტი, რაც ასევე ნატოს გააქტიურებაზე მიუთითებს.

დასკვნა

ამდენად, შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ სამხედრო ინოვაციების გამოყენება მთელი ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოთა აღზევებისა თუ დაცემის ციკლზე. XX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ომის წარმოებისადმი დასავლური მიდგომისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ტექნოლოგიურ უპირატესობაზე დაყრდნობა რაოდენობრივთან შედარებით. ამჟამად, როდესაც ძალთა გლობალური ბალანსი მრავალპოლარულ ეპოქაში შედის, სამხედრო ინოვაციებისადმი უპირატესობის მინიჭება კონკურენციის სასურველ საშუალებად იქცა პატარა სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ომის წარმოების ასიმეტრიული საშუალებებისკენ მიისწრაფიან.

ახალი ისტორიის გზაჯვარედინზე მყოფნი, კომპანიები - „Palantir“-ი, „Anduril“-ი, „Helsing“-ი და ათობით შედარებით მცირე მოთამაშე, არა მხოლოდ ცვლის თავდაცვის სამრეწველო სტრუქტურას, არამედ, რადიკალურად გარდაქმნის თავად ბრძოლის ველსაც, რომლის ნათელი მაგალითია უკრაინა, რომელიც ამ ტრანსფორმაციების ცოცხალ ლაბორატორიად იქცა, სადაც

[410] Aktan Sertac., NATO Secretary General Mark Rutte emphasized that NATO currently isn't ready to meet security challenges and called for increased defence spending, Euro News, 2025, https://www.euronews.com/my-europe/2025/01/15/nato-chief-mark-rutte-calls-for-shift-to-a-wartime-mindset, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

[411] იქვე;

[412] Article: „Pentagon chief confident NATO will commit to Trump's Defense spending target“, Arab News, 2025, https://www.arabnews.com/node/2603444/world, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

დრონების, სადაზვერვო სისტემებისა თუ ხელოვნური ინტელექტის ეფექტურობა რეალურ კონფლიქტურ პირობებში გამოიცადა.

ისტორია გვასწავლის, რომ ისინი, ვინც აღიარებს ახალი ტექნოლოგიების პოტენციალსა და ეფექტურად ნერგავს მას, შედეგად არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ უპირატესობებსაც იღებს. საქმე იმაშია, ვინ უფრო უკეთ გააცნობიერებს და გამოიყენებს გონივრულად ციფრული ტრანსფორმაციის ამ ახალ ტალღას სამხედრო სფეროში. ეპოქაში, რომელშიც ხშირად ომსა და მშვიდობას შორის ზღვარი წაშლილია, ხოლო ალგორითმებს შეუძლიათ კონფლიქტების შედეგის გადაწყვეტა, ახალ პირობებთან სწრაფად ადაპტაციის უნარი იქცევა ყველაზე ღირებულ ვალუტად გეოპოლიტიკურ თამაშში, რამაც შესაძლოა განსაზღროს მსოფლიო ძლთა ბალანსი მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aktan Sertac., NATO Secretary General Mark Rutte emphasized that NATO currently isn't ready to meet security challenges and called for increased defence spending, Euro News, 2025, https://www.euronews.com/my-europe/2025/01/15/nato-chief-mark-rutte-calls-for-shift-to-a-wartime-mindset, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
2. Article: „Pentagon chief confident NATO will commit to Trump's Defense spending target", Arab News, 2025, https://www.arabnews.com/node/2603444/world, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
3. Article: „Anduril Partners with Open AI to Advancr U.S. Artificial Intelligence Leadership and Protect U.S. and Aiiles Forces", Anduril Industries, 2024; rb.gy/jhnwa4/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
4. Article: „Anduril and Palantir to Accelerate AI Capabilities for National Security", Anduril, SIMI VALLEY, CA, 2024, rb.gy/heez95/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
5. Article: „Helsing commissioned foe Ai Backbone in FCAS", A consortium of Helsing, Press Release, 2023, https://helsing.ai/newsroom/helsing-commissioned-for-ai-backbone-in-fcas, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25)
6. Article: „Summary of the NATO-Ukraine Innovation Cooperation Roadmap", North Atlantic Treaty Organization, 2024, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_228255.htm#:~:text=The%20aim%20of%20this%20Roadmap,and%20ensuring%20long%2Dterm%20cooperation. (გადამოწმებულ იქნა 05.06.25)
7. Article: „Corporate Headquarters, L3 Harris and Palantir Announce Strategic Partnership", Press Rellease, 2024; rb.gy/8yxdyt. (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
8. Article: „Can America's weapons-makers adapt to 21st-century warfare"? The Economist, 2023, https://www.economist.com/business/2023/11/01/can-americas-weapons-makers-adapt-to-21st-century-warfare, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
9. Bisht, Inder singh., „US Army Receives First Microwave Based Counter Drone Swarm Prototype", The Defense Post, 2023, https://thedefensepost.com/2023/11/02/us-army-microwave-drone/, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);
10. Brennan Morgan., Levy Ari., „Anduril in talks to raise money at &28 Billion valuation as defense-tech booms", CNBC, rb.gy/kgabny, 2025, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

11. Brandenstein Philipp von., „Dimensions“, „The Rheinmetall Magazine, Conflicts“, The New Facts of War Call For Integrated Security, Pdf, 2024;

12. Defence Expenditure of NATO Countries (2014-2024), Development of defence budgets in NATO Evrope, Press Release, Public Diplomacy Division, 2024, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2024/6/pdf/240617-def-exp-2024-en.pdf, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

13. Gordon Lisa., „SHIEL AI and Palantir Technologies Deepen Strategic Partnership and Announce Deployment of Warp Speed“, 2024, rb.gy/9a0wpe, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

14. Humble Kristian., „War, Artificial Intelligence, and the Future of Conflict“, Jeorgetown Joirnal of International Affairs, 2024, rb.gy/4adtfc, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

15. Mascall Ben., „Palantir and Agree to 5-Year Strategic Relationship With New AI Capabilities“, Palantir, Investor Relations, rb.gy/470rql, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

16. Macaulay Thomas., „Europe boosts military AI as Mistral and Helsing from defence tech alliance“, TNW, 2025, https://thenextweb.com/news/mistral-helsing-form-european-defence-tech-military-ai-alliance, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

17. Philipp von., „Dimensions“, „The Rheinmetall Magazine, Conflicts“, The New Facts of War Call For Integrated Security, Pdf, 2024;

18. Replicator. „The Replicator initiative is DoD’s effort to accelerate delivery of innovative capabilities to the warfighter at speed and scale trough senior leader focus on solving a specific operational challenge“, Defense Innovation Unit, 2025, https://www.diu.mil/replicator, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

19. Robertson Noah., As Ukraine builds better drones, do American firms still have a role? Defense News, rb.gy/qcrkyz, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

20. Robertson Noah., The Pentagon wants industry to transform again to meet demand.Can it? Defense News, rb.gy/yw7dr5, 2024, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

21. Swartz Dale., Brukardt., Hujsak Karl., Greating a modernized defence technology frontier, McKinsey &Company, Aerospace & Defence, 2025, https://www.mckinsey.com/industries/aerospace-and-defense/our-insights/creating-a-modernized-defense-technology-frontier, (გადამოწმებულ იქნა 05.06.25)

22. Tirpak John., Harpley Unshin Lee., Gordon Chris., „Anduril and General Atomics to Develop New Collaborative Combat Aircraft for Air Force“, Air & Space Forces Magazine, 2024, rb.gy/zazp3w/ (გადამოწმებულ იქნა 05.06.25);

ეკონომიკური კვლევა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციური მიდგომები მეთოდოლოგიურ გარდაქმნებში

(საქართველოში ხორბლის წარმოების პროგნოზირების მაგალითზე)

„მეთოდოლოგიური სიზუსტე, ინოვაციური ხედვა“

Economic Research in the Era of Artificial Intelligence: Innovative Approaches to Methodological Transformations

(On the Example of Forecasting Wheat Production in Georgia)

“Methodological Accuracy, Innovative Vision”

ეთერ ხარაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი
https://orcid.org/0000-0003-4013-7354
Eter Kharaishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Professor
https://orcid.org/0000-0003-4013-7354

ანოტაცია. თანამედროვე ეტაპზე ხელოვნური ინტელექტი ჩამოყალიბდა ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგიური გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ეკონომიკური პროცესების სირთულე, მონაცემთა მოცულობის ექსპონენციური ზრდა და არაწრფივი დამოკიდებულების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად ზღუდავს ტრადიციული ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, რის გამოც ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები განიხილება, როგორც ეკონომიკური კვლევის ახალი პარადიგმის საფუძველი.

მოცემული კვლევის მიზანია შეაფასოს, როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური კვლევის ტრადიციულ მეთოდოლოგიას, რამდენად უზრუნველყოფს მეთოდოლოგიური ოპტიმიზაციისა და სიზუსტის მიღწევას მონაცემთა დამუშავებასა და პროგნოზირებაში.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ლიტერატურის ანალიზს, სტატისტიკურ-ეკონომეტრიკულ მეთოდებსა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ მოდელირებას. ემპირიული ანალიზი განხორციელებულია საქართველოს აგროსასურსათო სექტორის მაგალითზე, კერძოდ, ხორბლის წარმოების პროგნოზირების მიზნით შედარებულია ტრადიციული სტატისტიკური (CAGR, ექსპონენციური ზრდა) და ხელოვნური ინტელექტის (LSTM ნეირონული ქსელი) მეთოდები.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტის მეთოდებზე დაფუძნებული მოდელები უზრუნველყოფს პროგნოზირების უფრო მაღალ სიზუსტეს, უკეთ ასახავს არაწრფივ დამოკიდებულებას. ემპირიული კვლევით დასაბუთებულია, რომ განსაკუთრებით პერსპექტიულია ჰიბრიდული მიდგომების გამოყენება, რომელიც აერთიანებს სტაისტიკურ-ეკონომეტრიკულ და ღრმა ნეირონული ქსელის ანალიზის მეთოდებს. მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური კვლევისთვის, ასევე, აგროსასურსათო პოლიტიკის დაგეგმვისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების ფორმირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კვლევა, **CAGR მეთოდი,** ექსპონენციური ზრდა, LSTM ნეირონული ქსელი, პროგნოზირება.

Abstract. At the present stage, artificial intelligence (AI) has emerged as one of the most important factors in the methodological transformation of economic research. The complexity of economic processes, the exponential growth in data volume, and the diversity of nonlinear relationships significantly limit the possibilities of applying traditional econometric methods, which is why artificial intelligence algorithms are considered the foundation of a new paradigm in economic research.

The aim of this study is to assess how artificial intelligence transforms the traditional methodology of economic research and to what extent it ensures the achievement of methodological optimization and accuracy in data processing and forecasting.

The research is based on a mixed methodological approach that combines literature analysis, statistical-econometric methods, and modeling based on artificial intelligence tools. The empirical analysis is conducted on the

example of Georgia's agri-food sector; specifically, for the purpose of forecasting wheat production, traditional statistical (CAGR, exponential growth) and artificial intelligence (LSTM neural network) methods are compared.

The results of the study confirm that models based on artificial intelligence methods ensure higher forecasting accuracy and better reflect nonlinear relationships. The empirical research substantiates that the use of hybrid approaches, which combine statistical-econometric and deep neural network analysis methods, is particularly promising. The conclusions obtained are significant both for academic research and for the planning of agri-food policy and the formation of sustainable economic development strategies.

Keywords: economic research, CAGR method, exponential growth, LSTM neural network, forecasting.

შესავალი

ეკონომიკის დარგში სამეცნიერო კვლევა ისტორიაში მუდამ დამოკიდებული იყო მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მოდელირების მეთოდებზე, რაც განსაზღვრავდა მოვლენების ანალიზის სიღრმესა და პროგნოზირების სიზუსტეს. ბოლო ათწლეულებში ხელოვნურმა ინტელექტმა რევოლუციური ცვლილებები შეიტანა ეკონომიკური პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიურ მიდგომებში, ანალიზსა და პროგნოზირებაში.

დღეს ხელოვნური ინტელექტის გავლენა მეცნიერების ყველა დარგზე თვალსაჩინოა, თუმცა, განსაკუთრებით გარდამტეხია მისი როლი ეკონომიკაში, სადაც მნიშვნელოვანი მოცულობის მრავალმხრივი მონაცემების დამუშავება და პროგნოზირება წარმოადგენს თანამედროვე კვლევის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას.

მიმდინარე პერიოდში ეკონომიკაში ტრადიციული კვლევის მეთოდები ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებთან ინტეგრაციის ეტაპზეა, რაც ქმნის კვლევის სრულიად ახალ პარადიგმას. სლოგანი „მეთოდოლოგიური სიზუსტე, ინოვაციური ხედვა“ გამოხატავს იმ ძირითად გზავნილს, რომ თანამედროვე მონაცემთა ანალიზის, მანქანური სწავლებისა და პროგნოზირების ინოვაციური ინსტრუმენტები, არა მხოლოდ აუმჯობესებს ეკონომიკური მოვლენების გააზრებას, არამედ ქმნის საფუძველს უფრო ეფექტიანი, ინფორმირებული და მდგრადი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ხელოვნური ინტელექტი ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ტექნოლოგიურ ფაქტორად, რომელიც არსებითად ცვლის ეკონომიკური კვლევის თეორიულ საფუძვლებს, მეთოდოლოგიურ ჩარჩოებსა და ანალიტიკურ პრაქტიკას. ეკონომიკური პროცესების მზარდი სირთულე, მონაცემთა მოცულობის ექსპონენციალური ზრდა და არასტაციონარული დინამიკის გაძლიერება მნიშვნელოვნად ზღუდავს ტრადიციული ეკონომეტრიკული და სტატისტიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები (მანქანური სწავლება, ღრმა ნეირონული ქსელები და ჰიბრიდული მოდელები) კი განიხილება როგორც **ეკონომიკური კვლევის ახალი პარადიგმის საფუძველი.**

ხელოვნური ინტელექტით განპირობებული ეკონომიკური კვლევის ტრანსფორმაცია გამოიხატება კვლევითი პროცესების მრავალდონიან ოპტიმიზაციაში: მონაცემთა შეგროვებისა და წინასწარი დამუშავების ავტომატიზაციაში, რთული არაწრფივი დამოკიდებულებების იდენტიფიკაციაში, პროგნოზირების სიზუსტის გაუმჯობესებასა და სცენარული ანალიზის გაფართოებაში. ამასთანავე, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინტეგრაცია აჩენს მეთოდოლოგიურ გამოწვევებს, მათ შორის მოდელების ინტერპრეტაციის, შედეგების ვალიდურობისა და ალგორითმული მიკერძოების საკითხებს, რაც ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული მეთოდების გადახედვას მოითხოვს.

ეკონომიკური კვლევის **მეთოდოლოგიური ევოლუციის** აუცილებლობა მოითხოვს კლასიკური ეკონომიკური თეორიის თანაარსებობის გზების ძიებას მონაცემებზე

ორიენტირებულ, ინტელექტუალურ მოდელებთან. შედეგად, ეკონომიკური კვლევა გარდაიქმნება უფრო დინამიკურ, ადაპტირებად და გადაწყვეტილებებზე ორიენტირებულ სისტემად, რომელიც ზრდის როგორც აკადემიური ანალიზის, ისე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების ეფექტიანობას.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია **შეისწავლოს და ემპირიულად შეაფასოს,** როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი ეკონომიკური კვლევის ტრადიციულ მეთოდოლოგიას და რამდენად უზრუნველყოფს **მეთოდოლოგიურ-ანალიტიკური ოპტიმიზაციის** მიღწევას მონაცემთა დამუშავებაში, პროგნოზირებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია პროგნოზირების ტრადიციული სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის **მეთოდები,** რომელთა ფარგლებში ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები გაანგარიშებულია შესაბამისი **მეთოდების** (CAGR, ექსპონენციური ზრდა, LSTM ნეირონული ქსელი) გამოყენებით.

კვლევის თეორიული ჩარჩოა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიები, მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური ანალიზი, მანქანური სწავლებისა და ღრმა ნეირონული ქსელის კონცეფციები. განხორციელებულია **საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი. კვლევაში** გამოყენებულია: სამეცნიერო სტატიები Scopus-ის, Web of Science-ის, google scholar-ისა და researchgate-ის ბაზებიდან; საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობების მონოგრაფიები Springer-ის, Elsevier-ის, Wiley-ის ბაზებიდან; FAO-ს, World Bank-ის, OECD-ის, Eurostat-ის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები.

ლიტერატურის ანალიზი

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება ცვლის სამეცნიერო კვლევის ლანდშაფტს. ამ მხრივ არსებული გამოწვევები მკვლევართა შესწავლის მნიშვნელოვანი საგანი გახდა. მეცნიერები სწავლობენ ხელოვნური ინტელექტთან თანამშრომლობისა და ცოდნის ინტეგრირების გადაწყვეტილებებს, ასევე, განიხილავენ კვლევებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლო „ბნელ მხარეებს“. ხელოვნური ინტელექტის მეცნიერებაში გამოჩენა არა მხოლოდ აძლიერებს სამეცნიერო კვლევებს, არამედ განსაზღვრავს მკვლევრების განახლებულ როლს ამ სფეროში და აყალიბებს ახალ პარადიგმას. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ ტრანსფორმაციების მიღებით, შეიძლება წარმოიშვას უფრო თანმიმდევრული და რეაგირებადი სამეცნიერო კვლევითი მიმართულება (Pavel, 2025).

სამეცნიერო ნაშრომებში შეფასებულია ხელოვნური ინტელექტის მეთოდების განსაზღვრის დროს ის მორალური ჩარჩოები და პრინციპები, რომელიც აკონტროლებს ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეტაპებსა და დანერგვის პროცესებს. შესაბამისად, მეცნიერები მიზანშეწონილად თვლიან პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობას სამომავლო კვლევებთან დაკავშირებით (Singh, 2024).

ქმნის შესაძლებლობებს პოტენციური, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტით მართული ინოვაციებისთვის. ამ მხრივ, კვლევები ფოკუსირებულია ხელოვნურ ინტელექტსა და ინოვაციას შორის კავშირებზე, როგორც ციფრული ტრანსფორმაციის ჩარჩოს ფუნდამენტურ ელემენტზე. მკვლევრები გვთავაზობენ ჰოლისტური მიდგომის საჭიროებას ინოვაციური გზით სექტორული ტრანსფორმაციისა და მდგრადი განვითარებისათვის (Kharaishvili, 2025).

ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ ხელოვნური ინტელექტი ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების საყრდენია. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აჩქარებს ინოვაციების

დანერგვას, ახდენს პროცესების ოპტიმიზაციას, იწყებს ტექნოლოგიური სრულყოფისა და საზოგადოებრივი პროგრესის ახალ ერას (Aldoseri et al., 2024).

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებების კატალიზატორია, რომელიც პროცესების ავტომატიზაციით ახდენს ინდუსტრიების ტრანსფორმაციას, ახალი ეკონომიკური პარადიგმების შექმნას. მრავალფაქტორული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სამეცნიერო სტატიებში შეფასებულია ხელოვნური ინტელექტის გავლენის მოსალოდნელი შედეგები ეკონომიკაზე და ავტორები მხარს უჭერენ პროაქტიული ზომების გატარებას მისი პოტენციალის გამოსაყენებლად, მასთან დაკავშირებული რისკების გადაჭრის პარალელურად (Bachir et al., 2023).

ხელოვნური ინტელექტი დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროს მრავალ ასპექტზე, მათ შორის მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე, ინდუსტრიასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. მკვლევრები აქტიურად განიხილავენ მეცნიერების თითოეული დისციპლინის წინაშე არსებულ გამოწვევებს და ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის გამოყენების პოტენციალს ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამასთან, აანალიზებენ კვლევის ახალ ტენდენციებს, რომლებიც გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას თითოეულ სამეცნიერო დისციპლინაში. ამ პრობლემებზე კვლევისას მეცნიერები აქტიურად ეძებენ გზებს, როგორ განახორციელდეს ფუნდამენტურ მეცნიერებებში ხელოვნური ინტელექტის ინფუზია, რათა დაეხმაროს მკვლევრებს მოტივაციაში, ღრმად გაიგონ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ფუნდამენტური მეცნიერებების უახლესი პარადიგმები და ამით ხელი შეუწყონ ფუნდამენტური მეცნიერებების უწყვეტ განვითარებას (Xu et al., 2021).

ცნობილია, რომ ციფრული ტრანსფორმაციის სისტემებმა წარმოქმნა მონაცემების მნიშვნელოვანი მოცულობა (Kharaishvili et al., 2025).

თუმცა, აღიარებულია, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის ფორმირებისა და ციფრული ტექნოლოგიების წარმატებული დანერგვის მთავარი პრობლემაა შესაბამისი ცოდნა და ადამიანისეული ფაქტორი (Gechbaia et al., 2025).

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია მონაცემთა ანალიტიკაში რევოლუციას ახდენს სხვადასხვა დარგში. სამეცნიერო კვლევებში ძირითადი დასკვნები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობებს, იწვევს გადაწყვეტილების მიღებისა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას, თუმცა, წარმოშობს ეთიკურ პრობლემებს, განსაკუთრებით მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოებისა და ალგორითმული მიკერძოების შესახებ. ამ საკითხების გადაჭრით შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალის გამოყენება მონაცემთა ანალიტიკაში, ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ხელოვნური ინტელექტით მართულ ეკონომიკაზე გლუვი გადასვლა (Barua, 2024).

ახალი ციფრული ტექნოლოგიები, ინოვაციური ბიზნეს მოდელები აღწევენ საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, იწვევენ მასში თვისებრივ სტრუქტურულ ცვლილებებს (Kharaishvili & Aduashvili, 2026).

შედეგად, ციფრული ეკონომიკა ყალიბდება, როგორც ტრადიციული ეკონომიკის ქვესისტემა, რომელიც ხასიათდება ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით (Kharaishvili et al., 2024).

მნიშვნელოვან პრობლემად განიხილება აგროსასურსათო სექტორში ციფრული მენეჯმენტის დანერგვა (Kharaishvili & Aduashvili, 2025).

მდგრადი ეკონომიკური ზრდის ფორმირებისა და ციფრული ტექნოლოგიების წარმატებული დანერგვის საფუძვლად კი მეცნიერები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მიიჩნევენ (Tretyakov, 2022).

ნაშრომებში განხილულია ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკურ სისტემაში გამოყენების კონცეფცია, სტრატეგიები და შესაძლებლობები, ფოკუსირებულია დიდი მონაცემების დამუშავების, ბაზრის ტენდენციების პროგნოზირებისა და რესურსების ოპტიმიზაციის მახასიათებლებზე. მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები იყენებენ მანქანური სწავლების ალგორითმებს, ბუნებრივი ენის დამუშავებას და გაძლიერებულ სწავლებას, ამიტომ იგი უზრუნველყოფს უკიდურეს სიზუსტეს რიგი კრიტიკული ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა მიწოდების ჯაჭვის მართვა, ფინანსური ანალიზი და დინამიური ფასწარმოქმნა. განსაკუთრებული კვლევის საგანია ეთიკური და სოციალური გავლენის საკითხები, რომელიც მოჰყვება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გამოყენებას ეკონომიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ შორის მიკერძოების, გამჭვირვალობისა და სამართლებრივი მოთხოვნების სფეროში. კვლევები თვალნათლივ აჩვენებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობას როგორ შეცვლის ტრადიციულ ეკონომიკურ თეორიებს მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში (Natrayan et al., 2025).

ხელოვნური ინტელექტი არის ტრანსფორმაციული ძალა, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და მწარმოებლურობას სხვადასხვა სექტორსა და გეოგრაფიულ არეალში განაპირობებს. სამეცნიერო სტატიებში გამოკვლეულია ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკონომიკის დარგებში, განაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მაკროეკონომიკურ შედეგებზე, სექტორულ ინოვაციებსა და გამოწვევებზე. ამავდროულად შესწავლილია მისი როლი მომავალი ეკონომიკური ტრაექტორიების ჩამოყალიბებაში, დასაბუთებულია მისი, როგორც ინკლუზიური ზრდის, კრიტიკულად მამოძრავებელი ძალა (Ramachandran, 2024).

ავტორები აქტიურად მსჯელობენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს, აანალიზებენ ავტომატიზაციის ახალ პარადიგმასა და მათი გამოყენების პრაქტიკულ მექანიზმებს, იკვლევენ იკვლევს ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების ეფექტიანობას ეკონომიკურ პროგნოზირებაში, რისკის შეფასებაში, რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და ციფრული ბიზნეს პროცესების ტრანსფორმაციაში. სტატიებში სიღრმისეულად არის განხილული ხელოვნური ინტელექტის დანერგვის უპირატესობები, შეზღუდვები, ეთიკური მოსაზრებები და სტრატეგიული შესაძლებლობები ეროვნული ეკონომიკებისთვის, ასევე, წარმოდგენილია მეთოდოლოგიური მიდგომები, გამოყენებითი მაგალითები და ხელოვნური ინტელექტით მართული გადაწყვეტილების მიღების მოდელების პოტენციური გამოყენების შემთხვევები ეკონომიკის კონტექსტში (Hujamberdiyeva et al., 2025).

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეკონომიკურ კვლევებში ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გამოარჩევს კვლევის მეთოდოლოგიის ტრანსფორმაციას. ტრადიციული ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სტატისტიკურ და ეკონომეტრიკულ მოდელებს, ვერ უზრუნველყოფს დიდი მოცულობის მრავალფეროვანი მონაცემების სწრაფ, სიღრმისეულ და სიტუაციურ ანალიზს. ამ გამოწვევების ფონზე, ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური მიდგომები, მათ შორის მანქანური სწავლება, ნეირონული ქსელები, აგენტზე დაფუძნებული სიმულაციები და პროგნოზირებადი ანალიტიკური მოდელები, წარმოადგენს მნიშვნელოვანი ინოვაციური ინსტრუმენტების წყაროს (Brynjolfsson & McAfee, 2017; Varian, 2014).

Brynjolfsson & McAfee (2017) დადასტურებულია, რომ მონაცემთა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება აძლიერებს ეკონომიკურ კვლევებს, საშუალებას იძლევა დიდ მონაცემებზე დაფუძნებული არგუმენტებით უზრუნველყოს ანალიზის სიღრმე სიღრმე. ვარიანი აღნიშნავს, რომ „მონაცემთა მეცნიერება“ და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ქმნის შესაძლებლობას პროგნოზირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად ეფექტიანია ტრადიციულ ეკონომეტრიულ მიდგომებთან შედარებით (Varian, 2014).

სხვადასხვა ავტორი (Athey, 2018; Mullainathan & Spiess, 2017) მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციები არა მხოლოდ ხელს უწყობს მოცულობითი მონაცემების ანალიზს, არამედ აუმჯობესებს ეკონომიკური პოლიტიკის სცენარების სიმულაციას. მაგალითად, აგენტზე დაფუძნებული მოდელირება, იძლევა ეკონომიკური გადაწყვეტილებების პროგნოზირებისა და სხვადასხვა პოლიტიკის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც ტრადიციული მიკრო-ანალიზის საშუალებით ვერ განხორციელდება.

გარდა პროგნოზირებისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიღებული ანალიზის შედეგები მნიშვნელოვნად აფართოებს კვლევის ჰორიზონტებს ინოვაციური ეკონომიკური პრობლემების გააზრებისათვის, როგორიცაა გლობალური მონაცემთა ნაკადების, ვირტუალური ბაზრებისა და საბაზრო არასტაბილურობის კვლევა (Cockburn et al., 2018).

ამგვარად, სამეცნიერო ნაშრომები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ხელს უწყობს არსებული მეთოდების გამოყენების ეფექტიანობას, არამედ ქმნის სრულიად ახალ კვლევით პარადიგმას, რომელშიც ტრადიციული მეთოდოლოგია გარდაიქმნება ინოვაციურ, მონაცემებზე დაფუძნებულ, პროგნოზირებად და გადაწყვეტილებებზე ორიენტირებულ მიდგომებში. კერძოდ, საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის სისტემური ანალიზის საფუძველზე შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოვლინდა:

- ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ეკონომიკური კვლევის ახალი პარადიგმის საფუძველს.
- ტრადიციული ეკონომეტრიკული მიდგომები სრულყოფილად ვერ პასუხობს თანამედროვე მონაცემთა გამოწვევებს.
- ხელოვნური ინტელექტის მეთოდები მნიშვნელოვნად ზრდის პროგნოზირების სიზუსტეს.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება LSTM ნეირონულ ქსელებს დროითი მწკრივების პროგნოზირებაში.
- ჰიბრიდული მიდგომა განიხილება როგორც ოპტიმალური მეთოდოლოგიური გადაწყვეტა.
- საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საწყის ეტაპზეა.

კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები

ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე განისაზღვრა კვლევითი კითხვები:

RQ1: როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეკონომიკური კვლევის ტრადიციულ მეთოდოლოგიას და რამდენად უზრუნველყოფს პროგნოზირების სიზუსტისა და ანალიტიკური ეფექტიანობის გაუმჯობესებას?

RQ2: რა მეთოდოლოგიური განსხვავებები არსებობს ტრადიციულ და ხელოვნური ინტელექტის მეთოდებს შორის ეკონომიკური პროგნოზირების პროცესში?

RQ3: რამდენად ზუსტია LSTM ნეირონული ქსელის მოდელი პროგნოზირების პროცესში ტრადიციულ CAGR და ექსპონენციურ მოდელთან შედარებით?

ანალიზი და კვლევის ძირითადი შედეგები

კვლევის ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს განსხვავებული ეკონომიკური თეორიები, თუმცა, ორივე მათგანს გააჩნია უპირატესობები და შეზღუდვები.

ტრადიციული მეთოდები ეფუძნება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიებს, სტატისტიკურ ალბათობათა კანონებსა და სტაბილურობის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც წარსული ტენდენციები მომავალშიც შენარჩუნდება.

ტრადიციულ მეთოდოლოგიის უპირატესობებიდან აღსანიშნავია: მოდელების ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, ეკონომიკური ლოგიკის მკაფიო ასახვა, შედარებით დაბალი ტექნოლოგიური მოთხოვნები, აკადემიური და პრაქტიკული ფართო ვალიდაცია. თუმცა, იკვეთება გარკვეული შეზღუდვებიც: მოვლენების არაწრფივი დამოკიდებულებების სუსტი ასახვა, მაღალი მგრძნობელობა სტრუქტურული რღვევების მიმართ, რთული სისტემების შეზღუდული მოდელირება, რეალურ დროში ადაპტაციის დაბალი შესაძლებლობა.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეფუძნება კომპლექსური სისტემების თეორიას, მონაცემთა მეცნიერებასა და კიბერნეტიკულ მოდელირებას, რაც უზრუნველყოფს სისტემის თვითორგანიზაციასა და ადაპტაციას. ხელოვნური ინტელექტის მეთოდები საშუალებას იძლევა დამუშავდეს დიდი მოცულობის არასტრუქტურირებული მონაცემები, რაც ტრადიციული მიდგომებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. იგი წარმოადგენს მონაცემებზე დაფუძნებულ, თვითსწავლებად და ადაპტირებად სისტემას, რომელიც იძლევა რთული და არაწრფივი კავშირების იდენტიფიცირების კარგ შესაძლებლობას. მისი ძირითადი მოდელებია:

- ნეირონული ქსელები (არაწრფივი და დინამიკური პროცესების პროგნოზირება);
- მანქანური სწავლება;
- ღრმა სწავლება (დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება);
- მანქანური სწავლების ალგორითმები (ოპტიმიზაციის პრობლემების გადაწყვეტა);
- ჰიბრიდული მოდელები (ტრადიციული და AI მიდგომების კომბინაცია).

ხელოვნური ინტელექტის მოდელების გამოყენების უპირატესობებია: პროგნოზული მაჩვენებლების მაღალი სიზუსტე, დიდი მონაცემების მოკლე დროში დამუშავება, არაწრფივი კავშირების ეფექტიანი გამოვლენა, რეალურ დროში სწავლება და ადაპტაცია, მრავალფაქტორული ანალიზის შესაძლებლობა. თუმცა, მას, ასევე, გააჩნია შეზღუდვები, როგორებიცაა: ინტერპრეტაციის სირთულე, მაღალი ტექნოლოგიური და ფინანსური დანახარჯები, დიდი და ხარისხიანი მონაცემების საჭიროება, ეთიკური და უსაფრთხოების გამოწვევები და სხვა.

კვლევის ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მეთოდოლოგიაზე შემუშავებული **ჰიპოთეზების შესამოწმებლად საქართველოს აგროსასურსათო სექტორიდან შეირჩა** ხორბალი, **რომელიც** გლობალურ ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე და სტრატეგიული პროდუქტია. ტრადიციული ეკონომიკური კვლევები ამ პროდუქტზე ძირითადად ფოკუსირებულია წარმოების, ფასების დინამიკისა და სავაჭრო ნაკადების პროგნოზირებაზე (FAO, World Bank). წარმოების პროგნოზირება წარმოადგენს ეკონომიკური დაგეგმვისა და მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრავს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობასა და ბაზრის მოთხოვნაზე ადეკვატურ რეაგირებას.

ისტორიულად, პროგნოზირების პროცესში დომინირებდა **ტრადიციული სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული კვლევის მეთოდოლოგია,** რომელიც ეფუძნებოდა ისტორიული მონაცემების

ანალიზსა და მათემატიკური მოდელების გამოყენებას. თუმცა, ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ საფუძვლიანად გარდაქმნა პროგნოზირების ლოგიკა, გააფართოვა ანალიტიკური შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გაზარდა პროგნოზის სიზუსტე.

ტრადიციული მეთოდოლოგიით ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლის დასადგენად, თავდაპირველად გამოვთვალეთ საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR) კლასიკური ფორმულით (Brealey et al., 2020).

$$g = (^{Q_n}/_{Q_0})^{\frac{1}{n}} - 1$$

სადაც

Q_n - საბოლოო მნიშვნელობა

Q_0 - საბაზისო მნიშვნელობა

n - წლების რაოდენობა

საკვლევ პერიოდად შეირჩა 2014-2024 წლები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025a; 2025b).

Q_0=47.5 (2014)

Q_n=149.1 (2024)

n=10 წელი

შესაბამისი გაანგარიშებებით ხორბლის წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 12.1% შეადგინა.[413]

საშუალო წლიური ზრდის ტემპის (CAGR) გათვალისწინებით პროგნოზული მაჩვენებელი განისაზღვრა ფორმულით (Ross et al., 2019; Brealey et al., 2020):

$$Q_t = Q_0 \times (1 + g)^t$$

სადაც

Q_t - პროგნოზული მაჩვენებელი t წლის შემდეგ

Q_0 - საბაზისო წლის მაჩვენებელი

g – საშუალო წლიური ზრდის ტემპი

t – წლების რაოდენობა

საშუალო წლიური ზრდის ტემპის გამოყენებით ჩატარებულმა პროგნოზირებამ აჩვენა, რომ არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში საქართველოში ხორბლის წარმოება 2035 წლისთვის შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 525.0 ათას ტონამდე (იხ. ცხრილი 1). აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს აგროსექტორში ტექნოლოგიური გაუმჯობესების, მოსავლიანობის ზრდისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიანობის ზრდის პოტენციალზე, თუმცა, პროგნოზის სიზუსტე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კლიმატურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე.

ცხრილი 1. ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები ტრადიციული CAGR მეთოდით 2025-2035 წლებში

წელი	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
პროგნოზი, ათასი ტონა	167.1	187.2	209.1	234.2	262.2	296.0	332.1	372.2	417.2	468.1	525.0

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ CAGR *მეთოდის გამოყენებით Canva-ს პროგრამით*

[413] $CAGR = (^{149.1}/_{47.5})^{\frac{1}{10}} - 1$

$CAGR \approx (3{,}138)^{0.1} - 1 \approx 1.121 - 1 = 0.121$

თანამედროვე ეკონომიკურ კვლევებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოების პროგნოზირება თანდათან გადადის ტრადიციულიდან ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ მოდელებზე. აღნიშნული ტრანსფორმაცია განსაკუთრებით აქტუალურია აგროსასურსათო სექტორში, სადაც წარმოების დინამიკა განისაზღვრება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით: კლიმატური პირობებით, აგროტექნოლოგიები, რესურსებზე ხელმისაწვდომობით, სახელმწიფო პოლიტიკითა და ბაზრის კონიუნქტურით.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნეირონული ქსელების არქიტექტურაზე დაფუძნებული LSTM მოდელები და მანქანური სწავლების ალგორითმები, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირების მაღალ სიზუსტეს რთულ და არაწრფივ სისტემებში.

ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით ხორბლის პროგნოზული მაჩვენებლის დასათვლელად გამოვიყენეთ **LSTM ნეირონული ქსელის** მოდელი, რომლის მთავარი უპირატესობაა გრძელვადიანი დამოკიდებულებების დადგენა. ამ პროცესის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრარული სექტორისთვის. ამ სექტორში ხშირია ტენდენციების ცვლილება, დამახასიათებელია ციკლურობა და მნიშვნელოვანია ფარული კანონზომიერებების გამოვლენა, რაც ტრადიციული მეთოდებისთვის ფაქტიურად მიუწვდომელია.

წარმოების პროგნოზირებისას LSTM ნეირონული ქსელის მოდელი ეფუძნება:

- ისტორიულ მონაცემებს (წარმოების მოცულობა, მინიმუმ 10 წელი);
- კლიმატურ მაჩვენებლებს (ნალექი, ტემპერატურა);
- აგროტექნოლოგიურ ფაქტორებს (მოსავლიანობა, ნათესი ფართობი);
- ეკონომიკურ ინდიკატორებს (ფასები, სუბსიდიები).

LSTM ნეირონული ქსელის მოდელით პროგნოზული მაჩვენებელი განისაზღვრება შემდეგი ფუნქციური დამოკიდებულებით (Hyndman & Athanasopoulos, 2021):

$$Q_t = f(Q_{t-1}, Q_{t-2}, \dots, Q_{t-n}, X_t)$$

სადაც

Q_t -წარმოების პროგნოზული მაჩვენებელი;

Q_{t-n} - წარსული დროის მონაცემები;

X_t - ეგზოგენური ფაქტორები (კლიმატი, ტექნოლოგია, პოლიტიკა და სხვ.);

F - არაწრფივი ნეირონული ფუნქცია.

LSTM ნეირონული ქსელის მოდელით ხორბლის პროგნოზული მაჩვენებელი გავიანგარიშეთ საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (2014-2024 წლების პერიოდი). გამოყენებულია შემდეგი ცვლადები:

- ნათესი ფართობი (ათასი ჰა);
- წარმოების მოცულობა (ათასი ტონა);
- 1 კგ-ის საშუალო ფასი (ლარი);
- მოსავლიანობა (კგ/ჰა).

ძირითადი პროგნოზირებადი ცვლადი არის ხორბლის წარმოების მოცულობა და ამ მაჩვენებელმა 2035 წლისთვის 292.0 ათასი ტონა შეადგინა, შედარებით დაბალი 6-7%-იანი ზრდის ტემპის პირობებში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები LSTM მოდელით 2025–2030 წლებში

წელი	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
პროგნოზი, ათასი ტონა	158.1	166.2	175.0	186.5	198.0	212.2	226.5	241.3	257.5	274.2	292.0

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ LSTM მოდელის გამოყენებით Canva-ს პროგრამით

შეზღუდული მონაცემების გამო (კლიმატური პირობები, ტექნოლოგია, სახელმწიფო მხარდაჭერა), მიღებული შედეგები გადამოწმდა ექსპონენციური ზრდის მოდელით, რომელიც LSTM-ის გამოსაყენებელ პროცედურას იმიტირებს. ექსპონენციური ზრდის მოდელი წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის პროგნოზირების მათემატიკურ იმიტაციას და მეცნიერთა მოსაზრებით უზრუნველყოფს უფრო რეალურ შედეგს, ვიდრე ტრადიციული CAGR მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენებით **წლიური ექსპონენციური ზრდის ტემპმა შეადგინა 7.1%.** ეს მნიშვნელობა გაცილებით რეალურია, ვიდრე CAGR-ის მიღებული მაჩვენებელი (12.1%) და ძალიან ახლოს დგას LSTM მოდელის პროგნოზის ტემპთან.

ექსპონენციური მოდელი პრაქტიკულად იმეორებს LSTM მოდელის შედეგს, განსხვავება უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები ექსპონენციური ზრდის მოდელით 2025-2035 წლებში

წელი	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2033	2034	2035
პროგნოზი, ათასი ტონა	160.1	171.0	183.0	196.4	210.3	225.0	241.5	258.0	276.3	296.3	317.0

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ექსპონენციური მეთოდის საფუძველზე Canva-ს პროგრამით

ექსპონენციური ზრდის მოდელის მიხედვით განსაზღვრულმა მაჩვენებელმა, რომელიც იმიტირებს LSTM ნეირონული ქსელის დინამიკას, აჩვენა, რომ საქართველოში ხორბლის წარმოება 2035 წლისთვის შესაძლოა გაიზარდოს დაახლოებით 317 ათას ტონამდე . აღნიშნული შედეგი ნაკლებია ტრადიციული CAGR მეთოდით მიღებულ შედეგთან (525 ათასი ტონა) და უფრო ახლოს დგას ხელოვნური ინტელექტის ნეირონული ქსელის მოდელით მიღებულ მაჩვენებელთან (292 ათასი ტონა). ამასთან, ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მეთოდებს გააჩნია რიგი უპირატესობები და შეზღუდვები (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლების შედარება ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენების პირობებში

(2035 წელი, ათასი ტონა)

მეთოდი	ზრდის ტემპი %	პროგნოზი (2035 წელი), ათასი ტონა	უპირატესობა	შეზღუდვა
CAGR	12.1	525.0	მარტივი, ხელმისაწვდომი	არ ითვალისწინებს წინა წლების რყევებს, ნაკლებად ზუსტია
ექსპონენციური (LSTM	**7.1**	**317.0**	LSTM მოდელთან დაახლოებული	საჭიროებს მცირე ალგორითმულ ცოდნას

ნეირონული ქსელის იმიტაცია)			სიზუსტე, ტენდენციების გათვალისწინება	
LSTM (ნეირონული ქსელი)	6.0-7.0	292.0	მაღალი სიზუსტე, ტენდენციების გათვალისწინება	საჭიროა მცირე ალგორითმული ცოდნა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

2025-2030 წლებში ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლების დინამიკა სამივე მეთოდის გამოყენებით ნათლად წარმოდგენილია დიაგრამაზე 1.



დიაგრამა 1. ხორბლის წარმოების პროგნოზული მაჩვენებლები ტრადიციული (CAGR), LSTM ნეირონული და ექსპონენციური მოდელების გამოყენებით

წყარო: აგებულია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით Canva-ს პროგრამით

სამი განსხვავებული მეთოდის გამოყენებით განხორციელებულმა პროგნოზირებამ აჩვენა, რომ საქართველოში ხორბლის წარმოების დინამიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე. ტრადიციული CAGR მეთოდი იძლევა მკვეთრად ოპტიმისტურ შედეგს (525 ათასი ტონა 2035 წელს), მაშინ როდესაც ექსპონენციური მოდელი და LSTM ნეირონული ქსელი აჩვენებს უფრო დაბალ, თუმცა, უფრო რეალურ ზრდას (დაახლოებით 290–320 ათასი ტონა). აღნიშნული განსხვავება ადასტურებს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ კვლევებში ხელოვნური ინტელექტის მეთოდები უზრუნველყოფს უფრო სანდო პროგნოზირებას, განსაკუთრებით ცვლადებს შორის არაწრფივი დამოკიდებულებისა და არასტაბილური სისტემების შემთხვევაში. ამასთან, LSTM ნეირონული ქსელის საშუალებით მიღებული პროგნოზული მაჩვენებლების სიზუსტე მაღალია იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია სრულყოფილი, გრძელვადიანი და ხარისხიანი/სანდო მონაცემები. საქართველოში ასეთ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია, შესაბამისად, მიზანშეწონილია ექსპონენციური, LSTM ნეირონული ქსელის იმიტაციური მოდელის გამოყენება. ხორბლის წარმოებაში ნეირონული ქსელის მოდელებით პროგნოზული მაჩვენებლის ზრდა გამოიწვევს:

- იმპორტდამოკიდებულების შემცირებას;
- ფასების სტაბილიზაციას შიდა ბაზარზე;

- სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებას.

ხორბლის პროგნოზული მაჩვენებელების დადგენის მაგალითზე, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, შედარდა კვლევის ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მეთოდების ეფექტიანობა (იხ. სქემა 1).

სქემა 1. ეკონომიკური კვლევის ტრადიციული და ხელოვნური ინტელექტის მოდელების შედარება

	ტრადიციული მეთოდი (საშუალო წლიური ზრდის ტემპი - CAGR)	**ხელოვნური ინტელექტის მეთოდი** (LSTM ნეირონული ქსელი)
მონაცემთა მოცულობა	ლიმიტირებული, სტრუქტურირებული მონაცემები	დიდი მოცულობის სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემები
პროგნოზირების შესაძლებლობა	მარტივი ტენდენციის ანალიზი, მიკრო და მაკრომოდელები, წრფივი, ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობილი მოდელები	მრავალფაქტორებზე დაფუძნებული მოდელირება, სცენარების სიმულაცია, აგენტზე დაფუძნებული მოდელები, არაწრფივი მოდელები
ანალიტიკური მიდგომები	სტატისტიკური ან ეკონომეტრიკული მოდელები	ნეირონული ქსელები, ექსპონენციალური (ნეირონული ქსელების იმიტაცია)
ანალიზის სისწრაფე	შეზღუდული	მაღალი სიზუსტის მონაცემთა ანალიზი რეალურ დროში
ანალიზის სიღრმე	ზოგადი ტენდენციები, საშუალო მაჩვენებლები	მრავალმხრივი ანალიზი, მიკრო დამოკიდებულებების გამოვლენა
განხილვის სფერო	ტრადიციული და კონკრეტული ეკონომიკური საკითხები (ბაზარი, ფასები, პროდუქცია)	გლობალური დონე, ვირტუალური ბაზრები, არასტაბილური ეკონომიკური პროცესები
შეცდომების გამოვლენა	მკვლევარზე დამოკიდებული	ალგორითმული თვითკორექცია
შეზღუდვები	მონაცემების მცირე მოცულობა, პროგნოზების დაბალი სიზუსტე, სუბიექტურობის მაღალი ინტერპრეტაცია	ალგორითმული გამჭვირვალობის საჭიროება, ეთიკური საკითხები, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის სირთულე
პოლიტიკის მხარდაჭერა	აღწერითი რეკომენდაციები	სცენარებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები

In view of this growing threat, it is becoming essential to develop methods for detecting deepfakes, to educate the public on how to critically assess information, and to establish legal regulations restricting the illegal use of this technology. Therefore, it is crucial to develop methods for detecting fake content and to establish appropriate legal regulations and ethical guidelines. In the future, the responsible use of deepfake technology will be one of the most significant challenges facing the digital society.

References:

1. Bateman J., Deepfakes and Synthetic Media in the Financial System: Assessing Threat Scenarios, Washington, "Carnegie Endowment for International Peace" 2020.

2. Beck U., Społeczeństwo ryzyka. W drodze do innej nowoczesności, Warszawa 2002.

3. Bernacka J., Problematyka prawna technologii deepfake – analiza legalności tworzenia i rozpowszechniania deepfake'ów po uchwaleniu AI Act, "Prawo i Więź" 2025, no. 5(58).

4. Busch E., Ware J., Detecting the Deepfake - Current Mitigation Strategies, Proposals, & Challenges, "The Weaponisation of Deepfakes: Digital Deception by the Far-Right, International Centre for Counter-Terrorism" 2023, pp. 8-10 [JSTOR, http://www.jstor.org/stable/resrep55429.9] [accessed: 18 May 2026].

[446] A. Sanocki, Deepfakes, czyli postprawda objawiona, [in:] M. Wrzosek (ed.), Zjawisko dezinformacji w dobie rewolucji cyfrowej. Państwo. Społeczeństwo. Polityka. Biznes, Warszawa 2019, p. 21.

[447] G. Pilarski, M. Nowikowska, P. Galemba, Deepfake Technology: Definitional Foundations, Characteristics of the Phenomenon and Mechanisms of Operation, "Cybersecurity and Law" 2025, no. 2, p. 20.

[448] D. Flisak, O niełatwym wytyczaniu granic rzeczywistości przez AI Act: zasada transparentności, deepfake, "Prawo Nowych Technologii" 2024, no. 1, p. 42.

[449] G. Pilarski, Cyberspace as a Tool of Contemporary Propaganda, "Safety & Defense" 2020, vol. 6 no. 1, p. 101.

5. Chałubińska-Jentkiewicz K., Nowikowska M., Media Law, C.H. Beck Publishing House, Warsaw 2022.
6. Chałubińska-Jentkiewicz K., Nowikowska M., Ochrona informacji w cyberprzestrzeni, Warszawa 2020.
7. Flisak D., O niełatwym wytyczaniu granic rzeczywistości przez AI Act: zasada transparentności, deepfake, "Prawo Nowych Technologii" 2024, no. 1.
8. Galemba P., Deepfake jako zagrożenie i wyzwanie dla bezpieczeństwa informacyjnego państwa, "Cybersecurity and Law" 2025, no. 1(13).
9. Galemba P., Operacje psychologiczne jako zagrożenie dla bezpieczeństwa państwa w XXI wieku, "Wiedza Obronna", 2025, no. 1 (290).
10. Giles K., Hartmann K., Mustaffa M., The Role of deepfakes in mailing influence campaigns, Riga: NATO Strategic Communications Centre of Excellence 2019.
11. Helmus T.C., Artificial Intelligence, Deepfakes, and Disinformation: A Primer. RAND Corporation 2022, p. 1. [JSTOR, http://www.jstor.org/stable/resrep42027] [accessed: 18 May 2026].
12. Kaczmarek K., Deepfake [in:] K. Chałubińska-Jentkiewicz (ed.), Cybersecurity Lexicon, War Studies University Press, Warsaw 2024.
13. Levinger M., Master narratives of disinformation campaigns, "Journal of International Affairs" 2018, vol. 71, no. 1.5.
14. Nowikowska M. , Deepfake w nowych mediach – zagrożenie dla tożsamości cyfrowej, "Roczniki Kulturoznawcze" 2025, vol. XVI, no. 4.
15. Nowikowska M., Digital identity on the internet – challenges and threats [in:] J. Żylińska, K. Huczek, K. Borkowski (eds.), Wielowymiarowość cyberbezpieczeństwa, Warszawa 2024.
16. Nowikowska M., PSYOPS as an elemnt of information warlfare, [in:] K. ChałubińskaJentkiewicz, O. Evsyukova, Information, disinformation, cybersecurity, Toruń 2023.
17. Pamment J., The Future Disinformation Threat Landscape, The EU's Role in Fighting Disinformation: Taking Back the Initiative, Carnegie Endowment for International Peace, 2020, pp. 2-5. [JSTOR, http://www.jstor.org/stable/resrep25788.6.] [accessed: 18 May 2026].
18. Pilarski G., Cyberspace as a Tool of Contemporary Propaganda, "Safety & Defense" 2020, vol. 6 no. 1.
19. Pilarski G., Nowikowska M., Galemba P., Deepfake Technology: Definitional Foundations, Characteristics of the Phenomenon and Mechanisms of Operation, "Cybersecurity and Law" 2025, no. 2.
20. Pilarski G., Wirtualne relacje – szanse i zagrożenia wynikające z „życia" w cyberprzestrzeni [in:] I. Horzela, A. Nowakowska-Krystman (eds.), Zarządzanie relacjami wybrane aspekty, Warszawa 2015.
21. Rajtar O., Technologie deepfake w zakresie danych osobowych, "Roczniki administracji Publicznej" 2025, no. 11(1).
22. Sanocki A., Deepfakes, czyli postprawda objawiona, [in:] M. Wrzosek (ed.), Zjawisko dezinformacji w dobie rewolucji cyfrowej. Państwo. Społeczeństwo. Polityka. Biznes, Warszawa 2019.
23. Smith H., Mansted K., Weaponised Deep Fakes: National Security and Democracy, Australia: Australian Strategic Policy Institute 2020.
24. Spyra Z., Pyjas M., Wykorzystanie narzędzi deepfake w komunikacji merketingowej a społeczna odpowiedzialność biznesu z perspektywy pokolenia Z – wyniki badań eksploracyjnych [in:] H. Mruka, A. Sawicki (eds.), Marketing. Koncepcje i doświadczenia, Pelpin 2024.
25. Szymańska N., Dezinformacja jako narzędzie manipulacji medialnej, "Roczniki Studenckie Akademii Wojsk Lądowych" 2023, vol. 7.
26. Wasilewski P., Lenart W., Deepfake technology requires regulation – computer-generated alterations are becoming a threat, https://www.prawo.pl/biznes/pier-wsze-regulacje-prawne-technologii-deepfake,497454.html. [accessed: 14 December 2024].
27. Young N., DeepFake Technology: Complete Guide to Deepfakes, Politics and Scial Media, New York: Independently published 2019.

Economic Conditions and Environmental Issues in Georgia

Nino Samchkuashvili
Georgian National University SEU
Doctor of Economics, Associate Professor
Tamar Dudauri
Caucasus International University
Doctor of Economics, Associate Professor

Abstract. Georgia has experienced important economic transformations during the last decades through market reforms, international trade integration, tourism development, and infrastructure modernization. Economic growth has contributed to higher employment opportunities, foreign investment inflows, and the expansion of sectors such as tourism, agriculture, energy, and transportation. However, alongside economic progress, the country faces significant environmental challenges that threaten sustainable development. Major environmental issues in Georgia include air pollution, water contamination, deforestation, waste management problems, biodiversity loss, and the increasing impacts of climate change. Rapid urbanization and industrial activities have intensified environmental pressures, particularly in urban areas and industrial zones.

The relationship between economic development and environmental sustainability has become a central issue for policymakers, businesses, and society. Sustainable economic growth requires the implementation of environmentally responsible policies, renewable energy development, green technologies, and stronger environmental regulations. In recent years, Georgia has increased cooperation with international organizations and adopted several environmental protection initiatives aligned with European standards. Nevertheless, balancing economic growth with environmental conservation remains a major challenge. This study examines the current economic conditions in Georgia, analyzes the country's key environmental issues, and discusses possible strategies for achieving sustainable and inclusive development.

Key words: Economic development; environmental issues; sustainable development; climate change; air pollution; green economy; renewable energy; environmental policy; economic growth.

Introduction

Economic growth and environmental sustainability are closely interconnected in the modern global economy. Developing countries often face the challenge of achieving economic progress while simultaneously protecting natural resources and ecosystems. Georgia, a developing country located in the South Caucasus region, has undergone major economic and political transformations since gaining independence in 1991. Transitioning from a centrally planned economy to a market-oriented system created both opportunities and challenges for the country.

Over the past two decades, Georgia has implemented economic reforms aimed at improving business conditions, attracting foreign investment, and integrating into international markets. These reforms contributed to growth in tourism, transportation, energy production, and agriculture. However, rapid economic activities and urban expansion have also created environmental concerns, including air pollution, deforestation, water quality deterioration, and waste management problems.

Environmental sustainability has become increasingly important as climate change and ecological degradation affect both economic performance and public health. Sustainable development policies are therefore essential for balancing economic growth with environmental protection. This article explores Georgia's current economic conditions, identifies the country's main environmental issues, and evaluates policy measures that may support long-term sustainable development.

Main Text

Since independence, Georgia has transformed its economy through liberal economic reforms and privatization policies. The country introduced measures to simplify taxation, reduce corruption, and

improve the business environment. These reforms increased foreign direct investment and strengthened international trade relations.

The service sector currently plays a dominant role in Georgia's economy, particularly tourism, banking, transportation, and telecommunications. Tourism has become one of the country's major sources of income due to Georgia's cultural heritage, natural landscapes, and hospitality industry. Agriculture also remains important, especially in rural areas where many citizens depend on farming for income and employment.

Economic growth in Georgia has generally been positive, although external shocks such as global financial crises, regional conflicts, and the COVID-19 pandemic negatively affected economic stability. Inflation, unemployment, and income inequality continue to present challenges for policymakers.

Georgia's strategic geographic location between Europe and Asia makes it an important transit and trade corridor. The country benefits from trade agreements with the European Union and neighboring countries, encouraging export growth and foreign investment.

Foreign direct investment has contributed significantly to infrastructure projects, energy development, and urban modernization. Investments in hydropower and transportation infrastructure have strengthened economic connectivity. However, dependence on external markets and foreign capital may also increase economic vulnerability during periods of global instability.

Although Georgia has achieved economic progress, unemployment and poverty remain concerns, especially in rural regions. Young people often face difficulties finding stable employment opportunities. Migration from rural areas to cities has increased urban pressure and created social inequalities.

The informal economy also remains significant in some sectors, reducing tax revenues and limiting social protection systems. Economic development policies therefore need to focus not only on growth but also on social inclusion and equal opportunities.

Air pollution is one of the most serious environmental problems in Georgia, particularly in urban areas such as Tbilisi. Vehicle emissions, industrial activities, and construction projects contribute to poor air quality. Older vehicles and inadequate transportation infrastructure worsen pollution levels.

Air pollution negatively affects public health by increasing respiratory diseases, cardiovascular illnesses, and other medical conditions. Urban residents are particularly vulnerable due to population density and traffic congestion.

Water resources are essential for agriculture, industry, and domestic consumption. However, rivers and lakes in Georgia face pollution from industrial waste, untreated sewage, and agricultural chemicals. Inadequate wastewater treatment systems remain a major issue in several municipalities.

Water pollution threatens ecosystems, biodiversity, and human health. Improving water management systems and investing in modern treatment facilities are necessary for sustainable resource management.

Georgia possesses rich biodiversity and forest resources, but illegal logging and unsustainable land use practices contribute to deforestation. Forest degradation increases soil erosion, reduces carbon absorption capacity, and threatens wildlife habitats.

The Caucasus region is recognized for its ecological importance and unique species diversity. Protecting forests and biodiversity is therefore critical for environmental sustainability and tourism development.

Rapid urbanization and increased consumption have generated growing amounts of municipal waste. Waste management systems in some areas remain underdeveloped, leading to illegal dumping and environmental contamination.

Plastic pollution and insufficient recycling infrastructure also create long-term environmental risks. Public awareness campaigns and investments in recycling programs could help reduce waste-related problems.

Climate change represents a growing threat to Georgia's economy and environment. Rising temperatures, floods, droughts, and extreme weather events affect agriculture, infrastructure, and energy systems. Mountain regions are particularly vulnerable due to glacier melting and changing weather patterns.

Agriculture, which depends heavily on climate conditions, may experience lower productivity and increased economic losses if climate adaptation measures are not implemented effectively.

Georgia has adopted several environmental protection laws and strategies in cooperation with international organizations and European institutions. Environmental governance reforms aim to strengthen sustainability standards and align national policies with international frameworks.

International cooperation provides financial support, technical expertise, and policy guidance for environmental projects. Programs focused on renewable energy, biodiversity protection, and climate adaptation have become increasingly important.

Georgia has significant hydropower potential and increasing opportunities for renewable energy development. Expanding renewable energy sources such as hydropower, solar energy, and wind power can reduce dependence on fossil fuels and lower greenhouse gas emissions.

The transition toward a green economy may also create new employment opportunities in environmentally sustainable industries. Green technologies and energy-efficient infrastructure can support both economic growth and environmental protection.

Environmental education and public awareness are essential for promoting sustainable behavior. Citizens, businesses, and local communities play an important role in reducing pollution and protecting natural resources.

Educational institutions and civil society organizations can contribute to sustainability through awareness campaigns, environmental research, and community engagement projects.

Conclusion

The relationship between economic growth and environmental sustainability has become one of the most significant policy challenges for modern states, particularly for developing and transitional economies. Georgia represents a clear example of a country attempting to achieve rapid economic modernization while also addressing serious environmental concerns. Since independence, Georgia has implemented important economic reforms that transformed the country from a centrally planned economy into a more open and market-oriented system. These reforms improved the investment climate, strengthened international trade relations, encouraged entrepreneurship, and supported the development of sectors such as tourism, transportation, agriculture, and energy. Economic liberalization and international cooperation contributed to higher economic activity and greater integration into global markets.

Despite these positive developments, economic growth has also increased environmental pressure across the country. Industrial activities, urbanization, transportation expansion, and growing consumption patterns have intensified environmental degradation in several regions. Air pollution in urban centers, especially in Tbilisi, has become a major public health concern due to vehicle emissions, outdated infrastructure, and industrial pollution. Water contamination caused by untreated wastewater, agricultural chemicals, and industrial waste threatens ecosystems and human health. In addition, deforestation, illegal logging, biodiversity loss, and ineffective waste management systems continue to create ecological and economic risks for future generations.

Climate change further complicates Georgia's development prospects. Rising temperatures, floods, landslides, droughts, and glacier melting increasingly affect agriculture, tourism, infrastructure, and energy production. Because agriculture remains an important source of employment and income for many citizens, climate-related disruptions may worsen poverty, unemployment, and regional inequalities if adaptation measures are not strengthened. Environmental challenges therefore represent not only ecological concerns but also social and economic threats that directly influence national development and public well-being.

The study demonstrates that sustainable development cannot be achieved through economic growth alone. Long-term prosperity depends on balancing economic expansion with environmental protection and social responsibility. Georgia must therefore continue strengthening environmental governance, improving regulatory frameworks, and investing in sustainable technologies and infrastructure. Policies promoting renewable energy, energy efficiency, modern waste management systems, reforestation programs, and sustainable transportation can significantly reduce environmental damage while supporting economic progress. Green economic transformation may also create new employment opportunities and encourage innovation in environmentally friendly industries.

International cooperation remains highly important for Georgia's sustainable development goals. Partnerships with organizations such as the World Bank, International Monetary Fund, United Nations Development Programme, and OECD provide financial assistance, technical expertise, and policy guidance that support economic reforms and environmental protection initiatives. Alignment with European environmental standards may also improve institutional effectiveness and encourage sustainable investment practices.

Furthermore, public awareness and environmental education are essential components of sustainable development. Governments alone cannot solve environmental problems without active participation from businesses, educational institutions, civil society organizations, and citizens. Promoting environmental responsibility, recycling practices, energy conservation, and sustainable consumption patterns can help reduce environmental pressures at both local and national levels. Universities and research institutions also play an important role by conducting environmental studies, supporting innovation, and preparing future leaders capable of addressing sustainability challenges.

In conclusion, Georgia possesses strong economic potential due to its strategic geographic location, natural resources, tourism opportunities, and growing international integration. However, environmental degradation and climate-related risks threaten the country's long-term economic stability and quality of life. Sustainable development requires a comprehensive approach that integrates economic growth, environmental protection, and social inclusion into a unified national strategy. If Georgia successfully combines economic modernization with environmental sustainability, the country can strengthen its resilience, improve living standards, and create a more stable and prosperous future for upcoming generations.

References

1. Asian Development Bank. (2024). Georgia: Economic outlook and development trends. Asian Development Bank
2. European Bank for Reconstruction and Development. (2024). Georgia country strategy and economic assessment. European Bank for Reconstruction and Development
3. International Monetary Fund. (2024). Republic of Georgia: Economic performance and policy review. International Monetary Fund

4. Organisation for Economic Co-operation and Development. (2023). Environmental performance reviews: Georgia. OECD
5. United Nations Development Programme. (2023). Climate change and sustainable development in Georgia. United Nations Development Programme
6. World Bank. (2024). Georgia overview: Economy and environmental sustainability.
7. World Health Organization. (2023). Air pollution and environmental health in Georgia. World Health Organization

უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისადმი განწყობები და გამოცდილება (გლობალური ტენდენციები და საქართველო)

Experiences and Attitudes Towards the Use of Artificial Intelligence in Higher Education (Global Trends and Georgia)

ია ნაცვლიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
Ia Natsvlishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
Associate Professor

აბსტრაქტი. ციფრული ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანების საქმიანობასა და სამეწარმეო ლანდშაფტს ინოვაციების, ბაზრის წვდომისა და ოპერაციული ეფექტურობის უპრეცედენტო შესაძლებლობების შეთავაზებით. ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, მოლოდინების და გამოცდილების კვლევა წარმოადგენს ფრიად აქტუალურ საკითხს აკადემიურ წრეებში და პროფესიონალ პრაქტიკოსებს შორის. წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართ განწყობები და გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში. წარმოდგენილია ამ განწყობებისა და გამოცდილების გლობალური ტენდენციების მიმოხილვა და საქართველოში მისი თავისებურებები. განხილულია ის სარგებელი და პოტენციური საფრთხეები, რაც შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ მოიტანოს უმაღლესი განათლების სფეროში. ეს შესაძლებლობები და რისკები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მოზარდობის პერიოდში, რაც კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს მსჯელობის, განსჯის და იდენტობის განვითარებისთვის. ხაზგასმულია ახალგაზრდებში ხელოვნური ინტელექტის შესახებ წიგნიერების განვითარების მნიშვნელობა, რათა მათ შეძლონ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ჯანსაღი განვითარების ხელშესაწყობად. ნაშრომში გაანალიზებულია დამოკიდებულებები AI-ს გამოყენებისადმი აკადემიურ წრეებში. ამასთან, წარმოჩენილია AI-ის გამოყენების გავლენა სამომავლო ეკონომიკურ განვითარებაზე, დასაქმებასა და თანასწორობაზე, სამუშაო ძალის ტრანსფორმაციასა და შრომის ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ეკონომიკა, ინოვაცია, უმაღლესი განათლება, შრომის ბაზარი, დასაქმება, თანასწორობა.

Abstract. Digital tools, especially artificial intelligence, are significantly changing the way people work and the entrepreneurial landscape in the modern era by offering unprecedent opportunities for innovation, market access, and operational efficiency. Research into attitudes, expectations, and experiences related to the integration of artificial intelligence is a highly topical issue in academic circles and among professional practitioners. This paper reviews attitudes and experiences towards the use of artificial intelligence in higher education. An overview of global trends in these attitudes and experiences and their specificities in Georgia is presented. The benefits and potential threats that the use of artificial intelligence in higher education can bring are discussed. These opportunities and risks may be particularly important during adolescence, which is a critical period for the development of reasoning, judgment, and identity. The importance of developing AI literacy among young people is highlighted, so that they can use AI to promote healthy development. The paper analyses attitudes towards the use of AI in academic sphere . In addition, it presents the impact of AI use on future economic development, employment and equality, workforce transformation and the labour market.

Keywords: Artificial intelligence, digital economy, innovation, higher education, labour market, employment, equality.

შესავალი. ციფრული ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანების საქმიანობასა და სამეწარმეო ლანდშაფტს ინოვაციების, ბაზრის წვდომისა და ოპერაციული ეფექტურობის უპრეცედენტო შესაძლებლობების შეთავაზებით. ამავდროულად, წარმოიქმნება წინააღმდეგობა სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებასა და სულ უფრო მკაცრ რეგულირებას შორის, განსაკუთრებით ევროპაში. ინოვატორები უპირატესობას ანიჭებენ სიჩქარეს, ექსპერიმენტებსა და ბაზარზე გავლენას, ხოლო მარეგულირებელი ორგანოები ყურადღებას ამახვილებენ უსაფრთხოებაზე, ანგარიშვალდებულებასა და რისკების შემცირებაზე. ეს გარემოება ქმნის დინამიკას, რომელშიც ტექნოლოგიური პროგრესი და მარეგულირებელი ჩარჩოები სხვადასხვა სიჩქარით ვითარდება (GEM, 2026).

მეწარმეობას არა მხოლოდ ისეთი გლობალური გამოწვევები აყალიბებს, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა და მდგრადობა, არამედ ახალი ტექნოლოგიები და ციფრული პლატფორმები, რომლებიც ცვლის ბიზნესის დაწყების, მოწყობისა და მასშტაბირების წესს. ამ ტრანსფორმაციის ცენტრში ხელოვნური ინტელექტი დგას. 2025 წლისთვის ციფრული მარკეტინგი სამეწარმეო სტრატეგიების უმეტესობის საფუძველი გახდა, რაც ახალ საწარმოებს საშუალებას აძლევს სწრაფად და ეკონომიურად მიაღწიონ გლობალურ ბაზრებს (GEM, 2026). ეს ციფრული ინსტრუმენტები ახალ ბიზნესებს საშუალებას აძლევს, მიაღწიონ გლობალურ აუდიტორიას, მოახდინონ მომხმარებელთა გამოცდილების პერსონალიზება და სწრაფად უპასუხონ ბაზრის ტენდენციებს. ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს ამ შესაძლებლობებს პროგნოზირებადი ანალიტიკის, ავტომატიზირებული კონტენტის შექმნისა და პერსონალიზებული მომხმარებელთა ჩართულობის გზით. მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი ბაზრის ხარვეზების დასადგენად, პროტოტიპული გადაწყვეტილებების შესაქმნელად და მომხმარებელთა რეაქციების სიმულირებისთვისაც კი.

მეწარმეობისა და ეკონომიკის ციფრიზაციის თანამედროვე გლობალურ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხელოვნური ინტელექტი. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის არათანაბარი დანერგვა წარმოაჩენს ცოდნის, ნდობისა და ეკოსისტემის მხარდაჭერის არსებულ ხარვეზებს. ციფრული ტრანსფორმაციის ინკლუზიურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს, ხელოვნური ინტელექტის შესახებ წიგნიერების გავრცელებას და პასუხისმგებლიან ექსპერიმენტებს.

ხელოვნური ინტელექტი არის „მანქანაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც, აშკარა ან ფარული მიზნების მისაღწევად სისტემაში შენატანების საფუძველზე ადგენს, თუ როგორ

წარმოქმნას ისეთი გამომავალი მონაცემები, როგორიცაა პროგნოზები, შინაარსი, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფიზიკურ ან ვირტუალურ გარემოზე“ (OECD, 2024). ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროკავშირის რეგულაციაც ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტება და ხელოვნურ ინტელექტს განმარტავს შემდეგნაირად: „ხელოვნური ინტელექტის სისტემა ნიშნავს მანქანაზე დაფუძნებულ სისტემას, რომელიც შექმნილია ავტონომიის სხვადასხვა დონით მუშაობისთვის და რომელმაც შეიძლება გამოავლინოს ადაპტირება ამოქმედების შემდეგ...“ (European Union, 2024).

ხელოვნური ინტელექტის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მისი გამოყენება კვლავ არათანაბარია ახალ (გამოჩენის ფაზაში მყოფ) ბიზნესებსა და უკვე დამკვიდრებულ ბიზნესებს შორის. ყოველი სამი ახალი მეწარმიდან ერთზე ნაკლები (მესამედზე ნაკლები) ელის, რომ ხელოვნური ინტელექტი მათი ბიზნესისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდება მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ანალოგიური მაჩვენებელი უკვე დამკვიდრებული ბიზნესის მფლობელებს შორის მნიშვნელოვნად გაზრდილია და წარმოადგენს თითქმის ნახევარს-ორმოცდარვა ბიზნესის მფლობელიდან ოცდახუთი ელის, რომ ხელოვნური ინტელექტი მათი ბიზნესისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდება მომდევნო სამი წლის განმავლობაში (GEM 2026). ეს განსხვავება ასახავს ცოდნაში, თავდაჯერებულობაში, ეკოსისტემის მხარდაჭერასა და ტექნოლოგიურ წვდომაში არსებულ განსხვავებებს, რადგან მეწარმეებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ის, რაც არ იციან, ან ეფექტურად გამოიყენონ ის, რაც არ ესმით. ამიტომ, ცნობიერების ამაღლება და ტრენინგების ჩატარება აუცილებელია, თუ ხელოვნური ინტელექტი ციფრული სისწრაფის ეფექტურ ინსტრუმენტად უნდა იქცეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკვე დამკვიდრებული ბიზნესის მფლობელებთან შედარებით ადრეული ეტაპის მეწარმეებს უფრო მეტი მოლოდინი აქვთ, რომ ხელოვნური ინტელექტი ძალიან მნიშვნელოვანი გახდება. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ახალი ბიზნესებისთვის შესაძლოა დამახასიათებელია უფრო მეტი ღიაობა ტექნოლოგიური ინოვაციების მიმართ, ვიდრე უკვე დამკვიდრებული ბიზნესებისთვის.

სწორედ ზემოთ მითითებული გარემოებების გამო ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, მოლოდინების და გამოცდილების კვლევა წარმოადგენს ფრიად **აქტუალურ საკითხს** აკადემიურ წრეებში და პროფესიონალ პრაქტიკოსებს შორის. წარმოდგენილი **კვლევის მიზანია** ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართ უმაღლესი განათლების სფეროში არსებული განწყობების გამოვლენა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გამოცდილების ანალიზი, ამ განწყობებისა და გამოცდილების გლობალური ტენდენციების გაანალიზება და საქართველოში მისი თავისებურებების გამოვლენა. **კვლევის მეთოდს** წარმოადგენს თვისებრივი კვლევის მეთოდი. თვისებრივი კვლევის მიზანი პრობლემის სიღრმისეული გამოკვლევა, მისი სპეციფიკის შესწავლა და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციების აღმოჩენაა. თვისებრივი კვლევა გამოკვეთს სუბიექტური დამოკიდებულებისა და აღქმების მნიშვნელობას სოციალური ფენომენების შესწავლის პროცესში. გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცა ტექსტების სიღრმისეული ანალიზი, შემთხვევის შესწავლა, (ჩართული) დაკვირვება.

ახალგაზრდებში AI წიგნიერების მნიშვნელობა. სამეწარმეო საქმიანობასა და ეკონომიკის ფუნქციონირებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სულ უფრო მზარდი როლის გამო უმნიშვნელოვანესია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ წიგნიერების ფართოდ გავრცელება, მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემაში. მზარდი ციფრიზაციის ეპოქა მოითხოვს, რომ მთავრობებმა ინვესტიციები ჩადონ ციფრულ ინფრასტრუქტურაში, მათ შორის

კიბერუსაფრთხოებაში, და ხელი შეუწყონ ხელოვნური ინტელექტის შესახებ წიგნიერებასა და ტრენინგებს, თუ მათ სურთ, რომ ეკონომიკა სათანადო ტემპით შეეგუოს ცვლილებების სწრაფ ტემპს. ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის გაფართოება გარდაუვლად ბადებს კითხვებს მისი ეთიკური გამოყენებისა შესახებ, განსაკუთრებით დეზინფორმაციის, გარიყულობისა და მიკერძოების რისკების გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლო ინიციატივები უნდა მოიცავდეს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო მითითებებს ციფრული ტექნოლოგიების მიერ შემოთავაზებულ პოტენციურ პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად (GEM, 2026).

ახალგაზრდებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწრაფად ფართოვდება. მთელ ევროპაში, უმცროსი მოზარდების (13-15 წლის) 88%-მა და უფროსი მოზარდების (16-18 წლის) 96%-მა განაცხადა, რომ კვირაში სულ მცირე რამდენჯერმე იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სწავლისა და შემოქმედებითი ამოცანებისთვის, მათ შორის სკოლის დავალებების შესასრულებლად, კვლევისა და თარგმანისთვის (Finnegan, 2026).

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა: მას შეუძლია დაეხმაროს საშინაო დავალების შესრულებასა და სწავლაში, რთული კონცეფციების გარკვევაში, უზრუნველყოს უფრო პერსონალიზებული სასწავლო გამოცდილება და შეამციროს აკადემიურ დატვირთვასთან დაკავშირებული სტრესი. როდესაც გამოიყენება მკაფიო პედაგოგიური მიზნით, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააძლიეროს კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა და თანამშრომლობა.

ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გავრცელება ახალ გამოწვევებს წარმოშობს: ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა, შეიქმნას და გაზიარდეს ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მასშტაბურად, რაც ზრდის ახალგაზრდების მოწყვლადობას დეზინფორმაციის მიმართ, ასევე ზრდის კონფიდენციალურობის პოტენციურ რისკებს. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, ასევე, შეიძლება არასწორად იქნას გამოყენებული მავნე კონტენტის შესაქმნელად, როგორიცაა ღრმა ყალბი და არაკონსენსუალური ინტიმური სურათები (NCII), რაც ხელს უწყობს შევიწროებას ან კიბერბულინგის განხორციელებას.

ეს შესაძლებლობები და რისკები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მოზარდობის პერიოდში, რაც კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს მსჯელობის, განსჯის და იდენტობის განვითარებისთვის. ახალგაზრდების ხელოვნურ ინტელექტთან ურთიერთობის ფორმირების ამ ეტაპზე შესაძლოა მათი გრძელვადიანი სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური კეთილდღეობის ჩამოყალიბებაზე მიუთითებდეს. ხელოვნურ ინტელექტზე ხშირმა დამოკიდებულებამ შესაძლოა ზოგიერთი მოზარდი ამ ინსტრუმენტებით კრიტიკული აზროვნებისა და სოციალური ურთიერთქმედების ჩანაცვლებამდე მიიყვანოს. ეს დინამიკა ხაზს უსვამს გადაუდებელ პრიორიტეტს: ახალგაზრდებში ხელოვნური ინტელექტის შესახებ წიგნიერების განვითარება, რათა მათ შეძლონ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ჯანსაღი განვითარების ხელშეწყობის გზებით.

ხელოვნური ინტელექტის შეზღუდვების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური და ემოციური კეთილდღეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია რთული, ადამიანის მსგავსი რეაქციების გენერირება, ისინი ამას აკეთებენ გაგების, ცნობიერების ან განზრახვის გარეშე. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებმა შეიძლება ხელი შეუწყონ სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ჩაანაცვლონ ავთენტური ურთიერთობები ან მზრუნველი ზრდასრულების როლი ახალგაზრდების ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების

მკაფიო გაგება აძლიერებს რეალურ სამყაროსთან კავშირების მნიშვნელობას და ეხმარება ახალგაზრდებს ტექნოლოგიებთან ჯანსაღი საზღვრების შენარჩუნებაში.

ხელოვნური ინტელექტის წიგნიერება ასევე ხელს უწყობს ინტელექტუალურ კეთილდღეობას. რადგან ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტი სულ უფრო გავრცელებული ხდება და ხელოვნური ინტელექტის სისტემები სულ უფრო მეტად აყალიბებენ ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, ახალგაზრდებმა უნდა განივითარონ უნარები, რათა დასვან კითხვები, შეაფასონ და გამოიტანონ ინფორმირებული დასკვნები.

ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ჩარჩოს პროექტი (AILitFramework, 2025) ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტებს პრაქტიკაში ახორციელებს. ისეთ ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით, როგორიცაა სამართლიანობა, გამჭვირვალობა, ახსნა-განმარტება, ანგარიშვალდებულება და კონფიდენციალურობის პატივისცემა, ჩარჩო განსაზღვრავს, თუ როგორ ურთიერთობენ მოსწავლეები ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებთან გამოყენებამდე, გამოყენების დროს და გამოყენების შემდეგ.

17-დან 27 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 49%-ს უჭირს ხელოვნური ინტელექტის ნაკლოვანებების კრიტიკულად შეფასება და იდენტიფიცირება, მაგალითად, შეუძლიათ თუ არა ხელოვნურ ინტელექტს ფაქტების გამოგონება (AILitFramework, 2025). 2024 წელს ევროპის 7 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის თანახმად (გამოიკითხა 7 ათასი სტუდენტი გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, საბერძნეთში, რუმინეთში, თურქეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში), ევროპაში 12-დან 17 წლამდე ახალგაზრდების 74% თვლის, რომ AI შეასრულებს უდიდეს როლს მათ პროფესიულ ცხოვრებაში. რესპოდენტთა 46% მიიჩნევს, რომ სკოლა ადექვატურად ამზადებს მათ AI-ს გამოყენებისთვის. 44%-ს მიაჩნია, რომ მათი მასწავლებლები კარგად მომზადებულები არიან AI-ს აპლიკაციების გამოყენებაში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპოდენტთა 49% წუხს, რომ AI-ს გამოყენება გააფართოებს აკადემიურ წარმატებაში არსებულ განსხვავებას თანატოლებს შორის.

სამომავლოდ, AI-ის გამოყენების საბოლოო ჩარჩო უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს მეტაკოგნიციას, რეფლექსიას და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რაც გააძლიერებს AI წიგნიერების როლს ახალგაზრდების კეთილდღეობის მხარდაჭერაში. ახალგაზრდები ხელოვნური ინტელექტის ჩვევებს უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში ავითარებენ. მათზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ თანატოლების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, არამედ ის ქცევებიც, რომლებსაც ისინი ზრდასრულებში აკვირდებიან. მასწავლებლები, მშობლები და განათლების სფეროს ლიდერები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელოვნური ინტელექტის გააზრებული გამოყენების მოდელირებასა და მასთან პასუხისმგებლიანი ჩართულობის შესახებ საუბრების წარმართვაში. დეველოპერები ასევე უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი გამჭვირვალე, ახსნადი ინსტრუმენტების შექმნაზე, რომლებიც არ გამოიყენებენ ახალგაზრდების მგრძნობელობას.

ხელოვნური ინტელექტი გააგრძელებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ, მუშაობენ და სწავლობენ ახალგაზრდები. ზრდასრულების მიზანმიმართული ხელმძღვანელობით და ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების მყარი საფუძვლით, ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს ინსტრუმენტები ისე, რომ ხელი შეუწყონ საკუთარ კეთილდღეობას.

დამოკიდებულებები AI-ს გამოყენებისადმი აკადემიურ წრეებში. საერთაშორისო მასშტაბით აკადემიურ წრეებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ აკადემიურ წრეებში AI-სთან დაკავშირებულ ამჟამინდელ დამოკიდებულებებსა და გამოცდილებას (University of Massachussetts, Amhers, 2025). აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ხელოვნურ ინტელექტს ძირითადად

იყენებენ ამოცანების ამოსახსნელად (69%), ნაშრომის კორექტირებისა და რედაქტირებისთვის (67%), სტატიებისა და ლექციების ჩანაწერებიდან შინაარსის გამოტანისათვის (61%), იდეების გენერირებისთვის (55%) და სურათების ან აუდიოს გენერირებისთვის (54%). გამოკითხულ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 80%-ზე მეტი უკვე იყენებენ AI-ს დღეში მინიმუმ ერთი სამუშაო დავალებისთვის მაინც: შინაარსის შეჯამება (74%) და სამუშაო გამოწვევებზე იდეების გენერირება (71%). რესპოდენტთა აზრით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოიცავს რისკებსაც. რესპონდენტთა 98% შეშფოთებულია დეზინფორმაციის გაზრდით, 90%-ს საფრთხედ მიიჩნევს მონაცემების თანხმობის გარეშე გამოყენებას, 88% შეშფოთებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის შეფასების უუნარობის გამო. წამოჭრილი 22 საფრთხის შემცველი სფეროდან, რესპონდენტთა სამ მეოთხედზე მეტმა განაცხადა, რომ მათგან 18-ის მიმართ, სულ მცირე, გარკვეულწილად "შეშფოთებული" იყო.

ხელოვნური ინტელექტისადმი განწყობები და გამოცდილების ტენდენციების შესახებ მრვლისმეტყველია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მაგალითი. თსუ ხარისხის სამსახურის ორგანიზებით 2025 წლის ივლისში ჩატარებული სტუდნეტთა კვლევის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და პასუხისმგებლობა საუნივერსიტეტო გარემოში" თანახმად, რესპონდენტთა 94% იყენებს ChatGPT-ს. რესპონდენტთა უმრავლესობა (75%) ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი იყო. რესპოდენტთა უმრავლესობა (63%) მიიჩნევდა, რომ ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ძირითადი სარგებელი არის დროის მენეჯმენტი. 48% მიიჩნევდა, რომ ასეთი სარგებელი არის ახალი იდეების მოძიება, 38% მიიჩნევდა, რომ ძირითადი სარგებელია სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაანალიზება, ხოლო 33%-ს ძირითად სარგებლად მიაჩნდა დიდ მონაცემთა ანალიზი. რესპოდენტების უმრავლესობა (74%) AI-ის გამოყენების ძირითად რისკად მიიჩნევს კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების დათრგუნვას, ხოლო 52%-აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიარიზმის შემთხვევებს, ასევე, სიღრმისეული თეორიული ცოდნის ჩანაცვლებას ზედაპირული ცოდნით (47%). სტუდენტ რესპონდენტთა 74% მხარს უჭერს ვალდებულებას, მიუთითოს AI-ის გამოყენება თავის აკადემიურ ნაშრომში (თსუ, 2026).

თსუ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვლევის „ხელოვნური ინტელექტი სამუშაო პროცესებსა და სერვისებში" თანახმად, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა ყველაზე მეტად შემდეგი მიმართულებებით არსებობს: თარგმნა - რესპონდენტთა 65.1%; ანგარიშების, მოხსენებებისა და პრეზენტაციების შექმნა - 38.1%; რაოდენობრივ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი - 35.7%; კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება - 34.9%; დოკუმენტების შინაარსობრივი რედაქტირება - 27.8%.

თსუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ანალოგიური კვლევის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში" თანახმად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან ხელოვნური ინტელექტი მუდმივად ან მეტ-ნაკლებად გამოიყენება ყველაზე ხშირად შემდეგი მიმართულებებით (იხ. დიაგრამა #1 ქვემოთ): თარგმნა მრავალ ენაზე, ლიტერატურის მოძიება და ორგანიზება, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, ტესტების/შეფასების კითხვების შექმნა.

დიაგრამა #1. **ხელოვნური ინტელექტის სწავლება-კვლევის მიმართულებით გამოყენების სიხშირე**



შენიშვნა: დიაგრამაზე წარმოდგენილია პერსონალის რაოდენობა.

წყარო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელოვნური ინტელექტის (AI) საუნივერსიტეტო სტრატეგია 2026 – 2029

თსუ დამსაქმებელთა კვლევის „ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარები და კურსდამთავრებულთა მზაობა" თანახმად დამსაქმებელთა უმრავლესობა ხელოვნურ ინტელექტს იყენებს მონაცემთა ანალიზისა და ანგარიშგებისთვის (60%) და კონტენტის (ტექსტი, სურათი, ვიდეო) გენერაციისთვის (55%). დამსაქმებელ რესპოდენტთა ყველაზე უფრო დიდი წილი (41%) მიიჩნევს, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს პროფესიული საჭიროებების შესაბამისად ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების უნარები (მაგ. Copilot, Excell AI, ChatGPT), მონაცემთა დამუშავების საბაზისო უნარები (გაწმენდა, ვიზუალიზაცია, ანალიზი, ინტერპრეტაცია) -რესპოდენტთა (32%), მოთხოვნების სწორად ფორმულირება და ხელოვნური ინტელექტის საბაზისო დონეზე გამოყენება - რესპოდენტთა (32%), ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპების ცოდნა (27%).

AI-ის ინტეგრაციის გლობალური ტენდენციები და გავლენა სამომავლო განვითარებაზე. ორგანიზაციების სამომავლო განვითარებაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის პროცესი. დღეისათვის მსოფლიოში ადგილი აქვს ორგანიზაციების მხრიდან დრამატულ ნახტომს ტექნოლოგიების ათვისების კუთხით: გამოკითხული ორგანიზაციების 88% უკვე რეგულარულად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს მინიმუმ ერთ ბიზნეს ფუნქციაში მაინც. ეს მაჩვენებელი წინა წელთან (78%) შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (McKinsey & Company, 2025). ამასთან, გამოკვეთილია პარადოქსული ვითარება: მიუხედავად AI-ს მასობრივი გამოყენებისა, ფირმების უმეტესობა კვლავ "ექსპერიმენტულ" ან "პილოტირების" ფაზაშია. მხოლოდ მცირე ნაწილი (მაღალი მაჩვენებლების მქონე ფირმები, ე.წ. "High Performers"), ახერხებს ინოვაციის ისეთი მასშტაბის მიღწევას, რომ მან გავლენა მოახდინოს კომპანიის მთლიან საოპერაციო მოგებაზე (EBIT). ეს დისბალანსი ტექნოლოგიის ფლობასა და მისგან რეალური ეკონომიკური სარგებლის მიღებას შორის ვითარებაა, როდესაც ფირმა შიდა პროცესების ავტომატიზაციას ახდენს, ის ამცირებს ინფორმაციის მოძიების, კოორდინაციისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, რაც პირდაპირ აისახება ფირმის შიდა ეფექტიანობაზე.

კვლევის მიხედვით, კომპანიების 23% უკვე ახდენს AI აგენტების მასშტაბირებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ფირმის სტრუქტურა სულ უფრო მეტად ხდება "ალგორითმზე დაფუძნებული". McKinsey-ის ანგარიში აჩვენებს, რომ კომპანიების 80% ფოკუსირებულია

(McKinsey & Company, 2025) ხარჯების შემცირებაზე, ეფექტიანობაზე (პროცესის ინოვაციებზე), თუმცა, საუკეთესო ფირმები დამატებით მიზნად ისახავენ ზრდას და ახალი მოთხოვნის/პროდუქტების შექმნას (პროდუქტის ინოვაცია). ეს მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ფირმა ცდილობს ერთდროულად შეამციროს საშუალო მთლიანი ხარჯები და გაზარდოს თავისი ბაზრის წილი პროდუქტის დიფერენციაციის გზით. კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 80% აცხადებს, რომ მათი AI ინიციატივების მთავარი მიზანი სწორედ ეფექტიანობის გაზრდაა. McKinsey-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოკითხულთა 39% უკვე ხედავს AI-ს გავლენას EBIT-ზე (მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე), რაც არის ფირმის საოპერაციო ეფექტიანობის საზომი. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობისთვის ეს გავლენა ჯერ კიდევ მცირეა (5%-ზე ნაკლები), ე.წ. "High Performers" ჯგუფი ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. გამოკვეთილია განსხვავება კომპანიის ზომებს შორის: დიდი კომპანიები (5 მილიარდ დოლარზე მეტი შემოსავლით) უფრო წარმატებით ახდენენ AI-ს მასშტაბირებას (47%), ვიდრე მცირე კომპანიები (29%). ინოვაცია არ არის უფასო რესურსი. McKinsey-ის მიხედვით, "High Performers" კომპანიები თავიანთი ციფრული ბიუჯეტის 20%-ზე მეტს AI-ში დებენ (McKinsey & Company, 2025).

როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის კვლევა (KPMG Global tech report 2026) აჩვენებს, ყველა კატეგორიის გამოკვლეული ორგანიზაციების 11% ფართო მასშტაბით იყენებს ხელოვნურ ინტელექტს და ორიენტირებულია უწყვეტ გაუმჯობესებაზე. კვლევა ეფუძნება 27 ქვეყნიდან 2,500 ტექნოლოგიური აღმასრულებელი დირექტორის გამოკითხვას. კვლევაში მონაწილე ყველა ორგანიზაციის წლიური შემოსავალი 100 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. რესპოდენტები წარმოდგენილები იყვნენ შესაბამისად: ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (EMEA) რეგიონიდან (43%); აზია-წყნარი ოკეანისა რეგიონიდან (ASPAC) (29%) და ამერიკის კონტინენტიდან (28%). ტექნოლოგიური აღმასრულებლები წარმოდგენილები იყვნენ რვა დარგიდან: საავტომობილო (10%); სამომხმარებლო და საცალო ვაჭრობა (10%); ენერგეტიკა (10%); ფინანსური მომსახურება (31%); მთავრობა (8%); ჯანდაცვა და სასიცოცხლო მეცნიერებები (10%); სამრეწველო წარმოება (10%); ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციები (11%);

ორგანიზაციების 36%-ის სტრატეგიები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაფინანსებული და მხარდაჭერილია და ისინი მასშტაბირების გზაზე არიან. ორგანიზაციების 32%-მა უზრუნველყო დაფინანსება სტრატეგიებისთვის, მაგრამ განხორციელების გზაზე ისინი დაბრკოლებებს აწყდებიან. სრულად მასშტაბირებული კატეგორიები იყო კიბერუსაფრთხოება, თანამედროვე მიწოდება (მათ შორის Agile, DevOps, დაბალი კოდის/კოდის გარეშე), შესაბამისად (18%) და 14%-ით. მიღებული შედეგები მიუთითებს მნიშვნელოვან ოპტიმიზმზე ხელოვნური ინტელექტის მიმართ. გამოკითხვის თანახმად, როგორც ადრეული გამომყენებლები, ასევე ნელი მიმდევრები ელიან წარმოებაში ხელოვნური ინტელექტის გაფართოებას და ინვესტიციებზე უკუგების (ROI) მიღწევას მრავალჯერადი გამოყენების შემთხვევებში 2026 წლისთვის. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური აღმასრულებლების 55%-ს უჭირს ხელოვნური ინტელექტის ღირებულების დემონსტრირება და მისი კომუნიკაცია დაინტერესებული მხარეებისა და აქციონერებისთვის (KPMG Global tech report 2026).

ხელოვნური ინტელექტის ინდექსის 2025 წლის ანგარიშის მიხედვით (The 2025 AI Index Report, 2025) დღეისათვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში გამოკვეთილია შემდეგი გლობალური ტენდენციები:

1. ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირება მომთხოვნი ნიშნულების (საორიენტაციო მაჩვენებლების) მიხედვით განაგრძობს გაუმჯობესებას. საორიენტაციო მაჩვენებლებს გარდა, ხელოვნური ინტელექტის სისტემებმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადეს მაღალი ხარისხის ვიდეოს გენერირებაში და ზოგიერთ შემთხვევაში, ენობრივი მოდელის აგენტებმა შეზღუდული დროის ბიუჯეტით პროგრამირების ამოცანებში ადამიანებსაც კი გადააჭარბეს.

2. ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტად ინტეგრირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჯანდაცვიდან დაწყებული ტრანსპორტით დამთავრებული, ხელოვნური ინტელექტი სწრაფად გადადის ლაბორატორიიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

3. ბიზნესი მთლიანად ხელოვნურ ინტელექტზეა ორიენტირებული, რაც რეკორდულ ინვესტიციებსა და გამოყენებას უწყობს ხელს. კვლევები კვლავ აჩვენებს პროდუქტიულობაზე ხელოვნური ინტელექტის ძლიერ გავლენას. 2024 წელს აშშ-ში ხელოვნურ ინტელექტში კერძო ინვესტიციები 109.1 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა - თითქმის 12-ჯერ მეტი ჩინეთის 9.3 მილიარდ დოლარზე და 24-ჯერ მეტი დიდი ბრიტანეთის 4.5 მილიარდ დოლარზე. განსაკუთრებით ძლიერი იმპულსი დაფიქსირდა გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტში, რომელმაც გლობალურად 33.9 მილიარდი დოლარის კერძო ინვესტიცია მოიზიდა, რაც 18.7%-ით მეტია 2023 წელთან შედარებით. ხელოვნური ინტელექტის ბიზნესში გამოყენებაც გაზრდილია: ორგანიზაციების 78%-მა განაცხადა, რომ 2024 წელს ხელოვნურ ინტელექტს იყენებდა, რაც წინა წლის 55%-თან შედარებით მეტია. კვლევების მზარდი რაოდენობა ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ზრდის პროდუქტიულობას და, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უწყობს სამუშაო ძალაში უნარებს შორის განსხვავების შემცირებას.

4. აშშ კვლავ ლიდერობს ხელოვნური ინტელექტის საუკეთესო მოდელების წარმოებაში, თუმცა ჩინეთი ამცირებს სხვაობას. 2024 წელს აშშ-ში დაფუძნებულმა ინსტიტუტებმა შექმნეს 40 აღსანიშნავი ხელოვნური ინტელექტის მოდელი, ჩინეთის 15 და ევროპის 3 მოდელის საპირწონედ.

5. პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის ეკოსისტემა არათანაბრად ვითარდება. 2024 წელს გლობალური თანამშრომლობა ხელოვნური ინტელექტის მმართველობის საკითხებში გაძლიერდა, ორგანიზაციებმა, მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, ევროკავშირმა, გაერომ და აფრიკის კავშირმა, გამოაქვეყნეს ჩარჩოები, რომლებიც ორიენტირებულია გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის სხვა ძირითად პრინციპებზე.

6. გლობალური ოპტიმიზმი ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით იზრდება, მაგრამ ღრმა რეგიონული განსხვავება რჩება. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი (83%), ინდონეზია (80%) და ტაილანდი (77%), დიდი უმრავლესობა ხელოვნური ინტელექტის პროდუქტებსა და მომსახურებას უფრო სასარგებლოდ მიიჩნევს, ვიდრე მავნედ. ამის საპირისპიროდ, ოპტიმიზმი გაცილებით დაბალია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კანადა (40%), შეერთებული შტატები (39%) და ნიდერლანდები (36%).

7. ხელოვნური ინტელექტი უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი ხდება.

8. მთავრობები ფოკუსირებული არიან ხელოვნურ ინტელექტზე - რეგულირებითა და ინვესტიციებით. 2024 წელს აშშ-ის ფედერალურმა სააგენტოებმა შემოიღეს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული 59 რეგულაცია - ორჯერ მეტი, ვიდრე 2023 წელს . გლობალურად, ხელოვნური ინტელექტის შესახებ საკანონმდებლო აქტები 2023 წლიდან 75 ქვეყანაში 21.3%-ით გაიზარდა.

9. ხელოვნური ინტელექტისა და კომპიუტერული მეცნიერებების განათლება ფართოვდება, მაგრამ ხელმისაწვდომობისა და მზადყოფნის ხარვეზები კვლავ არსებობს. ქვეყნების ორი მესამედი ამჟამად გვთავაზობს ან გეგმავს კომპიუტერული მეცნიერებების საშუალო ზოგადი განათლების შეთავაზებას - ორჯერ მეტი, ვიდრე 2019 წელს. ამ მიმართულებით აფრიკას და ლათინურ ამერიკას ყველაზე მეტი პროგრესი აქვთ.

10. ინდუსტრია წინ მიიწევს ხელოვნური ინტელექტის შექმნაში, მაგრამ საზღვრები ვიწროვდება. 2024 წელს ხელოვნური ინტელექტის ცნობილი მოდელების თითქმის 90% ინდუსტრიიდან იყო, 2023 წლის 60%-თან შედარებით, მაშინ როდესაც აკადემიური წრეები კვლავ რჩება მაღალციტირებული კვლევების მთავარ წყაროდ. მოდელის მასშტაბი სწრაფად იზრდება - გამოთვლითი ტრენინგები ორმაგდება ყოველ ხუთ თვეში, მონაცემთა ნაკრებები ყოველ რვა თვეში, ხოლო ენერგიის მოხმარება ყოველწლიურად. თუმცა, შესრულების ხარვეზები მცირდება.

11. ხელოვნური ინტელექტთან დაკავშირებული კვლევები მეცნიერებაზე გავლენისთვის უმაღლეს ჯილდოებს იღებს. ხელოვნური ინტელექტის მზარდი მნიშვნელობა აისახება მნიშვნელოვან სამეცნიერო ჯილდოებში. მოპოვებულია ორი ნობელის პრემია და ტურინგის პრემია.

12. კომპლექსური მსჯელობა კვლავ გამოწვევად რჩება ხელოვნური ინტელექტისთვის. ხელოვნური ინტელექტის მოდელები წარმატებით უმკლავდებიან ისეთ ამოცანებს, როგორიცაა საერთაშორისო მათემატიკის ოლიმპიადის ამოცანები, მაგრამ მაინც უჭირთ კომპლექსური მსჯელობის სტანდარტების დაკმაყოფილება.

ძირითადი გამოწვევა არა თავად ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით გამოწვეული ავტომატიზაციაა, არამედ თანმხლები სარგებლის არათანაბარი განაწილება. კაპიტალისა და შემოსავლის სტაბილურობაზე ფართო წვდომის გარეშე, ავტომატიზაცია შესაძლებლობების გლობალური გაფართოების ნაცვლად უთანასწორობის გაღრმავების რისკს ქმნის (GIGA Focus Global, 2026).

საშუალო შემოსავლის მქონე ეკონომიკებს (მაგალითად, ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია) შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება არსებულ სამრეწველო ბაზებში, მაშინ როცა ბევრ აფრიკულ სახელმწიფოს, სადაც არაფორმალური დასაქმება დომინირებს, არ აქვს ხელოვნური ინტელექტისადმი მზადყოფნა.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ემუქრებათ მომსახურების სექტორში უპირატესობების დაკარგვის რისკი ხელოვნური ინტელექტის ახალი ინდუსტრიების შექმნის გარეშე, რადგან ავტომატიზაცია ამცირებს შრომის ხარჯების უპირატესობებს და აჩქარებს „ზრდას უმუშევრობასთან ერთად“.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას შემოსავალი შრომიდან კაპიტალზე გადააქვს. ძლიერი ტექნოლოგიური ეკოსისტემების მქონე ქვეყნებს შეუძლიათ შიდა ხელოვნური ინტელექტის კაპიტალის დაგროვება, ზოგი კი უცხოურ პლატფორმებზე დამოკიდებულად რჩება. ეს აღრმავებს უთანასწორობას გლობალურ სამხრეთში, რაც ქმნის უფსკრულს ხელოვნური ინტელექტის დამნერგავ და ხელოვნურ ინტელექტზე დამოკიდებულ ეკონომიკებს შორის.

მტკიცებულებები მიუთითებს არაფორმალური დასაქმების ზრდასა და შრომის ბაზარის წილის შემცირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიას შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, ბევრი - განსაკუთრებით პლატფორმასთან დაკავშირებული როლები - არაფორმალური რჩება და დაუცველია, რადგან სტაბილური ფორმალური დასაქმება და ეფექტური გადამზადების სისტემები კვლავ მწირია.

გლობალური სამხრეთის მრავალ რეგიონში მუშაკთა ერთ მეხუთედზე ნაკლებს აქვს წვდომა უმუშევრობისგან დაცვის პაკეტებზე. ადაპტაციური სოციალური უზრუნველყოფის სისტემების გარეშე, ავტომატიზაცია მილიონობით ადამიანს არასტაბილურობითა და შრომის ბაზრიდან მუდმივი გარიყვით ემუქრება.

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით ხაზგასმულია, რომ 2025 წლის შუა პერიოდში ChatGPT-ის გლობალური ტრაფიკის 40% მეტი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან მოდიოდა. ბრაზილია, ინდოეთი და ინდონეზია ყველაზე დიდ მომხმარებლებს შორის არიან. ჩინეთი და ინდოეთი უკვე გამოირჩევიან ხელოვნური ინტელექტის კვლევის შედეგებით და მისი მასშტაბური სამრეწველო სისტემებში დანერგვის უნარით. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის გავრცელება ყველაზე სწრაფია იქ, სადაც არსებული სამრეწველო და ადამიანური კაპიტალის ბაზა საშუალებას აძლევს ფირმებს უფრო ადვილად აითვისონ ახალი ტექნოლოგიები (World Bank Group, 2025).

როგორც დიაგრამაში #2 ნაჩვენები, ძლიერი ინფრასტრუქტურის, უკვე არსებული ინდუსტრიებისა და სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებს უფრო მეტად შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ზრდისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელოვნური ინტელექტის მზადყოფნის ინდექსი (AIPI) აფასებს ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მზაობას 174 ქვეყანაში. ის აერთიანებს ციფრული ინფრასტრუქტურის, ადამიანური კაპიტალისა და შრომითი პოლიტიკის, ინოვაციური შესაძლებლობებისა და სამართლებრივი ჩარჩოების ნორმალიზებულ ინდიკატორებს რვა საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოს მზადყოფნის არარანჟირებადი ინდიკატორი (International Monetary Fund, 2023). მიმდინარე ტრაექტორიების გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტის მხრივ აშკარა უთანასწორობა ჩნდება, რომლის მიხედვითაც საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები, განსაკუთრებით აფრიკაში, ჩამორჩებიან ხელოვნური ინტელექტის დანერგვის კუთხით, რაც ზრდის რისკს, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები აფართოებს და არ ამცირებს გლობალურ უთანასწორობას.

დიაგრამა 2. მზადყოფნის ინდექსები

0,80 და ზემოთ	ძალიან მაღალი მზადყოფნა (AI-ს დანერგვისა და ინტეგრაციის ძალიან მაღალი მზაობა): მხოლოდ სინგაპური (0.80)
0,60-0,79	მაღალი მზადყოფნა (ძლიერი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკა და შესაძლებლობები)
0,40-0,59	ზომიერი მზადყოფნა (მზარდი, მაგრამ არათანაბარი მზაობა)
0,20-0,39	დაბალი მზადყოფნა (შეზღუდული ინფრასტრუქტურა და პოლიტიკით ხელშეწყობა)
0,20-ზე ნაკლები	ძალიან დაბალი მზადყოფნა (AI-ს დანერგვის მინიმალური მზაობა)
მონაცემები არ არის	ხელმისაწვდომია არასაკმარისი ინფორმაცია



წყარო: GIGA Focus Global Automation and Inequality: Social Safety Nets in the Age of AI Number 3 | 2026 | ISSN: 1862-3581

ხელოვნური ინტელექტი და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია. ხელოვნური ინტელექტი სამუშაოს ტრანსფორმაციას ახდენს. ახალი უნარების მოთხოვნა და მიწოდება, განსაკუთრებით IT და ხელოვნური ინტელექტის სფეროში, ცვლის შრომის ბაზრებს, რაც გავლენას ახდენს ხელფასებსა და დასაქმებაზე. ქვეყნები არა მხოლოდ მონაცემთა ცენტრებისა და უკეთესი ალგორითმების შექმნას ჩქარობენ, არამედ უფრო ჭკვიანი შრომის ბაზრების ფორმირებასაც ცდილობენ. ახალ და ციფრულ უნარებზე მოთხოვნა აჩქარებულია: განვითარებულ ეკონომიკებში ვაკანსიების ყოველი მეათე გამოცხადება და განვითარებად ბაზრებზე ვაკანსიების ყოველი მეოცე გამოცხადება სულ მცირე ერთ ახალ უნარს მოითხოვს. ეს მაჩვენებელი განვითარებად ეკონომიკებში განვითარებული ეკონომიკების მაჩვენებელთან შედარებით განახევრებულია. უმრავლეს შემთხვევაში, ამ ახალ უნარებზე მოთხოვნა პირველად აშშ-ში ჩნდება და შემდეგ ვრცელდება სხვა ქვეყნებში (International monetary Fund, 2026).

ზოგიერთი ქვეყანა სხვებზე უკეთ არის მომზადებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უნარების მზაობის ინდექსი (Jaumotte et.al., 2026) ავლენს, თუ რომელი ეკონომიკებია მომავლისთვის საუკეთესო მდგომარეობაში. ჩრდილოეთ ევროპა ლიდერობს მუშაკთა ახალი უნარების მომზადებაში. ხელმისაწვდომი მონაცემების მქონე 23 ქვეყნიდან ირლანდია, ფინეთი და დანია ლიდერობენ, რომლებიც ტექნოლოგიური სფეროს კურსდამთავრებულთა მაღალ წილს აერთიანებენ ზრდასრულთა წიგნიერებისა და გადამზადების ძლიერ სისტემებთან. მათი გამოწვევა ახლა არა მხოლოდ ახალი უნარებით აღჭურვილი ნიჭიერ მუშაკთა შექმნაა, არამედ მისი ათვისებაა. ამ ქვეყნებმა უნდა წაახალისონ ინოვაციები და გააფართოვონ მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა, რათა განათლებაში მათი ინვესტიციები ფართო შესაძლებლობებად იქცეს. საბოლოო ჯამში, ქვეყნები, რომლებიც ამზადებენ მუშაკებს და ქმნიან აუცილებელ პირობებს ბიზნესისთვის ამ უნარების ათვისებისთვის, საუკეთესო მდგომარეობაში იქნებიან ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად. უნარების დისბალანსის ინდექსი ქვეყნებს შორის ფართო განსხვავებებს ავლენს. ხელოვნურ ინტელექტზე მაღალი მოთხოვნის მქონე ეკონომიკებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო მაღალი მიწოდების მქონე ეკონომიკებმა უნდა შეუწყონ ხელი ფირმების მიერ მათ ათვისებას ინოვაციებისა და კრედიტებზე წვდომის გზით.

კვლევები (Jaumotte et.al., 2026) განასხვავებს ყველა ახალ უნარსა და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ ახალ უნარებს. ყველა ახალ უნარზე მოთხოვნის ზრდა ხელს უწყობს ხელფასებსა და დასაქმებას. სამუშაო ადგილების შესახებ განაცხადების მიხედვით, ახალი უნარები დაკავშირებულია მაღალ ხელფასებთან შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში (შესაბამისად, 3% და 3.4%). ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ ახალ უნარებზე ფოკუსირება, ამ უნარებზე უფრო დიდი მოთხოვნა დაკავშირებულია საერთო დასაქმების არარსებობასთან და მუშათა ზოგიერთი ჯგუფის დასაქმების შემცირებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ახალი უნარების მომთხოვნი ვაკანსიები მაღალ ხელფასებს ითვალისწინებს, მათ ჯერჯერობით ვერ შეუწყვეს ხელი აშშ-ს ადგილობრივ შრომის ბაზრებზე დასაქმების საერთო რაოდენობის გაზრდას.

ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ მოთხოვნას ახალ უნარებზე. ეკონომიკებს, სადაც დასაქმების მაღალი წილი პროფესიულ, ტექნიკურ და მენეჯერულ პროფესიებშია, სავარაუდოდ, ახალ უნარებზე უფრო მაღალი მოთხოვნა აქვთ. ქვეყნები, ასევე, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ახალი უნარების მიწოდების კუთხითაც. ახალი

უნარების მიწოდება დიდწილად დამოკიდებულია უმაღლესი განათლების მქონე მუშაკებზე, განსაკუთრებით STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) და IT (საინფორამციო ტექნოლოგიები) სფეროებში.

ახალი უნარების შედარებითი მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით პოლიტიკის პრიორიტეტები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. იმ ეკონომიკებში, სადაც ახალ უნარებზე მოთხოვნა მაღალია, მაგრამ შიდა მიწოდება შედარებით შეზღუდულია, პრიორიტეტულია მუშაკთა მომზადების შესაძლებლობების გაფართოება, IT ტრენინგების ინტეგრირება სწავლის ყველა სფეროში, რეგიონებს შორის შრომის მობილობის ხელშეწყობა და STEM განათლების გაძლიერება. ამის საპირისპიროდ, ქვეყნებმა, სადაც შიდა მიწოდების მოცულობა მოთხოვნასთან შედარებით ძლიერია, ყურადღება უნდა გაამახვილონ ინოვაციების სტიმულირებასა და ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებაზე, რათა ფირმებმა აითვისონ და განახორციელონ ეს უნარები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელოვნური ინტელექტის მზადყოფნის ინდექსს შეუძლია დახმარება გაუწიოს პოლიტიკის შემქმნელებს, თუ რომელ პოლიტიკურ სფეროში გაამახვილონ ძალისხმევა. ახალი უნარების გავრცელება მოითხოვს მუშაკთა გადაადგილების ხელშეწყობას პროფესიებსა და რეგიონებს შორის (Jaumotte et.al., 2026).

დასკვნა. თანამედროვე უახლესი კვლევის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ დღეისათვის მსოფლიოში ადგილი აქვს ორგანიზაციების მხრიდან დრამატულ ნახტომს ტექნოლოგიების ათვისების კუთხით: ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა უკვე რეგულარულად იყენებს ხელოვნურ ინტელექტს მინიმუმ ერთ ბიზნეს ფუნქციაში მაინც. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდილია. თუმცა,მიუხედავად AI-ს მასობრივი გამოყენებისა, ფირმების უმეტესობა კვლავ "ექსპერიმენტულ" ან "პილოტირების" ფაზაშია. მხოლოდ მცირე ნაწილი (მაღალი მაჩვენებლების მქონე ფირმები) ახერხებს ინოვაციის ისეთი მასშტაბის მიღწევას, რომ მან გავლენა მოახდინოს კომპანიის მთლიან საოპერაციო მოგებაზე.

საკითხის მეცნიერული შსესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ უმაღლეს განათლების სისტემაში ჩართულ რესპოდენტთა უმრავლესობას ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითად სარგებლად მიაჩნია: დროის მენეჯმენტი, ახალი იდეების მოძიება, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გაანალიზება, დიდ მონაცემთა ანალიზი. რესპოდენტების უმრავლესობა AI-ის გამოყენების ძირითად რისკად მიიჩნევს კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების დათრგუნვას, აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიარიზმის შემთხვევებს, ასევე, სიღრმისეული თეორიული ცოდნის ჩანაცვლებას ზედაპირული ცოდნით. რესპონდენტთა 74% მხარს უჭერს ვალდებულებას მიუთითოს AI-ის გამოყენება თავიანთ აკადემიურ ნაშრომში.

კვლევების შედეგები ხაზს უსვამს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის ინკლუზიურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს, ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების გავრცელებას და პასუხისმგებლიან ექსპერიმენტებს. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციასთან დაკავშირეული შესაძლებლობები და რისკები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მოზარდობის პერიოდში.

კვლევები აჩვენებს პროდუქტიულობაზე ხელოვნური ინტელექტის ძლიერ გავლენას. გლობალური ოპტიმიზმი ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით იზრდება, მაგრამ ღრმა რეგიონული განსხვავება რჩება. ამასთან, ხელოვნური ინტელექტი უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი ხდება. ძირითადი გამოწვევა არა თავად ხელოვნური ინტელექტის

ინტეგრაციით გამოწვეული ავტომატიზაციაა, არამედ თანმხლები სარგებლის არათანაბარი განაწილება. ღრმავდება უთანასწორობა გლობალურად სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, რაც ქმნის უფსკრულს ხელოვნური ინტელექტის დამნერგავ და ხელოვნურ ინტელექტზე დამოკიდებულ ეკონომიკებს შორის. ხელოვნური ინტელექტის გავრცელება ყველაზე სწრაფია იქ, სადაც არსებული სამრეწველო და ადამიანური კაპიტალის ბაზა საშუალებას აძლევს ფირმებს უფრო ადვილად აითვისონ ახალი ტექნოლოგიები.

ციფრული უნარების დისბალანსის ინდექსი ქვეყნებს შორის ფართო განსხვავებებს ავლენს. ხელოვნურ ინტელექტზე მაღალი მოთხოვნის მქონე ეკონომიკებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო მაღალი მიწოდების მქონე ეკონომიკებმა უნდა შეუწყონ ხელი ფირმების მიერ მათ ათვისებას ინოვაციებისა და კრედიტებზე წვდომის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)., 2026. ხელოვნური ინტელექტის (AI) საუნივერსიტეტო სტრატეგია 2026–2029 https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/2026/172026_d1.pdf
2. AILit Framework., (2025). Empowering Learners for the Age of AI An AI Literacy Framework for Primary and Secondary Education., May 2025 AILitFramework_ReviewDraft.pdf
3. European Union., (2024). Regulation (EU) 2024/1689 of the European Parliament and of the Council of 13 June 2024 laying down harmonised rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act). Official Journal of the European Union, L, 202, 1–178. http://data.europa.eu/eli/reg/2024/1689/oj
4. Finnegan Katie., (2026). AILit Framework. Supporting Young People's Well-Being in an Age of AI Guiding young people to navigate AI in ways that support their social, emotional, and intellectual development., March 24, 2026 https://ailiteracyframework.org/blog/ai-literacy-young-people-well-being/?fbclid=IwY2xjawQwtk1leHRuA2FlbQIxMABicmlkETFBSUY4cDExZmhyN3lmOFZQc3J0YwZhcHBfaWQQMjIyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHs7JkNWPhkJfABE4rP-7O1Ntk61PnKmWO0-arKuBkwx-Uj-jYc2Mp9x8aTPj_aem_bbUeSOvRPxPvc7X-hNeaaA
5. GEM (Global Entrepreneurship Monitor) (2026). Global Entrepreneurship Monitor 2025/2026 Global Report: From Uncertainty To Opportunity. London: GEM. https://gemconsortium.org/report/gem-20252026-global-report-from-uncertainty-to-opportunity-3
6. GIGA Focus Global. (2026). Automation and Inequality: Social Safety Nets in the Age of AI
7. Number 3 | 2026 | ISSN: 1862-3581 https://www.giga-hamburg.de/en/publications/giga-focus/automation-and-inequality-social-safety-nets-in-the-age-of-ai
8. Jaumotte F., Kim J., Koll D., Li E., Li L., Melina G., Song A., Tavares M., (2026) "Bridging Skill Gaps for the Future: New Jobs Creation in the AI Age", Staff Discussion Notes 2026, 001 (2026). https://doi.org/10.5089/9798229028196.006 https://www.imf.org/en/publications/staff-discussion-notes/issues/2026/01/09/bridging-skill-gaps-for-the-future-new-jobs-creation-in-the-ai-age-572136
9. International Monetary Fund (2026). The Race for AI-Ready Workers. F&D Magazine. March 2026. https://www.imf.org/en/publications/fandd/issues/2026/03/picture-this-the-race-for-ai-ready-workers
10. International Monetary Fund (2023). AI Preparedness Index (AIPI). https://www.imf.org/external/datamapper/AI_PI@AIPI/ADVEC/EME/LIC
11. McKinsey & Company., (2025). The State of AI in 2025: Agents, innovation, and transformation https://www.mckinsey.com/capabilities/quantumblack/our-insights/the-state-of-ai

12. OECD., (2024). Explanatory memorandum on the updated OECD definition of an AI system, OECD Artificial Intelligence Papers, No. 8. OECD Publishing, Paris. https://doi.org/10.1787/623da898-en

13. World Bank Group, Digital Progress and Trends Report 2025. Strengthening AI Foundations. (2025). https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/f2509a0f-7153-4f32-b180-bc11e90c4940/content

14. The 2025 AI Index Report. Stanford University. Human-Centered Artificial Intelligence https://hai.stanford.edu/ai-index/2025-ai-index-report

15. University of Massachussetts, Amhers., (2025). The AI Wake-Up Call for Universities: Key Insights from the 2025 EDUCAUSE Survey. April 28, 2025 https://www.umass.edu/ideas/digest/ai-wake-call-universities-key-insights-2025-educause-survey

კორპორატიული მართვა და საკუთრების უფლებების დაცვა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

Corporate Governance and Protection of Property Rights: Theoretical and Practical Aspects

ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ORCID ID_ 0009-0001-1670-8463

Khatuna Barbakadze
Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
ORCID ID_ 0009-0001-1670-8463

აბსტრაქტი. კორპორატიული მართვა არის წესებისა და მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მართვას, კონტროლსა და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული კი უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიან ფუნქციონირებას, გამჭვირვალობას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას. საკუთრების უფლება ეკონომიკაში განიხილება, როგორც ეფექტიანობისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი.

კორპორატიული მართვა საქართველოში შედარებით ახალი სფეროა, რომელიც აქტიურად ვითარდება. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ფინანსურ სექტორში, განსაკუთრებით ბანკებში, სადაც საერთაშორისო სტანდარტები უფრო მკაცრად არის დანერგილი. კორპორატიულ მართვას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე და სოციალურ პრობლემებზე.

კორპორატიული მართვა და საკუთრების უფლებები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. ეფექტიანი კორპორატიული მართვის სისტემა უზრუნველყოფს მესაკუთრეთა უფლებების დაცვას და ამცირებს სააგენტო პრობლემებს. განვითარებულ ქვეყნებში კორპორატიული მართვა ინსტიტუციონალიზებულია, ხოლო საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. სისტემის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია გამჭვირვალობის ზრდა, დამოუკიდებელი კონტროლის გაძლიერება და აქციონერთა აქტიური ჩართულობა.

საკვანძო სიტყვები: კორპორატიული მართვა; საკუთრების უფლებები; კერძო სექტორი; ეკონომიკური ღირებულება; ინტერესთა კონფლიქტი.

Abstract. Corporate governance is a set of rules and mechanisms that define the management, control, and decision-making processes within a company. It ensures the company's efficient functioning, transparency, and

consideration of the interests of various stakeholders. Property rights in economics are regarded as one of the key mechanisms for achieving efficiency and attracting investment.

Corporate governance in Georgia is a relatively new field that is actively developing. In recent years, significant progress has been observed in the financial sector, especially in banks, where international standards have been implemented more strictly. Corporate governance has a substantial impact on the country's economic indicators, citizens' welfare, and social issues.

Corporate governance and property rights are closely interconnected categories. An effective corporate governance system ensures the protection of owners' rights and reduces agency problems. In developed countries, corporate governance is institutionalized, whereas in Georgia there are still significant challenges in this direction. Improving the system requires increased transparency, stronger independent oversight, and active shareholder engagement.

Keywords: corporate governance; property rights; private sector; economic value; conflict of interest.

შესავალი. თანამედროვე პირობებში კორპორატიული მართვა არის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მდგრადი განვითარებისთვის. აღნიშნულის მიზანი კი მესაკუთრეთა ინტერესების დაცვა და კომპანიის მართვის პროცესში ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბებაა. საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური კატეგორიაა საკუთრების უფლებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ეკონომიკური რესურსების ფლობა, გამოყენება და განკარგვა. პრაქტიკაში საკუთრების უფლების რეალიზაცია უკავშირდება სააგენტო პრობლემას, როდესაც კომპანიის მენეჯერებისა და მესაკუთრეების ინტერესები ერთმანეთისგან განსხვავდება. თანამედროვე კომპანიებში, განსაკუთრებით კი მსხვილ კორპორაციებში, საკუთრებისა და მართვის ფუნქციები განცალკევებულია, რაც ინტერესთა კონფლიქტის რისკს ზრდის და ეფექტიანი კორპორატიული მართვის აუცილებლობას იწვევს. კორპორატიული მართვა დამოკიდებულია მარეგულირებელ ნორმებზე, ტრადიციებზე და სოციალურ ფასეულობებზე. კორპორაციული მართვა განსხვავდება, როგორც ქვეყნების, ასევე, კომპანიებიის ტიპის მიხედვით.

ძირითადი ნაწილი. კორპორატიული მართვა არის წესებისა და მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მართვას, კონტროლსა და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული კი უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიან ფუნქციონირებას, გამჭვირვალობას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას. საკუთრების უფლება ეკონომიკაში განიხილება, როგორც ეფექტიანობისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი.

კორპორატიული მართვის ერთ-ერთ ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სააგენტო თეორია, რომელიც მესაკუთრესა და მენეჯერს შორის ურთიერთობას აღწერს. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც მენეჯერები მოქმედებდნენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არა მესაკუთრეების ინტერესების შესაბამისად. სწორედ ამიტომ კორპორატიული მართვის სისტემა ქმნის კონტროლისა და სტიმულირების მექანიზმებს, რათა შემცირდეს ეს განსხვავება.

კორპორატიული მართვის პრაქტიკული სისტემა ეფუძნება კონკრეტულ ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიის კონტროლსა და გამჭვირვალობას, ამავე დროს ამცირებს ინტერესთა კონფლიქტს მესაკუთრეებსა და მენეჯერებს შორის. კერძოდ:

- ✓ დირექტორთა საბჭო ახორციელებს კომპანიის სტრატეგიულ მართვას და ზედამხედველობას;
- ✓ შიდა და გარე აუდიტი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სანდოობას;
- ✓ საერთო კრება წარმოადგენს აქციონერების მთავარი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს;
- ✓ კორპორატიული გამჭვირვალობა კი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ანგარიშვალდებულებას.

ნებისმიერმა იურიდიულმა პირმა, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, შესაძლებელია გამოიყენოს კორპორაციული მართვის მექანიზმები. თუმცა, კორპორაციული მართვა განკუთვნილია და მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოებებისთვის. აღნიშნულს განაპირობებს საკუთრებისა და მართვის გამიჯვნა, რაც რეალურად ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფუძველია. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები არა მხოლოდ საქართველოს რეალობისთვისაა დამახასიათებელი, არამედ დასავლეთის ქვეყნებისთვისაც პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

კორპორატიული მართვა საქართველოში შედარებით ახალი სფეროა, რომელიც აქტიურად ვითარდება. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ფინანსურ სექტორში, განსაკუთრებით ბანკებში, სადაც საერთაშორისო სტანდარტები უფრო მკაცრად არის დანერგილი. საქართველოს კანონმდებლობაში კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებული დებულებები გულისხმობს ზოგადი წესების დადგენას, თუმცა კომპანიებს ეძლევათ უფლება, რომ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები დაარეგულირონ შიდა წესდების და ნორმების გამოყენებით. კორპორატიულ მართვას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე და სოციალურ პრობლემებზე.

საქართველოში მსხვილი კომპანიები და ბანკები ეტაპობრივად ნერგავენ კორპორატიული მართვის თანამედროვე სტანდარტებს, კერძოდ, კომერციულ ბანკებში მოქმედებს დამოუკიდებელი დირექტორების სისტემა, მსხვილ ჰოლდინგებში იზრდება გამჭვირვალობის მოთხოვნები, ხოლო მცირე და საშუალო კომპანიებში ხშირად კორპორატიული მართვა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარება და საკუთრების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, სათანადო სამართლებრივი ბაზით. საკუთრების დაცვის, კორპორატიული მართვისა და პასუხისმგებლობის ხარისხი განაპირობებს კომპანიების ეფექტიან საქმიანობას და შესაბამისად,

ქმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისათვის. საკუთრების ეფექტიანი კონტროლისა და დაცვის მექანიზმების გარეშე ინვესტორებს არ გაუჩნდებათ ფინანსური რესურსების დაბანდების სურვილი.

კერძო სექტორის მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს გაძლიერებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. საქართველოში კერძო სექტორის ზრდასა და განვითარებაზე მეტყველებს ფაქტი, რომ რეგისტრირებული საწარმოების 98.88% (1 104 012 ერთეული) კერძოა.[450] სწორედ კერძო სექტორში იქმნება დამატებული ღირებულების 96.0%, გამოშვებული პროდუქციის 96.7%, ბრუნვის 97.9%, დასაქმებულთა 93.1%.[451]

საკუთრების ფორმები საქართველოში



წყარო: http://www.geostat.ge. 2026 წლის აპრილის მდგომარეობით.

მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, სახელმწიფოს საკუთრებაშია კომპანიების 0.52% (5 822 ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაა). კომპანიების 98.88% (1 104 012 კომპანია) კერძო პირის მფლობელობაშია, ამასთან აღნიშნული კომპანიების 84.74% (946 189 კომპანია) მფლობელი საქართველოს მოქალაქე კერძო პირია, 12.98% (144 873 კომპანია) მფლობელი უცხოელი კერძო პირია, ხოლო კერძო შერეული ფორმაა 1.16% (12 950 კომპანია) - საწესდებო კაპიტალში წილობრივად მონაწილეობს საქართველოს მოქალაქე და უცხოელი კერძო პირი.

[450] http://www.geostat.ge 2026 წლის აპრილის მდგომარეობით.

[451] http://www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნეს სექტორი საქართველოში, 2025 წელი.

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 250 909,3 მლნ. ლარი შეადგინა[452], მათ შორის, ბრუნვა საკუთრების ფორმის მიხედვით ასეთია: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისთვის - 4 951,10 მლნ ლარი, კერძო - 245 958,20 მლნ ლარი, კერძო - როგორც ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირებისთვის – 183 634,40 მლნ ლარი, კერძო - უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირებისთვის – 62 323,70 მლნ ლარია.[453]

საქართველოში კომპანიების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შემდეგნაირია:

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები საქართველოში



წყარო: http://www.geostat.ge. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2016 წლის მონაცემებით ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის მთლიანი ბრუნვა 250 909,3 მლნ. ლარს შეადგენდა, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) - 225 649,0 მლნ. ლარს, სააქციო საზოგადოების - 16 518,4 მლნ. ლარს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების - 21,3 მლნ. ლარს, კომანდიტური საზოგადოების 5,0 მლნ. ლარს, კოოპერატივის 27,9 მლნ. ლარს, ინდივიდუალური მეწარმის 6 274,7 მლნ. ლარს, ხოლო კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის 2 412,9 მლნ. ლარს.

რაც შეეხება, ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის მიხედვით დამატებულ ღირებულებას 46 521,7 მლნ. ლარი შეადგინა, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის

[452] http://www.geostat.ge
[453] http://www.geostat.ge

საზოგადოება (შპს) - 38 562,6 მლნ. ლარია, სააქციო საზოგადოების - 4 697,1 მლნ. ლარია; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების - 3,2 მლნ. ლარია, კომანდიტური საზოგადოების - 4,9 მლნ. ლარია, კოოპერატივის - 14,6 მლნ. ლარია, ინდივიდუალური მეწარმის - 2 226,6 მლნ. ლარია, ხოლო კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის - 1 012,8 მლნ. ლარი.[454]

თანამედროვე პირობებში კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს ეკონომიკური ღირებულების მართვა, რადგან იგი წარმოადგენს კომპანიის ღირებულების ზრდის პოტენციალს. დამატებული ეკონომიკური ღირებულება - კომპანიამ ინვესტირებულ კაპიტალზე გამოიმუშაოს მეტი მოგება ყველა კაპიტალური დანახარჯის გამოქვითვის შემდეგ.[455] დამატებული ეკონომიკური ღირებულების საფუძველზე კომპანიის აქციონერებს აქვთ ღირებულების განსაზღვრის, მართვისა და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების საშუალება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია კონკურენციის ზრდის პირობებში.

ეკონომიკური ღირებულების მართვის მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ეკონომიკურ მოგებაზე, ვინაიდან ღირებულების მართვასთან დაკავშირებული მიდგომების გამოყენება ზრდის კომპანიის ღირებულების პოტენციალს. ამიტომ უნდა შეირჩეს კორპორატიული მართვისა და საკუთრების კონცენტრაციის სტრუქტურისთვის დამახასიათებელი ისეთი მაჩვენებლები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მოქალაქეების კეთილდღეობასა და სოციალურ პრობლემებზე.

დასკვნა. კორპორატიული მართვა და საკუთრების უფლებები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. ეფექტიანი კორპორატიული მართვის სისტემა უზრუნველყოფს მესაკუთრეთა უფლებების დაცვას და ამცირებს სააგენტო პრობლემებს. განვითარებულ ქვეყნებში კორპორატიული მართვა ინსტიტუციონალიზებულია, ხოლო საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. სისტემის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია გამჭვირვალობის ზრდა, დამოუკიდებელი კონტროლის გაძლიერება და აქციონერთა აქტიური ჩართულობა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *ბიზნეს სექტორი საქართველოში.* თბილისი. ხელმისაწვდომია: http://www.geostat.ge
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (n.d.). *ოფიციალური ვებგვერდი.* ხელმისაწვდომია: http://www.economy.ge

[454] http://www.geostat.ge

[455] **ჯეიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც.** ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2009, გვ., 426.

3. ბარბაქაძე, ხ., & კაკაშვილი, ნ. (2023). კორპორატიული მართვის ეფექტიანობა: არსებული პრობლემები და პერსპექტივები. *ქართველი მეცნიერები*, 5(2), 253–260.

4. ბარბაქაძე, ხ. (2015). კორპორატიული მართვის მოდელების შესახებ. In *თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები* (გვ. 91–94). ბათუმი.

5. ვან ჰორნი, ჯ. ს., & ვახოვიჩი, ჯ. მ. (უმც.). (2009). *ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები*. თბილისი: საქართველოს მაცნე.

6. საქართველოს პარლამენტი. (1995). *საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ*. თბილისი.

არაპირდაპირი გადასახადების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოში
Theoretical and Practical Aspects of Indirect Taxes in Georgia

ნატო კაკაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
ORCID ID _ 0009-0005-1399-1784

Nato Kakashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
Associate Professor
ORCID ID: 0009-0005-1399-1784

აბსტრაქტი. საგადასახადო პოლიტიკასა და ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანია არაპირდაპირი გადასახადები - დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და იმპორტის გადასახადი. არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯებისათვის სტაბილური შემოსავლების წყაროს. აღნიშნული გადასახადები ხელს უწყობს ქვეყნის ფისკალურ შესაძლებლობებს, ამასთან გავლენას ახდენს, როგორც ბიზნესზე,ასევე მომხმარებლებსა და ეკონომიკაზე. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადების შეფასება ითვალისწინებს ქვეყნის საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობას.

არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვანი პრობლემაა გადასახადის არასრული ან არასწორი დეკლარირება, მაღალი ან ერთიანი განაკვეთები,რომელიც იწვევს პირველადი მოხმარების პროდუქციის ფასების ზრდას, რაც მძიმე ზეგავლენას ახდენს დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებზე.

პრობლემების უმეტესობა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სირთულეებთან, ტარიფების არათანაბარ განაწილებასთან, ჩრდილოვანი ეკონომიკის ეფექტებთან და მომხმარებლის ინფორმირებულობის ნაკლებობასთან.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები; არაპირდაპირი გადასახადები; დღგ; აქციზი; იმპორტის გადასახადი; ჩრდილოვანი ეკონომიკა.

Abstract. Indirect taxes are important in tax policy and the country's economy - value added tax (VAT), excise, and import duty. Indirect taxes represent a stable source of revenue for state expenditures. These taxes contribute to the country's fiscal capabilities, while also affecting both businesses, as well as consumers and the economy. The assessment of indirect taxes in Georgia involves the compatibility of the country's tax system with international standards and practices. A significant problem in the administration of indirect taxes is the incomplete or incorrect declaration of taxes, high or uniform rates, which leads to an increase in the prices of primary consumption products,

which has a severe impact on households with low and medium incomes. Most problems are related to administrative difficulties, unequal distribution of tariffs, the effects of the shadow economy, and the lack of consumer awareness.
Keywords: taxes; indirect taxes; VAT; excise; import tax; shadow economy.

შესავალი

აქტუალობა.ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბიუჯეტო მდგრადობაზე,სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დამატებული ღირებულების,აქციზისა და იმპორტის გადასახადი.არაპირდაპირი გადასახადების სოციალურ შედეგები აისახება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობის კეთილდღეობაზე. არაპირდაპირი გადასახადები ასრულებენ როგორც ფისკალურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს. აღნიშნული გადასახადების არსი მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო ტვირთს იღებს არა უშუალოდ საწარმო/მეწარმე, არამედ არაპირდაპირი გადასახადები ინტეგრირებულია საქონლისა და მომსახურების ფასში და მათი ეკონომიკური ზემოქმედება საბოლოოდ მომხმარებელზე აისახება.

ძირითადი ნაწილი. არაპირდაპირი გადასახადები გამოირჩევა სტაბილური ამოღების შესაძლებლობით, ისინი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიანი შემოსავლების წყაროს წარმოადგენენ. არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობა განისაზღვრება მათი ხვედრითი წილით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში. საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება მოხმარებაზე დაფუძნებული გადასახადების მეშვეობით. რაც, მიუთითებს, არაპირდაპირი გადასახადების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. რასაც ადასტურებს, არაპირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში (2024 წელს ფაქტობრივი მონაცემები 50 %-ს შეადგენს, ხოლო 2025 და 2026 წლებში გეგმიური მაჩვენებლებით, ასევე 50%-ის დონეზე ნარჩუნდება. ([1] **წყარო**: საქართველოს კანონი, საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6701007?publication) აღნიშნული განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით-მოგების გადასახადის „ესტონურ მოდელზე“ გადასვლით. რეფორმამ შეამცირა მოგების გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, ვინაიდან აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასა და რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან განთავისუფლებაზე. რამაც, თავის მხრივ, გაზარდა არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი. არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების პროცედურების ოპტიმიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისთვის.

არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მარეგულირებელი ფუნქცია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა აქციზის გადასახადის მაგალითით, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ზღუდავს ისეთი საქონლის მოხმარებას, რომელიც საზიანოა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და გარემოსთვის. ამგვარად, არაპირდაპირი გადასახადები გამოიყენება არა მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველსაყოფად, არამედ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლადაც. თუმცა, არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებულია რიგი პრაქტიკული სირთულეები. მათ შორის აღსანიშნავია ფასების ზრდაზე მათი გავლენა, რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ინფლაციური წნეხის (მაგალითად პანდემიის პირობებში, როცა საქართველოში ნავთობ-პროდუქტების ფასი გაიზარდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი პროტესტს უცხადებდა აქციზის გადასახადის ოდენობას, რადგან აქციზი კიდევ უფრო ახალისებდა ინფლაციურ პროცესებს) ან ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ არაპირდაპირი

გადასახადები საქართველოს საგადასახადო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსური და მრავალმხრივი ელემენტია.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა, ამავდროულად პრობლემური ელემენტია დამატებული ღირებულების გადასახადი. საქართველოს ეკონომიკა მაღალი იმპორტდამოკიდებულია, ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში მნიშვნელოვანია იმპორტის გადასახადი. 2025 წლის პერიოდში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 25,820 მილიონი აშშ დოლარს გადააჭარბა, საიდანაც იმპორტზე 18,529 მილიონ დოლარზე მეტი მოდიოდა. იმპორტის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 2 მილიარდით არის გაზრდილი. აღნიშნული, ცხადყოფს, რომ იმპორტის მასშტაბი ქვეყანაში საკმაოდ ფართოა და ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს საბაჟო გადასახადების აკუმულირებისთვის ([2] **წყარო**: საქართველოს სტატისტიკის სამსახური (საქსტატი), შინამეურნეობის ხარჯები. URL: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi).

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია აქციზის გადასახადი, მისი ფისკალური მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ აქციზით დაბეგრილი საქონლის მოხმარება, როგორც წესი, ხასიათდება შედარებითი სტაბილურობით და ნაკლებად რეაგირებს ფასის ცვლილებებზე. აქციზის გადასახადი სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმოს საბიუჯეტო ხარჯები და დააფინანსოს ისეთი საზოგადოებრივი საჭიროებები, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა, მას განსაკუთრებული როლი უჭირავს ჯერ საგადასახადო საბიუჯეტო შემოსავლებსა და არაპირდაპირ გადასახადებში.

დასკვნა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებზე, რაც მათ სტრატეგიულ როლს განაპირობებს როგორც ფისკალური მდგრადობის, ისე ეკონომიკური რეგულირების თვალსაზრისით. დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და იმპორტის გადასახადი ერთობლივად ქმნის საგადასახადო შემოსავლების არსებით ნაწილს, რის გამოც მათი სტრუქტურა და ეფექტიანობა პირდაპირ აისახება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ისე ფასების დონესა და მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე. არაპირდაპირი გადასახადები ერთდროულად ასრულებს ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციას, თუმცა მათი მაღალი წილი საგადასახადო სტრუქტურაში ზრდის ფასებზე ზეწოლას და სოციალური უთანასწორობის რისკს. აღნიშნული გარემოება მოითხოვს საგადასახადო პოლიტიკის უფრო დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებს საბიუჯეტო საჭიროებებსა და სოციალურ შედეგებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება, განსაკუთრებით დღგ-ისა და აქციზური საქონლის მიმართულებით. აღნიშნული სტრატეგია უნდა ემსახურებოდეს მეწარმეთა მოტივირებასა და მათი საქმიანობის ეტაპობრივად ღია ეკონომიკაში გადმოსვლას. აუცილებელია დღგ-ის სოციალური ეფექტის შერბილება, მათ შორის პირველადი მოხმარების გარკვეულ საქონელზე შეღავათიანი მიდგომების განხილვა ან მიზნობრივი სოციალური კომპენსაციების გაძლიერება, რათა შემცირდეს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი. სააქციზო პოლიტიკა უნდა იყოს ეტაპობრივი და პროგნოზირებადი, რათა თავიდან იქნას აცილებული ფასების მკვეთრი მერყეობა და ინფლაციური შოკები.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2026). *საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია).* https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=239
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2026). *საქართველოს კანონი საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/6701007?publication=0
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2026). *სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.* https://mof.ge/ka/page/sagadasaxado_sistema
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *იმპორტის სტატისტიკა.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *შინამეურნეობის ხარჯები.* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi
6. საქართველოს შემოსავლების სამსახური. (2024). *წლიური ანგარიშები.* https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1
7. კაკაშვილი, ნ., & ჩიკვილაძე, მ. (2023). *გადასახადები და დაბეგვრა* (ლექციების კურსი). თსუ ციფრული ბიბლიოთეკა. https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/Dec/books/chikviladze-gadasaxadebi-rideri.pdf
8. კაკაშვილი, ნ. (2024). დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოში. *International Multidisciplinary Conference "Innovative Approaches in Science", Istanbul.* https://ismsai.blogspot.com/2024/11/science-and-innovation-2024-n4.html
9. კაკაშვილი, ნ., ბარბაქაძე, ხ., & კახნიაშვილი, ნ. (2025). საშემოსავლო გადასახადის თავისებურებები საქართველოში. *X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, ,თსუ.*

სიღარიბის დაძლევა საქართველოში: სისტემური პრობლემა თუ მართვადი გამოწვევა?
Poverty Reduction in Georgia: A Systemic Challenge or a Manageable Process?

ნათია კახნიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასისტ. პროფესორი
ORCID ID-0009-0004-0759-198X
Natia Kakhniashvili
Doctor of Business Administration
Assistant Professor TSU
ORCID ID-0009-0004-0759-198X

აბსტრაქტი. სტატიაში საკვანძო საკითხია სიღარიბის პრობლემის შეფასება საქართველოში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, სიღარიბე სისტემურ გამოწვევას თუ მართვად პროცესს წარმოადგენს ეფექტიანი პოლიტიკისა და ინოვაციური მიდგომების პირობებში. კვლევა ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზს, სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვას და საერთაშორისო გამოცდილების შედარებას. განხილულია სიღარიბის ძირითადი

გამომწვევი ფაქტორები, მათ შორის ეკონომიკური უთანასწორობა, განათლების და დასაქმების ხელმისაწვდომობის შეზღუდვები, რეგიონული დისბალანსი, და სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობა. ასევე გაანალიზებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ციფრული ტექნოლოგიების როლი სიღარიბის შემცირებაში. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, სიღარიბე საქართველოში კვლავ სისტემურ ხასიათს ატარებს, თუმცა მიზნობრივი პოლიტიკა, ეფექტიანი პროგრამები და ინოვაციური მიდგომები უზრუნველყოფენ მისი შემცირების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა, სისტემური პრობლემა, მართვადი გამოწვევა, ინკლუზიური განვითარება.

Abstract. The article focuses on assessing the issue of poverty in Georgia, emphasizing the need to determine whether poverty constitutes a systemic challenge or a manageable process under effective policies and innovative approaches. The study is based on statistical data, analysis of socio-economic factors, review of government policy documents, and comparative international experience. It examines the main drivers of poverty, including economic inequality, limited access to education and employment, regional disparities, and the effectiveness of the social protection system. The research also analyzes the role of inclusive economic growth and digital technologies in poverty reduction. Findings indicate that, despite some progress, poverty in Georgia remains largely systemic; however, targeted policies, effective programs, and innovative interventions provide opportunities for its reduction.

Keywords: poverty, social policy, economic growth, systemic challenge, manageable process, inclusive development.

შესავალი

სიღარიბე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევას როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. მისი მრავალგანზომილებიანი ბუნება მოიცავს არა მხოლოდ შემოსავლის დეფიციტს, არამედ განათლების, ჯანდაცვის, დასაქმებისა და სოციალური ჩართულობის შეზღუდულ შესაძლებლობებს (World Bank, 2025). თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში სიღარიბე აღიქმება როგორც კომპლექსური, სისტემური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური სტრუქტურის თავისებურებებთან, ინსტიტუციურ სისუსტეებთან და სოციალურ უთანასწორობასთან (Mkrtchyan, 2025).

საქართველოში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ტრანზიციული ეკონომიკის პირობებში, სადაც ბაზრის ფორმირების პროცესმა და გავლენამ მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის ბაზარი, შემოსავლების განაწილება და სოციალური დაცვის მექანიზმები. მიუხედავად ეკონომიკური ზრდის გარკვეული ტემპებისა, სიღარიბის დონე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური ზრდა თავისთავად არ უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობის თანაბარ გაუმჯობესებას.

სიღარიბის დაძლევის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს სოციალურ ტრანსფერებს, დასაქმების პროგრამებს, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას და რეგიონული განვითარების ხელშეწყობას. ამასთან, თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინოვაციური მიდგომები, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, ფინანსური ინკლუზიის გაძლიერება და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ სიღარიბის პრობლემა საქართველოში არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ან დროებითი მოვლენა, არამედ ხშირად სისტემურ ხასიათს ატარებს.

სწორედ ამიტომ, **კვლევის მთავარი მიზანია** საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროცესის კომპლექსური ანალიზი და იმის განსაზღვრა, წარმოადგენს თუ არა იგი სისტემურ პრობლემას თუ მართვად გამოწვევას ეფექტიანი პოლიტიკის პირობებში. კვლევის ფარგლებში

ჩამოყალიბებულია შემდეგი ჰიპოთეზები: **ჰიპოთეზა 1.** საქართველოში სიღარიბე ატარებს სისტემურ ხასიათის ნიშნებს, თუმცა გამოწვევები მართვადია და დაკავშირებულია ეკონომიკური სტრუქტურისა და შრომის ბაზრის თავისებურებებთან; **ჰიპოთეზა 2.** ეკონომიკური ზრდა თავისთავად არ არის საკმარისი სიღარიბის შემცირებისთვის, თუ იგი არ არის ინკლუზიური. **ჰიპოთეზა 3.** ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა და მიზნობრივი პროგრამები მნიშვნელოვნად ამცირებს სიღარიბის დონეს. **ჰიპოთეზა 4.** ფინანსური ინკლუზიისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას საქართველოში.

ძირითადი ნაწილი. 2024 წელს საქართველოში სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო წლებთან შედარებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (GeoStat) ინფორმაციით, **სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი 2024 წელს დაახლოებით 9.4 %-ს შეადგენდა**, რაც წინა წელთან შედარებით 2.4 პროცენტული პუნქტით ქვემოთ არის შემცირებული (საქსტატი, 2025). ეს სიდიდე არის მონაცემები, რომლებიც ასახავენ მოქალაქეების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სიღარიბის დონე განისაზღვრა, როგორც ურბანულ, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში: ურბანული სიღარიბე 7.8 %-მდე შემცირდა, ხოლო რეგიონებში — 11.9 %-მდე (საქსტატი, 2025). საქართველოს მაგალითი ადასტურებს იმას, რომ სიღარიბის დაძლევის პროცესში მეტწილად სისტემური პოლიტიკის ნაკრები მიდგომები მოქმედებს, რადგან განსხვავებული გეოგრაფიული კატეგორიებიდან მომდინარეობს პროგრესის ამსახველი მონაცემები.

ცხრილი N 1

წელი	სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი (%)
2020	21.3 %
2021	17.5 %
2022	15.6 %
2023	11.8 %
2024	9.4 %

წყარო: საქსტატი

ცხრილი გვიჩვენებს, რომ 2020 წელს სიღარიბის დონე იყო უფრო მაღალი, რაც ასახავდა პანდემიის ეკონომიკურ გავლენას. 2021–2022 წლებში საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო პოსტპანდემიური აღდგენა და სიღარიბე მკვეთრად შემცირდა. 2023–2024 წლებში კი სიღარიბის დონე კვლავ იწევს ისტორიულ მინიმუმზე. დამოუკიდებელი წყაროების მიხედვით, სიღარიბის შემცირება შეეხებოდა ყველა ასაკობრივ ჯგუფს: 18 წლამდე ასაკში სიღარიბის მაჩვენებელი 12.1 %-მდე დაეცა, 18–64 ასაკობრივ ჯგუფში 9.3 %-მდე, ხოლო 65 და უფროსებში — 6.7 %-მდე (საქსტატი, 2025). გენდერული შეხედულებითაც ორივე სქესზე სიღარიბის მაჩვენებელი შემცირებულია — ქალებში დაახლოებით 9.0 %, ხოლო კაცებში 9.8 % (საქსტატი, 2025).

2025 წლისთვის სიღარიბის ოფიციალური მაჩვენებელი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, თუმცა, არსებული ტენდენციებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის გათვალისწინებით მოსალოდნელია მისი შემდგომი შემცირება. გაეროს განვითარების პროგრამის ანალიზით, 2023–2027 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სცენარით მოსალოდნელია სიღარიბის **კლება დაახლოებით 0.7 %-ით წელიწადში**, რაც ნიშნავს რომ 2025–2026 წლებში სიღარიბის დონე კვლავ შემცირდება დაახლოებით 8 %-ით. 2021 წლიდან ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 9.4 %-ია, თუმცა რეალურად სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ღარიბი

ოჯახების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2 383 ოჯახითაა გაზრდილი. **თუ 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით ქვეყანაში 179 552 ღარიბი ოჯახი იყო, 2025 წლის მარტის მდგომარეობით ღარიბი ოჯახების რაოდენობა 181 935-მდე გაიზარდა. ანუ** სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებული გახდა 9 974 ადამიანი. სიღარიბის წილის შემცირება არ ნიშნავს, რომ ადამიანები აღარ არიან სიღარიბეში და გაუმჯობესდა მათი ცხოვრების დონე. მაგალითად, 2025 წლის მარტის მდგომარეობით სოციალურ შემწეობას სულ 700 470 ადამიანი იღებდა, აქედან 250 772 ბავშვი. ცალკეული მაჩვენებლის გათვალისწინებით რიგი ადამიანების სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ისინი სიღარიბის ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ხვდებიან. ასევე გასათვალისწინებელია უმუშევარი ან დასაქმებული, თუმცა დაბალშემოსავლიანი ადამიანები და საპენსიო ასაკს გადაცილებული პირები. 2026 წლის 1 იანვრიდან 70 წლამდე პირთათვის პენსია თვეში 370 ლარს შეადგენს, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირები იღებენ 495 ლარს. მაღალმთიან რეგიონში უფრო მაღალია (70 წლამდე 444, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირები დაახლოებით 594 ლარი). ეს მონაცემები გვიჩვენებს რომ ღარიბთა ოდენობა ბევრად მეტია ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს. **ამ ადამიანებზე ეკონომიკური ზრდა პირდაპირ ასახვას ვერ პოვებს, გარდა სახელმწიფო დახმარებისა და ემიგრაციიდან მიღებული შემოსავლისა.**

სახელმწიფო პოლიტიკა უფრო მეტად აქტიური უნდა იყოს, რომ ჩართოს მოსახლეობის ეს ნაწილი ეკონომიკურ საქმიანობაში. შეუძლებელია მხოლოდ სოციალური პოლიტიკით მნიშვნელოვანი ფონის შეცვლა.

ზოგადად, ეკონომიკური თეორია გვეუბნება, რომ თვითონ სექტორებში უნდა გაიზარდოს პროდუქტიულობა და იმ სექტორებიდან, სადაც ადამიანები ნელა იზრდებიან ეკონომიკურად, გადავიდნენ სხვა სექტორებში, სადაც უფრო სწრაფი ზრდის მიღწევაა შესაძლებელი. აქაც სახელმწიფოს, მათ შორის განათლების სისტემის როლი მნიშვნელოვანია – ხელი უნდა შეუწყონ არა მხოლოდ უმაღლეს განათლებას, არამედ პროფესიული განათლებასაც – ზოგადად, ადამიანების გადამზადებისა და შემდგომი დასაქმების საქმეში სახელმწიფოს დიდი როლი უნდა ჰქონდეს. აქვე საგულისხმოა, რომ ბიზნესის უდიდესი ნაწილი თბილისშია. დაახლოებით, მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ზე მეტი მარტო ერთ ქალაქში იქმნება. თუ ამას დავამატებთ აჭარის რეგიონში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტს, გამოდის, რომ 60%-ზე მეტი მხოლოდ ორ რეგიონშია შექმნილი. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია რეგიონების უმეტეს ნაწილში და შესაბამისად, ნაკლები შესაძლებლობებია დასაქმების. ეს იწვევს მიგრაციას როგორც დიდ ქალაქებში ასევე საზღვარგარეთ. (2023 წლის საქსტატის მონაცემებით საქართველოდან 163 480 ათასი მოქალაქე წავიდა ემიგრაციაში). **ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად მაღალი ეკონომიკური ზრდისა, შემოსავლების უთანასწოროება და სიღარიბე რჩება მნიშვნელოვან გამოწვევებად** (კახნიაშვილი, ბარბაქაძე, & კაკაშვილი, 2025).

რეფორმა აუცილებელია, რომ ინკლუზიური გახდეს ეკონომიკური ზრდა მიზნობრივი და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებით. სიღარიბის შემცირება საქართველოში მოითხოვს მრავალმხრივი, სისტემური და გრძელვადიანი პოლიტიკის გატარებას. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შემდეგი მიმართულებების გაძლიერება, როგორიცაა: **შრომის ბაზრის გაძლიერება და დასაქმების ზრდა; მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის დახვეწა**, რაც გულისხმობს სოციალური დახმარების სისტემის უკეთეს თარგეთირებას და მოწყვლადი ჯგუფებისთვის (მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები) მხარდაჭერის დიფერენცირებას.

ინვესტიცია განათლებაში - გრძელვადიან პერსპექტივაში სიღარიბის შემცირების ყველაზე ეფექტიანი გზა არის განათლება, რაც გულისხმობს ხარისხიანი ზოგად და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, რეგიონებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და ციფრული უნარების განვითარებას. ასევე განათლება ქმნის შესაძლებლობას შეწყდეს **სიღარიბის თაობათაშორისი გადაცემა. რეგიონული უთანასწორობის შემცირება** - საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება რეგიონებში სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და მცირე ფერმერების მხარდაჭერა ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირება. **ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის გაზრდა** - მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ინოვაციურ - ტექნოლოგიური განვითარება. მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხიც, მაგალითად ციფრული პლატფორმები, ელექტრონული კომერცია, ციფრული ფინანსები და დისტანციური დასაქმება, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში, განსაკუთრებით იმ ჯგუფების, რომლებიც ტრადიციულ შრომის ბაზარზე ნაკლებად აქტიურები არიან.

დასკვნა

საქართველოში სიღარიბის პრობლემა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და სისტემურ გამოწვევას. საერთო შედეგები ადასტურებს, რომ **საქართველოში სიღარიბის პრობლემას შევხედოთ, როგორც მართვადი გამოწვევა**, მაგრამ მას მაინც გააჩნია სისტემური ხასიათი, განსაკუთრებით რეგიონებში, ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებებითა და საერთაშორისო საზომებიდან გამომდინარეც. ეს შედეგები ხაზს უსვამს იმას, რომ მართვადი და ინტეგრირებული პოლიტიკის, სოციალური პროგრამებისა და ეკონომიკური ინიციატივების გაუმჯობესებასა და დახვეწას შეუძლია მოიტანოს დადებითი შედეგები სიღარიბის დაძლევის ასპექტში. კვლევაზე დაფუძნებულმა ანალიზმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნული ჰიპოტეზები და გვიჩვენა, რომ აუცილებელია შემდეგი მიმართულებების გათვალისწინება: შრომის ბაზრის გაძლიერება და დასაქმების ზრდა; მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის დახვეწა; ინვესტიცია განათლებაში; რეგიონული უთანასწორობის შემცირება; ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის ხელშეწყობა; სოციალური დაცვის სისტემის მდგრადობა; მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკა. სიღარიბის პრობლემის დაძლევა საქართველოში უნდა იქნეს განხილული როგორც სისტემური გამოწვევა, რომლის მართვაც შესაძლებელია თანამედროვე პოლიტიკის, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებული გამოყენების მეშვეობით.

საბოლოოდ, სიღარიბის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც **სახელმწიფო, ბიზნეს სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად** ახორციელებენ ზომებს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინკლუზიურ, სამართლიან და მდგრად პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

United Nations Development Programme. (2024). *Human Development Reports: Georgia.* https://hdr.undp.org/data-center/country-insights#/r?country=GEO

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025, May 29). *სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები 2024 წელი.* https://www.geostat.ge/media/70765/

2. კახნიაშვილი, ნ., ბარბაქაძე, ხ., & კაკაშვილი, ნ. (2025). საგადასახადო პოლიტიკისა და ეკონომიკური ზრდის კონცეპტუალური საკითხები საქართველოში: სიღარიბის დაძლევის პერსპექტივა. *ეკონომისტი, 21*(4). https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=1156

3. World Bank. (2025). *Poverty and Equity Briefs: Global and Country Trends in Poverty and Inequality.* https://www.worldbank.org/en/topic/poverty/publication/poverty-and-equity-briefs

4. World Bank. (2024). *The State of Economic Inclusion Report 2024: Pathways to Scale.* World Bank. https://documents1.worldbank.org/curated/en/099021025163534257/pdf/P180353-fc947985-7209-4325-995c-d99c4aa4c4ca.pdf

5. World Bank & G20 Presidency of Brazil. (2024). *Poverty, prosperity, and planet report 2024: Ending poverty amid global challenges.* https://www.worldbank.org/en/publication/poverty-prosperity-and-planet

6. World Bank. (2025). *Digital transformation for growth and poverty reduction.* https://ida.worldbank.org/en/focus-areas/digitalization

7. Mkrtchyan, T. (2025). Measuring inclusive growth in developing countries. *Journal of Financial Studies, 18*(6), 336–?. https://www.mdpi.com/1911-8074/18/6/336

8. Rusu, R., & Oprean Stan, C. (2025). The impact of digitalisation and sustainability on inclusiveness: Inclusive growth determinants. *arXiv.* https://arxiv.org/abs/2501.07880

9. United Nations Development Programme. (2025). *Economic development programme in Georgia: Inclusive growth priorities.* https://www.undp.org/georgia/our-focus/economic-development

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა საქართველოში: გამოწვევები, შესაძლებლობები და განვითარების ვექტორები

Inclusive Economic Growth in Georgia: Challenges, Opportunities, and Development Vectors

კახაბერ ციმინტია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

Kakhaber Tsimintia
Sokhumi State University
Doctor of Economics
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსი, მნიშვნელობა და მისი უზრუნველყოფის გამოწვევები საქართველოში. ნაჩვენებია, რომ ეკონომიკური ზრდა, როგორც რაოდენობრივი მაჩვენებელი (მშპ-ის ზრდა), ყოველთვის არ იწვევს საზოგადოების ფართო ფენების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ხშირად თან სდევს სოციალური უთანასწორობის გაღრმავება. ამ კონტექსტში გამოკვეთილია ეკონომიკური განვითარების უფრო ფართო შინაარსი და ინკლუზიური ზრდის პარადიგმის მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის სამართლიან განაწილებასა და მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში 2014-2024 წლების ეკონომიკური დინამიკა და დადგენილია, რომ მიუხედავად ბოლო წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებისა, მისი შედეგები სრულად არ ასახულა მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების ხარისხზე. კვლევა ეფუძნება ინკლუზიური ზრდის მრავალკომპონენტიან ანალიზს, რომელიც მოიცავს განათლებას, ჯანდაცვას, სოციალურ დაცვას, შრომის ბაზარსა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. თითოეულ მიმართულებაში გამოვლენილია სისტემური პრობლემები, როგორიცაა რეგიონული უთანასწორობა, სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობა და შრომითი ბაზრის დისბალანსი.

დასკვნის სახით დასაბუთებულია, რომ საქართველოში ეკონომიკურ ზრდას მეტწილად ექსკლუზიური ხასიათი აქვს და მისი ტრანსფორმაცია ინკლუზიურ ზრდად საჭიროებს კომპლექსურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური განვითარება. სოციალური უთანასწორობა. საქართველოს ეკონომიკა

Abstract. The article discusses the essence, importance and challenges of ensuring inclusive economic growth in Georgia. It is shown that economic growth, as a quantitative indicator (GDP growth), does not always lead to an improvement in the well-being of broad segments of society and is often accompanied by a deepening of social inequality. In this context, the broader content of economic development and the importance of the inclusive growth paradigm are highlighted, which implies a fair distribution of economic benefits and the active involvement of the population in economic processes.

The paper analyzes the economic dynamics of Georgia in 2014-2024 and establishes that, despite the high rates of economic growth in recent years, its results have not been fully reflected in the incomes and quality of life of the population. The study is based on a multi-component analysis of inclusive growth, which includes education, healthcare, social protection, labor market and access to finance. In each direction, systemic problems are identified, such as regional inequality, limited access to services and labor market imbalances.

In conclusion, it is argued that economic growth in Georgia is largely exclusive in nature and its transformation into inclusive growth requires complex economic, political, and institutional reforms.

Keywords: Inclusive economic growth. Economic development. Social inequality. Georgian economy.

XXI საუკუნის აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებს შორის განსაკუთრებულ ადგილს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემა იკავებს, რადგანაც რიგ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის კვალობაზე არ შეიმჩნევა თანაბარზომიერად მთლიანად საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სოციალური დიფერენციაცის შემცირება. რიგ შემთხვევაში, პირიქით, ადგილი აქვს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მშპ-ის ზრდის მაღალი ტემპი ყოველთვის არ ნიშნავს მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ცხადია, რომ მიუხედავად ეკონომიკურ ზრდაში მიღწეული წარმატებისა, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გრძნობს ამ წარმატების შედეგებს, ეკონომიკური სიტუაცია არ იქნება მდგრადი და სტაბილური. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პარადიგმა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური წარმატების საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობად ქცევას.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდა და განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული ცნებებია. ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს წარმოების მოცულობის ზრდას დროში და მისი ძირითადი მაჩვენებელია მშპ ან მშპ ერთ სულზე. ანუ ესაა რაოდენობრივი ცნება, რომელშიაც ასახულია ეკონომიკის ზომის მატება, მაგრამ მასში სრულად არ აისახება სოციალური პროგრესი, ცხოვრების ხარისხი [9]. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, იგი ეკონომიკურ ზრდაზე უფრო ფართო და კომპლექსური მაჩვენებელია და ეკონომიკური ზრდის გარდა გულისხმობს ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას, სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობისა და განათლებისადმი ხელმისაწვდომობას, გენდერულ თანასწორობასა და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფას [8].

ქვეყნების არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეკონომიკის მდგრად და სტაბილურ განვითარებას მხოლოდ მშპ-ის რაოდენობრივი ზრდა ვერ უზრუნველყოფს. ამავდროულად მნიშვნელოვანია თუ რამდენად სამართლიანად ნაწილდება ეკონომიკური წარმატების შედეგები მთელს საზოგადოებაზე, რის გამოც თანამედროვეობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა განიხილება. მიღებულია, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკური აქტივობის ზრდას, არამედ ამავდროულად ზრდის შედეგების საზოგადოების ყველა ფენისთვის სამართლიან

განაწილებასა და მის ჩართულობას ეკონომიკურ აქტივობაში [13]. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში მნიშვნელოვანი და არსებითია ეკონომიკური აქტივობის პროცესში, მის მიღწევაში საზოგადოების ყველა ფენის ფართო ჩართულობა. ანუ აქცენტი უპირატესად არა გადანაწილების პოლიტიკის საფუძველზე ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ მათ უშუალო მონაწილეობაზე ეკონომიკურ აქტივობაში და აღნიშნულის შედეგად მათი ცხოვრების დონისა და ხარისხის ეკონომიკური ზრდის ადეკვატურ ამაღლებაზე. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა გულისხმობს როგორც მშპ-ის რაოდენობრივ ზრდას, ასევე ზრდისგან მიღებული სარგებლის საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომობას, გადანაწილებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მშპ-ის ზრდის ადეკვატურად განათლებაზე, ჯანდაცვაზე, შრომის ბაზარზე და ფინანსებზე წვდომის ზრდას მთლიანად საზოგადოებისთვის და არამხოლოდ საზოგადოების ერთეული ჯგუფებისთვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ აღიარებული მეთოდოლოგიით ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ჩარჩო შემდეგ მიმართულებს მოიცავს: 1) განათლებისა და უნარების განვითარება; 2) დასაქმება და სამუშაო ძალის კომპენსაცია; 3) აქტივების ზრდა და კერძო საკუთრება; 4) კორუფცია და რენტა; 5) საბაზისო სერვისები და ინფრასტრუქტურა; 6) რეალურ ეკონომიკაში ინვესტირებისათვის ფინანსური შუამავლობა; 7) საბიუჯეტო ტრანსფერები. ხოლო ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ძირითადი მაჩვენებლები შემდეგ სამ ინდიკატორს და 11 ქვეინდიკატორს მოიცავს: **ზრდა და განვითარება** (მშპ (ერთ სულ მოსახლეზე), დასაქმება, შრომის მწარმოებლობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა), **ინკლუზია** (შინამეურნეობის საშუალო-თვიური შემოსავალი, სიღარიბის მაჩვენებელი, ჯინის კოეფიციენტი შემოსავლების მიხედვით, სიმდიდრის მაჩვენებელი) და **თაობათაშორისი თანასწორობა და მდგრადობა** (კორექტირებული წმინდა დანაზოგი, სახელმწიფო ვალი (წილი მშპ-ში), დამოკიდებულების კოეფიციენტი, მშპ-ს ნახშირბადის ინტენსივობა) [7, VIII-IX].

გრაფიკი 1. ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ძირითადი მაჩვენებლები [7]



არსებობს მიდგომა, რომლის მიხედვითაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია: განათლებისადმი ხელმისაწვდომობა, სამართლიანი

შრომითი პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ინსტიტუციონალური გარემო და სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემები [4. 5. 6. 14].

ჩვენი აზრით, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის დახასიათებისთვის აუცილებელია მრავალკომპონენტიანი ანალიზი და ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი კომპონენტების სრულყოფილი განხილვა-შეფასება, როგორიცაა: განათლებისადმი ხელმისაწვდომობა და განათლების ხარისხი, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, შრომის ბაზრის ჩართულობა, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და ანალიზისას მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რადგანაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მიღწეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა წარმოდგენილ ყველა კომპონენტში მიღწეულია ეკონომიკური ზრდის შესაბამისი პროგრესი.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2014 წელს მიღებულ იქნა ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020“, სტრატეგიის მიზნად წარმოდგენილია ,,საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია და მათ გადასაჭრელად შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა“ [2, 10]. ,,სტრატეგია 2020“ შემდეგი მაჩვენებლების მიღწევას ისახავდა მიზნად (ცხრილი 1) [2, 8-9], თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთად COVID-19-ის

ცხრილი 1.

,,სტრატეგია 2020“-ის საპროგნოზო და ფაქტიური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი	ფაქტიური მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური)	5 811,7	13 000	13 374
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში)	5 811,7	9 200	12 537
ჯინის კოეფიციენტი	0,41	0,35	0,41
ინფლაცია %	2,4	3,0	5,2
უმუშევრობა %	15,0	<12	18,5
გადასახადების წილი მშპ-ში. %	24	25	19
ექსპორტი (საქონლისა და მომსახურების), წილი მშპ-ში, %	45	65	31
მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი (წილი მშპ-ში, %)	>10	6	12,5
სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში, %	34	< 40	61,9

პანდემიის შედეგად, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლების უმრავლესობის მიღწევა ვერ იქნა უზრუნველყოფილი. რიგი მათგანი კი საბაზისოსთან შედარებით გაუარესდა კიდევაც (ინფლაციის, უმუშევრობის დონე, მშპ-ში გადასახადების, სახელმწიფო ვალის, ექსპორტის, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილები) (ცხრილი 1). ამასთან 2014-2020 წლების განმავლობაში მშპ-ის ზრდის საშუალო ტემპი არ იყო მაღალი (3,0 %), შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის დონისა და ხარისხის არსებითი გაუმჯობესება არც მომხდარა. პირიქით, სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს (8,3 $ დღეში, 2021 PPP) მიღმა მყოფი და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი გაიზარდა.

ცხრილი 2. . ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში

მაჩვენებლები	2020	2021	2022	2023	2024
რეალური მშპ-ის ზრდა (%)	-6,3	10,6	11,0	7,8	9,4
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ათასი $)	7,4	8,8	11,6	14,1	15,6
უმუშევრობის დონე (%)	18,5	20,6	17,3	16,4	13,9
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	73,4	71,4	73,7	74,9	-
შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი)	1100,5	1221,8	1453,8	1722,0	1895,7
სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%)	21,3	17,5	15,6	11,8	9,4
სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს (8,3 $ დღეში, 2021 PPP) მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%)	66,4	64,6	56,6	49,1	48,3
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა (საშუალო წლიური რიცხოვნობა, ათასი კაცი)	483,7	587,5	659,0	656,1	671,3
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა (წილი მოსახლეობაში, %)	13,0	15,8	17,8	17,7	18,1
ჯინის კოეფიციენტი (მთლიანი შემოსავლების მიხედვით)	0,37	0,37	0,36	0,36	0,35
ჯინის კოეფიციენტი (მთლიანი ხარჯების მიხედვით)	0,41	0,40	0,39	0,40	0,40
საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი (ლარი)	170,5	198,0	224,5	221,1	230,5
სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში (%)	61,9	51,4	40,7	40,5	40,7

2021-2024 წლების განმავლობაში საქართველოში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი საკმაოდ შთამბეჭდავია (საშუალოდ 10 %). ამასთან, ასეთი მაღალი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის შემოსავლები ადეკვატურად არ გაზრდილა. მოცემულ პერიოდში ზრდის მაჩვენებლები იმდენად პოზიტიურია, რომ მათ უნდა მოეხდინათ მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის არსებითი პერმუტაცია. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენს მიერ ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობის დასახასიათებლად წარმოდგენილი მაჩვენებლები პოზიტიური დინამიკით ხასიათდება. საქართველოში ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობაზე აქცენტირებისას ყურადღება მახვილდება სიღარიბის აბსოლუტური ზღვრისა და ჯინის კოეფიციენტის გაუმჯობესებაზე [12, 25], მაგრამ საშუალო მაჩვენებლებში მიღწეულ წარმატებებს აუფერულებს საანალიზო პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რიცხოვნობის (თითქმის 40%-ით) და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილის ზრდა (13 %-დან 18,1 %-მდე). მაღალია სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილიც (48,3%) (გრაფიკი 1). რაც შეეხება სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილის კლებას, ჩვენი აზრით, საარსებო მინიმუმის გათვლის არსებული მეთოდიკა ვერ პასუხობს თანამედროვე რეალობას. საშუალო მომხმარებლისთვის იგი 2024 წელს 230,5 ლარს (დაახლოებით 85 აშშ დოლარი) შეადგენდა, რაც ძალზე დაბალი ნიშნულია და ცხადია მის მიმართ გათვლილი სიღარიბის დონე ვერ ასახავს არსებულ მდგომარეობას.

გრაფიკი 2. სიღარიბის დონის მაჩვენებლების დინამიკა საქართველოში



ანალოგიურ მდგომარეობას ავლენს და ასახავს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ისეთი კომპონენტების ანალიზი, როგორიცაა: განათლებისადმი ხელმისაწვდომობა და განათლების ხარისხი, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, შრომის ბაზრის ჩართულობა, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა. არცერთ მათგანში ჯერჯერობით აშკარად არაა გამოხატული მაღალი ეკონომიკური აქტივობის შედეგები მთელი მოსახლეობისათვის. კერძოდ:

განათლებისადმი ხელმისაწვდომობა და განათლების ხარისხი. განათლებისადმი ხელმისაწვდომობასა და მის ხარისხს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, რადგანაც ადამიანური კაპიტალის განვითარება ერთ-ერთი პირობაა ქვეყნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ამასთანავე, ინკლუზიურმა ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ამაღლება ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სკოლამდელი, სკოლის და უმაღლესი განათლების რეფორმირების, ინფრასტრუქტურის განახლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროცესი, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. ქვეყანაში უმეტესად უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ადეკვატური ზეგავლენა განათლების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ჯერაც დაბალია. აღსანიშნავია ისეთი პრობლემების არსებობა როგორიცაა რეგიონული უთანასწორობა, განათლების ხელშემწყობი ფინანსური მექანიზმების სრულყოფის, შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების აუცილებლობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქალაქებში სკოლის მოსწავლეების დასწრება დაახლოებით 95 %-ია, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში - 85 % [3]. დაბალია წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა და კრიტიკული აზროვნების მიმართულებით მოსწავლეთა შედეგები. მაღალია სტუდენტის სტატუსის ხანგრძლივად შენარჩუნებისა და ფინანსური მდგომარეობის გამო მისი შეჩერების მაჩვენებლები.

ჯანმრთელობის დაცვა. ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო კავშირია, რადგან ადამიანური კაპიტალის მთავარ კომპონენტს განათლებასთან ერთად ჯანმრთელობაც

წარმოადგენს. მიუხედავად საქართველოში ბოლო წლების ერთობ მაღალი ეკონომიკური აქტივობისა ეკონომიკური ზრდის შესაბამისი ხარისხით არ ხდება ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლება. საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი სამედიცინო მომსახურების სიძვირის გამო ვერ ღებულობს შესაბამისი ჯანდაცვის სერვისს [10].

სოციალური დაცვა. მას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკური ზრდის შედეგების საზოგადოების თითოეულ წევრზე გადანაწილებაში და საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობაში ეკონომიკურ საქმიანობაში. სოციალური დაცვის სისტემის საშუალებით ხორციელდება სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირება. ამ ეფექტიანი, გამჭვირვალე და მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევის მნიშვნელოვანი მექანიზმია და იგი არა მხოლოდ ამცირებს სიღარიბეს, არამედ ზრდის შრომით ჩართულობას, ამცირებს უთანასწორობას და უწყობს ხელს ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზებას.

საქართველოში სოციალური დაცვის სისტემა რამდენიმე ძირითად მექანიზმს მოიცავს. კერძოდ: საყოველთაო საპენსიო სისტემას, სოციალური დახმარების პროგრამებს, სოციალური პაკეტით განსაზღვრულ მიზნობრივ მხარდაჭერას, დევნილთა, შშმ/პატიმრების დახმარების სოციალურ პროგრამებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემები თანდათანობით იხვეწება, დღეისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დაფინანსების სიზუსტე და მოცულობა, სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირების სირთულეები. გაეროს 2023 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში სოციალური დაცვის სიტემები ფარავს მოწყვლადი ჯგუფების მხოლოდ 60 %-ს [11].

შრომის ბაზრის ჩართულობა. საქართველოში ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებას შორის დისბალანსია. 2024 წლის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე 13,9 %-ს შეადგენს, მაღალია ეს მაჩვენებელი ახალგაზრდებში (30%-ზე მეტი). ასევე მაღალია არაოფიციალური დასაქმების დონე, რაც გამოწვეულია დაბალი ანაზღაურებით და სოციალური დაუცველობით. შრომის ბაზრის არსებით პრობლემებს წარმოადგენს რეგიონული უთანასწორობა და ქვეყნიდან სამუშაო ძალის გადინება. თბილისში შრომის ბაზრის შესაძლებლობები გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე რეგიონებში. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში რეგისტრირებული უმუშევრობის მაჩვენებელი საშუალო ეროვნულს აჭარბებს, ხოლო ეკონომიკური აქტივობა დაბალია. ეს გარემოება აჩვენებს, რომ რეგიონული პოლიტიკის მორგება და სპეციალიზებული შრომითი პროგრამების დანერგვა გადამწყვეტია ინკლუზიური ზრდისთვის. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის საქართველოში აუცილებელია შრომის ბაზრის ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება. ეს გულისხმობს ახალგაზრდების, ქალებისა და რეგიონული მოსახლეობის მეტი ჩართვის მექანიზმების განვითარებას, განათლების სისტემისა და შრომითი პოლიტიკის ინტეგრირებას და შრომის უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას. მხოლოდ ინკლუზიური შრომითი ჩართულობით იქნება შესაძლებელი ისეთი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც სტაბილურობასა და სოციალურ სამართლიანობას ემსახურება.

ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კონტექსტში ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობამ უნდა განსაზღვროს რამდენად შეუძლიათ ადამიანებს, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფებსა და მცირე მეწარმეებს, მიიღონ სესხები, დაზოგონ ფული, დააბანდონ კაპიტალი ან ისარგებლონ ფინანსური მომსახურებებით.

საქართველოს ფინანსური ბაზარი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა, თუმცა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავაც არათანაბარია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა

სოფლად მცხოვრები პირებისთვის, რომელთაც ხშირად არ აქვთ წვდომა საბანკო ფილიალებზე, ტექნოლოგიურ მომსახურებაზე და შესაბამის ცოდნაზე.

ასევე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის (MSMEs) წვდომა ფინანსებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სეგმენტისთვის არსებობს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა (მაგალითად, "აწარმოე საქართველოში"), კომერციული ბანკების მხრიდან დაფინანსება მაინც სარისკო სეგმენტად ითვლება. შედეგად, MSMEs-ს ხშირად უწევთ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით სესხის აღება ან ფინანსური რესურსების გარეშე დარჩენა.

ფინანსური ჩართულობის ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია ფინანსური განათლება. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში მოსახლეობის ნაწილი ვერ ფლობს საკმარის ფინანსურ ცოდნას, რაც ხელს უშლის სესხის მართვას, დაგეგმვას და გრძელვადიან გადაწყვეტილებებს. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინიციატივები, როგორიცაა ფინანსური განათლების სტრატეგია, მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა მისი შედეგიანობა სრულად ჯერ არ ასახულა პრაქტიკაში.

რადგანაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საფუძველია. მის გაუმჯობესებას სჭირდება როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება, ისე კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. საჭიროა მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსურ განათლებას, გაადვილებს მცირე მეწარმეებისთვის რესურსებზე წვდომას და გააძლიერებს რეგიონების ფინანსურ ინფრასტრუქტურას. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ფინანსური ჩართულობის გაზრდა და მდგრადი, ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფა.

ამგვარად, საქართველოში ეკონომიკური ზრდის კონკრეტული პირობების ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში ეკონომიკურ ზრდას ექსკლუზიური ხასიათი გააჩნია, მას სარგებლის უდიდესი ნაწილი მოაქვს მხოლოდ საზოგადოების მცირე ჯგუფისთვის, მის მიღწევაში არაა ჩართული საზოგადოების ყველა ფენა და ჯერჯერობით ადგილი აქვს მხოლოდ გადანაწილების პოლიტიკის საფუძველზე მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს მაღალი ეკონომიკური აქტივობის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში გადასვლის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გზაზე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების რეფორმირება და მისი გაზრდა, სახელმწიფო გრანტების სისტემის გაფართოება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან სინქრონიზაცია, განათლების სისტემისა და შრომითი პოლიტიკის ინტეგრირება;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების ზრდა და მისი მექანიზმების გაუმჯობესება;
- პროფილაქტიკური ჯანდაცვის გაძლიერება და ინფორმირებულობის ამაღლება, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- რეგიონული კლინიკების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- პენსიების ზრდისა და მინიმალური გარანტირებული შემოსავლის სტრატეგიის დანერგვა;

- სოციალური დახმარების სისტემის რეფორმა და სამიზნე ჯგუფების იდენტიფიკაციის გაუმჯობესება, სოციალური სერვისების განვითარებაში საჯარო-კერძო პარტნიორობის სტიმულირება;

- ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამების დანერგვა, რეგიონების ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ლიტერატურა

1. გელაშვილი მ. საქართველო ინკლუზიური ზრდის გზაზე. https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/3284e441-38a3-4b8a-acb5-ec8d6c3002e0/content
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „განათლების სტატისტიკა 2022“. თბილისი: საქსტატი, 2023.
4. Barro Robert J., Jong-Wha Lee. “A New Data Set of Educational Attainment in the World, 1950–2010.” Journal of Development Economics 104 (2013). 184–198.
5. Calderon Cesar. Luis Serven. “Infrastructure and Economic Development in Sub-Saharan Africa.” Journal of African Economies 19, no. suppl_1 (2010): i13–i87.
6. International Labour Organization. World Employment and Social Outlook: Trends 2017.Geneva: ILO, 2017.
7. Richard Samans. Jennifer Blanke. Margareta Drzeniek Hanouz. Gemma Corrigan.. The Inclusive Growth and Development Report 2017. World Economic Forum. Committed Improving The State Of The World. P. iX.
8. Sen Amartya. Development as Freedom. New York: Alfred A. Knopf. 1999.
9. Todaro Michael P., Stephen C. Smith. Economic Development. 13th ed., New York: Pearson. 2020.
10. UNDP Georgia. Health Equity Report. Tbilisi: United Nations Development Programme, 2023.
11. UNDP Georgia. Social Inclusion Assessment Report. Tbilisi: United Nations Development Programme, 2023.
12. Vision 2030. Georgia's Development Strategy. https://faolex.fao.org/docs/pdf/geo215987.pdf
13. World Bank. World Development Report 2013. Washington. DC: World Bank. 2013.
14. World Bank.World Development Report 2018: Learning to Realize Education’s Promise. Washington. DC: World Bank, 2018.
15. World Bank. Investing in Health. Washington, DC: World Bank, 2020.

მასშტაბის ეფექტი საპენსიო ინვესტირებაში: დინამიკური პორტფელის ზომა, როგორც ეფექტიანობის შემზღუდავი ფაქტორი
Scale Effect in Pension Investment: Dynamic Portfolio Size as a Constraint on Efficiency

მანანა ლობჟანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Manana Lobzhanidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში გაანალიზებულია საპენსიო ინვესტირებაში მასშტაბის ეფექტის პრობლემა და დინამიკური პორტფელის ზომის გავლენა საინვესტიციო ეფექტიანობაზე. კვლევა ეფუძნება ფინანსურ ეკონომიკაში დამკვიდრებულ თეორიულ მიდგომებსა და თანამედროვე ემპირიულ კვლევებს, რომლებიც აჩვენებს, რომ აქტივების ზრდა თავდაპირველად აუმჯობესებს პორტფელის დივერსიფიკაციას, ამცირებს ოპერაციულ დანახარჯებს და ზრდის საინვესტიციო ეფექტიანობას. თუმცა, გარკვეული ზღვარის გადალახვის შემდეგ აქტივების მასშტაბის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ლიკვიდურობის შეზღუდვა, ბაზარზე ფასებზე ზეწოლა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მოქნილობის შემცირება.
სტატიაში განხილულია მასშტაბის ეფექტის როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ასპექტები და მათი გავლენა საპენსიო ფონდების საინვესტიციო სტრატეგიებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე კაპიტალის ბაზრების მქონე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, სადაც ფონდის აქტივების სწრაფმა ზრდამ შესაძლოა გააძლიეროს ნეგატიური მასშტაბის ეფექტი. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პორტფელის ზომასა და საინვესტიციო ეფექტიანობას შორის არსებობს „ინვერსიული U-ფორმის“ დამოკიდებულება. შესაბამისად, საპენსიო ფონდების მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია ოპტიმალური პორტფელის მასშტაბის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს დივერსიფიკაციას და ამავდროულად არ ზღუდავს საინვესტიციო მოქნილობას.

საკვანძო სიტყვები: მასშტაბის ეფექტი, დინამიკური პორტფელი, საპენსიო ფონდი, საინვესტიციო ეფექტიანობა, ლიკვიდურობა.

Abstract. The article analyzes the problem of the scale effect in pension investment and the impact of dynamic portfolio size on investment efficiency. The study is based on established theoretical approaches in financial economics and modern empirical research, which show that asset growth initially improves portfolio diversification, reduces operational costs, and increases investment efficiency. However, after surpassing a certain threshold, the growth in asset scale may lead to liquidity constraints, pressure on market prices, and a reduction in the flexibility of managerial decision-making.

The article discusses both the positive and negative aspects of the scale effect and their influence on the investment strategies of pension funds. Special attention is paid to countries with small capital markets, including Georgia, where the rapid growth of fund assets may intensify the negative scale effect. The research results indicate that there is an “inverse U-shaped” relationship between portfolio size and investment efficiency. Accordingly, for pension fund management, it is important to determine the optimal portfolio scale that ensures diversification while not restricting investment flexibility.

Keywords: Scale Effect, Dynamic Dortfolio, Pension Fund, Investment Efficiency, Iiquidity.

5. შესავალი

საპენსიო ფონდები გლობალურად გრძელვადიანი კაპიტალის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ეს ფონდები თანამედროვე ფინანსურ სისტემაში გრძელვადიანი კაპიტალის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მათი ძირითადი ფუნქციაა მოსახლეობის საპენსიო დანაზოგების ეფექტიანი მართვა და ინვესტირება ისეთი სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შენარჩუნებასა და სტაბილურ ზრდას გრძელვადიან პერიოდში. მსოფლიო პრაქტიკაში საპენსიო ფონდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური ბაზრების განვითარებაში, რადგან ისინი ქმნიან სტაბილურ მოთხოვნას სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტზე და ხელს უწყობენ კაპიტალის ბაზრების გაღრმავებას.

საპენსიო ფონდების აქტივების ზრდა, როგორც წესი, განიხილება პოზიტიურ პროცესად, რადგან დიდი მოცულობის აქტივები საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს პორტფელის დივერსიფიკაცია, შემცირდეს ოპერაციული ხარჯები და გაიზარდოს საინვესტიციო ეფექტიანობა. აქტივების ზრდა ამცირებს ერთეულ ხარჯებს და ზრდის საინვესტიციო შესაძლებლობებს. სწორედ ამ მიზეზით მრავალი ქვეყანა ცდილობს საპენსიო ფონდების კაპიტალის კონცენტრაციას და აქტივების ზრდას, რათა უზრუნველყოს უფრო მაღალი და სტაბილური შემოსავლიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფინანსური ეკონომიკის კლასიკურ თეორიებში, მათ შორის თანამედროვე პორტფელის თეორიაში, პორტფელის დივერსიფიკაცია განიხილება როგორც რისკის შემცირების და შემოსავლის სტაბილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. თუმცა, პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ დივერსიფიკაციის ეფექტი გარკვეულ ეტაპზე ამოიწურება და აქტივების დამატებითი ზრდა აღარ იწვევს შესაბამის სარგებელს. სწორედ ამიტომ თანამედროვე კვლევები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პორტფელის ოპტიმალური მასშტაბის განსაზღვრის საკითხს.

ამგვარად, საპენსიო ინვესტირებაში მასშტაბის ეფექტის ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ეკონომიკის თეორიულ მიდგომებსა და პრაქტიკულ პრობლემებს. პორტფელის ზომასა და საინვესტიციო ეფექტიანობას შორის დამოკიდებულების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური ბაზრების განვითარების, ისე საპენსიო სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკითხების გაანალიზება საშუა.ლებას იძლევა უკეთ განისაზღვროს საპენსიო ფონდების ოპტიმალური საინვესტიციო სტრატეგია და პორტფელის მასშტაბი, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას და მაქსიმალურ სარგებელს პენსიის მიმღები პირებისთვის.

კვლევის მიზანი

ნაშრომის კვლევის მიზანია საპენსიო ინვესტირებაში პორტფელის მასშტაბის გავლენის შეფასება და დინამიკური პორტფელის ოპტიმალური ზომის განსაზღვრის მნიშვნელობის გამოვლენა საინვესტიციო ეფექტიანობის კონტექსტში. კვლევა მიზნად ისახავს, ასევე, დაადგინოს, როგორ მოქმედებს აქტივების ზრდა საინვესტიციო შემოსავლიანობაზე, ლიკვიდურობასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მოქნილობაზე, განსაკუთრებით მცირე კაპიტალის ბაზრის პირობებში, როგორიცაა საქართველო.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია რამდენიმე მეთოდოლოგიური მიდგომა, მათ შორის ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა. ასევე, გამოყენებულია შედარებითი და ანალიზის მეთოდები, რომლის საშუალებითაც შეფასებულია მასშტაბის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები საპენსიო ინვესტირების პროცესში.

კვლევაში გამოყენებულია შესაბამისი საერთაშორისო კვლევები და ანგარიშები, ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ლიტერატურის ანალიზი

სამეცნიერო ლიტერატურაში მასშტაბის ეფექტი ფართოდ განიხილება. ნაშრომებში აღნიშნულია, რომ საწყის ეტაპზე აქტივების ზრდა იწვევს ოპერაციული დანახარჯების შემცირებას, დივერსიფიკაციის გაუმჯობესებას და კაპიტალის მართვის ეფექტიანობის ზრდას. თუმცა, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ბაზრის მოწყობა ქმნის ზღვარს და ამ ზღვარის

გადალახვის შემდეგ პორტფელის ზომის ზრდა ვეღარ უზრუნველყოფს შესაბამის სარგებელს (Jingchen Yu, Juntai Zhang (2022).

კვლევებმა (მაგ., **Berger & Ofek, 1995; Elton et al., 2012)** აჩვენა, რომ მსხვილი ფონდის ზომის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური მასშტაბის ეფექტი, რაც განპირობებულია:

- აქტივების მართვის მოქნილობის შემცირებით;
- მცირე კაპიტალიზაციის აქციებზე შეზღუდული წვდომით;
- ბაზარზე მაღალი მოცულობის ტრანზაქციების ზეწოლით ფასებზე.

საპენსიო ფონდი, როგორც გრძელვადიანი ინვესტორი, განსაკუთრებულად მგრძნობიარეა მასშტაბის ეფექტზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პენსიების მიმოხილვაში მითითებულია, რომ დიდი საპენსიო ფონდის აქტივების კონცენტრაცია ხშირად ზრდის საინვესტიციო რისკს და ზღუდავს სწრაფად რეაგირებას ბაზრის ცვლილებებზე (OECD Pensions Outlook , 2024).

არაერთ კვლევაში ხაზგასმულია, რომ ფონდის დივერსიფიკაცია საწყის ეტაპზე ზრდის ეფექტიანობას, თუმცა, კრიტიკული მოცულობის მიღწევის შემდეგ შემოსავალი კლებულობს (**Batiz & Fong, 2018)**.

დინამიკური პორტფელი გულისხმობს აქტივების მუდმივ ოპტიმიზაციას ბაზრის პირობების შესაბამისად, რაც საპენსიო სისტემის რეფორმას მოითხოვს გარემო პირობების შესაბამისად (Lobzhanidze, M. 2025). **მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად,** პორტფელის მოცულობის ზრდა იწვევს:

- სწრაფი ალტერნატიული აქტივების ინტეგრაციის შეზღუდვას;
- მაღალი ლიკვიდურობის რისკს;
- მენეჯმენტის გადაწყვეტილების მოქნილობის შემცირებას (Christoffersen, Peter and Errunza, Vihang R. and Jacobs, Kris and Langlois, Hugues (2012).

ამგვარად, დინამიკური პორტფელის ზომა წარმოადგენს მნიშვნელოვან შემზღუდავ ფაქტორს ეფექტიანი ინვესტირებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფონდის ზომა გადალახავს ოპტიმალურ მასშტაბს.

საქართველოს კაპიტალის ბაზარი შედარებით მცირეა, რაც ზრდის მასშტაბის ნეგატიური ეფექტების ალბათობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის საპენსიო ფონდის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ეროვნული საპენსიო ფონდის აქტივების ზრდა საკმარისად გაზრდის შემოსავლიანობას მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე; ფონდის ზომის ზედმეტი გაფართოება იწვევს ალტერნატიული აქტივების შეზღუდვას და ბაზარზე ფასების დამახინჯებას (**Georgian National Bank, Pension Fund Statistics, 2023).** აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში საპენსიო მოდელების ფორმირების დროს (ლობჟანიძე, 2025).

ლიტერატურაში ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი პრობლემა ძირითადად ორი მიმართულებით არის განხილული:

1. **თეორიული მოდელები**, როდესაც ფოკუსი ეკონომეტრიულ სიმულაციებზე, ზომისა და ეფექტიანობის არახაზოვან კავშირზე;

2. **ემპირიული კვლევები**, რომელიც დაფუძნებულია გლობალურ საპენსიო ფონდის მონაცემებზე, მცირე რეგიონებში კი საქართველოს ბაზრის მონაცემები სანდო ინსტრუმენტად აღიქმება კვლევისთვის.

6. ამრიგად, ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს :

- პორტფელის მასშტაბი საწყის ეტაპზე ზრდის ეფექტიანობას;

- გარკვეული ზღვარის გადალახვის შემდეგ მასშტაბი შესაძლოა გახდეს ეფექტიანობის შემზღუდავი;
- მცირე ბაზრებში (როგორიც არის საქართველო) ნეგატიური მასშტაბის ეფექტი უფრო გამოკვეთილი ხდება;
- დინამიკური პორტფელის ოპტიმიზაცია მნიშვნელოვანია ლიკვიდურობისა და ალტერნატიული აქტივების წვდომის შენარჩუნებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვის შედეგები ძირითადი მიგნებებისა და მასშტაბის ეფექტების მიხედვით წამოდგენილია სქემაზე 1.

სქემა 1. ლიტერატურის მიმოხილვის შედეგები ძირითადი მიგნებებისა და მასშტაბის ეფექტების მიხედვით

ავტორი / წყარო	**ძირითადი მიგნებები**	**პოზიტიური მასშტაბის ეფექტი**	**ნეგატიური მასშტაბის ეფექტი**	**მნიშვნელობა საქართველოს კონტექსტში**
Markowitz, 1952 (Modern Portfolio Theory)	პორტფელის დივერსიფიკაცია ზრდის ეფექტიანობას	რისკის განაწილება, სტაბილური შემოსავალი	-	საფუძველი ეფექტიანი პორტფელის მოდელისთვის
Brown, S. (2020).	ბაზარი ეფექტიანია, ზედმეტი შემოსავლის მიღწევა რთულია	ბაზრის სტაბილურობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა	დიდი აქტივების მქონე ფონდის ზედმეტი მოცულობა ზღუდავს დამატებით შემოსავალს	საქართველოს ბაზარი მცირეა, ეფექტი უფრო გამოხატულია
Berger & Ofek, 1995	მსხვილი ორგანიზაციები განიცდიან მასშტაბის ეფექტს	ოპერაციული ხარჯების შემცირება საწყის ეტაპზეა	მოქნილობის დაკარგვა, ბაზარზე გავლენა ფასებზე	ეროვნულ საპენსიო ფონდში მნიშვნელოვანი შეზღუდვებია
Elton et al., 2012	პორტფელის ზომის ზრდა ნეგატიურად მოქმედებს ეფექტიანობაზე გარკვეულ ზღვარზე	დივერსიფიკაციის გაუმჯობესება	ალტერნატიული აქტივების შეზღუდვა, ლიკვიდურობის რისკი	ლოკალური ბაზრის მცირე სიღრმე ზრდის ნეგატიურ ეფექტს
Batiz & Fong, 2018	საწყისი დივერსიფიკაცია ზრდის შემოსავლიანობას, დიდი ზომა – კლება	ზრდის ეფექტიანობა ოპტიმალური მასშტაბის ფარგლებში	ზრდის შემდგომი ფაზა – შემოსავლიანობის კლება	საქართველოს საპენსიო ფონდის ზრდის ოპტიმალური ზღვარი შეზღუდულია
Christoffersen et al., 2012	დინამიკური პორტფელის მართვა დამოკიდებულია ზომაზე	ოპტიმიზაციის ეფექტი საწყის ეტაპზე	მოქნილობის შემცირება, ბაზრის შოკებზე რეაგირების შეზღუდვა	პორტფელის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა კრიტიკულია მცირე ბაზრის პირობებში

Georgian National Bank, 2023	ეროვნული საპენსიო ფონდის ზრდა ზღუდავს ალტერნატიულ აქტივებზე წვდომას	საწყის ეტაპზე შემოსავლიანობის ზრდა	ზედმეტი გაფართოება – ბაზრის შეზღუდვა	პირდაპირ ასახავს საქართველოს ფონდის თავისებურებას

7. მასშტაბის ეფექტის კონცეფციის თანახმად საპენსიო ფონდის აქტივების ზრდა იწვევს:

- ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ხარჯების ზრდას;
- მსხვილი პოზიციების დაგროვებას;
- მცირე და საშუალო კაპიტალიზაციის აქტივებზე შეზღუდულ წვდომას;
- პორტფელის მოქნილობის შემცირებას.

მასალები და ანალიზი

საპენსიო ფონდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება დინამიკური პორტფელის მართვა, რომელიც გულისხმობს აქტივების სტრუქტურის მუდმივ ოპტიმიზაციას ბაზრის ცვლილებების შესაბამისად. დინამიკური პორტფელის მიდგომა საშუალებას აძლევს ფონდებს სწრაფად მოახდინონ რეაგირება ფინანსური ბაზრების ცვალებადობაზე, შეცვალონ აქტივების განაწილება და გამოიყენონ ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები. თუმცა, პორტფელის ზომის ზრდა ხშირად ზღუდავს ასეთ მოქნილობას, რადგან დიდი მოცულობის აქტივების გადანაწილება უფრო რთულ და ხარჯიან პროცესად იქცევა.

მასშტაბის ეფექტი საპენსიო ინვესტირებაში ორ დონეზე ვლინდება:

- **პოზიტიური მასშტაბი,** როდესაც ხდება ხარჯების შემცირება და რისკის განაწილება;
- **ნეგატიური მასშტაბი, როდესაც ადგილი აქვს** ლიკვიდურობის შეზღუდვას და შემოსავლის შემცირება.

მასშტაბის ეფექტის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და განვითარებადი კაპიტალის ბაზრების მქონე ქვეყნებში. ასეთ ეკონომიკებში ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობა შეზღუდულია, ხოლო ბაზრის სიღრმე შედარებით მცირეა. შესაბამისად, მსხვილი საპენსიო ფონდის მიერ განხორციელებული დიდი მოცულობის ინვესტიციები შესაძლოა პირდაპირ გავლენას ახდენდეს ფასების დინამიკაზე და ამცირებდეს პოტენციურ შემოსავლიანობას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რა ეტაპზე იწყებს მასშტაბის ზრდა ნეგატიურ გავლენას საინვესტიციო ეფექტიანობაზე.

საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყნის კაპიტალის ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. საპენსიო სისტემის რეფორმის შედეგად შექმნილმა დაგროვებითმა საპენსიო ფონდმა შედარებით მოკლე პერიოდში მოახდინა აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად შეუძლია ფონდის აქტივების ზრდას გააუმჯობესოს საინვესტიციო ეფექტიანობა და რა ეტაპზე შეიძლება გაჩნდეს მასშტაბის ნეგატიური ეფექტები, რომლებიც ზღუდავს პორტფელის ოპტიმალურ მართვას.

ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩატარებული შედეგების მოდელირებამ აჩვენა აქტივების მოცულობის, საშუალო შემოსავლიანობისა და ეფექტიანობის ტენდენციას შორის დამოკიდებულება (იხ. სქემა 2).

სქემა 2. აქტივების მოცულობის, საშუალო შემოსავლიანობისა და ეფექტიანობის ტენდენციას შორის დამოკიდებულება

აქტივების მოცულობა	საშუალო შემოსავლიანობა	ეფექტიანობის ტენდენცია
მცირე	მაღალი	მზარდი
საშუალო	სტაბილური	ოპტიმალური
დიდი	შემცირებული	კლებადი

როგორც სქემიდან ჩანს, დეტერმინანტებს შორის „ინვერსიულ U-ფორმის“ დამოკიდებულებაა გამოხატული პორტფელის ზომასა და ეფექტიანობას შორის.

8. სქემის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

- დივერსიფიკაციის ეფექტი ამოიწურება გარკვეულ ზღვარზე;
- მსხვილი ფონდი ვერ ახორციელებს სწრაფ რეორგანიზაციას ბაზრის შოკის დროს;
- მაღალი მასშტაბი ზღუდავს ალტერნატიული აქტივების წილს.

მასშტაბის ეფექტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც კაპიტალის ბაზარი შედარებით არ არის დივერსიფიცირებული. დიდი მოცულობის კაპიტალის კონცენტრაცია იწვევს ფასებზე ზეწოლას და ამცირებს პოტენციურ შემოსავალს.

საპენსიო ფონდებისთვის ოპტიმალური სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს:

- გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას;
- პასიური და აქტიური მართვის კომბინაციას;
- ალტერნატიული აქტივების ეტაპობრივ ინტეგრაციას.

9. დასკვნა

კვლევა ადასტურებს, რომ დინამიკური პორტფელის ზრდა არ არის ხაზოვანი სარგებლის წყარო. საწყის ეტაპზე მასშტაბი ზრდის ეფექტიანობას, თუმცა, გარკვეული ზღვარის შემდეგ იგი იქცევა შემზღუდავ ფაქტორად. შესაბამისად, ფონდების მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს ოპტიმალური მასშტაბი, რომლის გადაჭარბება ამცირებს რეალურ შემოსავლიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლობჟანიძე, მ. (2025). საპენსიო სისტემის მოდელები: ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და განვითარების სამომავლო მიმართულებები საქართველოში. ვლადიმერ პაპავას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების კრებული ,,ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“.

2. **Batiz & Fong, (2018).** Immigrant integration and their negative sentiments toward recent immigrants: The case of Hong Kong. Asian and Pacific Migration Journal 27(2):166-189

3. **Berger & Ofek, (1995).** Diversification's effect on firm value. Journal of Financial Economics. Volume 37, Issue 1, January 1995, Pages 39-65. https://doi.org/10.2307/2325486. Accessed 18 Mar. 2026.

4. Brown, S. (2020). The Efficient Market Hypothesis, the Financial Analysts. Jurnal and the Professional Status of Investment Management. Financial Analysts Journal, 76(2), 5-14. https://doi.org/10.1080/0015198X.2020.1734375

5. Christoffersen, Peter and Errunza, Vihang R. and Jacobs, Kris and Langlois, Hugues (2012). Is the Potential for International Diversification Disappearing? A Dynamic Copula Approach “Efficient Capital Markets: A Review of Theory and Empirical Work.” *The Journal of Finance*, vol. 25, no. 2, 1970, pp. 383–417. *JSTOR*.

6. **Georgian National Bank, Pension Fund Statistics, 2023**

7. Jingchen Yu, Juntai Zhang (2022). A Comprehensive Analysis of The Modern Portfolio Theory. Vol. 38 (2023): 2022 International Conference on Economics, Mathematical Finance and Risk Management (EMFRM 2022)

8. **Elton et al., (2012).** Modern Portfolio Theory and Investment Analysis.

9. Lobzhanidze, M. (2025). Pension System Reform in Georgia: Challenges and Ways to Overcome Them. Proceedings of TheIRES International Conference, Rome, Italy

10. Markowitz, H. (1952), Portfollio Selection. The Journal of Finance, 7:77- https://doi.org/10.1111/j.1540-6261.1952.tb01525.x

11. OECD Pensions Outlook (2024). Improving Asset-backed Pensions for Better Retirement Outcomes and More Resilient Pension Systems.

12. Potential for International Diversification Disappearing? A Dynamic Copula Approach (May 24, 2012). Review of Financial Studies, 2012, Vol. 25, No. 12, pp. 3711-3751., Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=2066076 or http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2066076

ინოვაციები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში: პრობლემები და პერსპექტივები
Innovations in Small and Medium-Sized Farms: Problems and Prospects

თამარ ლაზარიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასისტენტ-პროფესორი
Tamar Lazariashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
Assistant Professor

ანოტაცია. საქართველოში ინოვაციური ფერმერული მეურნეობების განვითარება ძირითადად ეფუძნება დრონების გამოყენებას, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასა და მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი განვითარების ეტაპზეა, უკვე აშკარად იკვეთება სოფლის მეურნეობის სექტორის ტრანსფორმაცია უფრო თანამედროვე და ტექნოლოგიურად განვითარებულ მოდელად. ინოვაციური ფერმერული მეურნეობების განვითარება, ზუსტი ფერმერობა, აგროსტარტაპები და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სექტორის ინოვაციური განვითარებისათვის.

ნაშრომში განხილულია ინოვაციების როლი მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში, გაანალიზებულია მათ წინაშე არსებული ძირითადი პრობლემები და შეფასებულია ინოვაციური პროცესები სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების კონტექსტში. ასევე გამოვლენილია ის ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს ინოვაციების დანერგვას.

კვლევის შედეგების მიხედვით, ინოვაციების გავრცელებას აფერხებს ფინანსური რესურსების სიმცირე, ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობა და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები. ამასთანავე, იკვეთება მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, მათ შორის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და ბაზარზე ინტეგრაციის ზრდა.

ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია დასკვნები მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციური განვითარების გამოწვევების შესახებ და შემოთავაზებულია რეკომენდაციები თანამედროვე მიდგომებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, მდგრადი განვითარება, ინოვაციები, ფერმერული მეურნეობა, ინოვაციური განვითარება.

Abstract. In Georgia, the development of innovative farms is mainly based on the use of drones, the implementation of digital technologies, and data-driven management. Although this process is at a stage of development, the transformation of the agricultural sector into a more modern and technologically advanced model is already clearly visible. The development of innovative farms, precision farming, agri-startups, and the support of international organizations create significant opportunities for the innovative development of the sector.

The paper discusses the role of innovations in small and medium-sized farms, analyzes the main problems they face, and evaluates innovative processes in agriculture, especially in the context of small and medium-sized farms. It also identifies the factors that limit the implementation of innovations.

According to the research results, the spread of innovations is hindered by the lack of financial resources, insufficient technological knowledge, and infrastructural limitations. At the same time, significant opportunities are identified, including state support programs, the development of digital technologies, and increased integration into the market.

At the end of the paper, conclusions are presented regarding the challenges of innovative development in small and medium-sized farms, and recommendations are offered considering modern approaches and development prospects.

Keywords: agriculture, sustainable development, innovations, farming, innovative development.

პრობლემის აქტუალობა

მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის საფუძველს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ადგილობრივი დასაქმების ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს ინოვაციების აქტიურ დანერგვას, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა, შემცირდეს დანაკარგები და გაუმჯობესდეს ფერმერული მეურნეობების შემოსავლიანობა. ტექნოლოგიური ინოვაციები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საწარმოო პროცესებს, ამცირებს ხარჯებს, ზრდის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამცირებს შრომითი რესურსების საჭიროებას.საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში დღეს მთელი რიგი გამოწვევებია.

მთავარ გამოწვევად რჩება დარგში მწარმოებლურობის დაბალი დონე. მაგალითად,

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყნის მთლიან მიწის ფონდში შეადგენს 49%-ს, ისრაელში 20%-ს. ე.ი ისრაელს საქართველოსთან შედარებით 2-ჯერ და მეტად ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი აქვს. მიუხედავად ამისა, ისრაელის სოფლის მეურნეობა მსოფლიო ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც ფენომენი, ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისი, რომ მიწის ფონდის ასეთი შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% თითქმის 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოში დაბალია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები (საშუალოდ 35-60%-ის ფარგლებში) და სასურსათო უსაფრთხოების მხრივ პრობლემებია (ლაზარიაშვილი, 2025).

მეცნიერები იკვლევენ აგრობიზნესის განვითარების ტენდენციებს და აღნიშნავენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამედროვე გამოწვევაა (Kharaishvili & Aduashvili, 2023). ამ კონტექსტში ინოვაციები გადამწყვეტ როლს ასრულებს, განსაკუთრებით მოსავლიანობის ზრდისა და რესურსების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

თანამედროვე პირობებში ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციები მოიცავს როგორც ტექნოლოგიურ განახლებებს (მაგალითად, ციფრული სოფლის მეურნეობა, სენსორული სისტემები, ავტომატიზაცია), ასევე ორგანიზაციულ და მენეჯერულ ცვლილებებს, მათ შორის

მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციასა და ბაზრებზე წვდომის ახალი ფორმების დანერგვას. სოფლის მეურნეობის სექტორის ინოვაციური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური პროგრესის, თანამედროვე მართვის მეთოდებისა და ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენებაზე. ფერმერულ მეურნეობებში, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება ორიენტირებულია პროდუქტიულობის ზრდაზე, რესურსების ოპტიმიზაციასა და გარემოსდაცვით მდგრადობაზე (დათუნაშვილი, 2022).

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციების დანერგვის როლის შესწავლა, მისი გავლენის შეფასება პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობაზე, ასევე იმ ძირითადი ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც აფერხებს ინოვაციური პროცესების განვითარებას აგროსექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (SME) ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ და მათი წილი ბიზნესსექტორში 99%-ს აღემატება, აღნიშნულ სეგმენტში ინოვაციური პროცესების დანერგვა ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა სტრუქტურულ, ფინანსურ და ინსტიტუციურ გამოწვევებთან. კერძოდ, შეზღუდული ფინანსური რესურსები, დაბალი ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი მნიშვნელოვნად აფერხებს ფერმერული მეურნეობების ინოვაციურ განვითარებას.

ფერმერები ხშირად ვერ სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მართვის ინოვაციური მეთოდებით, რაც ამცირებს მათ პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას. საქართველოში ფერმერული მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს, ხოლო ინოვაციური განვითარების მაჩვენებლები დაბალია. ასევე, ნაწილობრივ არის შესწავლილი ციფრიზაციის უპირატესობები, გამოწვევები და პერსპექტივები. ფერმერული მეურნეობების მცირე მასშტაბი და დაბალი პროდუქტიულობა კიდევ უფრო ამძაფრებს აღნიშნულ პრობლემას. კვლევების მიხედვით, ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციებისა და ციფრიზაციის პროცესების დანერგვა მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტიულობას (Kharaishvili et al., 2024). იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობა განვითარდება ინტენსიურად, ინოვაციური განვითარება შესაძლებელია არა მხოლოდ თანამედროვე აღჭურვილობის ტექნიკის გამოყენებით, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიების შესაბამისი დონის პერსონალით (ლაზარიაშვილი, 2024).

თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ ციფრული სოფლის მეურნეობა, ზუსტი ფერმერობა (precision agriculture), ავტომატიზაცია და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას და ამცირებს დანახარჯებს. თუმცა, განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ამ ტექნოლოგიების გავრცელება ჯერ კიდევ შეზღუდულია. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკისა და FAO-ს (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) კვლევები მიუთითებს, რომ მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციების დანერგვის ძირითადი ბარიერები მოიცავს ფინანსური რესურსების ნაკლებობას, დაბალ ციფრულ უნარებსა და სუსტ ინფრასტრუქტურას.

საქართველოში, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვა ჯერ კიდევ არ არის სრულად ინტეგრირებული ფერმერულ საქმიანობაში. ინოვაციური განვითარების დონე ძირითადად დამოკიდებულია ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ინსტიტუციური ფაქტორების ერთობლიობაზე. ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის ახალი ტექნოლოგიების ცოდნა და მათი პრაქტიკაში დანერგვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მცირე ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციები მიმართულია პროდუქტიულობის გაზრდის, ხარჯების შემცირებისა და მდგრადი განვითარებისკენ. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და ოჯახური მეურნეობებისთვის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, როგორიცაა

ფინანსური შეზღუდვები, ინფრასტრუქტურული პრობლემები და დაბალი ციფრული კომპეტენციები, ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები იკვეთება როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობისა და კერძო სექტორის აქტივობის შედეგად.

განვითარებულ ქვეყნებში ფერმერები აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, ავტომატიზებულ სისტემებს, დრონებს, სენსორებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღების მოდელებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტიულობას. ევროკავშირის და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, სუბსიდიები და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გადაცემის სისტემები მნიშვნელოვნად აჩქარებს ინოვაციების გავრცელებას ფერმერულ მეურნეობებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდა და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რაც ქმნის შესაძლებლობას როგორც მცირე, ისე მსხვილ მეურნეობებში რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და წარმოების მოცულობის ზრდისთვის. ზუსტი ფერმერობა, სენსორული ტექნოლოგიები, დრონები და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის სისტემები მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს ხარჯებს.

ინოვაციების წარმატებული დანერგვის მაგალითებს წარმოადგენს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი პრაქტიკა. მაგალითად, განვითარებული წვეთოვანი სარწყავი სისტემები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს წყლის გამოყენების ეფექტიანობას და ზრდის მოსავლიანობას. ნიდერლანდებში გავრცელებული „ჭკვიანი სათბურები“ (smart greenhouses) იყენებს ავტომატიზაციასა და სენსორულ ტექნოლოგიებს, რაც უზრუნველყოფს წარმოების ოპტიმიზაციას და ეფექტიანობის ზრდას ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და ფერმერების მხარდაჭერა მათი ათვისების პროცესში (Lazariashvili, 2024).

ამასთანავე, აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება. სუბსიდიების, გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების პროგრამები ხელს უწყობს ფერმერული მეურნეობების ტექნოლოგიურ მოდერნიზაციასა და ინოვაციების დანერგვას. მსოფლიო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება აგროსექტორის რობოტიზაციის პროცესი, მათ შორის თვითმავალი ტრაქტორები, ავტომატიზებული სათიბი სისტემები და დრონები. დრონები გამოიყენება მოსავლის მონიტორინგისთვის, შესხურებისა და ანალიზისთვის; ისინი უზრუნველყოფენ ქიმიური საშუალებების ზუსტ და თანაბარ განაწილებას, რაც ზრდის ეფექტიანობას და ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.

საქართველოშიც შეინიშნება მსგავსი ტენდენციები — თანამედროვე ფერმერული მეურნეობები აქტიურად ნერგავენ დრონების გამოყენებას მინდვრების მონიტორინგის, შესხურებისა და მოსავლის შეფასების მიზნით, ასევე ზუსტი სოფლის მეურნეობის (precision agriculture) ელემენტებსა და ციფრულ მონიტორინგის სისტემებს, რაც ზრდის პროდუქტიულობას და ამცირებს დანახარჯებს. აღნიშნული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ქიმიური საშუალებების მოხმარების შემცირებას, მოსავლიანობის ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში ინოვაციური ფერმერები სულ უფრო ხშირად იყენებენ GPS სისტემებს, სენსორებსა და ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის მინდვრების დეტალურ მონიტორინგს. საქართველოში მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები რეგიონების მიხედვით განსხვავებულად იყენებენ ინოვაციებს. კახეთის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში ფერმერები უფრო აქტიურად იყენებენ მექანიზაციას და ნაწილობრივ ციფრულ

ტექნოლოგიებს. ზოგიერთ კოოპერატივში გამოყენებულია სენსორებით აღჭურვილი სისტემები მორწყვისა და ნიადაგის დამუშავებისთვის, რაც მოსავლიანობას დაახლოებით 15–20%-ით ზრდის. მსგავსი პრაქტიკა ადასტურებს, რომ ინოვაციების დანერგვა პირდაპირ აისახება ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობასა და კონკურენტუნარიანობაზე. ინოვაციების დანერგვის დონე შედარებით დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც განპირობებულია ინფრასტრუქტურული პრობლემებით, ფინანსური შეზღუდვებითა და ტრადიციული მეურნეობის მეთოდების შენარჩუნებისკენ არსებული კულტურული მიდრეკილებით. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად ზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებასა და ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაციას.

საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO) და World Bank მიერ განხორციელებული პროექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოდნის გადაცემაში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაში (FAO, 2023; World Bank, 2025) . ამასთანავე, მნიშვნელოვან პერსპექტივად განიხილება აგრო-სტარტაპების განვითარება და კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა, რაც ქმნის შესაძლებლობას ინოვაციური ბიზნესმოდელების ჩამოყალიბებისა და ახალი ტექნოლოგიების უფრო სწრაფი დანერგვისათვის.

ინოვაციების ეფექტიანი დანერგვის მიზნით აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერა, მათ შორის წვდომა დაფინანსებაზე, ცოდნის გაზიარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება, განსაკუთრებით სუბსიდიებისა და გრანტების მექანიზმების გამოყენებით თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენისა და დანერგვის ხელშეწყობისთვის (Kharaishvili et al., 2024).

ასევე, მნიშვნელოვანია ფერმერების გადამზადება და მათი ცოდნის ამაღლება აგროტექნოლოგიებისა და ციფრული სოფლის მეურნეობის მიმართულებით. დამატებით, საჭიროა საკონსულტაციო და საინფორმაციო სერვისების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური პრაქტიკების ფართო გავრცელებას და მათ ეფექტიან ინტეგრაციას ფერმერულ საქმიანობაში. ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე: აუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, ხელს უწყობს თანამედროვე საწარმოების ფორმირებას, ზრდის კვალიფიკაციის დონეს და აუმჯობესებს მართვის სისტემებს (ლაზარიაშვილი, 2024). გარდა ამისა, განათლებისა და გადამზადების პროგრამების განვითარება ზრდის ფერმერების ციფრულ და მენეჯერულ უნარებს, რაც პირდაპირ აისახება ინოვაციების ათვისების დონეზე.

სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციური პროცესების მხარდაჭერაში, მათ შორის სუბსიდიებისა და გრანტების, საგადასახადო შეღავათების, სესხების გარანტიებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების გზით. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგიაც ითვალისწინებს ინოვაციური მიმართულებების განვითარებას, მათ შორის აგრარული ინოვაციების ჰაბების შექმნას, რომლებიც ხელს უწყობს ფერმერებსა და მკვლევრებს შორის თანამშრომლობას, ფერმერთა გადამზადებას და ცოდნის გაზიარებას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, n.d.).

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციების დანერგვა წარმოადგენს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ერთ ერთ მთავარ მიმართულებას. თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ციფრული სისტემების, ზუსტი ფერმერობისა და ავტომატიზაციის გამოყენება მნიშვნელოვნად

ზრდის წარმოების ეფექტიანობას, ამცირებს დანახარჯებს და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად არსებული პროგრესისა, საქართველოში ინოვაციების გავრცელება კვლავ შეზღუდულია და არათანაბრად მიმდინარეობს რეგიონების მიხედვით. განსაკუთრებით გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ფინანსური რესურსების სიმცირე, ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობა, ინფრასტრუქტურული შეზღუდვები და ციფრული უნარების დაბალი დონე. აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებს მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების სრულფასოვან ჩართვას ინოვაციურ პროცესებში.ამასთანავე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი განვითარების შესაძლებლობები. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა, ციფრული ტექნოლოგიების გავრცელება და აგროსტარტაპების განვითარება ქმნის ხელსაყრელ პირობებს სექტორის მოდერნიზაციისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცოდნის გადაცემის, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ფერმერების გადამზადების პროცესების გაძლიერება. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური განვითარების წარმატება დამოკიდებულია სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებულ თანამშრომლობაზე. მხოლოდ კომპლექსური და სისტემური მიდგომით იქნება შესაძლებელი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდა და აგრარული სექტორის მდგრადი განვითარება. მიზანშეწონილია აგროსტარტაპებისა და ინოვაციური ბიზნესმოდელების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას.

მიზანშეწონილია მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სუბსიდიების, გრანტებისა და შეღავათიანი აგროკრედიტების გაფართოების გზით. აუცილებელია ფერმერთა განათლებისა და გადამზადების პროგრამების განვითარება, განსაკუთრებით ციფრული სოფლის მეურნეობისა და თანამედროვე აგროტექნოლოგიების მიმართულებით. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და მისი ადაპტაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის სპეციფიკასთან. საჭიროა აგროკონსულტაციისა და საინფორმაციო სერვისების გაძლიერება, რათა ფერმერებს ჰქონდეთ დროული და პრაქტიკული ინფორმაცია ინოვაციების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი, ლ. (2022). ახალი ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარების ასპექტები მემცენარეობაში (მსოფლიო გამოცდილება), ISBN 978-9941-36-049-7. https://www.researchgate.net/publication/367046151_akhali_teknologiebis_inovatsiuri_ganvitarebis_aspektebi_memtsenareobashi_msoplio_gamotsdileba

2. ლაზარიაშვილი, თ. (2024). „ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებისაქართველოს სოფლის მეურნეობაში“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენ-ცია „თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებასა და ინოვაციებში“, 22-23 ივნისი

3. ლაზარიავილი, თ. (2025). ინოვაციური განვითარების ასპექტები სოფლის მეურნეობაში. *მეცნიერება და ინოვაცია,* 4(1), 414-420. https://doi.org/10.52340/scai

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (n.d.). საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

5. FAO (2023). *Digital excellence in agriculture report.* https://www.fao.org/family-farming/detail/en/c/1647498/

6. Kharaishvili, E., & Aduashvili, L. (2023). Digital Agricultural Development Trends in Georgia. *Proceedingsof 4th International Scientific Student Conference «Management: Challenges and Prospects»,* 72-74. DOI: 10.35668/978-966-926-466-4

7. Kharaishvili, E., Gechbaia, B., Tsiklashvili, N., Katamadze G. (2024). Digital transformation of the agricultural sector and its impact on productivity in Georgia. *BIO WebConf. 114,* 2024 International Conference on Agricultural, Biodiversity and Environmental Economics, Faculty of Economics at Trakia University, Stara Zagora, Republic of Bulgaria, June 13. ICABEE 2024. https://doi.org/10.1051/bioconf/202411401002

8. Kharaishvili, E., Natsvlishvili, I., & Lazariashvili, T. (2024). Digitalization of Georgia's agro-food industry: challenges and opportunities for sustainable development. *4th annual International Scientific-Practical Conference "Digital Management and Artificial Intelligence",* 10-11 October, Cologne, Germany, https://doi.org/10.1007/978-3-031-88052-0_18

9. Lazariashvili, T. (2024). The Role of Digital Agriculture in the Development of Sustainable Agriculture. *SIMM-2024,* Kyiv, Ukraine

10. World Bank (2025). *West Bank and Gaza: Integrated Social Protection and Health Services Project (P508004).* https://documents1.worldbank.org/curated/en/099053025063021993/pdf/P508004-f943a09b-c45f-4c93-b554-9dd1decd1e7c.pdf

საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების პრობლემები მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში

Problems of the Development of Public Relations in the Conditions of Digital Transformation of Marketing

მარინე კობალავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Marine Kobalava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სისტემის განვითარების ძირითადი გამოწვევები მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში. კვლევის მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ ცვლის ციფრული ტექნოლოგიები PR-ის ფუნქციურ როლს და რა სტრუქტურული, მენეჯერული და სტრატეგიული პრობლემები წარმოიქმნება ამ პროცესში.

კვლევა ეფუძნება შერეულ დიზაინს, რომელიც აერთიანებს ლიტერატურის მიმოხილვასა და თვისებრივ კვლევას - ექსპერტთა ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუებს. თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ციფრული მარკეტინგის, სტრატეგიული კომუნიკაციისა და რეპუტაციის მართვის თანამედროვე მიდგომებს. ემპირიული მონაცემები გაანალიზდა თემატური ანალიზის მეთოდით, რის საფუძველზეც გამოვლინდა ძირითადი გამოწვევები და ტენდენციები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად ცვლის PR-ის ბუნებას და გარდაქმნის მას მონაცემებზე დაფუძნებულ, რეალურ დროში მოქმედ კომუნიკაციისა და რეპუტაციის მართვის სისტემად. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, მათ შორის მონაცემთა ანალიტიკის არასაკმარისი გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, PR სპეციალისტების ციფრული კომპეტენციების დეფიციტი, PR-სა და მარკეტინგს შორის ფუნქციური ფრაგმენტაცია და კრიზისული კომუნიკაციის რეაქტიული ხასიათი.

ამავდროულად, კვლევამ გამოავლინა განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ინტეგრაცია, ეფექტიანი კომუნიკაციის მოდელების დანერგვა და მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიული PR სისტემების გაძლიერება. შედეგები ადასტურებს, რომ თანამედროვე PR სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია ტექნოლოგიური, ადამიანური და ორგანიზაციული ფაქტორების სინქრონიზაციაზე.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, ციფრული ტრანსფორმაცია, მარკეტინგი, სტრატეგიული კომუნიკაცია.

Abstract. The article discusses the main challenges of the development of the Public Relations (PR) system in the conditions of the digital transformation of marketing. The aim of the research is to analyze how digital technologies change the functional role of PR and what structural, managerial, and strategic problems arise in this process.

The study is based on a mixed design, which combines a literature review and qualitative research—semi-structured interviews with experts. The theoretical framework is based on modern approaches to digital marketing, strategic communication, and reputation management. The empirical data were analyzed using the thematic analysis method, on the basis of which the main challenges and trends were identified.

The results of the research showed that digital transformation significantly changes the nature of PR and transforms it into a data-driven, real-time communication and reputation management system. Nevertheless, several important challenges were identified, including insufficient use of data analytics in the decision-making process, a lack of digital competencies among PR specialists, functional fragmentation between PR and marketing, and the reactive nature of crisis communication.

At the same time, the study revealed important development opportunities, such as the integration of artificial intelligence tools, the implementation of effective communication models, and the strengthening of data-driven strategic PR systems. The results confirm that the effectiveness of modern PR systems depends on the synchronization of technological, human, and organizational factors.

Keywords: Public Relations, Digital Transformation, Marketing, Strategic Communication.

შესავალი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა თანამედროვე ორგანიზაციებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბრენდის იმიჯის შექმნაში, მომხმარებელთან კომუნიკაციასა და ბიზნესის საერთო სტრატეგიულ მიზნებში. ბოლო წლებში, მარკეტინგისა და კომუნიკაციების სფერო მნიშვნელოვანი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესშია. სოციალური მედიის, მონაცემთა ანალიზის, ავტომატიზებული კომუნიკაციური პლატფორმებისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გავრცელებამ შეცვალა ორგანიზაციების შესაძლებლობები მომხმარებელთან ეფექტიანი, სწრაფი და პერსონალიზებული კომუნიკაციის განხორციელებაში. ამავე დროს, ციფრული ტრანსფორმაცია ქმნის გამოწვევებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისთვის, მათ შორის ინტეგრირებული კომუნიკაციების სტრატეგიის განსავითარებლად, რესურსების ეფექტიანი მართვისა და კონტენტის მუდმივი ოპტიმიზაციისთვის.

გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, ქართული კომპანიები კვლავ აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ტექნოლოგიურ მზადყოფნას, ასევე, სპეციალისტთა კვალიფიკაციასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კვლევების განხორციელება ციფრული მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის განვითარების პრობლემების გამოსავლენას. კვლევის შედეგები საშუალებას მისცემს კომპანიებს უკეთ გაუმკლავდნენ თანამედროვე გამოწვევებს და აიმაღლონ კონკურენტული უპირატესობები.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების ძირითადი პრობლემების იდენთიფიკაცია საქართველოს კომპანიებში მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევების განსაზღვრა, რესურსული საჭიროებებისა და განვითარების

პერსპექტივების დადგენა, რათა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისთვის შეთავაზებული იქნეს პრაქტიკული რეკომენდაციები ეფექტიანი კომუნიკაციური სტრატეგიების ფორმირებისთვის.

კვლევის მეთოდები

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია აერთიანებს თვისებრივ **(ექსპერტთა ინტერვიუები)** და თეორიულ-ანალიტიკურ მიდგომებს. შესაბამისად გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული კვლევის, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციური, შედარების, ექსპერტებთან ინტერვიუებისა და სხვა მეთოდი.

ბიბლიოგრაფიული კვლევით გაანალიზებულია აკადემიური წყაროები საზოგადოებასთან ურთიერთობის, ციფრული მარკეტინგის, რეპუტაციის მართვისა და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკოსებთან, ციფრული მარკეტინგის სპეციალისტებთან და აკადემიური სფეროს წარმოამდგენლებთან ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები. ინტერვიუების მიზანი იყო პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიების ფართო ინტეგრაცია კომუნიკაციებში მნიშვნელოვნად გარდაქმნის საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) პრაქტიკას და სტრატეგიულ კომპონენტებს. ციფრული საშუალებები, როგორიცაა სოციალური მედია, ონლაინ პლატფორმები და მონაცემთა ანალიტიკა, ახალ შესაძლელობებს ქმნის კომპანიების განვითარებაში, ბრენდის სარისკო სიტუაციების ეფექტიან მართვასა და მომხმარებელთან უწყვეტი კომუნიკაციის პროცესში (An, 2024). საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესმა პროფესიული მოთხოვნები მნიშვნელოვნად შეცვალა. ეს ცვლილებები მკაფიოდ აისახება გადაწყვეტილებებზე.

მეცნიერები სხვადასხვა კუთხით იკვლევენ ციფრული ტრანსფორმაციის საზოგადოებასთან ურთიერთობებზე გავლენის საკითხებს. ამ მხრივ, შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი მიმართულება:

- **სტრატეგიული კომუნიკაციის პროაქტიული მართვა. ამ მიმართულებას** ახასიათებს ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და აუდიტორიის ჩართულობის გაზრდა;
- **დამოუკიდებელი მომხმარებლისა და საზოგადოების მართვა,** რომელიც მოითხოვს მუდმივ მონიტორინგსა და შერეულ ანალიტიკურ მიდგომას;
- **ობიექტური და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება** - ციფრული სივრცე ხშირად მოითხოვს სწრაფ რეაგირებას და სათანადო ეთიკურ მართვას (მაგ., კრიზისული კომუნიკაცია).

10.საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მეცნიერთა ნაშრომები ციფრული მარკეტინგისა და PR–ის შერეული მოდელების შესახებ (Putri, 2025). ციფრული მარკეტინგი, რომელიც მოიცავს ონლაინ რეკლამასა და კონტენტის შექმნას, მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებთან, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება აუდიტორიის ჩართულობას და ურთიერთობის მართვას. კვლევები აჩვენებს, რომ ციფრული მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტეგრირება არა მხოლოდ ზრდის ბრენდის მოლოდინებს, არამედ აძლიერებს აუდიტორიის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებას სტრატეგიული სტანდარტების მიხედვით (Saad, S., & Ahmad, J. 2025).

თანამედროვე კვლევები ცხადყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობის ევოლუციურ და დინამიკურ ტრანსფორმაციას (Verčič, D., et al. 2024). ორგანიზაციები ცდილობენ ერთდროულად

გაუმკლავდნენ, როგორც ზედაპირულ კომუნიკაციურ მოთხოვნებს, ასევე, ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებიდან გამომდინარე ბევრად რთული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას (მაგალითად, დიდ მონაცემთა ანალიზი კომუნიკაციაში).

11.სამეცნიერო ნაშრომების ერთი ჯგუფი ვრცლად განიხილავს საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოწვევებსა და ტექნოლოგიურ უთანასწორობას მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში (Verčič, D., et al. (2023).

მიუხედავად ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობისა, კვლევები მიუთითებს მრავალ გამოწვევაზე, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია (Digital transformation and marketing: a systematic and thematic literature review, 2023):

- **ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და რესურსების შეზღუდულობა** - ბევრი კომპანია ვერ ახერხებს სრულად შეიგრძნოს ტექნოლოგიური გამოწვევების პოტენციალი და დააკმაყოფილოს ციფრული სტანდარტების დონე;
- **კვალიფიკაციისა და უნარ–ჩვევების დაბალი დონე** - ციფრული უნარ-ჩვევების დეფიციტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პროცესში;
- **სამართლებრივი და ეთიკური საკითხები** - სწრაფი გადაწყვეტილებები სოციალური მედიიას და მონაცემთა გამოყენებაში ხშირად იწვევს ეთიკური დილემების გაჩენას. ბუნდოვანი და არასრულყოფილია სამართლებრივი ბაზაც.

12.საინტერესო კვლევები იკვეთება საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების საკითხებზე მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მეწარმეობისა და რეგიონული პერსპექტივის გათვალისწინებით (Digital PR and communication with B2B enterprises in the digital era, 2023).

საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის ტენდენციები ძირითადად ემთხვევა საერთაშორისო ტენდენციებს, კერძოდ, სოციალური მედიისა და ონლაინ პლატფორმის გამოყენება აქტიურად ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებში (საზოგადოებასთან ურთიერთობა ციფრულ ეპოქაში, 2025). რაც შეეხება ბრენდის ცნობადობას, აუდიტორიის ჩართულობას და კრიზისული კომუნიკაციის მართვას ამ საკითხებში თანხვედრა ნაკლებია. ამასთან, კვლევები ხაზს უსვამს, რომ საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიების გრძელვადიან განვითარებაზე დაკვირვებას და დამატებითი კვლევას საჭიროებას. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, არამედ ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით ოპტიმალურ კომუნიკაციურ მიდგომებს.

კვლევის შედეგები და ანალიზი

მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური ადაპტაციის ხარისხზე, ორგანიზაციულ მოქნილობასა და კომუნიკაციის სტრატეგიულ ინტეგრაციაზე. ემპირიული და თეორიული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ციფრული არხების სწრაფმა გაფართოებამ შეცვალა საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრადიციული ფუნქცია და ის უფრო მეტად გადააქცია **ინტერაქტიულ, მონაცემებზე დაფუძნებულ და რეალურ დროში მართვად სისტემად**. სოციალური მედიის პლატფორმები, ონლაინ მედია, კონტენტ-მარკეტინგი და ინფლუენსერული

კომუნიკაცია გახდა რეპუტაციის მართვის ძირითადი ინსტრუმენტი. შედეგად, ორგანიზაციებისთვის გაიზარდა საჭიროება, რომ მოხდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ინტეგრირება ციფრულ მარკეტინგულ ეკოსისტემაში.

ისიც აღსანიშნავია, რომ **მონაცემთა ანალიტიკის არასაკმარისი გამოყენება** საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კვლავ რჩება განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული პლატფორმები იძლევა აუდიტორიის ქცევის, ჩართულობისა და უკუკავშირის დეტალური მონიტორინგის შესაძლებლობას, ბევრ ორგანიზაციაში ეს მონაცემები არ გარდაიქმნება სტრატეგიულ გადაწყვეტილებებად. აღნიშნული ფაქტორი ამცირებს კამპანიების ეფექტიანობას და ართულებს რეპუტაციული რისკების დროულ მართვას.

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ერთ-ერთი კრიტიკული გამოწვევა საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემაში არის **ადამიანური კაპიტალის კომპეტენციების დეფიციტი.** თანამედროვე ეტაპზე სპეციალისტებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ საკომუნიკაციო უნარები, არამედ ციფრული ინსტრუმენტებისა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ანალიტიკური პლატფორმების გამოყენების ცოდნა. შესაბამისად, პროფესიული განვითარების და უწყვეტი გადამზადების საჭიროება ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად ყალიბდება.

მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში გამოვლინდა ტენდენცია - **ორგანიზაციული სანდოობისა და აუდიტორიის ნდობის ტრანსფორმაციის საჭიროება.** ციფრულ გარემოში ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე ზრდის როგორც პოზიტიური რეპუტაციის ფორმირების, ისე კრიზისის სწრაფი ესკალაციის რისკს. ამიტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება გამჭვირვალობით, სწრაფი რეაგირებითა და პერსონალიზებული კომუნიკაციით.

მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემების გამოსავლენად და კვლევის ანალიტიკური სიღრმის გასაძლიერებლად ჩატარდა თვისებრივი კვლევა **ექსპერტთა ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუების გამოყენებით.** ინტერვიუებში მონაწილეობდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები, ციფრული მარკეტინგის სპეციალისტები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, რომელთაც პრაქტიკული გამოცდილება აქვთ ორგანიზაციული კომუნიკაციის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებებით გამოიკვეთა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მთავარი პრობლემა არის **სტრატეგიული და ოპერაციული დონეების შეუსაბამობა.** უმრავლესობის აზრით, ორგანიზაციებში ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები ხშირად გამოიყენება კამპანიური ეფექტიანობისთვის, მაშინ როდესაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქცია საჭიროებს გრძელვადიან რეპუტაციულ მართვას. ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგების დაჯგუფების საფუძველზე საფუძველზე გამოიყო რამდენიმე სხვა პრობლემებიც:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებში დაბალია ანალიტიკური კომპეტენციები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და მარკეტინგი ცალ-ცალკე სისტემის სახით ფუნქციონირებს;
- ონლაინ კრიზისებზე დაგვიანებული რეაგირება ხდება;
- ავტომატიზაცია ფრაგმენტულია.

დასახელებული პრობლემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორებიცაა:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგ კურსების მიწოდება;
- ერთიანი კომუნიკაციის ცენტრის შექმნა;
- სოციალური ქსელების სისტემების გაძლიერება და ეფექტიანი გამოყენება;
- ანალიზისა და შეფასების პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება.

ექსპერტებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ *ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საზოგადოებასთან ურთიერთობა აღარ არის მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება; ის გადაიქცა ნდობის რეალურ დროში მართვის სისტემად.* ეს შეფასება კარგად ეხმიანება თეორიულ ნაწილში განხილულ კონცეფციებს და ადასტურებს მოსაზრებას, რომ ციფრული მარკეტინგის პირობებში *საზოგადოებასთან ურთიერთობის* წარმატება განისაზღვრება მონაცემთა ინტეგრაციითა და სწრაფი უკუკავშირის მექანიზმებით.

ექსპერტების ინტერვიუების საფუძველზე არსებული მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ *საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის* განვითარების პრობლემები ძირითადად სამ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ:

1. **ტექნოლოგიური** - ციფრული პლატფორმებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების არასრული ინტეგრაცია;
2. **მენეჯერული** - *საზოგადოებასთან ურთიერთობისა* და მარკეტინგის ფუნქციების არასაკმარისი კოორდინაცია;
3. **სტრატეგიული** - გრძელვადიანი ციფრული რეპუტაციის მართვის მოდელის არარსებობა.

ამგვარად, მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მთავარი გამოწვევა არის **ტექნოლოგიური, ადამიანური და სტრატეგიული კომპონენტების სინქრონიზაცია.**

შედეგად, *საზოგადოებასთან ურთიერთობის* სისტემის ეფექტიანი განვითარება ციფრული მარკეტინგის პირობებში მოითხოვს:

- მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს;
- ინტეგრირებულ კომუნიკაციურ სტრუქტურას;
- ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ინსტრუმენტების გამოყენებას;
- პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარებას;
- რეპუტაციული რისკების მართვას.

13. დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მარკეტინგის ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად ცვლის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციურ და სტრატეგიულ როლს. საზოგადოებასთან ურთიერთობა აღარ წარმოადგენს მხოლოდ საინფორმაციო კომუნიკაციის მექანიზმს და ის გარდაიქმნება მონაცემებზე დაფუძნებულ, რეალურ დროში მოქმედ რეპუტაციის მართვის სისტემად. დადგინდა, რომ ძირითადი გამოწვევებია: ციფრული კომპეტენციების დეფიციტი; მონაცემთა ანალიტიკის არასაკმარისი გამოყენება; PR და მარკეტინგის ფუნქციური ფრაგმენტაცია; კრიზისების არაეფექტიანი მართვა. ამავდროულად, კვლევამ გამოავლინა საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ინტეგრაციის აუცილებლობა, თანამედროვე კომუნიკაციის მოდელების დანერგვის საჭიროება და მონაცემებზე დაფუძნებული სტრატეგიული PR სისტემების ჩამოყალიბება.

ამრიგად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის მდგრადი განვითარება ციფრული მარკეტინგის პირობებში დამოკიდებულია ტექნოლოგიური, ადამიანური და ორგანიზაციული ფაქტორების ერთიან სინქრონიზაციაზე, რაც წარმოადგენს თანამედროვე კომუნიკაციური მენეჯმენტის მთავარ გამოწვევას და ამავდროულად განვითარების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობა ციფრულ ეპოქაში (2025). *საზოგადოებასთან ურთიერთობა ციფრულ ეპოქაში: ონლაინ პლატფორმების როლი საქართველოში.* Ilia State University ePrints.

2. Benchmarking to Improve the Characteristics of the Higher Educational Process (On the Example of Georgia) (2025). IRES-ICESSROME-200525-32394 - International Journal of Management and Applied Science (IJMAS).

3. An, R. (2024). *The role of digital media in shaping public relations: Developing successful online communication strategies for enterprises*. Journal of Advances in Humanities Research, 3(3), 51–68.

4. Modern trends in conflict management in the field of public relations (2024). 7th International Scientific Conference Ukraine.

5. Digital PR and communication with B2B enterprises in the digital era (2023). *Digital PR and Communication with B2B Enterprises in the Digital Era*, PMC.

6. Digital transformation and marketing: a systematic and thematic literature review (2023). *Digital transformation and marketing: A systematic and thematic literature review*. Italian Journal of Marketing.

7. Putri, D. (2025). *Digital marketing and public relations: A way to promote public relations value* [Unpublished manuscript].

8. Saad, S., & Ahmad, J. (2025). *The digital shift in public relations: A systematic review of social media, brand management, crisis communication*. International Journal of Academic Research in Business and Social Sciences.

9. Verčič, D., et al. (2024). *The evolution of digital public relations research*. Public Relations Review, 50(5), 102505.

10. Verčič, D., et al. (2023). *Digitalization in public relations - Changing competences: A longitudinal analysis of skills required in PR job ads*. Public Relations Review, 49(1), 102283.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე
The impact of corporate social responsibility on business development

ნინო დამენია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Nino Damenia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების ფონზე კომპანიების ისეთი ფუნქციონირება და განვითარებისკენ სწრაფვა რომლებიც არა მხოლოდ ფინანსურ შედეგებზე, არამედ საზოგადოებისა და გარემოსადმი პასუხისმგებლობაზე იქნება ორიენტირებული. სწორედ ამ ტენდენციის ფარგლებში გაანალიზებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კონცეფცია, რომელიც დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში აუმჯობესებს ბიზნესის იმიჯს, ზრდის მომხმარებელთა ნდობას და ხელს უწყობს მის განვითარებას, რათა ბიზნესი წარიმართოს არა მხოლოდ კანონებისა და სტანდარტების დაცვით, არამედ ზნეობრივი და ეთიკური ფასეულობების გათვალისწინებით.

საქართველოში CSR-ზე ყურადღება ბოლო წლებში იზრდება, თუმცა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, ამიტომ სტატიაში გაანალიზებული და შეფასებულია როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნების გამოცდილება. კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოდგენილი რეკომენდაციები საშუალებას მისცემს ბიზნესს არა მხოლოდ დააკმაყოფილოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, არამედ რეალურად ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას, სოციალური სამართლიანობის განმტკიცებას, მის ეფექტიანობასა და საზოგადოების საერთო კეთილდღეობას.

საკვანძო სიტყვები: CSR; CSR-ის გლობალური სტანდარტები; ბიზნესი

Abstract. The article discusses the functioning and development of companies against the backdrop of economic, social and ecological challenges that will be focused not only on financial results, but also on responsibility to society and the environment. It is within the framework of this trend that the concept of corporate social responsibility (CSR) is analyzed, which in today's rapidly changing world improves the image of business, increases consumer trust and promotes its development, so that business is conducted not only in compliance with laws and standards, but also taking into account moral and ethical values.

In Georgia, attention to CSR has been growing in recent years, although it is still in the process of development, therefore the article analyzes and evaluates the experience of both European and Asian countries. The recommendations presented based on the research results will allow business not only to satisfy its own economic interests, but also to actually contribute to sustainable development, strengthening social justice, its effectiveness and the general well-being of society.

Keywords: CSR; Global CSR Standards; Business

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) თანამედროვე ბიზნესის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. იგი განიხილება, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც არა მხოლოდ ბიზნესის მდგრად განვითარებას ემსახურება, არამედ ზრდის სამომხმარებლო ნდობას, თანამშრომლების მოტივაციას, ინვესტორთა ინტერესების დაცვასა და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას.

სოციალური პასუხისმგებლობა თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიის ფუნდამენტურ კომპონენტად იქცა, სადაც ყველა აღიარებს საზოგადოებისა და გარემოს განვითარებაში დადებითი წვლილის შეტანის აუცილებლობას. თანამედროვე ბიზნესი ფუნქციონირებს გარემოში, სადაც მომხმარებლები, პარტნიორები და ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეთიკურ ქცევას, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასა და საზოგადოებაზე ზრუნვას. მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ინოვაციისა და კრეატიულობის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, ის გვთავაზობს ინიციატივებს, რომლებიც

მხარს უჭერს თანამშრომლების კეთილდღეობას, როგორიცაა მოქნილი სამუშაო დრო, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და კარიერული განვითარების პროგრამები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: გარემოსდაცვითი მდგრადობა - ენერგიის დაზოგვა, ნარჩენების გადამუშავება, ნახშირბადოვანი ტვირთის შემცირება; სოციალური ინკლუზია და მრავალფეროვნება - განსხვავებული კულტურებისა და სოციალური ჯგუფების ინტეგრაცია სამუშაო სივრცეში; თანამშრომელთა კეთილდღეობა - უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, კარიერული ზრდის ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ინვესტიციები - განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური პროექტების მხარდაჭერა[456].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური სტანდარტები ადგენს ზოგად ჩარჩოს და მიმართულებებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ბიზნესმა. ეს სტანდარტები დაფუძნებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის პრინციპებზე. მთავარ სტანდარტებს მოიცავს [8]:

1. ISO 26000 - ნებაყოფლობითი სტანდარტი, რომელიც ეხმარება კომპანიებს აიღონ პასუხისმგებლობა გარემოზე, თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და მთლიანად საზოგადოებაზე. ISO 26000 სერტიფიცირებადი სტანდარტია, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო მითითებებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შესახებ.

2. UN Global Compact (გაეროს გლობალური შეთანხმება) - გაეროს ინიციატივაა და მასში მსოფლიოს ათასობით კომპანიაა გაწევრიანებული, იგი მოიცავს 10 უნივერსალურ პრინციპს, რომლებიც დაყოფილია ოთხ კატეგორიად: ადამიანის უფლებები; შრომითი სტანდარტები; გარემოს დაცვა; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა [21].

3. OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) - გვთავაზობს რეკომენდაციებს მულტინაციონალური ბიზნესისთვის და მოუწოდებს მათ გაითვალისწინონ ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო ეთიკა [20].

4. GRI (Global Reporting Initiative) – ანგარიშგების სტანდარტი, რომელიც კომპანიებს ეხმარება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების შედეგების ანგარიშგებაში.

ქართული ბიზნეს სექტორი უფრო მეტად გახსნილი ხდება გლობალური ტენდენციებისა და სიახლეებისათვის. მიუხედავად ამისა CSR-თან დაკავშირებული დღევანდელი რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისგან. ის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა აქტიურად იკიდებს ფეხს ქართულ ბიზნეს სექტორში.

თანამედროვე ბიზნეს სექტორი ცდილობს არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციას, არამედ საზოგადოებისა და გარემოს წინაშე პასუხისმგებლობის აღებას. საქართველოში მისი როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და პირდაპირ გავლენას ახდენს მსხვილი ფირმების საქმიანობაზე. საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი CSRDG-ის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით ქართულ ბიზნესში ყველაზე დიდი ყურადღება თანამშრომლებისა და საზოგადოების კეთილდღეობას ეთმობა (40%), შემდეგია ეკონომიკა (30%) და ეკოლოგია (30%), ეთიკური ქმედებები კი შედარებით ნაკლებად არის მიღებული (10%).

CSR ქართული ბიზნესისთვის თანდათან ხდება განუყოფელი ნაწილი. ბიზნესი, რომელიც წარმატებით ნერგავს ამ პოლიტიკას, იმსახურებს საზოგადოების მხარდაჭერას და ქმნის საფუძველს გრძელვადიანი განვითარებისთვის.

[456] Corporate Social Responsibility in modern business, sustainability in business

სასტუმროს „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი” კარგად აქვს გააზრებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი. იგი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას ალდაგი ბისიაის აბსოლუტ-პაკეტის 90%-იანი თანადაფინანსებით, ერთჯერად კვებას სამუშაო დღის 8-საათიანი ცვლის განმავლობაში და ტრანსპორტს ღამისა და დილის საათებში. სასტუმრომ მნიშვნელოვანი ხარჯები გაიღო CSR -ის დასანერგად. ამ ხარჯებმა დაახლოებით 480 000 ლარი შეადგინა, რომელთაგან მნიშვნელოვანია: თანამშრომლების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (39.8%), ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება (3.9%), სოციალური და ეკოლოგიური პროექტები (1.4%).

სს „ელიტ ელექტრონიქსის” ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, რისთვისაც კომპანიას ყოველწლიურად საშუალოდ 48 000 ლარი აქვს გამოყოფილი. კვარტალში ერთხელ კომპანიის თანამშრომლები გადიან სხვადასხვა სახის ტრენინგს, კვალიფიკაციის დონის ასამაღლებელ კურსებს. ის ასევე ყოველწლიურად მონაწილეობს პროექტ „დედამიწის საათში” და პარტნიორ კომპანიებთან ერთად ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებას. ბიზნესს დაფინანსებული აქვს პროექტები: მიუსაფარი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარება, სიმსივნით დაავადებული მოზარდების დახმარება, სოციალურად დაუცველ პირთათვის ოჯახური პირობების გაუმჯობესება.

სს თელასი (Telasi) - ენერგო სექტორში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ამზადებს ინფრასტრუქტურულ და სოციალური დახმარების პროექტებს, კერძოდ, ენერგოეფექტურობაში იგულისხმება მოსახლეობის ინფორმირება და წახალისება ენერგიის დაზოგვით. ასევე სოციალურ მხარდაჭერაში დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის სპეციალური ტარიფების და ვაუჩერების სისტემა მოქმედებს, ხოლო საგანმანათლებლო პროექტებით ის სკოლებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს ენერგიის მართვის თემაზე [24].

სს თიბისი ბანკი (TBC Bank), მსხილი ფინანსური ბიზნეს სექტორი საქართველოში, ერთ-ერთი ლიდერია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით [25]. იგი სისტემატურად ახორციელებს სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებს. ბანკი თავისი არსებობის 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის უჭერდა მხარს განათლების ხელმისაწვდომობას, იქნება ეს სასტიპენდიო პროგრამები, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კონკურსები თუ ტრენინგები ბიზნესებისთვის. თიბისის სტიპენდიატების პროგრამაში, რომელიც 2019 წლიდან მოქმედებს, წელიწადში 200 სკოლის ასაკის ნიჭიერი ბავშვია ჩართული [22]. ეკოლოგის მხრივ ბანკი ახორციელებს ხეების დარგვის კამპანიებს და ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიური საკითხების შესახებ, ხოლო ხელოვნებასა და კულტურაში TBC Gallery-ის და პლატფორმა "მიდი არტზე" მეშვეობით მხარს უჭერს თანამედროვე ხელოვნებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკი ერთ-ერთია იმ მცირე კომპანიათაგან, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშს. აღსანიშნავია ისიც, რომ თიბისი ბანკმა 2024 წელს მიიღო ჯილდო კატეგორიაში -„გამჭირვალობა და ანგარიშგება კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე“, რომელიც 2022 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშისთვის გადაეცა.

სს საქართველოს ბანკი, ასევე ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელია ფინანსურ სექტორში, რომელიც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მიიჩნევს მისი სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად და განვითარებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად. მისი ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარება, რომელიც ეხმარება სტარტაპებს განვითარებასა

და საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში. განათლების მხრივ ბანკი თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან, ახორციელებს სასტიპენდიო პროგრამებისა და ტრენინგკურსების დაფინანსებას. ასევე საქართველოს ბანკი მხარს უჭერს ადამიანებს, დაიჯერონ თავიანთი შესაძლებლობები და მოახდინონ მათი რეალიზება. სწორედ მათი სიტყვებია „არ გაჩერდე“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბანკი ახორციელებს ,,მწვანე ეკონომიკას“ [26], რომელიც დღეს ძალიან მნიშვნელოანია გარემოს დაცვის, ხელშეწყობისა და მომავალში, რა თქმა უნდა, მისი განვითარების კუთხით. მხოლოდ 2024 წელს, საქართველოს ბანკის მასშტაბით 83 ტონაზე მეტი ქაღალდი, 3 ტონაზე მეტი პლასტმასი და 6 ტონაზე მეტი ელემენტი გადამუშავდა. გარემოზე ზემოქმედების კვალის შემცირების მიზნით კი ის თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა „ტენე“ და „wasteless“. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნეს საქმიანობაში პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ბოლნისის რაიონს და იქ სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელებას. გასული წლის განმავლობაში კომპანიამ ფინანსური დახმარება გაუწია ასოციაციებს, მოხუცთა თავშესაფარს. კომპანია აქტიურ დახმარებას უწევს საქველმოქმედო ფონდ „იავნანას”. კომპანიას დაწესებული აქვს განსაკუთრებული სტიპენდია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის. RMG Metals Group-მა დააფინანსა რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო კონცერტი და ქართული შემოქმედებითი საღამო. თანამშრომლებს ასევე აქვთ სიცოცხლისა და უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომის უუნარობის დაზღვევა ბარათის შესაბამისად. სადაზღვევო ბარათის ღირებულებას მთლიანად კომპანია იხდის. გარდა ამისა, ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა თავისი სადაზღვევო პაკეტის ანალოგიური პირობებით დააზღვიოს საკუთარი ოჯახის წევრები.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარებადია, თუმცა უკვე შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენციები. ჩვენს მიერ განხილული მაგალითები კარგად აღწერს, თუ რა გავლენა აქვს CSR - ის დანერგვას ქართულ ბიზნესში. ნათლად გამოჩნდა, რომ თითოეული ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება და თავიანთ საქმიანობაში დანერგვა, რაც გააძლიერებს და განავითარებს მათ საქმიანობას კონკურენტულ, თანამედროვე, სწრაფად ცვალებად გარემოში. ეს მიდგომები ბიზნესს გრძელვადიან პერსპექტივაში აყალიბებს მიმზიდველ, პასუხისმგებელ და სანდო ბრენდებად საზოგადოების თვალში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ის ხელს უწყობს მდგრადი განვითარების, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში. გარდა ამისა, ის მითითებულია, ბაზრების ზრდის, ინოვაციის შესაძლებლობებისა და განვითარების საშუალებად [14]. ევროპულ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: გარემოსდაცვით სტანდარტებს; შრომითი უფლებებისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას; დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივ დიალოგს.

ევროპის მსხვილი ბიზნესი სულ უფრო მეტად ცდილობს არა მხოლოდ ეკონომიკური მოგების მიღწევას, არამედ სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობების დაკმაყოფილებას. ახორციელებენ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვას, ეთიკურ საქმიანობას და ადგილობრივი საზოგადოებების მხარდაჭერას.

საფრანგეთში L’Oréal - წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს კოსმეტიკურ მსხვილ ბიზნესს, რომელიც ფართოდ არის აღიარებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი

ერთგულებით, რაც ღრმად არის ინტეგრირებული მის ბიზნეს მოდელში [27]. ფირმას აქვს ყოვლისმომცველი მდგრადი განვითარების პროგრამა სახელწოდებით „ლორეალი მომავლისთვის“, რომელიც ასახავს მის მიზნებსა და პროგრესს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეთიკური ასპექტების მიხედვით. 2023 წლისთვის ბიზნესი გახდა ნახშირბადზე ნეიტრალური. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მას აქვს აღიარება და ჯილდოებიც, კერძოდ, ,,ეთისფერის ისნტიტუტის” მიერ დასახელებულია ერთ-ერთ ყველაზე ეთიკურ ბიზნესად მსოფლიოში. ,,Carbon Disclosure Project” რეიტინგში მაღალი ქულებით შეფასდა და ,,Equileap”-ის გენდერული თანასწორობის რეიტინგებში ლიდერ პოზიციებზეა.

ერთ-ერთი წარმატებული შვედური ბიზნესი IKEA, რომელიც აწარმოებს ავეჯსა და საყოფაცხოვრებო პროდუქტებს, აქტიურად იყენებს CSR პრაქტიკას, როგორც სტრატეგიულ ინსტრუმენტს. მისი პრაქტიკა დაფუძნებულია ხედვაზე „One Planet, One Health“ - რაც ხაზს უსვამს ადამიანისა და პლანეტის ჯანმრთელობის ურთიერთკავშირს. ბიზნესი ახორციელებს პასუხისმგებლიანი ნედლეულის შესყიდვას, განახლებადი ენერგიის გამოყენებასა და სოციალური პროექტების მხარდაჭერას.

შვეიცარიაში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი საკვების მწარმოებელი ბიზნესი მსოფლიოში ,,Nestlé” ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მიმართულებები ბიზნესის განვითარებისთვის. ის ახორციელებს „Shared Value“ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს ადგილობრივ ფერმერებთან თანამშრომლობას, წყლის რესურსების დაცვასა და ჯანსაღი კვების ხელშეწყობას.

დიაგრამა 1. სოციალური პასუხისმგებლობა ევროპის ბიზნეს სექტორში



Eurostat და OECD-ის 2024 წლის ანგარიშებზე დაყრდნობით შემუშავებული დიაგრამიდან (დიაგრამა1) ჩანს, რომ ევროპის მსხვილი ბიზნესი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მდგრადობას, გარემოს დაცვასა და თანამშრომლების კეთილდღეობას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა განვიხილოთ აზიის ქვეყნების ბიზნესის მაგალითები, რომელიც ასევე სამომავლო წარმატებული საქმიანობისთვის, მომხმარებელთა ნდობისა და მოგების პირდაპირპროპორციულ ზრდის გარანტია.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო აღიარება ჩამორჩება შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპას, არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიების ნათელი მაგალითები, რომლებიც შესამჩნევ პროგრესს აღწევს მთელ აზიაში. იაპონიიდან და კორეიდან, ინდოეთამდე და ვიეტნამამდე. მოვიყვანოთ რამდენიმე ლიდერი კომპანიების მაგალითი [16]:

იაპონია - Toyota ცნობილია თავისი საიმედო მანქანებითა და პიონერული ჰიბრიდული ტექნოლოგიებით. როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანი კომპანია, Toyota კვლავ ცდილობს ნახშირბადის გამონაბოლქვთან და მწვანე ტექნოლოგიებთან გამკლავებას წყალბადის შტაბ-ბინის დაარსებით, რაც კიდევ ერთი მსოფლიო რევოლუციური ინოვაციის პიონერი იქნება. განახლებადი ენერგიის სახით, წყალბადი გვპირდება, რომ იმოქმედებს ტრადიციული ბენზინის მსგავსად.

კორეა - Samsung მსოფლიოში ცნობილია სმარტფონების სამყაროში Apple-თან დაპირისპირებით. ამ ზომის ბიზნესს შეუძლია და ბევრს აკეთებს კორეული საზოგადოებისთვის. ისეთი პროგრამები, როგორიცაა „ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“ და „იმედის ქვები“ შესაძლებლობებს აძლევს იმ პირებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში ამ შესაძლებლობის გარეშე დარჩებოდნენ. ისინი ამით განვითარების მაღალ მწვერვალს აღწევენ.

ჩინეთი - Alibaba. იგი CSR-ს იყენებს როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტს. კომპანია მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციას, ხელს უწყობს რეგიონულ დასაქმებას და ინვესტირებას ახორციელებს განათლებისა და ეკოლოგიური პროექტების მიმართულებით. ყოველივე ეს ბიზნესს უფრო მეტად ავითარებს და ხელს უწყობს მომავალი წარმატების მისაღწევად. მისი პლატფორმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ჩართულობის ზრდაზე ჩინეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებში.

აზიის ქვეყნებში CSR პრაქტიკის გამოყენების სპეციფიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპული პრაქტიკისგან, რაც განპირობებულია მათი კულტურული, ეკონომიკური და სოციალური თავისებურებებით. აზიური ბიზნეს სექტორი CSR - ის კომპონენტებთაგან უმეტესად ყურადღებას აქცევს: ქველმოქმედებით და საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტებს; განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობას; ადგილობრივი საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობას.

KPMG და Un Global Compact მონაცემების საშუალებით შემუშავებული დიაგრამიდან (დიაგრამა 2) ჩანს, ჩანს, რომ აზიურ ქვეყნებში დიდი წილი უკავია სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ბიზნესის მომავალზე, ადგილის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაზე.

დიაგრამა 2. CSR - ის კომპონენტების განაწილება აზიის ბიზნეს სექტორში



ამრიგად CSR თანამედროვე ბიზნესისთვის იქცა არა მხოლოდ სოციალური ვალდებულების, არამედ გრძელვადიანი განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, როგორც ევროპულ, ისე აზიურ ბიზნეს სივრცეში. ევროპული და აზიური ქვეყნების CSR მოდელების შედარებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ:

✓ კონცეპტუალური საფუძვლები: ევროპული CSR მოდელი დაინტერესებულია მხარეების თეორიაზე, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებაზე, ხოლო აზიური დაფუძნებულია კულტურულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ ტრადიციებზე;

✓ მთავრობის როლი და რეგულირება: ევროპული CSR მოდელი მთავრობის ძლიერ ჩართულობასა და ევროკავშირის დირექტივებს მოითხოვს, ხოლო აზიური - შეზღუდულ ან არათანაბარ რეგულირებას ქვეყნების მიხედვით და CSR ხშირად ნებაყოფლობითია;

✓ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა: ევროპული CSR მოდელი ფოკუსირებს კლიმატის ცვლილებაზე, ნახშირბადის შემცირებასა და მწვანე ინოვაციებზე, ხოლო აზიური - გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან განსხვავებაზე, რადგან, სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ზოგჯერ ეკოლოგიაზე მეტ უპირატესობას ეკონომიკურ ზრდას ანიჭებს;

✓ კულტურული გავლენა: ევროპული CSR მოდელი ინდივიდუალური უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის ღირებულებების დახმარებით აყალიბებს CSR პოლიტიკას. აზიური CSR მოდელის მიხედვით კოლექტიური კულტურები ხაზს უსვამენ ჯგუფის კეთილდღეობასა და სოციალურ სტაბილურობას.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპული CSR მოდელები რეგულაციებსა და მდგრადობაზეა ორიენტირებულია, ხოლო აზიური - საქველმოქმედო ხასიათისაა. თუმცა, გლობალიზაცია და საერთაშორისო სტანდარტები თანდათან ამცირებს ამ განსხვავებებს.

CSR განსხვავებულია ისტორიული თუ კულტურული გარემოს მიხედვით. საქართველო, ევროპა და აზია საერთო CSR პრინციპებს იზიარებენ, თუმცა პრაქტიკა და პრიორიტეტები მნიშვნელოვნად განსხვავდება.

მსგავსება: საქართველოში, ევროპასა და აზიაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეფუძნება საერთო პრინციპებს. ბიზნესი ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვას, თანამშრომელთა შრომითი უფლებებსა და საზოგადოების მხარდაჭერას. აქტივობები ხშირად მოიცავს სოციალურ პროექტებში მონაწილეობას და ეთიკური ბიზნესის პრინციპების დაცვას.

განსხვავება: ევროპაში CSR მკაცრად რეგულირებულია და წარმოადგენს ბიზნესის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. აზიის ქვეყნებში იგი ეფუძნება ტრადიციებსა და კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ხოლო საქართველოში ის ძირითადად ნებაყოფლობითია და მისი ინტეგრაცია ბიზნესის სტრატეგიაში ჯერ კიდევ განვითარებად ეტაპზეა.

ISO 26000 და UN Global Compact Georgia ანგარიშების საფუძველზე წარმოდგენილია შედარებითი დიაგრამა (დიაგრამა 3), რომელიც აჩვენებს CSR აქტივობის დონეს საქართველოს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

დიაგრამა 3. CSR შედარებითი ანალიზი საქართველოში, ევროპასა და აზიაში



კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული სფეროები განსხვავდება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონით, კულტურული თავისებურებებითა და რეგულაციური გარემოთი. საქართველოს, ევროპისა და აზიის ქვეყნების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად საერთო მიზნებისა, CSR-ის აქცენტები სხვადასხვაგვარად ნაწილდება.

ევროპის ქვეყნებში CSR-ის მთავარი პრიორიტეტებია გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კლიმატის ცვლილების შემცირებას, განახლებადი ენერგიის გამოყენებასა და ნახშირბადის ემისიების შემცირებას. მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა და შრომითი სტანდარტების მკაცრი დაცვა.

განვითარებულ აზიურ ეკონომიკებში (იაპონია, სამხრეთ კორეა) ყურადღება გამახვილებულია ხარისხზე, თანამშრომელთა კეთილდღეობასა და კორპორაციული ეთიკის მაღალ დონეზე. ის ძირითადად მიმართულია სოციალური პრობლემების შემსუბუქებაზე, როგორიცაა განათლების ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება და ჯანდაცვის მხარდაჭერა.

საქართველოში CSR-ის პრიორიტეტები ძირითადად დაკავშირებულია სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობასთან. კომპანიები აქტიურად მონაწილეობენ განათლების, კულტურისა და სოციალური დახმარების პროექტებში. ბოლო წლებში იზრდება გარემოსდაცვითი ინიციატივების რაოდენობაც, თუმცა მათი მასშტაბი ევროპასთან შედარებით მცირეა.

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ევროპაში CSR პრიორიტეტები სტრატეგიულ ხასიათს ატარებს, აზიაში - კულტურულ და სოციალურ ფაქტორებზეა ორიენტირებული, ხოლო საქართველოში - განვითარების პროცესში მყოფ პრაქტიკად რჩება.

ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით [11], საქართველოში CSR განვითარების ხელშეწყობისთვის რეკომენდებულია:

1. კანონმდებლობის გაძლიერება - შეიქმნას სავალდებულო ჩარჩო კომპანიებისთვის, რომელიც დაარეგულირებს სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მიმართულებების დაცვის აუცილებლობას;

2. ანგარიშგების სტანდარტიზაცია და გამჭვირვალობა - დაწესდეს არასაფინანსო ანგარიშგების ვალდებულება მსხვილი და საჯარო კომპანიებისთვის, რაც მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობითი მაჩვენებლების პრეზენტაციას;

3. საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება - ხელი შეეწყოს სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩართულობას პოლიტიკის ფორმირებაში საჯარო კონსულტაციებისა და დიალოგის გზით;

4. საერთაშორისო თანამშრომლობა - გაძლიერდეს ევროკავშირთან თანამშრომლობა CSR პოლიტიკისა და პრაქტიკის ადაპტაციის მიზნით. ქართულმა კომპანიებმა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო CSR პლატფორმებსა და ინიციატივებში (მაგალითად, UN Global Compact).

აზიურ ქვეყნებში CSR-ის პრაქტიკის გამოცდილებიდან საქართველოს შეუძლია გაითვალისწინოს [17]:

1. ბიზნესის სოციალური როლის გაძლიერება საზოგადოებაში – კომპანიების ჩართულობა განათლების, ჯანდაცვისა და ადგილობრივი თემების განვითარებაში;

2. კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება – თანამშრომელთა ერთგულებისა და შიდა ეთიკის წახალისება;

3. გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვა – არა მხოლოდ მოკლევადიან მოგებაზე, არამედ მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია.

ევროპული და აზიური გამოცდილების ინტეგრაცია საქართველოში მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და შესაბამის სტიმულებს. ეს ხელს შეუწყობს მდგრად და პასუხისმგებლიან ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით დღევანდელ სამყაროში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა ბიზნესმა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება და დანერგვა საპასუხისმგებლო და აუცილებელია, მისი წარმატებით განხორციელება პირდაპირპროპორციულად აისახება ბიზნესის მოგებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., დამენია ნ., მიქატაძე ც. ,,მენეჯერული ეკონომიკა“, სალექციო კურსი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021
2. აბაშიძე დ., „სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესში“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2018
3. თოდუა ნ., „მსხვილი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები“, ეკონომიკური კვლევის ცენტრი, პოლიტიკის ანალიზის გამომცემლობა, თბილისი, 2019
4. კაპანაძე მ., „სოციალური პასუხისმგებლობა და მისი როლი ბიზნეს მენეჯმენტში“, ბიზნესის მართვის ჟურნალი ,,მენეჯერი“, ტომი 15, თბილისი, 2020, გვ. 35-50
5. პაპავა გ., მაისურაძე დ., ხოფერია ლ., „საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ეროვნული ჩარჩო“, რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას, თბილისი, 2023
6. კაპანაძე მ. „სოციალური პასუხისმგებლობა და მისი როლი ბიზნეს მენეჯმენტში“, ბიზნესის მართვის ჟურნალი ,,მენეჯერი“, ტომი 15, თბილისი,2020, გვ. 35-50
7. ჩარლზ ჰენდი „რისთვის არსებობს ბიზნესი?“ Harvard Business Review, 12.12.2002
8. საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია (ISO), გაეროს გლობალური შეთანხმების ოფიციალური ვებ-გვერდი (UNGC), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)
9. თიბისი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში, ოფიციალური ვებ-გვერდი, თბილისი, 2024
10. საქართველოს ბანკის „მწვანე მენეჯმენტის“ ანგარიში, ოფიციალური ვებგვერდი, თბილისი, 2024
11. გაეროს გლობალური ხელშეკრულება. სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ანგარიში საქართველოში, 2020
12. Michael E. Porter & Mark R. Kramer, „Creating Shared Value“, Harvard Business Review, 2016
13. Carroll A. B., „The Pyramid of Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders“, 1991, pp. 39-48
14. Yldiz A., & Gokay M., „Corporate Socil Responsibility in European Context“, Article from Lexington Books, USA, 2014, pp. 43-45
15. Garriage E., & Male, D., „Corporate Social Responsibility Theories: Mapping the Terroitory. Journal of Business Ethics“, 2024, pp. 51-71

16. Institute for Coaching Innovation, article about „Corporate Social Responsibility: Impact on Asia“
17. Corporate Social Responsibility in Asia: Practice and Experience
18. Cranw A., Matten D., & Spence L. J., „Corporate Social Responsibility: Readings and cases in a global conext“, 2017
19. https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/company-reporting-andauditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en
20. https://www.oecd.org/corporate/mne/
21. https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/mission/principles
22. https://tabula.ge/social-responsibility
23. https://ec.europa.eu
24. https://www/telasi.ge
25. https://tbcbank.ge/ka/social-responsibility
26. https://forbes.ge/rogoria-saqarthvelos-bankis-mtsvane-initsiativebi/
27. Article about „Corporate Social Responsibility on the Example of L'Oréal Polska“

ხელოვნური ინტელექტის როლი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში საქართველოში

The Role of Artificial Intelligence in the Development of Small and Medium-Sized Enterprises in Georgia

გულნაზ ერქომაიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
https:// orcid.org/0000-0001-8202-5655
Gulnaz Erkomaishvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
https:// orcid.org/0000-0001-8202-5655

აბსტრაქტი. საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა. კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

ნაშრომში გადმოცემულია ხელოვნური ინტელექტის (AI) როლი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში საქართველოში. აღნიშნულია, რომ ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, სადაც ორგანიზაციები მუდმივად ეძებენ ინოვაციურ გზებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. AI არის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ისეთ სფეროებში, როგორიცაა წარმოება, საფინანსო მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება და ბევრი სხვ.

მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ხელოვნური ინტელექტის დანერგვა უკვე აღარ არის ფუფუნება, არამედ აუცილებლობაა. ის ეხმარება ორგანიზაციებს მონაცემთა ანალიზში, პროცესების ოპტიმიზაციაში, პერსონალიზებული მომხმარებლის გამოცდილების შექმნაში და, საბოლოო ჯამში, უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში.

AI-ის საფუძველზე შექმნილი ახალი პროდუქტები და სერვისები მცირე და საშუალო ბიზნესს აძლევს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას, ქმნის ახალ ბაზრებს და ზრდის კონკურენტულ უპირატესობას.

საძიებო სიტყვები. მცირე და საშუალო მეწარმეობა, ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნური ინტელექტის კონცეფცია, ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები.

Abstract. In recent years, one of the main goals of economic policy in Georgia has been the development of small and medium-sized enterprises (SMEs). A well-developed SME sector significantly contributes to exports, innovation, the creation of a modern entrepreneurial culture, and, at the same time, plays a key role in improving the overall welfare of the country.

This paper presents the role of Artificial Intelligence (AI) in the development of SMEs in Georgia. It highlights that the importance of AI is increasing, particularly in the era of digital transformation, where organizations are constantly seeking innovative ways to gain competitive advantages. AI serves as a key driving force in sectors such as manufacturing, financial services, healthcare, education, and many others.

For small and medium-sized companies, adopting AI is no longer a luxury but a necessity. It assists organizations in data analysis, process optimization, creating personalized customer experiences, and ultimately in making better decisions.

New products and services based on AI provide SMEs with opportunities for innovative development, create new markets, and enhance competitive advantage.

Keywords: small and medium-sized enterprises, artificial intelligence, concept of artificial intelligence, challenges of artificial intelligence

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მთლიან სამამულო პროდუქტში კვლავ ძალიან დაბალია. საქართველოში მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება ლიბერალური ეკონომიკის მოდელს, რომლის მიზანია: კერძო სექტორის გაძლიერება, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, ინვესტიციების მოზიდავა, ეკონომიკური ზრდა და დასაქმება. სახელმწიფო ასრულებს მხარდამჭერ და მარეგულირებელ და არა უშუალოდ საწარმოო როლს. სახელმწიფო ქმნის პირობებს, თუმცა ბიზნესის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია: მეწარმის ინიციატივაზე, ბაზრის ცოდნაზე, ინოვაციურ მიდგომებზე. მიუხედავად მიღწევებისა, რჩება პრობლემები: ფინანსებზე წვდომის სირთულე (განსაკუთრებით მცირე ბიზნესისთვის), დაბალი ინოვაციური აქტივობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რეგიონებს შორის უთანასწორო განვითარება.

ტექნოლოგიების განვითარებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, აქტუალური გახდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხი. აპლიკაცია ChatGPT არა მხოლოდ პოპულარული, არამედ ადამიანების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილადაც იქცა [Karayan, 2023].

ხელოვნური ინტელექტი დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მეწარმეობის განვითარებაში. ის ეხმარება როგორც დამწყებ, ისე მცირე და საშუალო ბიზნესს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, ხარჯების შემცირებასა და ინოვაციის შექმნაში.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მეწარმეობაში აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებია შემდეგი:

AI ამუშავებს დიდი მოცულობის მონაცემებს და მეწარმეს ეხმარება: გაყიდვების პროგნოზირებაში; მომხმარებლის ქცევის ანალიზში; მოთხოვნის ცვლილებების წინასწარ დანახვაში.

გაყიდვების პროგნოზირებაში AI იყენებს ისტორიულ მონაცემებს, სეზონურ ფაქტორებს, ფასების ცვლილებებსა და მომხმარებელთა აქტივობის დინამიკას. ამ ანალიზის შედეგად მეწარმეს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი გაყიდვების მოცულობა, დაგეგმოს წარმოება, მარაგები და ფინანსური ნაკადები. შედეგად მცირდება ზედმეტი ხარჯები და იზრდება რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს AI ასევე **მომხმარებლის ქცევის ანალიზში**. იგი სწავლობს მომხმარებელთა შეძენის ისტორიას, ინტერესებს, საძიებო ქცევას, სოციალურ მედიაში აქტივობასა და უკუკავშირს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით AI განსაზღვრავს მომხმარებელთა სეგმენტებს, ავლენს მათ საჭიროებებსა და პრეფერენციებს, რაც მეწარმეს აძლევს შესაძლებლობას შესთავაზოს პერსონალიზებული პროდუქტები, მომსახურება და მარკეტინგული კამპანიები.

გარდა ამისა, AI ეხმარება მეწარმეს **მოთხოვნის ცვლილებების წინასწარ დანახვაში**. ბაზარზე არსებული ტენდენციების, ეკონომიკური ფაქტორებისა და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების ანალიზით ხელოვნური ინტელექტი აფიქსირებს მოთხოვნის ზრდის ან შემცირების ნიშნებს. ეს მეწარმეს საშუალებას აძლევს დროულად მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მოერგოს ბაზრის მოთხოვნებს, თავიდან აიცილოს კრიზისული სიტუაციები და შეინარჩუნოს სტაბილური განვითარება.

შედეგად, AI-ის გამოყენება მეწარმეობაში ზრდის გადაწყვეტილებების სიზუსტეს, ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს ბიზნესის უფრო მდგრად და ინოვაციურ განვითარებას.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ცვლის მარკეტინგის არსსა და პრაქტიკას, რადგან კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას უფრო ზუსტად, სწრაფად და ეფექტიანად დაუკავშირდნენ მომხმარებლებს. მისი გამოყენება მარკეტინგში ზრდის კომუნიკაციის ხარისხს და ამყარებს მომხმარებელთან ურთიერთობას.

პერსონალიზებული რეკლამების შექმნა AI-ის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობაა. ხელოვნური ინტელექტი აანალიზებს მომხმარებელთა ინტერესებს, საძიებო ისტორიას, შეძენის ქცევას და დემოგრაფიულ მონაცემებს. ამ ინფორმაციის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალურად მორგებული სარეკლამო შეტყობინებები, რაც ზრდის რეკლამის ეფექტიანობას, მომხმარებლის ჩართულობას და გაყიდვების მაჩვენებლებს.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს AI-ზე დაფუძნებული **ჩატბოტები**, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთა მხარდაჭერას 24/7 რეჟიმში. ჩატბოტები სწრაფად პასუხობენ მომხმარებელთა კითხვებს, აწვდიან ინფორმაციას პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, იღებენ შეკვეთებს და აგვარებენ მარტივ პრობლემებს. ეს ამცირებს კომპანიების საოპერაციო ხარჯებს და ამავე დროს ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

გარდა ამისა, AI აქტიურად გამოიყენება **სოციალური მედიის კონტენტის გენერაციაში**. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას ტექსტები, პოსტების იდეები, ვიზუალური მასალა და კამპანიების კონცეფციები, რომლებიც მორგებულია კონკრეტული აუდიტორიის ინტერესებზე. ასევე, AI აანალიზებს მომხმარებელთა რეაქციებსა და ჩართულობას, რაც კომპანიებს ეხმარება კონტენტის სტრატეგიის მუდმივ გაუმჯობესებაში.

შედეგად, AI მარკეტინგს ხდის უფრო მიზნობრივს, მოქნილსა და შედეგზე ორიენტირებულს, რაც ბიზნესს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე ციფრულ გარემოში.

მაგალითად: მცირე ბიზნესი Facebook-სა და Instagram-ზე იყენებს AI-ს, რათა სწორ აუდიტორიას აჩვენოს რეკლამა მინიმალური ბიუჯეტით.

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესპროცესების ავტომატიზაციაში, რაც მეწარმეებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს დრო და რესურსები, შეამციროს ხარჯები და გააუმჯობესოს ოპერაციების ხარისხი.

რაც შეეხება **ბუღალტერიის ავტომატიზაციას,** AI-ის დახმარებით მცირდება ადამიანური შეცდომების რისკი. ხელოვნური ინტელექტი ავტომატურად ამუშავებს ინვოისებს, აღრიცხავს შემოსავალსა და ხარჯებს, აკონტროლებს საგადასახადო ვალდებულებებს და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს. შედეგად, ბუღალტრული პროცესები ხდება უფრო სწრაფი, ზუსტი და გამჭვირვალე.

მნიშვნელოვანია ასევე **მარაგების მართვის ავტომატიზაცია**. AI აანალიზებს გაყიდვების დინამიკას, სეზონურობასა და მოთხოვნის პროგნოზებს, რის საფუძველზეც ოპტიმალურად განსაზღვრავს მარაგების მოცულობას. ეს თავიდან იცილებს როგორც ზედმეტ დაგროვებას, ისე პროდუქციის დეფიციტს, ამცირებს საწყობის ხარჯებს და უზრუნველყოფს უწყვეტ მიწოდებას.

გარდა ამისა, AI ეფექტიანად უზრუნველყოფს **შეკვეთების დამუშავების ავტომატიზაციას**. სისტემა იღებს და ამუშავებს შეკვეთებს რეალურ დროში, ამოწმებს ხელმისაწვდომ მარაგებს, აკოორდინირებს მიწოდებას და მომხმარებელს აწვდის სტატუსის განახლებებს. ეს აჩქარებს მომსახურების პროცესს, ამცირებს დაგვიანებებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

ხელოვნური ინტელექტი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული პროცესების გაუმჯობესებით — იგი ქმნის **სრულად ახალ პროდუქტებსა და სერვისებს**, რომლებიც ცვლის მომხმარებელთა გამოცდილებას და ბიზნესის განვითარების მოდელებს.

მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს **ჭკვიანი პლატფორმები**, რომლებიც აერთიანებენ მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და გადაწყვეტილებების მიღებას ერთ სისტემაში. ასეთი პლატფორმები გამოიყენება ელექტრონულ კომერციაში, ლოგისტიკაში, ფინანსებში და სხვა სფეროებში. AI-ის დახმარებით ისინი რეალურ დროში მართავენ პროცესებს, აუმჯობესებენ მომხმარებელთა გამოცდილებას და ზრდიან ოპერაციულ ეფექტიანობას.

AI ამცირებს ბარიერებს ბიზნესის დაწყებისთვის. მეწარმეს აღარ სჭირდება დიდი გუნდი; მას შეუძლია დიზაინერის, კოპირაიტერისა და ანალიტიკოსის ფუნქციები ხელოვნურ ინტელექტს შეუთავსოს, რაც სტარტაპებს ბაზარზე სწრაფი ტესტირების საშუალებას აძლევს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ბიზნესში ბევრი შესაძლებლობის გარდა, თან ახლავს გარკვეული სირთულეები და გამოწვევები, რომელთა სწორად მართვა მნიშვნელოვანია როგორც მეწარმისთვის, ასევე მომხმარებლისთვის.

პირველ რიგში, **ციფრული უნარების დეფიციტი** წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. AI სისტემების ეფექტური გამოყენება მოითხოვს მონაცემთა ანალიზის, პროგრამირების, მარკეტინგის ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიების მართვის უნარებს. საქართველოში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობაში, ხშირად არ არის საკმარისი კვალიფიციური კადრები, რაც ხელს უშლის AI-ის სრულყოფილ ინტეგრაციას და შესაძლებლობების გამოყენებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია **მონაცემთა უსაფრთხოება**. AI სისტემები მუშაობენ დიდი მოცულობის მონაცემებზე, მათ შორის მომხმარებელთა პირად და ფინანსურ ინფორმაციაზე. დაუცველი მონაცემები შეიძლება გახდეს ჰაკერული შეტევების, ინფორმაციის გაჟონვის ან

ბიზნესის რეპუტაციის დაზიანების რისკი. ამიტომ მეწარმეებმა უნდა შეძლონ უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების დაცვა და მონაცემების დაცვის ეფექტური პოლიტიკის დანერგვა.

მესამე, **ეთიკური საკითხები**. AI გადაწყვეტილებები ხშირად ემყარება ალგორითმებს, რომელთაც შეუძლიათ შეურაცხყოფა, დისკრიმინაცია ან უსამართლო შედეგების მიღება, თუ მათი მუშაობის პრინციპები კარგად არ არის შემუშავებული. მეწარმეებს სჭირდებათ ეთიკური გზების მოძიება, გამჭვირვალობის შენარჩუნება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

შედეგად, AI-ის დანერგვა ბიზნესში ითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სტრატეგიულ, უსაფრთხოებისა და ეთიკური თვალსაზრისით სერიოზულ მზადყოფნას, რათა მისი სარგებელი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული და რისკები მინიმუმამდე შემცირდეს.

AI საფრთხეს უქმნის ადამიანის პირად ინფორმაციას, რადგან სისტემა დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზეა ორიენტირებული. არსებობს იმის რისკი, რომ ეს მონაცემები საჯაროდ გავრცელდეს და ბოროტად იყოს გამოყენებული სხვადასხვა ჯგუფების, მთავრობების ან კორპორაციების მიერ.

ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები უკვე მყარად იკავებს პოზიციას ქართული ციფრული მომხმარებლის ყოველდღიურობაში — სოციალური ქსელების მომხმარებელთა 71% აქტიურად იყენებს სხვადასხვა AI ხელსაწყოს [ACT კვლევა, 2025]. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი საქართველოში მხოლოდ ექსპერიმენტული ტექნოლოგია აღარ არის, არამედ პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლის საჭიროებებს პასუხობს.

ხელოვნური ინტელექტის ცნობადობისა და გამოყენების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს როგორც AI პლატფორმების შესახებ ინფორმირებულობა, ასევე მათი გამოყენების აქტივობა.

სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის ყველაზე მაღალი ჩართულობა დაფიქსირდა 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაში: ამ სეგმენტის 98%-ს სმენია კონკრეტულად რომელიმე ხელოვნური ინტელექტის პლატფორმის შესახებ, ხოლო 94% რეალურადაც იყენებს მას სხვადასხვა მიზნით [ACT კვლევა, 2025]. 18-35 წლის ასაკში AI-ის ათვისების ასეთი მაღალი პროცენტი ნიშნავს, რომ მომავალი თაობის მეწარმეები, თანამშრომლები და მომხმარებლები სრულად ციფრულები იქნებიან.

როგორც კვლევიდან ჩანს, ფასიანი ვერსიის გამოყენება შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული (12%), გამოკითხული რესპონდენტები ჯერ კიდევ უპირატესობას ანიჭებენ უფასო ალტერნატივებს. ეს ტენდენცია მიუთითებს რომ: ერთი მხრივ, მომხმარებლების ჯერ კიდევ დაბალი მზაობა გადაიხადონ ციფრული პროდუქტებისთვის, ხოლო მეორე მხრივ — უფასო ვერსიების საკმარისი შესაძლებლობა, რომელიც მომხმარებელთა საჭიროებებს ერგება [ACT კვლევა, 2025].

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. ქართული კომპანიები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ AI-ის პოტენციალს და ცდილობენ მის ინტეგრირებას თავიანთ ბიზნეს პროცესებში.

თუმცა, ამ გზაზე არსებობს მთელი რიგი გამოწვევები:

1. სპეციალისტების დეფიციტი – საქართველოში კვლავ შეზღუდულია AI სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა, რაც აფერხებს ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

2. ენობრივი ბარიერი – ქართული ენის თავისებურებები და შეზღუდული რესურსები ართულებს ქართულენოვანი AI მოდელების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი საჭიროებებისთვის.

3. ფინანსური რესურსები – AI პროექტების განვითარება ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას, რაც პრობლემას წარმოადგენს ბევრი ქართული კომპანიისთვის.

4. ცნობიერების დაბალი დონე – ბევრ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ აქვს სრული წარმოდგენა AI-ის პოტენციურ სარგებელზე და გამოყენების შესაძლებლობებზე.

5. ინფრასტრუქტურული შეზღუდვები – რიგ შემთხვევებში, არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული AI სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ქართული ტექნოლოგიური ეკოსისტემა თანდათან ვითარდება, და ჩნდება ინოვაციური სტარტაპები, რომლებიც AI-ის გამოყენებით ცდილობენ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას.

ხელოვნური ინტელექტი ქართულ მეწარმეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გააფართოონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო ბაზრებზე და გაუმკლავდნენ გლობალური კონკურენციის გამოწვევებს.

პირველ რიგში, AI საშუალებას აძლევს **იმუშაონ საერთაშორისო კლიენტებთან**. ავტომატური ანალიზისა და მარკეტინგული ხელსაწყოების დახმარებით მეწარმეებს შეუძლიათ დაადგინონ საზღვარგარეთ მყოფი მომხმარებელთა საჭიროებები, მოახდინონ პროდუქტის ან მომსახურების ადაპტირება სხვადასხვა კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტში და აწარმოონ კომუნიკაცია საერთაშორისო ბაზრებზე უფრო მარტივად.

გარდა ამისა, AI-ს გამოყენებით შესაძლებელია **ავტომატურად თარგმნონ კონტენტი**. ვებგვერდები, მარკეტინგული მასალა, მომხმარებელთა მხარდაჭერის შეტყობინებები და პროდუქტის აღწერები ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შეიძლება სწრაფად და ზუსტად გადაითარგმნოს სხვადასხვა ენაზე, რაც აღმოფხვრის ენის ბარიერს და ზრდის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო მომხმარებლებისთვის.

AI ეხმარება **მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში**. ციფრული ასისტენტები, ჩატბოტები და ავტომატური რეაგირების სისტემები უზრუნველყოფენ მომხმარებელთან მუდმივ კომუნიკაციას, სწრაფ პასუხებს კითხვებზე და პერსონალიზებულ მომსახურებას. ეს ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას, აძლიერებს ბრენდის იმიჯს და ხელს უწყობს ხანგრძლივ ურთიერთობებს.

AI ქართველ მეწარმეებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ გააფართოვონ ბაზარი, არამედ უზრუნველყონ მაღალი ხარისხის, სწრაფი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი ბიზნესის კონკურენტუნარიანობას.

დასკვნა

ამგვარად, ხელოვნური ინტელექტი უდიდეს პოტენციალს სთავაზობს მეწარმეს, მისი ზეგავლენა მომავალ წლებში სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ტექნოლოგია ახალ დარგებში უწყვეტად განაგრძობს განვითარებასა და ინტეგრირებას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტი არ ანაცვლებს მეწარმეს, არამედ აძლიერებს მას, AI ზრდის ეფექტიანობას, ინოვაციას და კონკურენტუნარიანობას, მომავლის ბიზნესი ეკუთვნის იმ ტანდემს, სადაც ადამიანი განსაზღვრავს ხედვას, ხოლო AI უზრუნველყოფს შესრულების უპრეცედენტო სისწრაფესა და სიზუსტეს. ქართული ბიზნესისთვის AI არის „ტრამპლინი“ გლობალურ ბაზარზე მოსახვედრად,

თუმცა ამ ნახტომის წარმატება დამოკიდებულია განათლებაზე, ეთიკური სტანდარტების დაცვასა და ციფრული უნარების განვითარებაზე.

AI ტექნოლოგიების გონივრული განვითარება საზოგადოებაში მისი ინტეგრაციის გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. ეს გულისხმობს ეთიკური პრინციპების დანერგვას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში, ღიაობასა და თანამშრომლობას მეცნიერებსა და ინდუსტრიებს შორის, ასევე საზოგადოების ჩართულობასა და ცნობიერების ამაღლება ამ საკითხის შესახებ. განათლების დონის ამაღლებით შესაძლებელი გახდება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისება და, ამავდროულად, მისი პოტენციურად უარყოფითი გავლენების მინიმუმამდე დაყვანა.

ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები (2024). თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“
2. ერქომაიშვილი გ., (2026). ხელოვნური ინტელექტი - მეწარმეობის განვითარების ინოვაციური ინსტრუმენტი. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1
3. ერქომაიშვილი გ., (2026). მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
4. ACT კვლევა (2025) - `საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება~.
5. AI სექტორი საქართველოში (2025) მიმდინარე ტენდენციები და სამომავლო პოტენციალი
6. Anyoha, R. (2017). The History of Artificial Intelligence. Harvard University
7. Gazdeliani I., Munjishvili T., Khurtsia L., (2024) Artificial Intelligence and Economic Policy. Digital Management and Artificial IntelligenceProceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.
8. Erkomaishvili G., (2024). Digital Economic Policy in Georgia. Digital Management and Artificial IntelligenceProceedings of the Fourth International Scientific-Practical Conference (ISPC 2024), Hybrid, October 10–11.
9. Karayan, R. (2023). The History of Artificial Intelligence
10. World Digital Competitiveness Ranking 2025 - IMD business school for management and leadership courses

ქართული ციფრული ეკოსისტემა: პლატფორმული კომპანიების ბიზნეს სტრატეგიების ანალიზი

The Georgian Digital Ecosystem: An Analysis of Business Strategies of Platform Companies

ნინო გრიგოლაია
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ORCID 0009-0002-8637-2106
მარინა ალანია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფერსორი
Nino Grigolaia
Georgian Aviation University
Doctor of Economics, Professor
ORCID 0009-0002-8637-2106
Marina Alania
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD in Economics, Assistant Professor

აბსტრაქტი. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურა. ციფრული პლატფორმის კომპანიები თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა, რომელებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლებისა და მწარმოებლების ეფექტიან დაკავშირებას.

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში მოქმედი ციფრული პლატფორმის კომპანიების ბიზნეს სტრატეგიების შესწავლა, იმ მექანიზმების იდენტიფიცირება, რომლებსაც ისინი იყენებენ ზრდის მისაღწევად, მომხმარებელთა ბაზის გასაფართოებლად და მდგრადი კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ლიტერატურის ანალიზს, სხვადასხვა ტიპის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს, ასევე კონტენტ-ანალიზს.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოში ციფრული პლატფორმების კომპანიების ბიზნეს სტრატეგიები გამოირჩევა მოქნილობით, ლოკალურ ადაპტაციაზე ორიენტირებითა და სერვისების დივერსიფიკაციით. წარმატება დამოკიდებულია ლოგისტიკური გამოწვევების დაძლევაზე, ციფრული წიგნიერების ამაღლებასა და მარეგულირებელ გარემოსთან თანამშრომლობაზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკოსისტემა, ციფრული პლატფორმები, ბიზნეს სტრატეგიები, ქსელური ეფექტები

Abstract. The rapid development of digital technologies has significantly changed the structure of economic relations. Digital platform companies have emerged as one of the most important tools of the modern economy, ensuring efficient connections between consumers and producers. The purpose of this research is to study the business strategies of digital platform companies operating in Georgia, to identify the mechanisms they use to achieve growth, expand their customer base, and create sustainable competitive advantages. The research is based on a mixed methodological approach, which combines literature analysis, statistical analysis methods for various types of data, as well as content analysis. The research results confirm that the business strategies of digital platform companies in Georgia are characterized by flexibility, a focus on local adaptation, and service diversification. Success depends on overcoming logistical challenges, improving digital literacy, and cooperating with the regulatory environment.

Keywords: Digital ecosystem, digital platforms, business strategies, network effects.

შესავალი. ციფრული ტრანსფორმაციით გამოწვეული მრავალფეროვანი და მასშტაბური ცვლილებების ფონზე, პლატფორმული კომპანიების, ანუ ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნეს-მოდელების გაჩენა გლობალურ დონეზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან ტენდენციად ყალიბდება.

პლატფორმული კომპანიები, რომლებიც ღირებულების გაცვლის პროცესში მწარმოებლებსა და მომხმარებლებს აერთიანებენ, ფუნქციონირებენ როგორც შუამავლები; ისინი

უზრუნველყოფენ ერთგვაროვანი ტიპის საქონლისა და მომსახურების აგრეგაციის პლატფორმების განვითარებასა და მართვას (Grigolaia, 2024). აღნიშნული სუბიექტები, ძირითადად, ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მეშვეობით ოპერირებენ. ბოლო წლებში, მათი რაოდენობრივი ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი საბაზრო კაპიტალიზაციაც. ამ ტიპის კომპანიების ძირითად აქტივებს ინფორმაცია და ურთიერთქმედება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, როგორც შექმნილი ღირებულების, ისე კონკურენტული უპირატესობის ფუნდამენტურ წყაროს შეადგენს (Grigolaia@adeishvili, 2025).

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და აქტივების ფლობის აუცილებლობა. ციფრული ტექნოლოგიები პლატფორმების შექმნასა და საქმიანობის გაფართოებას გაცილებით უფრო მარტივსა და ნაკლებხარჯიანს ხდის. ამასთან ისინი უზრუნველყოფენ მონაწილეთა უსაფრთხო ინტერაქცია, რაც აძლიერებს ქსელურ ეფექტებს და ზრდის დიდი მოცულობის მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გაცვლის შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესები, თავის მხრივ, ზრდის პლატფორმის ღირებულებას ყველა ჩართული მხარისთვის (Van Alstyne et al., 2016).

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ კომპანია Booking.com, რომელიც სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაში ოპერირებს. კომპანია თავად არ ფლობს უძრავ ქონებას, თუმცა მისი საბაზრო კაპიტალიზაცია აღემატება Marriott-ის ქსელის ღირებულებას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 4,000-ზე მეტ ობიექტს აერთიანებს. ანალოგიურად, Uber-ი, რომელიც მობილური აპლიკაციის მეშვეობით აკავშირებს ტაქსის მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებას, ისევე მაღალი საბაზრო ღირებულებით ფასდება (Dufva et al., 2017). რაც შეეხება ელექტრონული კომერციის ლიდერ Alibaba Group-ს, მისი საბაზრო შეფასება აჭარბებს Visa-ს მაჩვენებლებს და ორჯერ აღემატება ისეთი კორპორაციის ღირებულებას, როგორიც McDonald's-ია.

აშკარაა, რომ მრავალ სექტორში მიმდინარეობს ფუნდამენტური ტრანსფორმაცია მოთხოვნისა და მიწოდების დაკავშირების მექანიზმებში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო წლებში პლატფორმული მოდელების მასშტაბური წარმატების ფონზე. მომხმარებლის პერსპექტივიდან, მრავალმხრივი პლატფორმები (MSPs) მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციულ დანახარჯებს და უზრუნველყოფს საჭიროებების შესაბამისი ალტერნატივების ოპერატიულ მოძიებას.

აღნიშნული გლობალური ტენდენცია სულ უფრო მკაფიოდ აისახება ქართულ ეკონომიკურ სივრცეშიც, სადაც ადგილობრივმა პლატფორმულმა კომპანიებმა ტრადიციული ბიზნესმოდელების ტრანსფორმაცია მოახდინეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია TKT.GE, რომელმაც მოახდინა კულტურული და გასართობი ღონისძიებების ბაზრის აგრეგაცია, ან Extra.ge, რომელიც როგორც მრავალმხრივი პლატფორმა, აკავშირებს ათასობით გამყიდველსა და მომხმარებელს. ასევე აღსანიშნავია საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის ციფრული ეკოსისტემის განვითარება, რომლებმაც სცილდებათ წმინდა საბანკო საქმიანობას და შექმნეს ციფრული პლატფორმები სხვადასხვა სერვისების ინტეგრირებისთვის. ქართული პლატფორმების ეს წარმატება ადასტურებს, რომ ლოკალურ ბაზარზეც კონკურენტული უპირატესობის მთავარი წყარო სწორედ ინფორმაციის ეფექტიანი მართვა და მომხმარებელთა შორის ურთიერთქმედების ოპტიმიზაცია გახდა.

კვლევის მიზანი. საქართველოში მოქმედი ციფრული პლატფორმის კომპანიების ბიზნეს სტრატეგიების შესწავლა, იმ მექანიზმების იდენტიფიცირება, რომლებსაც ისინი იყენებენ ზრდის

მისაღწევად, მომხმარებელთა ბაზის გასაფართოებლად და მდგრადი კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად.

კვლევის მეთოდი. კვლევა ეფუძნება ხარისხობრივ მეთოდოლოგიას. მონაცემთა წყაროებად გამოყენებულია: მეორადი სტატისტიკური მონაცემები (Geostat, Galt & Taggart, TBC Capital); კომპანიების პუბლიკაციები, პრეს-რელიზები და ანგარიშები; ინდუსტრიის ანალიტიკური ანგარიშები (BTU AI, ISET, World Bank); შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდი. ანალიზი მოიცავს როგორც შედარებით ანალიზს, ასევე კონტენტ-ანალიზს.

ლიტერატურის მიმოხილვა. ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ციფრული ბიზნეს-მოდელის კონცეფციის ევოლუციაში. აღნიშნული ტერმინი განსაკუთრებით აქტუალური 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გახდა, როდესაც იგი როგორც აკადემიური წრეების, ისე პრაქტიკოსების ინტერესის საგნად იქცა; ამას მოწმობს ამ თემაზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია (Zott et al., 2011). სპეციალურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ბიზნეს-მოდელის ფენომენს, რომელიც განიხილება როგორც ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ტრანსფორმირებული სტრუქტურა. მსგავსი ცვლილებები ფუნდამენტურად აისახება როგორც ორგანიზაციულ მოწყობაზე, ისე შემოსავლების გენერირების მექანიზმებზე (Veit et al., 2014)

ციფრული ბიზნეს-მოდელის ერთ-ერთი სრულყოფილი და ყოვლისმომცველი განმარტებაა „ბიზნეს-მოდელები ასახავს, თუ როგორ ქმნიან და წარმართავენ ორგანიზაციები პროცესებს მომხმარებლისთვის ღირებულების მიწოდების მიზნით; როგორ ურთიერთქმედებენ ისინი მომწოდებლებთან, პარტნიორებთან და კლიენტებთან და რა გზით ახდენენ გაწეული მომსახურებისგან ანაზღურების მიღებას (Müller et al., 2018).

ციფრული ტექნოლოგიების ფართო გავრცელებამ წარმოაჩინა პლატფორმის, როგორც ინოვაციური პროცესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის, საკვანძო როლი და იგი მრავალი კომპანიის ინოვაციური საქმიანობის ცენტრალურ ელემენტად აქცია (Yoo et al., 2012).

ტრადიციულ ბიზნესში კომპანია თავად ქმნის პროდუქტს ან მომსახურებას, მომხმარებელი კი მას საბოლოო ეტაპზე იძენს. ამის საპირისპიროდ, პლატფორმა ხელს უწყობს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებას, სადაც ღირებულება ამავე პროცესში, ერთობლივად იქმნება (co-creation).

პლატფორმის უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს „ცენტრალური ურთიერთქმედება“ (core interaction), რომელიც სამ ფუნდამენტურ ელემენტს მოიცავს:

1. მონაწილეები: მწარმოებელი, რომელიც ქმნის ღირებულებას და მომხმარებელი, რომელიც მას მოიხმარს;

2. ღირებულების ერთეული (value unit): პროდუქტი ან ინფორმაცია, რომელსაც მწარმოებელი ურთიერთქმედების საწყის ეტაპზე წარმოადგენს;

3. ფილტრი: მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების ერთეულის მიწოდებას შერჩეული, შესაბამისი მომხმარებლისთვის.

ღირებულების ამ ერთეულების ეფექტიან მიმოცვლას პლატფორმის მომხმარებლებს შორის პროგრამულ-ალგორითმული ინსტრუმენტები უზრუნველყოფს (Parker et al., 2016).

ღირებულების შეთავაზება (Value Proposition) ასახავს იმ პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ღირებულებას კონკრეტული სამომხმარებლო სეგმენტებისთვის; ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი უპირატესობას ერთ კომპანიას ანიჭებს. იგი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა

პროდუქტის მახასიათებლები, საფასო პოლიტიკა და დამატებითი სერვისები, რაც ჯამში კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს (grigolaia, 2024).

მომხმარებელთან კომუნიკაციისა და მათთან წვდომის გზები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ზემოაღნიშნული ღირებულების მიწოდება, აღიწერება მიწოდების არხების სახით (მაგალითად: მობილური აპლიკაციები, ვებპლატფორმები, საცალო ქსელები და სხვ.). თავის მხრივ, სამომხმარებლო სეგმენტები განსაზღვრავს ბაზრის იმ ნაწილს, რომლის მომსახურებასაც კომპანია მიზნობრივად ისახავს. მომხმარებელთან ურთიერთობის კომპონენტი კი ასახავს კავშირის ხასიათს (პერსონალიზებული თუ ტრანზაქციული), რომელსაც ორგანიზაცია კონკრეტულ აუდიტორიასთან აყალიბებს (Kharaishvili& Lobzhanidze 2024).

ხარჯების სტრუქტურა კი განსაზღვრავს საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი დანახარჯების ტიპებს (ფიქსირებული, ცვლადი და სხვ.), ხოლო შემოსავლების ნაკადები ასახავს მომხმარებლებისა და პარტნიორებისგან მიღებული გადახდებისა და ფინანსური ურთიერთობების ფორმებს (Öberg et al., 2018; Osterwalder and Pigneur, 2010).

14.კვლევის შედეგები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ციფრულმა პლატფორმებმა მსოფლიო ეკონომიკის ფუნდამენტური რესტრუქტურიზაცია მოახდინეს. ისეთმა კომპანიებმა, როგორიცაა Uber, Airbnb, Alibaba და Amazon, არა მხოლოდ ახალი ბაზრები შექმნეს, არამედ არსებული ინდუსტრიების ტრანსფორმაციაც განაპირობეს. მრავალმხრივი ციფრული პლატფორმების (multi-sided digital platforms) ბიზნეს-მოდელებმა შესაძლებელი გახადა სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფების ურთიერთდაკავშირება, რაც ქმნის ღირებულებას არა მხოლოდ ცალკეული ტრანზაქციების, არამედ მთლიანი ეკოსისტემის დონეზე.

საქართველო ამ გლობალური ტენდენციის აქტიური ნაწილია. Galt & Taggart-ის (2025) მონაცემებით, ქვეყნის ელექტრონული კომერციის ბაზარი, რომელიც 2024 წელს 3.5 მილიარდ ლარს შეადგენდა, 2025 წელს 4.7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველ ნახევარში წლიურმა ზრდამ რეკორდული 40.6% შეადგინა. ეს დინამიკა ძირითადად განპირობებულია ციფრული პლატფორმების გავლენით, რომლებიც სულ უფრო მეტად დომინირებენ როგორც საქონლით ვაჭრობის, ისე მომსახურების სფეროში. სერვისების სეგმენტში წამყვან პოზიციებს იკავებენ Wolt, Glovo, Bolt, TKT.ge და Biletebi.ge, ხოლო საქონლით ვაჭრობის ნაწილში — Veli.Store, Extra.ge და სხვა მსხვილი ქსელური ბრენდების ონლაინ მაღაზიები.

საქართველოს ციფრულ ლანდშაფტზე დაკვირვებისას, პლატფორმული სტრატეგიის ყველაზე მასშტაბურ მაგალითს TNET წარმოადგენს. ეს არის ქვეყნის უმსხვილესი ტექნოლოგიური ეკოსისტემა, რომლის ანალიზიც ნათლად აჩვენებს მულტიპლატფორმული მოდელის მუშაობის პრინციპებს ლოკალურ ბაზარზე:

- ეკოსისტემური მასშტაბი: TNET აერთიანებს 10-ზე მეტ ლიდერ პლატფორმას (Mymarket, Myauto, Myhome, TKT.ge, Vendoo, Swoop და სხვ.). მათზე მოდის საქართველოს მთლიანი ინტერნეტ-ტრაფიკის დაახლოებით 40%, ხოლო თვიური უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა (2 მილიონი) ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის თითქმის 70%-ს შეადგენს.
- Super App მოდელი: სტრატეგიული პრიორიტეტია სასიცოცხლო სერვისების — შოპინგის, ბილეთების, გადახდებისა თუ უძრავი ქონების — ერთიან ციფრულ სივრცეში ინტეგრირება. ეს მიდგომა მკვეთრად ამცირებს მომხმარებლის მოზიდვის ხარჯებს (Customer Acquisition Cost) და ზრდის მათ ლოიალობას.

- ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია: ეკოსისტემის მიერ კრიტიკული სექტორების (ავტოინდუსტრია, უძრავი ქონება, დასაქმება) ფართო დაფარვა კომპანიას აძლევს წვდომას დიდ მონაცემებზე (Big Data), რაც მომხმარებლის ქცევის სრულ სურათს ქმნის.
- სინერგია TBC Bank Group-თან: როგორც ჯგუფის ნაწილი, TNET სარგებლობს მძლავრი ფინანსური რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, რაც მას უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს.

TNET-ის გარდა, საქართველოში პლატფორმული სტრატეგიის წარმატებული იმპლემენტაციის ნიმუშია საქართველოს ბანკი, რომელმაც ტრადიციული საბანკო საქმიანობიდან Super App მოდელზე გადასვლა მოახდინა. ბანკმა შექმნა ციფრული ეკოსისტემა, რომელიც ფინანსურ სერვისებთან ერთად აერთიანებს ცხოვრების სტილზე მორგებულ პლატფორმებს. ამის მაგალითია Extra.ge (რომელიც ბანკის ეკოსისტემის ნაწილია) და soplidan.ge-სთან თუ სხვა რითეილ პლატფორმებთან ინტეგრაცია.

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია პლატფორმული ბიზნესისთვის დამახასიათებელი რამდენიმე საერთო ნიშნის იდენტიფიცირება, რომლებიც გამყარებულია სამეცნიერო ლიტერატურით:

- ღირებულების ერთობლივი შექმნა: ღირებულება იქმნება მომხმარებელთა საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და ურთიერთქმედებით (Kenney& zusman, 2015);
- ქსელური ეფექტები: ყოველი ახალი მომხმარებელი ზრდის პლატფორმის სარგებლიანობას სხვა მონაწილეებისთვის (Parker et al., 2016);
- მასშტაბის გაფართოება: ციფრული მოდელი იძლევა შესაძლებლობას, ოპერაციები გაფართოვდეს მინიმალური დამატებითი დანახარჯებით, განსხვავებით ფიზიკური პროდუქტებისგან, სადაც ყოველი ერთეული დაკავშირებულია მაღალ ფიქსირებულ ხარჯებთან (Nambisan, 2017).

ამრიგად, პლატფორმული ბიზნეს-მოდელები ხასიათდება მაღალი დემატერიალიზაციით, შუამავლობის ეფექტიანი მექანიზმებითა და ინოვაციური სერვისების მიწოდების უნარით, რაც მათ თანამედროვე ეკონომიკის საკვანძო ელემენტად აქცევს.

დასკვნა. წინამდებარე კვლევამ წარმოაჩინა ბიზნეს-პლატფორმების კომპანიების როლი ინოვაციური მოდელების განვითარებაში ღირებულების შეთავაზებისა და მოთხოვნა-მიწოდების შუამავლობის კუთხით, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ციფრული ეკონომიკისკენ მიმდინარე ტრანსფორმაციას.

დადასტურდა, რომ ამ ტიპის ბიზნესებისთვის რამდენიმე საერთო ნიშანია დამახასიათებელი, მათ შორისაა: მომხმარებელთა/მომსახურების მიმწოდებელთა საზოგადოების მნიშვნელობა, ქსელური ეფექტების არსებობა, ბიზნესის მასშტაბურობა, ღირებულების შექმნის ახალი წყაროების გახსნის შესაძლებლობა, პლატფორმების მაღალი დემატერიალიზაცია და მათი მნიშვნელოვანი როლი მოთხოვნა-მიწოდების შუამავლობაში.

საქართველოში ციფრული პლატფორმების ბიზნეს სტრატეგიები გამოირჩევა მოქნილობით, ლოკალურ ადაპტაციაზე ორიენტირებითა და სერვისების დივერსიფიკაციით. წარმატება დამოკიდებულია ლოგისტიკური გამოწვევების დაძლევაზე, ციფრული წიგნიერების ამაღლებასა და მარეგულირებელ გარემოსთან თანამშრომლობაზე. ბაზარი სწრაფად იზრდება და მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტ ინოვაციას უნდა ველოდოთ.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი დასკვნებია:

- მრავალმხრივი პლატფორმის მოდელის დომინირება: საქართველოში წარმატებული ციფრული პლატფორმები იყენებენ მრავალმხრივი პლატფორმის (multi-sided platform) ბიზნეს

მოდელს, რომელიც ეფუძნება ქსელურ ეფექტებს, მონაცემთა ანალიტიკას და მომხმარებელზე ორიენტირებულ ინოვაციებს.

- ლოკალური ადაპტაციის მნიშვნელობა: საერთაშორისო პლატფორმებმა (Wolt, Bolt, Yandex) წარმატებას მიაღწიეს ლოკალური ადაპტაციის, მოქნილი საფასო სტრატეგიებისა და ადგილობრივ ბიზნესებთან პარტნიორობის წყალობით.
- ინფრასტრუქტურული და რეგიონალური ხარვეზები: რეგიონული დაფარვის პრობლემები, მიწოდების სიჩქარე და მომწოდებლების ნაკლებობა კვლავ რჩება ძირითად გამოწვევებად.
- სამართლებრივი და რეგულაციური გაურკვევლობა: პლატფორმის მუშაკთა სამართლებრივი სტატუსის და პლატფორმების საგადასახადო რეგულაციების გაურკვევლობა ბადებს რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრიგოლაია, ნ. (2025). ციფრული ტრანსფორმაციის როლი თანამედროვე ბიზნესში. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ინოვაცია“, 2025/4. https://doi.org/10.52340/scai
2. გრიგოლაია, ნ. და ადუაშვილი ლ. თანამედროვე ბიზნესის ტრანსფორმაცია: ციფრული პლატფორმები და გიგ ეკონომიკა. ივერიონი (2025). ISBN: 978-9941-8-8381-1
3. *Grigolaia, N. & Aduashvili L.* Gig Economy in Georgia: New Labor Market Dynamics and Social Challenges. International Journal of Management and Organizational Research, Vol. 4, No. 6 (2025a), pp. 14-22. https://doi.org/10.54660/IJMOR.2025.4.6.14-22
4. *Grigolaia, N.* Challenges of Tax Regulation in the Gig Economy. Proceedings of Conference: 7th International Scientific Conference STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT (2024), pp. 36-39.
5. Galt & Taggart. (2025). E-commerce in Georgia (Presentation).
6. Parker, G. G., Van Alstyne, M. W., & Choudary, S. P. (2016). Platform revolution: How networked markets are transforming the economy and how to make them work for you. New York, NY: W. W. Norton & Company. https://www.scirp.org/reference/referencespapers?referenceid=3283796
7. Dufva, M., Koivisto, R., Ilmola-Sheppard, L., and Junno, S. (2017), “Anticipating Alternative Futures for the Platform Economy”, Technology Innovation Management Review, Vol. 7, No. 9, pp. 6-16.
8. Kenney, M., and Zysman, J. (2015), “Choosing a future in the platform economy: the implications and consequences of digital platforms”. In Kauffman Foundation New Entrepreneurial Growth Conference (Vol. 156160).
9. Müller, J. M., Buliga, O., and Voigt, K. I. (2018), “Fortune favors the prepared: How SMEs approach business model innovations in Industry 4.0”, Technological Forecasting and Social Change, 132, pp. 2-17.
10. Öberg, C., Shams, T., and Asnafi, N. (2018), “Additive Manufacturing and Business Models: Current Knowledge and Missing Perspectives”, Technology Innovation Management Review, Vol. 8, No. 6, pp. 15-33.
11. Oestreicher-Singer, G., and Zalmanson, L. (2012), “Content or community? A digital business strategy for content providers in the social age”, MIS Quarterly, Vol. 37 No. 2, pp. 591-616.

12. Nambisan, S. (2017). “Digital entrepreneurship: Toward a digital technology perspective of entrepreneurship”, Entrepreneurship Theory and Practice, Vol. 41, No. 6, pp. 1029- 1055.

13. Van Alstyne, M. W., Parker, G. G., and Choudary, S. P. (2016), “Pipelines, platforms, and the new rules of strategy”, Harvard Business Review, Vol. 94, Issue 4, pp. 54–62.

14. Veit, D., Clemons, E., Benlian, A., Buxmann, P., Hess, T., Kundisch, D., Leimeister, J.M., Loos, P., and Spann, M. (2014), "Business Models. An Information Systems Research Agenda", Business & Information Systems Engineering, Vol. 6, No. 1, pp. 45-53.

15. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2024). Digital Transformation in Small and Medium-sized Enterprises: New Approaches and Challenges (focus: agricultural sector of Georgia). Medicon Agriculture & Environmental Sciences, 6(1). DOI: 10.55162/MCAES.06.15

16. Yoo, Y., Boland Jr, R. J., Lyytinen, K., and Majchrzak, A. (2012), “Organizing for

17. Zott, C., Amit, R., and Massa, L. (2011), “The business model: recent developments and future research”, Journal of Management, Vol. 37, No. 4, pp. 1019-1042.

18. www. Tinet. ge- შპს თინეთი

19. www.tbcbank.ge- თიბისი ბანკი

მინიმალური ხელფასები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოს პერსპექტივები
Minimum Wages in European Union Member States and Prospects for Georgia

რამაზ ფუტკარაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
Ramaz Putkaradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctor of Economics
Associate Professor

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია მინიმალური ხელფასების პოლიტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და საქართველოს განვითარების პერსპექტივები. მინიმალური ხელფასი წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ ინსტრუმენტს, რომელიც არეგულირებს შრომის ბაზარს, უზრუნველყოფს შემოსავლების სტაბილურობას და ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას. მისი ეფექტიანი გამოყენება აძლიერებს სოციალურ დაცვას და ეკონომიკურ სტაბილურობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. (European Commission, 2024).

კვლევაში გაანალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში მინიმალური ხელფასების დონეები და პოლიტიკა (Eurostat, 2026). დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში მინიმალური ხელფასები მაღალია და უზრუნველყოფს მაღალ სოციალურ სტანდარტებს, ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში შედარებით დაბალია. ეს განსხვავებები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს კონტექსტში.

საქართველოში მინიმალური ხელფასის პოლიტიკა გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე, ფასების სტაბილურობაზე, ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის შემცირებაზე. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო გამოცდილება და ადგილობრივი ეკონომიკური გარემო (World Bank, 2025)., ასევე წარმოდგენილია შესაძლო პოლიტიკის მიმართულებები, მათ შორის ეტაპობრივი ზრდა, სექტორული მიდგომა და სოციალური პოლიტიკის ინტეგრაცია.

ევროკავშირის 2022 წლის დირექტივა რეკომენდაციას იძლევა მინიმალური ხელფასის მიახლოებას საშუალო ხელფასის 50%-თან ან მედიანური ხელფასის 60%-თან (European Commission, 2024). საქართველოში მოქმედი მინიმალური ხელფასი (20 ლარი) პრაქტიკულად სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ ცხოვრების სტანდარტს.
საკვანძო სიტყვები: მინიმალური ხელფასი, ევროკავშირის ქვეყნები, მსოფლიო ეკონომიკა, შრომის ბაზარი, PPP/PPS, საქართველოს პერსპექტივები.

Abstract. This paper examines the issue of minimum wages in European Union (EU) member states and the development prospects for Georgia. The minimum wage is an important social and economic instrument that regulates the labor market, ensures the stability of household budgets, and helps reduce poverty. Its effective implementation contributes to economic stability and strengthens social protection, which is particularly important for developing countries, including Georgia.

The study analyzes the levels and policies of minimum wages across EU countries. In Western and Northern Europe, minimum wages are relatively high and support the maintenance of strong social standards, whereas in Southern and Eastern European countries, they are comparatively lower. A comparative analysis allows for the identification of best practices that could be applied in the Georgian context.

In Georgia, an increase in the minimum wage significantly impacts labor market organization, price stability, economic growth, and poverty reduction. The paper reviews international experiences and assesses the local economic situation. Various strategic approaches are discussed, including a gradual increase model, sector-specific differentiation, and integrated social policy measures.

The EU's 2022 directive emphasizes the importance of fair remuneration and recommends that member states set minimum wages at 50% of the average wage or 60% of the median wage. In Georgia, the legislatively defined minimum wage (20 GEL) remains largely symbolic and does not guarantee a decent standard of living for employees. As of January 1, 2026, 22 of the EU's 27 countries have a national minimum wage, while Denmark, Italy, Austria, Finland, and Sweden do not use such systems.

Ongoing discussion of this issue is essential, as EU experiences demonstrate the critical role of minimum wages in ensuring social and economic balance. This is particularly relevant for Georgia, where the current minimum wage level does not meet real needs and requires systematic reform.
Keywords: Minimum wage, European Union member states, World economy, Labor market, PPP/PPS, Prospects for Georgia.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე მინიმალური ხელფასი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მისი ძირითადი მიზანია დასაქმებულთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, სიღარიბის შემცირება და ღირსეული შრომითი პირობების შექმნა. ევროკავშირის ქვეყნებში იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ბაზრის რეგულირებაში, თუმცა მისი განსაზღვრის მექანიზმები ქვეყნებს შორის განსხვავებულია.

მინიმალური ხელფასის არსი და ფუნქციები

ცნობილია, რომ მინიმალური ხელფასი წარმოადგენს შრომის ანაზღაურების იმ მინიმალურ ოდენობას, რომლის ქვემოთ დამსაქმებელს თანამშრომლისთვის ხელფასის გადახდა არ შეუძლია. იგი სოციალური დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია და ასრულებს რამდენიმე ძირითად ფუნქციას: დასაქმებულთა სიღარიბის შემცირება; სოციალური უთანასწორობის შემცირება შრომითი პირობების გაუმჯობესება; მომხმარებლის მსყიდველუნარიანობის ზრდა; არაფორმალური დასაქმების შემცირება და სხვ.

საერთაშორისო ეკონომიკურ თეორიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნეოკლასიკური ეკონომიკის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელოვნურად გაზრდილი მინიმალური ხელფასი შეიძლება უმუშევრობის ზრდის მიზეზი გახდეს (Krugman & Wells, 2022), რადგან დამსაქმებლები ამცირებენ სამუშაო ადგილებს. მეორე მხრივ, კეინსიანური მიდგომა ხაზს უსვამს, რომ მაღალი ხელფასი ზრდის მოხმარებას და ეკონომიკურ აქტივობას (OECD, 2025).

მინიმალური ხელფასები ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნიდან 22-ს აქვს კანონით განსაზღვრული ეროვნული მინიმალური ხელფასი (Eurostat, 2026), ხოლო 5 ქვეყანა: დანია, იტალია, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი მსგავს სისტემას არ იყენებენ.

ევროკავშირის ქვეყნებში მინიმალური ხელფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომელიც მერყეობს დაახლოებით 620 ევროსგან (ბულგარეთი) 2700 ევრომდე (ლუქსემბურგი). ქვემოთ მოცემული ცხრიებიდან N1-3 Eurostat. (2026) და გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2026 წლისთვის ყველა წარმოდგენილ ქვეყანაში მინიმალური ხელფასი გაიზარდა. ევროკავშირის ქვეყნები იყოფა სამ ჯგუფად:

1. ქვეყნები, სადაც მინიმალური ხელფასი 1500 ევროზე მეტია;
2. ქვეყნები, სადაც მინიმალური ხელფასი 1000–1500 ევროს შორისაა;
3. ქვეყნები, სადაც მინიმალური ხელფასი 1000 ევროზე ნაკლებია.

One of the main issues in creating a system of indicators for analyzing (monitoring) social processes is the choice of assessment methodology. At first glance, the most appropriate is the method of limiting (critical) indicators, in which reaching or exceeding certain threshold values indicates the growth of negative trends and the need to reconfigure state regulation instruments.

However, when it comes to migration, especially labor migration, it is quite difficult to determine the threshold values. For example, when determining the marginal share of foreign labor in the labor market based on an analysis of foreign experience, it may turn out that a significant excess of migrants, both in certain sectors and in the economy as a whole, not only does not hinder development, but also promotes it. A striking example is the United Arab Emirates, where the share of employed foreigners in the private sector is 99.5%[698].

On the other hand, even a small share of foreign workers in the labor market, under certain conditions, can lead to negative economic and social consequences. In most cases, social factors come to the fore, which are extremely difficult to quantify and develop an appropriate indicator based on reliable primary statistical information.

Also, the use of the expert assessment method to determine threshold values is not always justified, due to different scientific approaches (conservative, liberal, centrist) to assessing the impact of "foreign monetary power (FMP)" on the development of the economy and the social sphere[699].

In this regard, the most suitable method for analyzing labor migration processes is the method of constructing time series of absolute (including average) and relative values.

It should be noted that, in our opinion, it is appropriate to study both the migration processes themselves and the processes they influence using data on their changes over time, that is, we will talk about the analysis of dynamics indicators that characterize the following processes and phenomena[700]:

- The impact of labor migration on the domestic labor market;
- The impact of labor emigration on the level of human capital development;
- Remittances of labor migrants to their homeland and their impact on the economic development of labor donor countries;
- The impact of labor emigration on the expenditure and revenue components of the budget of the donor state;
- An estimate of the losses associated with labor emigration, which are borne by the labor donor state (Table 2). Based on the dynamics of indicators over a three- or five-year period, one can make both the scale of labor migration development and the processes on which it influences.

It also becomes necessary to use different methods of collecting primary information. However, the introduction of such a system will significantly expand the possibilities of managing migration processes, which will immediately respond to negative trends.

CONCULUSION

In conclusion, it should be noted that the use of the above blocks of indicators is impossible without significant changes in the methodology for collecting and processing statistical data. Primary information

[698] https://www.worldbank.org/en/region/eca/brief/migration-and-remittances [24.01.2026]
[699] http://web.worldbank.org/archive/website01419/WEB/IMAGES/MIKHAILK.PDF [14.02.2026]
[700] https://surl.li/snkkux [03.02.2026]

on the proposed indicators should be collected by various state structures/departments, which requires the creation of a comprehensive information base, which is filled online from various government sources.

Table 3. The consequences of labor migration on the economies of donor states

Positive Results	Negative Results
Impact on the labor market	
Alleviates/reduces tensions in the domestic labor market due to reduced unemployment	In some professions, workers are dequalified (in case of mismatch between types of activity)
The possibility of introducing labor-saving technologies without negative consequences for the labor market is increasing	Problems of reintegration of declassified migrants returning to their homeland (in case of forced return due to loss of employment abroad)
	Reduction in the total number of economically active population
Impact on human capital development	
Improving qualifications or learning a new profession for employees	Qualified labor force is being lost, the human resource potential of the economy is declining, and a "brain drain" is occurring
Poverty among the population is decreasing	The development of dependence on "others" in society, the decline of private initiative.
Impact on the production of goods and services	
Stimulating the growth of some areas of local production (mainly consumer goods) and construction (at the expense of residential housing as the main means of accumulation)	The outflow of qualified personnel reduces the ability to develop new types of goods and services
Accumulation of start-up capital for small and medium-sized businesses after migrants return, which contributes to the formation of a "middle class" in donor countries	
We will manage both the state/public and private sector transportation sectors	
Impact on the state budget and financial sector	
Increase in budget revenues due to commission payments on remittances from abroad	Inflation occurs because the money supply increases without an increase in the supply of goods and services
Revenues to the budget for intermediary services during employment abroad are increasing	Due to the inflow of foreign currency, the national currency, which is used for cash payments, is strengthening
The balance of payments deficit is decreasing due to remittances from abroad	Capital outflow from the country is increasing
Budget expenditures on social items (health and education) are decreasing. All of this is directly related to personnel migration	There is a shift in capital investment from the development of productive resources to consumption
	Financial expenses for training specialists (education, social expenses)
Impact on domestic economic activity	

Table 4. Blocks/groups of indicators for assessing the impact of labor migration (Indicators) on the economic development of labor donor countries

	Blocks	Indicators
1.	The impact of labor migration on the domestic labor market	➢ Share of labor immigrants in the total economically active population. ➢ The ratio of the share of labor immigrants in the economic sector and the share of the unemployed in the labor market. ➢ The ratio of the share of labor immigrants who had a job before departure to the share of labor immigrants who did not have a permanent job before departure.
2.	The impact of labor emigration on the level of human capital development	➢ Ratio of the share of labor migrants with secondary specialized education to the share of the working-age population with secondary specialized education. ➢ Ratio of the proportion of labor migrants with higher education to the proportion of the working-age population with higher education. ➢ Ratio of the share of labor migrants with postgraduate education to the share of the working-age population with postgraduate education. ➢ Ratio of the average age of labor immigrants to the average age of the economically active population. ➢ Share of remittances that households spend on education and healthcare. ➢ Share of working labor migrants in the total number of labor immigrants according to their qualifications and education. ➢ The share of migrants with low-skilled employment and higher and secondary specialized education in the total number of labor immigrants.
3.	Remittances of labor migrants to their homeland and their impact on the economic performance of donor countries	➢ Total amount of money transferred to the homeland by labor immigrants. ➢ Average amount of remittances per labor immigrant. ➢ The ratio of emigrants' remittances to the potential taxes that emigrants could pay if they were employed in their home country. ➢ Share of remittances that households spend on current consumption ➢ Share of remittances that households save. ➢ The ratio of the share of remittances that households spend on current consumption and the share of remittances that households keep in savings. ➢ Share of remittances from labor migrants in the country's gross domestic product.
3.	ðThe impact of Roman emigration on state budget revenues and expenditures	➢ Amount of budget savings on social expenditures caused by labor emigration ➢ Amount of monetary income from labor emigration to the budget (taxes and mandatory payments paid by private employment agencies, employment centers, etc.)
3.	Value/quantification of labor migration-related losses suffered by labor donor countries	The amount spent on education, healthcare, and social services that was spent on labor immigrants.

REFERENCES

1. https://surl.li/aqyzfh [24.01.2026]
2. https://surl.li/kjnfpl [02.02.2026]
3. https://surl.li/snkkux [03.02.2026]
4. https://www.worldbank.org/en/region/eca/brief/migration-and-remittances [09.02.2026]
5. https://bit.ly/3Xc7Qal [06.02.2026]
6. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/36089 [27.01.2026]
7. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32481/211506RU.pdf [11.02.2026]
8. http://web.worldbank.org/archive/website01419/WEB/IMAGES/MIKHAILK.PDF [14.02.2026]
9. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data [27.02.2026]

ბიზნესის მდგრადობა - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარი
Business Sustainability - A Prerequisite for a country's Socio-Economic Development

რამაზ ოთინაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი. პროფესორი
მარიამ კუპრაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი,დოქტორანტი
Ramaz Otinashvili
Georgian Technical University
epartment of Business Administration. Professor
Mariam Kuprashvili
Georgian Technical University
Faculty of Business Technologies. PhD Student

აბსტრაქტი. ნაშრომი მიმოიხილავს ბიზნესის მდგრადობის როლსა და გავლენას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე. სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობაა ბიზნესის სტაბულური განვითარება. ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების რეალიზაცია წარმოადგენს ბიზნესის უსაფრთხოების საფუძველს, თუმცა ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ მდგრადობის ეფექტური უზრუნველყოფისთვის აღნიშნულ ტრიადას დამატებითი კომპონენტის ინტეგრირება ესაჭიროება. ჩვენი აზრით სწორედ ინოვაცია და ტექნოლოგია უნდა იქნას განხილული მეოთხე ასპექტად, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადობის ეფექტურ მართვას და გამოწვევების მინიმიზაციას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების რეალიზაციის პროცესში.

ბიზნესის მდგრადობა უშუალო გავლენას ახდენს სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობასა და ქვეყნის ეკოსისტემის დაცვას. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ცირკულარულ**

ეკონომიკას, რომლის ფუნქციონირებაც გამოიხატება რესურსების მდგრადი წარმოებისა და მოხმარების მოდელში. აღნიშნული კონცეფცია უზრუნველყოფს ბიზნესის მდგრადობის რეალიზებას, ხოლო ეფექტური ინვესტირება კი გვევლინება ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები ანიჭებენ პრიორიტეტს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრად პროექტებს. მდგრადობა უშუალოდაა დამოკიდებული ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს და იძლევა გამოწვევების ეფექტური მართვის შესაძლებლობას [2].

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის მდგრადობა, ინვესტიცია, ინოვაცია, ტექნოლოგია, ცირკულარული ეკონომიკა.

Abstract. The paper examines the role of business sustainability and its impact on a country's socio-economic development. Numerous scientific and analytical studies indicate that business sustainability constitutes one of the key prerequisites for contemporary economic development. Achieving economic, social, and environmental objectives forms the fundamental basis of business sustainability; however, empirical evidence suggests that ensuring effective sustainability requires the integration of an additional component into this triad. Innovation and technology should therefore be considered a fourth component, facilitating the effective planning of sustainability and minimizing conflicts among economic, environmental, and social goals.

In the modern context, business sustainability is an integral part of both international and national policies, influencing a country's macroeconomic indicators, ensuring long-term economic growth, social well-being, and ecosystem protection. In this regard, particular importance is attached to the circular economy, which represents a model for the sustainable production and consumption of resources. This concept enables the effective achievement of business sustainability goals, while sustainable investment serves as a financial instrument through which companies and financial institutions prioritize environmentally, socially, and economically sustainable projects. Ensuring business sustainability is directly linked to business safety, which constitutes a key element of a country's national security system and provides the opportunity for effective risk management [2].

შესავალი

ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია ეფექტურად ფუნქციონირება. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს და მშპ-ის სტრუქტურას. ბიზნესი მუდმივად იცვლება, ღებულობს სხვადასხვა ფორმას, გარდაიქმნება და განიცდის ევოლუციას. წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის სწორ მართვას. მკაცრი კონკურენციის პირობებში მეწარმეობას მუდმივად თან სდევს რისკები. შედეგად, მდგრადობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისთვის განურჩევლად საკუთრების ფორმისა თუ მასშტაბებისა. განსხვავება იმაშია თუ რა საშუალებები და მეთოდებია ამისათვის საჭირო. თანამედროვე პირობებში დგება მენეჯმენტის ახალი ეპოქა, რომლის მთავარი ასპექტია გამოწვევებზე სწრაფი რეაგირება.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის მდგრადობა წარმოადგენს ცენტრალურ ასპექტს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის. განვითარებული ბიზნესი განსაზღვრავს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს და არსებით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მოწინავე კვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყნებში, სადაც ხდება ESG სტანდარტების რეალიზაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უფრო თვალსაჩინოა, ვინაიდან ინვესტიციები და ინოვაციური ტექნოლოგიები ემყარება უსაფრთხო ბიზნეს-პრაქტიკას [4]. მდგრადი ინვესტიციები ამცირებს წარმოების დანაკარგებს და ხელს უწყობს სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას ბიზნეს სექტორში [5].

მოწინავე ტექნოლოგიები და ინოვაციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ESG პრინციპების ეფექტურ რეალიზაციაში. აღნიშნულის პრაქტიკული მაგალითებია მათი გამოყენება განახლებადი ენერგიის, ნახშირბადის ემისიების შემცირებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის სფეროებში [6]. ტრადიციული ეკონომიკური მოდელისგან განსხვავებით, სადაც პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი მთავრდება მათი ნარჩენად გადაქცევით, ხოლო ეკონომიკური

ზრდა დამოკიდებულია რესურსების მოპოვებაზე, ცირკულარული ეკონომიკის მოდელი წარმოადგენს მდგრადი წარმოებისა და მოხმარების სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების მაქსიმალურ გამოყენებასა და ნარჩენების შემცირებას.

ბიზნესის მდგრადობის კონტექსტში კი ცირკულარული ეკონომიკა ქმნის ინოვაციური ბიზნეს მოდელების დანერგვის შესაძლებლობებს. აღნიშნულ პროცესში ინვესტირება მოქმედებს, როგორც ფინანსური სტიმული, რომელიც კომპანიებს აძლევს საშუალებას მიმართონ კაპიტალი ინოვაციურ აქტივებში. თავის მხრივ, ინოვაციური ბიზნეს-მოდელები და ინვესტირება ურთიერთდაკავშირებულია: ბიზნესის მხრიდან განხორციელებული ინოვაცია აძლიერებს კომპანიის ფუნდამენტურ ფინანსურ პოზიციებს, ზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას და ქმნის დადებით ეკონომიკურ ეფექტს, როგორც კომპანიის ისე ეროვნული ეკონომიკის დონეზე.

კვლევის სიახლე მდგომარეობს ბიზნესის მდგრადი განვითარების კონტექსტში ინვესტიციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების როლის შეფასებაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში ცირკულარული ეკონომიკის საზღვრებში.

ძირითადი ნაწილი

ბიზნესი ფუნქციონირებს გარკვეულ პირობებში, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის შესაბამის გარემოს. წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა განსაზღვრული პირობები, გამოყოფენ ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს. ბუნებრივი გარემო განისაზღვრება კლიმატური და ნიადაგის მდგომარეობით. აღნიშნულ გარემოში ადამიანის მოღვაწეობისათვის პირობები ასევე შეზღუდულია. მაგალითად, დედამიწის ფართობი 510,2 მლნ. კვ. კმ.-ის ტოლია, რომლის 3/4 უკავია ზღვებსა და ოკეანეებს. ამასთან განსხვავებულია ნიადაგის პირობები, შეზღუდულია სასარგებლო წიაღისეული, განსხვავებულია ფლორა და ფაუნა და ა.შ. [6].

საკუთარი ცხოვრების კვლავწარმოების პროცესში საზოგადოება გარემომცველი ბუნებიდან ღებულობს სხვადასხვა ნივთიერებებს: ნედლეულს, ენერგოშემცველებს და ა.შ. გამოყენების შემდეგ კი უკან აბრუნებს ნარჩენებს. ისტორიულად, ყველა ეპოქაში, ცხოვრების მანძილზე ადამიანი ყოველთვის საკუთარ თავზე ირგებდა ბუნებისაგან ბოძებულ საცხოვრებელ გარემოს, რაც ხშირად მისთვის ზიანის მიყენებით მთავრდებოდა.

ცივილიზაციის თანამედროვე კრიზისი საზოგადოების თავისუფალი განვითარების ათი ათასი წლის შედეგია. თუ ძველ დროში აღნიშნული ზიანი უმნიშვნელო იყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუნებას, შეიძლება ითქვას, მიადგა აუნაზღაურებელი ზიანი.

ადამიანი ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობების სამყაროში. მეორე მხრივ, მისი მოთხოვნილებები მზარდი და უსაზღვროა. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების მთავარი გამოწვევა - შეზღუდული რესურსსების სამყაროში ადამიანის მრავალმხრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ საჭიროა ფრთხილი მიდგომა, რომ ინვესტიციებმა არ დააზარალოს ბუნებრივი ეკოსისტემა.

სტატისტიკური კვლევის მიხედვით, რომელიც ეფუძნება მსოფლიო ბანკის მონაცემებს, ESG ფაქტორებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესაფასებლად გამოყენებულია პანელური მონაცემების ეკონომეტრიკული ანალიზი [1, გვ 38]. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია 180 ქვეყნის ეკონომიკური მონაცემი, საორიენტაციო პერიოდი მოიცავს 2015–2023 წლებს. ანალიზი მოცემულია ფიქსირებული ეფექტების პანელური რეგრესიის მოდელის გამოყენებით. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორები კორელაციურ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან, განსაკუთრებით კი სოციალური კომპონენტთან, რომლის მიხედვითაც სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა დაახლოებით 1.81%-

ით ზრდის მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე. შედეგად, ინვესტირება ჯანდაცვასა და განათლებაში ზრდის არა მარტო სამუშაო ძალის ხარისხს, არამედ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ინოვაციური ტექნილოგიები გამოდის, როგორც ბიზნეს რესურსსი. თუ ძველ დროში, ტრადიციული ეკონომიკის პირობებში, საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის ცხოვრების დონე უმნიშვნელოდ იცვლებოდა. დაწყებული მე-18 საუკუნიდან, მას შემდეგ რაც კაცობრიობამ აღმოაჩინა და დაიწყო გამოყენება ახალი ენერგიის წყაროების, სულ უფრო უმჯობესდება ტექნოლოგიები. ადგილი აქვს ტექნიკურ პროგრესს, რისი საფუძველიც მეცნიერების განვითარებაა. განვითარებული ქვეყნები ინოვაციურ კვლევებზე მნიშვნელოვან ინვესტიციებს მიმართავენ [6].

უდიდესია მეცნიერების როლი ბუნებრივი რესურსსების ათვისებაში. თანამედროვე ტექნოლოგიებით მიიღება მაღალხარისხიანი, მსუბუქი და ადვილად ტრანსპორტირებადი მასალები, რომლებიც დამზადებულია ენერგოდამზოგველი უნარჩენო ტექნოლოგიებით.

მრავალი სინთეტიკური მასალა წარმატებით ცვლის ნატურალურ რესურსს. მაგალითად, კავშირგაბმულობაში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ოპტიკურბოჭკოვანი სადენები. ბოლო პერიოდის მეცნიერული აღმოჩენების შედეგად, ფიჭური (მობილური) კავშირგაბმულობით შესაძლებელი გახდა ზღვა ინფორმაციის ფიზიკური სადენების გარეშე გადაცემა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი სფერო არ განვითარდა ისე სწრაფად, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიები.

არსებობს გარკვეული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით ბიზნეს კოოპერაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დონესა და, მეორე მხრივ, მის ინოვაციურ განვითარებას შორის. ეს ჩანს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებიდან, რომელიც ატარებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ყოველწლიურ შეფასებას. ამ კუთხით ტრადიციული ლიდერები არიან: სინგაპური, აშშ, ჰონგკონგი, იაპონია, შვეიცარია [7].

ინოვაციური ფაქტორი გადამწყვეტია განვითარებული ქვეყნების ბიზნესის კონკურენტუნარიანობაში. მათში ჩამოყალიბდა ინოვაციური კლასტერების სისტემა, აქტიურია უნივერსიტეტებისა და კომპანიების თანამშრომლობა. ადგილობრივი თვითმართველობები იღებენ ქმედით მონაწილეობას ინოვაციური პროექტების შემუშავებასა და რეალიზებაში. ბიზნესკომპანიები, თავის მხრივ, იღებენ პასუხისმგებლობას სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, როგორიცაა ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება, გარემოს დაცვა, პერსონალის მომზადება და ა.შ.

გარემოსდაცვითი კომპონენტის შეფასების მიხედვით, ნახშირბადის ემისიების 1%-იანი ზრდის შედეგია 0.17%-იანი მშპ-ს ზრდა ერთ სულ მოსახლეზე. აღნიშნული შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნახშირბადის ინტენსიურ წარმოებასა და ენერგო მოხმარებაზე და საჭიროებს ტრანსფორმაციას მდგრადი ბიზნესის კუთხით, ინოვაციებისა და მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრირებით.

2020 წელს საერთო გლობალური რესურსების დაახლოებით 104 მლრდ ტონიდან მხოლოდ 9%-ის გადამუშავება და გამოყენება მოხერხდა. აღნიშნული მსოფლიო მშპ-ს მხოლოდ 1-2%-ს შეადგენს. როგორც ცნობილია, რესურსების გონივრული გამოყენება და მართვა განაპირობებს ეკონომიკურ სარგებელს [10, გვ 443-447]. მაგრამ, აღნიშნული პროცესები იწვევს რისკებს ეკონომიკის და გარემოს დაცვის სფეროებში, რაც ბიზნეს ტექნოლოგიებში ინოვაციებისა და მწვანე ინვესტიციების ინტეგრაციის აუცილებლობის საწინდარია.

ემპირიული ანალიზით გამოიკვეთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომ ცირკულარული ეკონომიკა ინოვაციებთან და კვლევა/განვითარებაზე (R&D) გაწეულ ხარჯებთან ერთად მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე, ეკონომეტრიკული მოდელების (VAR; Granger Causality) საფუძველზე დადგინდა, რომ R&D ინვესტიციები ასტიმულირებს მეწარმეობას, რაც, თავის მხრივ, ავითარებს ქვეყანაში ინოვაციურ აქტივობას და ხელს უწყობ მდგრად ეკონომიკურ ზრდას [9].

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიზნესის უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის კონტექსტში. ბიზნესის დაცულობა განაპირობებს რისკების ეფექტურ მართვას, რაც არსებითია მდგრადი ინვესტიციებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის. შედეგად, ESG პრინციპების ეფექტური რეალიზაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური რისკების მართვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას აქვს სისტემური ხასიათი.

აღნიშნული შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სინერგია, მხარდაჭერილი ინოვაციებით და ცირკულარული ეკონომიკით, ქმნის ნოყიერ ფუნდამენტს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ინოვაციური ტექნოლოგია არა მხოლოდ დამატებითი ფაქტორებია ESG ანალიზისას, არამედ ინტეგრაციულიც, რომელიც აკავშირებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს.

დასკვნა

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ბიზნესის მდგრადობა წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას. ემპირიული ანალიზის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სინერგია, მხარდაჭერილი ინოვაციებით, R&D ინვესტიციებითა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებით, ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას. ეკონომეტრიკული შეფასების შედეგების მიხედვით გარემოსდაცვითი კომპონენტი, კერძოდ CO_2 ემისიები არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ წინსვლაზე. თუმცა აღნიშნული გავლენა გამოიხატება ეკონომიკური აქტივობის დამოკიდებულებით გარემოსდაცვით ნაკლებადმდგრად, ნახშირბადინტენსიურ მოდელში. ასევე, კვლევის მიხედვით, გამოწვევების მართვა ბიზნესის უსაფრთხოების კონტექსტში, აუცილებელი პირობაა მდგრადი ინვესტიციებისა და ინოვაციური პროექტების ეფექტური რეალიზებისთვის. თუმცა საჭიროა ფრთხილი მიდგომა, რომ ინვესტიციებმა არ დააზარალოს ბუნებრივი ეკოსისტემა.

არსებული ბიზნეს მოდელი საჭიროებს ტრანსფორმაციას მდგრადობის კუთხით, სადაც ინოვაციები, ცირკულარული ეკონომიკა და მწვანე ინვესტიციები უზრუნველყოფენ სტაბილურ ეკონომიკურ ზრდასა და გარემოსდაცვით მიზნებთან ჰარმონიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Comes, C.-A., & Oneț, P. (2025). The impact of ESG performance on economic growth: Global and regional cases. *Acta Marisiensis, Seria Oeconomica*. George Emil Palade University of Medicine, Pharmacy, Science, and Technology of Târgu Mureș. https://www.researchgate.net/publication/398745824_The_Impact_of_ESG_Performance_on_Economic_Growth_Global_and_Regional_Cases

2. კუპრაშვილი, ჰენრი. 2022. საქართველოს ეროვნული უშიშროება. მონოგრაფია, მთ. რედ. ი. გაბისონია. რედ.: ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ა. გეგეშიძე, ა. გვენეტაძე, ი. კვესელავა, თ. კიკნაძე, თ. ლომინაძე, ნ. ოდიშელიძე, ა. სიჭინავა, გ. სოფაძე, ი. ქართველიშვილი, ნ. ჩიტაძე, მ. ჯიქია. თბილისი: უნივერსალი, 702 გვ. ISBN 978-9941-33-339-2.

3. ოთინაშვილი, რ. (2021). უსაფრთხოება კომპანიის მენეჯმენტში. სტუ-ის შრომები – Works of GTU. №2 (520), გვ. 67-75. ISSN 1512-0996, https://shromebi.gtu.ge/ka/?page=index&key=ოთინაშვილი&id=142 ;

4. Sagar, S. (2023). *Innovation and sustainability in business: Navigating the future landscape*. Fostiima Business School, India. https://www.researchgate.net/publication/377112499_Innovation_and_Sustainability_in_Business_Navigating_the_Future_Landscape

5. Al Owais, A. A., & Alowais, A. A. (2026). *Quantifying the impacts of sustainability-oriented innovation on the linear economy*. MSW Management - Multidisciplinary, Scientific Work and Management Journal, 36(1), 1275–1280. https://www.researchgate.net/publication/400556610_Quantifying_the_Impacts_of_Sustainability-Oriented_Innovation_on_the_Linear_Economy

6. ოთინაშვილი რამაზ, (2025) ბიზნეს უსაფრთხოება,სტუ,თბ., 628 გვ;

7. https://gtmarket.ru/research/country-rankings

8. Krüger, P. (2024). *The role of technology and innovation in ESG and sustainable finance*. In Sustainable finance and ESG: Principles and practice. https://www.researchgate.net/publication/385883442_The_Role_of_Technology_and_Innovation_in_ESG_and_Sustainable_Finance

9. Comes, R., & Oneț, R. (2023). *The impact of environmental, social, and governance (ESG) on the economic growth of ASEAN-5 countries*. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/372049825_THE_IMPACT_OF_ENVIRONMENTAL_SOCIAL_AND_GOVERNANCE_ESG_ON_THE_ECONOMIC_GROWTH_OF_ASEAN-5_COUNTRIES

10. Korhonen, J. (2026). *How circular is the linear economy? Analysing circularity, resource flows and their relation to GDP.* Journal of Circular Economy, 4(1), 442–453. https://www.researchgate.net/publication/401601735_How_Circular_is_the_Linear_Economy_Analysing_Circularity_Resource_Flows_and_Their_Relation_to_GDP

11. Siokas, E., & Kremastioti, V. (2026). Circular economy, innovation, entrepreneurship and their relationship with economic growth by using econometric analysis. *Smart Finance*, Article 101780. https://doi.org/10.1016/j.sftr.2026.101780

12. ოთინაშვილი რ., კუპრაშვილი მ., ბიზნესის უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უშიშროების სისტემაში, 2025, სტუ-ს სამეცნიერო შრომებისკრებული, SCOPUS CODE 1401, N3(537), 2025, გვ. 43-51, https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/3(537)/05-otinashvili.pdf;

13. Otinashvili R., Veshapidze S., Gvarutsidze A., Abuselidze G., & Zoidze G. (2022). Modern Technologies to Overcome the Challenges of Globalization. **Journal of Innovations and Sustainability,** Entrepreneurship, file:///D:/RAMAZI-1/Scavla/KONKYRSI/Shromebi/Entrepreneurship_2_2022-23-33.pdf, (https://is-journal.com/is/about/submissions), CEEOL - Journal Detail), **(Impact factor);**

14. Gia Zoidze, Ramaz Otinashvili, George Abuselidze, Shota Veshapidze, (2025), Contemporary challenges of global competition In conditions of sustainable development, WSB Journal of Business and Finance, Vol.59, No.1, p.106-122, DOI 10.2478/WSBJBF-2025-0009, file:///C:/Users/Giorgi/Downloads/Contemporary-challenges-of-global-competition-In-conditions-of-sustainable-development%20(5).pdf

15. Ramaz Otinashvili, Shota Veshapidze, Gia Zoidze, (2025), The Power of Information: How Business Intelligence Shapes a Company's Economic Sustainability, Three Seas Economic Journa, Vol. 6 No. 2, 2025, ISSN (Print): 2661-5150, ISSN (Online): 2661-5290, DOI https://doi.org/10.30525/2661-5150/2025-2-1, http://www.baltijapublishing.lv/index.php/threeseas/article/view/2919/2898

მსოფლიო ბანკის როლი მომავლის მწვანე და ჭკვიანი ქალაქების ურბანულ განვითარებაში
The Role of the World Bank in the Urban Development of Future Green and Smart Cities

ლაშა გაბისონია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი
Lasha Gabisonia
Georgian Technical University
PhD in Economics

აბსტრაქტი. თანამედროვე ურბანული განვითარება გარდამტეხ ეტაპზე იმყოფება, სადაც ქალაქები ერთდროულად ასრულებენ ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ცენტრებისა და გარემოსდაცვითი თუ სოციალური გამოწვევების კონცენტრაციის სივრცეების ფუნქციას. ურბანიზაციის სწრაფი ტემპი, კლიმატის ცვლილების მზარდი გავლენა და ჰაერის დაბინძურება ქმნის აუცილებლობას, დაინერგოს უფრო ინტეგრირებული და მდგრადობაზე ორიენტირებული ურბანული მოდელები.

მწვანე და ჭკვიანი ქალაქების კონცეფცია სწორედ ამ საჭიროებას პასუხობს. იგი აერთიანებს ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და ციფრულ მმართველობას, რაც ქალაქებს უფრო სიცოცხლისუნარიანსა და ეფექტიანს ხდის. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით მსოფლიო ბანკს, რომელიც აქტიურად აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ხელს უწყობს მდგრად ურბანულ პოლიტიკას.

კვლევა, რომელიც ეფუძნება როგორც საერთაშორისო ანგარიშებს, ასევე სტატისტიკურ მონაცემებს, ფოკუსირებულია საქართველოსა და თბილისის მაგალითზე. ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული ინფრასტრუქტურული პროგრესისა, ქალაქის განვითარება კვლავ აწყდება სისტემურ პრობლემებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია უფრო თანმიმდევრული, კოორდინირებული და გრძელვადიანი მიდგომების დანერგვა ურბანულ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ქალაქები; ჭკვიანი ქალაქები; ურბანული განვითარება; მდგრადობა; მსოფლიო ბანკი; საქართველო.

Abstract. increasingly function both as key drivers of economic growth and as spaces where environmental and social challenges are concentrated. Rapid urbanization, the accelerating impacts of climate change, and rising air pollution highlight the need for more integrated and sustainability-oriented urban models.

The concept of green and smart cities responds directly to these challenges. It combines environmental responsibility, energy efficiency, and digital governance, aiming to make urban systems more resilient, efficient, and

livable. Within this framework, international financial institutions play an important role, particularly the World Bank, which actively supports urban infrastructure development and promotes sustainable urban policy reforms through financing and technical assistance.

This study focuses on the case of Georgia, with particular attention to Tbilisi. It is based on an analysis of international reports, statistical data, and relevant policy documents. The findings suggest that, despite notable progress in urban infrastructure in recent years, the development of the city still faces a number of systemic challenges. These challenges indicate the need for more coherent, coordinated, and long-term strategic approaches to urban planning and governance.

Keywords: Green Cities; Smart Cities; Urban Development; Sustainability; World Bank; Georgia.

შესავალი

21-ე საუკუნეში ქალაქები გლობალური განვითარების ცენტრებად ჩამოყალიბდა. 2026 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 57–60% ცხოვრობს ურბანულ სივრცეებში, ხოლო 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი 70%-ს გადააჭარბებს (UN-Habitat, 2025). აღნიშნული ტენდენცია ქმნის როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, ასევე ზრდის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს.

ურბანული სისტემები პასუხისმგებელია გლობალური CO_2 გამოყოფის დაახლოებით 70%-ზე, რაც კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლება. ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ქალაქების განვითარება, რომლებიც იქნება ეკოლოგიურად მდგრადი, ტექნოლოგიურად ინტეგრირებული და სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული.

ამ კონტექსტში ჩამოყალიბდა „მწვანე და ჭკვიანი ქალაქების“ კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ურბანული განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. აღნიშნული მოდელი გულისხმობს:

- რესურსების ეფექტიან გამოყენებას
- ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას
- ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებას
- მოქალაქეზე ორიენტირებულ მმართველობას

სწორედ ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ბანკის როლს, როგორც ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის წამყვან საერთაშორისო ინსტიტუტს.

მწვანე და ჭკვიანი ქალაქების კონცეფცია

მწვანე ქალაქები გულისხმობს გარემოზე მინიმალური ზემოქმედების მქონე ურბანულ სისტემებს, სადაც პრიორიტეტულია:

- განახლებადი ენერგია
- მწვანე ტრანსპორტი
- ნარჩენების მართვა
- ეკოსისტემების დაცვა

ჭკვიანი ქალაქები კი ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორიცაა:

- IoT (Internet of Things)
- Big Data
- ხელოვნური ინტელექტი
- ციფრული მმართველობა

2026 წლის მონაცემებით, მსოფლიოს წამყვან ქალაქებში უკვე აქტიურად გამოიყენება AI-ზე დაფუძნებული ტრანსპორტის მართვის სისტემები, რაც ამცირებს საცობებს 20–30%-ით.

მწვანე და ჭკვიანი ქალაქების სინთეზი ქმნის ახალ ურბანულ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს:

- ეკონომიკურ ეფექტიანობას
- ეკოლოგიურ მდგრადობას

- სოციალურ ჩართულობას

სქემა N 1. მწვანე და ჭკვიანი ქალაქების ინტეგრირებული მოდელი



სქემა N1 ასახავს მწვანე (ეკოლოგიური) და ჭკვიანი (ტექნოლოგიური) კომპონენტების ინტეგრაციას, რომელიც ქმნის მდგრად, ეფექტიან და ინოვაციურ ურბანულ სისტემას.

სქემა N1 არა მხოლოდ კონცეპტუალური ჩარჩოს ასახავს, არამედ მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ თანამედროვე ურბანული განვითარება არ შეიძლება განიხილებოდეს ერთგანზომილებიან პროცესად. ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ კომპონენტებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც ამცირებს გარემოზე ზეწოლას. აღნიშნული მოდელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქალაქებისთვის, რომლებიც სწრაფი ურბანიზაციის პირობებში ვითარდება.

მსოფლიო ბანკის როლი ურბანულ განვითარებაში

მსოფლიო ბანკი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტს, რომელიც ურბანული განვითარების მიმართულებით ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს გამოყოფს. 2025–2026 წლებში ბანკის ურბანულ პროექტებზე დაფინანსებამ 25 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

მისი საქმიანობა მოიცავს:

- ინფრასტრუქტურის დაფინანსებას
- ტექნიკურ დახმარებას
- პოლიტიკის რეფორმების მხარდაჭერას
- კლიმატური პროექტების განვითარებას

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტს
- ენერგოეფექტურ შენობებს
- წყლის რესურსების მართვას
- ურბანულ მდგრადობას

მსოფლიო ბანკის ახალი სტრატეგია (2024–2030) ფოკუსირებულია „კლიმატგონივრულ ქალაქებზე“ (Climate-Smart Cities), რაც გულისხმობს ურბანული განვითარების ადაპტაციას კლიმატის ცვლილებასთან.

თბილისის ურბანული პრობლემები და მწვანე ტრანსფორმაციის პერსპექტივა

თბილისის ურბანული განვითარება ხასიათდება დისბალანსით ინფრასტრუქტურულ პროგრესსა და გარემოსდაცვით მდგრადობას შორის. მიუხედავად ბოლო წლებში

განხორციელებული პროექტებისა, ქალაქი კვლავ დგას სერიოზული ეკოლოგიური და ფუნქციური გამოწვევების წინაშე.

2025–2026 წლების მონაცემებით:

- PM2.5 მაჩვენებელი თბილისში საშუალოდ 2–3-ჯერ აღემატება WHO-ს რეკომენდებულ ნორმას
- ტრანსპორტი ქმნის დაბინძურების ≈ 40–45%-ს
- მწვანე სივრცეები ერთ მოსახლეზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ სტანდარტებს

ცხრილი 1: თბილისის ეკოლოგიური მაჩვენებლები (2026)

მაჩვენებელი	თბილისი	WHO სტანდარტი	განსხვავება
PM2.5 (µg/m³)	28–35	10	+180%
მწვანე სივრცე (მ²/მოსახლე)	≈5-6	9-12	-40%
ავტომობილების რაოდენობა (1000 მოსახლეზე)	≈550	EU საშუალო ≈450	+22%

ცხრილი 1-ში არსებული მონაცემები მიუთითებს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაზე, განსაკუთრებით ჰაერის დაბინძურების მაღალი დონის გამო, რომელიც WHO-ს რეკომენდებულ ზღვარს აღემატება. აღნიშნული მიუთითებს არა მხოლოდ გარემოსდაცვით გადაცდომებზე, არამედ მმართველობით ხარვეზებზეც, რადგან მსგავსი მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში ასოცირდება არაეფექტიან სატრანსპორტო და ურბანულ პოლიტიკასთან, აგრეთვე სივრცითი დაგეგმვის ნაკლოვანებებთან

მწვანე სივრცეების სიმცირე კიდევ ერთი კრიტიკული ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ქალაქის ეკოლოგიურ ბალანსზე, ისე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. განვითარებული ქალაქების გამოცდილება აჩვენებს, რომ მწვანე ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ გარემოს დაცვის ეფექტიანი საშუალებაა, არამედ ქმნის ეკონომიკურ სარგებელსაც, ზრდის უძრავი ქონების ღირებულებას, ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს და ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. შესაბამისად, თბილისის შემთხვევაში აღნიშნული მიმართულებების იგნორირება გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის როგორც ეკოლოგიურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ რისკებს.

ძირითადი სისტემური პრობლემები

თბილისის ურბანული განვითარების მთავარი სისუსტეებია:

- არათანმიმდევრული ურბანული დაგეგმარება
- მწვანე სივრცეების შემცირება
- კერძო ავტომობილებზე მაღალი დამოკიდებულება
- სუსტი ინტეგრაცია „ჭკვიან“ ტექნოლოგიებთან

მწვანე და ჭკვიანი ქალაქის მოდელის დანერგვა თბილისში გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებით ინტეგრირებული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის:

ეკოლოგიური მიმართულება

- ურბანული ტყეების განვითარება
- მწვანე სახურავები და ვერტიკალური ბაღები
- მდგრადი სამშენებლო სტანდარტები

ტრანსპორტი

- ელექტრო ავტობუსები
- ველობილიკების ქსელი

- AI-ზე დაფუძნებული ტრანსპორტის მართვა

ციფრული მართვა

- Smart traffic სისტემები
- გარემოს მონიტორინგის სენსორები

თბილისის ტრანსფორმაციის პერსპექტივა ნათლად ჩანს პრობლემებისა და შესაძლო გადაწყვეტილებების შედარებით, იხილეთ სქემა N 2

სქემა N 2 თბილისის ტრანსფორმაცია (Before → After)

თბილისის ურბანული ტრანსფორმაცია: პრობლემებიდან მწვანე ქალაქამდე

დღეს / პრობლემები

- საცობები
- ჰაერის დაბინძურება
- ქაოტური განაშენიანება
- მწვანე სივრცის დეფიციტი
- ძველი ენერგოსისტემა

მომავალი / მწვანე

- ჭკვიანი ტრანსპორტი (AI მართვა)
- სუფთა გარემო
- დაგეგმილი ურბანული სივრცე
- პარკები და მწვანე ინფრასტრუქტურა
- განახლებადი ენერგია

სქემა N2 ნათლად ასახავს იმ ტრანსფორმაციულ პროცესებს, რომლებიც აუცილებელია თბილისისათვის. აღნიშნული მოდელი აჩვენებს, რომ არსებული პრობლემები არ არის იზოლირებული. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და სისტემური ხასიათისაა. მაგალითად, სატრანსპორტო საცობები ზრდის ჰაერის დაბინძურებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, სადაც ერთი სფეროს რეფორმა დაკავშირებულია სხვა სფეროებში განხორციელებულ ცვლილებებთან.

საერთაშორისო მაგალითი: კოპენჰაგენი და სინგაპური

კოპენჰაგენი მწვანე ტრანსფორმაციის მოდელი

კოპენჰაგენი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მწვანე ქალაქად.

ძირითადი შედეგები:

- CO_2 გამოყოფის შემცირება ≈80%-ით (1995-2025)
- მოსახლეობის 60% ყოველდღიურად იყენებს ველოსიპედს
- ქალაქის ენერგიის ≈70% განახლებადი წყაროებიდან

ცხრილი 2: კოპენჰაგენის მწვანე ტრანსფორმაციის შედეგები

მაჩვენებელი	2000	2025	ცვლილება
CO_2 გამოყოფა	100%	≈20%	-80%
ველოტრანსპორტის წილი	30%	60%	+100%
მწვანე ენერგია	20%	70%	+250%

კოპენჰაგენის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ თანმიმდევრულად განხორციელებული ეკოლოგიური პოლიტიკა იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. CO2-ის გამოყოფის მკვეთრი შემცირება არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგი; იგი წარმოადგენს

გრძელვადიანი სტრატეგიის, ინსტიტუციური მდგრადობისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის ერთობლივ შედეგს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ველოტრანსპორტის განვითარება, რომელიც არა მხოლოდ ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, არამედ ამცირებს ურბანულ ხარჯებს და ზრდის ქალაქის მობილობის ეფექტიანობას. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ მდგრადი ტრანსპორტი წარმოადგენს მწვანე ქალაქის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს.

სინგაპური

- ჭკვიანი ქალაქის პლატფორმა
- AI-ზე დაფუძნებული ურბანული მართვა
- წყლის რესურსების ინოვაციური სისტემა

ცხრილი 3: სინგაპურის ურბანული მაჩვენებლები

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
მწვანე სივრცე	≈47%
წყლის გადამუშავება	≈40%
Smart სისტემების დაფარვა	≈100%

სინგაპურის მაგალითი ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიური ინოვაციები შეიძლება იქცეს ურბანული განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. ქალაქის მართვა ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც უზრუნველყოფს მმართველობის ეფექტიანობასა და მოქნილობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტეგრირებული მართვის სისტემა, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად მიიჩნევა.

ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ბანკის ჩართულობა, რომელმაც უზრუნველყო:

- ფინანსური მხარდაჭერა
- ცოდნის გაზიარება

კოპენჰაგენისა და თბილისის შედარებითი ანალიზი ნათლად აჩვენებს ურბანული განვითარების განსხვავებულ დონეს (იხილეთ სქემა N 3).

სქემა N 3 კოპენჰაგენი vs თბილისი — მწვანე განვითარების შედარება

კოპენჰაგენი

- მწვანე სივრცე: ≈40%
- ველოტრანსპორტი: 60%
- მწვანე ენერგია: ≈70%
- CO_2 გამოყოფა: -80%
- ეფექტიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტი

თბილისი

- მწვანე სივრცე: ≈5-6 მ²/კაცზე
- ავტოზე დამოკიდებულება მაღალი
- მწვანე ენერგია წილი დაბალი
- ჰაერის დაბინძურების პრობლემა დაბალი
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაუმჯობესების პროცესში

სქემა N3-ის ანალიზი აჩვენებს, რომ თბილისსა და კოპენჰაგენს შორის არსებული განსხვავებები მხოლოდ ეკონომიკური განვითარების დონით არ აიხსნება. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მმართველობის მოდელს, პოლიტიკის თანმიმდევრულობასა და გრძელვადიან ხედვას.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ქალაქებისთვის გადამწყვეტია სწორად განსაზღვრული სტრატეგიის არსებობა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ურბანულ გარემოს.

მსოფლიო ბანკის პროექტები თბილისში

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება
- სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაცია
- ენერგოეფექტური შენობები

საერთაშორისო პროექტები

ინდოეთი (Smart Cities Mission)- 100+ ქალაქის ციფრული ტრანსფორმაცია

ბრაზილია- ურბანული ტრანსპორტის ეკოლოგიური რეფორმა

თურქეთი-მიწისძვრის მდგრადი და ენერგოეფექტური ქალაქები

თუ სწორად განხორციელდა რეფორმები, 2035 წლისთვის მოსალოდნელია:

ცხრილი 4: პროგნოზი (თბილისი)

მაჩვენებელი	2026	2035 (პროგნოზი)
ჰაერის დაბინძურება	მაღალი	-40%
მწვანე სივრცე	6 მ²	10-12 მ²
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	≈35%	60%

წარმოდგენილი პროგნოზები ასახავს იმ პოტენციალს, რომელიც შეიძლება რეალიზდეს შესაბამისი პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შემთხვევაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაერის დაბინძურების შემცირების პერსპექტივა, რაც დადებითად აისახება როგორც გარემოზე, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ხოლო პარალელურად ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს და ზრდის შრომის პროდუქტიულობას.

ამასთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილის ზრდა მიუთითებს ქალაქის მობილობის მოდელის ტრანსფორმაციაზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მდგრადი ურბანული განვითარებისათვის, რადგან ამცირებს სატრანსპორტო საცობებს, ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და ზრდის გადაადგილების საერთო ეფექტიანობას.

ტრანსფორმაციის მთავარი ეტაპები

1. პოლიტიკის რეფორმა
2. ინფრასტრუქტურის განვითარება
3. ტექნოლოგიური ინტეგრაცია
4. საზოგადოების ჩართულობა

დასკვნა

თანამედროვე ურბანული განვითარება აღარ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ეკონომიკური პარადიგმების ფარგლებში. კლიმატის ცვლილება, რესურსების შეზღუდულობა და სწრაფი ურბანიზაცია ქმნის ახალ რეალობას, სადაც ქალაქების მდგრადობა ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ყალიბდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მსოფლიო ბანკს, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს მწვანე და ჭკვიანი ქალაქების განვითარების დაფინანსებასა და მხარდაჭერას. აღნიშნული კონცეფცია წარმოადგენს თანამედროვე ურბანულ გამოწვევებზე რეაგირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მოდელს.

მსოფლიო ბანკის როლი ამ მიმართულებით გადამწყვეტია, რადგან იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით, არამედ წარმოადგენს ცოდნისა და ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან პლატფორმას. თბილისის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარე მხარდაჭერის ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული

ადგილობრივი მმართველობის ხარისხსა და გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვაზე. შესაბამისად, მდგრადი ურბანული განვითარების მიღწევა მოითხოვს როგორც საერთაშორისო მხარდაჭერის ეფექტიან გამოყენებას, ისე ძლიერი ადგილობრივი მმართველობითი სისტემის არსებობას.

თბილისის ურბანული ტრანსფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატრანსპორტო სისტემის რეფორმას, მწვანე სივრცეების გაფართოებასა და ციფრული მმართველობის განვითარებას.

გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული მიმართულებების თანმიმდევრული და მიზანმიმართული განხორციელება შექმნის საფუძველს თბილისის ტრანსფორმაციისათვის არა მხოლოდ ეკოლოგიურად მდგრად ქალაქად, არამედ რეგიონულ ჰაბად, რომელიც აერთიანებს ინოვაციებს, ცოდნასა და მდგრადი განვითარების თანამედროვე პრაქტიკებს.

ლიტერატურის სია

1. მსოფლიო ბანკი. (2025). ურბანული განვითარების მიმოხილვა . https://www.worldbank.org/en/topic/urbandevelopment
2. მსოფლიო ბანკი. (2026). კლიმატისთვის ჭკვიანი ქალაქების ანგარიში . https://www.worldbank.org/en/topic/urbandevelopment/brief/climate-smart-cities
3. გაეროს ჰაბიტატი. (2025). მსოფლიო ქალაქების ანგარიში 2024: ქალაქები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები . https://unhabitat.org/wcr/
4. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). (2025). მწვანე ზრდა ქალაქებში . https://www.oecd.org/greengrowth/
5. თბილისის მერია. (2025). ურბანული განვითარების ანგარიშები . https://tbilisi.gov.ge/
6. ევროკომისია. (2025). ჭკვიანი ქალაქები და თემები . https://smart-cities-marketplace.ec.europa.eu/
7. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. (2026). ურბანული განვითარების მომავალი. https://www.weforum.org/

Modern Aspects of Business Development in Georgia

Nino Lazviashvili
Professor, Georgian Technical University
Academic Doctor of Economics
Mariam Lazviashvili
Small and Medium Business Manager
JSC "TBC Insurance"

Abstract. In recent years, the management of small and medium-sized enterprises (SMEs) in Georgia has become increasingly relevant. The country's economic development largely depends on the growth and sustainability of this sector, as SMEs contribute significantly to job creation, the expansion of local production, and the promotion of innovation. Key aspects of SME management in Georgia include organizational responsibility and structure, financial management, technological innovation, environmental and social responsibility, government support initiatives, as well as marketing and sales strategies.

Effective SME management involves establishing an internal organizational structure in which the owner or manager is responsible for operational processes, financial planning, personnel management, and strategic decision-making. Financial management plays a particularly critical role, as it forms the foundation of business sustainability and growth. Georgian SMEs often face challenges in accessing financial resources, making efficient budgeting and cost management essential for long-term success.

In the modern business environment, SMEs are increasingly dependent on digital technologies and innovation. The adoption of technological solutions enables businesses to automate operations, enhance market flexibility, and strengthen competitive advantages. At the same time, labor conditions, environmental protection, and corporate social responsibility are becoming increasingly important factors in Georgia's business environment, as growing consumer expectations encourage companies to operate more responsibly.

The Georgian government is actively attempting to strengthen the SME sector through grant programs, financial support mechanisms, and business education initiatives. However, SMEs still face challenges related to marketing efficiency and sales development. Therefore, the implementation of effective branding strategies, active use of social media platforms, and expansion of customer networks are critical for business success.

Despite existing challenges, SMEs represent a significant component of Georgia's economy. Effective management within this sector plays a crucial role in the country's social and economic development.

Keywords: small and medium-sized enterprises, management, innovation, social responsibility, business environment, public welfare.

Main Text

Small and medium-sized enterprises (SMEs) occupy a central position in the Georgian economy and play a vital role in maintaining economic stability and supporting the country's socio-economic development. The SME sector contributes to the creation of new employment opportunities, which significantly improves the living standards of the local population. In addition, SMEs foster innovation, technological progress, and the development of a more transparent and competitive business environment.

Their importance is particularly evident in regional development, where strengthening SMEs can contribute to reducing economic disparities between regions and promoting sustainable economic growth.

The success of SMEs depends on both internal and external factors. Macroeconomic dynamics, global market competition, and state regulatory policies significantly influence SME performance. One of the most common challenges faced by SMEs is limited access to financial resources. This often restricts business expansion and investment opportunities, especially in situations where banks and financial institutions are reluctant to provide loans due to perceived risks.

Another major challenge relates to market competition. SMEs frequently compete with larger corporations and foreign investors that possess substantial financial resources and advanced technological capabilities. As a result, smaller enterprises often struggle to establish a stable position within the market.

Regional disparities further intensify these challenges, as businesses operating in economically weaker regions face limited market opportunities and lower levels of economic activity.

Beyond economic contributions, SMEs also play an important role in promoting social and environmental responsibility. In recent years, business owners and managers have increasingly recognized the importance of sustainable business practices. Environmental protection, ecological sustainability, and corporate social responsibility contribute positively to brand reputation and enhance overall competitiveness.

Within the framework of this research project, a **quantitative research methodology** was applied to analyze the management practices, challenges, and development opportunities of SMEs operating in Georgia. Data were collected through a **structured survey**, ensuring the reliability, comparability, and objectivity of the responses.

The target audience consisted of clients of the **Small and Medium Business Department of JSC "TBC Insurance."** A total of **150 business representatives** participated in the survey, representing the following sectors:

- Trade – 35%
- Industry – 15%
- Services – 16%
- Logistics – 9%
- Construction – 16%
- Tourism – 8%

The research findings revealed several key trends.

First, representatives of the industrial and construction sectors demonstrate a higher demand for operational process management. However, this function accounts for only **8.7%** overall, indicating relatively weak operational management practices, which may negatively affect organizational efficiency.

Second, the use of **marketing strategies is relatively high (50%)**, suggesting a growing adoption of customer-oriented business approaches. These findings highlight the need for **sector-specific management recommendations** and tailored development strategies.

The majority of surveyed companies fall within the **10–49 employee category (66%)**, which is classified as small business. Only **21%** of the companies belong to the medium-sized category (50–249 employees), while enterprises with more than 250 employees represent a very small proportion.

The results suggest a clear relationship between **company size and management practices**. Larger companies demonstrate greater use of **management software and technological integration**, whereas smaller businesses show a stronger need for **training and professional consultation**, primarily due to limited human resources.

Consequently, small enterprises require **accessible, easy-to-use management tools**, as well as increased support from governmental institutions and development funds.

The study also demonstrated that management is highly valued among business representatives: **56.7% consider management critically important**, while **40.7% regard it as important**. Only a small proportion of respondents perceive management as less significant.

Among the main management challenges identified in the research, **staff shortages (52.7%)** emerged as the most prominent issue. This finding corresponds with another significant result: **57.3% of respondents emphasized the need to recruit experienced managers**.

These findings suggest that improving SME management in Georgia requires not only the standardization of processes but also the development of **qualified human capital**.

Furthermore, **44% of respondents indicated that government support and grant programs significantly contribute to business development**. This demonstrates a clear demand for accessible financial instruments and indicates that businesses expect the government to play a more active role in strengthening the entrepreneurial ecosystem.

The research identified the following key priorities for improving management systems:

- training and professional development (60.7%)
- hiring experienced managers (57.3%)
- improved financial access to management systems (38%)

At the same time, relatively less attention is paid to organizational culture and marketing-related issues. Therefore, development strategies should primarily focus on **practical and resource-based components**, particularly human resources and financial capacity.

The future development of SME management largely depends on the **implementation of innovative technologies and digital solutions**. The use of automation systems, artificial intelligence, big data analytics, and digital marketing tools may significantly strengthen the strategic role of SMEs in the economy. These innovations can improve operational efficiency, optimize business processes, and enable companies to access broader international markets.

Another important direction concerns **corporate social responsibility and environmental standards**. SMEs in Georgia have considerable potential to promote sustainable economic activity while fulfilling their social obligations toward society.

The success of the SME sector is also closely linked to **state policy and institutional support mechanisms**. Government programs, grant funding, low-interest loans, and innovation-focused initiatives can create a favorable business environment in which SMEs can expand and contribute significantly to national economic development.

The long-term development strategy for SMEs should integrate **financial management, marketing strategies, technological innovation, environmental responsibility, and institutional cooperation**, ensuring sustainable growth in Georgia's business sector.

Conclusion

In conclusion, the SME sector in Georgia possesses significant development potential under conditions of effective management. Achieving this potential requires the implementation of systematic management approaches, the enhancement of managerial competencies, increased digitalization, and consistent sectoral policy development.

Strengthening these factors will contribute to improving business competitiveness, diversifying economic activity, and fostering sustainable economic growth in Georgia.

References

1. **Buadze, S., & Akhvlediani, T.** Management of Small and Medium-Sized Enterprises in Georgia Using Innovative Technologies: Challenges, Global Trends and Efficiency Analysis. Available at: https://openscience.ge

2. **Lazviashvili, M.** (2025). *Management of Small and Medium-Sized Enterprises in Georgia* (Master's Thesis). Tbilisi State University.

3. **Lazviashvili, N.** (2025). *Innovation Management* (Textbook, electronic version). Tbilisi.

4. **Lazviashvili, N., & Gegenava, Z.** (2023). Innovative Development as a Basis for a Country's Economic Success. In: *Proceedings of the VII International Conference "Globalization and Modern Challenges of Business"*. Georgian Technical University, Faculty of Business Technologies, Monograph Series, pp. 207–211. DOI: https://doi.org/10.36073/978-9941-28-963-7 ISBN: 978-9941-28-963-7.

5. **Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia.** (2023). *State Programs for Supporting Small and Medium-Sized Enterprises*. Official documents and strategies.

6. **Porter, M. E.** (1985). *Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance*. New York: Free Press.

7. **Clark, H.** (1995). *Strategic Management: Concepts and Cases*. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.

8. **Beck, T., Demirgüç-Kunt, A., & Maksimovic, V.** (2005). Financial and Legal Constraints to Growth: Does Firm Size Matter? *Journal of Finance*, 60(1), 137–177.

9. **International Small Business Journal.** Peer-reviewed articles on SME strategy and policy. Available at: https://journals.sagepub.com/home/isb

10. **Small Business Economics.** Studies in entrepreneurship, innovation and the SME sector. Springer. Available at: https://link.springer.com/journal/11187

ტექნოლოგიური ინოვაციები მწვანე ეკონომიკაში
Technological innovations in the green economy

მადონა კანტიძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
Madona Kantidze
Georgian National University SEU
Doctor of Business Administration
Assistant Professor

აბსტრაქტი. დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიო დგას გარდამტეხ ეტაპზე, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ერთმანეთს უპირისპირდება და ამავე დროს ავსებს. გლობალური გამოწვევები: კლიმატის ცვლილება, რესურსების გამოლევა, ბიომრავალფეროვნების შემცირება და ურბანული დაბინძურება, ქმნის ახალ ეკონომიკურ რეალობას, რომელშიც ტექნოლოგიური ინოვაციები აღარ არის მხოლოდ კომერციული კონკურენციის ინსტრუმენტი, არამედ **გარემოსდაცვითი, გადარჩენის სტრატეგია** (UNEP, 2020).

ამ კონტექსტში ყალიბდება **მწვანე ეკონომიკის კონცეფცია**, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ჰარმონიზაციას ეკოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობასთან. მწვანე ეკონომიკა ეფუძნება პრინციპს, რომ ინოვაცია უნდა მოემსახუროს არა მხოლოდ პროდუქტიულობის ზრდას, არამედ გარემოზე ზემოქმედების შემცირებას და რესურსების ეფექტურ გამოყენებას (OECD, 2019).

ტექნოლოგიური ინოვაციები ამ პროცესში იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას, სწორედ ისინი ქმნიან საშუალებებს ენერგიის დეკარბონიზაციისთვის, ნარჩენების შემცირებისთვის, სუფთა ტრანსპორტის განვითარებისთვის და მწვანე ფინანსების ავტომატიზაციისთვის. ხელოვნური ინტელექტი (AI), დიდი მონაცემები (Big Data), ბლოკჩეინი, ბიოტექნოლოგია და ციფრული პლატფორმები — ეს ის ინსტრუმენტებია, რომლებიც გარდაქმნიან ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების მოდელს.

სტატიის მიზანია განიხილოს, თუ როგორ ქმნიან ტექნოლოგიური ინოვაციები საფუძველს მწვანე ეკონომიკის ფორმირებისთვის, როგორია მათი სტრუქტურა, ეკონომიკური გავლენა და პოლიტიკურ-ინსტიტუციური მხარდაჭერა, როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე.

მომავალი ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, მონაცემებსა და კოოპერაციას. ამ პირობებში წარმატებას მიაღწევს ის ქვეყნები და კომპანიები, რომლებიც შეძლებენ ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებას მდგრადობისათვის. საქართველოში ეს ნიშნავს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდას, ადგილობრივი ინოვაციების მხარდაჭერას და განათლების რეფორმას მწვანე ეკონომიკის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ინოვაციები, ტექნოლოგიური ინოვაციები, გარემო, დაბინძურება, შემცირება.

Abstract. Today, the modern world is at a turning point, where technological progress and environmental responsibility are both confronting and complementing each other. Global challenges — climate change, resource depletion, biodiversity loss, and urban pollution — are creating a new economic reality in which technological innovation is no longer just a tool for commercial competition, but an environmental, survival strategy (UNEP, 2020).

In this context, the concept of a green economy is emerging, which aims to harmonize economic growth with ecological and social well-being. A green economy is based on the principle that innovation should serve not only to increase productivity, but also to reduce environmental impact and use resources efficiently (OECD, 2019).

Technological innovations are gaining decisive importance in this process, they are the ones that create the means for decarbonizing energy, reducing waste, developing clean transport and automating green finance. Artificial intelligence (AI), big data, blockchain, biotechnology and digital platforms are the tools that are transforming the model of interaction between business and the state.

The aim of the article is to discuss how technological innovations create the basis for the formation of a green economy, what is their structure, economic impact and political-institutional support, both at the global and national levels.

The future economy is based on knowledge, data and cooperation. In these conditions, those countries and companies that are able to use technological progress for sustainability will succeed. In Georgia, this means increasing energy independence, supporting local innovations and reforming education in the direction of a green economy.

Keywords: *green innovations, technological innovations, environment, pollution, reduction.*

შესავალი

მწვანე ეკონომიკის თეორია წარმოიშვა XX საუკუნის ბოლოს, როგორც პასუხი ტრადიციული ეკონომიკური პარადიგმის შეზღუდვებზე. ტრადიციული ეკონომიკა ეფუძნებოდა წარმოებისა და მოხმარების უწყვეტ ზრდას, რესურსების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის დაშვებით. ამ მოდელის კრიზისი გამოიკვეთა 1970-იან წლებში, როდესაც გაჩნდა პირველი გლობალური გარემოსდაცვითი ანგარიშები — მათ შორის **Club of Rome-ის** ცნობილი კვლევა *Limits to Growth* (1972).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარება აუცილებელია სიღარიბის აღმოსაფხვრელად, დღეს აღიარებულია, რომ **ეკონომიკური ზრდა არ უნდა იყოს ეკოლოგიური დეგრადაციის ფასად.** სწორედ ამიტომ, მწვანე ეკონომიკა ეფუძნება პრინციპს — *ეკოლოგიური ეფექტურობა + სოციალური სამართლიანობა + ეკონომიკური მდგრადობა.* (Elkington, 1998).

მწვანე ეკონომიკის ძირითადი მიმართულებებია:

1. ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია;
2. მდგრადი წარმოება და მოხმარება;
3. ბიოეკონომიკა და რესურსების ხელახალი გამოყენება;
4. ეკოინოვაციები და მწვანე ფინანსები.

ამ სისტემაში ტექნოლოგიური ინოვაცია მოქმედებს როგორც *ტრანსფორმაციის კატალიზატორი* — ის აჩქარებს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის პარალელურად.

ტექნოლოგიური ინოვაციების როლი მდგრად განვითარებაში

ტექნოლოგიური ინოვაცია (eco-innovation) განისაზღვრება როგორც ახალი პროდუქტი, პროცესი ან სისტემა, რომელიც ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ამავე დროს ზრდის ეკონომიკურ ეფექტურობას (Kemp & Pearson, 2007).

ტექნოლოგიური ინოვაციების როლი მდგრად განვითარებაში შეიძლება დაიყოს სამ ძირითად დონედ:

1. **მიკრო დონე** — ინდივიდუალური კომპანიების ან ინდუსტრიების მიერ დანერგილი ტექნოლოგიები, რომლებიც ზრდიან რესურსების ეფექტურ გამოყენებას. მაგალითად, ნარჩენების სენსორები, ენერგოაუდიტის პროგრამული უზრუნველყოფა ან მწვანე შეფუთვის გადაწყვეტილებები.

2. **მეზო დონე** — სექტორული და რეგიონული ინოვაციები, როგორიცაა სუფთა ენერგიის ქსელები, მწვანე ინფრასტრუქტურა და ეკოინდუსტრიალური პარკები.

3. **მაკრო დონე** — ეროვნული და გლობალური ტექნოლოგიური სისტემები, მათ შორის კლიმატის მონაცემთა პლატფორმები, გლობალური ნახშირბადის ბაზრები და მწვანე ინვესტიციების ციფრული პლატფორმები.

ტექნოლოგიები, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ მწვანე ეკონომიკის ბირთვს, მოიცავენ:

- განახლებად ენერგიას (მზის, ქარის, ბიომასის, გეოთერმულ სისტემებს);
- ენერგიის შენახვის ტექნოლოგიებს;
- ციფრულ მონიტორინგს და ინტელექტუალურ ქსელებს;
- ეკო-მატერიალებს და ბიოდეგრადირებად პროდუქტებს;
- ხელოვნურ ინტელექტს რესურსების ოპტიმიზაციისთვის;
- ბლოკჩეინს, მწვანე ფინანსების გამჭვირვალობისთვის.

გარდა ეკონომიკური სარგებლისა, ინოვაცია ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს სოციალურ სტაბილურობას. საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს (IEA, 2022) შეფასებით, მწვანე ენერგიის სექტორში, 2030 წლისთვის მსოფლიოში შეიქმნება 14 მილიონზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და მწვანე წარმოება

ინდუსტრიული სექტორი გლობალური ენერგო მოხმარებისა და ემისიების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. სწორედ ამიტომ, მწვანე ეკონომიკის გარდაქმნის ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტია „მწვანე ინდუსტრიული რევოლუცია“, რომელიც გულისხმობს წარმოების პროცესების ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ მოდერნიზაციას.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. ინდუსტრიაში ენერგოეფექტურობის მიღწევა შესაძლებელია თანამედროვე ავტომატიზაციის, სენსორების და მონაცემთა ანალიტიკის საშუალებით. „ჭკვიანი ქარხნების“ (smart factories) კონცეფცია ეფუძნება IoT სისტემებს, რომლებიც რეალურ დროში აკონტროლებენ ენერგო- და მასალატევადობას. მაგალითად, Siemens-ის MindSphere პლატფორმა საშუალებას აძლევს საწარმოებს შეამცირონ ენერგიის დანახარჯი საშუალოდ 20%-ით.

მწვანე მასალები. ეკოინოვაციის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მწვანე მასალების განვითარება. ბიოპოლიმერები, გადამუშავებული ლითონები, ეკო-ცემენტი და ბიოდეგრადირებადი შეფუთვა ქმნიან ახალ ბაზრებს. კომპანია **BASF**-მა შეიმუშავა ბიოპოლიმერი *Ecoflex*, რომელიც სრულად დეგრადირდება ბუნებრივ პირობებში.

ნარჩენების მინიმიზაცია. დიგიტალიზაცია საშუალებას იძლევა წარმოების პროცესში ზუსტად გაითვალოს ნარჩენები და მათი ხელახალი გამოყენების პოტენციალი. იაპონიაში, *Zero Waste Factory* ინიციატივამ მიაღწია ნარჩენების 99%-ის გადამუშავებას (Japan METI, 2021).

ციფრული ტექნოლოგიები და მონაცემთა ეკოსისტემა. ციფრული ტრანსფორმაცია არის მწვანე ეკონომიკის გამაძლიერებელი ძალა. იგი ქმნის ახალ მეთოდებს ენერგიისა და რესურსების მონიტორინგისთვის, პროგნოზირებისთვის და ოპტიმიზაციისთვის.

ხელოვნური ინტელექტი (AI). AI გამოიყენება ენერგიის მართვის, კლიმატის პროგნოზირებისა და ნარჩენების კონტროლის სფეროებში. მაგალითად, Google DeepMind-მა შეამცირა თავისი მონაცემთა ცენტრების ენერგომოხმარება 40%-ით ალგორითმული ანალიზის მეშვეობით.

დიდი მონაცემები (Big Data). Big Data აძლევს საშუალებას სახელმწიფოს და კომპანიებს ზუსტად შეაფასონ ემისიების დინამიკა და რესურსების განაწილება. მაგალითად, ევროკავშირმა შექმნა პლატფორმა *Copernicus Climate Data Store*, რომელიც აკავშირებს სატელიტურ მონაცემებს კლიმატის პოლიტიკასთან.

ბლოკჩეინი მწვანე ფინანსებში. ბლოკჩეინ ტექნოლოგია უზრუნველყოფს გამჭვირვალობას მწვანე ინვესტიციების ბაზარზე. მაგალითად, *Energy Web Foundation*-ი იყენებს ბლოკჩეინს განახლებადი ენერგიის სერტიფიკატების გასაგზავნად და ტრეიდინგისთვის.

ინტერნეტის სენსორები (IoT). „ჭკვიანი ქალაქები“ (smart cities) იყენებენ IoT სენსორებს ენერგიის, განათების, ტრანსპორტისა და ნარჩენების ოპტიმიზაციისთვის. კოპენჰაგენში ამ სისტემამ შეამცირა ქუჩის განათების ენერგო მოხმარება 60%-ით.

ინოვაციები ტრანსპორტსა და ინფრასტრუქტურაში. ტრანსპორტის სექტორი კვლავ წარმოადგენს გლობალური ემისიების დაახლოებით 25%-ს (IEA, 2023). ამიტომ, ეკოლოგიური ტრანსპორტის განვითარება ტექნოლოგიური ინოვაციების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ელექტრომობილობა. ელექტრომობილების ბატარეების ტექნოლოგია სწრაფად იხვეწება. ახალი თაობის ბატარეები (*solid-state batteries*) უზრუნველყოფენ უფრო დიდ დისტანციას და მოკლე დამუხტვის დროს. Tesla, BYD და Rivian ლიდერობენ ბაზარზე, ხოლო ევროკავშირი ავითარებს *European Battery Alliance*-ს ადგილობრივი წარმოებისთვის.

წყალბადის ტრანსპორტი. წყალბადის ძრავები უკვე გამოიყენება მატარებლებში და სატვირთოებში. იაპონიის კომპანია *Toyota* ქმნის *Mirai*-ს მოდელებს, ხოლო გერმანიაში წყალბადზე მომუშავე მატარებელი *Coradia iLint* ექსპლუატაციაშია.

ურბანული მობილობა. ინოვაციური მიდგომებია გაზიარების ეკონომიკის ფორმატში — *bike-sharing*, *car-sharing*, *e-scooters*. ქალაქები, როგორიცაა ჰელსინკი და სინგაპური, ქმნიან ინტეგრირებულ სატრანსპორტო აპლიკაციებს, რომლებიც ამცირებენ კერძო ავტომობილების საჭიროებას.

წრიული ეკონომიკის ტექნოლოგიური საფუძვლები. წრიული ეკონომიკა (Circular Economy) ეფუძნება პრინციპს: *აღება–წარმოება–გამოყენება–გადამუშავება*. მისი მიზანია ნარჩენების რაოდენობის მინიმიზაცია და რესურსების მაქსიმალური ხელახალი გამოყენება.

ტექნოლოგიური საფუძვლებია:

- **ნარჩენების მონიტორინგის სისტემები** — RFID და QR კოდები პროდუქციის ციკლის მონიტორინგისთვის;
- **ავტონომური გადამუშავების ხაზები** — რობოტული სისტემები, რომლებიც თავად ახდენენ მასალების სორტირებას;
- **ბიოქიმიური გადამუშავება** — პლასტმასის დაშლა ფერმენტებით (Carbios, 2021);
- **ციფრული ბაზრები მეორადი მასალებისთვის** — მაგალითად, *Circularise* უზრუნველყოფს მასალათა წარმომავლობის დადასტურებას ბლოკჩეინით.

ინოვაციების პოლიტიკა და სახელმწიფო მხარდაჭერა

ტექნოლოგიური ინოვაციები მწვანე ეკონომიკაში შეუძლებელია ძლიერი სახელმწიფო ჩართულობის გარეშე. სახელმწიფოს როლია შექმნას სტიმულები, დააფინანსოს კვლევა და უზრუნველყოს ბაზრის სტაბილურობა.

ევროკავშირის პოლიტიკა. ევროკავშირმა 2019 წელს წამოიწყო „მწვანე შეთანხმების“ (*Green Deal*)სტრატეგია, რომლის ბიუჯეტი 1 ტრილიონ ევროს აჭარბებს. მისი მიზანია ევროკავშირის კლიმატური სტაბილურობა 2050 წლამდე.

ევროკავშირის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია:

- *Horizon Europe* — კვლევის დაფინანსება ტექნოლოგიურ ინოვაციებში;
- *Innovation Fund* — დაბალემისიური პროექტების მხარდაჭერა;
- *Just Transition Fund* — ეკონომიკური გარდაქმნის სოციალური შედეგების შერბილება.

აშშ-ს მოდელი. აშშ-ში მოქმედებს *Inflation Reduction Act* (2022), რომელიც მოიცავს 370 მილიარდი დოლარის ინვესტიციას მწვანე ტექნოლოგიებში. მასში შედის საგადასახადო შეღავათები მწვანე ენერგიისთვის და ელექტრომობილების წარმოებისთვის.

აზიის ქვეყნების სტრატეგიები. იაპონია და სამხრეთ კორეა ლიდერობენ წყალბადის ეკონომიკაში. ჩინეთი კი ფოკუსირებულია მასშტაბურ განახლებად ენერგიაზე და მზის პანელების წარმოებაში მსოფლიოში 70%-ს ფლობს (IEA, 2023).

საქართველოს გამოცდილება. საქართველო ახორციელებს *მწვანე ეკონომიკის სტრატეგიას 2030*, რომელიც მოიცავს განახლებადი ენერგიის განვითარებას, ელექტრომობილობის წახალისებას და ინოვაციების დაფინანსებას. საქართველოს ინოვაციების სააგენტო (GITA) ახორციელებს პროგრამებს ეკო-სტარტაპების მხარდასაჭერად.

დასკვნა

ტექნოლოგიური ინოვაციები წარმოადგენს მწვანე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას. ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის თანხვედრას, რაც თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ინოვაციური მიდგომები — ენერგოეფექტურობის ზრდიდან დაწყებული, ციფრული ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის ინტეგრაციით დასრულებული — ქმნის საფუძველს მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სისტემისთვის.

მწვანე ეკონომიკის ტრანსფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილებებით; იგი მოიცავს სისტემურ გარდაქმნას ინდუსტრიულ, სოციალურ და ინსტიტუციურ დონეებზე. მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე განხორციელებული ინოვაციები ურთიერთდაკავშირებულია და ქმნის ერთიან ეკოსისტემას, რომელიც ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ნარჩენების შემცირებას და კლიმატის ცვლილების შერბილებას.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლს, რომელიც ქმნის პოლიტიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ საფუძვლებს ინოვაციების განვითარებისთვის. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მიზანმიმართული სტრატეგიები და ინვესტიციები მნიშვნელოვნად აჩქარებს მწვანე ტრანსფორმაციას.

საბოლოოდ, მწვანე ეკონომიკისკენ გადასვლა წარმოადგენს არა მხოლოდ ეკოლოგიურ აუცილებლობას, არამედ ეკონომიკურ შესაძლებლობასაც — ახალი ბაზრების, სამუშაო ადგილებისა და ინოვაციური ინდუსტრიების შექმნის გზით. შესაბამისად, ტექნოლოგიური ინოვაციების ეფექტიანი გამოყენება განსაზღვრავს მომავალი განვითარების მოდელს, რომელიც იქნება უფრო მდგრადი, ინკლუზიური და გარემოსადმი პასუხისმგებლიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2020). *საქართველოს მწვანე ეკონომიკის სტრატეგია 2030*.

2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). (2022). *ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამები*

3. Elkington, J. (1998). *Cannibals with Forks: The Triple Bottom Line of 21st Century Business*. New Society Publishers.

4. Kemp, R., & Pearson, P. (2007). *Measuring Eco-Innovation*. Maastricht: UNU-MERIT.
5. Club of Rome (1972). *The Limits to Growth*. Universe Books.
6. International Energy Agency (IEA). (2022). *World Energy Outlook 2022*.
7. International Energy Agency (IEA). (2023). *Global Energy Review 2023*.
8. Japan Ministry of Economy, Trade and Industry (METI). (2021). *Zero Waste Initiatives Report*.
9. European Commission. (2019). *The European Green Deal*. Brussels.
10. European Commission. (2021). *Horizon Europe Programme Guide*.
11. U.S. Government. (2022). *Inflation Reduction Act*.
12. Energy Web Foundation. (2021). *Blockchain for Energy Sector Report*.
13. Copernicus Programme. (2022). *Climate Data Store Overview*.
14. Carbios. (2021). *Enzymatic Recycling of Plastics*.
15. Siemens AG. (2020). *MindSphere: Industrial IoT as a Service*.
16. BASF. (2020). *Ecoflex Product Information*.

სსბასს 46-ის გავლენის ანალიზი არაფინანსური აქტივების შეფასების მეთოდოლოგიაზე
An Analysis of the Impact of IPSAS 46 on the Valuation Methodology of Non-Financial Assets

მარიამ ვარდიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
Mariam Vardiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში, სსბასს-ებისა და ED 90-ის ფარგლებში, განხილულია სსბასს 46-ის გავლენა არაფინანსური აქტივების შეფასებაზე და მისი გავრცელება სხვადასხვა სტანდარტზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სსბასს-ებში შეტანილი ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია მიმდინარე ღირებულების მოდელის დანერგვასთან:

სსბასს 45-ით გრძელვადიანი აქტივების შეფასება განისაზღვრება მათი ფუნქციური დანიშნულებით: თუ აქტივები გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში, ისინი ფასდება მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით, ხოლო თუ ინახება ეკონომიკური სარგებლის გამომუშავების მიზნით — სამართლიანი ღირებულებით

სსბასს 12-ის მიხედვით, მიმდინარე საოპერაციო ღირებულება გამოიყენება არაგაცვლითი ოპერაციებით მიღებული და საოპერაციო მიზნებისთვის განკუთვნილი მარაგების შეფასებისთვის, რაც ცვლის ტრადიციულ მიდგომას და აძლიერებს მომსახურების პოტენციალზე ორიენტირებულ შეფასებას.

სსბასს 21-**ში „გამოყენების ღირებულება“ (value in use) ჩანაცვლდა „მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით“ (current operational value), რის შედეგადაც განახლდა მომსახურების აღდგენითი ღირებულების (recoverable service amount) განსაზღვრა.**

ED 90-ის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები შეეხო სსბასს 3-საც, სადაც სსბასს 46-თან შესაბამისობის მიზნით ტერმინი „valuation techniques“ ჩანაცვლდა „measurement techniques“-ით, რაც აფართოებს შეფასების კონცეფციას და პრაქტიკაში დამატებით მეთოდოლოგიურ სიცხადეს მოითხოვს.

სხვადასხვა მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად შეფასების ერთგვაროვნებისკენ მიმართული ცვლილებებისა, ახალი მიდგომები გარკვეულ კონცეპტუალურ და პრაქტიკულ სირთულეებს წარმოშობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არსობრივად ახლოს დგას ჩანაცვლების ღირებულებასთან, რაც აჩენს კითხვებს მისი დამოუკიდებელი მნიშვნელობისა და პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: შეფასება; მიმდინარე საოპერაციო ღირებულება; მარაგები; არაგაცვლითი ოპერაციები.

Abstract. The article discusses, within the framework of IPSASs and ED 90, the impact of IPSAS 46 on the measurement of non-financial assets and its application across various standards.

The research found that the changes introduced in IPSASs are mainly related to the implementation of the current value model: Under IPSAS 45, the measurement of long-term assets is determined by their functional purpose: if assets are used in operational activities, they are measured at current operational value, while if they are held for the purpose of generating economic benefits — at fair value.

According to IPSAS 12, current operational value is used for the measurement of inventories acquired through non-exchange transactions and intended for operational purposes, which changes the traditional approach and strengthens a service potential-oriented measurement.

In IPSAS 21, “value in use” has been replaced by “current operational value”, as a result of which the definition of recoverable service amount has been updated.

The changes made within ED 90 also affected IPSAS 3, where, for the purpose of alignment with IPSAS 46, the term “valuation techniques” was replaced with “measurement techniques”, which expands the concept of measurement and requires additional methodological clarity in practice.

The analysis of various materials shows that, despite the changes aimed at achieving consistency in measurement, the new approaches create certain conceptual and practical difficulties. It is particularly noteworthy that current operational value is essentially close to replacement cost, which raises questions about its independent significance and the effectiveness of its practical application.

Keywords: measurement; current operational value; inventories; non-exchange transactions.

1. შესავალი

საჯარო სექტორში აქტივების ფლობის უმთავრესი მიზანი საზოგადოებისათვის მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაა. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა გარემოებები, როდესაც საჯარო სექტორის ერთეულები აქტივების ნაწილს კომერციული საქმიანობიდან შემოსავლის მიღების მიზნით გამოიყენებენ (Vardiashvili, 2024). შესაბამისად, აქტივთა ნაწილი ფულადი სახსრების წარმომქმნელია, ხოლო ნაწილი - ფულადი სახსრებს არ წარმოქმნის. ამიტომ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმები მოიცავს ორივე ტერმინს, „ეკონომიკურ სარგებელს“ და „მომსახურების პოტენციალს.“

აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ერთეულების ძირითადი ფუნქციის შესრულებას, უმეტესად „არ წარმოქმნიან ფულად ნაკადებს, მაგრამ ქმნიან მატერიალურ ბაზას სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციების განსახორციელებლად“ (Vardiashvili, 2018).

საჯარო სექტორში ერთეულები ხშირად იძენენ სპეციფიკური მახასიათებლების მქონე აქტივებს, რომლებიც კონკრეტულ საოპერაციო მოთხოვნებზეა მორგებული. მათი შეძენა ან გაყიდვა ღია, აქტიურ და ორგანიზებულ ბაზრებზე თითქმის შეუძლებელია. ამის მაგალითებია ინფრასტრუქტურული აქტივები, როგორიცაა საგზაო და საკომუნიკაციო ქსელები, კანალიზაციის, წყლისა და ელექტროენერგიის მომარაგების სისტემები, აგრეთვე ატომური ელექტროსადგურები, რკინიგზა, სახელმწიფო საავადმყოფოები და სხვა.

ასეთი აქტივებისთვის აქტიური ბაზარი იშვიათია, რაც შეფასების მეთოდის არჩევას ზღუდავს. ხშირად არც ისტორიული ღირებულებაა ხელმისაწვდომი. შედეგად, მომსახურების პოტენციალზე დაფუძნებული არაფინანსური აქტივების მიმდინარე ღირებულებით შეფასება არსებული მოდელებით რთული იყო და საჯარო სექტორში პრობლემას წარმოადგენდა (Vardiashvili, 2025). ამან განაპირობა აქტივების აღრიცხვაში მიმდინარე საოპერაციო ღირებულების მეთოდის შემოტანა.

მთავრობაში ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (სსბასსს) გამოაქვეყნა სსბასს 46 – „შეფასება“, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან.

სსბასს 46 „შეფასება“ არის ჯვარედინი (cross-cutting) სტანდარტი, რაც გულისხმობს, რომ იგი არ არის მიმართული მხოლოდ კონკრეტული აქტივის ან ვალდებულების რეგულირებისკენ, არამედ ადგენს შეფასების ზოგად პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც გამოიყენება სხვა სტანდარტებთან ერთობლიობაში. შესაბამისად, სსბასს 46 უზრუნველყოფს ერთიან მიდგომას აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას და ვრცელდება სხვადასხვა სტანდარტებზე (მაგალითად, სსბასს 12, სსბასს 17, სსბასს 45 და სხვა), რაც განაპირობებს შეფასების პროცესის თანმიმდევრულობასა და შედარებადობას საჯარო სექტორის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2. სსბასს 46 „შეფასება“

შეფასება ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან უზრუნველყოფს ზუსტ და სანდო ინფორმაციას ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შესახებ. გარდა იმისა, რომ ეს ინფორმაცია აკმაყოფილებს მომსხურების მიმღებთა და რესურსების მიმწოდებელთა ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნებთან დაკავშირებულ საინფორმაციო მოთხოვნებს, ის ასევე სასარგებლოა სხვა მხარეებისთვის და სხვა მიზნებისთვის. მაგალითად, სტატისტიკოსებისთვის, ანალიტიკოსებისთვის, მედიასთვის, ფინანსური მრჩევლებისთვის და სხვა (Maisuradze and Vardiashvili 2016).

გარდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ინტერესებისა, არსებობს სხვა მიზეზებიც, რის გამოც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზია აღრიცხვის სტანდარტებისა და რეგულაციების დაცვა(Sabauri, Vardiashvili & Masuradze, 2022).

სბასს 46 საჯარო სექტორის ერთეულებში უზრუნველყოფს შეფასების თანმიმდევრულ პრინციპებს, რაც გადამწყვეტია ფინანსური ანგარიშგების შედარებადობისა და სანდოობისთვის. იგი აყალიბებს ერთიან ჩარჩოს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შესაფასებლად, რითაც ამცირებს შეუსაბამობებს და ქმნის პირობებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ცალკეული სტანდარტებით უნდა განისაზღვროს, თუ რომელი შეფასების საფუძველი და კონკრეტული მოთხოვნის გამოყენებაა მიზანშეწონილი მათ მიერ დაფარული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების, გაუფასურების, ასევე ცვეთისა და ამორტიზაციის აღრიცხვისას (Vardiashvili, 2024).

ძირითადად, სსბასს 46 „შეფასება“ ადგენს შეფასების იერარქიას, რომელიც დაფუძნებულია სამ დონეზე: შეფასების მოდელები, საფუძვლები და ტექნიკები.

სტანდარტით ძირითადი ცვლილებები შეეხო მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს. არსებული მიდგომების ნაცვლად შემოტანილია: მიმდინარე საოპერაციო ღირებულება აქტივებისთვის (Current Operational Value – Assets), შესრულების ღირებულება ვალდებულებებისთვის (Cost of Fulfillment – Liabilities) და სამართლიანი ღირებულება

აქტივებისა და ვალდებულებებისთვის (Fair Value – Assets and Liabilities), რომელმაც ჩაანაცვლა საბაზრო ღირებულების ცნება.

სსბასს 46 „შეფასება“ იკავებს შუალედურ პოზიციას „კონცეპტუალურ საფუძვლებსა“ და იმ ინდივიდუალურ სტანდარტებს შორის, რომლებშიც ასევე განხორციელდა განახლებები. სსბასსს-მ პარალელურად გამოსცა და გააუმჯობესა რამდენიმე დაკავშირებული სტანდარტი, კერძოდ:

- სსბასს 43 „იჯარა“, სადაც ცვლილებები შეეხო აქტივის გამოყენების უფლებას (right-of-use), მის შეფასებას, აგრეთვე შესაბამის რისკებსა და სარგებელს;
- სსბასს 44 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“, რომელიც შემუშავებულია ანალოგიური სახელწოდების ფასს 5-ის საფუძველზე. აღნიშნული სტანდარტი ახალია და არეგულირებს გასაყიდად შენახული აქტივების აღრიცხვას, ასევე შეწყვეტილი ოპერაციების პრეზენტაციასა და გამჟღავნებას;
- სსბასს 45 „ძირითადი საშუალებები“, რომელიც შეფასების მეთოდოლოგიების ჰარმონიზაციის გზით უზრუნველყოფს საოპერაციო სიმძლავრისთვის განკუთვნილი ძირითადი საშუალებების მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით (current operational value) შეფასების შესაძლებლობას.

ამ საერთო ჩარჩოს ფარგლებში, სხვა სსბასს-ები განსაზღვრავენ, თუ რომელი კონკრეტული შეფასების საფუძველი და მოთხოვნები უნდა იქნას გამოყენებული მათ მიერ რეგულირებული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების, გაუფასურების, ასევე ცვეთისა და ამორტიზაციის განსაზღვრისას(Sabauri et al., 2026).

1. 3. სსბასს 46-ის გავლენა დაკავშირებულ სტანდარტებზე

სსბასს 46-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სხვა სტანდარტებზე, განსაკუთრებით მიმდინარე ღირებულების შეფასების მიდგომების მიმართულებით. ცვლილებები მოიცავს მიმდინარე საოპერაციო ღირებულების (current operational value) კონცეფციის ინტეგრაციას სსბასს 45-ში, სსბასს 43-ში, სსბასს 12-ში და სსბასს 21-ში („ფულის არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“), აგრეთვე სააღრიცხვო შეფასებების განმარტების დახვეწას სსბასს 3-ში („სააღრიცხვო პოლიტიკა, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები და შეცდომები“) და მიმდინარე ღირებულების გაზომვასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გაუმჯობესებას ფინანსური ანგარიშგების გამჟღავნებებში(Vardiashvili, 2024).

სსბასს 45 წარმოადგენს სსბასს 17-ის განახლებულ ვერსიას და ავითარებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის არსებულ პრინციპებს, განსაკუთრებით მემკვიდრეობითი და ინფრასტრუქტურული აქტივების, აგრეთვე შეფასების საკითხების მიმართულებით. სტანდარტი დამტკიცდა სსბასს-ის მიერ 2022 წლის დეკემბერში (გამოქვეყნდა 2023 წელს) და აერთიანებს რამდენიმე დამოუკიდებელი პროექტის შედეგებს ერთიან კონცეპტუალურ ჩარჩოში, რაც მიზნად ისახავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ხარისხის გაუმჯობესებას.

მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, სსბასს 45-ით განსაზღვრული საწყისი შეფასების პრინციპები არსებითად უცვლელი დარჩა. კერძოდ, გაცვლითი ოპერაციების შედეგად შეძენილი ძირითადი აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, კვლავ თვითღირებულებით ფასდება. ამასთანავე, არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული აქტივების შეფასება უნდა განხორციელდეს შეძენის თარიღისთვის დასაშვები საწყისი ღირებულებით.

აღსანიშნავია, რომ დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება არ განიხილება როგორც გადაფასება ან სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენება შემდგომი შეფასებისთვის.

აღნიშნული ღირებულების განსაზღვრისას ერთეულმა უნდა იხელმძღვანელოს სსბასს 46-ის მოთხოვნებით, რომლის მიხედვითაც არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივის თავდაპირველი შეფასება უნდა განხორციელდეს მისი შეძენის თარიღისთვის არსებული მიმდინარე ღირებულებით.

ამავდროულად, ძირითადი აქტივების მიმდინარე ღირებულებით შეფასების საფუძველი დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომლისთვისაც ერთეული ფლობს აღნიშნულ აქტივებს. სსბასს 45-ის შესაბამისად, საოპერაციო დანიშნულების აქტივები ფასდება მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით, ხოლო ეკონომიკური სარგებლის გენერირებაზე ორიენტირებული აქტივების შემთხვევაში გამოიყენება სამართლიანი ღირებულება.

აღნიშნული მიდგომა ცვლის სსბასს 17-ში დამკვიდრებულ წინა პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივების თვითღირებულება განისაზღვრებოდა მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით (fair value). შესაბამისად, ახალი სტანდარტის ფარგლებში სამართლიანი ღირებულება აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ შეფასების საფუძველს და იგი ჩანაცვლებულია უფრო ფართო კონცეფციით — მიმდინარე ღირებულებით (current value). ამასთანავე, სამართლიანი ღირებულება კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელობას და მიმდინარე საოპერაციო ღირებულებასთან ერთად განიხილება, როგორც მიმდინარე ღირებულების შეფასების ერთ-ერთი საფუძველი.

სსბასს 45-ის მიხედვით, სსბასს 17-ში განსაზღვრული მიდგომა მიწოდებისა და მონტაჟის ხარჯებთან მიმართებაში არსებითად არ შეცვლილა; აღნიშნული ხარჯები კვლავ განიხილება აქტივის თვითღირებულების შემადგენელ ელემენტად.

ამასთანავე, სსბასს 45 ერთეულებს აძლევს შესაძლებლობას, ძირითადი აქტივების აღიარების შემდგომი შეფასებისთვის აირჩიონ შესაბამისი მოდელი. კერძოდ, ერთეულმა სააღრიცხვო პოლიტიკად უნდა განსაზღვროს ან ისტორიული ღირებულების მოდელი, ან მიმდინარე ღირებულების მოდელი და აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენოს ძირითადი აქტივების მთელ კლასზე.

ისტორიული ღირებულების მოდელის გამოყენების შემთხვევაში, აქტივი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი საწყისი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით მიღებული თანხით.

მიმდინარე ღირებულების მოდელის შემთხვევაში, აქტივი აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც გადაფასების თარიღისთვის წარმოადგენს მის მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას ან სამართლიან ღირებულებას, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით (**Beke-Trivunac & Vukelić, 2023**)

შეფასების მოდელის არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მოდელიდან მიღებულ ინფორმაციას მიიჩნევენ მომხმარებლები ყველაზე სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, მონაცემებზე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით (Vardiashvili, 2019).

სამართლიანი ღირებულების გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც აქტივი ინახება ძირითადად ეკონომიკური სარგებლის გამომუშავების მიზნით (მაგ., ფულადი სახსრების შემოდინება ან ფულადი სახსრების გადინების შემცირება) ან გაყიდვისთვის. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გათვალისწინებულია ბაზრის მონაწილის უნარი, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებით (Vardiashvili, 2018).

სსბასსს-მ დაასკვნა, რომ სამართლიანი ღირებულება არ წარმოადგენს შესაბამის საფუძველს საოპერაციო აქტივების მიმდინარე ღირებულების შეფასებისთვის. შესაბამისად, საოპერაციო

აქტივებისთვის შემოთავაზებულ იქნა მიმდინარე ღირებულების გაზომვის განსხვავებული საფუძველი — მიმდინარე საოპერაციო ღირებულება (current operational value).

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არის თანხას, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა კონკრეტული აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალის მისაღებად (სსბასს 46).

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, რადგან იგი:

ა) არის შესვლის ფასს (entry price) და მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომლის გაწევაც აუცილებელია აქტივის დარჩენილი მომსახურების პოტენციალის უზრუნველსაყოფად;

ბ) ასახავს აქტივის ღირებულებას მისი არსებული გამოყენების პირობებში და არა მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე (მაგალითად, შენობა, რომელიც საავადმყოფოდ გამოიყენება, შეფასდება როგორც საავადმყოფო);

გ) ერთეულისთვის სპეციფიკურია და, შესაბამისად, ასახავს კონკრეტული ერთეულის ეკონომიკურ გარემოს (სსბასს 46, 2023).

2023 წლის მაისში სსბასს 46-ის გამოქვეყნების შემდეგ, სსბასსს-მ შეაფასა მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენებადობა სსბასს-ის ცალკეულ სტანდარტებში და შეიმუშავა ექსპოზიციური პროექტი 90 – „სსბასს სტანდარტებში ცვლილებები სსბასს 46 „შეფასების“ გამოყენების შედეგად“ (ED 90). აღნიშნული პროექტი წარმოადგენს სსბასს 46-ის დანერგვით განპირობებული ცვლილებების პაკეტს და მიზნად ისახავს იმ სტანდარტებში კორექტირებების შეტანას, სადაც მიმდინარე საოპერაციო ღირებულება შეფასების შესაბამის საფუძვლად მიიჩნევა (სსბასსს, 2023).

ED 90-ის ფარგლებში განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები:

ა) სსბასს 3 – „საანგარიშგებო პოლიტიკა, საანგარიშგებო შეფასებების ცვლილებები და შეცდომები“;

ბ) სსბასს 12 – „მარაგები“;

გ) სსბასს 21 – „ფულადი ნაკადების არმომქმნელი აქტივების გაუფასურება“.

ექსპოზიციური პროექტის მიხედვით, სსბასს 12-ში დამატებულია მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, როგორც შეფასების საფუძველი:

ა) საწყისი შეფასებისას — არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული მარაგებისთვის;

ბ) შემდგომი შეფასებისას — საოპერაციო მიზნებისთვის შენახული მარაგებისთვის.

სსბასსს მიიჩნევს, რომ ფულადი ნაკადების გენერირებისგან განსხვავებული მიზნებისთვის შენახული მარაგების შეფასებისას მიმდინარე საოპერაციო ღირებულების გამოყენება ზრდის ფინანსური ინფორმაციის რელევანტობასა და სანდოობას.

სსბასს 12-ში ასევე განსაზღვრულია ტერმინი — მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება (current replacement cost), რომელიც წარმოადგენს იმ თანხას, რომელსაც ერთეული გადაიხდიდა შესაბამისი აქტივის შესაძენად ანგარიშგების თარიღისთვის (Vardiashvili, 2024).

საჯარო სექტორის ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი მარაგები, რომელთა ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურებითი პოტენციალი პირდაპირ არ არის დაკავშირებული ფულადი შემოდინებების გენერირებასთან. ასეთი მარაგები წარმოიქმნება, მაგალითად, მაშინ, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს საქონლის უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად განაწილებას.

ამ შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მარაგების ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომელიც საჭირო იქნებოდა შესაბამისი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურებითი პოტენციალის შესაძენად. თუ ბაზარზე შეუძლებელია ეკონომიკური

სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შეძენა, საჭირო გახდება ჩანაცვლების ღირებულების გაანგარიშება (სსბასს 12,2024).

სსბასს 12-ის მე-17 პარაგრაფის შესაბამისად, მარაგები, რომლებიც განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით განაწილებისთვის, ფასდება მათ თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, როდესაც ისინი გამოიყენება: ა) უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად; ან

ბ) უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებელი საქონლის წარმოების პროცესში.

თუ მარაგის გამოყენების მიზანი იცვლება, შეფასების საფუძველიც შესაბამისად იცვლება და გამოიყენება ზოგადი წესი — მატერიალური მარაგები ფასდება მათ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ამრიგად, მარაგების შეფასების მეთოდის შერჩევა განპირობებულია მათი გამოყენების მიზნით: როდესაც მარაგი განკუთვნილია გაყიდვისთვის, გამოიყენება ნეტო სარეალიზაციო ღირებულება (NRV), ხოლო უსასყიდლო ან საოპერაციო მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში გამოიყენება მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება, როგორც მომსახურების პოტენციალის უფრო ზუსტად ამსახველი მაჩვენებელი.

იმისათვის, რომ გაიზარდოს სსბასს 21-ში წარმოდგენილი შეფასებითი ინფორმაციის სარგებლიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესაბამისობა სსბასს 46-სა და კონცეპტუალური საფუძვლების მე-7 თავში განხორციელებულ განახლებებთან, სსბასსს-მ დაასკვნა, რომ მომსახურების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იყოს: მიმდინარე საოპერაციო ღირებულება (current operational value) და რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება (fair value less costs to sell).

სსბასს 21-ში ცვლილებებამდე მომსახურების აღდგენითი ღირებულება განისაზღვრებოდა, როგორც ფულადი ნაკადების არმომქმნელი აქტივის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენებითი ღირებულებას შორის უდიდესი. ცვლილებების შედეგად, მომსახურების აღდგენითი ღირებულება (recoverable service amount) განიმარტება როგორც სამართლიანი ღირებულების (გაყიდვის ხარჯების გამოკლებით) და მიმდინარე საოპერაციო ღირებულებას შორის უდიდესი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „გამოყენებითი ღირებულება“ (value in use) ჩანაცვლდა „მიმდინარე საოპერაციო ღირებულებით“ (current operational value).

ED 90-ის შედეგად, სსბასს-ებიდან ამოღებულ იქნა ისეთი შეფასებითი მეთოდები, როგორიცაა ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება (depreciated replacement cost), აღდგენითი ღირებულების მეთოდი (restoration cost) და მომსახურების ერთეულების მეთოდი (service units). მათი გაუქმება მიზნად ისახავდა სტანდარტებს შორის ერთგვაროვნების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიდგომები არ ითვალისწინებდა რისკის კორექტირებას და არ ეფუძნებოდა ფულადი ნაკადების დისკონტირებას მიმდინარე ღირებულებამდე.

ცვლილებები შეეხო აგრეთვე სსბასს 3-ს. ED 90-ის ფარგლებში განხორციელებული ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური ჰარმონიზაცია ეფუძნება ბასს 8-ში განხორციელებულ განახლებებს. სსბასსს-მ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებების გადმოტანა შეესაბამება საჯარო სექტორის სპეციფიკას და ასახავს კერძო და საჯარო სექტორებს შორის შეფასების ზოგადი პრინციპების დაახლოების ტენდენციას.

ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ტერმინოლოგიას: სსბასს 46-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ტერმინი „valuation techniques“ ჩანაცვლდა „measurement techniques“-ით, რაც ასახავს შეფასების კონცეფციის გაფართოებას და მის გადატანას მხოლოდ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრიდან უფრო ფართო მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე. აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს სტანდარტებს შორის ერთგვაროვნებას, თუმცა ზრდის შეფასებითი მიდგომების გამოყენების მასშტაბს, რაც პრაქტიკაში დამატებით განმარტებებსა და მეთოდოლოგიურ სიცხადეს საჭიროებს (Caruana, 2025).

ამ ცვლილებებმა გავლენა მოახდინა სხვა სტანდარტებზეც, მათ შორის სსბასს 16-ზე („საინვესტიციო ქონება“), სსბასს 41-ზე („ფინანსური ინსტრუმენტები“), სსბასს 27-ზე („სოფლის მეურნეობა“) და სხვაზე. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები ძირითადად ტექნიკური (კოსმეტიკური) ხასიათისაა (Caruana, 2025).

მიმდინარე საოპერაციო ღირებულება არ ვრცელდება იმ სტანდარტებზე, რომლებიც ეხება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ აქტივებს, როგორიცაა საინვესტიციო ქონება (სსბასს 16), ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სსბასს 46 წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საჯარო სექტორში შეფასების პროცესის ჰარმონიზაციის მიმართულებით, რადგან იგი აყალიბებს ერთიან კონცეპტუალურ ჩარჩოს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სტანდარტებს შორის თანმიმდევრულობას.

სტანდარტის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არაფინანსური აქტივების შეფასების მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, მიმდინარე საოპერაციო ღირებულების შემოღებამ შეცვალა ტრადიციული შეფასების მიდგომები და განსაზღვრა ახალი ლოგიკა ისეთი სტანდარტებისთვის, როგორიცაა სსბასს 12 და სსბასს 21.

მიუხედავად ამისა, ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ცვლილებები არ არის სრულად ერთმნიშვნელოვანი. მიმდინარე საოპერაციო ღირებულება, რომელიც წარმოდგენილია როგორც ახალი შეფასების საფუძველი, პრაქტიკაში ხშირად უახლოვდება მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას, რაც ამცირებს მის კონცეპტუალურ განსხვავებას და აჩენს კითხვას მისი დამატებითი ღირებულების შესახებ.

ამასთან, საჯარო სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც აქტივები ძირითადად გამოიყენება მომსახურების პოტენციალის უზრუნველსაყოფად და არა ფულადი ნაკადების გენერირებისთვის, შეფასების პროცესში სუბიექტურობის ზრდა შეიძლება ნეგატიურად აისახოს ფინანსური ანგარიშგების სანდოობასა და გამჭვირვალობაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სსბასს 46-ის მიზნისა — შეფასების პროცესის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა — მისი პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან. შესაბამისად, აუცილებელია დამატებითი მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავება და შეფასების საფუძვლების შემდგომი დაზუსტება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი და ადეკვატური გამოყენება საჯარო სექტორში.

ლიტერატურის სია

1. Beke-Trivunac, J., & Vukelić, G. (2023). IPSAS 45: Property, plant and equipment. *Revizor*, 26(102–103), 149–153. https://doi.org/10.56362/rev23102149b

2. Caruana, J. (2025). ED 90: The ripple effect of IPSAS 46 measurement. *Accounting and Management Review*, 29, 183–198. https://doi.org/10.55486/amrrcg.v29i1.6

3. EAA Public Sector Accounting Committee. (2024, November). Comment letter on exposure draft 90.

4. International Public Sector Accounting Standards Board. (2023). Exposure draft 90: Amendments to IPSAS standards as a result of the application of IPSAS 46, measurement. https://www.ipsasb.org/publications/exposure-draft-90-amendments-ipsas-standards-result-application-ipsas-46-measurement

5. International Public Sector Accounting Standards Board. (2023). IPSAS 45: Property, plant, and equipment. https://www.ipsasb.org/publications/ipsas-45-property-plant-and-equipment

6. International Public Sector Accounting Standards Board. (2023). IPSAS 46: Measurement. https://www.ipsasb.org

7. International Public Sector Accounting Standards Board. (2024). IPSAS 12: Inventories. https://www.ipsasb.org

8. Maisuradze, M., & Vardiashvili, M. (2016). Main aspects of measurement of the fair value of non-financial assets. In *Economic and social development: 15th international scientific conference on economic and social development – Human resources development*.

9. Sabauri, L., Vardiashvili, M., & Maisuradze, M. (2022). Methods for measurement of progress of performance obligation under IFRS 15. *Ecoforum*, 11(3). ISSN 2344-2174.

10. Sabauri, L., Vardiashvili, M., & Maisuradze, M. (2026). Readiness and perceptions of IPSAS 46 "Measurement" implementation in public sector entities: Evidence from Georgia. *Journal of Risk and Financial Management*.

11. Vardiashvili, M. (2018). Theoretical and practical aspects of impairment of non-cash-generating assets in public sector entities according to IPSAS 21. *Ecoforum*, 7(3), Article 830.

12. Vardiashvili, M. (2019). Some issues of measurement of impairment of non-financial assets in the public sector. *Journal of Economics and Management Engineering*, 13(5), 521–526.

13. Vardiashvili, M. (2024). Impact of IPSAS 43 on lease accounting. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press. https://dspace.tsu.ge/items/3cf89658-39dc-449a-9e51-6b8085c681d2

14. Vardiashvili, M. (2024). Review of measurement-related changes in international public sector accounting standards (IPSAS). *Economics and Business*, 16(3). https://doi.org/10.52340/eab.2024.16.03.12

15. Vardiashvili, M. (2025). Measurement of non-financial assets at current operational value. *Finance, Accounting and Business Analysis*, 7(1). https://doi.org/10.37075/FABA.2025.1.09

არასაბაზრო ფასწარმოქმნის სტრატეგიები:ტრანსფერული ფასები და კარტელური გარიგებები
Non-Market Pricing Strategies: Transfer Pricing and Cartel Agreements

ნელი სესაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
ლია პიტიურიშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
პროფესორი
ნინელი თევდორაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
პროფესორი
Neli Sesadze
Georgian Technical University
Professor
Lia Pitiurishvili
Georgian National University SEU
Professor
Nineli Tevdorashvili
Georgian National University SEU
Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია არასაბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმები, კერძოდ, აქცენტი გაკეთებულია ტრანსფერულ ფასწარმოქმნასა და კარტელურ (კლასტერულ) გარიგებებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. საბაზრო ეკონომიკის დროს ფასები მიწოდებისა და მოთხოვნის კანონზომიერებით ყალიბდება, თუმცა ეს პრინციპები ხშირად დეფორმირდება ფასწარმოქმნის ხელოვნური მოდელებით, რომლებიც მოგების მაქსიმიზაციასა და საგადასახადო ოპტიმიზაციას ისახავს მიზნად.

სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ ქმნის კარტელური შეთანხმებები ხელოვნურ საბაზრო ორიენტირებს, რომლებსაც კომპანიები შემდგომში საგადასახადო ორგანოებთან საკუთარი შიდა სატრანსფერო ფასების გასამართლებლად იყენებენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო მარეგულირებელ ჩარჩოს, მათ შორის OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებს, BEPS (საგადასახადო ბაზის ეროზია და მოგების გადატანა) სამოქმედო გეგმასა და Pillar Two ინიციატივას — გლობალური მინიმალური გადასახადის შესახებ.

საქართველოს კონტექსტში სტატიაში განხილულია კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ ფარმაცევტულ და საწვავის სექტორებში ბოლო პერიოდში განხორციელებული აქტივობები ამ მიმართულებით. ხაზგასმულია, თუ როგორ იწვევს კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფისშიდა ტრანზაქციები სამომხმარებლო ფასების ზრდასა და ფისკალურ დანაკარგებს. შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია კონკურენციის ეროვნული სააგენტოსა და საგადასახადო უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერებისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბაზრის გამჭვირვალობა და მომხმარებელთა კეთილდღეობის დაცვა.

საკვანძო სიტყვები: არასაბაზრო ფასწარმოქმნა, ტრანსფერული ფასები, კარტელური გარიგებები, OECD, BEPS, გაშლილი ხელის პრინციპი, საბაზრო კონკურენცია.

Abstract. This article explores the mechanisms of non-market pricing strategies, specifically focusing on the interplay between Transfer Pricing and Cartel (Cluster) Agreements. In a functional market economy, prices are determined by the laws of supply and demand; however, these principles are often distorted by artificial pricing models aimed at profit maximization and tax optimization.

The research analyzes how cartel agreements create artificial market benchmarks that companies subsequently use to justify their internal transfer prices before tax authorities. Special attention is given to the international regulatory framework, including OECD Guidelines, the BEPS (Base Erosion and Profit Shifting) action plan, and the Pillar Two global minimum tax initiative.

In the context of Georgia, the article discusses recent enforcement actions by the National Competition Agency in the pharmaceutical and fuel sectors. It highlights how coordinated practices and intra-group transactions lead to inflated consumer prices and fiscal losses. The study concludes with recommendations for enhancing inter-agency coordination between competition and tax authorities to ensure market transparency and protect consumer welfare.

Keywords: Non-market pricing, Transfer Pricing, Cartel Agreements, OECD, BEPS, Arm's Length Principle, Market Competition.

ძირითადი ნაწილი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასწარმოქმნის საფუძველს მიწოდებისა და მოთხოვნის კანონები წარმოადგენს. მიწოდება და მოთხოვნა ერთად განსაზღვრავს მრავალი საქონლისა და მომსახურების ფასს. ფასი კი ის სიგნალია, რომელიც რესურსების განაწილებას წარმართავს. ადამ სმიტის მიხედვით -თუკი საბაზრო ეკონომიკას უხილავი ხელი მართავს, მაშინ უხილავი ხელი ეკონომიკური ორკესტრის სადირიჟოროდ სწორედ ფასების ღილაკს იყენებს. ბაზრის კონტრაგენტები დაპირისპირებული ინტერესების ფონზე, ცდილობენ ჩამოაყალიბონ წონასწორობა მიწოდება- მოთხოვნას შორის, რომლის შედეგიცაა კონკურენტული ფასები. [1]

ფასწარმოქმნის მსგავსი სისტემა აწესრიგებს ურთიერთდამოუკიდებელი გამყიდველებისა და მყიდველების გარიგებებს, მაგრამ ფუნდამენტალურად იცვლება ორი ტიპის არასაბაზრო სტრატეგიის დროს:

კარტელური (კლასტერული) გარიგებების შემთხვევაში -ფორმალურად დამოუკიდებელი კონკურენტები ფარულად თანხმდებიან ფასებზე, რაც სპობს კონკურენტულ გარემოს.

ტრანსფერული ფასები- ასოცირებული პირების შემთხვევაში, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთიან ჯგუფში, რომლის ფარგლებშიც განხორციელებულ გარიგებებზე ზეგავლენას ახდენს ჯგუფის წევრთა შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი.

ტრანსფერული ფასის ფესვები ფირმის სტრუქტურული ქვედანაყოფებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. შიდა (საანგარიშსწორებო) ფასი, რომლითაც ანხორციელებენ ქვედანაყოფები საქონლისა და მომსახურების გაცვლას ურთიერთშორის სატრანსფერო ფასის სახელით არის ცნობილი

ეს სისტემა მოითხოვს კომპანიის საქმიანობის დანაწევრებას პასუხისმგებლობის ცენტრებად და თითოეული მათგანის ეფექტიანობის განსაზღვრას ცალკცალკე.

სატრანსფერო ფასწარმოქმნა იმ წესების ერთობლიობა, რომელსაც ბიზნესუბიექტები იყენებენ, რათა გაანაწილონ ერთობლივად გამომუშავებული შემოსავალი პასუხისმგებელ ცენტრებს შორის.[2]

სატრანსფერო ფასწარმოქმნის ძირითადი პრინციპები განხილულია რ. ენტონის და ჯ. დირდენის ნაშრომში. მათ დაამტკიცეს, რომ ტრანსფერული ფასწარმოქმნა განსაზღვრავს საწარმოთა შორის საქონლისა და მომსახურების მიწოდების მოცულობას და სიხშირეს, ზეგავლენას ახდენს შემოსავლებსა და დანახარჯზე, რადგან გამყიდველისთვის იგი შემოსავალია, ხოლო მყიდველისათვის -დანახარჯი, ამასთან ეს ფასი თითოეული საწარმოს ინტეგრაციულ სტრუქტურაში მონაწილეობიდან ფინანსური შედეგის გაანგარიშების შესაძლებლობას იძლევა. ტრანსფერული ფასწარმოქმნის პრობლემის ეკონომიკურ-მათემატიკური ინტერპრეტაცია შემუშავებულ იქნა ჯ. ხირშლეიფერის მიერ, რომელმაც განიხილა ორპროდუქტიანი ფირმა.[3]

ჯ. ხირშლეიფერის კვლევებმა დაამტკიცა, რომ ტრანსფერული ფასწარმოქმნა უნდა შეესამებოდეს როგორც ცალკეული საწარმოს, ისე იმ ინტეგრირებული არხის სტრატეგიას, რომელშიც არის იგი გაერთიანებული. [4]

ხშირად, კარტელური (კლასტერული) გარიგებები წარმოადგენს ტრანსფერული მანიპულაციების წინაპირობას. როდესაც ბაზრის მსხვილი მოთამაშეები თანხმდებიან მაღალ ფასზე, ეს ქმნის ხელოვნურ „საბაზრო ფასს“. ამ პირობებში, ტრანსფერული ფასწარმოქმნისას

კომპანიებს უადვილდებათ გაამართლონ თავიანთი შიდა გარიგებები რეგულატორებთან, რადგან ისინი ეყრდნობიან კარტელის მიერ დაწესებულ ხელოვნურ ნიშნულებს.

საწარმოთა მიერ არასაბაზრო ფასების გამოყენების მიზანები ორ დიდ ჯგუფად შესაძლოა წარმოვადგინოთ: კორპორაციის შიდა და გარე მოტივები.

კორპორაციის შიდა მოტივები:

საერთო მოგებაში ქვედანაყოფების წვლილის განსაზღვრა და მატერიალური სტიმულირების სისტემის შემუშავება. მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკაში ცნობილია სატრანსფერო ფასწარმოქმნის 3 სახე: საბაზრო ფასების საფუძველზე-„გაშლილი ხელის“ პრინციპი; „თვითღირებულება+“, ხელშეკრულებითი ფასები; [4] საბაზრო ფასების საფუძველზე სატრანსფერო ფასების ჩამოყალიბება უფრო მეტად გამოიყენება ჯგუფის დეცენტრალიზაციის მაღალი დონის პირობებში. ამ დროს ქვედანაყოფები თავისუფალნი არიან არჩევანში: მიაწოდონ პროდუქცია გარე მომხმარებელს, თუ შიდა მომხმარებელს.

ტრანსფერული ფასები ჰოლდინგების მიერ გამოიყენება მენეჯერთა ქცევის მოტივაციის ამაღლების მიზნებისათვის დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღების, რესურსების განაწილების საქმიანობასთან დაკავშირებით ბიზნესსუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

კორპორაციის გარე (ფისკალური) მოტივები:

საერთაშორისო ტრანსფერული ფასწარმოქმნა, რომელიც უკავშირდება მოგების კონცენტრაციას შეღავათიანი დაბეგვრის (ოფშორულ) ზონებში. აქ კარტელური გარიგება კომპანიებს აძლევს საშუალებას, ჯერ მაქსიმალური მოგება ამოიღონ ბაზრიდან, ხოლო შემდეგ ტრანსფერული ფასებით ეს მოგება საგადასახადო იურისდიქციებს მიღმა გაიტანონ.

კორპორაციის გარე მოტივები საერთაშორისო ტრანსფერულ ფასწარმოქმნას ეხება, რომელიც უკავშირდება ორგანიზაციის მიერ დადებულ ფასებს, როცა საქონელი ან მომსახურება გადააქვთ ამავე ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, რომლებიც განსხვავებული საგადასახადო კანონმდებლობით რეგულირდება. მოგება კონცენტრირდება იმ კონტროლირებად სტრუქტურებში, რომელნიც იმყოფებიან შეღავათიანი დაბეგვრის პირობების მქონე ქვეყნებში. შედეგად მიიღება საგადასახადო ტვირთის შემცირება და საერთო მოგების ზრდა.

წარმოებული საქონელი რეალიზდება შემცირებული ფასებით საწარმოზე, რომელიც იმყოფება შეღავათიანი დაბეგვრის პირობების მქონე ქვეყანაში. შემდგომში ეს უკანასკნელი ახდენს ამ საქონლის რეალიზაციას ნორმალურ, საბაზრო ფასებში.

შესაძლოა არსებობდეს სხვა ვარიანტიც, როდესაც მწარმოებელი კომპანია იმყოფება დაბეგვრის უფრო შეღავათიან პირობებში. ამიტომ მიყიდის სავაჭრო საწარმოს მეტად მაღალ ფასში, ამით მოგების კონცენტრაცია ხდება მწარმოებელი საწაროს დონეზე და ღებულობს საგადასახადო შეღავათს.

ერთი ქვეყნის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნას ანალოგიური მექანიზმი, როცა მოგების კონცენტრაცია ხდება იმ კომპანიაში, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო დაბეგვრის შეღავათიანი პირობები. შემდეგ აკუმულირებული მოგება შესაძლოა გადანაწილდეს ჯგუფის დანარჩენ მონაწილეებზე ფულადი სახსრების, დივიდენდების, სესხების გაცემის, საწესდებო კაპიტალის გადიდების და სხვა გზით.

სახელმწიფო განიხილავს ტრანსფერულ ფასწარმოქმნას მისი ფისკალური ინტერესების დარღვევად, თუკი ტრანსფერული ფასწარმოქმნა მიზნად ისახავს საგადასახადო ტვირთის შემცირებას. სახელმწიფო ასეთ პირობებში ეროვნულ კანონმდებლობაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებებში ადგენს ნორმებს, რითაც კორექტირებას უკეთებს საგადასახადო ბაზას.

გადასახადების ოპტიმიზაციის მიზნებისათვის ტრანსფერული ფასწარმოქმნის გამოყენების პირველ მცდელობას ჰქონდა ადგილი 1897 წელს, როდესაც ძმებმა ვესტი შექმნეს სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა მათდამი კუთვნილ კომპანიებს შორის, ისე, რომ მოგების უდიდეს ნაწილს ოფშორულ იურისდიქციებში ტოვებდნენ.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ წესები კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნა 1915 წელს დიდ ბრიტანეთში, ხოლო 1917 წელს აშშ-ში.

მიუხედავად ამისა, ეს თემა არ იყო ასე აქტუალური. მისადმი ინტერესი გაიზარდა 1960 წელს, რადგან ამ დროიდან მსოფლიო ეკონომიკაში წარმართველი ძალა ხდება ტრანსეროვნული კორპორაციები.

1970 წლიდან ქვეყნებმა დაიწყეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის საგადასახადო საკითხების საერთაშორისო რეგულირება. 1979 წელს, ხოლო შემდეგ 1984 წელს ეთგო-მ გამოსცა ეგრეთწოდებული რეკომენდაციები სატრანსფერო ფასთან დაკავშირებით (Transfer pricing Guidelines for multinational enterprises and tax administrations). ეს რეკომენდაციები განახლებულ იქნა 1995 წელს და მას შემდეგ ახლდება რეგულარულად. ეთგო-ს მოდელური კონვენცია თავდაპირველად მიმართული იყო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისაკენ. დროთა განმავლობაში მისი მოქმედების სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა და მოგების გადასახადისაგან თავის არიდების საკითხებიც მოიცვა. [8]

ევროკომისიამ ჩართო ტრანსფერული ფასწარმოქმნა ქცევის კოდექსში ("codes of conduct" by the EU Council). ევროკომისიამ შეიმუშავა guidelines on low-value-adding intra-group services, რომელიც მიღებულ იქნა 17 მაისს, 2011 წელს. გაერო-მ გამოაქვეყნა ანგარიში 1988 წელს "International Income Taxation and Developing Countries".

ეთგო-ს მოდელურ კონვენციაში შეტანილ იქნა ცვლილებები 2017 წელს. იგი დაუკავშირდა პროექტს BEPS(Base erosion and profit shifting, BEPS)- საგადასახადო ბაზის ეროზიის და დაბეგვრისაგან მოგების გადატანის სამოქმედო გეგმას . ამ პროექტმა გააერთიანა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა მოგების ოფშორებში გადატანის და მოგების გადასახადის თავიდან აცილების პრობლემასთან ბრძოლაში. 2017 წლის მდგომარეობით მასში 110 ქვეყანა მონაწილეობს, ამასთან მან შეიქმნა „ინკლუზიური საფუძველი", განვითარებადი ქვეყნების პროექტში ჩართვისათვის.[8]

აღსანიშნავია OECD-ის ინიციატივა გლობალური მინიმალური 15%-იანი კორპორაციული გადასახადის შესახებ (Pillar Two), რომელზეც 2021 წელს შეთანხმდა 130-ზე მეტი ქვეყანა და მიზნად ისახავს მოგების ხელოვნური გადატანის შემცირებას და „საგადასახადო რბოლის" შეჩერებას. OECD-ის შეფასებით, მინიმალურმა გადასახადმა შეიძლება გლობალურად დაახლოებით 150 მილიარდ დოლარზე მეტი დამატებითი საგადასახადო შემოსავალი უზრუნველყოს წელიწადში.საკითხი, არღვევს თუ არა ეს ინიციატივა მცირე ქვეყნების სუვერენულ უფლებას, კომპლექსურ შეფასებას საჭიროებს. ფორმალურად, საგადასახადო სუვერენიტეტი კვლავ რჩება სახელმწიფოს უფლებად — არცერთი ქვეყანა იძულებული არ არის უარი თქვას საკუთარ საგადასახადო პოლიტიკაზე, რადგან შეთანხმება ეფუძნება საერთაშორისო კოორდინაციას და არა ზესახელმწიფოებრივ იძულებას. თუმცა პრაქტიკულად, თუ ქვეყანა არ დააწესებს მინიმუმ 15%-იან გადასახადს, სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ დამატებითი გადასახადი დააკისრონ იმავე კომპანიის მოგებაზე („top-up tax" მექანიზმი), რაც ამცირებს დაბალი გადასახადის შენარჩუნების ეფექტს. ამ თვალსაზრისით, მცირე ქვეყნებისთვის საგადასახადო კონკურენციის ინსტრუმენტი მნიშვნელოვნად სუსტდება.შეფასება დამოკიდებულია ხედვაზე: ერთი მხრივ, 15%-იანი მინიმალური გადასახადი შეიძლება

ჩაითვალოს გლობალური სამართლიანობისა და სტაბილურობის განმტკიცების მექანიზმად, რომელიც ზღუდავს აგრესიულ საგადასახადო კონკურენციას და ამცირებს შემოსავლების დანაკარგს. მეორე მხრივ, მცირე და განვითარებადი ქვეყნებისათვის საგადასახადო პოლიტიკა ხშირად წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მთავარ ბერკეტს, და მინიმალური განაკვეთის დაწესება ნაწილობრივ ზღუდავს მათ არჩევანის თავისუფლებას.

2011 წლის 1 იანვრიდან ქართულ კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა სატრანსფერო ფასწარმოქმნის თემასთან დაკავშირებული პრინციპები, თუმცა უშუალო ინსტრუქცია მიღებულ იქნა 2013 წლის 18 დეკემბერს. ამ თემას ეძღვნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126-129 მუხლები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის N423 ბრძანება. [6] იგი დაფუძნებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2010 წლის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს მითითებებზე, რომელიც მიეძღვნა მულტი-ნაციონალურ კომპანიებს და საგადასახადო ორგანოებს (ეთგოს სახელმძღვანელო).[9] ეთგო-ს სახელმძღვანელო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ პრაქტიკაში იგი წარმოადგენს კონტროლირებული ოპერაციების შეფასების საერთაშორისო სტანდარტს.

ეთგო-ს მოდელური კონვენციის მიხედვით განისაზღვრა ასოცირებული პირები. ასოცირებულ პირებად ჩაითვლებიან კომპანიები შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

- თუ საწარმო, პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს სხვა საწარმოს კონტროლში, მართვაში ან კაპიტალში.
- ერთი და იგივე პირი პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს ორივე საწარმოს მართვაში, კონტროლსა და კაპიტალში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში მსგავსი ურთიერთობების აღსანიშნავად შემოღებულია ტერმინი ურთიერთდამოკიდებული პირები.[7]

განსაზღვრულ იქნა კონტროლირებადი ოპერაცია - გარიგების ერთ-ერთი მხარე წარმოადგენს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტს; ან ეს არის სათავო ოფისსა და მის მუდმივ დაწესებულებას შორის განხორციელებული ოპერაცია. კონტროლირებული ოპერაციები მოიცავს როგორც საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ან შესყიდვის ოპერაციას, ფინანსურ ოპერაციას, ან არამატერიალური აქტივთან დაკავშირებულ ოპერაციას.

საქართველოს შემოსავლების სამსახური და კონკურენციის ეროვნული სააგენტო პარალელურ რეჟიმში აკონტროლებენ, რომ გარიგებები დადგინდეს „გაშლილი ხელის“ პრინციპის საფუძველზე და არ მოხდეს ფასების ხელოვნური კლასტერული ფორმირება.

საქართველოში ბოლო პერიოდში ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა, რადგან რამდენიმე სტრატეგიულ ბაზარზე კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადასტურა კარტელური გარიგებების არსებობა, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია ფასების ზრდაზე.„საქართველოს რეალობაში არასაბაზრო ფასწარმოქმნა მწვავედ ვლინდება სტრატეგიულ სექტორებში. მაგალითად, ფარმაცევტულ ბაზარზე 2023-2024 წლებში გამოვლენილმა კარტელურმა გარიგებამ აჩვენა, რომ შეთანხმებული ფასები პირდაპირ აზიანებს სოციალურად მოწყვლად ფენებს. ასეთ დროს კომპანიები ხშირად იყენებენ საზღვარგარეთ არსებულ დაკავშირებულ მხარეებს, რათა ტრანსფერული ფასწარმოქმნის მეშვეობით ხელოვნურად გაზარდონ პროდუქციის თვითღირებულება და გაამართლონ მაღალი საბაზრო ფასი.

დასკვნა. საქართველოს ბაზარზე არსებული გამოწვევები — მედიკამენტების, საწვავისა და საბანკო მომსახურების სექტორებში — ცხადყოფს, რომ არასაბაზრო ფასწარმოქმნის

პრევენციისთვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას კარტელური გარიგებების ნეგატიური ეფექტი და დარეგულირდეს ტრანსფერული მანიპულაციები, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება: კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ და შემოსავლების სამსახურმა (საგადასახადო აუდიტის დეპარტამენტმა) უნდა დანერგონ ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემა. ხშირად, ტრანსფერული ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ კომპანია ხელოვნურად ზრდის ხარჯებს კარტელური ფასის გასამართლებლად.

„გაშლილი ხელის პრინციპის“ მკაცრი მონიტორინგი: სახელმწიფო შესყიდვებისა და სტრატეგიული იმპორტის დროს (მაგალითად, ჯანდაცვაში), აუცილებელია დადგინდეს რეალური საბაზრო ბენჩმარკები საერთაშორისო ბაზრებზე და არა მხოლოდ ადგილობრივ, შესაძლოა კარტელიზებულ გარემოში.

მონაცემთა გამჭვირვალობა და ღია ბაზარი: რაც უფრო მეტი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ფასწარმოქმნის სტრუქტურაზე, მით უფრო რთულია ფარული გარიგებების შენარჩუნება. მნიშვნელოვანია ციფრული პლატფორმების განვითარება, სადაც მომხმარებელი და რეგულატორი დაინახავს ფასების ცვლილების დინამიკას რეალურ დროში.

ლმობიერების პროგრამის (Leniency Policy) პოპულარიზაცია: კარტელური გარიგებების მხილების ყველაზე ეფექტური გზა საერთაშორისო პრაქტიკაში არის „ინსაიდერული“ ინფორმაცია. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს კომპანიები, რათა მათ თავად ამხილონ ფასთა შეთანხმების ფაქტები ჯარიმებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ.

დასკვნა: თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ფასი აღარ არის მხოლოდ „მიწოდება-მოთხოვნის“ შედეგი; ის სტრატეგიული მანიპულაციების ობიექტად იქცა. საქართველოსთვის, როგორც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არასაბაზრო ფასწარმოქმნის სტრატეგიების შეზღუდვა. თუ კარტელური გარიგება ანგრევს კონკურენციას „ჰორიზონტალურად“ (ბაზრის მონაწილეებს შორის), ტრანსფერული ფასწარმოქმნა ამას აკეთებს „ვერტიკალურად“ (ჯგუფის შიგნით). მხოლოდ მათი ერთობლივი კონტროლით არის შესაძლებელი სამართლიანი საბაზრო გარემოს ჩამოყალიბება, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლის კეთილდღეობასა და ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

სახელმწიფოებრივმა რეგულაციებმა სატრანსფერო ფასწარმოქმნისა და კონკურენციის სფეროში ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასა და ინვესტიციების წახალისებას. სატრანსფერო ფასწარმოქმნის სისტემა სტრუქტურული ქვედანაყოფების მოტივაციის გაზრდის მიზნით გამოსაყენებელია საქართველოშიც, კერძოდ საბანკო სისტემაში, სადაც ის ფულად სახსრებზე შიდა საბანკო ფასის დადგენის საფუძველი იქნება. თუმცა, ამ პროცესში აუცილებელია მკაცრი კონტროლი, რათა შიდა ორგანიზაციული ეფექტურობა არ გადაიზარდოს არაკეთილსინდისიერ კარტელურ შეთანხმებებში, რაც დააზიანებს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ატკინსონი ენტონი, კაპლანი რობერტ; მმართველობითი აღრიცხვა, მეხუთე გამოცემა, 2009

2. Anthony R.N., Dearden J. Management Control Systems. - R.D. Irwin, 1984

3. Hirshleifer J. Internal pricing and decentralized decisions. - Boniniet.al., 1964

4. https://www.hse.ru/data/385/393/1238/Kasatkin.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02. 2026

5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №423 2013 წლის 18 დეკემბერი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

6. https://www.oecd-ilibrary.org/taxation/oecd-transfer-pricing-guidelines-for-multinational-enterprises-and-tax-administrations-2017_tpg-2017-en ეუთო-ს მოდელური კონვენცია ახალი რეკომენდაციებიუკანასკნელად გადამოწმებულია 08.02. 2026

7. OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/support-materials/2025/10/a-decade-of-the-beps-initiative_d6b0d93a/a-decade-of-the-beps-initiative-highlights.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02. 2026

8. OECD (2015), *Explanatory Statement, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project*, OECD Publishing, Paris. Available at: www.oecd.org/tax/beps-explanatory-statement-2015.pdfუკანასკნელად გადამოწმებულია 08.02. 2026

Digital Finance and FinTech Innovations: Transformation of the Georgian Financial Sector in the Context of Global Trends

Ana Alpaidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Master of Economics

Abstract. The rapid development of digital finance and Financial Technology (FinTech) has significantly transformed the global financial system during the last decade. Technological innovations such as mobile banking, artificial intelligence, blockchain, digital payments, and open banking have changed the traditional structure of financial services and increased financial inclusion worldwide. Georgia, as a developing economy with an expanding digital infrastructure, has actively integrated FinTech solutions into its financial sector. This article analyzes the role of digital finance and FinTech innovations in the transformation of the Georgian financial system within the context of global trends. The study discusses the impact of digitalization on banking services, customer behavior, financial accessibility, cybersecurity, and economic development. Furthermore, the paper evaluates the opportunities and challenges facing Georgia's financial sector in the digital era.

Keywords: Digital Finance, FinTech, Georgia, Financial Innovation, Digital Banking, Financial Technology, Economic Development

Introduction

Digital transformation has become one of the most influential processes in the modern global economy. The financial sector, in particular, has experienced significant structural and technological changes due to the emergence of FinTech innovations. FinTech refers to the integration of technology into financial services in order to improve efficiency, accessibility, speed, and customer experience. Globally, financial institutions are increasingly adopting digital solutions such as online banking

platforms, mobile payment systems, artificial intelligence, blockchain technology, and cloud computing. These technologies are reshaping the traditional banking model and creating new opportunities for both businesses and consumers. Georgia has demonstrated considerable progress in the field of digital finance. The country's banking sector is recognized as one of the most technologically advanced sectors in the region. Commercial banks and financial institutions actively implement innovative digital services, contributing to economic modernization and financial inclusion. This article aims to examine the development of digital finance and FinTech innovations in Georgia while comparing the country's progress with global financial trends.

Global Trends in Digital Finance and FinTech

The Rise of Digital Banking: Digital banking has become a dominant trend in the global financial industry. Traditional banking operations are increasingly replaced by online and mobile platforms that allow customers to conduct transactions remotely. Major global financial institutions invest heavily in digital ecosystems to improve customer experience and reduce operational costs. The COVID-19 pandemic accelerated the adoption of digital financial services, increasing demand for contactless payments and online banking solutions. Some major global trends include: Mobile banking applications; Contactless payment systems; Artificial intelligence in customer service; Blockchain and cryptocurrencies; Open banking systems; Cloud-based financial infrastructure. Financial Inclusion Through FinTech FinTech innovations contribute significantly to financial inclusion by providing access to financial services for underserved populations. Digital wallets, peer-to-peer lending platforms, and mobile payment systems enable individuals and small businesses to participate in the formal financial system. According to the World Bank, digital finance plays a crucial role in reducing poverty and supporting sustainable economic growth in developing countries. Cybersecurity Challenges, Despite numerous advantages, digital finance also creates cybersecurity risks. Financial institutions face increasing threats from cyberattacks, data breaches, identity theft, and online fraud. Therefore, ensuring cybersecurity and consumer data protection has become a major priority for governments and financial regulators worldwide. Development of FinTech in Georgia, Digital Transformation of the Banking Sector Georgia's banking sector has undergone rapid digital transformation during recent years. Leading Georgian banks actively implement innovative technologies and digital platforms to improve financial services. Commercial banks in Georgia offer: Mobile banking applications; Internet banking services; Digital loan approvals; QR code payments; Contactless card technologies; AI-based customer support systems. The adoption of digital banking services has significantly increased customer convenience and operational efficiency. Two major banks, TBC Bank and Bank of Georgia, are considered regional leaders in financial innovation and digital banking technologies. Growth of FinTech Startups Georgia's FinTech ecosystem is gradually expanding. Startup companies introduce innovative financial solutions in payment systems, online lending, financial analytics, and cryptocurrency services. The development of FinTech startups is supported by: Increasing internet penetration; Government digitalization strategies; Growing consumer demand for online services; International investments and partnerships. Georgia's favorable business environment and relatively flexible regulatory framework create opportunities for FinTech development and foreign investment attraction. National Bank and Regulatory Environment. The National Bank of Georgia plays an important role in supporting financial innovation while maintaining financial stability. Regulatory reforms focus on improving digital payment systems, cybersecurity regulations, and financial transparency. The National Bank promotes: Digital payment modernization; FinTech regulatory frameworks; Consumer protection standards; Financial literacy programs; Cybersecurity enhancement.Benefits of Digital Finance in Georgia

Improved Financial Accessibility Digital financial services improve access to banking services, especially for individuals living in rural areas. Mobile banking and online payment systems reduce geographical barriers and increase participation in the formal economy. Economic Efficiency Digitalization reduces transaction costs and improves operational efficiency for financial institutions. Automated systems allow banks to process transactions faster and provide better customer service. Support for Small and Medium Enterprises (SMEs) FinTech platforms help small businesses access financial services, digital payments, and online financing opportunities. This contributes to entrepreneurship development and economic growth. Increased Transparency Digital financial systems increase transparency and reduce corruption risks through electronic transactions and digital monitoring systems.Challenges and Risks Despite significant progress, Georgia still faces several challenges in the development of digital finance. Cybersecurity Risks As digital financial transactions increase, cybersecurity threats become more complex. Financial institutions must invest heavily in data protection systems and cyber risk management. Digital Inequality Not all regions and social groups have equal access to digital technologies. Limited digital literacy and internet accessibility remain challenges for certain populations. Regulatory and Legal Issues The rapid development of FinTech technologies requires continuous regulatory adaptation. Legal frameworks must balance innovation with financial stability and consumer protection. Cryptocurrency Risks The growing popularity of cryptocurrencies creates regulatory uncertainty and financial risks related to money laundering, fraud, and market volatility. Future Prospects of FinTech in Georgia The future of Georgia's financial sector is closely connected to technological innovation. Artificial intelligence, blockchain technologies, open banking systems, and digital currencies are expected to further transform financial services. Georgia has the potential to become a regional FinTech hub due to: Strategic geographic location; Liberal economic policies; Technologically advanced banking sector; Increasing digital adoption; International economic integration. Further investment in digital infrastructure, cybersecurity, and financial education will play a critical role in strengthening the country's digital financial ecosystem.

Conclusion

Digital finance and FinTech innovations have become essential drivers of economic modernization and financial sector transformation globally. Georgia's financial sector demonstrates significant progress in adopting innovative technologies and integrating digital financial services.

The country's banking sector has successfully implemented digital solutions that improve financial accessibility, operational efficiency, and customer experience. However, challenges such as cybersecurity risks, digital inequality, and regulatory adaptation remain important issues.

In the context of global financial transformation, Georgia has strong potential to expand its role as an innovative and competitive digital financial market in the region. Sustainable development of digital finance will require cooperation between financial institutions, regulators, technology companies, and educational organizations.

References

1. World Bank – Digital Financial Services and Financial Inclusion Reports.
2. International Monetary Fund (IMF) – FinTech and Financial Stability Publications.
3. National Bank of Georgia – Financial Sector Statistics and Regulatory Policies.
4. TBC Bank – Digital Banking Innovations and Annual Reports.
5. Bank of Georgia – Digital Transformation Reports.

6. Arner, D., Barberis, J., & Buckley, R. (2016). The Evolution of FinTech: A New Post-Crisis Paradigm. Georgetown Journal of International Law.

7. Gomber, P., Koch, J., & Siering, M. (2017). Digital Finance and FinTech: Current Research and Future Research Directions. Journal of Business Economics.

8. Schwab, K. (2017). The Fourth Industrial Revolution. Crown Business.

9. Philippon, T. (2019). On FinTech and Financial Inclusion. National Bureau of Economic Research.

10. OECD (2023). Digital Finance and Financial Markets Development Report.

The evolution of accounts receivable in the digital age

Manana Mchedlishvili
Caucasus International University
International Black Sea University
Academic Doctor of Economics, Associate Professor
https://orcid.org/0009-0006-0497-7144
Naira Tabatadze
Caucasus International University
Academic Doctor of Economics, Associate Professor
https://orcid.org/0009-0005-8548-8344

Abstract. The paper discusses the importance of accounts receivable in accounting. Its evolution in the digital age. The focus is on the possibilities of collecting receivables using artificial intelligence. How the company's cash flow and financial position are improving. Emagia is a platform equipped with the latest artificial intelligence. Opinions have been formed based on the research conducted. In the business world, cash flow is a vital source of, which ensures operations, increases its incentives and determines the company's ability to fulfill its obligations. Generating sales is key for companies, but the main measure of financial well-being is revenue generation. For many companies, a significant portion of revenue remains uncollected. Artificial intelligence-based AR introduces intelligent automation that enables rapid data processing, accurate compliance, and improved financial control capabilities. Accordingly, the evolution of accounts receivable means reducing non-payment and disputes and improving customer relations.

Companies that use artificial intelligence in AR will improve cash flow visibility; They will also see operational efficiency and improved decision-making capabilities. We believe that not only the "what" but also the "why" and "how" of extraction should be automated. The Emagia platform is designed to predict payment behavior and identify accounts at risk; It also automates cash usage with impressive accuracy, compares payments to invoices in real time and dramatically reduces manual workload. New trends include real-time AR analytics, AI-based predictive modeling, intelligent payment reminders, and improved ERP integration. These trends make artificial intelligence an essential driver of the future of accounts receivable.

Keywords: artificial intelligence, accounts receivable, process automation, cash flows, accounting systems.

Introduction. In the business world, cash flow is a vital resource that sustains operations, increases its incentives, and determines a company's ability to meet its obligations. Generating sales is key for companies, but the main measure of financial well-being is making money. For many companies, a significant portion of revenue remains uncollected – what accountants call accounts receivable (AR).

Unpaid funds, if not managed diligently, can quickly turn into hidden liquidity drains, transforming potential assets into problematic liabilities.

And yet, what is accounts receivable? Accounts receivable, also known as AR, refers to the amount that a business must pay its customers for goods or services delivered or sold on credit. It is a current asset on the company's balance sheet because these funds are expected to be collected within one year. Essentially, it is a financial claim that a company has against a customer, which is often documented by an invoice. Accounts receivable “accounts” are a vital component of a company’s financial health and are closely monitored by finance teams. In today's fast-paced business environment, effectively managing accounts receivable is crucial to maintaining healthy cash flow in companies.

The main part. Today, many companies' finance departments still struggle with legacy systems, which involve manual data entry and a fundamental lack of a unified system. Performing manual tasks in accounts receivable workflows causes many complications, from generating invoices to withdrawing money. Many finance teams set up spreadsheets and provide human intervention in the company's operations. Relying on manual labor is not only time-consuming, but also highly error-prone. A single error in the invoice amount or incorrect payment can lead to late payments and create lengthy disputes. All of this will create a serious liquidity problem for businesses. Therefore, it is vital for any business to simplify the data collection process, reduce manual data entry, and improve their financial performance. Artificial intelligence-based AR introduces intelligent automation that enables rapid data processing, accurate compliance, and improved financial control. Accordingly, the evolution of accounts receivable means reducing non-payment and disputes and improving customer relations.

The diagram below shows how artificial intelligence is changing accounts receivable. Time-consuming manual data extraction methods will be replaced by 99%, document processing time will be reduced by 70%, lockbox fees will be reduced, employee productivity and morale will improve, human resources will be freed up for higher value tasks, and AR costs will be reduced.



Diagram 1. Benefits of Accounts Receivable Management

Artificial intelligence enables AR systems to make predictions from payment data, user behavior, and invoices. Algorithms can assess credit risk, automate deposit issuance processes, thereby reducing operating costs and payment terms, and improving cash flow generation

capabilities. Accordingly, we can highlight the advantages of artificial intelligence in accounts receivable:

1) **Better financial visibility** – Artificial intelligence provides real-time AR information to companies, enabling finance teams to proactively manage working capital and cash flow.

2) **Errors and Disputes –** By automating data collection and payments, artificial intelligence minimizes errors and speeds up dispute resolution.

3) **Customer Relationships –** Automated, transparent communication builds trust and ensures timely payments with customers.

4) **Optimized working capital** – accurate forecasting and timely withdrawals help improve liquidity and optimize capital utilization.

5) **Cash flow management** – Artificial intelligence allows a company to move from reactive collections to proactive ones. By analyzing payment history and user behavior, artificial intelligence can identify outstanding invoices, advise companies on payment plans and automate reminders to improve collection efficiency. It automatically detects discrepancies between invoices and payments, flags disputes, which will dramatically reduce resolution time and improve customer satisfaction.

6) **Payment automation** – traditionally a laborious manual process. Artificial intelligence recognizes patterns, automatically entering payment data, even when transfer information is incomplete or irrelevant.

7) **Scenario planning in AR** – Artificial intelligence can simulate different payment scenarios, helping financial leaders understand the impact of payment delays, changes in credit terms, or fluctuations in customer behavior.

Emagia plays an important role in the transformation of receivables. Emagia is a platform equipped with the latest artificial intelligence. With it, businesses can streamline AR operations, improve payment compliance accuracy, and gain real-time visibility into accounts receivable performance. Seamlessly connects to existing ERP and accounting systems, creating a single source of truth. The Emagia platform is designed to help companies manage their customer relationships with confidence. It automatically sends targeted, friendly reminders before a payment is due and can communicate gracefully and professionally if a payment is late. The platform also includes a self-service portal where users can easily view invoices, make payments, and access a full payment history. This allows them to resolve issues independently, reducing the need for calls and emails. In addition, the platform helps companies - from finance to sales - work together to resolve disputes quickly and transparently. This approach not only accelerates cash flow but also enhances customer satisfaction and loyalty. Therefore, Emagia is a platform that focuses on both technology and customer relationships. Through it, companies achieve success in the field of accounts receivable. The platform allows companies to identify at-risk customers before they encounter problems. It can also determine the amount of receivables that can be accepted. It changes the way people think about managing their receivables portfolio.

We conducted a study, collecting information from 60 small, medium, and large companies through an online survey. The questionnaire we compiled included views on artificial intelligence – to what extent companies use artificial intelligence in the accounts receivable management process;

The results are as follows:

1) **What is AI in accounts receivable?** 82% of respondents explained that AI improves AR processes in companies, namely cash receipts, invoice processing, and dispute resolution.

2) How does AI improve cash flow? 78% of respondents say AI recognizes patterns and matches them to invoices; reduces manual work, errors, and data processing time.

3) What are the benefits of AI in accounts receivable management? 76% say AI improves cash flow visibility and customer relationships.

4) What are the challenges of implementing AI in AR? 67% of respondents indicate that challenges include ensuring high-quality data, managing change in companies, and cost advantages of implementation.

5) Why is accounts receivable management important? 80% say that accounts receivable management directly impacts a company's cash flow and financial health; A business may face a cash deficit, hampering its ability to pay its bills or cover operating expenses. Proper management helps reduce the time it takes to collect payments, reduces the risk of bad debts, and strengthens customer relationships through clear communication and efficient processes. They note that proper management ensures the financial stability of the company. A strong "accounts receivable system" is considered the mainstay of a successful business.

6) What is the future of AI in accounts receivable? 70% say the future includes real-time AR analytics, hyper-personalized customer communications, and blockchain integration.

Conclusion: Thus, companies that use artificial intelligence in AR will improve cash flow visibility; They will also see operational efficiency and improved decision-making capabilities. We believe that not only the “what” but also the “why” and “how” of extraction should be automated. The platform can predict payment behavior and identify accounts at risk, giving companies an advantage; It also automates cash usage with impressive accuracy, matching payments to invoices in real time, and dramatically reducing manual workload. New trends include real-time AR analytics, AI-based predictive modeling, intelligent payment reminders, and improved ERP integration. These trends make artificial intelligence an essential driver of the future of accounts receivable.

References:

1.https://www.emagia.com/ka/blog/transforming-accounts-receivable-data-capture-with-idp/

2.https://www.emagia.com/ka/resources/glossary/how-ai-leads-accounts-receivables-digital-transformation/

3.https://www.emagia.com/ka/resources/glossary/generative-ai-in-accounting/

4.https://founders.ge/the-use-of-artificial-intelligence-in-georgia-challenges-and-prospects/

5.ttps://www.emagia.com/ka/resources/glossary/three-factors-complicating-ar-management/

6.https://www.insource.ge/ge/node/699

7.https://www.solix.com/ka/products/answers/how-is-ai-being-utilized-today/

8.https://telavi.itstep.org/blog/the-era-of-artificial-intelligence-opportunities-that-everyone-can-use

9.https://fortuna.ge/khelovnuri-inteleqtis-gamoyeneba-saqartveloshi-actr-akhali-kvlevis-shedegebs-aqveynebs/

10.https://help.apex.ge/erp-web/DebitoruliDavalianebisDafarva.html

11. https:// saras.gov.ge. //

12.https://www. Gfpaa.geGfpaa.gehttps://gfpaa.g

13.https://matsne.gov.ge/ka 202.

ფისკალური დეცენტრალიზაცია და მისი გავლენა მუნიციპალურ ფინანსურ მდგრადობაზე საქართველოში

Fiscal Decentralization and Its Impact on Municipal Financial Sustainability in Georgia

შალვა კერესელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ნინო გელიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Shalva Kereselidze
Georgian Technical University
Associate Professor
Nino Geliashvili
Doctor of Business Administration

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის პროცესის კომპლექსურ ანალიზს და მის კაუზალურ კავშირს მუნიციპალური ფინანსური მდგრადობის ხარისხთან. კვლევის აქტუალობას განა-პირობებს ბოლო ათწლეულში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის, 2019 წლიდან დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განა-წილების ახალ მოდელზე გადასვლა, რამაც ფუნდამენტურად შეცვალა ადგილობ-რივი თვითმმართველობების საბიუჯეტო არქიტექტურა.

ნაშრომის მიზანია დაადგინოს, რამდენად უზრუნველყოფს არსებული ფის-კალური მოდელი მუნიციპალიტეტების რეალურ ფინანსურ ავტონომიას და ამცი-რებს თუ არა იგი ვერტიკალურ ფისკალურ დისბალანსს. კვლევის ფარგლებში გა-მოყენებულია რაოდენობრივი მეთოდოლოგია, კერძოდ, საქართველოს 64 მუნი-ციპალიტეტის 2018-2024 წლების საბიუჯეტო მონაცემების პანელური ანალიზი. ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად გამოყენებულია ინდიკატორთა სისტემა, რომელიც მოიცავს საკუთარი შემოსავლების კოეფიციენტს, ტრანსფერებზე დამო-კიდებულების ინდექსსა და კაპიტალური ხარჯების დაფინანსების შესაძლებლო-ბას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად დეცენტრალიზაციის დეკლარირებული პროგრესისა, ქართული მუნიციპალიტეტების უმრავლესობა კვლავ განიცდის „ფისკალურ ილუზიას“ და მაღალ დამოკიდებულებას ცენტრა-ლურ ტრანსფერებზე. ანალიზი აჩვენებს, რომ დღგ-ს განაწილების ფორმულამ გა-ზარდა მუნიციპალური შემოსავლების პროგნოზირებადობა, თუმცა ვერ უზრუნ-ველყო რეგიონული უთანასწორობის სრული ნიველირება. ნაშრომში დასაბუთე-ბულია, რომ ფინანსური მდგრადობის მისაღწევად აუცილებელია ადგილობრივი ქონების გადასახადის ბაზის ოპტიმიზაცია და მუნიციპალური სესხის აღების უფ-ლებამოსილების დივერსიფიკაცია. ნაშრომი სრულდება პრაქტიკული რეკომენ-დაციებით, რომლებიც ორიენტირებულია ფისკალური პოლიტიკის დახვეწაზე ევ-როპული თვითმმართველობის ქარტიის სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური დეცენტრალიზაცია, მუნიციპალური ფინანსები, ფინანსური მდგრადობა, საბიუჯეტო ავტონომია, დღგ-ს განაწილება, საქართველო.

Abstract This paper is dedicated to a complex analysis of the fiscal decentralization process in Georgia and its causal relationship with the level of municipal financial sustainability. The relevance of the research is driven by the legislative changes implemented over the last decade, including the transition to a new Value Added Tax (VAT) distribution model since 2019, which fundamentally altered the budgetary architecture of local self-governments.

The aim of the paper is to determine the extent to which the existing fiscal model ensures real financial autonomy for municipalities and whether it reduces vertical fiscal imbalance. The study employs quantitative methodology, specifically a panel data analysis of the budgetary figures of Georgia's 64 municipalities for the period 2018-2024. To evaluate financial sustainability, a system of indicators is utilized, encompassing the self-sufficiency ratio (own-source revenue coefficient), the transfer dependency index, and the capacity for capital expenditure financing.

The research findings reveal that despite the declared progress in decentralization, the majority of Georgian municipalities still experience "fiscal illusion" and a high level of dependency on central transfers. The analysis shows that while the VAT distribution formula has increased the predictability of municipal revenues, it has failed to ensure the complete leveling of regional inequalities. The paper argues that to achieve financial sustainability, it is essential to optimize the local property tax base and diversify municipal borrowing authorities. The study concludes with

practical recommendations focused on refining fiscal policy in accordance with the standards of the European Charter of Local Self-Government.

Keywords: Fiscal decentralization, municipal finance, financial sustainability, budgetary autonomy, VAT distribution, Georgia.

1. შესავალი

თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში ფისკალური დეცენტრალიზაცია განიხილება როგორც დემოკრატიული მმართველობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. თეორიული პოსტულატი იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ქვედა რგოლებს გააჩნიათ ინფორმაციული უპირატესობა ადგილობრივი საჯარო სიკეთეების მიწოდებისას, საფუძვლად უდევს „ფისკალური ფედერალიზმის“ კონცეფციას. თუმცა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, დეცენტრალიზაციის პროცესი ხშირად წინააღმდეგობრივია და დგება დილემის წინაშე: როგორ მიენიჭოს მუნიციპალიტეტებს მეტი ფინანსური თავისუფლება ისე, რომ არ შეილახოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და არ გაღრმავდეს რეგიონული დისპარიტეტი.

საქართველოში 2014 წელს მიღებულმა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა“ სათავე დაუდო რეფორმების ახალ ტალღას, რომლის კულმინაცია 2019 წელს საბიუჯეტო კოდექსში შესული ცვლილებები გახდა. კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემის ჩანაცვლებამ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაწილების მოდელით, მუნიციპალიტეტებს გაუჩინა მოლოდინი შემოსავლების პროგნოზირებადობისა და ფინანსური მდგრადობის ზრდისა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ მუნიციპალური ერთეულების უმრავლესობისთვის ფინანსური ავტონომია კვლავ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხოლო მათი დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე კვლავ მაღალია.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალური ფინანსური მდგრადობა პირდაპირკავშირშია ქვეყნის მდგრად განვითარებასთან. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ევროპული თვითმმართველობის ქარტია ავალდებულებს საქართველოს, უზრუნველყოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აღჭურვა ადეკვატური ფინანსური რესურსებით, რომლებიც თანაზომიერი იქნება მათ უფლებამოსილებებთან. არსებულ ეტაპზე საჭიროა იმის კრიტიკული შეფასება, თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს დღგ-ს განაწილების ფორმულა და ქმნის თუ არა იგი სტიმულებს მუნიციპალიტეტებისთვის, რათა მათ მაქსიმალურად მოახდინონ ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის მობილი-ზება.

ნაშრომის პრობლემატიკა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში არსე-ბობს მკვეთრი ასიმეტრია მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის. თბილისსა და რამდენიმე მსხვილ ქალაქს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფისკალური ბაზა, მაშინ როდესაც მაღალმთიანი და სასაზღვრო რეგიონები თითქმის სრულად არიან დამოკიდებულნი სახელმწიფო ტრანსფერებზე. ეს აჩენს კითხვას: რამდენად უწყობს ხელს არსებული ფისკალური მოდელი მუნიციპალურ მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში?

კვლევის ჰიპოთეზა: ავტორი ვარაუდობს, რომ მიუხედავად დეცენტრალიზაციის პროცესის ინსტიტუციური წინსვლისა, საქართველოში შენარჩუნებულია მაღალი ვერტიკალური ფისკალური დისბალანსი, ხოლო მუნიციპალიტეტების ფინანსური მდგრადობა მეტწილად დამოკიდებულია არა მათ ეფექტიან ფისკალურ მენეჯმენტზე, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილ განაწილების კვოტებზე.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ფისკალური დეცენტრალიზაციის თეორიული საფუძვლები სათავეს იღებს კლასიკური საჯარო ფინანსების თეორიიდან, რომელიც ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციების ოპტიმალურ განაწილებას შეისწავლის. აკადემიურ ლიტერატურაში ამ საკითხის განხილვა

პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: „პირველი თაობის“ და „მეორე თაობის“ ფისკალური ფედერალიზმის თეორიებად.

2.1. ფისკალური ფედერალიზმის კლასიკური და თანამედროვე თეორიები. კლასიკური თეორიის ფუძემდებლები, როგორიცაა ჩარლზ ტიბო (Tiebout, 1956) თავის ნაშრომში „A Pure Theory of Local Expenditures“, ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები ქმნიან „ბაზარს“, სადაც მოქალაქეები „ფეხებით აძლევენ ხმას“ (voting with their feet). ტიბოს მიხედვით, მუნიციპა-ლიტეტებს შორის კონკურენცია საჯარო სერვისების ხარისხის ზრდას განაპი-რობებს. ამ თეორიას ავსებს უოლას ებეის (Oates, 1972) „დეცენტრალიზაციის თეორემა“, რომელიც ასაბუთებს, რომ ადგილობრივი გადაწყვეტილებები უფრო ეფექტიანია, რადგან ისინი მორგებულია ადგილობრივ პრეფერენციებზე და არა „ერთი ზომა ყველასათვის“ პრინციპზე.

თუმცა, „მეორე თაობის“ თეორიები (Weingast, 2009; Qian & Weingast, 1997) ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკურ სტიმულებზე. ისინი მიუთითებენ, რომ დეცენტრალიზაცია მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, როდესაც მუნიციპალი-ტეტებს აქვთ „მყარი საბიუჯეტო შეზღუდვები“ (Hard Budget Constraints) და არ აქვთ იმედი, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის დაფარავს მათ დე-ფიციტს.

2.2. ფისკალური დეცენტრალიზაცია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. პოსტ-საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონტექსტში, ლიტერატურა ხაზს უსვამს „ვერტიკალური ფისკალური დისბალანსის“ პრობლემას. ბერდი და ეტალარი (Bird & Ebel, 2007) აღნიშნავენ, რომ ბევრ გარდამავალ ქვეყანაში დეცე-ნტრალიზაცია მოხდა „ზემოდან ქვემოთ“, რამაც გამოიწვია უფლებამოსილებების გადაცემა ადეკვატური ფინანსური რესურსების გარეშე (Unfunded Mandates).

პოლონეთისა და ჩეხეთის მაგალითზე ჩატარებული კვლევები (Ebel & Yilmaz, 2002) აჩვენებს, რომ მუნიციპალური ფინანსური მდგრადობა პირდაპირ-კავშირშია ადგილობრივი გადასახადების წილთან მთლიან შემოსავლებში. რაც უფრო მაღალია ტრანსფერების წილი, მით უფრო დაბალია ადგილობრივი ხელისუფლების მოტივაცია, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას საკუთარ ტერიტორიაზე.

2.3. ქართული სამეცნიერო დისკურსი. საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხებს იკვლევდნენ ისეთი ავტორები, როგორიცაა დ. ნარ-მანია, რომელიც ხაზს უსვამს საბიუჯეტო სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობას. ქართულ რეალობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გათანაბრებითი ტრანსფერების მეთოდოლოგიას. კვლევებში (მაგ. UNDP-ის ანგარიშები, 2020) აღნიშნულია, რომ 2019 წლის რეფორმამ, რომელმაც დღგ-ს განაწილების სისტემა შემოიღო, ნაწილობრივ გადაჭრა შემოსავლების პროგნოზირებადობის პრობლემა, თუმცა წარმოშვა ახალი კითხვები ფისკალური ავტონომიის შესახებ.

თანამედროვე ქართველი მკვლევრები (მაგალითად, ხ. ბარბაქაძე, 2021) მიუთითებენ, რომ მუნიციპალური ფინანსური მდგრადობის მთავარი ბარიერი საქართველოში არის ქონების გადასახადის ადმინისტრირების სირთულეები და მიწის რესურსის არაეფექტიანი მართვა.

მიუხედავად ფართო თეორიული ბაზისა, ნაკლებად არის შესწავლილი 2019 წლის დღგ-ს რეფორმის გრძელვადიანი გავლენა მცირე და მაღალმთიანი მუნი-ციპალიტეტების ფინანსურ დამოუკიდებლობაზე.

3. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება შერეული კვლევის დიზაინს, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ ემპირიულ ანალიზსა და თვისებრივ საკანონმდებლო დისკურსს. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს 64 მუნიციპალიტეტი (თბილისის ჩათვლით), ხოლო კვლევის პერიოდი მოიცავს 2018-2024 წლებს, რაც საშუალებას იძლევა შედარდეს ფისკალური მდგომარეობა დღგ-ს განაწილების რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ.

3.1. მონაცემთა წყაროები. ანალიზისთვის გამოყენებული მონაცემები მოპო-ვებულია შემდეგი ოფიციალური წყაროებიდან:

- **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს** ყოველწლიური და კვარტალური საბიუჯეტო ანგარიშგებები.
- **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი)** მონაცე-მები რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტისა და დემოგრაფიული მაჩვე-ნებლების შესახებ.
- **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები მუნიციპალური ფინანსების მართვის შესახებ.

3.2. ფინანსური მდგრადობის ინდიკატორები. მუნიციპალური ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად ნაშრომში გამოყენებულია სამი ძირითადი კოეფი-ციენტი, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში (OECD, IMF) მიღებულ სტანდარ-ტებს შეესაბამება:

1. **ფისკალური ავტონომიის კოეფიციენტი (K_{fa}):**

$$K_{fa} = \text{საკუთარი შემოსავლები} / \text{მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლები}$$

ეს მაჩვენებელი ზომავს მუნიციპალიტეტის უნარს, დააფინანსოს საკუთარი ხარჯები ცენტრალური ტრანსფერების გარეშე.

2. **ვერტიკალური ფისკალური დისბალანსის ინდექსი (VFI):**

ეს ინდექსი აჩვენებს სხვაობას მუნიციპალიტეტის ხარჯვით ვალდებულებებსა და მის საკუთარ შემოსავლებს შორის, რასაც სახელმწიფო ტრანსფერები ფარავს. მარტივად რომ ვთქვათ, ის აჩვენებს, თუ რამდენად არის დამოკიდებული ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრალური ხელი-სუფლების ტრანსფერებზე თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

ვერტიკალური ფისკალური დისბალანსის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$VFI = 1 - \left(\frac{S}{E}\right)$$

სადაც:

- **VFI** - ვერტიკალური ფისკალური დისბალანსის ინდექსი (მერყეობს 0-დან 1-მდე).
- **S (Own-Source Revenue)** - მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები (მაგალითად: ქონების გადასახადი, ადგილობრივი მოსაკრებლები).
- **E (Total Expenditures)** - მუნიციპალიტეტის მთლიანი ხარჯები.

ინდექსის მნიშვნელობა გვეუბნება, თუ რამდენად ავტონომიურია მუნი-ციპალიტეტი:

- **თუ VFI = 0:** ეს ნიშნავს სრულ ფისკალურ ბალანსს. მუნიციპალიტეტი თავის ხარჯებს 100%-ით საკუთარი შემოსავლებით ფარავს.
- **თუ VFI უახლოვდება 1-ს:** ეს ნიშნავს მაღალ დისბალანსს. მუნიცი-პალიტეტს თითქმის არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი და სრულად არის დამოკიდებული გარე დაფინანსებაზე (ტრანსფერებზე).

3.3. ანალიზის ტექნიკა. კვლევის რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს **პანე-ლური მონაცემების რეგრესიულ ანალიზს**. მოდელში დამოკიდებულ ცვლადად აღებულია მუნიციპალური ფინანსური მდგრადობის ინდექსი, ხოლო დამოუ-კიდებელ ცვლადებად: დღგ-ს წილი მუნიციპალურ ბიუჯეტში; მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე; ეკონომიკური აქტივობის დონე (ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა).

3.4. თვისებრივი კომპონენტი. რაოდენობრივი მონაცემების ინტერპრეტაციისთვის გამოყენებულია **შედარებითი სამართლებრივი ანალიზი**. იგი ფოკუსირებულია „საბიუჯეტო კოდექსში“ შეტანილი იმ ცვლილებების შესწავლაზე, რომლებმაც შეცვალეს ტრანსფერების ფორმულა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გათანაბრებითი პრინციპის ტრანსფორმაციას სტიმულირების პრინციპით.

3.5. კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს მუნიცი-პალურ დონეზე მთლიანი დამატებული ღირებულების (GDP) ზუსტი სტატის-ტიკის არარსებობა, რაც აიძულებს ავტორს გამოიყენოს ალტერნატიული პროქსი-ცვლადები.

4. ძირითადი ნაწილი: ფისკალური რეფორმის ანალიზი და მისი გავლენა მუნიციპალურ მდგრადობაზე

4.1. 2019 წლის ფისკალური გარდატეხა: გათანაბრებითი ტრანსფერიდან დღგ-ს მოდელამდე. 2019 წლამდე საქართველოს მუნიციპალიტეტების დაფი-ნანსების ძირითად წყაროს გათანაბრებითი ტრანსფერი წარმოადგენდა, რომელიც რთული ფორმულით ითვლებოდა და ხშირად სუბიექტურობის განცდას აჩენდა. რეფორმის შედეგად, მუნიციპალიტეტებს კანონით განესაზღვრათ ქვეყანაში მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო მოცუ-ლობის **19%**.

ეს ცვლილება აკადემიური თვალსაზრისით ნიშნავდა გადასვლას „შემო-სავლების გაზიარების“ (Revenue Sharing) მოდელზე. ანალიზი აჩვენებს, რომ ამან მუნიციპალიტეტებს გაუჩინა პირდაპირი ფისკალური ინტერესი ადგილობრივი ბიზნეს-აქტივობის მიმართ, რადგან ქვეყნის მასშტაბით გაზრდილი მოხმარება და წარმოება პირდაპირ აისახება მათ ბიუჯეტებზე.

4.2. დღგ-ს განაწილების ეფექტი ფინანსურ პროგნოზირებადობაზე. ემპი-რიული მონაცემები მოწმობს, რომ რეფორმის შემდგომ მუნიციპალური შემოსავ-ლების ზრდის ტემპი საშუალოდ წლიურ **12-15%**-ს შეადგენს.

ცხრილი 1: დღგ-ს წილის დინამიკა მუნიციპალურ შემოსავლებში (2019-2024)

წელი	დღგ-ს მოცულობა (მლნ ლარი)	ზრდა წინა წელთან (%)	წილი მთლიან შემოსავლებში (%)
2019	950	-	~38%
2020	910	-4.2% (პანდემიის ეფექტი)	~35%
2021	1,120	+23%	~40%
2022	1,380	+23.2%	~42%
2023	1,610	+16.6%	~44%
2024	1,850	+14.9%	~45%

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 2019 წელს დღგ-ს განაწილების ახალ მოდელ-ზე გადასვლამ მუნიციპალურ ბიუჯეტებს მნიშვნელოვანი ფისკალური ბიძგი მისცა. 2020 წელს დაფიქსირებული მცირედი კლება პირდაპირ კავშირშია COVID-19 პანდემიასთან და ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობისა და მოხმარების შემცირებასთან. თუმცა, 2021 წლიდან იწყება მკვეთრი ზრდის ტრენდი, რაც განპირობებულია როგორც ეკონომიკური აღდგენით, ისე მაღალი ინფლაციური პროცესებით (რაც ავტომატურად ზრდის დღგ-ს ნომინალურ მაჩვენებელს).

განსაკუთრებით საგულისხმოა **დღგ-ს წილის ზრდა მთლიან შემოსავ-ლებში**, რაც 2024 წლისთვის 45%-ს აღწევს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მუნიცი-პალური ფინანსური მდგრადობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ერთ კონკრეტულ საგადასახადო წყაროზე, რაც აჩენს ე.წ. **„ფისკალური კონცენტრაციის“** რისკს.“

თუმცა, პრობლემა იკვეთება განაწილების ფორმულაში. დღგ-ს 19% ნაწილდება არა იმის მიხედვით, თუ სად დაიბეგრა პროდუქტი, არამედ მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა

დემოგრაფიული ფაქტორების მიხედვით. ეს მექანიზმი იცავს მცირე მუნიციპალიტეტებს, თუმცა გარკვეულწილად ზღუდავს „ლოკალური ეკონომიკური სტიმულირების“ ეფექტს.

4.3. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფისკალური დისბალანსი. მიუ-ხედავად შემოსავლების ზრდისა, ანალიზი აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების **საკუთარი შემოსავლების** (ქონების გადასახადი და მოსაკრებლები) წილი მთლიან ბიუჯეტში კვლავ დაბალია.

- **ვერტიკალური დისბალანსი:** მუნიციპალიტეტების ხარჯვითი უფლებამოსილებები (ინფრასტრუქტურა, სოციალური პაკეტები) ხშირად აჭარბებს მათ სტაბილურ შემოსავლებს, რაც აიძულებს მათ კვლავ მიმართონ ცენტრალურ ხელისუფლებას „სპეციალური ტრანსფერების“ მოთხოვნით.
- **ჰორიზონტალური უთანასწორობა:** დღგ-ს მოდელმა ვერ აღმოფხვრა სხვაობა თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის. თბილისის ბიუჯეტი კვლავ აკუმულირებს ქვეყნის მუნიციპალური ფინანსური რესურსების თითქმის ნახევარს.

4.4. გავლენა მუნიციპალურ ფინანსურ მდგრადობაზე. ფინანსური მდგრა-დობის კოეფიციენტის (K_{fa}) გამოთვლა აჩვენებს, რომ რეფორმის შემდეგ მუნიცი-პალიტეტების უმრავლესობისთვის ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა, თუმცა ეს „ხელოვნური“ გაუმჯობესებაა, რადგან დღგ-ს 19% კლასიფიცირდება როგორც „არასაკუთარი შემოსავალი“. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები გახდნენ არა უფ-რო დამოუკიდებლები, არამედ უფრო „მდიდრები“ ცენტრალიზებული რესურსის ხარჯზე.

4.5. დივერგენცია მუნიციპალურ განვითარებაში: ბათუმისა და ონის მუნიციპალიტეტების შედარებითი ანალიზი. დღგ-ს განაწილების 19%-იანი მოდელის გავლენის შესასწავლად მიზანშეწონილია შევადაროთ ორი პოლარიზებული მუნიციპალიტეტი: **ბათუმი**, როგორც მზარდი ურბანული და ტურისტული ჰაბი, და **ონი**, როგორც მაღალმთიანი, მცირეკონტიგენტიანი და დემოგრაფიულად შემცირებადი ერთეული.

ბათუმის მუნიციპალიტეტი: „ეკონომიკური ბუმის“ კაპიტალიზაცია. ბათუ-მისთვის დღგ-ს რეფორმაზე გადასვლა აღმოჩნდა დამატებითი ფისკალური სტი-მული.

- **საინვესტიციო შესაძლებლობები:** ეკონომიკური აქტივობის ზრდამ (მშენებ-ლობა, სერვისები) ქვეყნის მასშტაბით გაზარდა დღგ-ს საერთო მოცულობა, რამაც ბათუმს საშუალება მისცა დაეგეგმა მსხვილი კაპიტალური პროექტები (მაგალითად, ნაპირგამაგრება, მუნიციპალური ავტოპარკის განახ-ლება) ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი ტრანსფერების ლოდინის გარეშე.
- **ფისკალური ეფექტი:** ბათუმის შემთხვევაში დღგ-ს წილმა ბიუჯეტში სტაბილური ზრდა აჩვენა, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს საშუალებას, საოპერაციო პროფიციტი მიმართოს თანადაფინანსების პროექტებში (მაგალი-თად, საერთაშორისო დონორებთან ერთად).

ონის მუნიციპალიტეტი: „გათანაბრების“ დილემა. ონისთვის, სადაც ბიზნეს-აქტივობა დაბალია და მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, რეფორმამ სულ სხვა სურათი აჩვენა.

- **დამოკიდებულება ფორმულაზე:** ონის საინვესტიციო შესაძლებლობები თითქმის სრულად არის დამოკიდებული დღგ-ს განაწილების ფორმულაზე (მოსახლეობის კოეფიციენტი). ვინაიდან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი მსხვილი საგადასახადო ბაზა, დღგ-ს რეფორმამ მას მხოლოდ „გადარჩენის“ ბიუჯეტი შეუნარჩუნა.
- **საინვესტიციო სტაგნაცია:** ბათუმისგან განსხვავებით, ონში დღგ-ს შემო-სავლები ძირითადად მიმდინარე ხარჯებს (ადმინისტრაცია, სოციალური დახმარება) ფარავს. კაპიტალური პროექტებისთვის (გზები, წყალმომა-რაგება) მუნიციპალიტეტი კვლავ რჩება **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდი)** იმედად.

ცხრილი 2: შედარებითი ანალიზის შედეგები

ინდიკატორი	ბათუმის მუნიციპალიტეტი	ონის მუნიციპალიტეტი
დღგ-ს გავლენა	პროციკლური (აძლიერებს ზრდას)	სუბსიდიური (ინარჩუნებს ფუნქციონირებას)
ფინანსური ავტონომია	მაღალი / მზარდი	დაბალი / სტატიკური
ინვესტიციების წყარო	საკუთარი შემოსავლები + დღგ	ძირითადად ცენტრალური ტრანსფერები
მთავარი გამოწვევა	ურბანული ინფრასტრუქტურის გადატვირთვა	დემოგრაფიული კლება და ბაზის სიმცირე

ბათუმისა და ონის ქეისების შედარება ცხადყოფს, რომ დღგ-ს განაწილების არსებული მოდელი, მიუხედავად მისი პროგრესულობისა, ვერ უზრუნველყოფს **ჰორიზონტალურ ფისკალურ სამართლიანობას**. ბათუმი რეფორმის შედეგად იღებს განვითარების რესურსს, მაშინ როდესაც ონი მხოლოდ არსებობის შენარჩუნების ინსტრუმენტს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს სჭირდება უფრო დიფერენცირებული მიდგომა - შესაძლოა, მაღალმთიანი რეგიონებისთვის დღგ-ს განაწილების უფრო მაღალი კოეფიციენტის დაწესება, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგიონული პოლარიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში განხორციელებული ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმა, კერძოდ, დღგ-ს განაწილების მოდელზე გადასვლა, წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს მუნიციპალური ფინანსების პროგნოზირებადობის თვალსაზრისით. თუმცა, ემპირიულმა ანალიზმა და ბათუმისა და ონის მუნიციპალიტეტების შედარებამ გამოკვეთა სერიოზული სტრუქტურული ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას.

5.1. ძირითადი მიგნებები

- **„ფისკალური ილუზიის“ არსებობა:** მიუხედავად ბიუჯეტების ნომინალური ზრდისა, მუნიციპალიტეტების საკუთარი (ლოკალური) შემოსავლების წილი კვლავ სტაგნაციას განიცდის. დღგ-ს წილის ზრდამ გამოიწვია თვითმმართველობების „მოდუნება“ ადგილობრივი გადასახადების (მაგ. ქონების გადასახადი) ადმინისტრირების გაუმჯობესების კუთხით.
- **ჰორიზონტალური დისბალანსის გაღრმავება:** დღგ-ს განაწილების არსებული ფორმულა ვერ უზრუნველყოფს რეგიონულ თანასწორობას. ურბანული ცენტრები სარგებლობენ მასშტაბის ეფექტით, მაშინ როდესაც პერიფერიული მუნი-ციპალიტეტები რჩებიან „გადარჩენის რეჟიმში“, განვითარების რესურსის გარეშე.
- **მოწყვლადობა ეგზოგენური შოკების მიმართ:** პანდემიის პერიოდის ანალიზმა აჩვენა, რომ დღგ-ზე გადაჭარბებული დამოკიდებულება მუნიციპალურ ბიუჯეტებს მოწყვლადს ხდის მაკროეკონომიკური რყევების მიმართ.

5.2. რეკომენდაციები და გამოსავლის გზები. კვლევის საფუძველზე, მუნიციპალური ფინანსური მდგრადობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია შემდეგი რეფორმების გატარება:

- **ფისკალური გათანაბრების ახალი, დიფერენცირებული მოდელი:** აუცილებელია დღგ-ს 19%-იანი წილის შიდა განაწილების ფორმულის გადახედვა. რეკომენდებულია ე.წ. **„სპეციფიკური წონის კოეფიციენტის“** შემოღება მაღალ-მთიანი და დეპრესიული რეგიონებისთვის. ფორმულა უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას, არამედ ტერიტორიულ ფართობსა და ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს.

- **ადგილობრივი საგადასახადო ბაზის დივერსიფიკაცია:** მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეთ მეტი უფლებამოსილება ქონების გადასახადის განაკვეთების დიფერენცირებაში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განხილულ იქნას **საშემო-სავლო გადასახადის ნაწილობრივი დეცენტრალიზაციის** საკითი (მაგ. 5%-ის დატოვება ადგილზე), რაც გააძლიერებს კავშირს ადგილობრივ დასაქმებასა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის.
- **მუნიციპალური სესხის აღების მექანიზმის ლიბერალიზაცია:** ფინანსური მდგრადობის მქონე მუნიციპალიტეტებისთვის (როგორიცაა ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) უნდა შეიქმნას გამარტივებული ჩარჩო მუნიციპალური ობლიგა-ციების გამოსაშვებად, რაც შეამცირებს მათ დამოკიდებულებას სახელმწიფო ტრანსფერებზე კაპიტალური ინვესტიციების დროს.
- **ციფრული ტრანსფორმაცია ადმინისტრირებაში:** რეკომენდებულია ერთიანი მუნიციპალური ფინანსური მართვის სისტემის (PFMS) სრული ინტეგრაცია საჯარო რეესტრთან, რათა მოხდეს ქონების გადასახადის ბაზის სრული იდენტიფიცირება და ამოღების მაჩვენებლის გაზრდა.

შეჯამება: საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაცია იმყოფება კრიტიკულ ზღვარზე, სადაც რაოდენობრივი ზრდა უნდა გადაიზარდოს თვისებ-რივ დამოუკიდებლობაში. შემოთავაზებული ცვლილებები ხელს შეუწყობს მუნი-ციპალიტეტების ტრანსფორმაციას „ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულებიდან“ „ეკო-ნომიკური განვითარების აგენტებად“, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტიაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი წყაროები

1. **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.** (2014). საქართველოს ორგანული კანონი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

2. **ბარბაქაძე, ხ.** (2021). *ფისკალური დეცენტრალიზაციის გამოწვევები და მუნიციპალური ფინანსური ავტონომია საქართველოში.* თბილისი: ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი.

3. **გოცირიძე, რ., & კაკულია, მ.** (2019). *საქართველოს საბიუჯეტო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები.* თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC).

4. **ნარმანია, დ.** (2015). *ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

5. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური.** (2022). *მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების ფორმირების ეფექტიანობის აუდიტი.* თბილისი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში.

6. **საქართველოს ბიუჯეტის კოდექსი.** (2009). საქართველოს კანონი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

7. **საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025.** (2019). საქართველოს მთავრობის დადგენილება.

8. **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.** (2023). *2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა.* თბილისი: ფინანსთა სამინისტრო.

9. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).** (2024). *რეგიონული სტატისტიკური მონაცემები: ეკონომიკური მაჩვენებლები.*

10. **UNDP Georgia.** (2020). *დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები.* ანგარიში.

ინგლისურენოვანი წყაროები

11. **Bahl, R., & Bird, R. M.** (2018). *Fiscal Decentralization and Local Finance in Developing Countries*. Edward Elgar Publishing.

12. **Bird, R. M., & Ebel, R. D.** (2007). *Fiscal Fragmentation in Decentralizing Countries: Subsidiarity, Solidarity and Asymmetry*. Edward Elgar Publishing.

13. **Ebel, R. D., & Yilmaz, S.** (2002). *On the Measurement and Impact of Fiscal Decentralization*. World Bank Policy Research Working Paper No. 2809.

14. **European Charter of Local Self-Government.** (1985). Council of Europe, Treaty No. 122.

15. **IMF.** (2021). *Georgia: Fiscal Transparency Evaluation*. International Monetary Fund Country Report.

16. **Martinez-Vazquez, J., & Timofeev, A.** (2009). *Decentralization Strategy in Georgia*. International Center for Public Policy, Andrew Young School of Policy Studies.

17. **Oates, W. E.** (1972). *Fiscal Federalism*. Harcourt Brace Jovanovich.

18. **OECD.** (2019). *Making Decentralisation Work: A Handbook for Policy-Makers*. OECD Multi-level Governance Studies.

19. **Qian, Y., & Weingast, B. R.** (1997). *Federalism as a Commitment to Preserving Market Incentives*. Journal of Economic Perspectives, 11(4), 83-92.

20. **Rodriguez-Pose, A., & Krøijer, A.** (2009). *Fiscal Decentralization and Economic Growth in Central and Eastern Europe*. Growth and Change, 40(3), 387-417.

21. **Tiebout, C. M.** (1956). *A Pure Theory of Local Expenditures*. Journal of Political Economy, 64(5), 416-424.

22. **UNDP.** (2017). *Fiscal Decentralization and Local Government Finance Reform in Georgia*. Policy Paper.

23. **Weingast, B. R.** (2009). *Second Generation Fiscal Federalism: The Implications of Fiscal Incentives*. Journal of Urban Economics, 65(3), 279-293.

24. **World Bank.** (2020). *Local Government Finance in Georgia: Strengthening Fiscal Autonomy*. Washington, DC: World Bank.

25. **Zhuravskaya, E. V.** (2000). *Incentives to Provide Local Public Goods: Fiscal Federalism, Russian Style*. Journal of Public Economics, 76(3), 337-368.

დაზღვევა როგორც ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი: ინოვაციური მიდგომები და AI-ის პოტენციალი სადაზღვევო სექტორში

Insurance as the Foundation of Economic Stability: Innovative Approaches and the Potential of AI in the Insurance Sector

ნანა ცაავა
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერობების, ბიზნესის მართვის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
სს სადაზღვევო კომპანია " ჯი პი აი ჰოლდინგი" B2B მენეჯერი
თენგიზი ძიძიკაშვილი
სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი
Nana Tsaava
Master's degree in International Economic Relations,
Business Management. JSC “Insurance Company GPI Holding” B2B Manager
Tengizi Dzidzikashvili
Master of Laws academic degree
Gardabani Municipality City Hall - Personal Data Protection Officer

აბსტრაქტი. თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში დაზღვევა წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს როგორც ინდივიდების, ისე ბიზნესის დაცვას გაუთვალისწინებელი დანაკარგებისგან. ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის (AI) განვითარებასთან ერთად, დაზღვევის სექტორი გადადის ახალ ეტაპზე, სადაც მონაცემთა ანალიზი, ავტომატიზაცია და პერსონალიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის ეფექტიანობას.

სტატია განიხილავს დაზღვევის როლს ეკონომიკურ სტაბილურობაში, ინოვაციური მიდგომების მნიშვნელობას და AI-ის გავლენას სადაზღვევო ინდუსტრიაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ აუმჯობესებს AI რისკების შეფასებას, ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას.

კვლევა აჩვენებს, რომ AI-ის ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციას, არამედ სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც აძლიერებს სექტორის მდგრადობას და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას.

დაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში, რადგან იგი უზრუნველყოფს ფინანსური დანაკარგების შემცირებას და რისკების გადანაწილებას. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც გაურკვევლობა და რისკები იზრდება (კლიმატური ცვლილებები, ეკონომიკური კრიზისები და სხვ.), დაზღვევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, ხელოვნური ინტელექტი, რისკები, ეკონომიკური.

Abstract. In the modern economic environment, insurance is one of the important mechanisms of financial stability, which reduces risks and provides protection for both individuals and businesses from unforeseen losses. Against the backdrop of technological progress, especially with the development of artificial intelligence (AI), the insurance sector is entering a new stage, where data analysis, automation and personalization significantly increase efficiency.

The article discusses the role of insurance in economic stability, the importance of innovative approaches and the impact of AI on the insurance industry. Particular attention is paid to how AI improves risk assessment, reduces operating costs and increases customer satisfaction.

The study shows that the integration of AI is not only a technological innovation, but also a strategic tool that enhances the sustainability of the sector and contributes to economic development.

Insurance plays an important role in maintaining economic stability, as it ensures the reduction of financial losses and the distribution of risks. In the modern world, where uncertainty and risks are increasing (climate change, economic crises, etc.), the importance of insurance is increasing even more.

Keywords: insurance, artificial intelligence, risks, economic.

სტატიაში განხილულია:

- დაზღვევის ფუნქცია ეკონომიკაში

- ინოვაციური მიდგომები სადაზღვევო სექტორში
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

სტრუქტურა:

1. შესავალი
2. დაზღვევა როგორც ეკონომიკური საფუძველი
3. ინოვაციური მიდგომები დაზღვევაში
4. AI-ის როლი სადაზღვევო სექტორში
5. AI-ის როლი და პერსონალურ მონაცემთა დაცვა სადაზღვევო სექტორში
6. გამოწვევები და პერსპექტივები
7. დასკვნა

დასკვნის სახით, სტატიაში ნაჩვენებია, რომ AI-ის გამოყენება ზრდის ეფექტიანობას, ამარტივებს პროცესებს და ქმნის ახალ შესაძლებლობებს როგორც კომპანიებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის.

1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში, სადაც გაურკვევლობა და რისკები ყოველდღიურ რეალობად იქცა, ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება როგორც ინდივიდებისთვის, ისე ბიზნესებისთვის. ბუნებრივი კატასტროფები, ეკონომიკური კრიზისები, ჯანმრთელობის პრობლემები და ტექნოლოგიური რისკები ქმნის გარემოს, სადაც სტაბილურობა მუდმივად საფრთხის ქვეშაა.

ამ პირობებში დაზღვევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც არა მხოლოდ ინდივიდუალურ დაცვას უზრუნველყოფს, არამედ მთლიანად ეკონომიკის მდგრადობას უწყობს ხელს. დაზღვევა ამცირებს ფინანსურ დანაკარგებს, უზრუნველყოფს რისკების გადანაწილებას და ქმნის ნდობის გარემოს ეკონომიკურ სისტემაში.

ტექნოლოგიური პროგრესის, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის (AI) განვითარების ფონზე, დაზღვევის სექტორი გადადის ახალ ეტაპზე. ინოვაციური მიდგომები და ციფრული ტრანსფორმაცია ცვლის ტრადიციულ მოდელებს და ქმნის ახალ შესაძლებლობებს როგორც კომპანიებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის.

2. დაზღვევა როგორც ეკონომიკური საფუძველი

დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს, რომელიც ამცირებს ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს სტაბილურობას როგორც ინდივიდუალურ, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე. განვითარებულ ქვეყნებში დაზღვევა აღიქმება არა როგორც დამატებითი ხარჯი, არამედ როგორც აუცილებელი ფინანსური მექანიზმი, რომელიც იცავს მოქალაქეებს მოულოდნელი დანახარჯებისგან.

დაზღვევა წარმოადგენს ფინანსურ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ინდივიდები და ორგანიზაციები ანაწილებენ რისკს ფართო ჯგუფში. ეს ნიშნავს, რომ ერთის ზარალი ნაწილდება მრავალ მონაწილეზე, რაც ამცირებს თითოეული ინდივიდის ფინანსურ ტვირთს.

- **დაზღვევის ძირითადი ფუნქციებია:**

2.1 რისკის გადანაწილება

დაზღვევა ამცირებს გაურკვევლობას. მაგალითად, ერთჯერადი დიდი დანახარჯი (ოპერაცია, ავარია, ქონების დაზიანება) გარდაიქმნება მცირე, პროგნოზირებად პრემიებად.

2.2 ფინანსური დაცვა

დაზღვევა იცავს მოსახლეობას მოულოდნელი ფინანსური შოკებისგან. ხშირად ხდება, რომ ერთი სამედიცინო ვიზიტის ღირებულება შეიძლება აღემატებოდეს წლიურ სადაზღვევო პრემიას— სწორედ აქ ჩანს მისი ეკონომიკური მნიშვნელობა.

2.3 ინვესტიციური ფუნქცია

სადაზღვევო კომპანიები აგროვებენ დიდ ფინანსურ რესურსებს და ახორციელებენ მათ ინვესტირებას ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

2.4 სოციალური სტაბილურობა

დაზღვევა ამცირებს სიღარიბის რისკს და ზრდის მოსახლეობის ფინანსურ უსაფრთხოებას.

2. დაზღვევა როგორც ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი

2.1 ინდივიდუალური დონე

ინდივიდისთვის დაზღვევა არის ფინანსური „დაცვა“. ის უზრუნველყოფს:

- ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობას;
- ქონების დაცვას;
- შემოსავლის სტაბილურობას კრიზისის დროს.

მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის არქონა ხშირად იწვევს ფინანსურ კოლაფსს, მაშინ როცა დაზღვევა ამ რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

2.2 ბიზნესის დონე

ბიზნესისთვის დაზღვევა კრიტიკულია, რადგან:

- ამცირებს ოპერაციულ რისკებს;
- იცავს აქტივებს;
- ზრდის ინვესტორების ნდობას.

დაზღვევის გარეშე, ერთმა დიდმა ზარალმა შეიძლება მთლიანად გააჩეროს ბიზნესი.

2.3 მაკროეკონომიკური დონე

დაზღვევა ხელს უწყობს:

- ეკონომიკურ სტაბილურობას;
- კრიზისების ეფექტის შემცირებას;
- ინვესტიციების ზრდას.

ქვეყნები, სადაც დაზღვევის გავრცელება მაღალია, უფრო მდგრადია ეკონომიკური შოკების მიმართ.

ეკონომიკური გავლენა

კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც დაზღვევის დონე მაღალია:

- მცირდება სიღარიბის რისკი
- იზრდება შრომის პროდუქტიულობა
- მცირდება მოულოდნელი ფინანსური კრიზისები ოჯახებში

დაზღვევა ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტია, რადგან იგი უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას. მისი მთავარი ფუნქციაა რისკების გადანაწილება ფართო ჯგუფზე, რაც ამცირებს ინდივიდუალურ ზარალს.

🔷 **დაზღვევის ძირითადი როლები:**

- **ფინანსური დაცვა** — მოულოდნელი დანაკარგების კომპენსაცია
- **ეკონომიკური სტაბილურობა** — ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა
- **ინვესტიციების წახალისება** — რისკების შემცირების გამო
- **სოციალური უსაფრთხოება** — ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა

მაგალითად, თუ ბიზნესი დაზღვეულია, მას შეუძლია სწრაფად აღდგეს ზარალის შემდეგ, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ შეფერხებებს. სწორედ ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში დაზღვევა ეკონომიკური სისტემის აუცილებელი ნაწილია.

კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომლებს დაზღვევით:

- იღებენ უფრო მოტივირებულ კადრებს
- ამცირებენ ავადმყოფობის გამო გაცდენებს
- ზრდიან ლოიალობას.

საქართველოში დაზღვევის კულტურა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, თუმცა მისი მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით ჯანმრთელობისა და ქონების დაზღვევის მიმართულებით.

მაგ. ჯანმრთელობის დაზღვევა პირდაპირ უკავშირდება ადამიანის შრომისუნარიანობას, შემოსავალსა და ცხოვრების ხარისხს. როდესაც ადამიანი არ არის დაზღვეული, ის ხშირად აჭიანურებს ექიმთან ვიზიტს ფინანსური მიზეზების გამო, რაც საბოლოოდ იწვევს დაავადების გართულებას, არასწორ მკურნალობას და ბევრად უფრო დიდ ხარჯებს.

როდესაც ადამიანი უარს ამბობს პრევენციულ კვლევებზე, ექიმთან დროულ ვიზიტზე ან საჭირო მკურნალობაზე, ის დროებით ზოგავს თანხას, თუმცა ზრდის რისკს, რომ პრობლემა გართულდეს. ადრეულ ეტაპზე გამოვლენილი დაავადება, როგორც წესი, ბევრად მარტივად იკურნება, მაშინ როცა დაგვიანებული დიაგნოზი ხშირად მოითხოვს რთულ, ხანგრძლივ და ძვირადღირებულ ჩარევებს.

ჯანმრთელობაზე „დაზოგვა“ განსაკუთრებით სახიფათოა იმ თვალსაზრისით, რომ ჯანმრთელობის გაუარესება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფინანსებზე, არამედ ცხოვრების ხარისხზე, შრომისუნარიანობაზე და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც. საბოლოოდ, ის თანხა, რომელიც თავიდან „დავზოგეთ“, შესაძლოა მრავალჯერადად გაიზარდოს — როგორც პირდაპირი სამედიცინო ხარჯების, ისე დაკარგული დროისა და შესაძლებლობების სახით.

თანამედროვე რეალობაში დაზღვევა აღარ უნდა აღვიქვათ როგორც ზედმეტი ხარჯი. პირიქით, იგი წარმოადგენს ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელოვან ნაწილს.

3. ინოვაციური მიდგომები დაზღვევაში

ბოლო წლებში სადაზღვევო სექტორი აქტიურად იყენებს ინოვაციებს, რაც აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და ზრდის ეფექტიანობას.

🔷 ძირითადი ინოვაციები:

- **ციფრული პლატფორმები** — ონლაინ პოლისების შეძენა
- **მობილური აპლიკაციები** — სწრაფი კომუნიკაცია მომხმარებელთან
- **პერსონალიზებული შეთავაზებები** — მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტები
- **ბიგ დათა (Big Data)** — მომხმარებლის ქცევის ანალიზი

ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა არსებითად გარდაქმნა სადაზღვევო მომსახურების მიწოდების პროცესი და მნიშვნელოვნად გაამარტივა მომხმარებლის გამოცდილება. თუ წარსულში სადაზღვევო პოლისის გაფორმება დაკავშირებული იყო რთულ და ხანგრძლივ პროცედურებთან, თანამედროვე პირობებში მომხმარებელს უკვე აქვს შესაძლებლობა მოკლე დროში, დისტანციურად შეიძინოს სადაზღვევო პროდუქტი, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია და ეფექტიანად ისარგებლოს შესაბამისი სერვისებით.

თანამედროვე მიდგომა დაზღვევაში უკვე აღარ არის მხოლოდ ზარალის ანაზღაურება.

ის გადადის პრევენციაზე და ჯანმრთელობის მართვაზე.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ციფრული პლატფორმები, როგორიცაა **Diagnos.me**, რომელიც უკვე დანერგილია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე.

საქართველოში აღნიშნულ სერვისს საკუთარ დაზღვეულ მომხმარებლებს სთავაზობს სადაზღვევო კომპანია **GPI Holding**, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულ, 100%-იან დაფარვას წელიწადში სამჯერ - პლატფორმა წარმოადგენს თანამედროვე ციფრულ გადაწყვეტას, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ სწრაფი და ხარისხიანი სამედიცინო კონსულტაცია დისტანციურად, მსოფლიოს წამყვანი ექიმების მონაწილეობით.

Diagnos.me-ის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია:

- **მიიღოს მეორე სამედიცინო აზრი (Second Opinion)**
- **ატვირთოს სამედიცინო დოკუმენტაცია და მიიღოს პროფესიონალური შეფასება**
- **აირიდოს არასაჭირო კვლევები და ვიზიტები**
- **დაზოგოს დრო და ფინანსური რესურსები**

ამგვარი პლატფორმების დანერგვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და ამავდროულად ზრდის სადაზღვევო სერვისის ხარისხს.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ინოვაციები არა მხოლოდ კომფორტს ქმნის, არამედ ხელს უწყობს სწორი და დროული დიაგნოსტიკის მიღებას, რაც საბოლოოდ ამცირებს როგორც ჯანმრთელობის რისკებს, ასევე ფინანსურ დანახარჯებს.

Diagnos.me წარმოადგენს ციფრულ სამედიცინო პლატფორმას, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას სწრაფად მიიღონ ექიმის კონსულტაცია, გადაამოწმონ დიაგნოზი მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებთან და მართონ საკუთარი ჯანმრთელობა დისტანციურად.

მისი ძირითადი სარგებელი დაზღვეულისთვის არის:

- **სწრაფი და ხელმისაწვდომი კონსულტაცია**
- **დიაგნოზის გადამოწმების შესაძლებლობა**
- **არასწორი ვიზიტების შემცირება**
- **დროული რეაგირება ჯანმრთელობის პრობლემებზე**

რაც საბოლოოდ ნიშნავს:

ნაკლებ ხარჯს + უკეთეს ჯანმრთელობას

4. AI-ის როლი სადაზღვევო სექტორში

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ცვლის დაზღვევის ინდუსტრიას.

ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ხელოვნური ინტელექტი (AI) ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ფინანსური სექტორის, მათ შორის სადაზღვევო ინდუსტრიის ფუნქციონირების პრინციპები. AI-ის ინტეგრაცია არამხოლოდ ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას უზრუნველყოფს, არამედ ქმნის უფრო ზუსტ, პროგნოზირებად და მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემას.

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სადაზღვევო სფეროში რისკების შეფასებისა და ფასდადების პროცესის გაუმჯობესებაა. ტრადიციული მოდელებისგან განსხვავებით, რომლებიც სტატიკურ მონაცემებზეა დაფუძნებული, AI იყენებს დიდი მოცულობის მონაცემებს (Big Data) და ახდენს მომხმარებლის ქცევის, გარემო ფაქტორებისა და ისტორიული ტენდენციების ანალიზს. შედეგად, კომპანიებს შეუძლიათ უფრო ზუსტად განსაზღვრონ რისკის დონე და დააწესონ ინდივიდუალურად მორგებული პრემია.

გარდა ამისა, AI მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზარალების მართვის პროცესში (claims management). ავტომატიზებული სისტემები ამცირებს განაცხადების დამუშავების დროს,

ამოიცნობს საეჭვო შემთხვევებს და ამცირებს თაღლითობის რისკს. მაგალითად, დაზიანების შეფასება შესაძლებელია ფოტოების ან ვიდეოების ანალიზის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს გადაწყვეტილების მიღებას.

მომხმარებელთან კომუნიკაციის კუთხით, AI-ზე დაფუძნებული ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები უზრუნველყოფენ 24/7 მხარდაჭერას, ამცირებენ საოპერაციო ხარჯებს და ზრდიან მომსახურების ხარისხს. ისინი მომხმარებლებს აწვდიან პერსონალიზებულ შეთავაზებებს, პასუხობენ შეკითხვებს და ამარტივებენ სადაზღვევო პროდუქტების შერჩევის პროცესს.

ამასთან, AI ხელს უწყობს ახალი სადაზღვევო მოდელების განვითარებას, როგორიცაა გამოყენებაზე დაფუძნებული დაზღვევა (Usage-Based Insurance), სადაც მონაცემთა ანალიზი პირდაპირ გავლენას ახდენს პრემიის განსაზღვრაზე. ეს ზრდის სამართლიანობას და მოტივაციას მომხმარებლისთვის, შეამციროს რისკიანი ქცევა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი სარგებლისა, AI-ის დანერგვა დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთანაც, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობასთან, ეთიკურ საკითხებთან და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან. შესაბამისად, აუცილებელია რეგულაციური ჩარჩოს განვითარება და მომხმარებელთა ნდობის უზრუნველყოფა.

AI-ის ძირითადი გამოყენებები:

1. **რისკების შეფასება**

AI ამუშავებს დიდი მოცულობის მონაცემებს და უფრო ზუსტად აფასებს რისკებს, ვიდრე ტრადიციული მეთოდები.

2. **თაღლითობის გამოვლენა**

სისტემებს შეუძლიათ საეჭვო ქცევის იდენტიფიცირება, რაც ამცირებს ფინანსურ დანაკარგებს.

3. **ავტომატიზაცია**

ჩათბოტები და ავტომატური სისტემები უზრუნველყოფს სწრაფ მომსახურებას.

4. **მომხმარებლის გამოცდილება**

AI ქმნის პერსონალიზებულ შეთავაზებებს, რაც ზრდის კმაყოფილებას.

AI-ის დახმარებით შესაძლებელია:

- ზარალის ავტომატური დამუშავება
- ფოტოების ანალიზით დაზიანების შეფასება
- გადაწყვეტილების სწრაფი მიღება

შედეგი:დღეების ნაცვლად — წუთებში ანაზღაურება

3. მომხმარებელთან კომუნიკაცია (Chatbots & AI Assistants)

AI ჩატბოტები:

- პასუხობენ კითხვებს 24/7
- სთავაზობენ პროდუქტებს
- მართავენ გაყიდვების პროცესს

მარტივად რომ ვთქვათ:

AI დაზღვევას ხდის უფრო სწრაფს, ზუსტს და მომხმარებელზე მორგებულს.

მსოფლიოს წამყვანი სადაზღვევო კომპანიები უკვე აქტიურად იყენებენ AI-ს:

- **Lemonade** — ანაზღაურება წამებში
- **Allianz** — რისკის ანალიზი და პერსონალიზაცია
- **AXA** — ციფრული მომხმარებლის გამოცდილება

- **Ping An (China)** — სრული AI ეკოსისტემა

შედეგები:

- +30-50% გაყიდვების ზრდა
- მომხმარებლის კმაყოფილების მკვეთრი ზრდა
- ოპერაციული ხარჯების შემცირება

საქართველოში AI ჯერ საწყის ეტაპზეა სადაზღვევო სექტორში, რაც ნიშნავს:

ბაზარი არ არის გაჯერებული

არსებობს პირველობის ეფექტი

შესაძლებელია სწრაფი ზრდა

ხელოვნური ინტელექტის (AI) როლი საქართველოს სადაზღვევო სექტორში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სადაზღვევო სექტორში უკვე არ არის მხოლოდ გლობალური ტენდენცია — ის ეტაპობრივად რეალობად იქცევა საქართველოშიც. ადგილობრივი ბაზარი, მიუხედავად შედარებით მცირე მასშტაბისა, გამოირჩევა სწრაფი ციფრული ადაპტაციით, რაც ქმნის ნიადაგს AI-ის ეფექტიანი გამოყენებისთვის.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიები უკვე აქტიურად იყენებენ ციფრულ პლატფორმებს, ონლაინ გაყიდვებსა და ავტომატიზებულ პროცესებს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის ფარგლებში მომხმარებლებს შეუძლიათ მობილური აპლიკაციების საშუალებით მიიღონ ექიმთან ონლაინ კონსულტაცია, ელექტრონულად ატვირთონ ხარჯები და უმოკლეს დროში მიიღონ ანაზღაურება. აღნიშნული პროცესების შემდგომი განვითარება სწორედ AI-ის ინტეგრაციაზეა დამოკიდებული.

AI განსაკუთრებით პერსპექტიულია რისკების შეფასების მიმართულებით ქართულ რეალობაში. მაგალითად, ავტოდაზღვევის ბაზარზე, სადაც ზარალიანობა შედარებით მაღალია, გამოყენებაზე დაფუძნებული დაზღვევის (UBI) დანერგვა საშუალებას მისცემს კომპანიებს დაადგინონ პრემია რეალური მართვის სტილის მიხედვით. ეს არა მხოლოდ სამართლიანს გახდის ფასდადებას, არამედ ხელს შეუწყობს ავარიების შემცირებასაც.

ასევე მნიშვნელოვანია AI-ის როლი თაღლითობის გამოვლენაში. ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ არაკეთილსინდისიერი მოთხოვნებია. AI-ს შეუძლია მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ამოიცნოს საეჭვო ქეისები, რაც კომპანიებს მილიონობით ლარის დაზოგვაში დაეხმარება.

მომხმარებლის გამოცდილების კუთხით, AI-ზე დაფუძნებული ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები უკვე შეიძლება გახდეს სტანდარტი — განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მომხმარებლები სწრაფ და მარტივ კომუნიკაციას ელიან. ქართულ ბაზარზე, სადაც კონკურენცია იზრდება, სწორედ მომსახურების სისწრაფე და სიმარტივე გახდება განმასხვავებელი ფაქტორი.

ხელოვნური ინტელექტი გარდაქმნის სადაზღვევო სექტორს ტრადიციული მოდელიდან მონაცემებზე დაფუძნებულ, დინამიკურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ სისტემად. მისი ეფექტიანი გამოყენება მომავალში განსაზღვრავს სექტორის კონკურენტუნარიანობას და მდგრად განვითარებას.

AI არ არის მხოლოდ ტექნოლოგია — ის არის გაყიდვების ინსტრუმენტი:

5. AI-ის როლი და პერსონალურ მონაცემთა დაცვა სადაზღვევო სექტორში

ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა სადაზღვევო სექტორი და ჩამოაყალიბა მისი განვითარების ახალი სტანდარტები. AI სისტემები უზრუნველყოფს დიდი

მოცულობის მონაცემების სწრაფ და ეფექტიან დამუშავებას, რაც აუმჯობესებს რისკების შეფასების სიზუსტეს, ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ზრდის მომსახურების ხარისხს.

თანამედროვე სადაზღვევო პრაქტიკაში AI ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- რისკების ანალიზში
- პროცესების ავტომატიზაციაში
- მომხმარებელთან კომუნიკაციაში

აღნიშნული ტექნოლოგიური პროგრესი დამოკიდებულია დიდი მოცულობის მონაცემთა ერთობლიობაზე, განსაკუთრებით კი პერსონალურ და სენსიტიურ ინფორმაციაზე. სადაზღვევო კომპანიები, სტანდარტულ პერსონალურ მონაცემებთან ერთად, ამუშავებენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქცევითი მახასიათებლები, ბიომეტრიული და გენეტიკური ინფორმაცია. აღნიშნული გარემო მნიშვნელოვნად ზრდის კიბერუსაფრთხოების და კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობას.

AI-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები მოიცავს:

- მონაცემთა უსაფრთხოებას
- არასანქცირებულ წვდომას
- ალგორითმულ მიკერძოებას, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და სამართლიანობაზე

ამ პირობებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამართლებრივი ჩარჩოა ევროკავშირის General Data Protection Regulation (GDPR), რომელიც ადგენს მონაცემთა დამუშავების მკაცრ წესებს და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე დამატებით შეზღუდვებს.

6. გამოწვევები და პერსპექტივები

მიუხედავად განვითარების დიდი პოტენციალისა, დაზღვევის სექტორს აქვს გარკვეული გამოწვევები:

გამოწვევები:

- დაბალი ინფორმირებულობა
- ნდობის ნაკლებობა
- ტექნოლოგიური დანერგვის სირთულე
- მონაცემთა უსაფრთხოების რისკები

პერსპექტივები:

- ციფრული ტრანსფორმაციის გაძლიერება
- AI-ის უფრო ფართო გამოყენება
- ახალი პროდუქტების შექმნა
- მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისები

მომავალში დაზღვევა კიდევ უფრო მეტად გახდება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

7. დასკვნა

დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს, რომელიც ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს ფინანსურ დაცვას. თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით AI-ის განვითარების ფონზე, სადაზღვევო სექტორი სწრაფად ვითარდება და ხდება უფრო ეფექტიანი, მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული.

ინოვაციური მიდგომები და ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ აუმჯობესებს მომსახურებას, არამედ ქმნის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური განვითარებისათვის.

„ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სადაზღვევო სექტორში მნიშვნელოვნად ზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას, რისკების შეფასების სიზუსტესა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების ხარისხს. ამავდროულად, მისი მდგრადი და ეთიკური გამოყენება განუყოფლად არის დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის მკაცრ სტანდარტებთან. შესაბამისად, სექტორის გრძელვადიანი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით მოხდება ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპების ბალანსირებული ინტეგრაცია, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს როგორც ინსტიტუციურ სანდოობას, ისე მომხმარებელთა ნდობის ხარისხს.“

დაზღვევა აღარ არის მხოლოდ ხარჯი — იგი არის ფინანსური მდგრადობისა და რისკების ეფექტიანი მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

პ.ს. ***„ ხელოვნური ინტელექტი არ ანაცვლებს გაყიდვების აგენტს-პირიქით, ამარტივებს პროცესებს და მნიშვნელოვნად აძლიერებს მის შესაძლებლობებს. გაყიდვების პროცესში AI შეიძლება იყოს აგენტის ციფრული ასისტენტი და მარჯვენა ხელი, რომელიც ეხმარება უფრო სწრაფ, ეფექტურ და შედეგიან კომუნიკაციაში, საბოლოოდ წარმატებას აღწევს ის მოდელი, სადაც ტექნოლოგია და ადამიანი ერთად ქმნიან უფრო ეფექტურ, სწრაფ და შედეგზე ორიენტირებულ მომსახურებას”***.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.mckinsey.com/industries/financial-services/our-insights
2. https://www.weforum.org/
3. https://www.swissre.com/institute.html
4. https://www.pwc.com/
5. https://www.apollo.io/#outbound-tab
6. https://www.solix.com/ka/products/answers/5-use-cases-for-ai-in-insurance-and-data-governance/
7. https://julienflorkin.com/ka/business/insurance/ai-in-insurance/
8. https://www.marketer.ge/agentic-ai-kharjebis-shesamtsireblad/
9. https://www.insurance.gov.ge/
10. https://www.ijirss.com/index.php/ijirss/article/download/7874/1720/12981

Modern Trends and Practices in Bank Liquidity Management

Teimuraz Khachidze
Georgian National University SEU
Master of Banking
Ani Beridzishvili
Georgian National University SEU
Master of Banking

Abstract. Liquidity management stands as one of the most critical functions in modern banking, directly influencing financial stability, institutional resilience, and the broader functioning of the economy. The global financial crisis of 2007–2009 exposed fundamental weaknesses in banks' liquidity risk management frameworks, prompting a wave of regulatory reforms and a fundamental reassessment of industry practices. This paper examines the modern trends and evolving practices in bank liquidity management, with a focus on regulatory developments under Basel III, the adoption of advanced quantitative and technological tools, the impact of digital transformation and fintech competition, and the growing importance of stress testing and contingency funding planning. Drawing on a comprehensive review of contemporary academic literature, regulatory publications, and industry reports, the study identifies several key trends reshaping liquidity management: the shift toward more conservative liquidity buffers, the integration of artificial intelligence and machine learning in liquidity forecasting, the emergence of new funding sources and instruments, and the increasing complexity of intraday liquidity monitoring. The paper also explores the challenges banks face in balancing profitability with liquidity adequacy, particularly in low-interest-rate and high-volatility environments. The findings suggest that effective liquidity management in the modern era requires a holistic approach that combines robust regulatory compliance, advanced analytics, dynamic risk assessment, and strategic alignment with the bank's broader business objectives. The paper concludes with recommendations for bank practitioners, regulators, and researchers.

Keywords: liquidity management, banking, Basel III, liquidity risk, stress testing, digital transformation, liquidity coverage ratio, net stable funding ratio

1. Introduction

Liquidity — the ability of a bank to meet its financial obligations as they come due without incurring unacceptable losses — is a fundamental pillar of sound banking. Unlike profitability or solvency, which reflect longer-term financial health, liquidity is an inherently dynamic and time-sensitive concept. A bank can be highly profitable and well-capitalized yet still face a liquidity crisis if it cannot convert assets into cash or secure funding in a timely manner. The collapse of Northern Rock in 2007, Bear Stearns in 2008, and the liquidity-driven failures that characterized the global financial crisis vividly demonstrated that inadequate liquidity management can have systemic consequences.

In the aftermath of the crisis, international regulatory bodies — most notably the Basel Committee on Banking Supervision (BCBS) — introduced comprehensive liquidity standards as part of the Basel III framework. These standards, including the Liquidity Coverage Ratio (LCR) and the Net Stable Funding Ratio (NSFR), fundamentally changed the regulatory landscape and compelled banks to maintain significantly larger liquidity buffers and adopt more sophisticated risk management practices.

However, the evolution of bank liquidity management extends far beyond regulatory compliance. Several transformative forces are reshaping the way banks approach liquidity in the current environment. Digital transformation and fintech innovation are altering the nature of deposits, payment flows, and funding channels. Artificial intelligence and machine learning are enabling more accurate and granular liquidity forecasting. The post-pandemic macroeconomic landscape — characterized by monetary policy tightening, inflationary pressures, and geopolitical uncertainty — is creating new liquidity challenges that require adaptive and forward-looking management approaches.

This paper aims to: (1) provide an overview of the regulatory framework governing bank liquidity; (2) examine the key modern trends and innovations in liquidity management practices; (3) analyze the challenges and trade-offs banks face in managing liquidity; and (4) offer recommendations for practitioners, regulators, and researchers.

2. Literature Review

The academic literature on bank liquidity management has expanded significantly since the global financial crisis, reflecting the heightened importance of liquidity risk in both regulatory and managerial discourse.

Foundational research. Diamond and Dybvig (1983) provided the seminal theoretical framework for understanding bank liquidity creation, demonstrating that banks inherently transform liquid liabilities (deposits) into illiquid assets (loans), creating a fundamental liquidity mismatch that makes them vulnerable to runs. This model remains central to the theoretical understanding of liquidity risk. Allen and Gale (2004) extended this framework by examining the role of interbank markets and central bank interventions in mitigating liquidity crises.

Regulatory impact. The introduction of Basel III liquidity standards generated substantial academic interest. Bonner et al. (2016) examined the impact of the LCR on bank behavior, finding that banks increased their holdings of high-quality liquid assets (HQLA) and reduced their reliance on short-term wholesale funding. Dietrich et al. (2014) analyzed the potential effects of the NSFR on bank funding models and lending, concluding that while the regulation promotes funding stability, it may also reduce lending capacity in certain market segments. Distinguin et al. (2013) explored the relationship between regulatory liquidity ratios and bank risk, finding evidence that higher liquidity buffers are associated with lower default risk.

Liquidity risk measurement. The methodological literature on liquidity risk measurement has also evolved considerably. Brunnermeier et al. (2009) introduced the concept of "liquidity-adjusted VaR" and highlighted the distinction between market liquidity risk and funding liquidity risk. Cornett et al. (2011) provided empirical evidence that banks' reliance on non-deposit funding increased significantly in the pre-crisis period, contributing to systemic liquidity vulnerability. More recently, Huang and Ratnovski (2011) examined the dark side of bank liquidity — the argument that excessive liquidity holdings may encourage risk-taking behavior and reduce the efficiency of financial intermediation.

Technological innovation. A growing body of literature explores the impact of technology on liquidity management. Frost et al. (2023) analyzed how fintech platforms and digital banking are altering deposit stability and liquidity dynamics. Carstens (2021) discussed the implications of central bank digital currencies (CBDCs) for bank liquidity and disintermediation risk. These emerging themes represent frontier areas of research that are increasingly relevant to modern liquidity management practice.

Despite this rich literature, a comprehensive synthesis of modern trends and practical innovations in liquidity management remains relatively scarce. This paper seeks to fill that gap by integrating regulatory, technological, and strategic perspectives.

3. Regulatory Framework: Basel III Liquidity Standards

3.1 Liquidity Coverage Ratio (LCR)

The LCR, introduced under Basel III in 2013 and phased in through 2019, requires banks to maintain sufficient high-quality liquid assets (HQLA) to cover net cash outflows over a 30-day stress scenario. The ratio is calculated as:

LCR = HQLA / Total Net Cash Outflows over 30 days ≥ 100%

HQLA are classified into three levels:

Level 1: Cash, central bank reserves, and sovereign bonds (no haircut).

Level 2A: Government-sponsored enterprise debt, high-rated corporate bonds, and covered bonds (15% haircut).

Level 2B: Lower-rated corporate bonds, equities, and residential mortgage-backed securities (25–50% haircut).

The LCR fundamentally changed bank behavior by incentivizing the accumulation of liquid asset buffers and discouraging excessive reliance on volatile short-term funding. However, critics have argued that the LCR may reduce the willingness of banks to engage in maturity transformation and may constrain lending during periods of monetary tightening (Kisin and Manela, 2016).

3.2 Net Stable Funding Ratio (NSFR)

The NSFR addresses longer-term structural liquidity by requiring banks to maintain a stable funding profile relative to the liquidity characteristics of their assets and off-balance-sheet activities:

NSFR = Available Stable Funding (ASF) / Required Stable Funding (RSF) ≥ 100%

The NSFR assigns stability factors to different funding sources and liquidity factors to different asset classes. For instance, retail deposits are considered more stable than wholesale funding, and long-term loans require more stable funding than short-term liquid assets. The NSFR became a minimum standard in 2018, complementing the LCR by addressing the longer-term liquidity mismatch.

3.3 Additional Regulatory Measures

Beyond the LCR and NSFR, regulators have introduced complementary measures to strengthen liquidity oversight:

Liquidity stress testing: Banks are required to conduct regular stress tests under a range of adverse scenarios (idiosyncratic, market-wide, and combined).

Intraday liquidity monitoring: The BCBS (2013) issued principles for the management and supervision of intraday liquidity risk, recognizing the growing importance of real-time payment systems.

Recovery and resolution planning: Banks must develop credible liquidity recovery options and maintain detailed contingency funding plans (CFPs).

4. Modern Trends in Bank Liquidity Management

4.1 Shift Toward Conservative Liquidity Buffers

One of the most visible trends in the post-crisis era is the significant increase in banks' holdings of high-quality liquid assets. According to the BCBS's latest monitoring report, the aggregate LCR for large internationally active banks consistently exceeds 130%, well above the 100% minimum. This reflects not only regulatory compliance but also a broader cultural shift toward liquidity prudence.

However, maintaining large liquidity buffers comes at a cost. HQLA typically earn lower returns than illiquid assets, creating a direct trade-off between liquidity and profitability. Banks must carefully calibrate their buffer sizes to balance regulatory requirements, risk appetite, and shareholder expectations.

4.2 Integration of Artificial Intelligence and Machine Learning

Artificial intelligence (AI) and machine learning (ML) are transforming liquidity management from a predominantly backward-looking, compliance-driven function into a forward-looking, predictive discipline. Key applications include:

Cash flow forecasting: ML models can analyze historical transaction patterns, seasonal trends, macroeconomic indicators, and customer behavior to generate more accurate predictions of future cash inflows and outflows. This enables banks to anticipate liquidity needs rather than merely react to them.

Early warning systems: AI-powered monitoring tools can detect anomalous patterns in deposit flows, interbank market conditions, or counterparty behavior that may signal emerging liquidity stress.

Scenario analysis: Advanced simulation models can generate thousands of liquidity stress scenarios, enabling more robust contingency planning.

Optimization of HQLA portfolios: ML algorithms can optimize the composition of liquidity buffers to maximize return while meeting regulatory and risk constraints.

Several major banks have reported significant improvements in liquidity forecasting accuracy after adopting AI-driven tools, with error reductions of 20–40% compared to traditional spreadsheet-based models.

4.3 Digital Transformation and New Funding Channels

Digital banking, mobile payments, and fintech platforms are fundamentally altering the landscape of bank funding and liquidity. Several key developments deserve attention:

Deposit behavior: Digital banking has made it easier for customers to move funds between institutions, potentially increasing deposit volatility. The speed of digital withdrawals means that bank runs can unfold much faster than in the traditional banking model.

Fintech competition: Fintech platforms offering higher-yield savings products, peer-to-peer lending, and digital wallets are diverting funds away from traditional bank deposits, potentially reducing banks' access to stable retail funding.

Open banking: Regulatory initiatives such as the EU's Payment Services Directive (PSD2) and the UK's Open Banking framework are increasing transparency and competition, further challenging traditional funding models.

Central bank digital currencies (CBDCs): The potential introduction of CBDCs raises fundamental questions about bank disintermediation and the future of bank deposit funding.

4.4 Intraday Liquidity Management

The growth of real-time payment systems (such as Fedwire, TARGET2, and various national instant payment schemes) has elevated the importance of intraday liquidity management. Banks must now monitor and manage their liquidity positions on a continuous, real-time basis rather than relying on end-of-day snapshots.

- The BCBS's 2013 principles for intraday liquidity management identified several key metrics, including:
- Daily maximum intraday liquidity usage
It can be said that in addition to the aforementioned type of entrepreneurial legal problem, there are also facts that are incompatible with the principles of general law. In particular, with the mechanism proposed by the legislation:When using the mechanism for continuing the existence of a dissolved entrepreneurial company based on the decision of the partners, Compliance with the principles of fair treatment, equality before the law, and freedom of will for all partners of the dissolved entrepreneurial society must be ensured as much as possible. Accordingly, if all partners are not or cannot be involved in the aforementioned process cycle and their will is expressed, the existence of the bankrupt entrepreneurial society (For instance: LTD) will continue or not, It is logical that the principles of law mentioned above will be ignored.

Keywords: Dissolved entrepreneurial society, Decision, Continuation of existence, Means, Mechanism.

ქართული სამეწარმეო სამართლის დოქტრინა ავითარებს მსჯელობას დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების (იგივე, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზოგადოება) არსებობის გაგრძელებაზე, რომლის წინაპირობადაც და უზრუნველსაყოფადაც პარტნიორთა გადაწყვეტილებას ასახელებს[705]. მიზნის მიღწევა, რომელიც გულისხმობს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელებას, ყველა შემთხვევაში მარტივი როდია. პარტნიორთა გადაწყვეტილება ერთადერთი სამართლებრივი ბერკეტი და საშუალებაა ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით[706], რომლითაც უნდა დაიწყოს დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების

[705] ჯუღელი გ, გიგუაშვილი გ, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით); 2021; გვ. 117; აქვე იხ.

[2] ჭანტურია ლ. ნინიძე თ. ,,მეწარმეთა შესახებ" კანონის კომენტარები. გამომცემლობა ,,სამართალი" მესამე გამოცემა; 2002-2009; გვ. 294, თავი III. პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურა და კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა; (კონტენტ ანალიზი);

3 საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ" 02/04/2025; 87-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება;

არსებობის გაგრძელების პროცესი. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი სახის პროცესის დასაწყებად დღეს მოქმედი ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონით შემოთავაზებული ერთადერთი საშუალება (ბერკეტი) - პარტნიორთა გადაწყვეტილება, პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, არ არის საკმარისი მექანიზმი და გარანტორი იმისა, რომ დაშლილი სამეწარმეო საზოგადოება განაგრძობს არსებობას, აღადგენს საქმიანობასა და ოპერირებას ბაზარზე. თავის მხრივ, მეწარმე სუბიექტის საქმიანობის აღდგენაზე უარყოფითი გავლენის მქონეა იმ ფაქტორის არსებობა, რომ დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა მიერ ვერ იქნას მიღებული გადაწყვეტილება მისი არსებობის გაგრძელებაზე, ვინაიდან და რადგანაც, ჯაჭვურ რგოლში, სამართლებრივი თვალსაზრისითაც, ჯერ უნდა გახორციელდეს პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება, ხოლო, შემდგომში კი აღდგეს მისი საქმიანობა. ცხადია, თუ პირველი მათგანი არ მოვა სისრულეში, შეუძლებელია და გონივრულ აზრს მოკლებული, რომ უამისოდ დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ აღადგინოს საქმიანობა.

უკანასკნელი მსჯელობის მარტივ მაგალითად, თუ რატომ ვერ შეიძლება მიღებულ იქნას პარტნიორთა შორის გადაწყვეტილება დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელებაზე, შესაძლებელია დავასახელოთ ის, რომ პარტნიორთა საერთო კრებაზე (შემდგომში საერთო კრება) კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის რაოდენობა ვერ იქნას დაფიქსირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ხმათა მოცემული რაოდენობა ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით აუცილებელი წინაპირობაა დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების გზაზე[707], ხოლო მისი არარსებობა კი ცხადია, დაბრკოლებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კანონმდებლობის ამგვარი ჩანაწერი ვერ ჰპოვებს სრულფასოვან გამოვლინებას პრაქტიკაში მაშინ, როდესაც მაგალითად შპს - ში, პარტნიორთა რიგ უმრავლესობას გარკვეული მიზეზის გამო არ სურს თავიანთი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელებას დაუჭირონ მხარი და პარტნიორთა საერთო კრებაში მიიღონ მონაწილეობა, რამეთუ ეს მათი უფლებაა და არა ვალდებულება[708]. ამგვარ უფლებამოსილებას კი თავად კანონმდებლობა ანიჭებს პარტნიორებს. მსგავსი სიტუაციისას დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა მცირე რაოდენობას, ვერ ძალუძს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა 3/4-ის უმრავლესობის გარეშე მოახდინოს თავიანთი გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია, ანუ საბოლოო ჯამში შესაძლებელად მიიჩნიონ და განახორციელონ სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელება.

მონაცემთა ანალიზის გზითა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში დაშლილი მეწარმე სუბიექტის საქმიანობის ჯეროვან გაგრძელებაზე და რეალიზაციაზე, როგორც დადებით ისე უარყოფით გავლენას ახდენს სამეწარმეო საზოგადოების ფინანსური მდგომარება, მისი აქტივები. სწორედ აღნიშნულზეა დამოკიდებული საქმიანობის როგორ ტემპს განავითარებს სამეწარმეო საზოგადოება და რა მოცულობითი მასშტაბის იქნება ბაზარზე მისი ოპერირების განახლება. სწორედ ფინანსური სახსრები არის მთავარი ინდიკატორი სამეწარმეო საზოგადოების საწარმოო პროდუქტის შექმნასა და გაუმჯობესებაში, მარკეტინგსა თუ გაყიდვებში, ტექნოლოგიების დახვეწასა და საწარმოს ინფრასტრუქტურის შექმნა/გაუმჯობესებაში, იურიდიული და კორპორაციული საკითხების გამოკვლევა-გადაწყვეტაში, ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი შესაფერის, სათანადო პირებთან საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

პრაქტიკის მაგალითების გამოკვლევამ აგრეთვე აჩვენა და დაადასტურა, რომ დაშლილი მეწარმე სუბიექტის საქმიანობის ჯეროვან გაგრძელებაზე და რეალიზაციაზე, როგორც დადებით

[707] საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ'' 02/04/2025; 87-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება;
[708] საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ''; 02/04/2025; 36 - ე მუხლის პირველი ნაწილი;

ისე უარყოფით გავლენას ახდენს სამეწარმეო საზოგადოების ე.წ. ,,კომერციული იღბლის''[709] ნაკლებობა. ,,კომერციული იღბალზეა'' დამოკიდებული რამდენად გამართლებული იქნება საქმიან ურთიერთობებში სხვადასხვა კონტრაჰენტებთან ურთიერთობის დამყარება. იგი თავის თავში მოიაზრებს ამასთანავე, სახელმწიფოს შიგნით განვითარებულ ეკონომიკურ-სოციალურ სტაბილურობას, პოლიტიკურ ფონს და მეტწილად, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს, რომლებიც საბოლოო ჯამში, ჰქმნიან ერთგვარ ამინდს სამეწარმეო საზოგადოებების დღის წესრიგის განსაზღვრასა და გრძელვადიანი საქმიანობის გზაზე, მისი ეფექტიანობისა თუ მოგების მიღების კონტექსტში.

დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების საშუალებებსა თუ აღსრულების მექანიზმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახალ გარიგებათა იდენტიფიცირებასა და მათგან სარგებლის მიღების შესაძლებლობის ,,გაზომვის'' კონცეფციურ საკითხებს. როგორც ვიცით, წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ნების გამოვლენა ნამდვილია მაშინ, როდესაც მას ძალუძს სამართლებრივი ურთიერთობის ტრიადის : სამართლებრივი ურთიერთობის **წარმოშობის, შეცვლისა** და **შეწყვეტის** მიმართ პირნათლად მსახურება. ყოველივე აღნიშნული კი აერთიანებს და თან ,,ზომავს'', სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა გონებრივ შესაძლებლობებსა (იურიდიული პირების შემთხვევაში მათი წარმომადგენლებისა თუ ხელმძღვანელი პირების გონებრივ შესაძლებლობებს) და სამართლებრივი ურთიერთობის ფორმათა გამოვლენის კონდიციებს. შესაბამისად, შედარებით მარტივი დასადგენია ნების გამოვლენით, გარიგებათა იდენტიფიცირებით, რამდენად დიდი სარგებლის/მოგების მიღება შეიძლება და რამდენად ეფექტიანი იქნება ის, მაგალითად, სამეწარმეო საზოგადოებათათვის, შორეული პერსპექტივის სამოქმედო გზაზე.

სამეწარმეო სამართლის დოქტრინა მნიშვნელოვნად ამახვილებს ყურადღებას სამეწარმეო საზოგადოებების არსებობის ციკლში, ბიზნეს პარტნიორებთან მიმართებით, სხვადასხვა სახის გარიგებათა როლზე. პრაქტიკაში არსებული პრობლემის ანალიზით გამოაშკარავდა, რომ სამეწარმეო საზოგადოებათათვის, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათათვის, სარგებლის მიღების მიზნებისთვის, გარიგებათა იდენტიფიცირება და მათგან სარგებლის მიღების ,,გაზომვა'' / განჭვრეტა უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სარგებლის მიღების ,,გაზომვა'' შესაძლებელია, თუ გარიგებები:

- ხელს შეუწყობენ ინოვაციას;
- უზრუნველყოფენ სამეწარმეო საქმიანობას ჯეროვანებასა და გაფართოებას;
- განავითარებენ სამეწარმეო საქმიანობისადმი არსებული თეორიული ბაზისების/ცოდნის გაღრმავების პროცესს;
- ხელს შეუწყობენ ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას;
- მნიშვნელოვნად გაზრდიან სტრატეგიული ნაბიჯების განჭვრეტის უნარებსა და მათგან მოგების მიღებას;
- უზრუნველყოფენ საწარმოო ტექნოლოგიების განვითარება, დახვეწას;
- განაპირობებენ ოპერირებად ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მის შენარჩუნებას;

შესაბამისად აღნიშნულისა, სამეწარმეო საზოგადოებასა და სხვა ნებისმიერ კერძო სამართლის სუბიექტთან ან/და ფიზიკურ პირთან (ბიზნეს პარტნიორთან) გარიგებათა დადებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო

[709]შუდრა თ, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სტატია : საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის საგადასახადო ასპექტები; თბილისი. 2010;
აქვე იხ. https://geoeconomics.ge/?p=4296;

კრიტერიუმები, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესები[710] და რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყოფილ იქნას მოგების მიღება.

ახალ გარიგებათა იდენტიფიცირება და მათგან სარგებლის მიღების შესაძლებლობის ,,გაზომვა'', ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, იქნება უალტერნატივო შესაძლებლობა იმისა, რომ სამომავლოდ დადებული გარიგებების თითქმის ყველა შემთხვევიდან სამეწარმეო საზოგადოებამ მიიღოს სათანადო სარგებელი და შეინარჩუნოს მაღალი კონკურენტუნარიანობა სხვა სამეწარმეო საზოგადოებებთან მიმართებით. გარიგებათა იდენტიფიცირება და იმის შეცნობა, რამდენად ეფექტიანი იქნება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ამა თუ იმ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, წინაპირობაა ამასთანავე იმისა, რომ სამეწარმეო საზოგადოებამ დადოს ნაკლებად სარისკო გარიგებანი და იტვირთოს ნაკლებად სარისკო ვალდებულებების შესრულება. გარიგებისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობის ,,გაზომვითა'' და სწორი პროგნოზირებით მცირდება რისკები არასურველი შედეგის დაგომისა და ამასთანავე, იზრდება შანსი იმისა, რომ დროულად იქნას გამოვლენილი საფრხთეები, ხოლო შემდგომში კი გატარებულ იქნას საპრევენციო ღონისძიებანი.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“,2021;
3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 1994;
4. საქართველოს კანონი ,,რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ'', 2020;

ქართულენოვანი ლიტერატურა :

5. ავტორთა კოლექტივი - საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი 1, 2011;
6. ბაქაქური ნ, მარტინ გ, და სხვები, საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო იურისტებისთვის, 2019;
7. ბურდული ი, მახარობლიშვილი გ, და სხვები, საკორპორაციო სამართალი. 2022;
8. გაბისონია ზ. ქართული საერთაშორისო კერძს სამართალი. თბილისი; იურისტების სამყარო; 2016;
9. თოდუა უ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში. 2019;
10. კიკილაშვილი გ. ბიზნეს სამართალი ((შესავალი) სახელმძღვანელო ბიზნეს სამართლის სასწავლო კურსის სტუდენტებისთვის; გამომცემლობა - ,,ბონა კაუზა''; თბილისი; 2023;
11. კრაკმანი რ, არმორი ჯ, დევის პ და სხვები, საკორპორაციო სამართლის ანატომია (შედარებითი და ფუნქციური მიდგომა). მესამე გამოცემა; 2019 ; ფანიაშვილი ლევან, ტივიშვილი დავით - გზამკვლევი - ,,სოციალური საწარმოებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის''. რედაქტორები, GIZ, EU4BUSINESS; 2020;
12. მახარობლიშვილი გ, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი. 2015;
13. მიგრიაული რ, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო, 2021;

[710] საუკეთესო ინტერესები მოიაზრებს: სამეწარმეო საზოგადოების ჯეროვან ფუნქციონირებას, მოგების მიღებაზე ორიენტირებულ სამეწარმეო საქმიანობას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და ა.შ;

14. მიგრიაული რ. ქართული კერძო სამართლის აქტუალური საკითხები (გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვა პუბლიკაციები); მეორე შევსებული გამოცემა; გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო''; 2016;

15. მიგრიაული რ, შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები (შედარებითი ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან) 2004;

16. მიგრიაული რ. ,,სამეწარმეო საზოგადოება : გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (ქართული კერძო სამართლის საკითხები); პირველი გამოცემა; საგამომცემლო სახლი ''ინოვაცია''; 2011;

17. ქოქრაშვილი ქ, სამეწარმეო სამართალი, თბილისი; 2019;

18. შეფერ კ, საზოგადოებათა სამართალი. მთარგმნელი როინ მიგრიაული. თბილისი; 2019;

19. შუდრა თ. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის საგადასახადო ასპექტები. გამოცემლობა ,,თსუ''; 2010;

20. ხატიძე გ. საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები; გამომცემლობა - ,,ბონა კაუზა''; თბილისი; 2022;

21. ჯანხოთელი შ.საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ'' (კითხვები, პასუხები, რეკომენდაციები) 2010;

22. ჭანტურია ლ,თედო ნ, ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონის კომენტარები. თბილისი 2002;

23. ჭანტურია ლ. ბუდული ი. გაწერელია ა. ეგნატაშვილიდ. ზოიძე ბ. მახარობლიშვილი გ. დარჯანია თ; ავტორთა კოლექტივი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები); წიგნი I; მუხ. 1-146; გამომცემლობა GIZ, 2017; USAID; EWMI; თბილისი 2017;

24. ჯუღელი გ, გიგუაშვილი გ, განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით) 2021;

უცხოენოვანი ლიტერატურა

25. A. cahn, David C. donald, Comparative company law; (Cambridge University Press) 2018;

26. Andrew G. PeyW.lee. and Rosemary T. TechnologyandCorporate Law, How in novation Shapes Corporate Activity? 2022;

27. Andrew G. PeyW.lee, Rosemary TeeleLangrof – Technology and Corporate Laq, How innovation Shapes Corporate Activity. John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman - THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? ; 2009;

28. Armen A. and Harold D. Production, informationCosts, andEconomicOrganization, 62 AmericanEconomicReview 777; 1972;

29. Christoph V. William S.Jim S. and David P. 11 – Risk management in corporate law and corporate governance; 05 august 2011;

30. Dr. Dirk Eckhardt, Notar, Bergisch Gladbach; Dr. Marc Hermanns, Notar, Köln - Kölner Handbuch Gesellschaftsrech; VerlagCarl Heymanns Verlag Auflage 4. Auflage 2021;

31. John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman - THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? 2009;

32. Michael j. and William M. Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costand Ownership Structure, 3 JournalofFinancialEconomics 305; 1976;

33. münchener handbuch des gesellschaftsrechts.- münchen: beck bd. 3. Hans-Joachim P, Mayer D. 2001;

34. Stephen P.Robbins, Mary Coutler – Management; 6th edition; Publisher : FisicalBook 1998;

35. Raiser/Veil KapGesR&51 Rn. 16.; GmbHG - Casper&60 Rn. 124 ff;

36. Robert a.g. Monks, Nell Minow - Corporate Governence; Fifth edition; UK 2011;

37. V. Volker Bottien; Hans Gummert und andere - Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts Bd 5: Verein, Stiftung bürgerlichen Rechts Hardcover – 23 Mar. 2016;

სასამართლო გადაწყვეტილება

38. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2025 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/5654-24;

სხვა წყაროები

39. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. თბილისი; 2021; https://info.parliament.ge;

40. განმარტებითი ბარათი „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. იხ. https://info.parliament.ge ;

41. პირველი დირექტივა - აპროქსიმაციის საკითხის რეგულირება; დირექტივის რეკოდიფიცირება-2012/30 EU; O.J (L315) 74.

42. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება; 03.06.2025; საქმე N-B25077786.

მცირე ბიზნესის ფინანსური გამოწვევები საქართველოში
Financial Challenges of Small Business in Georgia

ეკატერინე შაინიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
ელიზა ქარდავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი
Ekaterine Shainidze
Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Economics and Business. Associate Professor
Eliza Kardava
Batumi Shota Rustaveli State University
Student of the Bachelor of Finance program

აბსტრაქტი. მცირე ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. იგი ხელს უწყობს საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად საგადასახადო კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები. ამასთან, ხორციელდება სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტები.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის მხარდამჭერი ღონისძიებებისა, მცირე ბიზნესის წამომადგენლებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია საბანკო სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებითა და საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის მკაცრი მექანიზმით. ამასთან, მნიშვნელოვანი პრობლემაა მცირე მეწარმეებში ფინანსური განათლების ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება საქმიანობის დაგეგმვასა და ეფექტიანად წარმართვაზე. პროფესიონალური ფინანსური (მათ შორის

აღრიცხვისა და საგადასახადო ანგარიშგების) მომსახურებისთვის კი მათ ფინანსური სახსრები არ ჰყოფნით ან არ ემეტებათ, რამდენადაც ვერ აცნობიერებენ მათ წინაშე არსებულ ვალდებულებებს.

ამდენად, საქართველოში მცირე ბიზნესის წარმომადგენლების წინაშე არსებული გამოწვევებია ლიკვიდობის პრობლემები, რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, არასაკმარისი ფინანსური განათლება, ბაზრის ცვლილებებისადმი ადაპტირების შეზღუდული შესაძლებლობა. აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გააძლიეროს მხარდამჭერი მექანიზმები ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, შეღავათიანი ბიზნესსესხების გაცემის წახალისების, ფინანსური განათლების ამაღლების მხარდაჭერის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, გამოწვევები, ფინანსური განათლება, რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

Abstract. The development of small business is a significant cornerstone for the economic growth of any country. It facilitates the formation of a middle class and contributes to overall economic well-being. To support the development of small business in Georgia, preferential taxation regimes have been integrated into tax legislation. Additionally, numerous types of grant projects are being implemented.

Despite various support measures from the state, limited access to financial resources remains an important challenge for small business representatives. This is caused by high interest rates on bank loans and strict mechanisms for determining credit ratings. Furthermore, the lack of financial literacy among small entrepreneurs is a major issue, negatively impacting on business planning and efficient operations. They often lack the funds or are reluctant to allocate them for professional financial services (including accounting and tax reporting), as they do not fully realize the extent of their obligations.

Therefore, the challenges facing small business representatives in Georgia include liquidity problems, restricted access to resources, insufficient financial literacy, and a limited ability to adapt to market changes. To overcome these obstacles, it is crucial for the state to strengthen support mechanisms to increase access to financial resources, encourage the issuance of preferential business loans, and support the enhancement of financial literacy.

Keywords: Small business, challenges, financial literacy, access to resources.

შესავალი

კვლევის აქტუალობა: დღეს მცირე ბიზნესი დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში. ის ზრდის წარმოებას და ქმნის სამუშაო ადგილებს. მცირე ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობას, აგრეთვე, ზრდის კონკურენციას.

სახელმწიფო მცირე ბიზნესის მხარდაჭერით ქმნის შესაძლებლობას გაზარდოს ბიუჯეტის შემოსულობები, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას აამაღლებს და ცხოვრების საერთო დონეს გაზრდის. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, მცირე მეწარმეობის ხელშესაწყობად შემოღებულია შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები, რათა გაკოტრებისა და ბაზრის დატოვების ალბათობა რაც შეიძლება დაბალი იყოს.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აწყდებიან მრავალ ფინანსურ გამოწვევას, რომელიც უკავშირდება ფინანსური რესურსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ვინაიდან კომერციული ბანკები სთავაზობენ სესხის აღებას მაღალი საპროცენტო განაკვეთით და საკრედიტო რეიტინგს განსაზღვრავენ მკაცრი მექანიზმების გამოყენებით.

უმეტესწილად, უარყოფითი შედეგები გამოწვეულია ფინანსური განათლების ნაკლებობით, რაც ამცირებს გადახდისუნარიანი და წარმატებული კომპანიების ხანგრძლივი არსებობის ალბათობას. დღესდღეობით, ქართულ მცირე ბიზნესსექტორს ახასიათებს ლიკვიდობის პრობლემები და ბაზრის შოკების შემდგომ პერიოდთან ადაპტაციის უუნარობა. მოცემული მწვავე გამოწვევების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების მნიშვნელობის ზრდა, სახელმწიფოსგან მხარდაჭერის გაძლიერება საბიუჯეტო და საგადასახადო მეთოდების

გამოყენებითა და კომერციული ბანკების სტიმულირება სესხების უფრო დაბალი პროცენტით გაცემის მიმართულებით.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტია საქართველოს მცირე ბიზნესის სექტორი.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში მცირე ბიზნესის მთავარი ფინანსური გამოწვევები.

კვლევის ამოცანა: კვლევის ამოცანაა შევისწავლოთ ქართულ ბაზარზე მცირე ბიზნესის ფინანსური გამოწვევები და ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს კონკრეტული წინააღმდეგობების წარმოშობა.

მეცნიერული სიახლე: ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს მცირე ბიზნესის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური გამოწვევების ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები დაეხმარება მცირე ბიზნესის წარმომადგენლებსა და დამწყებ მეწარმეებს შეიმუშავონ ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავების უკეთესი სტრატეგია, რათა თავიდან აიცილონ გაკოტრება და ბაზრის იძულებით დატოვება, განავითარონ პირადი ბიზნესი და შესთავაზონ ქართველ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები.

ძირითადი ნაწილი

მცირე ბიზნესი ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია. მოცემული სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ენიჭებათ ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საგადასახადო შეღავათებით, რაც ასტიმულირებს მცირე ბიზნესის, როგორც სექტორის გაფართოებასა და განვითარებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია მცირე ბიზნესის მხარდამჭერი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები: მიკრო ბიზნესის სტატუსი, მცირე ბიზნესის სტატუსი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს მცირე ბიზნესის მხარდაჭერა საბიუჯეტო თუ საგადასახადო მეთოდით, რათა ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი გადახდისუნარიანი კომპანია იყოს სახელმწიფო შემოსულობების სტაბილიზებისა და დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, რაც შეამცირებს უმუშევრობის დონეს, რომელიც საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით (საქსტატი) 2025 წლის მეოთხე კვარტალში 13.3%-ია (საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2025).

საგადასახადო შეღავათის გარდა, საქართველოში არსებობს სახელმწიფო უწყება - "აწარმოე საქართველოში", რომლის მიზანია ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდა, ექსპორტის გაფართოება და ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა. აღნიშნული სახელმწიფო უწყება ქმნის შესაძლებლობას საქართველო ღია ეკონომიკით მოსარგებლე ქვეყანა იყოს და მსოფლიო ბაზარზე გაიტანოს პროდუქცია. მოცემული პროექტი ასტიმულირებს მოქალაქეებს, შექმნან ინოვაციური პროდუქტი და მოიზიდონ ინვესტორები. ამ უწყების დახმარებით შესაძლებელია საკრედიტო გარანტიის მიღება, რათა დაკმაყოფილდეს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები.

საქსტატის მონაცემებით, 2025 წლის მესამე კვარტალში მცირე ბიზნესის შემოსავალმა შეადგინა 11 616.7 მლნ. ლარი, ხოლო დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა - 2072.5 ლარი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025). მოცემულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მცირე ბიზნესსექტორი უზრუნველყოფს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილიზაციას.

საქართველოში მცირე ბიზნესის მთავარ გამოწვევას დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, ვინაიდან სესხის აღებისას ბანკი იყენებს დაკრედიტების მკაცრ მექანიზმებს და აწესებს მაღალ საპროცენტო განაკვეთს, რაც კაპიტალის მოსაზიდად რთულ პირობებს ქმნის. სს "თიბისი ბანკი" ბიზნესსექტორს სთავაზობს ბიზნესსესხის აღებას ეფექტური 14.5%-დან, რაც ამცირებს მოთხოვნას კრედიტზე. სს "საქართველოს ბანკის" შემთხვევაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში 14.4%-დან წარმოადგენს. ამრიგად, მცირე ბიზნესს უწევს, უარი თქვან სასესხო კაპიტალის ბაზრის მეშვეობით კაპიტალის მოზიდვაზე.

ვალუტის კურსის მერყეობა დიდ გავლენას ახდენს ბიზნესის შემოსავლიანობაზე, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ზარალი, ისე მოგება. ეს განპირობებულია ლარის არასტაბილურობით და მაღალი მგრძნობიარობით საგარეო შოკების მიმართ.

დიაგრამა 1. ლარი დოლართან მიმართებაში 1 წლის განმავლობაში.



არსებულ დიაგრამაზე დაყრდნობით ნათელია, რომ ლარი მუდმივად ცვალებადი ვალუტაა, რომელზეც მსოფლიოში მომხდარი მოვლენები გავლენას ახდენს.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია ინფლაციის დონე. ამჟამად, საქართველოში, 2026 წლის მარტის მონაცემებით, ინფლაციის დონე 4.3%-ს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2026), რაც ნორმალური ინფლაციაა, თუმცა რეგულირებას საჭიროებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ია და 4.3% სცენარების მიხედვით პესიმისტურს მიეკუთვნება. შედეგად, ინფლაცია განაპირობებს საქონლის თვითღირებულებისა და სხვა ხარჯების ზრდას, რაც უარყოფითად აისახება წლიურ შემოსავალსა და მოგებაზე.

მორიგ პრობლემას ფინანსური განათლების ნაკლებობა წარმოადგენს, ვინაიდან საჭირო ცოდნის გარეშე რთულია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, რაც გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის საქმიანობაზე. 2021 წელს OECD/INFE-ს ჩატარებული კვლევის მიხედვით და სებ-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, საქართველოში ფინანსური განათლების მაჩვენებელმა მაქსიმალური 17 ქულიდან 10.3 შეადგინა, რაც 60%-ია და სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2021).

სწორედ ეს ფაქტორი ქმნის მცირე ბიზნესსექტორში ხარვეზებს, რადგან უმრავლესობა ვერ იაზრებს, რამდენად მნიშვნელოვანია და საჭირო, სწორად მართონ კომპანიის საქმიანობა ფინანსური თვალსაზრისით და გაიღონ ხარჯები ფინანსური სერვისებისა და ანგარიშგების მოსამზადებლად. მცირე ბიზნესის წარმომადგენელთათვის საქმიანობის ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვა და ანგარიშგება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ხაზგასასმელია, რომ ბიზნესსექტორში მაღალი კონკურენციაა, ვინაიდან მთავარი მისწრაფება გაფართოება და მომხმარებლების მოზიდვაა. საყურადღებოა, რომ მსხვილი კომპანიების დომინირება ბაზარზე ზღუდავს მცირე ბიზნესის გაფართოებას.

ევროკავშირის ქვეყნებში, მცირე ბიზნეს სექტორის ანაზილისას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მომსახურების ხარისხზე, დასაქმებულთა პირობებზე, უფლებებსა და გარემოს დაცვაზე. როცა საქართველოში საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 14-15%-ია, ევროპაში 3-6%-ია, რაც მცირე მეწარმეებს აძლევს სტიმულს შექმნან კომპანიები.

ევროზონაში ვალუტის გაუფასურებისა თუ ძლიერი გამყარების რისკი ქართულ ლართან შედარებით დაბალია, ვინაიდან ევრო გამოირჩევა სტაბილურობით და მსოფლიო ვალუტებს შორის ერთ-ერთი დომინანტია. აქიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საგარეო შოკების მიმართ ნაკლებად მგრძნობიარეა და სანდოობა მის მიმართ გაცილებით მაღალია.

სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის გატარებისას ეხმარება მცირე ბიზნესს ტრანსფერებისა და სუბსიდიების სახით, თუმცა გადასახადებიც შესაბამისია. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ევროპის ქვეყნებში ფინანსური განათლების დონე შედარებით მაღალია.

2021 წელს ვ. გუმენიუკისა და სხვათა თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში მოცემულია, რომ ევროკავშირის დამოკიდებულება მცირე ბიზნესის მიმართ მისაღებია, ვინაიდან მათ მიერ გაწეული დახმარებით ქვეყნები ეკონომიკურ ზრდას განიცდიან, რაც მნიშნელოვანი იყო კოვიდ-19 პანდემიის კრიზისის დაძლევისთვის (Humeniuk და სხვები, 2021).

ევროზონის ქვეყნების წარმატებული სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ იქ ბანკების მრავალფეროვნებაა და მცირე ბიზნესს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც დასტურდება ფრანჩესკო ტრივიერის მიერ ჩატარებული კვლევით 2026 წელს, რისთვისაც მან გამოყენა ჯინი-სიმპსონის ინდექსი (Trivieri, 2026). სწორედ მრავალფეროვნება უზრუნველყოფს დაკრედიტების ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნები გამოირჩევა ფინანსური ინსტიტუტების მრავალფეროვნებით. ისინი გასცემენ სესხებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით პარტნიორი ბანკების მეშვეობით.

2025 წლის მონაცემებით, ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად გამოყო 17.8 მილიარდი ევრო. ძირითადი აქცენტი მწვანე მენეჯმენტის განვითარებაზე, ენერგიის დაზოგვასა და გარემოს დაცვაზე აქვთ. (EIB, 2025).

ევროპის ქვეყნები არ არიან ორიენტირებულნი მხოლოდ ტრადიციულ კრედიტებზე, ისინი ქმნიან ინოვაციურ საბანკო პროდუქტებს. მაგალითად, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ შემოთავაზებულ კატალოგში მცირე ბიზნესისთვის გამოყოფილია ვენჩურული კაპიტალის დაფინანსება (Venture capital funds), რომელიც მხარს უჭერს ტექნოლოგიურ, კლიმატსა და დიგიტალიზაციასთან დაკავშირებულ სექტორებს. სწორედ ამ გზით შესაძლებელია ლიკვიდობის პრობლემის აღმოფხვრა, რისკის შემცირება. (EIB, 2024).

მიუხედავად ზემოთხსენებული დადებითი არგუმენტებისა, ევროპაში მცირე ბიზნესი ხაზს უსვამს მონეტარული პოლიტიკის სიმკაცრეს, რაც სერიოზული ფინანსური გამოწვევაა. მწვანე მენეჯმენტის მხარდაჭერა მზარდ ხარჯებზე მიუთითებს, რაც მოგებას ამცირებს. დემოგრაფიული დაბერება სამუშაო ძალის დეფიციტს იწვევს, თუმცა უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოსთან შედარებით დაბალია - 6.2% (eurostat, 2026). ევროსტატის გამოქვეყნებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის პროცენტული ზრდა შეინიშნება 2020-2025 წლებში (eurostat, 2026).

დასკვნა. არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოდელი მეტად ორიენტირებულია ფორმალურობასა და საპროცენტო განაკვეთების დადგენაზე, როცა ევროპის ქვეყნებში პრიორიტეტი მოსახლეობის კმაყოფილების დონე და დასაქმებულთა პირობებია. მიუხედავად სტრატეგიების განსხვავებისა, ორივე შემთხვევაში არსებობს რიგი ფინანსური გამოწვევები, რომლებიც უმეტესწილად, ფინანსური აქტივების ნაკლებობას უკავშირდება. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების დონის ამაღლება და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გაძლიერება, რაც საქართველოში გაზრდის მცირე ბიზნესის სექტორს, მოიზიდავს მეტ ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორს და განავითარებს ექსპორტის კულტურას.

ამდენად, შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე ბიზნესის მხარდაჭერა გავლენას ახდენს ქვეყნის მდგრადობაზე. საქართველოში, საგადასახადო შეღავათები და მხარდამჭერი პროგრამა (მაგ: "აწარმოე საქართველოში") არასაკმარისია, როცა ქვეყანაში ვალუტის სტაბილურობის, ფინანსური განათლების დეფიციტის და მაღალი საპროცენტო განაკვეთების პრობლემებია.

ევროპული მოდელის გათვალისწინებით, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სესხის მიღების წყაროთა დივერსიფიკაცია და ინოვაციური მიმართულებების მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010. კოოდიფიცირებული ტექსტი, თბილისი.
2. Enterprise Georgia. *საკრედიტო-საგარანტიო სქემა.* https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/საკრედიტო-საგარანტიო-სქემა
3. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). *მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონის კვლევა: ძირითადი მიგნებები.* https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90/%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-nbg.pdf
3. European Central Bank (2026). *Euro area bank interest rate statistics: February 2026.*

https://www.ecb.europa.eu/press/stats/mfi/html/ecb.mir2604~a265e5863d.en.html#:~:text=The%20composite%20cost%2Dof%2Dborrowing,Table%201

4. European Investment Bank (2024). *EIB GROUP PRODUCT CATALOGUE.* https://www.eib.org/files/publications/20240233_eib_product_catalogue_en.pdf

5. European Investment Bank (2025). *SMEs and mid-caps.* https://www.eib.org/en/projects/topics/sme/index

6. Eurostat (2026). *Euro area unemplyment at 6.2%.* https://ec.europa.eu/eurostat/web/products-euro-indicators/w/3-30042026-cp

7. Eurostat (2026). *Proportion of population aged 65 and over.* https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/tps00028/default/table?lang=en

8. Google Finance (2026). *GEL/USD exchange rate.* https://www.google.com/finance/beta/quote/GEL-USD?sa=X&ved=2ahUKEwjvm-Kon5qUAxVaB9sEHWgZJuUQmY0JegQIGRA0&window=1Y&type=area

9. National Statistics Office Of Georgia (2025). *RESULTS OF ACTIVITY OF ENTERPRISES 2025, III QUARTER.* https://www.geostat.ge/media/75538/Activities-of-Enterprises---%28III-Quarter%2C-2025%29.pdf

10. PunAffairs Brussels (2023). *Eurobarometer survey reveals low levels of financial literacy across the EU.* https://www.pubaffairsbruxelles.eu/eu-institution-news/eurobarometer-survey-reveals-low-levels-of-financial-literacy-across-the-eu/

11. Гуменюк, В., Уманців, Ю., Длігач, А., Іванова, Н., & Уманців, Г. (2021). State financial support for small business during the coronavirus crisis in European countries. *Financial and credit activity problems of theory and practice*, *3*(38), 326-332. https://fkd.net.ua/index.php/fkd/article/view/3293/3257

12. Trivieri, F. (2026). Does Banking Diversity Matter for Credit Access? Evidence on SMES in Europe. *Kyklos*. https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/kykl.70043

ახალი ტენდენციები გლობალურ თანამედროვე გამოწვევები
New Trends in Global Contemporary Challenges

თორნიკე ეგიაზაროვი
საბუღალტრო, საგადასახადო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია „როვის“
დამფუძნებელი და დირექტორი
ინოვაციური საგანმანათლებლო პლატფორმა „როვი აკადემიის“
დამფუძნებელი და დირექტორი
Tornike Egiazarovi
Founder & CEO of Rovi, a modern Accounting, Tax, and Business Advisory firm
Founder & CEO and Lecturer at Rovi Academy, an Innovative Educational Platform

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში განხილულია თანამედროვე გლობალური გამოწვევების ახალი ტენდენციები და მათი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებები. XXI საუკუნის პირველი მეოთხედი ხასიათდება გლობალური პრობლემატიკის ხარისხობრივი ტრანსფორმაციით, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიური რევოლუციის აჩქარებით, გეოპოლიტიკური რყევებით, კლიმატის ცვლილების ესკალაციით, პანდემიების რისკების ზრდითა და ციფრული ტრანსფორმაციის ფართომასშტაბიანი გავლენით საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გლობალური გამოწვევების თანამედროვე დინამიკის სისტემური ანალიზი და იმ ახალი ტენდენციების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო განვითარების მომავალ ტრაექტორიას. კვლევაში გამოყენებულია ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიისა და ტექნოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიას.

სტატიაში გამოვლენილია და გაანალიზებულია შემდეგი ძირითადი ტენდენციები: პირველი, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ზემოქმედება შრომის ბაზარზე, ეკონომიკურ უთანასწორობასა და საერთაშორისო კონკურენციაზე; მეორე, გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის ტენდენცია და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე; მესამე, კლიმატის ცვლილების მზარდი ეკონომიკური ხარჯები და მწვანე ენერგეტიკული გარდამავალი ეტაპის დინამიკა; მეოთხე, ციფრული ეკონომიკის რეგულირების გამოწვევები, მონაცემთა მმართველობა და კიბერუსაფრთხოება; მეხუთე, დემოგრაფიული ცვლილებები, ურბანიზაცია და მიგრაციული ნაკადების ახალი დინამიკა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ახასიათებთ მზარდი ურთიერთდაკავშირებულობა და სისტემურობა, რაც განაპირობებს ტრადიციული ეროვნული მართვის მექანიზმების არასაკმარისობას და მოითხოვს მულტილატერალური თანამშრომლობის ახალი ფორმატების ჩამოყალიბებას. სტატიაში წარმოდგენილია ავტორისეული რეკომენდაციები გლობალური მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: გლობალური გამოწვევები, თანამედროვე ტენდენციები, ხელოვნური ინტელექტი, გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია, კლიმატის ცვლილება, ციფრული ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, გლობალური მმართველობა, ეკონომიკური უთანასწორობა, მულტილატერალიზმი

Abstraqti. This paper examines the emerging trends in global contemporary challenges and their economic, social, and political dimensions. The first quarter of the twenty-first century is characterized by a qualitative transformation of the global problem landscape, driven by the acceleration of technological revolution, geopolitical upheavals, the escalation of climate change, the growing risks of pandemics, and the far-reaching impact of digital transformation on societal structures and international relations.

The objective of this study is to conduct a systematic analysis of the contemporary dynamics of global challenges and to identify the emerging trends that are shaping the future trajectory of global development. The research adopts an interdisciplinary approach that integrates methodologies from economics, international relations, sociology, and technology studies.

The paper identifies and analyzes the following key trends: first, the impact of artificial intelligence and automation on labor markets, economic inequality, and international competition; second, the trend toward geopolitical fragmentation and its implications for global economic integration; third, the escalating economic costs of climate change and the dynamics of the green energy transition; fourth, the regulatory challenges of the digital economy, data governance, and cybersecurity; and fifth, demographic shifts, urbanization, and the evolving dynamics of migration flows.

The findings reveal that contemporary global challenges are characterized by increasing interconnectedness and systemic complexity, which renders traditional national governance mechanisms insufficient and necessitates the development of new formats of multilateral cooperation. The paper presents the author's recommendations for improving global governance frameworks in light of these evolving challenges.

Keywords: global challenges, contemporary trends, artificial intelligence, geopolitical fragmentation, climate change, digital economy, sustainable development, global governance, economic inequality, multilateralism.

წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ექსპერტებმა (საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS) [711], საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)[712], მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG)[713]), თავიანთ კვლევებში აღნიშნეს, რომ მსოფლიო ფინანსური ბაზრის განვითარების ფუნქციონირებაში, დღევანდელ პერიოდში ჩამოყალიბდა რამოდენიმე ტენდენცია. აღნიშნული გამოიხატება ცენტრალური კონტრაგენტების გლობალურ ლიკვიდობაში, გადახდის სქემების - „შეიძინე ახლა – გადაიხადე შემდეგ“ - მუშაობის რისკების ზრდაში (რომელიც გაძლიერდა პანდემიის დროს და თანდათან აქტუალური ხდება), აღნიშნულს

[711] https://www.bis.org/index.htm
[712] https://www.imf.org/en/Home
[713] https://www.worldbank.org/ext/en/home

ემატება დამსაქმებლების (მაღალგანვითარებული ქვეყნების) სწრაფვა სამუშაო ძალის დეფიციტის ფონზე შექმნან ე.წ. „შრომითი მარაგები“ (ძირითადად იაფი მუშა ხელის), რაც თავისთავად სამუშაო ძალის დეფიციტს ამწვავებს.

აღნიშნული კვლევებიდან ექსპერტები გამოყოფენ მსოფლიო ფინანსური ეკონომიკის რამოდენიმე „დომინანტ“ ტენდენცია. კერძოდ - გლობალური ფინანსური ლიკვიდურობის ახალი გამოწვევები. უცხოურ ვალუტაში კრედიტების დინამიკა – გლობალური ლიკვიდურობის საკვანძო ელემენტი – გაიარა სამი მკაფიო ფაზა, აღნიშნავენ BIS-ში. პირველი ეტაპი მოიცავს 2003–2009 წლების პერიოდს - 2000-იანი წლების დასაწყისიდან გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე უცხოურ ვალუტაში დაკრედიტება იზრდებოდა ლიბერალური საბანკო რეგულირების და შედარებით „რბილი“ მონეტარული პოლიტიკის ფონზე, იზრდებოდა 10%-დან 24%-მდე წელიწადში. კრიზისის დაწყებამდე ხუთ წელიწადში დოლარში, ევროსა და იენში კრედიტების საერთო მოცულობა გაორმაგდა და მიაღწია 10 ტრილიონ დოლარ. ლიკვიდურობის ბუმი დასრულდა გლობალური ფინანსური კრიზისით, რადგან ეს ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელმაც კრიზისი გამოიწვია.

შემდეგი ფაზა, 2009-2021 წწ, ხასიათდებოდა მთავარი ტენდენციით: ობლიგაციების ბაზრის სასარგებლოდ გადახრით და დოლარებში კრედიტების ზრდით განვითარებადი ეკონომიკების მსესხებლებისთვის. ეს ტენდენციები გამოწვეული იყო პოსტკრიზისული საბანკო რეგულაციების გამკაცრებით, ერთი მხრივ, და დოლარის გაუფასურებით – პოსტკრიზისული აღდგენის სტიმულირების გამო (ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეამცირა განაკვეთი ნულამდე და დაიწყო რაოდენობრივი შერბილების პროგრამა), რამაც შეამცირა ამერიკულ ვალუტაში სესხების ღირებულება და ხელი შეუწყო სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. უცხოურ ვალუტაში კრედიტების მოცულობაში ობლიგაციების წილი გაიზარდა 43%-დან 55%-მდე 2008 წლის პირველი კვარტალიდან 2021 წლის მეორე კვარტალის ბოლომდე, ხოლო განვითარებადი ბაზრებისთვის კრედიტების წილი – 10 პროცენტული პუნქტით, 36%-მდე. ინფლაციის მიმდინარე ზრდამ და მონეტარული გამკაცრების ციკლმა, როგორც ჩანს, ახალი ფაზა დაიწყო.

აშშ-ში განაკვეთები სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ადრე და სწრაფად გაიზარდა, სადაც არსებობს საკვანძო გლობალური ვალუტები, რამაც გამოიწვია დოლარის გაძვირება. ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს რაოდენობრივი შერბილების პროგრამების შეწყვეტა, რითაც გაზარდეს გრძელვადიანი ობლიგაციების შემოსავლები და სავალო დაფინანსება უფრო ძვირი გახადეს. ფინანსური პირობების გამკაცრებამ გაზარდა სესხების ღირებულებაც, ხოლო დოლარის გაძვირებამ შეამცირა ინვესტორებისთვის სტიმული განვითარებადი ბაზრებისკენ მიმართვისთვის, უფრო მაღალი შემოსავლის ძიებაში. შედეგად, უცხოურ ვალუტაში დაკრედიტება (პირველ რიგში გაძვირებულ დოლარში) შემცირდა, ხოლო განვითარებადი ბაზრები განსაკუთრებით მკვეთრ სესხების ხელმისაწვდომობის ვარდნას წააწყდნენ. 2023 წლის შუა პერიოდში, უცხოურ ვალუტაში კრედიტების საერთო მოცულობის გლობალურ მშპ-სთან თანაფარდობა 17%-მდე დაეცა 2021 წლის ბოლოს 20%-დან[714]. ობლიგაციების ბაზრებზე კრედიტის ზრდა 2021 წლის შუა პერიოდიდან ასევე შეჩერდა, თუმცა მისი წილი კვლავ იზრდებოდა, რადგან საბანკო დაკრედიტება შემცირდა. გამკაცრებული დაკრედიტების ეს ახალი ფაზა მდგრადი თუ იქნება, დამოკიდებული იქნება მაკროფინანსურ პირობებზე, აღნიშნავენ BIS-ში.

[714] https://www.worldbank.org/ext/en/home

2024 წლის ტენდენციამ აჩვენა, რომ წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკები მზად არიან მაღალი განაკვეთების შენარჩუნებისთვის ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო გეოპოლიტიკურმა გაურკვევლობამ და ფრაგმენტაციამ შესაძლოა კიდევ უფრო გაამკაცროს საკრედიტო პირობები. ეს ყველაფერი შეიძლება გახდეს „მმაპროვოცირებელი“ ფინანსური სისუსტეებისთვის, რომლებიც დაგროვდა მეორე ფაზის დროს, პირველ რიგში, განვითარებული ქვეყნების გაზრდილი ვალებისთვის[715].

მეორე ტენდენცია, რომელიც „დამახასიათებელია“ შესაძლოა მივიჩნიოთ - „ცენტრალური კონტრაგენტების სისტემური რისკები“ -

ცენტრალური კონტრაგენტები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ მხარეების საკრედიტო რისკებს (ცენტრალური კონტრაგენტების მონაწილეობა რიგ სტანდარტიზებულ დერივატივებთან დაკავშირებულ გარიგებებში ბევრ ქვეყანაში სავალდებულო გახდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ). გარიგებების მონაწილეები ცენტრალურ კონტრაგენტებს აძლევენ დაბალრისკიან და ლიკვიდურ აქტივებს, როგორც გირაოს, სანამ გარიგება დარეგულირდება. შედეგად, ცენტრალური კონტრაგენტები აკონტროლებენ დიდ ლიკვიდურ აქტივებს: BIS აფასებს ამ მოცულობას 1.5 ტრილიონ დოლარად – რაც ტოლფასია გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების 11 %-ს, ამასთან, 80% ამ მოცულობის კონცენტრირებულია რვა გლობალურ კონგლომერატში (BIS-ის ნიმუშში სულ 31 ცენტრალური კონტრაგენტია[716]). ძირითადად ეს აქტივებია სახელმწიფო ობლიგაციები და ნაღდი ფული (ცენტრალური კონტრაგენტები მათ ათავსებენ ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე, რეპო ოპერაციებში ან საბანკო დეპოზიტებში). ასეთი ბუფერუყლი მარაგები ცენტრალურ კონტრაგენტებს აძლევს საშუალებას, თავი აარიდონ წამგებიან გარიგებებს და უზრუნველყონ ფინანსური სტაბილურობა, რისკებისგან დივერსიფიკაციის სახით – მაგრამ ამავდროულად ისინი ზრდიან ლიკვიდურობის რისკს ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის.

ფინანსური „რყევების“პერიოდში ცენტრალური კონტრაგენტები შეიძლება მეტ აქტივს ათავსებდნენ ცენტრალური ბანკების დეპოზიტებზე რეპო ოპერაციების ნაცვლად, რითაც ისინი ლიკვიდობას გამოდიან ბაზრიდან სწორედ მაშინ, როდესაც მასზე განსაკუთრებული მოთხოვნა არსებობს. მაგალითად, 2024 წლის დასაწყისში აშშ-ში ცენტრალური კონტრაგენტების დეპოზიტები ფედერალურ სარეზერვო სისტემაში გაორმაგდა, რის შედეგადაც მათი წილი საერთო გირაოებში გაიზარდა 19 %-დან 35%-მდე[717]. ამასთან, თუ თვითონ ცენტრალური კონტრაგენტები მოულოდნელად გაზრდიან გირაოს მოთხოვნებს, ამან შესაზლოა გამოიწვიოს დერივატივების გარიგებების მონაწილეების მხრიდან ლევერიჯის შემცირების ტალღა – ანუ აქტივების გაყიდვები, რაც ზრდის ბაზრის ვოლანტურობას და იწვევს გირაოს მოთხოვნების კიდევ უფრო ზრდას. შესაძლოა შეიქმნას სიტუაცია, რომელიც ჰგავდა 2022 წელს ბრიტანეთის სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარზე კრიზისს, გამოწვეულს საპენსიო ფონდების სირთულეებით.

კრებსითი როლი სახელმწიფო ობლიგაციების გარკვეულ გარიგებებში (როგორც გირაოსა და როგორც საბაზო აქტივის) ქმნის კიდევ ერთ სპეციფიკურ რისკს: სახელმწიფო ობლიგაციების ბაზრის გაზრდილი ვოლანტურობის ზრდის გირაოს მოთხოვნას იმავე დროს, როცა ამ ობლიგაციების ფასები იკლებს და უკვე შეტანილი გირაოს ღირებულება მცირდება – ეს ზრდის „ნაღდი“ გირაოს მიმზიდველობას და ქმნის დამატებით ზეწოლას სახელმწიფო სესხის ფასებზე.

[715] https://drive.google.com/file/d/1C14tJWDOSUd_BImIiFrrd1NEhTxV96vt/view
[716] https://www.bis.org/index.htm
[717] https://www.worldbank.org/ext/en/home

ასეთი სიტუაცია მოხდა ირლანდიის სუვერენული კრიზისის დროს 2010–2011 წლებში – რის შედეგადაც 2010 წლის ბოლოსიდან 2011 წლის შუა პერიოდამდე ირლანდიურ და გერმანულ სახელმწიფო ობლიგაციებს შორის შემოსავლის სპრედები გაიზარდა 40-დან თითქმის 120 საბაზისო პუნქტამდე.

მესამე ტენდენცია - ფულის ბაზრის ფონდების მსესხებლები, ფულის ბაზრის ფონდები – ურთიერთდახმარების საინვესტიციო ფონდები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ მაღალი ლიკვიდობის მქონე მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში. გლობალური აქტივების მოცულობა, რომელიც ფულის ბაზრის ფონდების მმართველობაშია, 2024 წლის ბოლოს მიაღწია რეკორდულ 12 ტრილიონ დოლარს, და ეს ფონდები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოკლევადიანი დაფინანსების ბაზრებზე. მათი როლი იზრდება მონეტარული გამკაცრების პერიოდში, და ეს ფაქტი, მზარდი აქტივების მოცულობასთან ერთად, მოითხოვს გაგებას, ვინ სესხულობს ამ ფონდებიდან[718]. ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ ფინანსური პირობების გამკაცრების პერიოდში კრედიტებზე მოთხოვნა გადადის არაბანკურ ფინანსურ ორგანიზაციებზე, რომლებიც ამსუბუქებენ საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობის შემცირებას ბაზარზე; და, თავის მხრივ, თავად არაბანკური ფინანსური ორგანიზაციებისთვის დაფინანსების წყაროებად გამოდიან ურთიერთდახმარების საინვესტიციო ფონდები. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ასე არ არის, და ამას ადასტურებენ BIS-ის ექსპერტების ანალიზი. ფულის ბაზრის ფონდების ძირითადი მსესხებლები არიან მთავრობები და ბანკები.

როგორც აშშ-ს მაგალითი მოწმობს, როდესაც მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთები იზრდება, ფულის ბაზრის ფონდების მმართველობაში არსებული აქტივები იზრდება 0.34 დოლარით ყოველი 1 დოლარიანი საბანკო დეპოზიტების შემცირების გათვალისწინებით; ამ ზრდის დაახლოებით 40% მიემართება ბანკების დაკრედიტებაზე, ხოლო მხოლოდ 4% – არაბანკურ შუამავლებზე. დარჩენილი, ანუ დამატებითი აქტივების უმეტესი ნაწილი, ფონდები ძირითადად ინვესტირებენ სახელმწიფო ობლიგაციებში, ანუ აფინანსებენ მთავრობებს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ არაბანკურ შუამავლებს შეუძლიათ ფინანსური პირობების გამკაცრების პერიოდში ნაწილობრივ შეამცირონ საბანკო კრედიტების შემცირების ეფექტი, ეს არ ხდება ფულის ბაზრის ფონდების ხარჯზე, რაც საჭიროებს ამ მონეტარული გადაცემის არხის გავლენის გადახედვას. ამასთანავე, ბანკებისთვის ამ ფონდებზე წვდომა შეიძლება შეამსუბუქოს დეპოზიტების სტაბილურობასთან დაკავშირებული პრობლემები (მაგალითად, მსგავსი 2023 წლის გაზაფხულზე) მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ციკლების დროს.

მეოთხე ტენდენცია - „შეიძინე ახლა – გადაიხადე შემდეგ“ - მომხმარებლებს აძლევს საშუალებას, თავიანთი ხარჯები რამდენიმე გადახდად დაყონ. ასეთი სქემები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ონლაინ სავაჭრო პლატფორმებზე, თუმცა ისინი ვრცელდება ოფლაინშიც, QR-კოდებით გადახდების პოპულარობის ზრდასთან ერთად. ეს სქემები მთელ მსოფლიოში პოპულარული ხდება: 2019-დან 2023 წლამდე განვადებით გაყიდვების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 50 მილიარდი დოლარიდან 360 მილიარდ დოლარზე მეტამდე[719]. აღნიშნული სერვისის ხარჯები ეკისრებათ გამყიდველებს, რომლებიც სარგებლობენ გადავადებული გადახდის პროვაიდერის მომსახურებით და იხდიან დამატებით პროცენტულ ხარჯებს – რომლებიც უფრო მაღალია, ვიდრე ონლაინ-ბანკინგისა და საკრედიტო ბარათებით გადახდების

[718] https://www.bis.org/index.htm

[719] https://docs.google.com/gview?url=https://issmsai.wordpress.com/wp-content/uploads/2025/03/2025-1-6.docx&embedded=true

შემთხვევაში. სამაგიეროდ, ეს ხარჯები საშუალებას აძლევს გამყიდველებს მოიზიდონ მყიდველები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება დაუყოვნებლივ გადაიხადონ, გააფართოონ მომხმარებელთა ბაზა და „გადაუცვალონ“ საკრედიტო რისკი პლატფორმას: „საკრედიტო ხაზს“ მომხმარებლისთვის ამტკიცებს პროვაიდერი, ისვე უხდის გამყიდველს საქონლის ღირებულებას, ხოლო შემდეგ მყიდველი ნაწილ-ნაწილ უხდის მას. ეს, როგორც წესი, უპროცენტო გადახდებია, თუ მომხმარებელი არ დააგვიანებს, სხვა შემთხვევაში ერიცხება პროცენტი ან ჯარიმები. სერვისის პროვაიდერი, რომელიც ამ სქემას უზრუნველყოფს, ჩვეულებრივ, ფინანსდება კერძო კაპიტალით, ძირითადად ვენჩურული ფონდებით. სქემა ხშირად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საკრედიტო ისტორია ან სტაბილური შემოსავალი, და ასეთი გადახდების მონაცემები, როგორც წესი, არ იგზავნება საკრედიტო ბიუროებში.

ამ სქემების მომხმარებლები, როგორც წესი მიეკუთვნება მაღალი საკრედიტო რისკის ჯგუფს, რომლთათვისაც დამახასიათებელია შედარებით დაბალი ზოგადი და ფინანსური განათლების დონე, დაბალი შემოსავალი. მას ასევე აქვს მეტი არსებული დავალიანება და უფრო მაღალი ვადაგადაცილებული ვალები. განვადებით გადახდებზე დაგვიანებები უფრო ხშირია, ვიდრე საკრედიტო ბარათებით გადახდების შემთხვევაში, აშშ-ის მონაცემებით. ფედერალური სარეზერვო სისტემის კვლევამ აჩვენა, რომ 56% მომხმარებლებისთვის ეს სქემა იყო „ერთადერთი გზა, რომ შეეძინათ საჭირო ნივთი“. ეს სქემა უფრო ფართოდაა გავრცელებული ქვეყნებში, სადაც განვითარებულია ონლაინ-ვაჭრობა, უფრო მაღალია ინფლაცია (რომელიც ამცირებს მოსახლეობის შემოსავლის მსყიდველობით უნარს) და უფრო მაღალია მოსახლეობის დავალიანების დონე (რაც ზღუდავს ტრადიციულ სესხებზე წვდომას), ასევე, სადაც ნაკლებად ეფექტიანია საბანკო სისტემა და სუსტი ფინანსური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. მსგავსი სქემების სწრაფი გავრცელება შეიძლება პრობლემად იქცეს. პირველი, საკრედიტო რისკების დაგროვების გამო; მეორე – მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხების გამო (მათ შორის, გაუაზრებელი ზედმეტი დავალიანების საფრთხე). მაღალი ვადაგადაცილებების გათვალისწინებით, ასეთი პლატფორმების მდგრადი ზრდა მოითხოვს მათ კავშირზე მონიტორინგს დანარჩენ ფინანსურ სისტემასთან.

აბსტრაქტი.. ნაშრომი იკვლევს ხელოვნური ინტელექტის (AI) როლს ტალანტების მართვაში და მის გავლენას ორგანიზაციულ ეფექტიანობასა და თანამშრომელთა განვითარებაზე. თანამედროვე ორგანიზაციები სულ უფრო აქტიურად იყენებენ AI ტექნოლოგიებს ტალანტების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და განვითარების პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით. კვლევა ეფუძნება ლიტერატურის ანალიზსა და თანამედროვე პრაქტიკების მიმოხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა AI-ის უპირატესობებს, როგორიცაა მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ეფექტიანობის ზრდა და პერსონალიზებული განვითარება, ასევე გამოწვევებს, მათ შორის ალგორითმულ მიკერძოებასა და ეთიკურ საკითხებს. ნაშრომი ასკვნის, რომ AI წარმოადგენს ტალანტების მართვის ტრანსფორმაციულ ინსტრუმენტს, თუმცა მისი ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს გამჭვირვალობას, რეგულაციას და ადამიანური კონტროლის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; ტალანტების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; თანამშრომელთა განვითარების სტრატეგიები; მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება.

Abstract. This paper examines the role of artificial intelligence (AI) in talent management and its impact on organizational performance and employee development. Modern organizations increasingly utilize AI technologies to optimize talent identification, evaluation, and development processes. The study is based on a review of academic literature and contemporary practices. It highlights key advantages of AI, including data-driven decision-making, increased efficiency, and personalized development, as well as challenges such as algorithmic bias and ethical concerns. The paper concludes that AI represents a transformative tool in talent management; however, its effective implementation requires transparency, regulation, and continuous human oversight.

Keywords: Artificial Intelligence; Talent Management; Human Resource Management (HRM); Employee Development Strategies; Data-Driven Decision-Making.

შესავალი

თანამედროვე ორგანიზაციებში ტალანტების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ფუნქციას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობასა და ორგანიზაციულ წარმატებაზე. გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, კომპანიები ცდილობენ არა მხოლოდ საუკეთესო თანამშრომლების მოზიდვას, არამედ მათი შენარჩუნებისა და განვითარების ეფექტიან მართვას.

ამ პროცესში ხელოვნური ინტელექტი (AI) მნიშვნელოვან როლს იძენს. ტრადიციული HR მიდგომებისგან განსხვავებით, AI საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს გამოიყენონ დიდი მოცულობის მონაცემები და მიიღონ უფრო ზუსტი და ობიექტური გადაწყვეტილებები.ნაშრომის მიზანია გააანალიზოს AI-ის გავლენა ტალანტების მართვაზე და შეაფასოს მისი სტრატეგიული მნიშვნელობა თანამედროვე ორგანიზაციებში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ ტალანტების მართვა გადადის მონაცემებზე დაფუძნებულ მოდელზე. Kaplan და Haenlein (2019) აღნიშნავენ, რომ AI ზრდის HR პროცესების ეფექტიანობას და აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღებას.ამასთან, Bogen და Rieke (2018) ხაზს უსვამენ ალგორითმული მიკერძოების პრობლემას, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს თანამშრომელთა შერჩევასა და შეფასებაზე.ლიტერატურა ასევე მიუთითებს, რომ AI-ის

წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია ტექნოლოგიასა და ადამიანურ ფაქტორს შორის ბალანსზე.

3. ტალანტების მართვა თანამედროვე ორგანიზაციებში

ტალანტების მართვა თანამედროვე ორგანიზაციებში წარმოადგენს სტრატეგიულ პროცესს, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას. ორგანიზაციები increasingly აცნობიერებენ, რომ ადამიანური კაპიტალი არის მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, რაც პირდაპირ აისახება კონკურენტუნარიანობასა და ორგანიზაციულ წარმატებაზე. შესაბამისად, ტალანტების მართვა აღარ განიხილება მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციად, არამედ იქცა მენეჯმენტის ცენტრალურ ელემენტად.

აღნიშნული პროცესი მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას, მათ შორის ტალანტების იდენტიფიკაციას, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, შესრულების შეფასებასა და კადრების შენარჩუნებას. თითოეული ეს კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში. ეფექტიანი მართვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ კვალიფიციური კადრების მოზიდვას, არამედ მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას.

თანამედროვე გარემოში ტალანტების მართვა სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემებსა და ანალიტიკურ მიდგომებს. ორგანიზაციები ცდილობენ გამოიყენონ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, რათა უკეთ გაიგონ თანამშრომელთა საჭიროებები, გაზარდონ მათი ჩართულობა და შეამცირონ კადრების გადინების რისკი. ამგვარი მიდგომა ქმნის საფუძველს უფრო მოქნილი, ადაპტირებული და შედეგზე ორიენტირებული HR სისტემებისთვის.

4. AI-ის გამოყენება ტალანტების მართვაში

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტალანტების იდენტიფიკაციის პროცესში, რადგან იგი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს სწრაფად და ეფექტიანად დაამუშაონ დიდი მოცულობის მონაცემები. AI სისტემები აანალიზებენ კანდიდატების პროფესიულ გამოცდილებას, უნარებსა და ქცევით მახასიათებლებს, რის შედეგადაც შესაძლებელია უფრო ზუსტი და ობიექტური შერჩევის განხორციელება. ამგვარი მიდგომა ამცირებს სუბიექტურობას და ზრდის სწორი კანდიდატების გამოვლენის ალბათობას.

გარდა ამისა, AI აქტიურად გამოიყენება თანამშრომელთა განვითარების მიმართულებით. თანამედროვე სისტემები ქმნიან პერსონალიზებულ სასწავლო გეგმებს, რომლებიც მორგებულია ინდივიდუალური თანამშრომლების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ასეთი მიდგომა ზრდის თანამშრომელთა კმაყოფილებას და ხელს უწყობს მათი პროფესიული უნარების განვითარებას, რაც საბოლოოდ აისახება ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება შესრულების შეფასების პროცესშიც. AI-ზე დაფუძნებული ანალიტიკური ინსტრუმენტები საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეაფასონ თანამშრომელთა მუშაობა მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ამცირებს სუბიექტურ შეფასებებს და უზრუნველყოფს უფრო სამართლიან და გამჭვირვალე სისტემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ორგანიზაციებში, სადაც ობიექტური შეფასება კრიტიკულ როლს ასრულებს.

AI ასევე გამოიყენება კადრების შენარჩუნების პროცესში, სადაც პროგნოზული ანალიზის საშუალებით შესაძლებელია თანამშრომელთა ქცევის წინასწარ განსაზღვრა. მაგალითად, სისტემები აანალიზებენ თანამშრომელთა კმაყოფილების დონეს, სამუშაო გარემოს და სხვა ფაქტორებს, რის საფუძველზეც ორგანიზაციებს შეუძლიათ დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები და თავიდან აიცილონ მნიშვნელოვანი კადრების დაკარგვა.

5. უპირატესობები

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტალანტების მართვაში მნიშვნელოვნად ზრდის ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანობას. AI სისტემები ავტომატიზაციას უკეთებს ისეთ ამოცანებს, რომლებიც ადრე დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვდა, რის შედეგადაც HR სპეციალისტებს შეუძლიათ კონცენტრირდნენ უფრო სტრატეგიულ და მნიშვნელოვან საქმიანობებზე. ეს არა მხოლოდ ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს, არამედ ზრდის სამუშაო პროცესების სიჩქარესა და ხარისხს.

გარდა ეფექტიანობისა, AI უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების უფრო მაღალ სიზუსტეს. მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და სუბიექტურ შეფასებებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტალანტების შერჩევისა და განვითარების პროცესში. შედეგად, ორგანიზაციები იღებენ უფრო ინფორმირებულ და ობიექტურ გადაწყვეტილებებს, რაც ზრდის მათი საქმიანობის შედეგიანობას.

AI ასევე ქმნის პერსონალიზაციის მაღალ დონეს თანამშრომელთა მართვაში. თანამედროვე სისტემები აანალიზებენ ინდივიდუალური თანამშრომლების

უნარებს, საჭიროებებსა და კარიერულ მიზნებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია მორგებული განვითარების პროგრამების შექმნა. ეს მიდგომა ზრდის თანამშრომელთა მოტივაციასა და კმაყოფილებას, რაც დადებითად აისახება მათი მუშაობის ხარისხზე.

გარდა ამისა, AI ხელს უწყობს სტრატეგიული დაგეგმვის გაუმჯობესებას. ორგანიზაციებს შეუძლიათ პროგნოზული ანალიზის გამოყენებით წინასწარ განსაზღვრონ ტალანტების მოთხოვნა, შეაფასონ ბაზრის ტენდენციები და დაგეგმონ ადამიანური რესურსების მართვა გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს აძლიერებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას და ამზადებს მას მომავალ გამოწვევებისთვის.

6. რისკები და გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ტალანტების მართვაში, სარგებელთან ერთად, სხვადასხვა ტიპის გამოწვევებსაც წარმოშობს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ალგორითმული მიკერძოება, რომელიც ხშირად უკავშირდება იმ მონაცემთა ხარისხს, რომელთა საფუძველზეც სისტემა მუშაობს. თუ საწყისი მონაცემები შეიცავს არათანაბარ ან დისკრიმინაციულ ტენდენციებს, ტექნოლოგია ამ ტენდენციებს არა მხოლოდ ასახავს, არამედ შესაძლოა გააძლიეროს კიდეც, რაც უარყოფითად აისახება შერჩევისა და შეფასების პროცესებზე.

ასევე საყურადღებოა ეთიკური ასპექტები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ავტომატიზირებული გადაწყვეტილებების მიღებას. ტექნოლოგიური სისტემების ფართო გამოყენება ხშირად ამცირებს ადამიანის უშუალო მონაწილეობას, რის გამოც რთულდება პასუხისმგებლობის განსაზღვრა კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე. ასეთ პირობებში აუცილებელია მკაფიო რეგულაციების არსებობა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესები.

დამატებით გამოწვევად გვევლინება მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა. ადამიანური რესურსების მართვა მოითხოვს დიდი მოცულობის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას, რაც ზრდის ინფორმაციის გაჟონვისა და არასწორი გამოყენების რისკებს. ამ მიზეზით, ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ უსაფრთხოების სისტემების გაუმჯობესებას და მონაცემთა მართვის მკაცრ სტანდარტებს.

7. ანალიზი

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ტალანტების მართვაში წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდატეხას, რომელიც ცვლის ორგანიზაციული მართვის მიდგომებს და ახალ სტანდარტებს

ამკვიდრებს. ტექნოლოგიის გამოყენება საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს უფრო ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები, გააუმჯობესონ ანალიტიკური შესაძლებლობები და მიიღონ უფრო საფუძვლიანი გადაწყვეტილებები. თუმცა, ამ პროცესის სრულად ავტომატიზაცია არ არის მიზანშეწონილი.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტიანი შედეგები მიიღწევა მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და ადამიანური გამოცდილება ერთმანეთთან არის დაბალანსებული. ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ ანალიზსა და რეკომენდაციების გენერირებას, ხოლო ადამიანური ფაქტორი უზრუნველყოფს კონტექსტის გააზრებას და საბოლოო გადაწყვეტილების სიზუსტეს. ეს მიდგომა ამცირებს შეცდომების ალბათობას და ზრდის პროცესის სანდოობას.

ამგვარად, ხელოვნური ინტელექტის წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიის ხარისხზე, არამედ მის სწორ ინტეგრაციაზე ორგანიზაციულ სტრუქტურაში. სწორედ ამ ბალანსის დაცვა განსაზღვრავს, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს ორგანიზაცია AI-ის პოტენციალის სრულად გამოყენებას.AI წარმოადგენს ტალანტების მართვის ტრანსფორმაციულ ინსტრუმენტს, თუმცა მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია სწორ გამოყენებაზე. ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა და ეთიკური სტანდარტები.

კვლევა აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტალანტების მართვის ტრანსფორმაციაში და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ორგანიზაციული გადაწყვეტილებების ხარისხსა და ეფექტიანობას. AI-ის გამოყენება უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს, ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს და ქმნის თანამშრომელთა განვითარების უფრო პერსონალიზებულ შესაძლებლობებს. შედეგად, ორგანიზაციები იღებენ უფრო ზუსტ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და გრძელვადიან წარმატებას. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან, მათ შორის ალგორითმულ მიკერძოებასთან, ეთიკურ საკითხებთან და მონაცემთა დაცვის პრობლემებთან. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხდებოდეს მკაფიო რეგულაციებისა და

კონტროლის პირობებში. საბოლოოდ, AI უნდა განიხილებოდეს როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც ავსებს ადამიანურ გადაწყვეტილებებს და არა როგორც მათი სრული ჩანაცვლება, რადგან სწორედ ამ ბალანსზეა დამოკიდებული მისი ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი გამოყენება.

ლიტერატურის სია

1. Kaplan, A., & Haenlein, M. (2019). Artificial Intelligence in Management
2. Bogen, M., & Rieke, A. (2018). AI and Hiring Bias
3. McKinsey Global Institute (2020)
4. OECD (2021) AI Report

მოტივაცია როგორც ეკონომიკური ცვლადი: Gen Z თაობაზე კვლევის ანალიზი
Motivation as an Economic Variable: An Analysis of Research on Generation Z

ლევან ფეიქრიშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Levan Peikrishvili
IakobGogebashvili Telavi State University
PhD Candidate

აბსტრაქტი. Gen Z თაობის (1997–2012 წლებში დაბადებულთა) ინტეგრაცია შრომის ბაზარზე ახალ გამოწვევებს აყენებს. წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს Gen Z თაობის შრომითი განწყობები, გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც კომპანიაში დარჩენის გრძელვადიან ლოიალურობაზე ახდენს გავლენას. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ ემპირიულ მონაცემებს (N=1150) და მოიცავს სამ ლოგისტიკურ რეგრესიულ მოდელს, რომლებიც ასახავს პროფესიის ჩამოყალიბებას, პირადი მიზნების ფორმირებასა და ორგანიზაციულ ლოიალურობას. შედეგები ადასტურებს, რომ ჰიგიენური ფაქტორები ქმნის შრომითი კმაყოფილებისათვის აუცილებელ საფუძველს, თუმცა, სტაბილური მოტივაცია და გრძელვადიანი ლოიალურობა ყალიბდება სამართლიანობის განცდის, კარიერული განვითარების შესაძლებლობისა და მენეჯმენტის მედიატორული როლის მეშვეობით. ამის გარდა, კვლევის მიზანია შრომითი მოტივაცია განხილულ იქნას არა მხოლოდ, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა, არამედ როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ცვლადი .

საკვანძო სიტყვები: შრომითი კმაყოფილება, მოტივატორი ფაქტორები, Gen Z თაობა, შრომითი განწყობა, ლოგისტიკური რეგრესიული მოდელი.

Abstract. The integration of Generation Z (born between 1997 and 2012) into the labor market presents novel challenges. This study aims to examine the work attitudes of Generation Z and identify the factors influencing long-term organizational loyalty. The research is based on quantitative empirical data (N=1150) and employs three logistic regression models that illustrate professional identity formation, the development of personal goals, and organizational loyalty. The findings confirm that while hygiene factors establish the necessary foundation for job satisfaction, sustainable motivation and long-term loyalty are shaped by perceived fairness, career development opportunities, and the mediating role of management. Furthermore, the study intends to analyze work motivation not merely as a psychological state but as a variable of economic efficiency.

Keywords: job satisfaction, motivator factors, Generation Z, work attitudes, logistic regression model.**შესავალი**

შრომის ბაზარზე თაობათა ცვლილება მნიშვნელოვნად ცვლის დასაქმებულთა ქცევის მოდელებსა და მოტივაციურ მექანიზმებს. მაშინ როდესაც თანამედროვე შრომითი ბაზარი გამოირჩევა დინამიკურობით, საინტერესოა Gen Z თაობის რეაქციები, რომლებიც ყალიბდება შრომით ურთიერთობებში. ტრადიციული კლასიკური თეორიების მიხედვით შრომითი კმაყოფილების ფაქტორებად მიჩნეულია ჰერცბერგის ჰიგიენური ფაქტორები, როგორიცაა ხელფასი, განვითარების შესაძლებლობა, პერსონალური დამოკიდებულებები, ინტერპერსონალური კონტროლი, კომპანიის შიდა ადმინისტრაციული პოლიტიკა, შრომითი პირობები, პირადი ცხოვრება, ინტერპერსონალური კონტროლი, სტაბილური სამსახური. ამ ფაქტორების შესწავლა კვლავ აქტუალურია, თუმცა, გრძელვადიან ლოიალურობასთან დაკავშირებით ორგანიზაციულ ქცევაზე მათი გავლენა შეზღუდულია.

ამ კონტექსტში აქტუალური ხდება პასუხის მოძებნა კითხვაზე: რა ფაქტორები განაპირობებს შრომითი კმაყოფილებას, სტაბილურ მოტივაციასა და კომპანიისადმი გრძელვადიან ერთგულებას.

კვლევის მიზანი და ჰიპოთეზები

კვლევის მიზანია Gen Z თაობის შრომითი განწყობების ემპირიული ანალიზი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს მათ მიერ პროფესიების შერჩევის, პირადი მიზნების ფორმირებისა და ორგანიზაციაში დასარჩენად გრძელვადიან გადაწყვეტილების მისაღებად განზრახვას.

კვლევა ეფუძნება შემდეგ ჰიპოთეზებს:

*H*1: ჰიგიენური ფაქტორები (ანაზღაურება, სტიმულები, შრომითი გარემო, კოლეგიალური ურთიერთობები, სოციალური გარანტიები) ქმნიან დასაქმებულთა კმაყოფილებისათვის აუცილებელ საფუძველს, თუმცა, მათი გავლენა გრძელვადიან ორგანიზაციულ ლოიალურობასა და კომპანიაში დარჩენის ალბათობაზე მკვეთრად შეზღუდულია.

*H*2: კომპანიაში უნდა არსებობდეს საკმარისი კმაყოფილება იმისათვის, რომ დასაქმებულებმა გაიზიარონ კომპანიის წინაშე არსებული პრობლემები და ჩაერთონ მენეჯმეტის მიერ განსაზღვრულ სამოტივაციო პოლიტიკაში.

*H*3: დარგში განვითარებას აგრძელებენ მუშაკები, რომელთაც კმაყოფილება გააჩნიათ.

ლიტერატურული მიმოხილვა

Schroth (2019), აჩვენებს, რომ Gen Z სამუშაო გარემოში ხაზს უსვამს მკაფიო მიზნებს, პოზიტიურ მენეჯერულ დამოკიდებულებას, უწყვეტ უკუკავშირსა და პროგრესის ხედვას. ავტორი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ანაზღაურება/ბენეფიტები ვერ ქმნის ჩართულობას, თუ არ არსებობს მართვის ხარისხი და მოლოდინების მართვა.

Twenge და კოლეგები (2010), ფართო დროში-გაჭრილ მონაცემებზე აჩვენებენ, რომ თაობებში იცვლება ექსტრინზიკული (ფული, სტატუსი) და ლაიფსტაილ-ორიენტირებული ღირებულებები და ეს ცვლილებები ხშირად აიხსნება არა მხოლოდ „თაობით“, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით. მათი შედეგები ხშირად გამოიყენება იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ ანაზღაურება აუცილებელია, მაგრამ ის არ არის საკმარისი შინაარსიანი შრომითი გამოცდილებისა და ერთგულებისთვის.

Costanza და კოლეგების (2012), მეტაანალიზი (ჯამური N≈20,000) აჩვენებს, რომ თაობებს შორის განსხვავებები ისეთ ინდიკატორებში, როგორიცაა სამუშაო კმაყოფილება, ორგანიზაციული ერთგულება და წასვლის განზრახვა, ზოგადად მცირე ზომისაა. ავტორები პრაქტიკულად გვაფრთხილებენ „გენერაციული იარლიყების“ გადაჭარბებისგან.

Maloni, Hiatt & Campbell (2019), აჩვენებენ, რომ Gen Z თაობას (მათი კვლევა ბიზნეს-სტუდენტებზეა) განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიაჩნია უნარების განვითარება, პროფესიული ზრდის გზა და სტაბილურობა ანუ „კარიერული არქიტექტურა“ უფრო ძლიერია, ვიდრე მხოლოდ საწყისი ანაზღაურება.

Rudolph & Zacher (2020), (Journal of Vocational Behavior) ამტკიცებენ, რომ ბევრ შემთხვევაში თაობითი ახსნა ზედაპირულია; კვლევა უნდა გადავიდეს ცხოვრების ციკლის/კარიერული განვითარების ჩარჩოებზე, სადაც უფრო ზუსტად იზომება: რას ელოდება დასაქმებული, რას იღებს, და როგორ ყალიბდება ერთგულება/მობილობა.

(Pózner და კოლეგები) (2025), (Journal of Career Development) თემატური მიმოხილვით აერთიანებენ მიგნებებს, რომ Gen Z ხშირად მოითხოვს: შეგნებულ შრომას პროფესიულ განვითარებას, სწრაფი/გამჭვირვალე კარიერული ტრაექტორიას, მობილობის შესაძლებლობას და ამ პირობებში იზრდება პასუხისმგებლობა, ხოლო ასეთის არქონისას იზრდება სამსახურის დატოვების ალბათობა.

(Frederick Herzberg და სხვა) 1959, **ორი ფაქტორის თეორიის** მიხედვით, ჰიგიენური ფაქტორები (ანაზღაურება, სამუშაო პირობები, ადმინისტრაციული პოლიტიკა,

ინტერპერსონალური ურთიერთობები) აუცილებელია უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად, თუმცა, ისინი არ ქმნიან სტაბილურ მოტივაციას. მოტივატორი ფაქტორები - მიღწევები, პასუხისმგებლობა, განვითარება და თვითრეალიზაცია განსაზღვრავს შრომის შინაარსობრივ ღირებულებას და გრძელვადიან ჩართულობას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; კვლევაში მონაწილეობდა N=1150 (Gen Z) რესპონდენტი. ასევე, ჩატარდა დამატებითი დარგობრივი გამოკვლევა (N=127 – მევენახეები). კვლევა ეფუძნება სამ ლოგისტიკურ და ერთ OLS მოდელს. მონაცემების დამუშავება განხორციელდა RStudio (v.2025.05.0+496) პროგრამის საშუალებით.

კვლევის პროცესში განხორციელდა შემდეგი ეტაპები:

1. შეფასდა **შრომითი კმაყოფილების ფაქტორების გავლენა:**
2. ა) პროფესიის არჩევანზე;

ბ) პირადი მიზნების ფორმირებაზე;

გ) კომპანიისადმი გრძელვადიან ლოიალურობაზე.

3. ეკონომეტრიკული ანალიზის ფარგლებში შემუშავდა OLS **მოდელი,** რომელიც შრომით მოტივაციას განიხილავს როგორც ეკონომიკურ ცვლადს. დამატებით შემოწმდა აგრომეურნეობის სექტორი (კახელი მევენახეები), რომელიც შერჩეულ იქნა მაღალი შრომითი ინტენსივობისა და სეზონური პირობების გამო, რათა შეფასებულიყო Gen Z თაობის რეაქცია ფიზიკურ დატვირთვებზე.

4. **ლოგისტიკური და წრფიული მოდელების სანდოობის** უზრუნველსაყოფად ჩატარდა მულტიკოლინიარობისა და სტანდარტული შეცდომების დიაგნოსტიკა, რის შედეგადაც დარღვევები არ დაფიქსირდა.

კვლევის შედეგები

კვლევაში გამოვიყენეთ მოდელი $N1(log - odds)$: შრომითი კმაყოფილების ფაქტორების გავლენა პროფესიის ჩამოყალიბებაზე. ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები - პროფესიის არჩევანი

ფაქტორი	β	p
სამართლიანი ანაზღაურება (Yes)	0.81	< 0.001
უმაღლესი განათლების მნიშვნელობა	0.20	0.012
კომუნიკაბელურობა	0.24	0.005
მენეჯერებთან ურთიერთობის კმაყოფილება	-0.20	0.032
კომპანიაში დარჩენის გეგმა (2 წელი)	0.45	0.018

წყარო : შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

შედეგებმა გვიჩვენა, რომ პროფესიის არჩევანზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სამართლიანი ანაზღაურების განცდა (P<0.001), მაშინ როდესაც მხოლოდ ანაზღაურებით კმაყოფილება, როგორც რაოდენობრივი მახასიათებელი, სტატისტიკურად უმნიშვნელო გამოდგა ($P = 0.205$). აღნიშნული შედეგი მიუთითებს Gen Z თაობის მიერ ანაზღაურების მოცულობისა და სამართლიანობის განცდის მკაფიო გამიჯვნაზე.

მოდელი N2 ($log - odds$): შრომითი კმაყოფილების ფაქტორების გავლენა პირადი მიზნების ჩამოყალიბებაზე (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები – პირადი მიზნები

ფაქტორი	β	p
მაღალი ანაზღაურება > კომფორტი	0.47	$P < 0.029$
კარიერული განვითარების შესაძლებლობა	0.47	0.029
შესაფერისი შრომითი გარემო	0.72	< 0.001
კოლეგიალური ურთიერთობები	0.32	< 0.001
ანაზღაურებით მაყოფილება	0.30	< 0.001
ურთიერთობა ენეჯერებთან	0.46	< 0.001
მენეჯმენტისადმი პატივისცემა	0.35	< 0.05

წყარო : შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

შრომითი კმაყოფილების ჰიგიენური ფაქტორები დასაქმებულის პირადი მიზნების ჩამოყალიბებაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არიან ($P < 0.05$). ეს იმაზე მიუთითებს, რომ კმაყოფილ დასაქმებულებისათვის მიზნების ჩამოყალიბის ალბათობა იზრდება.

მოდელი N 3 ($log - odds$): შრომითი კმაყოფილების ფაქტორების გავლენა გრძელვადიან ლოიალურობაზე (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3. ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები – კომპანიაში დარჩენა (2 წელი)

ფაქტორი	β	p
სამართლიანი ანაზღაურება	0.77	0.001
კარიერული განვითარების შესაძლებლობა	1.71	< 0.001
ასაკი 21–30	-1.18	0.005
ასაკი 16–21	-1.01	0.028
ბაკალავრის ხარისხი	-1.05	0.007
კომუნიკაბელურობა	-0.28	0.011

წყარო : შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

გრძელვადიანი ლოიალურობის ძალიან ძლიერი განმაპირობებელი ფაქტორია კარიერული განვითარების შესაძლებლობა ($P < 0.001$). ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სამართლიანი ანაზღაურება ($P = 0.001$). რაც შეეხება ასაკობრივი და საგანმანათლებლო ფაქტორებს, ისინი ამცირებს ორგანიზაციაში დარჩენის ალბათობას, რაც ასახავს შრომით ურთიერთობებში Gen Z თაობის კრიტიკულ დამოკიდებულებებს, მაღალ მობილობასა და ალტერნატივების მუდმივ ძიებას.

ლოგისტიკურ რეგრესიებზე ემპერიული კვლევითი შედეგები ადასტურებს, რომ ჰიგიენური ფაქტორები ფუნქციონირებს როგორც აუცილებელი წინაპირობა შრომითი კმაყოფილებისთვის, თუმცა, ისინი ავტომატურად ვერ გარდაიქმნება სტაბილურ მოტივაციად ან ლოიალურობად, რომლის მისაღწევად გადამწყვეტ როლს ასრულებს სამართლიანობის აღქმა, კარიერული

პერსპექტივა და მენეჯმენტის, როგორც მედიატორული ფუნქცია, რომელიც კმაყოფილებას გარდაქმნის მიზნობრივ და ლოიალურ ქცევად (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. რამდენად სავარაუდოა, რომ 2-3 წელიწადში ისევ ამჟამინდელ კომპანიაში დარჩებით?

წყარო: აგებულია ავტორის მიერ რაოდენობრივი კვლევითი შედეგების მიხედვით Canva-ს პროგრამით

გამოკითხვის შედეგებით აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი ალბათობით აპირებს კომპანიაში დარჩენას. მაშინ როდესაც მნიშვნელოვანი ნაწილისთვის აღნიშნული ალბათობა მკვეთრად მცირდება.

მოდელი *N* 4 (*OLS*) – ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მევენახეთა კვლევა *N* 127

$$y = \beta_0 + \delta_1 D_1 + \beta_1 x_1 + \delta_2 D_2 + \beta_2 x_2 + \delta_3 D_1 x_1 + u,$$

სადაც D_1 კმაყოფილების აღმნიშვნელი ფიქტიური ცვლადი:

$$D_1 = \begin{cases} 1 \\ 0 \end{cases}$$ 1 -- კმაყოფილი, 0 - უკმაყოფილო;

D_2 პერიოდის აღმნიშვნელი ფიქტიური ცვლადი

$$D_2 = \begin{cases} 1 \\ 0 \end{cases}$$ 1- პირველი ნახევარი, 0 - მეორე ნახევარი;

x_1 - გამოცდილება (სტაჟი);

x_2 - ასაკობრივი ჯგუფი < 30 წელი;

$D_1 x_1$ - კმაყოფილებისა და გამოცდილების ურთიერთქმედების ცვლადი.

OLS ინტერპრეტაცია:

```
Call:
lm(formula = day_productivity ~ dummy_satisfaction + experience +
    dummy_satisfaction * experience + day_period + under_thirty,
    data = data)

Residuals:
     Min       1Q   Median       3Q      Max
-1.00411 -0.11541 -0.03069  0.15934  0.58576

Coefficients:
                           Estimate Std. Error t value Pr(>|t|)
(Intercept)                2.024530   0.049180  41.166  < 2e-16 ***
dummy_satisfaction        -0.063221   0.068423  -0.924    0.356
experience                 0.001214   0.003229   0.376    0.707
day_period                 2.555132   0.045562  56.080  < 2e-16 ***
under_thirty              -0.780408   0.061131 -12.766  < 2e-16 ***
dummy_satisfaction:experience  0.017261   0.004094   4.216 3.49e-05 ***
---
Signif. codes:  0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1

Residual standard error: 0.2491 on 248 degrees of freedom
Multiple R-squared:  0.9687,    Adjusted R-squared:  0.968
F-statistic:  1533 on 5 and 248 DF,  p-value: < 2.2e-16
```

$\beta_0 = 2,0245$ გამოსახავს მეორე ნახევარში უკმაყოფილო სუბიექტების (ამ შემთხვევაში $D_2 = 0,\ D_1 = 0$), საშუალო მწარმოებლურობის მნიშვნელობას, სხვა თანაბარ პირობებში;

$(\beta_0 + \delta_1) = (2,0245 - 0,0632) = 1,9613$) გამოსახავს მეორე ნახევარში კმაყოფილი სუბიექტების მწარმოებლურობის საშუალო მნიშნელობას (ამ შემთხვევაში $D_2 = 0,\ D_1 = 1$), სხვა თანაბარ პირობებში. მაშასადამე, $\delta_1 = -0,0632$ გვიჩვენებს რამდენით განსხვავდება მეორე ნახევარში კმაყოფილთა მწარმოებლურობა უკმაყოფილოთა მწარმოებლურობისგან. როგორც ვხედავთ, მეორე ნახევარში კმაყოფილების ეფექტი უარყოფითია, თუმცა, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის;

$(\beta_0 + \delta_2) = (2,0245 + 2,5551) = 4,5796$ გამოსახავს პირველ ნახევარში უკმაყოფილოთა მწარმოებლურობის საშუალო მნიშვნელობას (ამ შემთხვევაში $D_2 = 1,\ D_1 = 0$), სხვა თანაბარ პირობებში. მაშასადამე, $\delta_2 = 2,5551$ გვიჩვენებს რემდენით განსხვავდება პირველი ნახევრის უკმაყოფილო სუბიექტების მწარმოებლურობა მეორე ნახევრის უკმაყოფილოთა მწარმოებლურობისგან. როგორც ვხედავთ, პირველი პერიოდის ეფექტი (და არა კმაყოფილების ეფექტია!) უკმაყოფილო სუბიექტებისათვის დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია;

$(\beta_0 + \delta_1 + \delta_2) = (2,0245 - 0,0632 + 2,5551) = 4,5164$ გამოსახავს პირველ ნახევარში კმაყოფილთა მწარმოებლურობის საშუალო მნიშვნელობას (ამ შემთხვევაში $D_2 = 1,\ D_1 = 1$), სხვა თანაბარ პირობებში. მაშასადამე, $(\delta_1 + \delta_2) = (-0,0632 + 2,5551) = 2,4919$ გვიჩვენებს რამდენით განსხვავდება პირველი ნახევრის კმაყოფილი სუბიექტების მწარმოებლურობა მეორე ნახევრის უკმაყოფილო სუბიექტების მწარმოებლურობისგან (კმაყოფილებისა და პერიოდის ეფექტი), რომლის მნიშვნელობაც შეადგენს β_0 -ს. როგორც ვხედავთ, ეს ეფექტი ნაკლებია პირველი პერიოდის ეფექტზე, $\delta_2 = 2,5551$-ზე;

$\delta_3 = 0,0173$-კმაყოფილებისა და გამოცდილების ურთიერთქმედების ცვლადის კოეფიციენტი - დადებითია, სტატისტკურად მნიშვნელოვანია და გვიჩვენებს, რომ კმაყოფილება ხელს უწყობს გამოცდილი მუშაკების მწარმოებლურობის ზრდას.

β_2 = -0.78 - ასაკობრივი ჯგუფი <30 სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ნაკლები შრომითი მწარმოებლურობით გამოირჩევიან .

დასკვნა *N* 1- რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევითი შედეგები აჩვენებს, რომ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი ალბათობით გეგმავს კომპანიაში დარჩენას. აღნიშნული დასკვნა მიუთითებს იმაზე, რომ დაგეგმილი და ეფექტური მენეჯმენტი ქმნის რეალურ შესაძლებლობას შეამციროს კადრების გადინების რისკი.

დასკვნა N 2 - $log - odds$ მოდელების კვლევის შედეგები

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ შრომითი კმაყოფილების ფაქტორები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია Gen Z თაობის პროფესიული და პირადი მიზნების ფორმირებაზე. ეს ნიშნავს, რომ ის კომპონენტები, რომლებიც ტრადიციულად განიხილება როგორც „ჰიგიენური“ (ანაზღაურება, შრომითი გარემო, კოლეგიალობა, მენეჯმენტთან ურთიერთობა, სოციალური გარანტიები) მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ შრომით კმაყოფილებაზე, არამედ მნიშვნელოვანია თვითრეალიზაციისა და მიზნობრივი ორიენტაციის ფორმირებაში. ამასთან, კვლევამ მკაფიოდ გამოკვეთა მენეჯმენტის როლი:

- მენეჯერებთან ურთიერთობის ხარისხი და მენეჯმენტისადმი პატივისცემა არ არის მხოლოდ სიმბოლური ფაქტორი იგი ფუნქციონირებს როგორც მედიატორი, რომელიც შრომით კმაყოფილებას გარდაქმნის ლოიალურობასა და მოტივირებულ ქცევად;
- მენეჯმენტის გარეშე ჰიგიენური ფაქტორები რჩება მოკლევადიანი ეფექტის მატარებლად და ავტომატურად ვერ გადადის სტაბილურ მოტივაციაში;

განსაკუთრებით საყურადღებოა მიგნება, რომლის მიხედვითაც Gen Z მიჯნავს ანაზღაურების მოცულობასა და სამართლიანობის განცდას: ანაზღაურების რაოდენობა ხშირად სტატისტიკურად უმნიშვნელო ცვლადს წარმოადგენს, მაშინ როდესაც სამართლიანობის აღქმა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი განმაპირობებელი ფაქტორია პროფესიული გადაწყვეტილებებისა და ლოიალურობისთვის;

კვლევის შედეგები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ჰიპოთეზებს და აყალიბებს მნიშვნელოვან დასკვნას:

- $H(1)$: შრომითი კმაყოფილების ჰიგიენური ფაქტორები (ანაზღაურება, სამუშაო გარემო, კოლეგიალობა და სოციალური გარანტიები) არ ქმნის სტაბილური ხასიათის მოტივაციას მწარმოებლურობის გასაზრდელად;
- $H(2)$: კომპანიაში უნდა არსებობდეს საკმარისი კმაყოფილება იმისათვის, რომ დასაქმებულებმა გაიზიარონ კომპანიის წინაშე არსებული პრობლემები და ჩაერთონ მენეჯმეტის მიერ განსაზღვრულ სამოტივაციო პოლიტიკაში.

ასევე დასტურდება შრომითი კმაყოფილების ფაქტორთა ჩამონათვალი, რომელებიც ასოცირდება, მოკლე და გრძელვადიანი პერიოდის კმაყოფილების ეფექტთან.

მოკლევადიან პერიოდში ასოცირებული ფაქტორებია:

- შესაფერისი შრომითი გარემო;
- კოლეგიალური ურთიერთობები;
- მენეჯმენტთან თავსებადობა;
- ანაზღაურება;
- სოციალური გარანტიები.

გრძელვადიან პერიოდში ასოცირებული ფაქტორებია:

- სამართლიანი ანაზღაურება;
- განათლების შესაძლებლობა;
- კარიერული განვითარების პერსპექტივა.

Gen Z თაობისთვის შრომითი კმაყოფილება აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი სტაბილური მოტივაციისა და მწარმოებლურობის გასაზრდელად.

ჰიგიენური ფაქტორები ქმნის ფუნქციონალურ საფუძველს უზრუნველყოფს კმაყოფილებას, მიზნების ფორმირებას და კარიერული გადაწყვეტილებებისათვის შესაძლებლობებს, თუმცა გრძელვადიანი ერთგულება და მდგრადი მოტივაცია ყალიბდება, როდესაც მენეჯმენტი ორიენტირებულია დასაქმებულს შეუქმნას:

- კარიერულ განვითარების პერსპექტივა;
- თვითრეალიზაციის შესაძლებლობა;
- პირადი მიზნების მხარდაჭერა.

ამრიგად, კვლევა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ორგანიზაციებისთვის Gen Z თაობასთან მუშაობისას კრიტიკულია კმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკიდან ღირებულებით და მენეჯმენტზე დაფუძნებულ მოტივაციურ მოდელზე გადასვლა. ეს დასკვნა არა მხოლოდ ემპირიულად გამყარებულია, არამედ წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუციას შრომითი მოტივაციისა და ორგანიზაციული ქცევის თანამედროვე საერთაშორისო დისკურსში.

დასკვნა $N3$ $-$ OLS მოდელის კვლევითი შედეგები ადასტურებს $H3$: ჰიპოთეზას.

$H3$: დარგში განვითარებას აგრძელებენ მუშაკები, რომელთაც კმაყოფილება გააჩნიათ.

ამრიგად, კვლევამ ცხადყო, რომ Gen Z თაობის შრომით ქცევებზე ჰიგიენური ფაქტორები უზრუნველყოფს მხოლოდ საწყის კმაყოფილებას და არ ახდენს სტაბილურ ლოიალურობაზე გადამწყვეტ გავლენას. გრძელვადიან გადაწყვეტილებებს განსაზღვრავს სამართლიანობის აღქმა, პიროვნული ზრდის, კარიერული განვითარების შესაძლებლობა და მენეჯმენტთან პოზიტიური ურთიერთობა.

დამატებით, ეკონომეტრიკულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შრომითი მოტივაცია შესაძლებელია განხილულ იყოს როგორც ეკონომიკური ცვლადი, კმაყოფილებისა და გამოცდილების ინტერაქცია ზრდის შრომით მწარმოებლურობას. Gen Z თაობასთან ეფექტიანი თანამშრომლობისთვის აუცილებელია ჰიგიენური პირობებიდან გადაინაცვლოს **განვითარებასა და სამართლიანობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებზე**, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციას, ჩართულობასა და კომპანიისადმი გრძელვადიან ერთგულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Schroth, H. (2019). *Are You Ready for Gen Z in the Workplace?* California Management Review.ლინკი: https://doi.org/10.1177/0008125619841006

2. Maloni, M., Hiatt, M. S., & Campbell, S. (2019). *Understanding the work values of Gen Z business students.* The International Journal of Management Education.ლინკი: https://doi.org/10.1016/j.ijme.2019.100320

3. Costanza, D. P., Badger, J. M., Fraser, R. L., Severt, J. B., & Gade, P. A. **(2012).** *Generational Differences in Work-Related Attitudes: A Meta-analysis.* Journal of Business and Psychology. DOI: 10.1007/s10869-012-9259-4

4. Rauvola, R. S., Rudolph, C. W., & Zacher, H. (2019). *Generationalism: Problems and implications.* Organizational Dynamics. DOI: 10.1016/j.orgdyn.2018.05.006

5. Rudolph, C. W., Rauvola, R. S., Costanza, D. P., & Zacher, H. (2021). *Debunking Myths… Generational Differences…* Journal of Business and Psychology. DOI: 10.1007/s10869-020-09715-2

6. Pózner, B. M., et al. (2025). *Expectations, motivation and commitment of Generation Z …* Journal of Career Development.ლინკი: https://doi.org/10.1177/01672533251339602

7. Herzberg, F., Mausner, B., & Snyderman, B. B. (1959). The motivation to work. John Wiley & Sons.

8. **Hobbs, M., Klachky, E., & Cooper, M. (2020).** Job satisfaction assessments of agricultural workers help employers improve the work environment and reduce turnover. *California Agriculture, 74*(1), 30–39.
DOI: 10.3733/ca.2020a0002 ლინკი: https://doi.org/10.3733/ca.2020a0002

9. **Maican, S. Ş., Muntean, A. C., Paştiu, C. A., Stępień, S., Polcyn, J., Dobra, I. B., Dârja, M., & Moisă, C. O. (2021).** Motivational Factors, Job Satisfaction, and Economic Performance in Romanian Small Farms. *Sustainability, 13*(11), 5832.
DOI: 10.3390/su13115832 ლინკი: https://doi.org/10.3390/su13115832

10. **Herrera Sabillón, B., Gerster-Bentaya, M., & Knierim, A. (2022).** Measuring farmers' well-being: Influence of farm-level factors on satisfaction with work and quality of life. *Journal of Agricultural Economics, 73*(2), 452–471.
DOI: 10.1111/1477-9552.12457 ლინკი: https://doi.org/10.1111/1477-9552.12457

11. **Gallardo, R. K., Gutiérrez-Li, A., Luckstead, J., Nayga Jr., R. M., Sallato, B., & Yang, W. (2024).** H-2A workers' preferences for job attributes: Evidence from an experiment. *Journal of the Agricultural and Applied Economics Association.*
DOI: 10.1002/jaa2.137 ლინკი: https://doi.org/10.1002/jaa2.137

12. **Yaman, S., & Kilic, M. (2023).** Seasonal agricultural workers' personal well-being and preventive behaviors about Covid-19 in Turkey. *BMC Public Health, 23*, 102.
DOI: 10.1186/s12889-023-15024-z ლინკი: https://doi.org/10.1186/s12889-023-15024-z

Strategic Human Resource Management as a Determinant of Organizational Effectiveness

Megi Gogniashvili
Georgian National University SEU
Master of Education Administration
Nino Gabitashvili
Georgian National University SEU
Specialist of The Quality Enhancement Department

Abstract. This paper examines the role of Strategic Human Resource Management (SHRM) as a critical determinant of organizational effectiveness. In the contemporary business environment, characterized by rapid technological change, global competition, and evolving workforce demographics, the strategic alignment of human resource practices with organizational objectives has become a fundamental source of competitive advantage. The study provides a comprehensive analysis of the theoretical foundations of SHRM, explores the key SHRM practices that drive organizational effectiveness — including strategic recruitment and selection, performance management, employee development, compensation strategy, and organizational culture — and examines the mechanisms through which these practices influence organizational outcomes. Drawing on the resource-based view (RBV), the behavioral perspective, and the ability-motivation-opportunity (AMO) framework, the paper argues that SHRM enhances organizational effectiveness by building human capital, fostering employee engagement, and creating adaptive organizational capabilities. The study also addresses the challenges of SHRM implementation, including resistance to change, measurement difficulties, and the need for contextual adaptation. The paper concludes with recommendations for practitioners and researchers regarding the integration of SHRM into organizational strategy for sustainable competitive advantage.

Keywords: strategic human resource management, organizational effectiveness, human capital, competitive advantage, employee engagement, performance management, AMO framework, resource-based view.

1. Introduction

The management of human resources has undergone a profound transformation over the past several decades, evolving from a primarily administrative and personnel management function to a strategic partner in organizational decision-making. This evolution reflects a fundamental shift in understanding: the recognition that an organization's people — their knowledge, skills, abilities, motivation, and creativity — represent its most valuable and inimitable resource.

Strategic Human Resource Management (SHRM) refers to the pattern of planned human resource deployments and activities intended to enable an organization to achieve its strategic objectives (Wright and McMahan, 1992). Unlike traditional human resource management, which focuses on operational activities such as payroll, record-keeping, and compliance, SHRM is concerned with the alignment of HR practices with the organization's mission, vision, and strategic goals, and with the long-term development of human capital as a source of sustainable competitive advantage.

The importance of SHRM as a determinant of organizational effectiveness is supported by a substantial body of empirical evidence. Studies consistently demonstrate that organizations with well-articulated and effectively implemented SHRM practices exhibit superior financial performance, higher productivity, lower turnover, greater innovation capacity, and enhanced adaptability to environmental changes (Huselid, 1995; Delery and Doty, 1996; Becker and Huselid, 2006).

This paper aims to: (1) examine the theoretical foundations of SHRM; (2) identify the key SHRM practices that drive organizational effectiveness; (3) analyze the mechanisms through which SHRM influences organizational outcomes; (4) address the challenges of SHRM implementation; and (5) provide recommendations for practitioners and researchers.

2. Literature Review

2.1. Evolution of SHRM

The evolution of human resource management can be broadly characterized through three distinct phases. The first phase, spanning from the late nineteenth century through the mid-twentieth century, was dominated by personnel management — a primarily administrative function focused on hiring, record-keeping, wage administration, and compliance with labor regulations. The second phase, emerging in the 1960s and 1970s, witnessed the transition from personnel management to human resource management, reflecting a broader recognition of employees as valuable resources rather than mere factors of production. The third phase, beginning in the 1980s and gaining momentum through the 1990s and 2000s, is characterized by the emergence of SHRM — the integration of HR practices with strategic management at the highest organizational levels (Boxall and Purcell, 2016).

2.2. Theoretical Foundations

The theoretical foundations of SHRM draw on several major perspectives:

Resource-Based View (RBV). Barney (1991) argued that sustained competitive advantage derives from resources that are valuable, rare, inimitable, and non-substitutable (VRIN). Human resources meet all four criteria: they create value through organizational contributions, they are rare due to the uniqueness of individual talent and organizational context, they are inimitable because of path dependency, social complexity, and causal ambiguity, and they are non-substitutable because technology cannot fully replicate human creativity, judgment, and relational capabilities. The RBV positions SHRM as a primary mechanism for building and leveraging these strategic resources.

Behavioral Perspective. Schuler and Jackson (1987) proposed that different business strategies (innovation, cost reduction, quality enhancement) require different employee role behaviors, and that HR practices should be designed to elicit the specific behaviors needed to support the chosen strategy. This perspective emphasizes the role of SHRM in shaping the behavioral repertoire of the workforce.

AMO Framework. Appelbaum et al. (2000) developed the Ability-Motivation-Opportunity (AMO) framework, which posits that organizational performance is a function of employees' abilities (skills and knowledge), motivation (incentives and commitment), and opportunity to contribute (participative mechanisms and autonomy). SHRM practices that enhance all three components simultaneously are expected to produce the greatest impact on organizational effectiveness.

Universalistic Perspective. Pfeffer (1998) identified a set of "best practices" in HR — including employment security, selective hiring, self-managed teams, high compensation contingent on performance, extensive training, reduction of status differentials, and information sharing — that are argued to be universally beneficial regardless of organizational context or strategy.

Contingency Perspective. In contrast to the universalistic approach, contingency theorists argue that the effectiveness of HR practices depends on their fit with organizational strategy, structure, industry, and environmental conditions (Miles and Snow, 1984). This perspective emphasizes the importance of alignment — both vertical (between HR practices and organizational strategy) and horizontal (among different HR practices).

3. Key SHRM Practices and Organizational Effectiveness

3.1. Strategic Recruitment and Selection

Recruitment and selection represent the gateway through which organizations acquire human capital. SHRM approaches to recruitment and selection go beyond filling immediate vacancies to building a talent pipeline aligned with long-term strategic needs. Key elements include:

Strategic workforce planning — forecasting future talent requirements based on organizational strategy, demographic trends, and technological developments;

Employer branding — cultivating a distinctive organizational identity that attracts high-quality candidates aligned with organizational values and culture;

Competency-based selection — using structured interviews, assessment centers, and psychometric instruments to identify candidates whose competencies align with strategic role requirements;

Diversity and inclusion — ensuring that recruitment processes attract diverse talent pools, enhancing cognitive diversity and innovation potential.

Research consistently demonstrates that organizations with rigorous, strategic selection processes achieve higher quality of hire, lower early turnover, and superior long-term performance (Schmidt and Hunter, 1998).

3.2. Training and Development

Employee training and development constitute a central mechanism for building human capital and organizational capability. SHRM approaches to training and development include:

Needs-based training design — aligning training programs with identified competency gaps and strategic priorities;

Continuous learning culture — fostering organizational norms that value ongoing learning, knowledge sharing, and professional growth;

Leadership development — systematic preparation of future leaders through mentoring, coaching, rotational assignments, and executive education;

Knowledge management — capturing, codifying, and disseminating organizational knowledge to prevent loss due to turnover and retirement.

The relationship between training investment and organizational performance has been well documented. Bartel (2000) found that firms with formal training programs experienced significantly higher productivity growth compared to those without such programs. Moreover, organizational investment in employee development enhances retention by signaling commitment and creating reciprocal obligations.

3.3. Performance Management

Performance management encompasses the processes by which organizations define, measure, evaluate, and improve employee performance. Effective SHRM-aligned performance management systems are characterized by:

Strategic alignment — individual and team performance goals are cascaded from organizational strategic objectives, ensuring that every employee's efforts contribute to the broader organizational mission;

Continuous feedback — a shift from annual performance appraisals to ongoing performance dialogues, coaching, and real-time feedback;

Multi-source evaluation — the use of 360-degree feedback incorporating input from supervisors, peers, subordinates, and external stakeholders;

Differentiation — clear differentiation between high, moderate, and low performers, with corresponding implications for rewards, development, and career progression.

Research by Aguinis et al. (2011) demonstrated that organizations with effective performance management systems outperform their peers on key financial metrics, including return on assets and return on equity.

3.4. Compensation and Reward Strategy

Compensation strategy represents a powerful lever for aligning employee behavior with organizational objectives. SHRM approaches to compensation include:

Strategic pay differentiation — allocating compensation premiums to roles that are most critical to strategy execution;

Performance-based pay — linking a meaningful portion of compensation to individual, team, and organizational performance outcomes;

Total rewards — designing comprehensive reward packages that encompass not only base pay and bonuses, but also benefits, work-life balance, career development opportunities, recognition, and meaningful work;

Internal equity and external competitiveness — balancing the need for fair internal pay structures with competitive market positioning.

Gerhart and Fang (2014) found that organizations adopting strategically aligned compensation systems achieved significantly higher productivity and financial performance than those with generic pay structures.

3.5. Employee Engagement and Organizational Culture

Employee engagement — the degree to which employees are emotionally invested in and committed to their work and organization — has emerged as one of the most powerful predictors of organizational effectiveness. SHRM contributes to engagement through:

Meaningful work design — creating jobs that provide autonomy, variety, significance, and feedback (Hackman and Oldham, 1976);

Voice mechanisms — ensuring that employees have channels to express ideas, concerns, and feedback;

Trust and transparency — building a culture of openness where information is shared freely and leaders act with integrity;

Psychological safety — creating an environment where employees feel safe to take risks, make mistakes, and challenge the status quo (Edmondson, 1999).

Gallup's meta-analytic research has consistently found that business units with high employee engagement achieve 21% higher profitability, 17% higher productivity, 10% higher customer loyalty, and 41% lower absenteeism compared to those with low engagement.

4. Mechanisms Linking SHRM to Organizational Effectiveness

4.1. Human Capital Enhancement

SHRM practices enhance organizational effectiveness by building and developing human capital — the knowledge, skills, abilities, and other characteristics (KSAOs) of the workforce. Strategic recruitment attracts high-quality talent, training and development programs build capabilities over time, and retention strategies preserve accumulated human capital. The resulting human capital advantage is difficult for competitors to replicate, as it is embedded in organizational routines, relationships, and culture.

4.2. Behavioral Alignment

SHRM practices shape employee behavior in ways that support strategic objectives. Compensation systems direct attention toward strategic priorities, performance management clarifies expectations, and training programs build the specific competencies needed for strategy execution. When HR practices are internally consistent and aligned with strategy, they send clear, coherent signals about what the organization values and rewards, reducing role ambiguity and increasing behavioral alignment.

4.3. Social and Organizational Capital

Beyond individual human capital, SHRM practices contribute to social capital (the network of relationships among employees) and organizational capital (systems, processes, and knowledge repositories). Team-based work structures, collaborative technologies, knowledge management systems, and organizational culture development initiatives build relational and structural assets that enhance collective effectiveness far beyond what individual talent alone could achieve.

4.4. Adaptive Capability

In volatile and uncertain environments, organizational effectiveness increasingly depends on adaptive capability — the ability to sense environmental changes, seize opportunities, and reconfigure resources. SHRM practices such as continuous learning, cross-functional development, flexible job design, and innovation incentives build the organizational agility required to navigate dynamic competitive landscapes.

5. Challenges in SHRM Implementation

Despite the compelling evidence linking SHRM to organizational effectiveness, the implementation of strategic HR practices faces several significant challenges:

Resistance to change. Moving from an administrative to a strategic HR function requires fundamental changes in mindset, roles, and processes. Line managers, HR professionals, and senior leaders may resist these changes due to unfamiliarity, perceived threats, or competing priorities.

Measurement difficulties. The impact of HR practices on organizational outcomes is often indirect, delayed, and difficult to isolate from other causal factors. Establishing clear metrics and demonstrating ROI for HR investments remains a persistent challenge (Becker and Huselid, 2006).

Line manager capability. The effectiveness of SHRM depends heavily on line managers who serve as the primary implementers of HR practices in their daily interactions with employees. When line managers lack the skills, motivation, or time to execute HR practices effectively, the strategic intent of SHRM is undermined.

Contextual adaptation. SHRM practices that are effective in one organizational context may not be effective in another. Factors such as industry, organizational life cycle, national culture, labor market conditions, and regulatory environment all influence the appropriateness and effectiveness of specific HR configurations.

Short-term orientation. Organizations under financial pressure may prioritize short-term cost reduction over long-term human capital development, undermining the strategic investments necessary for sustained effectiveness.

6. Discussion and Implications

The evidence reviewed in this paper supports the conclusion that SHRM represents a significant determinant of organizational effectiveness. Organizations that adopt a strategic approach to human resource management — aligning HR practices with business strategy, investing in human capital development, designing effective performance management and reward systems, and cultivating employee engagement — consistently outperform their competitors on multiple dimensions of effectiveness.

Several practical implications emerge from this analysis:

- In what ways do institutional and legal frameworks influence its development dynamics?
- Which methodological approaches are most effective for modeling and forecasting its development?

Research methodology

The methodological framework of the study integrates both quantitative and qualitative research approaches, enabling a comprehensive analysis of the multidimensional nature of digital entrepreneurship.

The quantitative component of the research is focused on assessing the key determinants of digital entrepreneurship and is based on the use of international and national datasets. For this purpose, authoritative sources such as the World Trade Organization, OECD, European Commission (EU), UNDP, and the National Statistics Office of Georgia (Geostat) are utilized. These sources allow for the evaluation

of the institutional environment and technological infrastructure, thereby facilitating the identification of development trends and structural characteristics of digital entrepreneurship.

Comparison Criteria	WTO	EU	OECD
Institutional Role	Formation and harmonization of global trade rules	Systemic regulation of the internal market and establishment of legal standards	Policy coordination and analytical support
Primary Objective of Regulation	Facilitation of market access and reduction of discrimination	Ensuring competition, consumer protection and data protection	Improvement of policies for the sustainable development of the digital economy
Vision of Digital Trade	Continuation of trade liberalization in the digital environment	Digital trade as part of the internal market with high regulatory standards	Digital trade as a driver of economic growth and innovation
Cross-border Data Flows	Supported through the formation of minimal common rules	Allowed under strict data protection conditions	Supported through risk-based governance approaches
Legal Status of Electronic Transac-tions	Under harmonization (multilateral negotiations)	Clearly defined within internal legal frameworks	Based on recommendations and guiding principles
Legal Nature of Regulation	"Hard law" (multilateral agreements)	"Hard law" + systemic enforcement mechanisms	"Soft law" (recommendations, guidelines)
Impact Mechanism on Entrepreneur-ship	Reduction of transaction costs	Increased fair market access and trust	Improvement of policy quality and institutional learning
Perspective for Startups and SMEs	Expansion of access to global markets	Limitation of dominant platform power	Adaptation of policy instruments for small economies
Regulatory Flexibility	Low - consensus-based process	Medium - strict but predictable rules	High - adaptive and experimental
Risks for Digital Entrepreneurship	Risk of limiting national sovereignty	Potential effects of over-regulation	Non-binding nature of recommendations
Global Influence	Universal trade framework	De facto global standard	Global "intellectual center" of policy development

Table 1. Regulation of E-commerce and Cross-Border Digital Activities: A Comparative Analysis (WTO vs. EU vs. OECD)

In addition, the qualitative component of the study focuses on the analysis of the institutional and political-economic environment. This includes the evaluation of strategic documents, regulatory frameworks, and public policies, through which it becomes possible to identify both the enabling and constraining factors influencing the development of digital entrepreneurship.

Theoretical Foundations

Digital entrepreneurship has evolved into a distinct paradigm of economic activity, characterized by the integration of digital technologies, data-driven decision-making and platform-based business models that transform value creation, distribution and monetization.

One of the most fundamental theoretical foundations of entrepreneurship is **Joseph Schumpeter's** innovation theory, according to which, in the context of the digital economy, the entrepreneur acts as the central agent of economic transformation within the process of "creative destruction." This process is significantly intensified under digital conditions, as technological innovations such as artificial intelligence, cloud computing, and digital platforms enable the rapid reorganization of markets, business models, and value chains.

This theoretical framework is further enriched by **Frank Knight's** theory of uncertainty, which acquires particular relevance in the context of digital entrepreneurship. According to this approach, the digital economy is characterized by high technological dynamism and instability, rapid structural transformation of markets, and regulatory uncertainty. As a result, entrepreneurs operate not under conditions of fully calculable risk, but within an environment of fundamental uncertainty, where decision-making is based on incomplete information, intuition and expectation-driven forecasting.

The analytical framework of digital entrepreneurship is further significantly expanded by **Israel Kirzner's** theory of opportunity discovery, which places particular emphasis on the entrepreneur's ability to identify and effectively exploit market disequilibria. In the digital economic environment, this process is considerably intensified due to real-time access to data, the use of advanced analytical tools, and the widespread diffusion of algorithmic technologies. As a result, information asymmetry is reduced, market transparency increases, and the speed of decision-making is significantly accelerated, thereby enhancing the efficiency and scalability of identifying and commercializing entrepreneurial opportunities.

Within the framework of institutional economics, **Douglass North's** theory assumes particular importance, emphasizing the role of formal and informal rules that shape the behavior of economic agents and determine the logic of economic system functioning. Within this theoretical perspective, digital entrepreneurship is viewed both as a product of the institutional environment and as an active driver of its transformation. This process is especially evident in critical domains such as data governance, intellectual property protection, cybersecurity, and the formation of digital regulations, where entrepreneurial innovation not only adapts to existing rules but also actively contributes to the emergence of new institutional architectures.

This theoretical framework is further reinforced by **Paul Romer's** endogenous growth theory, according to which knowledge and innovation are considered the primary drivers of economic growth. In the context of the digital economy, knowledge is transformed into an intangible, non-rival, and highly scalable resource, whose diffusion and utilization are associated with minimal marginal costs. In this regard, digital entrepreneurship emerges as a central mechanism for the commercialization of knowledge, through which data, algorithms and intellectual capital are converted into economic value.

Contemporary economic literature places particular emphasis on the platform economy, network effects, and ecosystem interactions, which define the new logic of value creation.

Despite the rapid expansion of the digital entrepreneurship literature, a critical gap persists in the development of formalized and empirically tractable frameworks capable of capturing its structural complexity and dynamic evolution. The existing body of research remains largely fragmented, with a predominant focus on conceptual narratives, case-specific evidence, or partial empirical estimations that fail to integrate key dimensions such as institutional quality, technological readiness, innovation capacity

and global economic interdependence within a unified analytical structure. This limitation is particularly evident in transition economies, where structural asymmetries, institutional instability and uneven digitalization trajectories challenge the applicability of conventional models and call for more context-sensitive and adaptable approaches.

This study addresses these shortcomings by proposing an integrated analytical framework that bridges theoretical foundations with quantitative and qualitative methodological rigor. By combining multidimensional assessment with a forward-looking, scenario-oriented perspective, the approach enables a systematic evaluation and forecasting of digital entrepreneurship development.

In contrast to existing studies, the proposed framework explicitly incorporates the interaction effects between institutional, technological and innovation-driven factors, thereby enhancing both explanatory and predictive capacity.

Furthermore, by focusing on Georgia as a case of a transition economy, the study contributes to the literature by providing empirically grounded, policy-relevant insights, while advancing the formalization of digital entrepreneurship as a distinct and analytically operational economic domain.

Analysis and Results

The analytical results of the study, based on the systematic and integrated evaluation of the formulated hypotheses **(H_0-H_4),** indicate that the development of digital entrepreneurship in Georgia represents a complex and multifactorial process, the dynamics of which are determined by the interaction of global trends, institutional conditions, and technological progress.

The synergy of these factors generates both development opportunities and structural constraints, thereby underscoring the importance of a system-oriented and model-based analytical approach.

First, the empirical and analytical findings confirm the validity of hypothesis **H_0**, according to which scenario-based forecasting and the application of data-driven policy instruments significantly enhance the effectiveness of digital entrepreneurship development.

The analysis indicates that policy formulation in Georgia remains predominantly declarative in nature and is insuf-ficiently grounded in predictive analytical models. This limitation constrains the precision of strategic decision-making and reduces the adaptability of policy frameworks in a rapidly evolving economic environment.

Figure N1



The analysis of hypothesis **H1** confirms that global risks and digital entrepreneurship are strongly interconnected, with the development of digital infrastructure emerging as a critical determinant of entrep-reneurial activity dynamics.

The presented empirical evidence indicates that the expansion of internet penetration is positively associated with the growth of digital entrepreneurship, thereby confirming a positive marginal effect.

Figure N2



The analysis of hypothesis **H2** demonstrates that cross-sectoral collaboration and synergy play a significant role in the development of the digital entrepreneurship ecosystem.

The research findings indicate that effective collabora-

tion among the private sector, government, and the technological sector facilitates the diffusion of innovation, the optimal allocation of resources, and the formation of new business models.

However, in the case of Georgia, such interactions remain insufficiently integrated, thereby limiting the realization of systemic synergy.

Figure N3



The analysis of the institutional environment supports hypothesis **H3**, according to which institutional stability and adaptive governance represent key determinants of digital entrepreneurship development.

However, despite the implemen-tation of various reforms, the regulatory frameworks still fail to ensure sufficient predictability and consistency.

These factors reduce the stability of the business environment and constrain the expansion of innovative activity.

Figure N4



The research findings also confirm hypothesis **H4**, which emphasizes the importance of global integration. Engagement with international markets, the expansion of export-oriented activities and partici-pation in global economic networks enhance the competitiveness of digital entrep-reneurship.

However, in the case of Georgia, such integration remains partial and requires a more systemic and coordinated approach.

The integrated analysis of the results indicates that, despite the progress achieved by Georgia in the direction of digital transformation-including infrastructure development, digitalization policies and the implementation of innovative initiatives-digital entrepreneurship has not yet been fully established as an independent and strategically prioritized area of development.

This situation is largely conditioned by the lack of quantitative forecasting models and the insufficient development of integrated policy instruments, which reduces the effectiveness of existing strategies and constrains the sector's sustainable and long-term development.

Thus, the findings suggest that the effective development of digital entrepreneurship requires not only improvements in technological and institutional factors but also their integration into a predictive and data-driven policy framework, capable of ensuring systemic, sustainable, and competitive economic development.

Conclusion and Recommendations

Digital entrepreneurship is emerging as a central component of modern economic systems, shaping the directions of innovation-driven development, competitiveness and structural transformation. The integration of digital technologies, data-driven decision-making processes and the expansion of the platform economy create a new paradigm of economic activity, in which entrepreneurship acquires a systemic and multidimensional character.

The findings of the study demonstrate that Georgia has exhibited a positive dynamic in the development of digital entrepreneurship, reflected in the improvement of technological infrastructure, the gradual implementation of digitalization policies and the ongoing formation of an innovation ecosystem.

Nevertheless, digital entrepreneurship has not yet been fully institutionalized as an independent and strategically prioritized economic domain. This situation is conditioned by the insufficient consolidation

of the institutional environment, weak cross-sectoral coordination, incomplete integration into global economic systems and most importantly, the lack of predictive, model-based policy instruments.

The analysis of the hypotheses reveals that institutional stability, technological readiness, and integration into global economic networks constitute the primary determinants of digital entrepreneurship development. However, their effectiveness largely depends on the degree of coordination and systemic alignment among these factors. At the same time, the absence of scenario-based forecasting mechanisms reduces the effectiveness of economic policy and limits the ability to anticipate long-term development trajectories.

Under these conditions, the effective development of digital entrepreneurship requires the implementation of the following recommendations:

First, it is essential to ensure the strategic formalization of digital entrepreneurship as an independent economic domain, which involves the definition of clear objectives, measurable indicators, and evaluation mechanisms.

Second, it is necessary to introduce predictive and data-driven policy instruments, including the application of economic-mathematical models and scenario-based analysis, which would enhance the accuracy of decision-making and improve the effectiveness of strategic governance.

Third, further strengthening of the institutional environment is essential, encompassing increased stability, transparency, and adaptability of regulatory frameworks in order to create a predictable and innovation-oriented business environment.

Fourth, deepening cross-sectoral collaboration among the public, private, and academic sectors is recommended, as it facilitates knowledge transfer, the commercialization of innovation, and the synergistic development of the economic system.

Fifth, enhancing integration into the global economic space is crucial, including the expansion of access to international markets, the development of digital trade and active participation in global innovation networks.

Thus, the sustainable development of digital entrepreneurship in Georgia requires an integrated, coordinated and predictive approach that ensures the effective alignment of technological progress, institutional development, and data-driven policy.

The coherent implementation of these directions constitutes a key prerequisite for strengthening economic resilience, enhancing innovation capacity and increasing global competitiveness.

References

1. Armstrong, J. S. (2001). *Principles of forecasting: A handbook for researchers and practitioners.* Springer.

2. Bank, W. (2014, January 29). *World Bank Group Support for Innovation and Entrepreneurship: An Independent Evaluation*. Retrieved from https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/b06316d1-054b-560b-b9b6-f2988cfd5e9b

3. Bank, W. (2016). *Digital Dividends*. Retrieved from https://documents1.worldbank.org/curated/en/896971468194972881/pdf/102725-PUB-Replacement-PUBLIC.pdf

4. Brynjolfsson, E., & McAfee, A. (2014). *The second machine age: Work, progress, and prosperity in a time of brilliant technologies.* W. W. Norton & Company.

5. European Commission. (2016). *General Data Protection Regulation (GDPR).* Retrieved from European Union: https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj

6. European Commission. (2020). *A new industrial strategy for Europe*. Retrieved from European Union: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020DC0102

7. European Commission. (2022). *Digital Services Act and Digital Markets Act.* Retrieved from European Union: https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/digital-services-act-package

8. European Commission. (2022). *Strategic foresight report: Twinning the green and digital transitions.* Retrieved from European Union: https://commission.europa.eu/strategy/strategic-planning/strategic-foresight/2022-report_en

9. Kirzner, I. M. (1973). *Competition and entrepreneurship.* University of Chicago Press.

10. Knight, F. H. (1921). *Risk, uncertainty and profit.* Houghton Mifflin.

11. Mazzucato, M. (2018). *The entrepreneurial state: Debunking public vs. private sector myths.* Penguin.

12. North, D. C. (1990). *Institutions, institutional change and economic performance.* Cambridge University Press.

13. OECD. (2019). *OECD digital economy outlook.* OECD Publishing.

14. OECD. (2020). *Digital security risk management for economic and social prosperity.* OECD Publishing.

15. Rodrik, D. (2018). *New technologies, global value chains, and developing economies.* NBER Working Paper No. 25164.

16. Romer, P. M. (1990). *Endogenous technological change.* Journal of Political Economy, 98(5, Part 2), S71–S102.

17. Schumpeter, J. A. (1934). *The theory of economic development: An inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle.* Harvard University Press.

18. *United Nations Development Programme*. (n.d.). Retrieved from United Nations Development Programme: https://www.undp.org/

19. WTO. (2021). *World trade report 2021: Economic resilience and trade.* World Trade Organization.

20. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2025). Retrieved from საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: https://www.economy.ge/uploads/files/2017/communications_information_and_modern_technologies/2024/strategy/dts_logikuri_charcho.xlsx

21. საქართველოს მთავრობა. (2024). *საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგია.* თბილისი.

22. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2021, 4 8). *"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე*. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: www.matsne.gov.ge

23. საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია. (2025, აპრილი 15). *საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგია*. Retrieved from https://imtavroba.ge/news/mtavroba/saqartvelos-tsifruli-mmartvelobis-strategia-damtkitsda?utm_source=chatgpt.com

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის რეალიზაციის თავისებურებები საქართველოს სტარტაპ სექტორში

Peculiarities of Realizing the Innovative Potential of Small Business in Georgia's Startup Sector

შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი
თსუ. ასოცირებული პროფესორი
რუსუდან მაისურაძე
დოქტორანტი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Shota Shaburishvili
Doctor of Economics
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Rusudan Maisuradze
PhD Candidate
Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

აბსტრაქტი. სტატიაში შესწავლილია მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი საქართველოს სტარტაპ სექტორის კონტექსტში. გაანალიზებულია მცირე ბიზნესის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური როლი ქვეყნის განვითარებაში და სტარტაპების, როგორც მისი ინოვაციური ნაწილის, ეკოსისტემის ფორმირების ძირითადი ტენდენციები. მცირე ბიზნესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირებაში. ტექნოლოგიური და ინოვაციური მიღწევები უმეტესად მცირე ბიზნესის დამსახურებაა. მსხვილი ბიზნესი ხშირ შემთხვევაში ფოკუსირებულია არსებული პროდუქციის გაუმჯობესებასა და გაყიდვების ზრდაზე მეტი მოგების მისაღებად, შესაბამისად, მათი მოქნილობა შედარებით ნაკლებია. მცირე ბიზნესი არა მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობას ქმნის, არამედ პროდუქტიულობისა და ინოვაციის მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენს. წარმატების მისაღწევად მცირე ბიზნესი ფოკუსირებულია ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნაზე. ისინი ცდილობენ სწრაფად მოერგონ ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. მცირე საწარმოები ინოვაციურ პროცესში გვევლინებიან, ერთი მხრივ, მსხვილი კომპანიებისთვის ექსპერიმენტატორებად, ხოლო მეორე მხრივ, ახალი პროდუქტების პიონერებად. უმეტეს შემთხვევაში, ინოვაციური იდეების განხორციელება მცირე მასშტაბის ბიზნესით იწყება.

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტარტაპების სექტორში. ზოგადად, სტარტაპი წარმოადგენს მცირე ზომის, ახალგაზრდა კომპანიას, რომელიც ქმნის ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტს ან მომსახურებას და ეყრდნობა უნიკალურ ბიზნესმოდელს. ბოლო წლებში საქართველოში სტარტაპების რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა, რასაც ბიზნესგარემოს ცალკეული ასპექტების გაუმჯობესება და სამეწარმეო კულტურის განვითარება უწყობს ხელს. მეწარმეობის მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამები, სპეციალური ეკონომიკური ზონები, საგადასახადო და ორგანიზაციული შეღავათები მნიშვნელოვან სტიმულებს ქმნის ადგილობრივი და უცხოელი მოქალაქეებისთვის, რათა მათ თავიანთი საქმიანი წამოწყებები საქართველოს იურისდიქციაში დაარეგისტრირონ. ბიზნესიდეით შთაგონებულ ადამიანს საშუალება ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო პროგრამებსა და სხვადასხვა საგრანტო კონკურსში, რითაც საწყისი დაფინანსების მოპოვებას შეძლებს. ვითარდება ბიზნესინკუბატორები, სტარტაპ-აქსელერატორები, ბიზნესანგელოზების ქსელები და ვენჩურული ფონდები, რომლებიც ხელს უწყობენ სტარტაპ სექტორის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; მცირე ბიზნესი; სტარტაპი; ტექნოლოგია; მეწარმეობა.

Abstract. The paper examines the innovative potential of small business in the context of Georgia's startup sector. It analyzes the major socio-economic role of small business in national development, as well as the main trends in the formation of the startup ecosystem as an innovative segment of this sector. Small business plays a decisive role in stimulating economic growth, innovation, and competitiveness. Technological and innovative achievements are largely attributable to small businesses. Large enterprises are often focused on improving existing products and increasing sales in order to maximize profits; therefore, they tend to be less flexible. Small business not only creates employment opportunities but also represents an important source of productivity and innovation. In order to achieve success, small businesses are oriented toward the creation of new products and services and seek to adapt rapidly to changing market demands. Within the innovation process, small enterprises act, on the one hand,

as experimental platforms for large companies and, on the other hand, as pioneers of new products. In most cases, the implementation of innovative ideas begins with small-scale business initiatives.

The innovative potential of small business is particularly visible in the startup sector. In general, a startup is a small, young company that develops a new or improved product or service and relies on a unique business model. In recent years, the number of startups in Georgia has shown steady growth, supported by improvements in certain aspects of the business environment and the development of entrepreneurial culture. Government programs supporting entrepreneurship, special economic zones, and tax and organizational incentives create significant stimuli for both local and foreign citizens to register their business initiatives under Georgian jurisdiction. Individuals inspired by business ideas are given the opportunity to participate in state programs and various grant competitions, thereby increasing their chances of obtaining initial funding. At the same time, business incubators, startup accelerators, business angel networks, and venture funds are developing, all of which contribute to the advancement of the startup sector.

Keywords: innovation; small business; startup; technology; entrepreneurship.

თანამედროვე ეკონომიკაში მცირე ბიზნესი სცდება ვიწრო საწარმოო ეფექტიანობის ჩარჩოებს და უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. მცირე და საშუალო ბიზნესი ესაა ახალი პროდუქტები, სამუშაო ადგილები, კონკურენტული გარემო, რეალიზებული პიროვნული პოტენციალი, თავისუფალი და ღირსეული საშუალო ფენა, დამატებითი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება (Shaburishvili & Udesiani, 2019).

მცირე ბიზნესს მიეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული რაოდენობრივი და თვისებრივი კრიტერიუმების პირობებში. რაოდენობრივ კრიტერიუმებს მიეკუთვნება - წლიური ბრუნვა, თანამშრომლები, აქტივები. მათი დანიშნულება ბიზნესის მასშტაბის განსაზღვრაა. თვისებრივი კრიტერიუმებია: საკუთრების და მართვის ერთიანობა, კაპიტალის მიღების შესაძლებლობები, ეკონომიკური და სამართლებრივი დამოუკიდებლობა. მსოფლიო ბანკის ჯგუფის კვლევების მიხედვით, მაჩვენებლების საერთო რიცხვი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი განისაზღვრება, 50-ს აღემატება. ამიტომ, მისი ბიზნესის განსაზღვრება და კლასიფიკაცია განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, ყველაზე საერთო მაჩვენებლებს დასაქმებულების რაოდენობა და წლიური ბრუნვა წარმოადგენს. მაგალითად, აშშ-ში მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ინდიკატორები დარგების მიხედვით განისაზღვრება (მრეწველობაში 500-მდე, ხოლო საბითუმო ვაჭრობაში 100-მდე დასაქმებული და ა.შ.), მას მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA) პერიოდულად განიხილავს და ამტკიცებს (Shaburishvili & Kadagishvili, 2018).

საქართველოში მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ინდიკატორები სტატისტიკური და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება (იხ. ცხრილი).

ცხრილი. ბიზნესის რაოდენობრივი პარამეტრები საქართველოში[757]

	დასაქმებულების რაოდენობა		წლიური ბრუნვა	
	სტატისტიკური მიზნებით (ახალი)	*საგადასახადო მიზნებით*	*სტატისტიკური მიზნებით (ახალი)*	*საგადასახადო მიზნებით (ახალი)*
მიკრო ბიზნესი		არ ჰყავს		≤30 000 ლარი
მცირე ბიზნესი	≤50		≤12 მლნ ლარი	≤500 000 ლარი
საშუალო ბიზნესი	≤250		≤60 მლნ ლარი	

[757] ცხრილი სედგენილია ავტორების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის ცნებას. მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. მიკრობიზნესი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. 2018 წელს საგადასახადო კოდექსში შესული ცვილებების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500,000 ლარამდე, ნაცვლად დღემდე არსებული 100,000 ლარისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-იანი განაკვეთით. გარდა ამისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საწარმო, რომლის ბრუნვა კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს, გათავისუფლებულია დღგ-სგან. დღგ-სგან გათავისუფლებულია სოფლის მეურენობის პირველადი პროდუქტების მიწოდებაც (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2011).

საერთაშორისო ორგანიზაციები და მკვლევარები მიუთითებენ მცირე ბიზნესის მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებზე, რომლითაც ის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- განვითარების შესაძლებლობების შექმნა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ეკონომიკური თავისუფლების, მეწარმეობის დამოუკიდებლობისა და ძალაუფლების დეცენტრალიზაციის გზით (Shengelia, 2021);
- ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა - მცირე ბიზნესის განვითარება წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს იმისათვის, რომ არ მოხდეს მონოპოლიების წარმოქმნა და ძალაუფლების კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის ხელში (Udesiani & Shaburishvili, 2023);
- უმუშევრობის შემცირება - მცირე ბიზნესს მასტაბილიზებელი გავლენა აქვს შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის, ვიდრე მსხვილი (Terterashvili, 2021);
- ინოვაციების დანერგვა - მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინოვაციურ პროცესებში. მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების და გამოგონებების რიცხვი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. მცირე საწარმოები ინოვაციურ პროცესში გვევლინებიან, ერთი მხრივ, ექსპერიმენტატორებად მსხვილი კომპანიებისათვის, მეორე მხრივ, ახალი პროდუქტების პიონერებად. უმეტეს შემთხვევაში ინოვაციური იდეების განხორციელება მცირე მასშტაბის ბიზნესით იწყება (Шабуришвили, 2011).

ტექნოლოგიური და ინოვაციური მიღწევები უმეტესად მცირე ბიზნესის დამსახურებაა. მსხვილი ბიზნესი ხშირ შემთხვევაში ფოკუსირებულია არსებული პროდუქციის გაუმჯობესებაზე და გაყიდვების ზრდაზე, მეტი მოგების მისაღებად, შესაბამისად, მათი მოქნილობა ნაკლებია. მცირე ბიზნესი არა მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობას იძლევა, არამედ პროდუქტიულობისა და ინოვაციის კარგი საშუალება (ჰერი & ნეტეკოვენი, 2019). წარმატების მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესი ფოკუსირებულია ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნაზე. ისინი ცდილობენ სწრაფად მოერგონ ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. საგულისხმოა, რომ ინოვაციების დანერგვა საკმაოდ რთულად განსახორციელებელი სტრატეგიაა. ინოვაციური შესაძლებლობები მცირე ბიზნესისთვის მთავარი უპირატესობაა კონკურენციის თვალსაზრისით (Saunila, 2020). სიახლეების აღმოჩენა და დანერგვა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან შეიძლება მცდელობა მარცხით დასრულდეს, რაც დროის

და ფინანსური რესურსის დაკარგვას ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესის მიერ წარმატებით განხორციელდა ინოვაციური საქმიანობა, არსებობს დიდი შანსი, რომ სხვა ბიზნესებმა მიბაძონ მას. ამ შემთხვევაში მაღალია სოციალური სარგებელი, თუმცა ინოვაციური ბიზნესის სარგებელი მცირეა. მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის, განვითარების, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირებაში (European Commission, 2021).

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტარტაპების სექტორში (Shaburishvili S. , 2024). ცნობილია, რომ მცირე ზომის, ახალგაზრდა, ინოვაციური კომპანიები, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, გადამწყვეტ როლს ასრულებენ საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში. მათი მნიშვნელობის გაცნობიერებით, განვითარებული ქვეყნების მთავრობები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამგვარ საქმიან აქტივობებს (Colombo, Luukkonen, Mustra, & Wright, 2010). ზოგადად, სტარტაპი წარმოადგენს ახალ კომპანიას, რომელიც ქმნის ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტს ან მომსახურებას და ეყრდნობა უნიკალურ ბიზნეს მოდელს. ინოვაციური კომპანიები, მოგზაურობის დასაწყისში კლასიფიცირდებიან როგორც სტარტაპები და რასაც ისინი მიაღწევენ, დროის მოკლე ინტერვალში, დიდად განსაზღვრავს მათ შემდგომ წარმატებას ან წარუმატებლობას (WKO, 2024). ორგანიზაციის შექმნით, მიმწოდებლებთან თანამშრომლობითა და მოსახლეობის დასაქმებით, სტარტაპები ასტიმულირებენ ადგილობრივ ეკონომიკას. მათი ინოვაციები ზრდიან პროდუქტიულობას სხვადასხვა ინდუსტრიაში. სტარტაპები ხასიათდებიან თანამშრომელთა მცირე რაოდენობით, შეზღუდული საოპერაციო ისტორიით, ინოვაციურობით და ორიენტირებულნი არიან სწრაფ ზრდაზე (Decker, 2023).

მკვლევარები სტარტაპების შემდეგ უპირატესობებზე ამახვილებენ ყურადღებას:

- ✓ ბაზართან სიახლოვე, სტარტაპის დამფუძნებლები ხშირად თავად გვევლინებიან იმ პროდუქტის გამორჩეულ მომხმარებლად, რომელის ახალ ან გაუჯობესებულ ვარიანტს შემდგომში ბაზარს სთავაზობენ;
- ✓ თანამშრომლების ლოიალური დამოკიდებულება, რასაც ახალ ორგანიზაციაში მკვეთრი იერარქიის არარსებობა, გუნდის წევრებს შორის მეგობრული დამოკიდებულება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და ბიზნესში წილობრივი მონაწილეობა განაპირობებს.
- ✓ ცვალებად პირობებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი, ფორმირების პროცესში მყოფი სტრატეგიული და ოპერაციული ბაზა ამარტივებს მასში ცვლილებების შეტანას;
- ✓ გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულების ოპერატიულობა და მოქნილობა, საწყის ეტაპზე მყოფი ორგანიზაციების მართვის სისტემა მარტივია (Shaburishvili S. , 2024).

ბოლო წლებში საქართველოში სტარტაპების რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა, რასაც ბიზნესის გარემოს ცალკეული ასპექტების გაუმჯობესება და სამეწარმეო, ინოვაციური კულტურის განვითარება უწყობს ხელს. მეწარმეობის მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამები, სპეციალური ეკონომიკური ზონები, საგადასახადო, ორგანიზაციული შეღავათები მნიშვნელოვან სტიმულებს ქმნის ადგილობრივი და უცხოელი მოქალაქეებისათვის საქმიანი წამოწყებები საქართველოს იურისდიქციაში დაარეგისტრირონ. 2025 წლის სტარტაპების ეკოსისტემის გლობალური ანგარიშის მიხედვით, საქართველო სწრაფად ყალიბდება, როგორც რეგიონის წამყვანი ინოვაციური და სტარტაპ ეკოსისტემა, რასაც ხელს უწყობს გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, გაფართოვებული ტექნოლოგიური პარკები, ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა (GEN, 2025).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) 14 მილიონი აშშ დოლარის გრანტი გასცა 240-მდე სტარტაპ პროექტზე, რამაც კერძო სექტორის მიერ 13-ჯერ მეტი ინვესტიციის განხორციელებას მისცა ბიძგი. აღსანიშნავია, რომ GITA სტარტაპებს სთავაზობს 60,000 აშშ დოლარამდე თანამონაწილეობის გრანტებს მხოლოდ 10%-იანი თანადაფინანსებით და რეგიონებისთვის ინოვაციურ გრანტებს 10,000 აშშ დოლარამდე, რაც ახალბედა მეწარმეებს საქმიანობის დაწყებას უმარტივებს (GEN, 2024). დაგეგმილია სან-ფრანცისკოში საქართველოს პირველი საერთაშორისო ინოვაციური ჰაბის გახსნა, რომელიც დააკავშირებს ეკოსისტემებს, მხარს დაუჭერს სტარტაპებს და წაახალისებს ინოვაციებს, ინვესტიციებსა და გლობალურ პარტნიორობას. ასევე იგეგმება Startup in Georgia-ს ციფრული პლატფორმის ამოქმედება, რომელიც შესთავაზებს ცენტრალიზებულ წვდომას ინფორმაციაზე, დამხმარე პროგრამებზე, საგადასახადო შეღავათებსა და ეკოსისტემის ძირითად მოთამაშეებზე (GEN, 2025).

სტარტაპების სექტორის პოტენციალის რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ასრულებს. კერძოდ 2025 წლიდან განსისაზრვრა „ინოვაციური სტარტაპის“ ცნება და შესაბამისი საგადასახადო შეღავათებს: პირველი სამი წლის განმავლობაში ინოვაციური სტარტაპის მიერ გაცემული ხელფასი, განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან; მეოთხე წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, ამავე პერიოდში მოგების გადასახადის განაკვეთი 5% იქნება; მეშვიდე წლიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში კი საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთები 10% შეადგენს (საქართველოს პარლამენტი, 2025).

საქართველოში სტარტაპები რამდენიმე ძირითად სექტორზე არიან ორიენტირებული:

- ✓ Agritech: სტარტაპები იყენებენ ტექნოლოგიებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის, მიწოდების ჯაჭვების გასაუმჯობესებისა და მდგრადი მეურნეობის პრაქტიკის ხელშეწყობისთვის;
- ✓ Edtech: საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სტარტაპები, რომლებიც სასწავლო მასალებს ონლაინ კურსებიდან პერსონალიზებულ სასწავლო პლატფორმებად გარდაქმნიან;
- ✓ Healthtech: ინოვაციები ჯანდაცვის ტექნოლოგიაში - ტელემედიცინა, პაციენტის მონაცემების მართვა და პრევენციული დახმარება;
- ✓ Greentech: გარემოს დაცვის და მდგრადობის გაზრდის გადაწყვეტილებებზე მომუშავე სტარტაპები - განახლებადი ენერგია, ნარჩენების მართვა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება (Nanitashvili & Vandenberg, 2023).

დასკვნა. ამრიგად, საქართეველოს ტერიტორიაზე წარმატებული სტარტაპების რიცხვის ზრდა, რომელიც გლობალურად კონკურენტუნარიან ბიზნესებად ჩამოყალიბდებიან, ქვეყნის ეკონომიკური განვიტარების არსებით წყაროდ შეიძლება მოგვევლინოს მომავალში. სწორედ სტარტაპები ქმნიან ინოვაციურ და განახლებულ ტექნოლოგიურ პროდუქტებს, რომელსაც დიდი სარგებელი მოაქვს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მომხმარებლისათვის. საქართველოში სტარტაპების განვითარების საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რაზეც მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამების, საერთაშორისო ინვესტორებისა და სამეწარმეო წრეების დაინტერესების ზრდა მიუთითებს. ეტაპობრივად ვითარდება სტრარტაპ ეკოსისტემა რომელიც ხელსაყრელია როგორც ბიზნესის დამფუძნებლებისთვის, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Colombo, M., Luukkonen, T., Mustra, P., & Wright, M. (2010). Venture capital and high-tech start-ups. *Venture Capital, 12*(4), 261-266.

2. Decker, A. (2023, 10 17). What is a Startup? The Ultimate Guide to Startups. *hubspot*. Retrieved 04 27, 2024, from https://blog.hubspot.com/sales/startups

3. European Commission. (2021, June 29). *Protecting SMEs: the drivers of global economic growth.* Retrieved from europa.eu: https://intellectual-property-helpdesk.ec.europa.eu/news-events/news/protecting-smes-drivers-global-economic-growth-2021-06-29_en

4. GEN. (2024). *The Global Startup Ecosystem Report 2024.* Startup Genome.

5. GEN. (2025). *The Global Startup Ecosystem Report 2025.* Startap Gemome.

6. Nanitashvili, N., & Vandenberg, P. (2023). *Georgia's Emerging Ecosystem for Technology Startups.* Asian Development Bank.

7. Saunila, M. (2020). Innovation capability in SMEs: A systematic review of the literature. *Journal of Innovation & Knowledge*, 260–265. Retrieved from https://pdf.sciencedirectassets.com/314307/1-s2.0-S2444569X20X00059/1-s2.0-S2444569X19300563/main.pdf?X-Amz-Security-Token=IQoJb3JpZ2luX2VjEEQaCXVzLWVhc3QtMSJHMEUCIQD%2F%2FJRD4XYSbxp%2BcN9dPzJsNj4W2%2BHYyvWBomtzu%2BQ70AIgWmEbxcHKLuRDwYC0QhP02JLlHwwv7P%2Fw

8. Shaburishvili, S. (2024). The startup Phenomenon in Modern Business and Experience of Georgia. *The New Economist*, 26-31.

9. Shaburishvili, S., & Kadagishvili, L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. *Вісник Хмельницького національного університету, Економічні науки* .

10. Shaburishvili, S., & Udesiani, K. (2019). Quantitative and qualitative parameters of small and medium business in Georgia. *Materials of VI International Scientific and Practical Conference*, (pp. 120-121). Mariupol.

11. Shengelia, T. (2021). Perspectives of small business development under the conditions of uncertainty caused by COVID pandemics. *Globalization and Business*.

12. Terterashvili, N. (2021). Small business challenges in Georgia in the conditions of the COVID-19 pandemic. *The New Economist 16 (1)*, 76-83.

13. Udesiani, K., & Shaburishvili, S. (2023). Small and Medium business opportinies and the importance of its support in Georgia. *Seybold Report*. doi:10.17605/OSF.IO/5P28E

14. WKO. (2024, 10 19). *WKO*. Retrieved from www.wko.at: https://www.wko.at/service/Austrian-Economic-Chambers.html

15. Шабуришвили, Ш. (2011). Симулирование инновационной деятельности на малых и средних предприятиях в условиях глобализации. *Проблемы развития внешних экономических связей и Привлечение иностранных инвестиций: региональный аспект*, (pp. 408-413). Донецк.

16. საქართველოს პარლამენტი. (2025). *განმარტებითი ბარათი „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ“.* თბილისი. Retrieved from https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/385278

17. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2011). http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10174 (20.05.2018).

18. ჰერი, ჰ., & ნეტეკოვენი, ზ. (2019). *მცირე და საშუალო საწარმოების როლი განვითარების პროცესში.* თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მობილური მოწყობილობების გამოყენების სტატისტიკური ანალიზი მშობლების აღქმისა და კონტროლის ჭრილში

English: Statistical Analysis of Mobile Device Use Among Preschool Children: A Study of Parental Perception and Control

მაია გიორგობიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
აბესალომ გაბრიჭიძე
ეკონომიკის დოქტორი
Maia Giorgobiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
Associate Professor
Abesalom Gabrichidze
Doctor of Economics

აბსტრაქტი. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების მობილური მოწყობილობების გამოყენების სტატისტიკურ ანალიზს მშობლების აღქმისა და კონტროლის ჭრილში. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდს და მოიცავს 500 მშობლის მიერ შევსებულ ანკეტებს, რომლებიც ასახავს ბავშვების ყოველდღიურ ეკრანულ აქტივობას, გამოყენების მიზნებს და მშობლის ჩართულობის დონეს.

შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვების უმრავლესობა (40%) დღეში 1–2 საათს ატარებს მობილურ მოწყობილობებთან, 20% — 2–3 საათს, ხოლო მცირე ნაწილი (10%) 3 საათზე მეტს. გამოყენების ძირითად მიზნებს შორის დომინირებს ვიდეოს ყურება (75%) და თამაშები (60%), მაშინ როცა საგანმანათლებლო მიზნები შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული (45%). მშობლების მონაცემებით, 70% მათგანი აკონტროლებს ბავშვის მოწყობილობის გამოყენებას, თუმცა მხოლოდ 30% იყენებს მკაცრ შეზღუდვებს.

კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მშობლის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვნად ამცირებს ნეგატიური ზეგავლენის რისკებს, როგორიცაა ყურადღების დეფიციტი ან ზედმეტი დამოკიდებულება, და ზრდის დადებითი ეფექტების ალბათობას, მათ შორის შემეცნებითი უნარების განვითარებას.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს მშობელთა ინფორმირებულობისა და ეკრანული დროის რეგულირების მნიშვნელობას, რაც აუცილებელია ბავშვთა ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად. მიღებული მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის, ისე მშობელთა ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სკოლამდელი ასაკის ბავშვები, მობილური მოწყობილობები, მშობლის კონტროლი, ეკრანული დრო, სტატისტიკური ანალიზი

Abstract. The present study aims to provide a statistical analysis of mobile device usage among preschool children, examined through the lens of parental perception and control. The research employs a quantitative method and is based on survey data collected from 500 parents, reflecting children's daily screen time, purposes of device use, and parental involvement levels.

Findings indicate that the majority of children (40%) spend 1–2 hours per day using mobile devices, 20% use them for 2–3 hours, and a small proportion (10%) exceeds 3 hours. The primary purposes of use include watching videos (75%) and playing games (60%), while educational use is less frequent (45%). According to parents, 70% monitor their child's device usage, although only 30% enforce strict limitations.

Cross-tabulation analysis shows that active parental involvement significantly reduces the risk of negative outcomes, such as attention deficits or excessive dependency, and increases the likelihood of positive effects, including cognitive development and learning engagement.

The study emphasizes the importance of parental awareness and regulation of screen time for ensuring healthy child development. The results may inform both educational policies and parental awareness programs.

Keywords: preschool children, mobile devices, parental control, screen time, statistical analysis

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრება. აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბავშვთა ქცევაში, რომელთაც ადრეული ასაკიდან აქვთ წვდომა მობილურ მოწყობილობებზე, როგორიცაა სმარტფონები და ტაბლეტები. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ერთდროულად შეიცავს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. ერთი მხრივ, მობილური მოწყობილობები წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს საგანმანათლებლო და შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის; მეორე მხრივ, მათი არარეგულირებული გამოყენება შეიძლება უკავშირდებოდეს ნეგატიურ შედეგებს, როგორიცაა კონცენტრაციის დაქვეითება, ფიზიკური აქტივობის შემცირება და სოციალური უნარების შეზღუდვა.

საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ ბავშვის ეკრანული აქტივობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშობლის ჩართულობაზე და კონტროლზე. შესაბამისად, აუცილებელია შეფასდეს, თუ როგორ იყენებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები მობილურ მოწყობილობებს და რა როლს ასრულებს მშობელი ამ პროცესში.

წინამდებარე კვლევის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მობილური მოწყობილობების გამოყენების სტატისტიკური ანალიზი მშობლების აღქმისა და კონტროლის ჭრილში, თბილისში, 2026 წლის იანვარ–თებერვალში.

კვლევის ძირითადი მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეკრანული აქტივობის შეფასება და მშობლის ჩართულობის გავლენის განსაზღვრა ბავშვის განვითარებაზე.

კვლევის ამოცანებია:

- ეკრანთან გატარებული დროის განსაზღვრა;
- გამოყენების ძირითადი მიზნების იდენტიფიცირება;
- მშობლის კონტროლის დონის შეფასება;
- კონტროლისა და ბავშვის ქცევითი შედეგების ურთიერთკავშირის ანალიზი;
- პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით, კერძოდ, ანკეტირების საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 500 მშობელი, რომლებიც აფასებდნენ თავიანთი 3–6 წლის ასაკის ბავშვების მობილური მოწყობილობების გამოყენებას.

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით და მოიცავდა:

- პროცენტულ განაწილებას;
- კროს-ანალიზს;
- გრაფიკულ ვიზუალიზაციას.
- კვლევის ძირითადი ცვლადები იყო:
- ეკრანთან გატარებული დრო;
- გამოყენების მიზნები;
- მშობლის კონტროლის დონე;
- დადებითი და უარყოფითი გავლენები.
- ეკრანთან გატარებული დრო

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვების უმრავლესობა მობილურ მოწყობილობებთან ატარებს დღეში 1–2 საათს (40%), რაც მიუთითებს ზომიერ გამოყენებაზე. ამასთან, 20% ბავშვებისა ატარებს 2–3 საათს, ხოლო 10% — 3 საათზე მეტს, რაც უკვე ზრდის ნეგატიური ზეგავლენის რისკს.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ ეკრანული აქტივობა სკოლამდელ ასაკში ფართოდ არის გავრცელებული და საჭიროებს რეგულაციას.

მობილური მოწყობილობების გამოყენების ანალიზმა აჩვენა, რომ დომინირებს გასართობი აქტივობები. კერძოდ, 75% ბავშვებისა იყენებს მოწყობილობას ვიდეოს საყურებლად, ხოლო 60% — თამაშებისთვის. საგანმანათლებლო აპლიკაციების გამოყენება დაფიქსირდა 45%-ში, რაც მიუთითებს, რომ მათი პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული. კომუნიკაციის მიზნები (20%) ძირითადად დაკავშირებულია მესენჯერების გამოყენებასთან და ნაკლებად ემსახურება განვითარების პროცესს.

კვლევის მიხედვით, მშობელთა 40% ახორციელებს ზომიერ კონტროლს, 30% — მაღალს, ხოლო 30% — დაბალს. ზომიერი კონტროლი მიუთითებს ნაწილობრივ ჩართულობაზე, მაშინ როდესაც მაღალი კონტროლი გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას ბავშვის ციფრულ აქტივობებში. დაბალი კონტროლი, განსაკუთრებით მაღალი ეკრანული დროის პირობებში, ზრდის ნეგატიური შედეგების ალბათობას.

კროს-ანალიზმა აჩვენა მკაფიო კავშირი მშობლის კონტროლსა და ბავშვის განვითარების შედეგებს შორის.

მაღალი კონტროლის პირობებში დადებითი გავლენა დაფიქსირდა 60%-ში, ხოლო უარყოფითი — მხოლოდ 15%-ში. დაბალი კონტროლის შემთხვევაში, უარყოფითი გავლენა მნიშვნელოვნად იზრდება (55%), რაც ადასტურებს მშობლის ჩართულობის გადამწყვეტ მნიშვნელობას.

სქესობრივი და ასაკობრივი განსხვავებები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ბიჭები უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი თამაშებზე, ხოლო გოგონები — საგანმანათლებლო აქტივობებზე.

ასაკობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ 5–6 წლის ბავშვები უფრო აქტიურად იყენებენ საგანმანათლებლო აპლიკაციებს, ვიდრე 3–4 წლისები.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- ეკრანთან დრო უნდა შემოიფარგლოს დღეში 1–2 საათით;
- მშობლებმა უნდა უზრუნველყონ აქტიური ჩართულობა;
- პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საგანმანათლებლო აპლიკაციებს;
- აუცილებელია ეკრანული აქტივობის კონტროლი;
- ეკრანული დრო უნდა იყოს დაბალანსებული სხვა აქტივობებთან.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მობილური მოწყობილობების გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული და ძირითადად გასართობ ხასიათს ატარებს.

მნიშვნელოვანი დასკვნაა, რომ მშობლის აქტიური ჩართულობა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს.

კვლევა უზრუნველყოფს პრაქტიკულ საფუძველს რეკომენდაციების შემუშავებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ეკრანული დროის ეფექტიან მართვას.

ცხრილი 1 — ეკრანთან გატარებული დრო / Screen Time per Day

დრო დღეში / Time per Day

პროცენტი (%) / Percentage (%)



ცხრილი 2 — გამოყენების მიზნები / Purposes of Use

მიზანი / Purpose

პროცენტი (%) / Percentage (%)



ცხრილი 3 — მშობლის კონტროლი / Parental Control
დონე / Level
პროცენტი (%) / Percentage (%)



გრაფიკების მოკლე აღწერა / Graphs Description

- ეკრანთან დრო (Bar Chart / Column Chart) – ყველაზე დიდი წილი მოდის 1–2 საათზე, მინიშნებულია მკაფიო კლებები 0–30 წუთსა და 3+ საათზე.
- გამოყენების მიზნები (Pie Chart) – დომინირებს ვიდეოს ყურება და თამაშები, საგანმანათლებლო აქტივობა შედარებით მცირე წილად.
- მშობლის კონტროლი (Column Chart) – ყველაზე გავრცელებულია საშუალო დონე (40%), მაღალი კონტროლი 30%-ში, დაბალი კონტროლი ასევე 30

ბიბლიოგრაფია

1. Livingstone, S., & Helsper, E. J. (2008). Parental mediation of children's internet use. Journal of Broadcasting & Electronic Media, 52(4), 581–599. https://doi.org/10.1080/08838150802437396
2. Rideout, V. (2017). The Common Sense census: Media use by kids age zero to eight. Common Sense Media. https://www.commonsensemedia.org
3. American Academy of Pediatrics. (2016). Media and Young Minds. Pediatrics, 138(5). https://doi.org/10.1542/peds.2016-2591
4. Plowman, L., McPake, J., & Stephen, C. (2010). The technologisation of childhood? Children & Society, 24(1), 63–74. https://doi.org/10.1111/j.1099-0860.2008.00218.x

მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ინოვაციური სტრატეგიები
Innovative strategies for small and medium business growth

შორენა ცაავა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)
ფატიმა ქვაცაბაია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)
დავით პაპავა
ინჟინერიის დოქტორი
(საინჟინრო გეოდეზიის სპეციალობით)
Shorena Tsaava
Doctor of Social Sciences
(Specialty in Agricultural Economics)
Fatima Kvatsabaia
Doctor of Business Administration
(Specialization in Agricultural Economics)
David Papava
Doctor of Engineering
(Majoring in Engineering Geodesy)

In recent years, the construction sector has undergone significant transformation, driven by the introduction of innovative technologies, digital systems, and sustainable development principles. These changes contribute to the optimization of construction processes and increased efficiency, while promoting more rational resource use and the reduction of negative environmental impacts. At the same time, the demand for green construction, energy-efficient materials, and modern engineering solutions is increasing, thereby shaping a new model for the sector's development.

The aim of this study is to examine the current processes and main trends in the construction sector of Georgia, assess their economic significance, and identify the role of innovations. The work is based on official statistical data, international studies, and comparative analysis, thereby providing a multifaceted and objective evaluation of the issue.

The findings show that, despite global and local headwinds, the construction sector maintains high economic importance and continues to grow. However, it still faces several challenges, including rising costs of construction materials and labor, technological lag, a shortage of qualified workforce, and insufficient adoption of innovations. Effective management of these problems and the implementation of appropriate policies are essential prerequisites for the sustainable and competitive development of the sector.

Keywords: Construction industry, economic development, labor market, digital transformation, energy efficiency.

შესავალი. თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში სამშენებლო სექტორი განიხილება არა მხოლოდ როგორც ინფრასტრუქტურული განვითარების საფუძველი, არამედ როგორც კომპლექსური ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც აერთიანებს კაპიტალს, ტექნოლოგიებსა და შრომით რესურსებს. მისი ფუნქციონირება და განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ურბანიზაციის პროცესებთან, საინვესტიციო გარემოს დინამიკასთან და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებთან.

სამშენებლო სექტორის აქტიური განვითარება საქართველოში განსაკუთრებით შესამჩნევი ბოლო ათწლეულში გახდა, რაც განპირობებულია როგორც ურბანული სივრცეების გაფართოებით, ისე უძრავი ქონების ბაზრის გააქტიურებით. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაზარდა სექტორის ეკონომიკური როლი, თუმცა ამავდროულად წარმოშვა ეფექტიანი მართვის, გრძელვადიანი დაგეგმვისა და რესურსების ოპტიმალური განაწილების ახალი მექანიზმების დანერგვის საჭიროება.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სექტორის ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი განვითარების ტემპსა და მდგრადობას. ტრადიციულ ფინანსურ წყაროებთან ერთად, სულ უფრო აქტუალური ხდება ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ წყაროებთან წვდომას, რისკების დივერსიფიკაციასა და საინვესტიციო პროცესების ეფექტიანობის ზრდას. ამასთანავე, ტექნოლოგიური პროგრესი და ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად ცვლის სექტორის ფუნქციონირების მოდელს და განაპირობებს განვითარების ახალი მიდგომების დანერგვის აუცილებლობას **(Yu et al., 2023)**.

ზემოაღნიშნული გარემოებები ზრდის სამშენებლო ინდუსტრიის კვლევის აქტუალობას, ვინაიდან მისი განვითარების შეფასება, ეკონომიკური მაჩვენებლების პარალელურად, მოითხოვს სტრუქტურული, ფინანსური და ტექნოლოგიური ფაქტორების კომპლექსურ ანალიზს, რომლებიც სექტორის კონკურენტუნარიანობასა და მდგრადობას განსაზღვრავს.

ძირითადი ნაწილი. სამშენებლო სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება მოითხოვს მისი წვლილის განხილვას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების საფუძველზე, მათ შორის, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), დასაქმებისა და საინვესტიციო აქტივობის მიხედვით.

ეკონომიკური აქტივობის ზრდის პროცესში, სამშენებლო სექტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტრიბუტორად განიხილება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) წინასწარი შეფასებების მიხედვით, 2025 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში 104.6 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო რეალური ეკონომიკური ზრდა - 7.5%-ს. ამავე წელს სამშენებლო სექტორის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში 8.0%-ს გაუტოლდა, ხოლო სექტორში რეალური მშპ, წინა წელთან შედარებით, 0.8%-ით გაიზარდა **(საქსტატი, 2025a)**.

დიაგრამა 1. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2025 (წინასწარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიუხედავად ეკონომიკურ სტრუქტურაში სექტორის მნიშვნელოვანი წილისა, 2025 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ მისი განვითარების ტემპი არ არის ერთგვაროვანი. კერძოდ, საქსტატის შეფასებების მიხედვით, ცალკეულ პერიოდში სამშენებლო სექტორში შემცირების ტენდენციაც დაფიქსირდა, რაც მიუთითებს მის ციკლურ ბუნებაზე და ეკონომიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებულებაზე **(Civil Georgia, 2026)**.

ცხადია, სამშენებლო სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი პირდაპირი წვლილით მშპ-ში. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაკავშირებული დარგების აქტივობაზე, როგორიცაა - წარმოება, ტრანსპორტი, ლოგისტიკა, ფინანსური მომსახურება და უძრავი ქონების ბაზარი. აღნიშნული ურთიერთკავშირები განაპირობებს სექტორის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ზრდის ეკონომიკური აქტივობის საერთო მასშტაბს.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობა, როგორც შრომაინტენსიური დარგი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზრის დინამიკასა და რეგიონული დასაქმების მაჩვენებლებზე.

სექტორი ქმნის სამუშაო ადგილებს სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მუშახელისათვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირთა დასაქმებაში. აღნიშნული გარემოება განაპირობებს სექტორის მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ დატვირთვას, განსაკუთრებით ურბანული განვითარების პირობებში (Karkashadze et al., 2022).

2024 წლის მონაცემების მიხედვით, სამშენებლო სექტორში შექმნილმა პროდუქციის ღირებულებამ 17 მილიარდი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, დარგში დასაქმებულთა რაოდენობა 69.7 ათას ადამიანს აღწევდა, 2025 წელს კი ეს მაჩვენებელი საშუალოდ 65.8 ათასით განისაზღვრა, რაც ქვეყნის მთლიანი დასაქმების დაახლოებით 4.7%-ს შეადგენს. მოყვანილი სტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს სექტორის ფუნდამენტურ როლს როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში (საქსტატი, 2025b; საქსტატი, 2025c).

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად მზარდია, თუმცა არსებული კვლევები მიუთითებს შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების დეფიციტზე, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტორი გავლენას ახდენს შრომის ანაზღაურების დინამიკაზე და აძლიერებს ხელფასების ზრდის ტენდენციას სამშენებლო სექტორში (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019, გვ. 23-29; 2024, გვ. 7-8, 20-21).

აღნიშნული გამოწვევის ფონზე განსაკუთრებით აქტუალური ხდება შრომის ბაზრის მარეგულირებელ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, 2026 წლის პირველი მარტიდან ამოქმედებულმა რეგულაციამ, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის შრომითი საქმიანობის ნებართვის სავალდებულოობას ითვალისწინებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოს სამშენებლო სექტორზე, ვინაიდან იგი ტრადიციულად უცხოელი მუშახელის მაღალი წილით ხასიათდება (საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, 2016).

რეგულაციის გამკაცრებამ მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა სამუშაო ძალის მიწოდების შემცირება გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ნებართვების მიღების პროცედურა დროში გაწელილი ან ადმინისტრაციულად რთული იქნება. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, ზრდის მშენებლობის პროცესის შეფერხების ან პროექტების ვადების გახანგრძლივების რისკს. ამასთანავე, სამუშაო ძალის შეზღუდული მიწოდება, ეკონომიკური ლოგიკის შესაბამისად, ქმნის ზეწოლას შრომის ანაზღაურებაზე, რაც ხელფასების ზრდის ტენდენციაში გამოიხატება. ეს ყოველივე გააძვირებს სამშენებლო პროექტების თვითღირებულებას და შესაძლებელია აისახოს როგორც უძრავი ქონების ფასებზე, ისე სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობაზე (Business Media Georgia, 2026).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა შრომის ანაზღაურების დინამიკაც. მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი ხანგრძლივ პერიოდში მკაფიოდ მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ბოლო წლებში ზრდა განსაკუთრებით დაჩქარებულია. აღნიშნული ტენდენცია, ძირითადად, განპირობებულია შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის ზრდით, სექტორში საოპერაციო ხარჯების მატებითა და ინფლაციური პროცესებით.

შრომითი დანახარჯების ზრდა, ერთი მხრივ, დარგის გააქტიურების მაჩვენებელია, თუმცა, მეორე მხრივ, შრომის ბაზარზე არსებულ სტრუქტურულ დისბალანსზე მიუთითებს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2024 წელს 2023 წელთან შედარებით, სამშენებლო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება 15.4%-ით გაიზარდა (საქსტატი, 2025b).

გრაფიკი 1. მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება, ლარი (2006-2024)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შრომითი ხარჯების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამშენებლო სექტორში საერთო ხარჯების დინამიკის ანალიზი, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კოვიდ-პანდემიის საწყის პერიოდში (2020 წ.) ეკონომიკური აქტივობის შემცირებამ და პროექტების გადავადებამ ხარჯების მატება დროებით შეაჩერა, თუმცა 2021 წლიდან, ეკონომიკის აღდგენის პარალელურად, სამშენებლო ხარჯები მკვეთრად გაიზარდა და წლიურმა ზრდამ 10%-ს მიაღწია. აღნიშნული პროცესის ძირითად ფაქტორს სამშენებლო მასალების გაძვირება წარმოადგენდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მატებით იყო განპირობებული. შემდგომ პერიოდში კი ხარჯების ზრდაზე დამატებითი გავლენა იქონია ტრანსპორტირების, საწვავისა და ენერგორესურსების გაძვირებამ.

2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომმა დამატებით გააძლიერა ზეწოლა ხარჯებზე. რეგიონულ მიწოდების ჯაჭვებსა და სასაქონლო ბაზრებზე არსებულმა შეფერხებებმა წარმოების ხარჯების მკვეთრი ზრდა გამოიწვია - მშენებლობის ღირებულების ინდექსი (CCI) წლიურად 23%-ით გაიზარდა. 2023 წელს ხარჯების ზრდის ტემპი შენელდა (წლიური ზრდა - 12%), 2024 წელს ეს მაჩვენებელი 4%-ზე დაფიქსირდა. 2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემების მიხედვით კი ხარჯების დონე პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

გრაფიკი 2. მშენებლობის ღირებულების ინდექსი (2019 წლის საშუალო = 100, აშშ დოლარი)



წყარო: თიბისი კაპიტალი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამასთან, საგულისხმოა, სამშენებლო ხარჯების სტრუქტურული ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში - თუ საწყის ეტაპზე ძირითადი ფაქტორი სამშენებლო მასალების გაძვირება იყო, ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შრომითმა ხარჯებმა შეიძინა. აღნიშნული ტენდენცია ძირითადად დაკავშირებულია შრომის ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან, რაც საბოლოოდ სამშენებლო პროექტების საერთო ღირებულების ზრდაზე აისახება **(TBC Capital, 2025)**.

ამ პროცესების პარალელურად, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, სამშენებლო სექტორი საქართველოში ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს. კვლევები მიუთითებს, რომ სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც შიდა, ისე უცხოურ ინვესტიციებზე, ხოლო მისი ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული უძრავი ქონების ბაზრის გაფართოებასთან **(ჯალაღონია, პაპასქუა, & ყიფშიძე, 2022)**.

სამშენებლო ინდუსტრია და უძრავი ქონების ბაზარი კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნულ სექტორებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა, ერთი მხრივ, ციკლური მერყეობით, მეორე მხრივ, პოსტპანდემიური რეაბილიტაციის მკაფიო ტენდენციით ხასიათდება.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში ინვესტირების პიკური მაჩვენებელი 2022 წელს დაფიქსირდა, როდესაც დარგში მოზიდულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 372 586.2 ათას აშშ დოლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს ბაზარზე აღნიშნული მაჩვენებელი 125 911.2 ათას აშშ დოლარამდე შემცირდა, 2024 წლიდან კვლავ იკვეთება სტაბილური ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 2024 წელს ინვესტიციების მოცულობამ 181 994.1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 185 726.6 ათას აშშ დოლარს უტოლდება, რაც სექტორის გრძელვადიან მდგრადობაზე მიუთითებს.

პარალელურად, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უშუალოდ სამშენებლო ინდუსტრიის ტრანსფორმაციის ტრაექტორია. 2021 წელს დაფიქსირებული უარყოფითი საინვესტიციო ბალანსის (-7 905.7 ათასი აშშ დოლარი) შემდეგ, დარგმა სწრაფი აღდგენის პროცესი დაიწყო. 2023 წლისთვის მშენებლობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 88 694.5 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. მართალია, 2024 წელს დაფიქსირდა მაჩვენებლის დროებითი კლება (14 635.3 ათასი აშშ დოლარი), თუმცა 2025 წლის წინასწარი მონაცემებით იკვეთება საინვესტიციო აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა 95 663.2 ათას აშშ დოლარამდე, რაც ბოლო წლების განმავლობაში სექტორისათვის ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს.

საერთო მაკროეკონომიკური სურათის სინთეზური ანალიზი ცხადყოფს, რომ 2025 წლისათვის ქვეყანაში შემოსული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (1 688 665.1 ათასი აშშ დოლარი) ფონზე, სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორები მყარ პოზიციას ინარჩუნებენ (16.7%). წარმოდგენილი სტატისტიკური მოცემულობა ადასტურებს, რომ მიმდინარე გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, აღნიშნული დარგები მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება და საერთაშორისო კაპიტალის განთავსების პრიორიტეტულ მიმართულებებად რჩება **(საქსტატი, 2025d)**.

სამშენებლო სექტორში მაღალი საინვესტიციო აქტივობა დასტურდება სხვადასხვა ანალიტიკური კვლევით. კერძოდ, ერთ-ერთი წამყვანი საინვესტიციო ბანკის, Galt & Taggart-ის, ანგარიშების მიხედვით, საქართველოში მშენებლობის ნებართვების რაოდენობა ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს **(გალტ & თაგარტი. 2025; საქსტატი, 2025b)**.

გრაფიკი 3. მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა (2019-2025)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ პოზიტიური დინამიკის პარალელურად, ანალიტიკური მონაცემები მიუთითებს ბაზრის სტრუქტურულ ცვლილებებზე. ეკონომიკური აქტივობის ზრდის ფონზე საქართველოში, მათ შორის სამშენებლო და მასთან დაკავშირებულ სექტორებში, იკვეთება ბაზრის კონცენტრაციის ტენდენციები, რაც კონკურენტული გარემოს ეფექტიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს წარმოშობს. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებებით, აღნიშნული სფეროები მაღალი საკრედიტო აქტივობით გამოირჩევა, რაც ფინანსური რესურსების კონცენტრაციის გარკვეულ ნიშნებს აჩენს. სამშენებლო სექტორში ფინანსური და სტრუქტურული კონცენტრაციის ტენდენციები ზრდის როგორც რეგულირების ეფექტიანობის, ისე კონკურენციის დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების მნიშვნელობას **(საქართველოს ეროვნული ბანკი, 2025a, გვ. 10-11, 65)**.

ამ პროცესების ფონზე, სულ უფრო აქტუალური ხდება გრძელვადიანი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზება. თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრია თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის, სადაც ინოვაციების დანერგვა აღარ განიხილება როგორც უბრალოდ დამატებითი უპირატესობა, არამედ წარმოადგენს ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების უალტერნატივო პირობას.

ინოვაციური პროცესები საქართველოს სამშენებლო სექტორში შესაძლოა შემდეგ ძირითად მიმართულებებად გაერთიანდეს: პროცესების გაციფრულება, ენერგოეფექტური და ეკომეგობრული ტექნოლოგიების დანერგვა და ე.წ. PropTech (Property Technology) - უძრავი ქონების სექტორში ციფრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვა. აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც სამშენებლო პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე, ისე უძრავი ქონების მართვასა და ბაზარზე ოპერირების თანამედროვე სტანდარტების ფორმირებაზე.

ინდუსტრიის გაციფრულების კუთხით უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს შენობის ინფორმაციული მოდელირების (BIM - Building Information Modeling) დანერგვა. წამყვანი საინვესტიციო ბანკების ანალიტიკური მიმოხილვების თანახმად, BIM ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს შენობის სრული ციფრული მოდელირება პროექტირების ეტაპიდან ექსპლუატაციამდე და შემცირდეს საპროექტო ხარჯები, რაც ხელს უწყობს სამშენებლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული ტექნოლოგია

უზრუნველყოფს ხარჯთაღრიცხვის მაქსიმალურ სიზუსტეს და ამცირებს გაუთვალისწინებელი დანახარჯების რისკს, შედეგად ინვესტორისთვის უზრუნველყოფს უფრო მაღალ პროგნოზირებადობასა და უსაფრთხოებას.

ამავდროულად, უძრავი ქონების ბაზარზე ვითარდება ე.წ. PropTech (Property Technology) გადაწყვეტები, რომლებიც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას ქონების მართვისა და მომხმარებლის მომსახურების პროცესში. საქართველოში ეს ტენდენცია ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა და ძირითადად ვლინდება უძრავი ქონების ციფრული პლატფორმების გამოყენებასა და თანამედროვე საცხოვრებელ პროექტებში „ჭკვიანი“ სისტემების დანერგვაში **(BIM Solutions Georgia, 2022)**.

ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ასევე ენერგოეფექტურობა. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კანონს „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ენერგოეფექტურობის სფეროში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესის ნაწილს და ემყარება ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივების პრინციპებს. აღნიშნული რეგულაციები ხელს უწყობს ენერგიის მოხმარების შემცირებას, ენერგოეფექტური მინიმალური სტანდარტების დანერგვას, გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციასა და მდგრადი განვითარების პრინციპების გაძლიერებას **(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2020)**.

ამგვარად, ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოში ინოვაციების დამაჩქარებელი ფაქტორის როლს ასრულებს და ქმნის პირობებს სამშენებლო ინდუსტრიის ტექნოლოგიური მოდერნიზაციისთვის, რაც საბოლოოდ აისახება როგორც ენერგორესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, ისე უძრავი ქონების გრძელვადიან საინვესტიციო ღირებულებაზე.

ამასთან, ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური და რეგულაციური ცვლილებები ზრდის მოთხოვნას მწვანე პროექტების დაფინანსებაზე, რაც პირდაპირ აისახება საფინანსო სექტორის აქტივობაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2025 წელს მდგრადი შენობების დაფინანსება მწვანე დაკრედიტების მეორე ყველაზე დიდ კატეგორიას წარმოადგენდა, აღნიშნული მიმართულებით გაცემულმა სესხებმა მთლიანი მწვანე სასესხო პორტფელის 31.36% შეადგინა (0.59 მლრდ. ლარი), რაც წინა წელთან შედარებით 12 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია **(საქართველოს ეროვნული ბანკი, 2025ბ)**.

ამრიგად, ინოვაცია ხდება არა მხოლოდ კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საშუალება, არამედ რეგულაციური მოთხოვნებით განპირობებული აუცილებლობა. სამშენებლო სექტორის ინოვაციური ტრანსფორმაცია საქართველოში წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც აერთიანებს ციფრულ ტექნოლოგიებს, ენერგოეფექტურ მიდგომებსა და ახალი ტიპის მართვის მოდელებს. ეს ერთობლიობა ქმნის საფუძველს სექტორის უფრო ეფექტიანი, მდგრადი და ტექნოლოგიურად განვითარებული მომავლისთვის.

დასკვნა. წარმოდგენილი კვლევის შედეგების სინთეზური ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს სამშენებლო ინდუსტრია ფუნქციონირებს დინამიკურ და მრავალფაქტორულ გარემოში, სადაც მისი განვითარების ტრაექტორია განისაზღვრება როგორც მაკროეკონომიკური კონიუნქტურით, ისე შიდა სტრუქტურული მახასიათებლებით. სექტორი ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვან ფუნქციურ როლს ასრულებს, რაც ვლინდება დამატებული ღირებულების შექმნაში, დასაქმებისა და საინვესტიციო პროცესების სტიმულირებაში.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ანალიზი წარმოაჩენს, რომ სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების ძირითად გამოწვევებს შორის დომინირებს სტრუქტურული ხასიათის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება რესურსების განაწილების ეფექტიანობას, შრომის ბაზრის დისბალანსსა და ხარჯების დინამიკას. ერთ-ერთ პრობლემად იკვეთება კვალიფიციური სამუშაო ძალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რომელიც, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდის

პირობებში, განაპირობებს ხელფასების მატებას და, შესაბამისად, სამშენებლო პროექტების საერთო ღირებულების ზრდას. პარალელურად, შეინიშნება ხარჯების სტრუქტურული ცვლილება, სადაც მასალების გაძვირებას ეტაპობრივად ანაცვლებს შრომითი დანახარჯების ზრდა, რაც სექტორში ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესების საჭიროებას უსვამს ხაზს.

სექტორის განვითარების პერსპექტივების შეფასება აჩვენებს, რომ მისი გრძელვადიანი მდგრადობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციური მიდგომების ინტეგრაციაზე. ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, ენერგოეფექტური სტანდარტების განვითარება და ინვესტიციების სტრუქტურული ზრდა სექტორის ფუნდამენტური მოდერნიზაციის წინაპირობას ქმნის. ეს კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს ინდუსტრიის მდგრადობასა და ეფექტიან პოზიციონირებას გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

შესაბამისად, სამშენებლო სექტორის გრძელვადიანი და სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება, რომელიც ერთდროულად იქნება ორიენტირებული ინოვაციების წახალისებაზე, შრომის ბაზრის გაუმჯობესებასა და საინვესტიციო გარემოს გაძლიერებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და კვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის შემცირებას. ამავდროულად, აუცილებელია რეგულაციური ჩარჩოს ეფექტიანობის ამაღლება, ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა, რაც გააუმჯობესებს სექტორის პროდუქტიულობას.

ამრიგად, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება დამოკიდებულია ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური ფაქტორების ჰარმონიულ თანხვედრაზე. მხოლოდ კომპლექსური და თანმიმდევრული მიდგომის პირობებში გახდება შესაძლებელი სექტორის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზება და მისი გარდაქმნა მდგრადი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გალტ & თაგარტი. (2025). *თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება: 2025 სრული წლის შეჯამება.* https://ramad.bog.ge/s3/galt/HfnYlQlW-Tbilisi-Residential-Real-Estate_GEO_December-2025.pdf

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2019). *სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა.* https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=81be4d7d-c758-4ec8-a688-222703a43b5e

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2024). *არქიტექტორების და ინჟინერმშენებლების სერტიფიცირების შესახებ, რეგულირების ზეგავლენის შეფასება.*

https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/2024/ria/ria_sertificireba.pdf

4. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2025a). *ფინანსური სტაბილურობის ანგარიში.* https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports

5. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2025b). *მწვანე სესხების მონაცემთა დაფა*. https://reports.nbg.gov.ge/f1a77cc6-e0e0-4ce1-b184-238b773e44f2/5b69f3b9-ff2a-4a11-8c37-3f3ae06f0e07

6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2015). *საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ*. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2806732

7. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2020). *საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ*. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4873932

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025a). *მთლიანი შიდა პროდუქტი - 2025 წელი*. https://www.geostat.ge/media/77717/მთლიანი-შიდა-პროდუქტი---2025-წელი.pdf

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025b). *მშენებლობა*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025c). *დასაქმება და უმუშევრობა*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025d). პირდაპირი უცხოური *ინვესტიციები*. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

12. ჯალაღონია, დ., პაპასქუა, ი., & ყიფშიძე, გ. (2022). *სამშენებლო ბიზნესი: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები საქართველოში. ბიზნესი და კანონმდებლობა*, *15*(1), 17-30. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/issue/view/67/11

13. BIM Solutions Georgia. (2022). *BIM Solutions საქართველოში*. https://bimsolutions.ge/სიახლეები/bim-solutions-საქართველოში/

14. Business Media Georgia. (2026). *უცხოელი მუშახელის დასაქმების ახალი წესები საქართველოში*. https://bm.ge/news/utskhoeli-mushakhelis-dasaqmebis-akhali-tsesebi-saqartveloshi

15. Civil Georgia. (2026). *საქსტატი: 2025 წელს საქართველოს მშპ 7.5%-ით გაიზარდა*. https://civil.ge/ka/archives/719440

16. Karkashadze, N., Benidze, N., Bitsadze, J., & Mikabadze, S. (2022). *Modern problems of construction business and ways of development. Globalization and Business*, *4*(3). https://doi.org/10.52340/gs.2022.04.03.19

17. TBC Capital. (2025). *Construction sector at a glance*. https://tbccapital.ge/static/file/202506232209-construction-sector-at-a-glance.pdf

18. Yu, W., Huang, H., & Zhu, K. (2023). *Enhancing construction enterprise financial performance through digital inclusive finance: An insight into supply chain finance*. Sustainability, *15*(13), 10360. https://doi.org/10.3390/su151310360

ავთენტურობის გამაძლიერებელი თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენცია - Vibe Coding: ხელოვნური ინტელექტის როლი ბრენდის ემოციური იდენტობის ფორმირებაში
Modern Technological Trends in Authenticity Amplification - Vibe Coding: The Role of Artificial Intelligence in Shaping Brand Emotional Identity

ლუკა ნადირაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
დევი შონია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0000-0001-9801-1039
Luka Nadirashvili
Sokhumi State University
Doctoral Student / Ph.D. Candidate
Devi Shonia
Sokhumi State University
Associate Professor

აბსტრაქტი. თანამედროვე მარკეტინგის მნიშვნელოვან გამოწვევას ტექნოლოგიურ ტენდენციებთან კავშირში ბრენდის ემოციური იდენტობის შენარჩუნება წარმოადგენს. ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ გარკვეული რუტინული პროცესების ავტომატიზაციისთვის გამოიყენება, არამედ ის წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენს, რომელიც გარკვეულწილად აყალიბებს და აძლიერებს ბრენდის იდენტობას. „VIBE CODING"-ის ეპოქაში, ბრენდინგი მოთხოვს იმ სტრატეგიებს, რომლებიც მიზნობრივი აუდიტორიისათვის ავთენტური და ემოციური გარემოს მიღწევას უზრუნველყოფენ.

ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, ბრენდის ავთენტურობა მხოლოდ მის ალგორითმულ სიზუსტეს არ მოიაზრებს. მომხმარებლები ბრენდებისგან რეალური სახის შეინარჩუნებას და მეტ ადამიანურ, გულწრფელ კომუნიკაციას ელიან.

ჩვენი კვლევის მიზანია ლოიალური მომხმარებლების დამოკიდებულების დადგენა იმ ბრენდების მიმართ, რომელთა მენეჯერები კომუნიკაციის სტრატეგიებში აქტიურად იყენებენ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ პლატფორმებს. კვლევის მეთოდოლოგია დაეყრდნობა იმ წარმატებული კომპანიების ქეისების შესწავლას, რომელებიც ეფექტურად ახდენენ ბრენდინგში Vibe Coding ტექნოლოგიის სინთეზს ემოციურ კავშირთან.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დაეხმარებას გაუწევს იმ კომპანიებს, რომელთაც სურთ წარმატებული პოზიციონირება ბაზარზე ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, თუმცა ვერ საზღვრავენ ხელოვნური ინტელექტის გამოიყენების მაშტაბებს პროცესების გასამარტივებლად და შედეგების გასაუმჯობესებლად. ეს კვლევა ასევე დაეხმარება მარკეტერებს იმის დადგენაში, თუ სად გადის ზღვარი ემოციურ და ხელოვნურ კომუნიკაციას შორის და როგორ მართონ ეს ზღვარი გონივრულად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, Vibe Coding, ციფრული მარკეტინგი, ბრენდის იდენტობა, მომხმარებლის ლოიალობა.

Abstract. A significant challenge in contemporary marketing, specifically in relation to technological trends, is the preservation of a brand's emotional identity. Artificial intelligence is no longer utilized merely for the automation of routine processes; rather, it represents a powerful instrument that shapes and amplifies brand identity to a certain extent. In the era of "Vibe Coding," branding demands strategic frameworks that ensure the realization of an authentic and emotional environment for the target audience.

In the context of digital transformation, brand authenticity encompasses more than just algorithmic precision. Consumers increasingly expect brands to maintain a genuine persona and engage in more human, sincere communication.

The objective of our research is to determine the attitudes of loyal consumers toward brands whose managers actively integrate artificial intelligence-generated platforms into their communication strategies. The research methodology relies on case studies of successful companies that effectively synthesize Vibe Coding technology with emotional connection within their branding frameworks.

The findings of this study will provide substantial assistance to companies seeking successful market positioning under the conditions of digital transformation, yet struggling to delineate the proper scale of AI utilization for process optimization and performance enhancement. Furthermore, this research will assist marketers in identifying where the boundary lies between emotional and artificial communication, and how to manage this threshold prudently.
Keywords: Artificial Intelligence, Vibe Coding, Digital Marketing, Brand Identity, Consumer Loyalty.

შესავალი

თანამედროვე მარკეტინგში ხელოვნური ინტელექტის ფუნქცია მხოლოდ რუტინული პროცესების ავტომატიზაციით აღარ შემოიფარგლება და იგი ბრენდის იდენტობის ფორმირების მძლავრ ინსტრუმენტად გადაიქცა. კომპანიები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს მომხმარებელთან ემოციური კავშირის დასამყარებლად და პერსონალიზებული გამოცდილების შესაქმნელად (TĂNASE n.d., 5). ციფრულ ეპოქაში, როდესაც მომხმარებლები ბრენდებისგან მეტ გულწრფელობასა და ადამიანურ კომუნიკაციას ელიან, განსაკუთრებით ფასეული ხდება ბრენდის ავთენტურობა. ავთენტურობა ხომ ხშირად ხარისხზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორიც კია გადაწყვეტილების მიღებისას (Kirkby 2023, 2). სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ შეუძლია ხელოვნურ ინტელექტსა და ისეთ ახალ ტენდენციას, როგორიცაა „Vibe Coding“, ანუ ბუნებრივ ენაზე დიალოგით შინაარსის შექმნა (Uzwyshyn 2025, 3), ხელი შეუწყოს ავთენტური ემოციური იდენტობის ჩამოყალიბებას და სად გადის ზღვარი ემოციურსა და ხელოვნურ კომუნიკაციას შორის.

თეორიული საფუძვლები/მიმოხილვა

ბრენდინგის თანამედროვე გაგებამ პროდუქტის ფუნქციური მახასიათებლებიდან ემოციურ კავშირებზე გადაინაცვლა. თუ ადრე ბრენდი მხოლოდ პროდუქტის საიდენტიფიკაციო „სახელი“ იყო, დღეს მომხმარებლები მასში გარკვეულ მნიშვნელობას ეძებენ და ადამიანურ მახასიათებლებს ანიჭებენ (Sinding 2024, 12; Lund University 2025, 14). სწორედ ამ იდეას ეფუძნება ემოციური ბრენდინგის თეორია, რომელიც, მარკ გობეს (Marc Gobé) მიხედვით, ოთხ მთავარ საყრდენს - ურთიერთობას, სენსორულ გამოცდილებას, წარმოსახვასა და ხედვას - მომხმარებელთან მჭიდრო, ემოციური კავშირის დასამყარებლად იყენებს (Sinding 2024, 28). ამ მიდგომის მიზანია, ბრენდმა ნდობისა და ავთენტურობის განცდა შექმნას, რაც ლოიალობის ზრდის საფუძველი ხდება (TĂNASE n.d., 3).

ციფრულ ეპოქაში ამ ემოციური კავშირების შესაქმნელად კომპანიები სულ უფრო ხშირად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს (AI), რომელიც პერსონალიზებული შინაარსის შექმნის საშუალებას იძლევა (TĂNASE n.d., 3). თუმცა, ეს ტექნოლოგია ავთენტურობასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს, რადგან AI-ს მიერ შექმნილი შინაარსი მომხმარებელმა შესაძლოა არაგულწრფელად და მანიპულაციურად აღიქვას (TĂNASE n.d., 1). ამ ფონზე ჩნდება „Vibe Coding“ - პროგრამირების ახალი მიდგომა, სადაც კოდი პირდაპირი წერის ნაცვლად AI-სთან საუბრით იქმნება (Sarkar 2024, 1). ეს ინტუიციური, შემოქმედებითი პროცესია, რომელიც AI-ს კრეატიულ პარტნიორად აქცევს და ბრენდებს ემოციური შინაარსის სწრაფად შექმნის შესაძლებლობას აძლევს (Brennan 2025, 1; Uzwyshyn 2025, 6). ამრიგად, Vibe Coding-ის გამოყენება ბრენდის ემოციური იდენტობის ფორმირებისთვის მთავარ კვლევით კითხვას წარმოშობს: სად გადის ზღვარი ტექნოლოგიით გაძლიერებულ ავთენტურობასა და „ავთენტურ სიყალბეს“ შორის (Foroudi 2026, 21).

კვლევის მეთოდები/შერჩევის დასაბუთება

კვლევა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას ეფუძნება, რადგან მისი მიზანი ბრენდის ემოციური იდენტობისა და ავთენტურობის მსგავსი სუბიექტური საკითხების ჩაღრმავებული შესწავლაა. თვისებრივი მიდგომა, როგორც წესი, მკვლევარს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს

იმ სუბიექტურ მნიშვნელობებსა და გამოცდილებებს, რომლებსაც მომხმარებლები ბრენდთან ურთიერთობისას იღებენ, რაც რაოდენობრივი მონაცემებით რთული დასადგენია (Puente 2025, 33). კერძოდ, გამოყენებული იქნება წარმატებული კომპანიების ქეისების შესწავლის (Case Study) მეთოდი, რომლებიც ბრენდინგში ეფექტიანად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ არსებული პრაქტიკა და გამოვავლინოთ ის კონკრეტული სტრატეგიები, რომლებსაც კომპანიები რეალურ გარემოში იყენებენ, პირველადი მონაცემების შეგროვების გარეშე (Bellamkonda 2026, 1945). შესაბამისად, ქეისები იმის მიხედვით შეირჩევა, თუ რამდენად ეფექტურად ახერხებენ ბრენდები Vibe Coding ტექნოლოგიისა და ემოციური კავშირის სინთეზს თავიანთ საკომუნიკაციო სტრატეგიებში, რაც კვლევის მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს.

ანალიზი

„Vibe Coding“-ის პრინციპი, რომელიც ხელოვნურ ინტელექტთან (AI) ინტუიციურ და შემოქმედებით პარტნიორობას გულისხმობს, ბრენდინგშიც აქტიურად იკვეთება (Brennan 2025, 1). კომპანიები ცდილობენ, AI-ის გამოყენებით შექმნან ისეთი ემოციური და ავთენტური გარემო, რომელიც მომხმარებელს მიიზიდავს. ამის კონკრეტული მაგალითებია ვირტუალური ინფლუენსერები, როგორიცაა Lil Miquela, ან Burger King-ის კამპანია, რომელმაც იუმორით გამოიყენა „AI-ის მიერ დაწერილი“ რეკლამები (Kirkby 2023, 12, 14). თუმცა, ეს პროცესი მარტივი არაა, რადგან მომხმარებლები ბრენდებისგან სულ უფრო მეტ გულწრფელ და ადამიანურ კომუნიკაციას ითხოვენ, ავთენტურობა კი ხშირად ხარისხზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმიც კია (Kirkby 2023, 3). შესაბამისად, მთავარ კითხვად რჩება, როგორ შეიძლება „ხელოვნური“ ინსტრუმენტით „ავთენტური“ კავშირის დამყარება.

ამ კითხვაზე პასუხისას კომპანიები ე.წ. „გამჭვირვალობის დილემის“ წინაშე დგებიან (Sarkar 2024, 23). კანონმდებლობაც და ეთიკური მოლოდინებიც, მაგალითად ევროკავშირში, სულ უფრო მეტად მოითხოვს AI-ის გამოყენების გამჟღავნებას (Kirkby 2023, 2). თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ AI-ის გამოყენების აღიარებამ შესაძლოა შეამციროს მომხმარებლის ნდობა და კომპანია ნაკლებად კომპეტენტური გამოაჩინოს (Sarkar 2024, 23). მართალია, ერთ-ერთმა ექსპერიმენტმა დაადგინა, რომ AI-ის მიერ დაწერილი ტექსტის გამჟღავნებას ბრენდის ავთენტურობის აღქმაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ სხვა კვლევებით, ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტი მაინც უფრო ავთენტურად ფასდება (Kirkby 2023, 3). ეს ბრენდებს რთული არჩევანის წინაშე აყენებს, თუ როგორ დააბალანსონ გულწრფელობა და რეპუტაციის რისკები.

გამოსავალი, როგორც ჩანს, AI-ის შესაძლებლობების სწორად გამოყენებაშია. AI-ის ავთენტურობა არ ნიშნავს, რომ მან ადამიანს უნდა მიბაძოს. მისი სიძლიერე შესაძლოა მისსავე სიზუსტეში, სანდოობასა და საკუთარი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გულახდილ აღიარებაში მდგომარეობდეს (Foroudi 2026, 5).

მაგალითად, ბრენდის ჩატ-ბოტი შეიძლება აღიქმებოდეს ავთენტურად, თუ ის ემპათიის იმიტაციის ნაცვლად ზუსტი და სწრაფი ინფორმაციის მოწოდებას ცდილობს, რადგან სიზუსტე ავთენტური AI-ის საბაზისო მოთხოვნადაა მიჩნეული (Foroudi 2026, 5). ცხადია, ტექნოლოგია ადამიანურ კავშირს სრულად ვერ ჩაანაცვლებს.

ამიტომ AI შემცვლელად კი არა, დამხმარე საშუალებად უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ბრენდს მომხმარებელთან ურთიერთობის გაღრმავებაში დაეხმარება (TĂNASE n.d., 8).

განხილვა/რეკომენდაციები

ანალიზი აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტისა და „Vibe Coding“ ტექნოლოგიის გამოყენება ბრენდის ემოციური იდენტობის გასაძლიერებლად სავსებით შესაძლებელია.

გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გამჟღავნება სულაც არ ამცირებს ბრენდის ავთენტურობის აღქმას და არც მისდამი დამოკიდებულებას აუარესებს (Kirkby 2023, 3). მთავარი გამოწვევაა, ბრენდმა ხელოვნური ინტელექტი ადამიანის იმიტაციის ნაცვლად, ავთენტურობის დასამკვიდრებლად გამოიყენოს, რაც სიზუსტით, სანდოობითა და საკუთარი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გულწრფელი აღიარებით მიიღწევა (Foroudi 2026, 5). ამ მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა „Vibe Coding"-ის პრაქტიკა, რომელიც ბრენდს იტერაციული ციკლებით („Prompt-Test-Run-Repeat") მესიჯების დახვეწისა და სასურველი ემოციური ტონის მიღწევის საშუალებას აძლევს (Sarkar 2024, 8; Uzwyshyn 2025).

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ემოციური ჩართულობისთვის სერიოზულ ეთიკურ საკითხებსაც წამოჭრის, როგორიცაა მომხმარებლის მანიპულაცია, პერსონალური მონაცემების ხელყოფა და ემოციური პროფაილირების საფრთხე (TĂNASE n.d., 8; Puente 2025, 59-64). ამიტომ ამ ტექნოლოგიების დანერგვისას, ბრენდის სტრატეგია გამჭვირვალობასა და მომხმარებლის ავტონომიის პატივისცემას უნდა ემყარებოდეს. ხელოვნური ინტელექტი ადამიანური კავშირის გასაძლიერებელ დამხმარე ინსტრუმენტად უნდა იქნეს გამოყენებული და არა მის ჩასანაცვლებლად (TĂNASE n.d., 8-9). დაბოლოს, მომხმარებლის ნდობისა და ლოიალობის შესანარჩუნებლად აუცილებელია იმ ზღვრის მკაფიოდ განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ემოციური კომუნიკაცია ხელოვნურში არ გადაიზრდება.

დასკვნა/შემდეგი კვლევის მნიშვნელობა

კვლევამ აჩვენა, რომ ბრენდის ემოციური იდენტობის ფორმირებისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ავთენტურობის საპირისპირო ცნება სულაც არ არის. კვლევის მთავარი მიგნებაა, რომ ტექნოლოგიის ავთენტურობა განისაზღვრება არა ადამიანური ემოციების იმიტაციით, არამედ მისივე უნიკალური მახასიათებლებით, როგორიცაა სიზუსტე, სანდოობა და საკუთარი შესაძლებლობების გულწრფელი აღიარება. ამ მხრივ, „Vibe Coding"-ის მსგავსი მიდგომები ბრენდებს საშუალებას აძლევს, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენონ შემოქმედებით პარტნიორად და არა ადამიანის შემცვლელად, რაც სასურველი ემოციური ტონალობის დახვეწასა და მომხმარებელთან კავშირის გაღრმავებაში ეხმარება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გამჟღავნება მომხმარებლის ნდობას ავტომატურად არ ამცირებს. პირიქით, გამჭვირვალობამ შესაძლოა ბრენდის გულწრფელობის აღქმა გააძლიეროს. თუმცა, ამ პროცესში ეთიკური საკითხები, როგორიცაა მონაცემთა დაცვა და ემოციური მანიპულაციის რისკები, კვლავ უმთავრეს გამოწვევად რჩება.

აქედან გამომდინარე, სამომავლო კვლევებისთვის საინტერესო იქნება რამდენიმე მიმართულება. პირველ რიგში, შესწავლაა საჭირო ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ემოციური კომუნიკაციის გრძელვადიანი ფსიქოლოგიური გავლენისა მომხმარებელზე. აგრეთვე, გასარკვევია, როგორ განსხვავდება სხვადასხვა კულტურული და დემოგრაფიული ჯგუფების დამოკიდებულება „ხელოვნური ავთენტურობის" მიმართ.

და ბოლოს, პერსპექტიულია ისეთი ჩარჩოს ან მოდელის შემუშავება, რომელიც ბრენდებს დაეხმარება, შეაფასონ და მართონ ეთიკური რისკები ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ემოციური იდენტობის სტრატეგიების დანერგვისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bellamkonda, K. 2026. "Analyzing the Role of Emotions in Branding and Its Impact on Consumer Decision-Making." *International Journal of Scientific Research and Engineering Development* 9 (2): 1941–1944. https://ijsred.com/volume9/issue2/IJSRED-V9I2P283.pdf (04.05.2026).

2. Brennan, K., and J. Wolf. 2025. "Vibe Coding." *Harvard Graduate School of Education*. https://kbrennan.scholars.harvard.edu/sites/g/files/omnuum5186/files/2026-02/T564A_2025_Syllabus.pdf (04.05.2026).

3. Foroudi, P., M. Robson, R. Marvi, and S. Spyropoulou. 2026. "Enhancing Customer Engagement Through Artificial Intelligence Authenticity." *Journal of Product Innovation Management* 43 (1): 76–98. https://doi.org/10.1111/jpim.70008

4. https://orca.cardiff.ac.uk/id/eprint/181225/1/J%20of%20Product%20Innov%20Manag%20-%202025%20-%20Foroudi%20-%20Enhancing%20Customer%20Engagement%20Through%20Artificial%20Intelligence%20Authenticity.pdf (04.05.2026).

5. Kirkby, A., C. Baumgarth, and J. Henseler. 2023. "To disclose or not disclose, is no longer the question – effect of AI-disclosed brand voice on brand authenticity and attitude." *Journal of Product & Brand Management* 32 (7): 1108–1122. https://doi.org/10.1108/JPBM-02-2022-3864.

6. https://research.unl.pt/ws/portalfiles/portal/64446583/To_disclose_or_not_disclose_is_no_longer_the_question_effect_of_AI_disclosed_brand_voice_on_brand_authenticity_and_attitude.pdf (04.05.2026).

7. Lund University, Department of Strategic Communication. 2025. "The Boring But Very Important Thesis." *Lund University, Department of Strategic Communication*. https://lup.lub.lu.se/student-papers/record/9192331/file/9192335.pdf (04.05.2026).

8. Puente, C. 2025. "Understanding the Role of Emotions in Consumer Purchase Intention: A Comparative Study between Sweden and Chile." *Högskolan i Skövde*. https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1986558/FULLTEXT01.pdf (04.05.2026).

9. Sarkar, A., and I. Drosos. 2024. "Vibe coding: programming through conversation with artificial intelligence." *advait.org*. https://advait.org/files/sarkar_2025_vibe_coding.pdf (04.05.2026).

10. Sinding, M. R. 2024. "EMOTIONAL BRANDING ON TIKTOK: A CASE STUDY OF GYMSHARK AND CONSUMER PERCEPTIONS." *Aalborg University*. https://projekter.aau.dk/projekter/files/718503418/Master_s_Thesis.pdf (04.05.2026).

11. TĂNASE, C. n.d. "The Integration of Emotional Intelligence into AI Marketing: Connecting Brands with Consumers." *crd-aida.ro*. http://crd-aida.ro/RePEc/rdc/v15i1/3.pdf (04.05.2026).

12. Uzwyshyn, R. 2025. "Vibe Coding: For AI-Driven Development An Introduction for Research and Learning." *University of California Riverside*. https://rayuzwyshyn.net/UCRiverside2025/VibeCoding/Vibe%20Coding_%20AI-Driven%20DevelopmentRU13CombinedFinal.pdf (04.05.2026).

მომხმარებელთა გადინების პროგნოზირება გაყიდვების სექტორში მანქანური სწავლების ალგორითმების გამოყენებით

Predicting Customer Churn in the Sales Sector Using Machine Learning Algorithms

გულნარა ჯანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
ია აფციაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტ. პროფესორი
Gulnara Janelidze
Professor, Georgian Technical University
Ia Aptsiauri
Georgian Technical University
Assistant-Professor

აბსტრაქტი. მომხმარებელთა გადინება ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. გაყიდვების სფეროში ეს პროცესი დაკავშირებულია კლიენტის მიერ ბიზნეს ურთიერთობის შეწყვეტასთან, რაც პირდაპირ აისახება კომპანიის შემოსავლებზე, ზრდის დანახარჯებს ახალი კლიენტების მოსაზიდად და ზოგჯერ ბიზნესის დახურვის საფრთხესაც ქმნის. ტრადიციული ანალიტიკისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ მომხდარ ფაქტებს აღრიცხავს, მანქანური სწავლება ბიზნესს აძლევს პროგნოზირების უნარს. მისი საშუალებით კომპანია გადადის რეაგირების რეჟიმიდან პრევენციულ ქმედებებზე.

ნაშრომში განსაზღვრულია გადინების განმაპირობებელი ძირითადი ცვლადები და ჩამოყალიბებულია მათი პროგნოზირების ოპტიმალური სტრატეგიები მანქანური სწავლების მიდგომების გამოყენებით.

ნაშრომში მომხმარებელთა გადინების პროგნოზირებისთვის დამუშავებულია მოდელი შემთხვევითი ტყის (Random Forest) და ექსტრემალური გრადიენტული გაძლიერების (XGBoost) ალგორითმების გამოყენებით, რომლებიც ყველაზე პოპულარული და ეფექტური არჩევანია მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად. ორივე მათგანი ეფუძნება გადაწყვეტილების ხეების მიდგომებს. Random Forest ალგორითმი ეფექტურად უმკლავდება გამოტოვებულ მონაცემებსა და დიდ ცხრილებს, რაც საუკეთესო არჩევანია პროგნოზირების ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადების განსაზღვრისთვის. XGBoost ალგორითმი წარმოუდგენლად ზუსტია და მუშაობს ძალიან სწრაფად. მას აქვს ჩაშენებული მექანიზმები რეგულირებისთვის, რაც მოდელს უფრო მოქნილს ხდის და იდეალურია მაშინ, როცა მონაცემები არაბალანსირებულია.

ნაშრომში დამუშავებულია ორეტაპიანი ჰიბრიდული მოდელი, რომელიც აერთიანებს Random Forest-ისა და XGBoost-ის უპირატესობებს. წარმოდგენილი მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა სიღრმისეულ დამუშავებას, არაწრფივი დამოკიდებულებების ეფექტურ აღქმას და ოპტიმიზებული გადაწყვეტილებების ფორმირებას კლიენტთა ქცევის პროგნოზირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელთა გადინება, Random Forest, XGBoost.

Abstract. Customer churn is one of the most important indicators of business viability. In the business sphere, this process refers to the termination of business relationships by clients. This directly impacts company revenue, increases the costs of acquiring new customers, and sometimes even poses a threat of business closure. Unlike traditional analytics, which only records past events, machine learning provides businesses with predictive capabilities. It allows the company to move from response mode to preventive action.

The paper identifies the key variables driving churn and establishes optimal prediction strategies using machine learning approaches.

In this work, a model for predicting customer churn has been developed using Random Forest and Extreme Gradient Boosting (XGBoost) algorithms, which are the most popular and effective choices for solving this specific task. Both of them are based on decision tree approaches. The Random Forest algorithm effectively handles missing data and large datasets, making it an excellent choice for identifying the most significant predictor variables. The XGBoost algorithm is incredibly accurate and works very fast. It has built-in mechanisms for regularization, which makes the model more flexible and ideal for cases where data is imbalanced.

The paper implements a two-stage hybrid model that combines the advantages of both Random Forest and XGBoost. The developed approach ensures in-depth data processing, effective perception of non-linear relationships, and the formation of optimized decisions in the process of predicting customer behavior.

Keywords: Customer Churn, Random Forest, XGBoost.

მომხმარებელთა გადინება ანუ მომხმარებელთა რაოდენობის კლება, გამოიხატება ქმედებებში, როდესაც კლიენტები წყვეტენ ბიზნეს ურთიერთობას კომპანიასთან ან სერვისთან, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ნებისმიერი ბიზნესისთვის, რომელიც ეყრდნობა რეგულარულ შემოსავალს. მომხმარებელთა გადინებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საწარმოებზე, რაც იწვევს როგორც პოტენციურ მოგება-ზარალს, ისე ბიზნესის დახურვის საფრთხეს. მომხმარებლებმა შესაძლოა შეიცვალონ პროვაიდერი სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის: ფასის, პროდუქტის მიწოდების მეთოდების ან კლიენტთა მომსახურების ხარისხის გამო. გადინების მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს პროდუქტის დაბალი ხარისხი ან უსაფრთხოების ნაკლებობის განცდა. გარდა ამისა, მომხმარებელთა წასვლას განაპირობებს არსებული შეთავაზებებით უკმაყოფილება ან დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები. როდესაც კლიენტები მიდიან, ბიზნესი დიდ ხარჯებს განიცდის, ამიტომ მომხმარებლის შენარჩუნება კრიტიკულია ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის. მომხმარებელთა გადინების გააზრება გადამწყვეტია არსებული კლიენტების შესანარჩუნებლად და ახლების მოსაზიდად. მიზეზების ანალიზით კომპანიას შეუძლია გამოავლინოს პრობლემური წერტილები და გააუმჯობესოს მომსახურება.

მონაცემთა ანალიზის მეშვეობით გადინების პროგნოზირება გადამწყვეტია კლიენტების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად, რადგან ეს კომპანიებს საშუალებას აძლევს, წინასწარ განსაზღვრონ წასვლის სავარაუდო მიზეზები და მიიღონ ადრეული ზომები მათ მოსაგვარებლად.

მანქანური სწავლება (**Machine Learning**) გარდამტეხ როლს ასრულებს მომხმარებელთა გადინების ანალიზში, რადგან ის სტატიკური ანგარიშგებებიდან გადადის პროგნოზირებად ქმედებებზე. თუ ადრე ბიზნესი მხოლოდ ფაქტის დადგომის შემდეგ იგებდა კლიენტის წასვლის შესახებ, ML საშუალებას იძლევა, ეს პროცესი წინასწარ იქნას განსაზღვრული და შესაბამისი ზომები მიღებული. თუ ტრადიციული ანალიტიკა პასუხობს კითხვას: „რამდენი მომხმარებელი წავიდა გასულ თვეში?“. მანქანური სწავლება პასუხობს: „ვინ წავა მომავალ თვეში?“. ეს საშუალებას იძლევა, მარკეტინგულმა გუნდმა კრიტიკულ წერტილებზე გააკეთოს აქცენტები და შესთავაზოს ფასდაკლება ან ბონუსი მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც "რისკ-ზონაშია", რაც ზოგავს კომპანიის რესურსებს [1,2].

აღსანიშნავია, რომ ადამიანისთვის რთულია ასობით ცვლადის ერთდროულად გაანალიზება. ML ალგორითმებს შეუძლიათ აღმოაჩინონ არაწრფივი კავშირები, რომლებიც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ჩანს. გასათვალისწინებელია, რომ ყველა მომხმარებელი ერთი და იმავე მიზეზით არ მიდის. მანქანური სწავლება აჯგუფებს კლიენტებს გადინების მიზეზების მიხედვით, რაც შეიძლება იყოს: ეკონომიური სეგმენტი: მგრძნობიარეა ფასის მიმართ, ტექნიკური სეგმენტი: უკმაყოფილოა ინტერფეისით ან ხარვეზებით, პასიური სეგმენტი: უბრალოდ დაკარგა ინტერესი პროდუქტის მიმართ.

აღნიშნული პრობლემები მოითხოვს რეალურ დროში მონაცემთა ნაკადების სწრაფად დამუშავების საჭიროებას. ეს არის მომენტი, სადაც მონაცემთა მეცნიერება ხვდება უშუალოდ ბიზნეს-სტრატეგიას. რეალურ დროში შეფასება მიგვანიშნებს, რომ მოდელი აღარ არის სტატიკური „წარსულის ანგარიში“, არამედ ის მოქმედებს როგორც ცოცხალი ორგანიზმი. საჭიროა ინსტრუმენტების გამოყენება, როდესაც მომხმარებელთა ყოველი ხდომილება წამიერად მიეწოდება მოდელს და როდესაც მომხმარებელი ასრულებს კრიტიკულ ქმედებას, მაგალითად აუქმებს შეძენას, მოდელი წამში ითვლის ახალ ალბათობას და საჭიროების შემთხვევაში ააქტიურებს წინასწარ გამზადებულ სცენარს [3].

ტრადიციული სტატისტიკური მეთოდები ხშირად ვერ ამჩნევენ არაწრფივ კავშირებს მონაცემებს შორის. მანქანური სწავლების ალგორითმებს, როგორიცაა XGBoost ან Random Forest, შეუძლიათ გააანალიზონ ასობით ცვლადი ერთდროულად და იპოვონ ისეთი მინიშნებები, რომლებიც ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველია. მაგალითად, კლიენტი შეიძლება არ წყვეტდეს მომსახურების გამოყენებას მკვეთრად, მაგრამ მისი ქცევის მცირე ცვლილებები (შესვლის სიხშირის შემცირება, ტრანზაქციის ტიპის ცვლილება) მიანიშნებდეს სამომავლო გადინებაზე. როდესაც საქმე ეხება მილიონობით მომხმარებელს, მონაცემების ხელით დამუშავება შეუძლებელია. მანქანური სწავლების (ML) მოდელები მუშაობენ რეალურ დროში, ავტომატურად ახდენენ კლიენტების სეგმენტაციას რისკის დონის მიხედვით და იძლევიან საშუალებას, ბიზნესმა მყისიერი რეაგირება მოახდინოს. მანქანური სწავლება არ ადგენს მხოლოდ იმას, თუ ვინ წავა; ის ხშირად გვეხმარება იმის გააზრებაში თუ რა არის ამის მიზეზი. ეს საშუალებას აძლევს მარკეტინგის გუნდს, შეიმუშაოს ინდივიდუალური შეთავაზებები [4,5].

გაყიდვების სექტორში კლიენტთა გადინების პროგნოზირებისთვის, მოდელის ხარისხი პირდაპირდამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად აღწერს მონაცემები კლიენტის ქცევას დროში. მხოლოდ დემოგრაფიული მონაცემები საკმარისი არ არის — მთავარი ძალა ტრანზაქციულ დინამიკაშია. ტრანზაქციის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემებია: შესყიდვების თარიღი, შესყიდვების სიხშირე, ჯამური დანახარჯი, პროდუქტების კატეგორიები. კლიენტის ქცევითი მონაცემებია: აპლიკაციაში შესვლის ისტორია, კალათაში დამატებული, მაგრამ არანაყიდი ნივთები, ძებნის ისტორია. მომსახურების ხარისხი და უკუკავშირი გადინების ნეგატიური გამოცდილების პირდაპირი მიზეზია. დემოგრაფიული და სტატიკური პროფაილი გვეხმარება სეგმენტაციაში. მანქანური სწავლების მოდელისთვის საჭიროა მონაცემთა გარდაქმნა. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რას ვუწოდებთ წასულ კლიენტს ანუ რამდენი დღეა მას არაფერი შეუძენია. „დარჩა“ აღვნიშნოთ 0-ით, ხოლო „წავიდა“ - 1-ით. ნედლი მონაცემების ანალიზიდან მივიღოთ ნიშან-თვისებები, მაგალითად - შესყიდვის თარიღიდან - დღეების რაოდენობა ბოლო შესყიდვიდან, ტრანზაქციების სიიდან - შესყიდვების საშუალო სიხშირე თვეში, დაბადების თარიღიდან-კლიენტის ასაკი და სხვა.



ნახ. 1 random Forest მოდელი

Random Forest მეთოდი აშენებს უამრავ დამოუკიდებელ ხეს და მათ ერთ „ტყედ“ აერთიანებს. იგი ძირითადად სამ ოპერაციას ეფუძვნება: შემთხვევითობა, ნიშან-თვისებების შერჩევა და ხმის მიცემა. ალგორითმი მონაცემთა ბაზიდან შემთხვევითობის პრინციპით ირჩევს სხვადასხვა ნიმუშებს თითოეული ხისთვის. ყოველი ხის აგებისას, ის შემთხვევით ირჩევს ცვლადების მხოლოდ ნაწილს. ეს უზრუნველყოფს, რომ ხეები ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. როდესაც მოდელს ახალი კლიენტის მონაცემს ვაძლევთ, თითოეული ხე აკეთებს საკუთარ პროგნოზს (ნახ.1.) საბოლოო პასუხად ითვლება ის, რასაც ხეების უმრავლესობამ მისცა ხმა. როდესაც სისტემაში შემოდის ერთი კონკრეტული კლიენტი, ის ერთდროულად „შედის“ ყველა ხეში. მაგალითად:

ხეების ასაგებად ალგორითმი იყენებს არსებულ მონაცემებს. პირველი ხე სწავლობს მხოლოდ ერთ ნაწილზე, მეორე ხე შემდეგ ნაწილზე და ა.შ. ცხრ.1. ამიტომ ხეები გამოდიან განსხვავებულები. თითოეულმა ხემ გამოცდილება მიიღო სწავლების პროცესში. ხე იმ კითხვას სვამს პირველს, რომელიც ყველაზე კარგად „ხლეჩს“ მონაცემებს და ყველაზე დიდ ინფორმაციას გვაძლევს.

კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად ამცირებს გაურკვევლობას (Entrophy), ხდება ფესვი (Root Node) — ანუ პირველი კითხვა. შემდეგ, დარჩენილ მონაცემებზე პროცესი მეორდება, სანამ ყველა კლიენტი თავის „ფოთოლში“ არ მოხვდება. ჩვეულებრივი გადაწყვეტილების ხე ყოველთვის საუკეთესო კითხვას დასვამდა პირველს. Random Forest-ში კი, თითოეულ ხეს ვაიძულებთ, რომ არჩევანი გააკეთოს არა ყველა ცვლადს შორის, არამედ მათგან შემთხვევით შერჩეულ ნაწილს შორის. მაგალითად:

ხე	კლიენტის გავლილი გზა ხეზე
№1	ბევრი დახარჯა? 0 უკმაყოფილოა? 1 შედეგი: 1 (წავა)
№2	ახალი კლიენტია? 1 ფასდაკლება გამოიყენა? 0 შედეგი: 1 (წავა)
№3	ბოლო შესყიდვის ინტერვალი 15 დღეს არ აღემატება? 1 შედეგი: 0 (დარჩება)

– **ხე #1**-ს შეიძლება საერთოდ არ ვაჩვენოთ „საჩივრები“, ამიტომ ის პირველ კითხვას „ბოლო შესყიდვაზე“ დასვამს.

–

– **ხე #2**-ს ვაჩვენებთ მხოლოდ „ასაკს“ და „რეგიონს“.

ამის მიზანია, რომ ხეები ერთმანეთის ასლები არ გამოვიდნენ. თუ ყველა ხე ერთსა და იმავე „საუკეთესო“ კითხვას დასვამს, მაშინ ერთი და იმავე შეცდომას დაუშვებენ, ხოლო ჩვენი მიზანია, რომ ხეებმა მონაცემებს სხვადასხვა კუთხით შეხედონ. როგორც ვხედავთ ცალკეული ხე არის ლოგიკური წესების ერთობლიობა (if-then-else), რომელიც მათემატიკურად ოპტიმიზებულია იმისთვის, რომ მონაცემები მაქსიმალურად გამოკვეთილ ჯგუფებად დაიყოს.

ხმების აგრეგაციისთვის გამოვიყენოთ mode ფუნქცია, რომელიც ითვლის ყველაზე ხშირ პასუხს. წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს T რაოდენობის ხე, თითოეული h_t ხე x კლიენტზე იძლევა პასუხს $y \in \{0,1\}$. საბოლოო პროგნოზი $\hat{y}$ გამოითვლება ფორმულით:

$$\hat{y} = argmax_{i\in\{0,1\}} \sum_{t=1}^{T} I(h_i(x) = i)$$

აქ I არის ინდიკატორული ფუნქცია, რომელიც 1-ის ტოლია, თუ ხის პასუხი ემთხვევა კლასს, და 0-ის — თუ არა. ვირჩევთ იმ კლასს, რომელსაც მეტი ხმა აქვს.

ხმების აგრეგაციისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობათა საშუალო. ეს მეთოდი უფრო ზუსტია, რადგან საბოლოო ალბათობა გამოითვლება, როგორც ყველა ხის მიერ მოცემული ალბათობების საშუალო არითმეტიკული:

$$\hat{P}(y = 1|x) = \frac{1}{T}\sum_{t=1}^{T} P_t\,(y = 1|x)$$

XGBoost (Extreme Gradient Boosting) არის ერთ-ერთი მძლავრი ალგორითმი სტრუქტურირებული მონაცემებისთვის. თუ Random Forest ალგორითმში ყველა ხე ერთდროულად და დამოუკიდებლად აძლევს ხმას, XGBoost არის ევოლუცია, სადაც ხეები ერთმანეთის შეცდომებზე სწავლობენ და ვითარდებიან. მისი მთავარი პრინციპია მიმდევრობითი სწავლება, კერძოდ: პირველ ეტაპზე იქმნება მარტივი ხე, რომელიც ბევრ შეცდომას უშვებს, მეორე ხე ფოკუსირდება მხოლოდ იმ კლიენტებზე, რომლებიც პირველმა ხემ არასწორად შეაფასა, ხოლო მესამე ხე სწავლობს წინა ორი ხის შეცდომებზე და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ხეები მიმდევრობითია, კითხვების შერჩევა ხდება პარალელურად, რაც მას ძალიან სწრაფს ხდის. ამავდროულად, მასში ჩაშენებულია გამოტოვებული მონაცემების ავტომატური დამუშავების შესაძლებლობა [4,5].

განვიხილოთ როგორ იმუშავებს XGBoost ალგორითმი ჩვენი ამოცანისთვის. დავუშვათ, არის კლიენტი, რომელმაც 5-ჯერ გააკეთა უარყოფითი უკუკავშირი, მაგრამ მაინც ბევრს ყიდულობს. Random Forest-მა შეიძლება ის პოტენციურ წამსვლელად მონიშნოს. XGBoost კი დაინახავს, რომ ეს კლიენტი რთული შემთხვევაა და მომდევნო ხეებს დაავალებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასეთ ანომალიებს.

XGBoost ძალიან ზუსტად განსაზღვრავს რომელი ცვლადი მუშაობს ყველაზე მეტად. მაგალითად, ის შეიძლება მივიდეს დასკვნამდე: ბოლო 2 კვირაში შესყიდვების კლება 20%-ით არის 10-ჯერ უფრო მნიშვნელოვანი ნიშანი, ვიდრე კლიენტის ასაკი ან რეგიონი.

გაყიდვების მონაცემებზე მუშაობისას, საუკეთესო სტრატეგიაა ჯერ Random Forest-ის აგება (როგორც საბაზისო მოდელი), შემდეგ კი XGBoost-ით მისი გაუმჯობესება. ამ ორი ალგორითმის კომბინაციის დროს XGBoost გამოიყენებს იმავე კლიენტების მონაცემებს, მხოლოდ გაფილტრული და ოპტიმიზებული სახით. ამ ორი ალგორითმის კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში პროცესი წარვმართოთ შემდეგი მიმდევრობით: დავუშვათ, Random Forest ალგორითმით დადგინდა, რომ 50 ცვლადიდან მხოლოდ 15-ს აქვს რეალური გავლენა გადინებაზე. შემდეგ ეტაპზე, XGBoost-ს მივაწოდოთ არა ყველა მონაცემი, არამედ მხოლოდ 15 ყველაზე ძლიერი ცვლადი. ასეთი მიდგომა ამცირებს ხარვეზებს და მოდელს უფრო აზრიანს ხდის. მიუხედავად იმისა, რომ XGBoost-ს თავიდან ვაწვდით მთლიან საწვრთნელ ბაზას, უკვე ცნობილია სად გაუჭირდა Random Forest-ს. ბუსტინგი თავისი ლოგიკით იმ კლიენტებზე ორიენტირდება, რომლებიც Random Forest-მა არასწორად შეაფასა. ეს შეიძლება იყოს კლიენტები, რომელთა ქცევა ატიპიურია.

დავუშვათ გვაქვს კლიენტის მონაცემებში „რეგიონი“. Random Forest-მა აჩვენა, რომ რეგიონს თითქმის 0-ის ტოლი გავლენა აქვს გადინებაზე, ამიტომ ამ მონაცემს აღარ მივაწვდით XGBoost-ს და იგი იმუშავებს რეგიონი ცვლადის გარეშე. ამის სანაცვლოდ ის მთელ გამოთვლით რესურსებს დახარჯავს ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებზე, როგორიცაა „ბოლო შესყიდვის დინამიკა“. რეგიონის ამოღებით ჩვენ არა მხოლოდ რესურსებს ვზოგავთ, არამედ ვამცირებთ ზედმეტი მორგების რისკს. რაც უფრო ნაკლებია უსარგებლო ცვლადი, მით უფრო ნაკლებია შანსი, რომ მოდელმა მონაცემებს შორის არსებული კანონზომიერებების დასწავლის ნაცვლად მონაცემები „დაიზეპიროს“.

მომხმარებელთა გადინების პროგნოზირების კომბინირებული მოდელი მოცემულია ნახაზ.2.-ზე:



ნახ. 2 პროგნოზირების კომბინირებული მოდელი

წარმოდგენილმა კვლევამ და პრაქტიკულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა გადინების პროგნოზირება მანქანური სწავლების გამოყენებით არის არა მხოლოდ ტექნიკური ამოცანა, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტი ბიზნესის მდგრადობისთვის. ML მოდელები მუდმივად სწავლობენ ახალ მონაცემებზე. რაც უფრო მეტი ინფორმაცია შედის სისტემაში, მით უფრო ზუსტი ხდება პროგნოზი. ისეთი მეტრიკები, როგორიცაა სიზუსტე და მასშტაბური არეალის მოცვა, გვეხმარება ბალანსის პოვნაში, რათა არ გამოგვრჩეს რეალური წამსვლელი და, ამავდროულად, უშედეგოდ არ დაიხარჯოს რესურსი ლოიალურ კლიენტზე.

სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით, მანქანური სწავლების მოდელი არ არის სტატიკური. ბაზრის დინამიკის ცვლილებასთან ერთად, აუცილებელია მოდელის მუდმივი გადამზადება ახალ მონაცემებზე, რათა შენარჩუნდეს პროგნოზირების მაღალი სიზუსტე და კომპანიამ შეძლოს პროაქტიული რეაგირება ნებისმიერ გამოწვევაზე.

ლიტერატურა

1. Shai Shalev-Shwartz and Shai Ben-David „Understanding Machine Learning: From Theory to Algorithms“, Published 2014 by Cambridge University Press, 449p.

2. SAIKAT DUTT AND SUBRAMANIAN CHANDRAMOULI Machine Learning, ISBN 978-9353066697, Publisher: PEARSON INDIA, 2018, 456p.

3. John Paul Mueller, Luca Massaron, Machine Learning, ISBN 978-1119724018, Publisher: For Dummies, 2021, 464p.

4. Peter Flach Machine Learning: The Art and Science of Algorithms that Make Sense of Data, ISBN 978-1107422223, Publisher: Cambridge University Press, 409p.

5. Stephen Marsland, Machine Learning: An Algorithmic Perspective, Second Edition, ISBN 978-1466583283, Publisher: Chapman and Hall/CRC, 2014, 458p.

კიბერსივრცისგან მომდინარე საფრთხეები და კიბერუსაფრთხოების დილემა
Threats from Cyberspace and The Cybersecurity Dilemma

თამთა კოდუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Tamta Kodua
Caucasus International University
PhD student

აბსტრაქტი. თანამედროვე მსოფლიოში კიბერსივრცე იქცა საზოგადოების, ეკონომიკისა და სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ ძირითად პლატფორმად. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა კომუნიკაცია, მონაცემთა გაცვლა და მომსახურებების მიღება, თუმცა ამავდროულად გაზარდა კიბერსივრცისგან მომდინარე საფრთხეები. კიბერშეტევები, მონაცემთა გაჟონვა, ფინანსური თაღლითობა, პირადი ინფორმაციის უკანონო მოპოვება, რომელთა წინაშეც დგანან როგორც ინდივიდები, ასევე ორგანიზაციები და სახელმწიფოები.

კიბერუსაფრთხოების დილემა დაკავშირებულია უსაფრთხოებისა და თავისუფლების ბალანსთან. ერთი მხრივ, აუცილებელია ძლიერი დაცვის მექანიზმების შექმნა, მონაცემთა კონტროლი და მონიტორინგი, რათა შემცირდეს კიბერშეტევების რისკი. მეორე მხრივ, ზედმეტმა კონტროლმა შესაძლოა შეზღუდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება და ციფრული უფლებები. სწორედ ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა კიბერუსაფრთხოების დილემა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალურ საკითხად რჩება.

შესაბამისად, კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, სამართლებრივ რეგულაციებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. კიბერუსაფრთხოების ეფექტური მართვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც დაცულია როგორც უსაფრთხოება, ისე ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, რაც უზრუნველყოფს ციფრული გარემოს მდგრად და უსაფრთხო განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: კიბერსივრცე, კიბერუსაფრთხოება, კიბერდანაშაული, კიბერშეტევები.

Abstract. In the modern world, cyberspace has become one of the main platforms for society, economy and state governance. The rapid development of information technologies has significantly simplified communication, data exchange and receipt of services, but at the same time it has increased the threats arising from cyberspace. Cyber attacks, data leakage, financial fraud, illegal acquisition of personal information, which are faced by both individuals, organizations and states.

The cybersecurity dilemma is related to the balance between security and freedom. On the one hand, it is necessary to create strong protection mechanisms, data control and monitoring to reduce the risk of cyberattacks. On the other hand, excessive control may limit the inviolability of privacy, freedom of speech and digital rights. It is this contradiction that has given rise to the cybersecurity dilemma, which remains a relevant issue in modern society.

Accordingly, ensuring cyberspace security requires a comprehensive approach that combines technological solutions, legal regulations and raising public awareness. Effective management of cybersecurity is possible when

both security and fundamental human rights are protected, which ensures the sustainable and safe development of the digital environment.

Keywords: cyberspace, cybersecurity, cybercrime, cyberattacks.

შესავალი

ბევრი კიბეროპერაცია, რომელიც პოლიტიკის შემქმნელებს მოდუნების საშუალებას არ აძლევს, არა სამხედრო აქტორების, არამედ სადაზვერვო სააგენტოების აქტივობებია. თავის მხრივ, ამ ოპერაციებიდან ბევრი შეიძლება იყოს სადაზვერვო სააგენტოების ნამუშევარი, მაგრამ არ წარმოადგენდეს იმას, რაც ტრადიციულად ითვლება დაზვერვის შეგროვებად ან „კლასიკურ ჯაშუშობად“, თუმცა ეს ასევე თამაშის დიდი ნაწილია. Stuxnet-ის თავდასხმა ირანის ბირთვულ ობიექტზე ნატანცში, რომელიც იყო დივერსიული ოპერაცია. რუსული გავლენის ოპერაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლას, რომელსაც აკავშირებდნენ რუსეთის სამხედრო დაზვერვის სააგენტოს GRU, შედგებოდა ჰაკერული და გაჟონვის ოპერაციებისგან და ონლაინ დეზინფორმაციული კამპანიებისგან, რომლის მიზანი იყო საარჩევნო პროცესის ჩაშლა.

შეერთებული შტატების პერსონალის მენეჯმენტის ოფისის გატეხვა, რომელიც ეკუთვნის ჩინურ დაზვერვას, იყო კლასიკური ჯაშუშობა, მაგრამ უპრეცედენტო მასშტაბის, რის შესახებაც ჯეიმს კლაპერმა, ეროვნული დაზვერვის დირექტორმა თქვა: „გარკვეულწილად, თქვენ უნდა მიესალმოთ ჩინელებს იმის გამო, რასაც მათ გააკეთეს. ამის გაკეთების შესაძლებლობა რომ გვქონოდა, არა მგონია, ერთი წუთითაც გვეყოყმანა.“ NotPetya თავდასხმა, რომელიც ასევე უკავშირდება რუსეთის სამხედრო დაზვერვას.

ეს არის რამდენიმე ყველაზე ცნობილი და საჯაროდ გამოვლენილი კიბერ ოპერაციები, მაგრამ სიას ყოველდღიურად ემატება ახალი ოპერაციები. ეს არის ეგრეთ წოდებული ოპერაციები მშვიდობის დროს, რაც ნიშნავს, რომ ისინი არ ხდება ომის დროს და არც შეიარაღებული თავდასხმის მომწიფების დონეზე. თუმცა, ზოგიერთი აკადემიკოსი ახასიათებს ჩვენს ამჟამინდელ ციფრულ პერიოდს, როგორც "არამშვიდობიანას", რადგან ის ჩამოუვარდება როგორც მშვიდობას, ასევე ომს. რამდენიმე რამ გამოიკვეთება აღნიშნული კიბერ ოპერაციების განხილვისას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება წინამდებარე ნაშრომში. პირველ რიგში, ყველა ეს ოპერაცია, სავარაუდოდ, ჩატარდა სადაზვერვო სააგენტოების მიერ, მაგრამ ისინი არ შეესაბამება იმას, რასაც ჩვენ კლასიკურ ჯაშუშობად მივიჩნევთ სტრატეგიული ინფორმაციის ფარულად შეგროვების გაგებით. [758]

ყველა ამ ოპერაციის შემდეგ, დაზარალებულმა სახელმწიფომ მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოთა მთელმა ჯგუფმა ნათლად და საჯაროდ აჩვენა, რომ ეს იყო მიუღებელი კიბეროპერაციები. ისინი თვლიდნენ, რომ ყოველივე ეს იურიდიულ და ნორმატიულ საზღვრებს სცდებოდა მაგრამ ისინი არასოდეს აკავშირებენ ამ ოპერაციებს კონკრეტულ წესებთან და იურიდიულ პრინციპებთან, რომლებიც შესაძლოა დაირღვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დონეზე იყო დაგმობა და ზოგჯერ აღშფოთებაც კი, ეს არ გადავიდა საერთაშორისო სამართლის დონეზე ან „კიბერსივრცეში სახელმწიფო პასუხისმგებლობის ქცევის ჩარჩოზე“, რომელზეც დიპლომატები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გაეროში. უფრო მეტიც, გაეროში კიბერსივრცეში სახელმწიფოს

[758] Ben Buchanan. The Cybersecurity Dilemma. Hacking, Trust, and Fear between Nations (London: Hurst & Company, 2016). See also: Jason Healy and Robert Jervis. “The Escalation Inversion and Other Oddities of Situational Cyber Stability.” in Cyberspace and Instability, ed. Robert Chesney, James Shires, and Max Smeets (Edinburgh: Edinburgh University Press, 2023), 21–59

პასუხისმგებლიანი ქცევის შესახებ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში , სადაზვერვო სააგენტოები საერთოდ არ არის ნახსენები. ის ფაქტი, რომ სადაზვერვო საქმიანობა და სააგენტოები არ განიხილება დიპლომატიასა და საერთაშორისო სამართალში, აქვს ხანგრძლივი ისტორიული ფესვები და აგებულია საკუთარ დასაბუთებაზე. საკითხავია ის, არის თუ არა ის როლი, რომელსაც იღებენ და ასრულებენ სადაზვერვო სააგენტოები კიბერსივრცეში, საფუძველი იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ ტრადიციული საერთაშორისო კონსენსუსი დაზვერვის არგანხილვასთან დაკავშირებით.

იმის ფონზე, რომ ჯაშუშობას და დაზვერვას ხშირად მსოფლიოში მეორე უძველეს პროფესიას უწოდებენ, საოცარია, რომ ისინი არ არის თეორიულად სათანადოდ შესწავლილი და განსაზღვრული. აკადემიური სფერო შედარებით ახალგაზრდაა, ძირითადად ისტორიული, სადაც დომინირებს ამერიკელი და ბრიტანელი მკვლევარები, მათგან საკმაოდ მცირე ნაწილს აქვს კავშირები ან ინფორმაცია დაზვერვაში. მიუხედავად იმისა, რომ ამას აქვს მკაფიო უპირატესობები -ცოდნის თვალსაზრისით საიდუმლოების კომპონენტი და ჰიბრიდულობა მკვლევარსა და პრაქტიკოსს შორის, ასევე აფერხებს დაზვერვის შესახებ კვლევების, როგორც აკადემიური დისციპლინის განვითარებას.[759]

ძირითადი ნაწილი

დაზვერვა, ხშირად აღწერილია იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ სადაზვერვო სააგენტოები: ზოგადად, არსებობს აქტივობების ძირითადი ნაწილი, რომელიც შედარებით უდავოა და უფრო პერიფერიული აქტივობები, რომლებიც სადავოა. ძირითადი არის ეგრეთ წოდებული სადაზვერვო ციკლი, რომელსაც აქვს სხვადასხვა ეტაპები: ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გავრცელება პოლიტიკის შემქმნელების მიერ გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. ეს არის კლასიკური პოლიტიკური ჯაშუშობა, რომელიც ორიენტირებულია სტრატეგიული ინფორმაციის შეგროვებასა და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინფორმირებაზე. კიბერ დაზვერვა - ეფიროკრატიულ სივრცეში საინფორმაციო უზრუნველყოფის სიტემების მიზანმიმართული დაზიანება და ამ სისტემის მწყობრიდან გამოყვანა მოწინააღმდეგის ვირტუალურ და სტრატო სივრცეში მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად. ინფორმაციის შეგროვების კომპონენტი დაზვერვის ყველა განმარტების ცენტრშია და ციფრული ეპოქა აშკარად დიდ გავლენას ახდენს ამ ძირითად ფუნქციაზე. მაგრამ როდესაც ინფორმაციის შეგროვებიდან გადადის უფრო აქტიურ, დივერსიულ და ძალადობრივ ჩარევაზე სხვა სახელმწიფოების საქმეებში, პოლიტიკური და აკადემიური კონსენსუსი იმაზე, თუ რა შედის და რა არ შედის დაზვერვაში, იწყებს მსხვრევას.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ „ფარული ქმედება, გავლენა, ოპერაციები და კონტრდაზვერვა უნდა განიხილებოდეს, როგორც ძირითადი სადაზვერვო პრაქტიკა, მაშინაც კი, თუ ისინი არ შედიან კანონიკური დაზვერვის ციკლში“. ფარული ქმედებების კვლევა ფოკუსირებულია ოთხი ფართო ტიპის აქტივობაზე, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია ძალადობის გამოყენების ხარისხის მიხედვით: პროპაგანდა და საინფორმაციო ოპერაციები; პოლიტიკური ქმედება, როგორიცაა ფულის მიწოდება პოლიტიკური პარტიისთვის ან არეულობის გაღვივება; ეკონომიკური ფარული ქმედება; და გასამხედროებული მოქმედება, მეამბოხე ჯგუფების წვრთნიდან მკვლელობამდე. ეს ქმედებები გულისხმობს პირდაპირ ჩარევას სხვა სახელმწიფოს საქმეებში, ხშირად ძალადობრივია და ცდილობს შეარყიოს მეორე სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა. ბევრი ფარული აქტივობა არის

[759] Robert Chesney and Max Smeets. “Policy Roundtable: Cyber competition as an intelligence contest,” special issue: Cyber Competition, Texas National Security Review (September 2020).

დივერსიული და ფარულად იყენებს უკვე არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ განხეთქილებას. ბრიტანეთში Brexit-ის, ან Black Lives Matter-ის ან აშშ-ში დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის ღრმა განხეთქილების გაღვივება არის სოციალური არეულობის გაზრდისა და საზოგადოებაში სოციალური ერთიანობის შელახვის უტყუარი გზა. ეს შეიძლება იყოს ეფექტური, მაგრამ ასევე შრომატევადი. რონ დეიბერტის სიტყვებით: „დივერსია არის „ნელი დაწვის“ აქტივობა – მას სჭირდება დაჟინება, მოთმინება და დრო“. [760]

ფარული ქმედება სადავოა იმ გაგებით, ითვლება თუ არა ის დაზვერვის ნაწილად. ბევრი ანალიტიკოსი განიხილავს "ფარულ ქმედებას", როგორც აქტივობას, რომელიც შედის დაზვერვის სფეროში ისტორიული, ინსტიტუციური და პრაქტიკული მიზეზების გამო. ზოგი ფარულ მოქმედებას ხედავს, როგორც „დაზვერვის მოსამსახურეს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ცალკე, მაგრამ დაკავშირებული. სხვები თვლიან, რომ ფარული ქმედება ძალიან განსხვავდება დაზვერვისგან, ან იმიტომ, რომ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს არის ცუდი პოლიტიკა, ან იმიტომ, რომ მათი აზრით იგი აუცილებელია, მაგრამ ცალკე მდგომი უნდა იყოს. მაიკლ უორნერმა, წარსულში CIA-ს ოფიციალური ისტორიკოსი, რომელიც წერდა CIA-ს საკუთარ ჟურნალში Studies in Intelligence, გამოიკვლია მრავალი (პრაქტიკოსის) განმარტება ნაშრომში სახელწოდებით „Wanted: a definition of ‘Intelligence’“ (იძებნება: დაზვერვის განმარტება. საინტერესო ნაშრომში - ქვესათაურით "ჩვენი ხელობის გაგება" (ხაზგასმა დამატებულია) - ის არის, რომ მან უნდა იმუშაოს დიდი რაოდენობით დეფინიციებზე, რომელიც მხოლოდ „დაზვერვის“ საინფორმაციო და საიდუმლო კომპონენტს ასახავს, სანამ ის შეხვდება ავტორებს, რომლებსაც სურთ "ფარულობის პრობლემის" მოგვარება.

დაზვერვის მიზნის შესწავლა კიდევ ერთი გზაა იმის დასადგენად, თუ რა არის დაზვერვა. თეორიების უმეტესობის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ „დაზვერვა მთავრობის ფუნქციაა“ ან ოდნავ განსხვავებულად არის ფორმულირებული: დაზვერვა არის სახელმწიფო მართვის მესამე ფორმა, ომისა და დიპლომატიის გვერდით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზვერვა არის ის, რაც სახელმწიფოებს აქვთ თავიანთ ინსტრუმენტთა ყუთში სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და სტრატეგიული შეცდომების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ისეთი ინფორმაციის მოპოვებით, რომელიც ხელს უშლის სხვების ქმედებებისა და განზრახვების ტრაგიკულ არასწორ ინტერპრეტაციას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ინფორმირებულობის ფუნქციას: „მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის შეგროვება, რომელიც მათ სურთ საიდუმლოდ დარჩეს, ამ ცოდნის გამოყენება გადაწყვეტილების მიმღებთათვის გაურკვევლობის კონუსის შესამცირებლად და ამის განხორციელება გამოაშკარავების გარეშე რჩება დაზვერვის ქვაკუთხედად“.[761]

ფარული ქმედება, როგორც წესი, განიხილება, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის მიზანია საზღვარგარეთ მოვლენებზე უფრო პირდაპირი გავლენის მოხდენა, ღიად გამოჩენის გარეშე. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ფარული ინტერვენციის გამოყენება შეიძლება იყოს კონფლიქტის ესკალაციის შემოწმება, მაგრამ სხვები ფარულ ქმედებებსა და ზოგადად ნაცრისფერ ზონაში ოპერაციებს პოტენციურ ესკალატორად მიიჩნევენ, განსაკუთრებით კიბერ დომენში, სადაც განზრახვები ხშირად განსაკუთრებით ძნელია აღსაქმელად.

[760] David Gioe, Michael Goodman, and Tim Stevens. “Intelligence in the cyber era: Evolution or Revolution?” Political Science Quarterly 135, no. 2 (2020): 209.

[761] Robert Chesney and Max Smeets. “Policy Roundtable: Cyber competition as an intelligence contest,” special issue: Cyber Competition, Texas National Security Review (September 2020).

ამერიკელი მეცნიერი ჯონ ლინდსი, რომელიც თვლის, რომ ზემოაღნიშნული ფარული ქმედებების რუბრიკაში აღწერილი აქტივობების მთელი სპექტრი შედის, აჯამებს მას იმით, რომ „დაზვერვა არის საიდუმლო სახელმწიფო საქმე“.

საიდუმლოება სადაზვერვო სააგენტოებისა და მათი საქმიანობის ყველაზე განმსაზღვრელი მახასიათებელია. მაგრამ ციფრულ ეპოქაში საიდუმლოებაც სულ უფრო პრობლემური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კიბეროპერაცია - განსაკუთრებით კლასიკური ჯაშუშობა ხანდახან ხანგრძლივად რჩება გამოვლენის რადარს მიღმა, ბევრი გამოვლინდა, თუმცა ხშირად ოპერაციის დაწყებიდან დიდი ხნის შემდეგ. თუმცა, როგორც ხშირად საიდუმლო დაზვერვის შემთხვევებში ხდება, ჩვენი მონაცემები არასრულია, რადგან ჩვენ ვიგებთ მხოლოდ იმ კიბეროპერაციების შესახებ, რომლებიც საჯაროდ გამჟღავნდება. დაზვერვის კონტექსტში, საიდუმლოება ორი ფორმისაა: საიდუმლოება შეიძლება იყოს ან ფარული, რაც ნიშნავს, რომ აქტორის ვინაობა დაფარულია, ან საიდუმლო, რაც ნიშნავს, რომ თავად აქტივობაა გასაიდუმლოებული. ეს ორი ფორმა ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არა ყოველთვის. ფარული ოპერაციების შემთხვევაში თქვენ ხედავთ რა ხდება და რა შედეგები მოაქვს, მაგრამ მის უკან ვინ დგას, ვერ ხედავთ.[762]

დასკვნა

კიბერსივრცეში ატრიბუცია დიდი ხნის განმავლობაში იყო პრობლემური, მაგრამ სულ უფრო და უფრო სახელმწიფოებს სურთ და შეუძლიათ მიაკუთვნონ კიბეროპერაციები სახელმწიფო აქტორებს ტექნიკური და სადაზვერვო ანალიზის და განსაკუთრებით პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე. ამის მიუხედავად, კიბერსივრცეში ფარული ქმედება მაინც აძლევს მთავრობებს „სარწმუნო უარყოფას“ დოქტრინა, რომელიც საშუალებას აძლევს მაღალჩინოსნებს თქვან, რომ ისინი „არ ადასტურებენ და არც უარყოფენ“ პასუხისმგებლობას გარკვეულ ფარულ ოპერაციაზე. ზოგიერთი სახელმწიფო განსაკუთრებით ისეთები, რომელთა დასახელებაც ძნელია და სირცხვილია, რადგან მათ უბრალოდ არ რცხვენიათ, მაგალითად, როგორც რუსეთი - დაუჯერებელ უარმყოფელობასაც კი ეთანხმება: საპირისპიროს დამაჯერებელი მტკიცებულებების ფონზე მოქმედებების აღშფოთებული უარყოფა.

ციფრულმა ეპოქამ აშკარად შეცვალა კონტექსტი, სათამაშო მოედანი, ისევე როგორც თავად სადაზვერვო სააგენტოების საქმიანობა. ციფრულმა ტექნოლოგიამ პროფესიაში ცვლილება შეიტანა, მაგრამ საკითხავია, იყო თუ არა ის გეიმჩეინჯერი. როგორ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებების, ეკონომიკისა და მთავრობების დიგიტალიზაცია და მათ შორის ტრანსნაციონალური, ქსელური კავშირების არსებობა სადაზვერვო სააგენტოების საქმიანობაზე, სავარაუდოდ, სათანადოდ შეუსწავლელია. ოთხი დიდი ცვლილება გამოირჩევა: მასშტაბების ზრდა, გაზრდილი გაურკვევლობა, თავდასხმის ზედაპირის მასიური გაფართოება და დაუცველობის შემცირება, რაც მოითხოვს გადახედვას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ კიბერ დაზვერვის სააგენტოები.

კიბერ განზომილება ასევე აჩენს გაურკვევლობას სადაზვერვო ოპერაციებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები. დასაწყისში, კიბერ ოპერაციების უმეტესობა ერთნაირად გამოიყურება. ნებისმიერი კიბერ ოპერაცია იწყება კომპიუტერულ ქსელში წვდომით და შემდეგ გრძელდება ამ ქსელში ლატერალური გადაადგილებით. მხოლოდ მაშინ, როცა თავდამსხმელები იწყებენ ინფორმაციის ექსპორტს, ძირს უთხრიან სისტემებს ან

[762] Steven Loleski. “The United States and Legitimizing Rules of the Game,” in Deter, Disrupt or Deceive: Assessing Cyber Conflict as an Intelligence Contest, ed. Robert Chesney and Max Smeets (Washington DC: Georgetown University Press, 2023), 137.

აყენებენ დესტრუქციულ მავნე პროგრამას, დამცველებისთვის ცხადი ხდება, რომ საქმე აქვთ ჯაშუშობასთან, დივერსიასთან თუ დესტრუქციულ კიბერშეტევასთან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ხანდახან აპროტესტებენ და მიაწერენ კიბერ დაზვერვის ოპერაციებს აგრესორ სახელმწიფოს ,ან მათ მარიონეტებს პოლიტიკურ დონეზე, ისინი არ მიმართავენ ამას მრავალმხრივი, დიპლომატიური მოლაპარაკებების დონეზე ან საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, სახელმწიფოებს შორის დიდი განსხვავებაა იმის შესახებ, მიაწერენ თუ არა საჯაროდ კიბერ ოპერაციებს რომელიმე სახელმწიფოს, და ამის მრავალი სტრატეგიული მიზეზი, მათ შორის შურისძიების შიში.

ჯაშუშობა და დაზვერვა ტრადიციულად იყო საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილი, მაგრამ არა დიპლომატიურ წრეებში ამაზე ლაპარაკის ან ნორმების ან საერთაშორისო სამართლის რეგულირების გზით. პირიქით: თითქოს დუმილი ოქროა, როცა საქმე დაზვერვას ეხება. ზოგადად, საგარეო დაზვერვა არ განიხილება საერთაშორისო კანონმდებლობით.[763]

დუმილი ჯაშუშობისა და დაზვერვის საკითხზე საერთაშორისო სამართალში აისახება საერთაშორისო დიპლომატიურ მოლაპარაკებებში გაეროს პირველ კომიტეტში (განიარაღება და საერთაშორისო უსაფრთხოება). ამ მოლაპარაკებებში კიბერსივრცეში სახელმწიფოს პასუხისმგებლიანი ქცევის შესახებ - სამთავრობო ექსპერტთა ჯგუფის (GGE) და ღია სამუშაო ჯგუფის (OEWG) დელეგატები ვრცლად განიხილავენ, თუ როგორ ვრცელდება საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოების ქცევაზე, როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს. მაგრამ ჯაშუშობა და დაზვერვა არასოდეს არის ნახსენები GGE და OEWG კონსენსუსის ანგარიშებში.

ის ფაქტი, რომ დაზვერვა საერთაშორისო დონეზე არ არის განხილული სამართლებრივი და ნორმატიული თვალსაზრისით, გარკვეულწილად საერთაშორისო პოლიტიკის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოების უმეტესობა ახორციელებს ჯაშუშობას, კიბერჯაშუშობა და კიბერ ფარული ოპერაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.. ოგიერთი უმაღლესი დონის კიბერ ძალებისთვის, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი და ისრაელი, მაგრამ ასევე ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა და ირანი. უფრო მეტიც, ისეთი მსხვილი სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ, რუსეთი და ჩინეთი, ყოველთვის ამჯობინებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული სტრატეგიული ბუნდოვანების არსებობას რადგან ეს მათ აძლევს მანევრირების საშუალებას.

მცირე სახელმწიფოებს, როგორც წესი, უკეთესად ემსახურება სახელმწიფოს ქცევის მეტი სამართლებრივი და ნორმატიული შეზღუდვები. გარკვეულწილად, საერთაშორისო სისტემა მაინც წააგავს თუკიდიდეს სამყაროს, სადაც „ძლიერები აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ და სუსტები იტანჯებიან“. სახელმწიფოებს შორის ფორმალური სუვერენული თანასწორობა პრაქტიკაში ხშირად უქმდება ძალაუფლების ასიმეტრიით, რომელიც კიბერსივრცეში ყოველთვის არ ასახავს ძალაუფლების ტრადიციულ ინდექსებს, რადგან შეტევით კიბეროპერაციების გამოყენების სურვილიც განსაზღვრავს ამ დომენის შედარებით სიძლიერეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Tim Maurer. “A Dose of Realism: The Contestation and Politics of Cyber Norms.” Hague Journal of the Rule of Law 12 (2020): 283–305; Arun Sukumar, Dennis Broeders, and Monica Kello. “The pervasive

[763] Tim Maurer. “A Dose of Realism: The Contestation and Politics of Cyber Norms.” Hague Journal of the Rule of Law 12 (2020): 283–305; Arun Sukumar, Dennis Broeders, and Monica Kello. “The pervasive informality of the international cybersecurity regime: Geopolitics, non-state actors and diplomacy.” Contemporary Security Policy 45, no. 1 (2024): 7–44.

informality of the international cybersecurity regime: Geopolitics, non-state actors and diplomacy." Contemporary Security Policy 45, no. 1 (2024)

2. Martin Libicki. "The Coming of Cyber Espionage Norms," in Defending the Core, ed. H. Rõigas, R. Jakschis, L. Lindström, and T. Minárik (Tallinn: NATO CCD COE Publications, 2017)

3. Robert Chesney and Max Smeets. "Policy Roundtable: Cyber competition as an intelligence contest," special issue: Cyber Competition, Texas National Security Review (September 2020)

4. Steven Loleski. "The United States and Legitimizing Rules of the Game," in Deter, Disrupt or Deceive: Assessing Cyber Conflict as an Intelligence Contest, ed. Robert Chesney and Max Smeets (Washington DC: Georgetown University Press, 2023)

5. David Gioe, Michael Goodman, and Tim Stevens. "Intelligence in the cyber era: Evolution or Revolution?" Political Science Quarterly 135, no. 2 (2020)

6. Robert Chesney and Max Smeets. "Policy Roundtable: Cyber competition as an intelligence contest," special issue: Cyber Competition, Texas National Security Review (September 2020).

7. Ben Buchanan. The Cybersecurity Dilemma. Hacking, Trust, and Fear between Nations (London: Hurst & Company, 2016). See also: Jason Healy and Robert Jervis. "The Escalation Inversion and Other Oddities of Situational Cyber Stability." in Cyberspace and Instability, ed. Robert Chesney, James Shires, and Max Smeets (Edinburgh: Edinburgh University Press, 2023).

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციაზე
The impact of artificial intelligence on the optimization of business processes

ნონა კუხიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი
მანანა ჭუმბურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი
ანზორი ბაბუნაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი
Nona Kukhianize
Akaki Tsereteli State University
Assistant Professor, Department of Computer Technologies
Manana Chumburidze
Akaki Tsereteli State University
Professor of Department Computer Technologies
Anzori Babunashvili
Akaki Tsereteli State University
Assistant Professor, Department of Computer Technologies

აბსტრაქტი. ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე ბიზნეს გარემოზე, განსაკუთრებით კი ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციაზე. წარმოდგენილი სტატია მიმოიხილავს, თუ როგორ უწყობს ხელს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ოპერაციული ეფექტიანობის ზრდას, ხარჯების შემცირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. კვლევა ფოკუსირდება ისეთი მიმართულებებზე, როგორიცაა პროცესების ავტომატიზაცია, მონაცემთა

ანალიტიკა და პროგნოზირების მოდელები, რომლებიც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს სწრაფად და ზუსტად მოახდინონ რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე.

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციაზე. ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ხელოვნური ინტელექტის როლი ორგანიზაციებში, მისი გავლენა ეფექტიანობაზე, ხარჯების შემცირებაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ AI ტექნოლოგიების ინტეგრაცია ზრდის პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას სხვადასხვა სექტორში. ამ სტატიაში დეტალურად განვიხილავთ იმ ძირითად მიმართულებებს, სადაც AI მცირე და საშუალო ბიზნესში ბიზნესპროცესებს ცვლის, ზრდის ეფექტიანობას და აძლევს მათ შესაძლებლობას კონკურენცია გაუწიოს გიგანტურ მოთამაშეებს ბაზარზე, ოპტიმალური ბიუჯეტის პირობებში.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის ტექნოლოგიური ინტეგრაცია, მონაცემთა უსაფრთხოება და ეთიკური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ პრაქტიკულ მაგალითებს, სადაც კომპანიებმა წარმატებით გამოიყენეს ხელოვნური ინტელექტი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ორგანიზაციის გრძელვადიან წარმატებას და მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს პროცესები, ოპტიმიზაცია, ციფრული ეკონომიკა, მონაცემთა უსაფრთხოება

Abstract. The rapid development of artificial intelligence has had a significant impact on the modern business environment, particularly on the optimization of business processes. This article reviews how artificial intelligence technologies contribute to increased operational efficiency, cost reduction, and the improvement of decision-making processes. The study focuses on areas such as process automation, data analytics, and predictive models, which enable organizations to respond quickly and accurately to market changes.

Artificial intelligence is one of the fastest-growing fields in the modern digital economy, exerting a substantial influence on business process optimization. The aim of this paper is to analyze the role of artificial intelligence in organizations, its impact on efficiency, cost reduction, and decision-making processes. The research findings indicate that the integration of AI technologies increases productivity and competitiveness across various sectors. The article also provides a detailed discussion of key areas where AI transforms business processes in small and medium-sized enterprises, enhances efficiency, and enables them to compete with large market players under optimal budget conditions.

The paper also examines the challenges associated with the implementation of artificial intelligence, including technological integration, data security, and ethical issues. Particular attention is given to practical examples where companies have successfully leveraged AI to achieve competitive advantages. The results of the study demonstrate that the effective use of artificial intelligence largely determines an organization's long-term success and sustainable development.

Keywords: business processes, optimization, digital economy, data security

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო სხვადასხვა მიმართულებით რადიკალურ ცვლილებს განიცდის. ამ ცვლილების ეპიცენტრში ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი (AI) დგას და თუ მსგავსი ტენდენციები ოდესღაც მხოლოდ მსხვილ კორპორაციებში შეინიშნებოდა, დღეს უკვე ის ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაც (SME). უფრო მეტიც, ხელოვნური ინტელექტი SME ბიზნესში უკვე აღარ ასოცირდება ინოვაციურობასთან, ის აუცილებელი ინსტრუმენტი ხდება წარმატების მისაღწევად და კონკურენტულობის შესანარჩუნებლად.

SME ბიზნესი AI-ს უკვე იყენებს მარკეტინგული კამპანიების ავტომატიზაციისთვის, მომხმარებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის, გაყიდვების პროგნოზირებისა და ფინანსური პროცესების ოპტიმიზაციისთვის.

ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებს ოპერაციული ეფექტიანობის გასაზრდელად. ხელოვნური ინტელექტი (AI)

წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მონაცემთა ანალიზს, ავტომატიზაციას და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას.

ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია გულისხმობს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას, დროის შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას, სადაც AI-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მანქანური სწავლება და ავტომატიზაცია მცირე ბიზნესს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ იმუშაოს უფრო გონივრულად და არა უფრო მძიმედ. ამ ტექნოლოგიების დახმარებით შეგიძლიათ მიაღწიოთ ავტომატიზაციის მაღალ ხარისხს და მნიშვნელოვნად შეამციროთ რუტინულ პროცესებზე რესურსების ხარჯვა, ასევე მიიღოთ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. ეს ყველაფერი კი ჯამში ქმნის პროდუქტიულობის ზრდის, რესურსების დაზოგვის და სტრატეგიული განვითარების კარგ წინაპირობებს.

ძირითადი ნაწილი

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში ხელოვნური ინტელექტი (AI) გლობალური ბიზნეს სამყაროს ყველაზე მძლავრ გარდამქმნელ ძალად იქცა. ის, რაც ათი წლის წინ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს ეკუთვნოდა, დღეს კომპანიების ყოველდღიური ოპერაციების განუყოფელი ნაწილია საწყობის მართვიდან დაწყებული, მომხმარებელთა გამოცდილების პერსონალიზაციით დამთავრებული.

ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია AI-ის ყველაზე გავრცელებული და სწრაფად განვითარებადი გამოყენებაა. განმეორებადი, დროის ინტენსიური ამოცანები მონაცემთა შეყვანა, ანგარიშ-ფაქტურების დამუშავება, საინვენტარო ჩანაწერების განახლება ახლა AI-ის მიერ სრულდება ადამიანურ შეცდომებთან შედარებით გაცილებით მაღალი სიზუსტით.

კომპანია McKinsey-ის კვლევის მიხედვით, დღეს არსებული ამოცანების დაახლოებით 45% ავტომატიზებულია ტექნოლოგიებით, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თანამშრომლები შეიძლება გათავისუფლდნენ რუტინული სამუშაოსგან და კონცენტრირება მოახდინონ შემოქმედებით, ანალიტიკურ და სტრატეგიულ ამოცანებზე.

ტრადიციულ ბიზნეს სამყაროში გადაწყვეტილებები ხშირად ეყრდნობოდა ინტუიციას, გამოცდილებას და შეზღუდულ მონაცემებს. AI-ი ამ მდგომარეობას რადიკალურად ცვლის. დღევანდელი სისტემები ერთდროულად ამუშავებს ტერაბაიტობით ინფორმაციას, პოულობს ფარულ კორელაციებს და გასცემს მოქმედებად რეკომენდაციებს.

წინასაპროგნოზო ანალიტიკა (Predictive Analytics) განსაკუთრებით ღირებულია. ის კომპანიებს საშუალებას აძლევს წინ გაუსწრონ ბაზრის ცვლილებებს: ამოიცნონ ჩაქრობის (churn) პოტენციური კლიენტები, გაიწინასწარმეტყველონ სეზონური მოთხოვნის მოძრაობა, ან დროულად გამოავლინონ აღჭურვილობის გაფუჭების ნიშნები წარმოებაში.

ადამიანური რესურსების მართვა ყოველთვის შრომატევად პროცესად ითვლებოდა. AI-ი ახლა ახდენს რეზიუმეების ავტომატურ სკრინინგს, ვიდეო-გასაუბრების ანალიზს, თანამშრომელთა კმაყოფილების მონიტორინგსა და ტურნოვერის პროგნოზირებას. LinkedIn-ის მონაცემებით, AI-ით დახმარებული რეკრუტინგი 60%-ით ამცირებს დასაქმების ციკლის ხანგრძლივობას.

გამოწვევები და რისკები

- **მონაცემთა კონფიდენციალურობა** — კომპანიები ვალდებულნი არიან დაიცვან GDPR და სხვა რეგულაციები AI-ის დანერგვისას.
- **ალგორითმული მიკერძოება** — სისტემები ხშირად ასახავს ისტორიულ მონაცემებში არსებულ გადახრებს.

- **კვალიფიციური კადრების დეფიციტი** — AI სისტემების მართვა მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას.
- **ცვლილების მართვა** — თანამშრომლების წინააღმდეგობა და ადაპტაციის სირთულეები.
- **ინტეგრაციის სირთულე** — ლეგასი სისტემებთან AI-ის შეთავსება ძვირი და დროის ინტენსიური პროცესია

საქართველოს ბიზნეს სეგმენტი

საქართველოს ბაზარზეც იგრძნობა AI-ის ტალღა. ქართული ბანკები TBC, BOG უკვე აქტიურად იყენებენ ML-ს კრედიტრისკის შეფასებისა და თაღლითობის გამოვლენისათვის.

სტარტაპ ეკოსისტემაში სულ უფრო მეტი კომპანია ითვისებს AI ინსტრუმენტებს ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

GITA (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო) და პარტნიორი ორგანიზაციები ახდენენ AI-ის შემსწავლელი პროგრამების მხარდაჭერას, რაც ქვეყანაში ტექნოლოგიური ნიჭის ბაზის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სამომავლო პერსპექტივა

მომდევნო ხუთ წელიწადში AI-ის შესაძლებლობები კიდევ უფრო გაფართოვდება. Agentic AI-ი სისტემები, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ რთულ, მრავალეტაპიან ამოცანებს უკვე კორპორაციული სტრატეგიის ნაწილი გახდა წამყვანი კომპანიებისთვის. ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღება, უწყვეტი სწავლება და ადამიანთან ბუნებრივი ინტერაქცია ბიზნეს ოპერაციებს ახლიდან განსაზღვრავს.

ხელოვნური ინტელექტი ბიზნეს სამყაროში ცალსახად პოზიტიური ძალაა, თუ სწორად იქნება გამოყენებული. წარმატებული ორგანიზაციები ის არიან, რომლებიც AI-ს არ მოიაზრებენ ხარჯების შემამცირებელ ინსტრუმენტად, არამედ ადამიანური შესაძლებლობების გამაძლიერებლად. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე კონკურენტუნარიანი კომპანიები ის იქნებიან, ვინც ტექნოლოგიისა და ადამიანური ინტელექტის სინთეზს ყველაზე ეფექტიანად შეძლებს.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციაში. მისი გამოყენება ზრდის ორგანიზაციების ეფექტიანობას, ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს გადაწყვეტილებების ხარისხს. მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, AI წარმოადგენს ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას თანამედროვე ბიზნესში.

ხელოვნური ინტელექტი არ არის მხოლოდ მომავლის ტექნოლოგია, ის უკვე აწმყოა. ის ქმნის ახალ ეკოსისტემას, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ განვითარებაც. სწორი ინტეგრაციითა და გააზრებული მიდგომით, AI დაეხმარება მეწარმეებს, იმუშაონ უფრო ჭკვიანურად და არა უფრო მძიმედ, რაც საბოლოოდ გახდება მათი გრძელვადიანი წარმატების გასაღები.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] McKinsey Global Institute (Yee, L. et al.)
Agents, Robots, and Us: Skill Partnerships in the Age of AI2025
McKinsey & Company · November 25, 2025
mckinsey.com/mgi/our-research/agents-robots-and-us-skill-partnerships-in-the-age-of-ai
[2] McKinsey Global Institute
The State of AI in 2025: Agents, Innovation, and Transformation2025
McKinsey & Company · November 5, 2025
mckinsey.com/capabilities/quantumblack/our-insights/the-state-of-ai
[3] Sallam, R. (Gartner)
Gartner Predicts 30% of Generative AI Projects Will Be Abandoned After Proof of Concept by End of 20252024
Gartner Newsroom · July 29, 2024
gartner.com/en/newsroom/press-releases/2024-07-29-gartner-predicts...
[4] Gartner, Inc.
Strategic Predictions for 2026: How AI's Underestimated Influence Is Reshaping Business2025
Gartner · April 2025
gartner.com/en/articles/strategic-predictions-for-2026
[5] Steecker, M. (Gartner)
CFOs' AI Adoption Slows as Challenges Mount2025
CFO Dive (Gartner Survey Report) · November 19, 2025
cfodive.com/news/cfos-ai-adoption-slows-challenges-mount-gartner/805949
[6] McNamara, K.J. & Marpu, R.P.
Exponential Shift: Humans Adapt to AI Economies2025
arXiv preprint · 2025
arxiv.org/pdf/2504.08855
[7] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA): ეს ორგანიზაცია ხელს უწყობს ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას საქართველოში, სთავაზობს სტარტაპებს დაფინანსებასა და სხვადასხვა პროგრამებს.

ღია სივრცითი მონაცემების გამოყენება კვლევების ეფექტურად ვიზუალიზაციისათვის
Using Open Spatial Data for Effective Visualization of Research

ელენე ბლიაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
Elene Bliadze
Georgian Technical University
Assistant Professor

აბსტრაქტი. სტატიაში გაანალიზებულია ღია სივრცითი მონაცემების როლი სამეცნიერო კვლევების ვიზუალიზაციაში. მოცემულია მონაცემთა მოპოვების გლობალური წყაროები, გეოკოდირების მეთოდოლოგიები და სტატისტიკური ინფორმაციის სივრცულ ფორმატებში გარდაქმნის საუკეთესო პრაქტიკა. განხილულია გეოკოდირების წამყვანი პლატფორმები (ArcGIS, Google, QGIS) და მათი ძირითადი ტექნიკური სპეციფიკაციები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (SDI) მნიშვნელობას და საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) განვითარების უახლეს ტენდენციებს, მათ შორის 2023 წლის საკანონმდებლო რეფორმას და ეროვნული გეოპორტალის როლს აკადემიურ კვლევაში.

ნაშრომში მოცემულია მარტივი პრაქტიკული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგების ვიზუალიზაცია რუკაზე, ღია სივრცითი მონაცემებისა და ღია პლატფორმების საფუძველზე. სტატიაში მოცემული პრაქტიკული რჩევები სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მკვლევარებისთვის, რომლებსაც არ აქვთ გეოგრაფიულ ინფრომაციულ სისტემებთან (გის) მუშაობის გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: ღია სივრცითი მონაცემები, GIS, გეოკოდირება, NSDI, ვიზუალიზაცია, საქართველო.

Abstract. The article analyzes the role of open spatial data in the visualization of scientific research. The paper reviews global sources of data extraction, geocoding methodologies, and best practices for transforming statistical information into spatial formats. Leading geocoding platforms (ArcGIS, Google, QGIS) and their technical specifications are discussed. Special attention is paid to the importance of the Spatial Data Infrastructure (SDI) and the latest trends in the development of the National Spatial Data Infrastructure (NSDI) in Georgia, including the 2023 legislative reform and the role of the National Geoportal in academic research.

The paper provides a simple practical example of how the results of research conducted in the territory of Georgia can be visualized on a map, based on open spatial data and open platforms. The practical advice given in the article will be useful for both students and researchers who do not have experience working with geographic information systems.

Keywords: Open Spatial Data, GIS, Geocoding, NSDI, Visualization, Georgia.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში სივრცითი მონაცემების (იგივე გეოგრაფიული მონაცემების) გამოყენება ქმნის დამაჯერებელ ვიზუალურ ნარატივებს, რომლებიც გვაჩვენებენ სივრცესთან მიმართებაში კვლევის შედეგების ისეთ ურთიერთობებს და ტენდენციებს, რომელთა დანახვა მხოლოდ ცხრილებში არსებული მონაცემებით შეუძლებელია. ამ მიმართულებით უდიდეს მნიშვნელობას იძენს ღია სივრცითი მონაცემების (Open Spatial Data) გამოყენება კვლევის შედეგების თემატურ რუკებად გადაქცევისათვის. მთავარი საიდუმლო არასივრცითი მონაცემების სისტემური სამუშაო პროცესების მეშვეობით ვალიდურ გეოგრაფიულ ინფორმაციად გარდაქმნაშია. მიზანშეწონილია სამუშაოს პროცესების დაყოფა შემდეგ ოთხ ეტაპად და თანმიმდევრობის დაცვა:



პირველ რიგში საჭიროა მკვლევარმა თავისი კვლევის შედეგებისათვის განსაზღვროს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, თუ სად ხდება ეს მოვლენა (კოორდინატი, დასახლებული პუნქტები, მუნიციპალიტეტი, რეგიონი, ქვეყანა და ა.შ). შემდეგი ნაბიჯია მონაცემები დააჯგუფოს ან დაყოს რამოდენიმე კლასად შესაბამისი დასახელებებით. სისტემატიზირების მთავარი პრინციპია ერთ კლასს შეესაბამებოდეს ერთი ტიპის ჩანაწერი.

თუ შედეგები რაოდენობრივი, თვლადი ან გაზომვადი რიცხვითი მონაცემებია, მაშინ სასურველია შეიქმნას რიცხვითი დიაპაზონების გრადაციის კლასი და კონკრეტულ მონაცემებს მიენიჭოს შესაბამისი რიცხვითი დიაპაზონის კლასი.

გლობალურ დონეზე, მონაცემთა მოპოვების უპირველეს წყაროს წარმოადგენს გაეროს გეოსივრცითი ინფორმაციის მართვის ინიციატივა (UN-GGIM) და ევროპული INSPIRE დირექტივა, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი და გეოგრაფიული მონაცემების სტანდარტიზებულ წვდომას. ასევე ოფიციალური ღია პორტალები, როგორიცაა „Eurostat და „Global Forest Watch", მკვლევარებს სთავაზობენ ვალიდურ გეომონაცემებს, რაც ამცირებს მონაცემთა შეგროვების ხარჯებს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის განვითარებას (United Nations, 2023).

მონაცემთა მოძიებისას აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, როგორიცაა ISO 19115 (მეტამონაცემებისთვის). ოფიციალური პლატფორმები ეყრდნობა ღია გეოსივრცითი კონსორციუმის (OGC) სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა შეუფერხებელ ინტეგრაციას სხვადასხვა პროგრამულ გარემოში. კვლევის ვალიდურობისთვის გადამწყვეტია მონაცემთა დამუშავების სამუშაო ნაკადის (Workflow) სწორი დაგეგმვა: საწყისი არასივრცითი მონაცემების (Excel/CSV) მოპოვება, მათი გეოკოდირება, სივრცითი ინტეგრაცია და საბოლოო თემატური რუკის ფორმირება (Open Geospatial Consortium, 2024).

კვლევის შედეგების შესაფერისი სივრცითი მონაცემის მოძიების შემდეგ იწყება მონაცემთა ინტეგრაციის სამუშაოები, რითაც მშრალი ცხრილები დაუკავშირდება სივრცით ობიექტებს. შედეგები გადაიქცევა რა სივრცით მონაცემად, შეიქმნება საბოლოო ეტაპზე თემატური რუკების შექმნის საშუალებაც.

პრაქტიკაში ძირითადად მონაცემების ინტეგრაციით სივრცითი მონაცემების მიღების ორი ხერხი გამოიყენება:

I. გეოკოდირების მეთოდოლოგია
II. სტატისტიკური მონაცემების სივრცითი ტრანსფორმაცია

გეოკოდირება წარმოადგენს ტექსტური აღწერილობის (მისამართი, სახელი) გეოგრაფიულ კოორდინატებად (X, Y) გარდაქმნის პროცესს. მეთოდოლოგიურად, ეს პროცესი ეყრდნობა ალგორითმულ შესაბამისობას საძიებო ტექსტსა და საცნობარო მონაცემთა ბაზას (Reference Data)

შორის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გეოკოდირების ხარისხი პირდაპირ განსაზღვრავს სივრცითი ანალიზის სიზუსტეს. ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) რეკომენდაციით, პროცესის ეფექტურობისთვის აუცილებელია მონაცემთა წინასწარი ნორმალიზაცია, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ტოპონიმიკური შეცდომები (European Commission, Joint Research Centre, 2023).

მსოფლიოში გეოკოდირებისათვის გამოიყენება შემდეგი პლათფორმები:

1. ArcGIS World Geocoding Service (Esri)

მისი გამოყენებისას საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს:

- მისამართების წინასწარი ვალიდაცია: მონაცემების დაყოფა კომპონენტებად (ქუჩა, ქალაქი, ინდექსი) ზრდის შესაბამისობის მაჩვენებელს.
- ლოკატორის ოპტიმიზაცია: ძიების არეალის შეზღუდვა კონკრეტული ქვეყნით ამცირებს „ცრუ დადებითი“ შედეგების რისკს.
- ხარისხის კონტროლი (Rematching): იმ წერტილების მექანიკური კორექტირება, რომელთა „Score“ დაბალია (Esri Official Documentation, 2024).

2. Google Maps Geocoding API

ის გამოირჩევა მაქსიმალური გლობალური დაფარვით. მკვლევარებისთვის რეკომენდებულია:

- Result Filtering: შედეგების გაფილტვრა კომპონენტების მიხედვით (მაგ. country:GE).
- Usage Optimization: დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისას (Batch Geocoding) ასინქრონული მოთხოვნების გაგზავნა სერვისის კვოტების ოპტიმალური მართვისთვის (Google Maps Platform, 2024).

3. QGIS პლაგინები: MMQGIS და Nominatim

ღია პროგრამული უზრუნველყოფის გარემოში QGIS სთავაზობს მოქნილ ინსტრუმენტებს:

- MMQGIS: მოსახერხებელია CSV ფაილებიდან გეოკოდირებისთვის და შედეგების ექსპორტისთვის Shapefile/GeoPackage ფორმატებში.
- Nominatim (OSM): ეყრდნობა OpenStreetMap-ის ღია მონაცემებს. საუკეთესო პრაქტიკაა მცირე და საშუალო ზომის მონაცემთა ბაზებისთვის მისი გამოყენება, რათა დაცული იქნას სერვისის გამოყენების პოლიტიკა -„Usage Policy" (QGIS Documentation, 2024).

სტატისტიკური მონაცემების სივრცით ფორმატში გადაყვანა (**ტრასფორმაცია**) ეფუძნება გლობალურ სტატისტიკურ გეოსივრცით ჩარჩოს (GSGF). ატრიბუტული ინფორმაციის მიბმა გეომეტრიულ ობიექტებთან უნიკალური იდენტიფიკატორების (Table Join) მეშვეობით საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ისეთი ტენდენციები, რომლებიც უხილავია სტანდარტულ ცხრილებში. გაეროს რეკომენდაციით, ეს მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა ჰარმონიზაციას გლობალურ დონეზე. მსოფლიო ბანკის ღია მონაცემთა პოლიტიკა ხაზს უსვამს, რომ სივრცითი ვიზუალიზაცია ზრდის კვლევის არგუმენტირებულობას და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას (United Nations Statistics Division, 2022; World Bank, 2023).

სამწუხაროდ ჯერჯერობით საქართველოში გეოკოდირების ინსტრუმენტებისათვის შესაფერისი სამისამართო მონაცემების მოძიება მკვლევარისათვის თითქმის შეუძლებელია. გეოკოდირების გლობალური პლათფორმების გამოყენებას კი, დიდი დრო და შესაბამისი უნარები სჭირდება. ამიტომ ქართველი მკვლევარებისათვის ამჟამად რეკომენდირებულია მხოლოდ მეორე ხერხით - სტატისტიკური მონაცემების სივრცითი ტრანსფორმაციით სარგებლობა. ამ საქმეში კი ნამდვილად დაგვეხმარება საქართველოში ახლად შექმნილი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI), რომელიც საშუალებას იძლევა

გეოპორტალის დახმარებით მოვიძიოთ და ჩამოვტვირთოთ საბაზისო სივრცითი მონაცემები ჩვენი კვლევის შედეგების თემატურ რუკებად გადასაქცევად.

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (SDI) როლს დიდი ყურადღება ექცევა როგორც ევროკავშირში ისე მთელს მსოფლიოში.

SDI წარმოადგენს ტექნოლოგიების, პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეთანხმებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპს: „მონაცემთა ერთხელ შეგროვება და მრავალჯერადი გამოყენება“. იგი აწვდის მკვლევარებს სტანდარტიზებულ ვებ-სერვისებს (WMS, WFS), რაც აუმჯობესებს კვლევის შედეგების სივრცეზე მიბმის სიზუსტეს და მონაცემთა გლობალურ გაზიარებას. SDI-ის განვითარება კვლევითი ორგანიზაციებისთვის რესურსების ოპტიმიზაციის საუკეთესო საშუალებაა (European Commission, 2024; Global Spatial Data Infrastructure Association, 2023).

საქართველოში NSDI-ის განვითარება 2023 წლის 16 ნოემბერს მიღებული კანონით „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ“ ახალ ეტაპზე გადავიდა. კანონი განსაზღვრავს საბაზისო მონაცემების წარმოების ვალდებულებას და უზრუნველყოფს მათ ღიაობას მკვლევარებისთვის. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, როგორც კოორდინატორმა, აამოქმედა ეროვნული გეოპორტალი (nsdi.gov.ge), რომელიც წარმოადგენს ავთენტური მონაცემების (ადმინისტრაციული საზღვრები, ორთოფოტოები, სატრანსპორტო ქსელები და ა.შ) წვდომის ერთიან წერტილს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2024).

საქართველოში გეოკოდირების სპეციფიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული „მისამართების ერთიან რეესტრთან“. ლოკალური კვლევებისას ყველაზე მაღალი სანდოობის ხარისხი მიიღწევა სწორედ ეროვნულ საცნობარო მონაცემებზე (Reference Data) დაყრდნობით, რაც გამორიცხავს არსებულ შესაძლო ტოპონიმიკურ უზუსტობებს. საქსტატის მონაცემების სივრცეზე მიბმა ხდება უნიკალური კოდების (UID) მეშვეობით, რაც GSGF მოდელის ადგილობრივი ადაპტაციის მაგალითია (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2024; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

მიმდინარე პერიოდისათვის საქართველოს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის პორტალზე (https://nsdi.gov.ge/ka/catalog) 65 მონაცემთა ნაკრები და 28 სერვისია განთავსებული, რაოდენობა იზრდება თანდათანობით. აქ ნახავთ საბაზისო მნიშვნელობის ვექტორულ ფენებს (გზა, რკინიგზა, ჰიდროგრაფია, სარეგისტრაციო ზონები (მუნიციპალიტეტის საზღვრებთან მიახლოებული საზღვრები), სარეგისტრაციო სექტორები და ა.შ, რომელთაც გააჩნიათ სერვისის მისამართის კოპირების ან ჩამოტვირთვის ფუნქციები.

ჩამოტვირთული სივრცითი მონაცემის დათვალიერება და კვლევის შედეგებთან ინტეგრაცია შესაძლებელი ნებისმიერ გეოინფორმაციულ სისტემაში.

მათ, ვისაც გის სისტემებთან მუშაობის გამოცდილება არ აქვს, შეუძლიათ თავიანთ სისტემებში დააყენონ ღია კოდის და უფასო გეოინფორმაციულ სისტემა - QGIS და გამოიყენონ რამოდენიმე უმარტივესი ინსტრუმენტი.

პრაქტიკული მაგალითისათვის და ინსტრუმენტების გაცნობისათვის მოვახდინოთ მუნიციპალიტეტების მიხედვით საქართველოს მოსახლეობაში ქალებისა და მამაკაცების რაოდენობის თანაფარდობის ვიზუალიზაცია, საქსტატის 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერებით მიღებული სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სამუშაოს მიმდევრობა დაიყო 4 ეტაპად:

I. კვლევის ცხრილის ფორმირება საქსტატის საწყისი მონაცემების გამოყენებით:

ცხრილი1-საქსტატის მონაცემები ჩამოტვირთული .xlsx ფორმატში:



მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების და სქესის მიხედვით

(2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი შედეგებით)*

(ათასი)

	სულ	მათ შორის	
		კაცი	ქალი
საქართველო**	**3,914.0**	**1,835.6**	**2,078.4**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	**1,330.2**	**591.3**	**738.9**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	**401.1**	**193.7**	**207.3**
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	234.6	111.4	123.2
ქედის მუნიციპალიტეტი	14.5	7.3	7.2
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	73.1	35.8	37.3
შუახევის მუნიციპალიტეტი	10.9	5.4	5.5
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51.5	25.8	25.7
ხულოს მუნიციპალიტეტი	16.5	8.1	8.4
გურია	**100.8**	**48.6**	**52.3**
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	26.5	12.8	13.7
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	57.6	27.7	30.0
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	16.7	8.1	8.6
იმერეთი	**505.5**	**239.9**	**265.5**

ცხრილი-2-სტანდარტულად ფორმირებული ცხრილი:



	A	B	C	D	E
1	N	დასახელება	ჯამი	კაცი	ქალი
2	1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	234.6	111.4	123.2
3	2	ქედის მუნიციპალიტეტი	14.5	7.3	7.2
4	3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	73.1	35.8	37.3
5	4	შუახევის მუნიციპალიტეტი	10.9	5.4	5.5
6	5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51.5	25.8	25.7
7	6	ხულოს მუნიციპალიტეტი	16.5	8.1	8.4
8	7	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	26.5	12.8	13.7
9	8	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	57.6	27.7	30.0
10	9	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	16.7	8.1	8.6
11	10	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	161.2	72.2	89.1

II. მუნიციპალიტეტის საზღვრებთან მიახლოებული სივრცითი მონაცემის მოძიება (სურათი-1) ჩამოტვირთვა https://nsdi.gov.ge/ka/catalog

სურათი-1



გეოინფორმაციულ სისტემა QGIS -ში დათვალიერება (სურათი-2):

სურათი-2



ატრიბუტული ცხრილების დათვალიერება (სურათი-3):
სურათი-3



სივრცითი მონაცემების ცხრილის მონაცემების მისადაგება სტატისტიკურ ცხრილთან:
ცხრილი-3

	A	B	C	D	E	F	G
1	CADCODE	ZONE_NAME	N	dasaxeleba	jami_aTasi	kaci_aTasi	qali_aTasi
2	05	ბათუმი	1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	234.6	111.4	123.2
3	21	ქედა	2	ქედის მუნიციპალიტეტი	14.5	7.3	7.2
4	20	ქობულეთი	3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	73.1	35.8	37.3
5	24	შუახევი	4	შუახევის მუნიციპალიტეტი	10.9	5.4	5.5
6	22	ხელვაჩაური	5	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51.5	25.8	25.7
7	23	ხულო	6	ხულოს მუნიციპალიტეტი	16.5	8.1	8.4
8	27	ლაზჩხუთი	7	ლაზჩხუთის მუნიციპალიტეტი	26.5	12.8	13.7
9	26	ოზურგეთი	8	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	57.6	27.7	30.0
10	28	ჩოხატაური	9	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	16.7	8.1	8.6
11	03	ქუთაისი	10	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	161.2	72.2	89.1
12	30	ბაღდათი	11	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	19.4	9.5	9.9

შესაძლებელია აქვე დაემატოს ახალი ველი - „tanafardoba“ და ექსელის ფორმულის საშუალებით დაანგარიშებულ იქნას ქალების რაოდენობის შეფარდება მამაკაცების რაოდენობასთან. ამის გაკეთება გეოინფორმაციულ სისტემებშიცაა შესაძლებელი.

III. შემდეგი ნაბიჯია კვლევის შედეგის ცხრილის მიერთება საზღვრების პოლიგონალურ ფენასთან (JOIN):

სურათი-3



დამატებული ახალი ფენა, რომელიც სასურველია შევინახოთ სივრცით .shp ფორმატში შესაბამისი დასახელებით, გაერთიანებული ცხრილით მზადაა საჭირო სიმბოლიზაციისათვის თემატური რუკის შესაბამისი საბოლოო სახის მისაცემად:

სურათი-3



	CADCODE	ZONE_NAME	CADCODE_2	ZONE_NAME_	N	dasaxeleba	jami_aTasi	kaci_aTasi	qali_aTasi	Tanafardob
10	11	გალი	11	გალი	0	0	0	0	0	NULL
11	15	ქალაქი სოხუ...	15	ქალაქი სოხუ...	0	0	0	0	0	NULL
12	72	მცხეთა	72	მცხეთა	32.000000000000...	მცხეთის მუნ...	56.500000000000...	29.100000000000...	27.399999999999...	0.942

IV. თემატური რუკის შედგენა

ბოლო ნაბიჯია ახალად გენერირებული ფენის თვისებების დაყენება და საჭიროებისამებრ წარწერების გამოტანა:

სურათი-4



ჩვენი სქემატური რუკა (სურათი-5), სადაც მკაფიოდ ჩანს საქართველოს მოსახლეობაში სქესთა თანაფარდობა, მზადაა კვლევაში ჩასასმელად. ანალოგიურად შეიძლება ნებისმიერი რიცხვითი მონაცემები, რომლებსაც მკვლევარი მოიპოვებს ან შექმნის მუნიციპალიტეტების დონეზე, იქცეს ეფექტურ ინფორმატიულ რუკად.

სურათი-5



ღია სივრცითი მონაცემების, თანამედროვე გეოკოდირების პლატფორმებისა და NSDI-ის ინტეგრირებული გამოყენება ზრდის სამეცნიერო კვლევის ვალიდურობას, გამჭვირვალობას და ეფუქტურად წარმოჩენას. საერთაშორისო სტანდარტების (OGC, ISO) დაცვა და ოფიციალური სახელმწიფო პლატფორმების გამოყენება აუცილებელია შედეგების ეფექტური კომუნიკაციისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზისთვის. საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები NSDI-ის საკანონმდებლო რეგულირებისა და ერთიანი გეოპორტალის შექმნის

მიმართულებით, ქმნის მყარ საფუძველს ქვეყანაში გეოსივრცითი კვლევების განვითარებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისათვის.

ლიტერატურის სია:

1. Esri Official Documentation. (2024). *ArcGIS World Geocoding Service: Best practices and technical specifications*. Esri Press. https://pro.arcgis.com
2. European Commission. (2024). *INSPIRE Directive: Technical guidance for spatial data sets*. EC Publications.
3. European Commission, Joint Research Centre. (2023). *Guidelines for address data standardization and geocoding*. Publications Office of the European Union.
4. Global Spatial Data Infrastructure Association. (2023). *SDI implementation guide*. GSDI Press.
5. Google Maps Platform. (2024). *Geocoding API: Developer guide and best practices*. Google Cloud.
6. ISO. (2022). *ISO 19157: Geographic information — Data quality*. International Organization for Standardization.
7. Open Geospatial Consortium (OGC). (2024). *OGC standards and interoperability*. [Online]. https://www.opengeospatial.org
8. QGIS Documentation. (2024). *QGIS User Guide: Geocoding plugins and external services*. QGIS Project. https://docs.qgis.org
9. United Nations. (2023). *Integrated Geospatial Information Framework (IGIF)*. UN-GGIM.
10. United Nations Statistics Division (UNSD). (2022). *Global Statistical Geospatial Framework (GSGF)*. United Nations.
11. World Bank. (2023). *Open data toolkit for geospatial analysis*. World Bank Group.
12. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. (2024). *ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) პრეზენტაცია*. https://justice.gov.ge
13. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2023). *საქართველოს კანონი „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ“ (N 3705 – XIII მს - Xმპ)* https://matsne.gov.ge
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2023). *სტატისტიკურ მონაცემთა გეოსივრცითი ინტეგრაციის ანგარიში*.
15. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. (2024). *ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI) და ეროვნული გეოპორტალი*. https://nsdi.gov.ge

პემფიგუსის კლინიკური გამოვლინებები და თანამედროვე მკურნალობის მიდგომები
Clinical Manifestations of Pemphigus and Current Therapeutic Approaches

მაია ჯიქია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
მმდ, პროფესორი, დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი
სერგო ლანჩავა
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
მმდ, მოწვეული ლექტორი
Maia Jikia
Georgian National University SEU
DMD, PhD, Professor, Head of DMD Program
Sergo Lanchava
Georgian National University SEU
MD, Visiting Lecturer

აბსტრაქტი. პემფიგუსი წარმოადგენს ავტოიმუნურ დაავადებას, რომლის დროსაც პაციენტის ორგანიზმში წარმოქმნილი ავტოანტისხეულები აზიანებენ ეპიდერმისსა და ეპითელური ქსოვილის უჯრედთაშორის დამაკავშირებელ სტრუქტურებს. შედეგად, უჯრედებს შორის კავშირი ირღვევა, ვითარდება აკანთოლიზი და წარმოიქმნება ბუშტუკები როგორც კანზე, ისე ლორწოვან გარსზე.

კლინიკური ნიშან-თვისებებისა და იმუნოლოგიური მახასიათებლების მიხედვით პემფიგუსი კლასიფიცირდება შემდეგ ფრომებად: ვულგარული პემფიგუსი (Pemphigus vulgaris); ფოთლისებური პემფიგუსი (Pemphigus foliaceus); ნეოპლასტური / პარანეოპლასტიური პემფიგუსი; IgA პემფიგუსი (Gieß-ის ტიპი), ვეგეტაციური პემფიგუსი (Pemphigus vegetans) და წამლისმიერი პემფიგუსი (Drug-induced pemphigus).

წარმოდგენილი კლასიფიკაციიდან, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანება ყველაზე ხშირად აღინიშნება ვულგარული პემფიგუსის დროს, შედარებით იშვიათად — პარანეოპლასტიური ფორმის შემთხვევაში, ხოლო ფოთლისებური და IgA პემფიგუსის დროს მსგავსი დაზიანება, როგორც წესი, არ ვლინდება.

მოცემულ სტატიაში განხილულია პემფიგუსის ის ფორმები, რომლებიც ვლინდება პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, და აღწერილია მათი დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია დიფერენციალური დიაგნოზისათვის.

საკვანძო სიტყვები: პემფიგუსი, პირის ღრუს ლორწოვანი გარსი, კანი, დიაგნოსტიკა, იმუნოფლუორესცენცია, მკურნალობა, კლინიკური მახასიათებლები;

Abstract. Pemphigus is an autoimmune disease in which autoantibodies produced in the patient's body target the epidermis and intercellular adhesion structures of epithelial tissue. As a result, cell-to-cell adhesion is disrupted, leading to acantholysis and the formation of blisters on the skin and mucous membrane.

Based on clinical features and immunological characteristics, pemphigus is classified into the following forms: pemphigus vulgaris, pemphigus foliaceus, paraneoplastic pemphigus, IgA pemphigus (Gieß type), pemphigus vegetans, and drug-induced pemphigus.

Among these forms, involvement of the oral mucosa is most frequently observed in pemphigus vulgaris, less commonly in paraneoplastic pemphigus, while it is typically absent in pemphigus foliaceus and IgA pemphigus.

This article discusses the forms of pemphigus that manifest on the oral mucosa and describes their characteristic clinical features, which are important for differential diagnosis.

Keywords: Pemphigus, Oral mucosa, Skin, Diagnosis, Immunofluorescence, Treatment, Clinical features;

ვულგარული პემფიგუსი (Pemphigus vulgaris) წარმოადგენს აუტოიმუნურ ბულოზურ დერმატოზს, რომელიც ხასიათდება ეპიდერმული უჯრედთაშორისი კავშირის (ადჰეზიის) დაკარგვით. დაავადების პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ IgG კლასის ავტოანტისხეულებს, რომლებიც მიმართულია დესმოსომების ტრანსმემბრანული გლიკოპროტეინების — დესმოგლეინ 1 (Dsg1) და დესმოგლეინ 3 (Dsg3) — წინააღმდეგ.

დესმოგლეინების ექსპრესიის განსხვავებული განაწილება განაპირობებს კლინიკურ ფენოტიპს: ლორწოვან ეპითელიუმში დომინირებს Dsg3, მაშინ როდესაც კანის ეპიდერმისში წარმოდგენილია როგორც Dsg1, ასევე Dsg3. შესაბამისად, ანტისხეულების პროფილი და ტიტრი კორელაციაშია დაზიანების ლოკალიზაციასთან (ლორწოვან გარსზე, კანზე და/ან მუკოკუტანური გამოვლინება).

ავტოანტისხეულების შეკავშირება დესმოგლეინებთან იწვევს დესმოსომული კომპლექსის დისფუნქციას და აკანთოლიზს. პროცესი ლოკალიზდება ეპიდერმისის სუპრაბაზალურ ნაწილში, მალპიგის შრეში (stratum Malpighii), იწვევს ინტრაეპიდერმული ნაპრალის ფორმირებას სითხის დაგროვებითა და წყლულოვანი ბუშტების/ბუშტუკების (ბუშტუკი (vesicle), ბულა/ბულები, bulla/bullae) ჩამოყალიბებით. აკანთოლიზირებული კერატინოციტები იდენტიფიცირდება ბუშტების სითხეში ციტოლოგიური კვლევისას.

ბუშტების რღვევის შემდეგ ბაზალური კერატინოციტები რჩება მიმაგრებული ბაზალურ მემბრანაზე ჰემიდესმოსომების საშუალებით, რაც ჰისტოლოგიურად ქმნის პალიზადური განლაგების (ე.წ. row of tombstones ფენომენი) სურათს, თუმცა სწრაფად ვითარდება მტკივნეული ეროზიები. პროცესს თან ახლავს მინიმალური ანთებითი ინფილტრაცია და შემაერთებელი ქსოვილის შედარებით შენარჩუნებული სტრუქტურა.

ეპითელური საფარის ფართომასშტაბიანი დაკარგვა იწვევს სითხისა და ელექტროლიტების მნიშვნელოვან დანაკარგს და ზრდის მეორადი ინფექციის განვითარების რისკს. მკურნალობის გარეშე დაავადება ისტორიულად ასოცირდებოდა მაღალ ლეტალობასთან, ხოლო თანამედროვე იმუნოსუპრესიული თერაპიის პირობებში პროგნოზი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

პემფიგუს ვულგაროს (PV) გამომწვევი მიზეზები უცნობია, რადგან PV არის მრავალფაქტორიული დაავადება, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია გენეტიკურ სენსიბილურობაზე, გარემოს ფაქტორებზე და იმუნური სისტემის ინდივიდუალურ რეაქციებზე, რომელთა ზუსტი კომბინაცია ჯერ არ არის ცნობილი.

კლინიკური გამოვლინება:

ვულგარული პემფიგუსი (PV) ხშირად იწყება პირის ღრუში, შემთხვევათა 70–90%-ში პროცესის დაწყება შეიძლება ხანგრძლივად შემოიფარგლოს მხოლოდ პირის ღრუს ლორწოვან გარსზე. ყველაზე ხშირად დაზიანებულია ლოყის ლორწოვანი გარსი (რეტრომოლარული მიდამო), რბილი/ მაგარი სასა, ენა, ტუჩების შიდა ლორწოვანი გარსი და პირის ღრუს ფსკერი. იშვიათად, დაავადება შეიძლება გავრცელდეს სხვა ლორწოვან გარსებზეც, მათ შორის ცხვირის, ხახის, საყლაპავისა და გენიტალური ლორწოვანი გარსის ჩათვლით.

ეპითელიუმის ანატომიური თავისებურებების გამო პროცესი პირის ღრუში კანთან შედარებით განსხვავებულად ვითარდება. აქ მთელი ბუშტუკები/ბუშტები თითქმის არასოდეს წარმოიქმნება, ხოლო ვულგარული პემფიგუსის დროს დაზიანებები, ძირითადად, ბუშტების გარეშე მიმდინარეობს. დაზიანების ადგილზე თავდაპირველად შეიმჩნევა შემღვრეული,

დასუსტებული ეპითელიუმი, რომლის ზედა ფენა სტრუქტურულად დაუცველია და მცირე ზემოქმედებითაც იშლება (ნიკოლსკის სიმპტომი). ამ პროცესის შედეგად წარმოიქმნება ეროზია, რომელიც სწრაფად ვრცელდება პერიფერიისკენ.

ეროზიები სხვადასხვა ზომისაა, ერითემატოზული შეფერილობის, ხშირად „შიშველი“, ნადების გარეშე ან დაფარული ადვილად მოსაშორებელი ფიბრინული ნადებით. გამონაყარი ჩნდება შეუცვლელ ან ზომიერად ერითემატოზულ ლორწოვან გარსზე. ტკივილი ძლიერია, განსაკუთრებით ჭამისა და საუბრის დროს; გამოხატულია ჰიპერსალივაცია (*protective reflex*), რაც წარმოადგენს ლორწოვანი გარსის დაზიანებით გამოწვეულ რეაქციას.

ეროზიები ხშირად ინფიცირდება პირის ღრუს მიკროფლორით, რის შედეგადაც პროცესი მკურნალობის გარეშე მძიმდება. თანდათანობით ინფექციას შეიძლება დაემატოს კოკური ფლორა, კანდიდოზი და განსაკუთრებით ფუზოსპიროქეტოზი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას. შედეგად ვითარდება ჰალიტოზი, ანუ ნეკროზული ქსოვილების და ინფექციის შედეგად წარმოქმნილი ლპობის სუნი პირის ღრუდან, რაც კლინიკურად დამახასიათებელია ვულგარული პემფიგუსისთვის.

ახალი დაზიანებები ჩნდება სწრაფად, არ ახასიათებს კანონზომიერი ან სისტემატური განლაგება და არის სპონტანური, რაც ტიპიურია ვულგარული პემფიგუსისთვის, განსხვავებით ზოგიერთი ალერგიული ან ავტოიმუნური დერმატოზისგან, სადაც დაზიანებები შესაძლოა სიმეტრიულად განლაგდეს.

ნიკოლსკის ნიშანი ვულგარული პემფიგუსის (PV) ერთ-ერთი მთავარი კლინიკური ინდიკატორია და აჩვენებს, რამდენად მარტივად იშლება ეპითელიუმი ქვემდებარე ქსოვილიდან აკანთოლიზის შედეგად უჯრედთაშორისი მიმაგრების (დეზმოსომების) დაკარგვის გამო. ვულგარული პემფიგუსის აქტიურ სტადიაში ნიკოლსკის ნიშანი, როგორც წესი, დადებითია, ხოლო რემისიაში ან წარმატებული იმუნოსუპრესიული თერაპიის დროს უარყოფითი ხდება.

ვულგარული პემფიგუსი ჩვეულებრივ ვითარდება **ქრონიკულად ან ქვემწვავედ**, იშვიათად მწვავედ. დაავადების კლინიკური გამოსახულება შეიძლება განვითარდეს როგორც **ლორწოვანი გარსის დაზიანებებით**, ისე კანის მონაწილეობით. დაავადების მიმდინარეობის სამ ეტაპად დაყოფა საშუალებას აძლევს კლინიცისტს, თვალი ადევნოს პაციენტის მდგომარეობას, განსაზღვროს თერაპიის ეფექტიანობა და შეაფასოს ადგილობრივი (ლორწოვანი გარსი, პირის ღრუს ეროზიები) და ზოგადი (ცხელება, ინფექცია, სისუსტე) სიმპტომების მნიშვნელობა (Bolognia et al., 2018; Murrell et al., 2020).

1. **საწყისი ფაზა:** გავრცელების დაწყების ეტაპზე სიმპტომები მცირეა; ეროზიები ძირითადად პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ლოკალიზდება. ნიკოლსკის სიმპტომი უარყოფითია ან მსუბუქად დადებითი, რაც ნიშნავს, რომ ეპიდერმისი იშლება მხოლოდ მსუბუქი შეხებისას მცირე ფართობზე. ნაცხის ანაბეჭდში აკანთოლიზური უჯრედების რაოდენობა ≤30%–ია (Lever & Schaumburg-Lever, 2016).

2. **გამწვავების ფაზა:** ამ ეტაპზე ვლინდება დაავადების სრული კლინიკური სურათი — ეროზიები სწრაფად ვრცელდება, ნიკოლსკის სიმპტომი დადებითია, ტკივილი ძლიერია, შესაძლოა გაძლიერდეს ჰიპერსალივაცია და ადგილობრივი ინფექციები. ზოგადი მდგომარეობა შესაძლოა დამძიმდეს, რაც გამოიხატება სისუსტეში, ცხელებაში, სეკუნდარული ინფექციებში (James et al., 2015).

3. **ეპითელიზაციის ფაზა:** დაავადების აქტიურობა მცირდება, იწყება ეროზიების აღდგენის პროცესი, ნიკოლსკის სიმპტომი უარყოფითია ან მსუბუქად დადებითი, ხოლო აკანთოლიზური უჯრედების რაოდენობა ნელ-ნელა მცირდება. კანისა და ლორწოვანი

გარსის დაზიანებები რეგენერირდება, ხოლო ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება (Murrell et al., 2020).

ვულგარული პემფიგუსის დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ სურათს, ნიკოლსკის დადებით ნიშანს, ციტოლოგიურ გამოკვლევას და პირდაპირი იმუნოფლუორესცენტული (IF) ანალიზის შედეგებს.

ციტოლოგიური გამოკვლევა: ვულგარული პემფიგუსის დროს ნაცხის ანაბეჭდში ან ეროზიის ფსკერიდან აღებულ ნიმუშში გამოვლენილია შეცვლილი ეპითელური უჯრედები, ე.წ. პემფიგუსის აკანთოლიზური უჯრედები (ტცანკის უჯრედები).

აკანთოლიზური უჯრედების მორფოლოგია:

- უჯრედები წვეტიანი ფორმისაა და ნორმალურ ეპითელურ უჯრედებთან შედარებით მცირე ზომის.
- ბირთვი შედარებით მსხვილია; მისი დიამეტრი შეადგენს უჯრედის დიამეტრის დაახლოებით 1/3–დან 1/2-მდე ან მეტს.
- ბირთვი ფაშარია და შეიცავს 1–6 ან მეტ ნათელ ბირთვაკს.
- ციტოპლაზმა ორფენიანია: ნათელი პერინუკლეური ზონა და მუქი ღურჯი პერიფერიული ზონა.
- უჯრედებს ახასიათებს შეღებვის პოლიმორფიზმი Papanicolaou (PAP) ანაბეჭდში, ასევე უჯრედებისა და ბირთვების ზომისა და ფორმის მრავალფეროვნება.
- ზოგჯერ შეიძლება გამოვლინდეს გიგანტური მრავალბირთვიანი უჯრედებიც.

ციტოლოგიური სურათის მახასიათებლები პემფიგუსის სხვა ფორმებში:

- ვეგეტაციური პემფიგუსის დროს ციტოლოგიური სურათი მსგავსია ვულგარული პემფიგუსისას.
- ფოთლისებური პემფიგუსისთვის კი მრავალბირთვიანი უჯრედები ნაკლებად არის დამახასიათებელი; აკანთოლიზური უჯრედები მცირე რაოდენობითაა, მონომორფულია, ხშირად აქვთ ოვალური ან არარეგულარული სამკუთხედის ფორმა.

კლინიკური მნიშვნელობა: ციტოლოგიური შეფასებისას მნიშვნელოვანია პემფიგუსის აქტიური ფაზის გათვალისწინება, რადგან უჯრედების ცვლილებების ინტენსივობა კავშირშია პათოლოგიური პროცესისი ხარისხთან.

ვეგეტაციური პემფიგუსის კლინიკური თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პირველადი ბუშტებისა და ეროზიების შემდეგ, დაზიანების ფსკერზე ვითარდება გამოხატული ეპითელური ჰიპერპლაზია და ყალიბდება ვეგეტაციები — ამობურცული, ტენიანი, გრანულაციური გამონაზარდები. ეროზიული ზედაპირი თანდათან იფარება სქელი, პაპილომატოზური, ზოგჯერ მარცვლოვანი სტრუქტურის მქონე ქსოვილით, რაც კერებს ვეგეტაციურ იერს ანიჭებს. კანზე ლოკალიზებული დაზიანებები, განსაკუთრებით ნაკეცებში, შესაძლოა კლინიკურად წააგავდეს სებორეულ დერმატიტს ან სებორეულ ეგზემას, თუმცა მათგან განსხვავდება უფრო ინფილტრირებული, ტენიანი და პროლიფერაციული ხასიათით.

პარანეოპლასტიური პემფიგუსი წარმოადგენს იშვიათ, მაგრამ მძიმე აუტოიმუნურ ბულოზურ დერმატოზს, რომელიც ასოცირებულია სხვადასხვა ნეოპლაზიასთან, განსაკუთრებით ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებთან (არაჰოჯკინის ლიმფომა, ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია, თიმომა და სხვ.).

დაავადება ხასიათდება მრავალფეროვანი კლინიკური სურათით: მტკივნეული, რეზისტენტული ეროზიები პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ხშირად წარმოადგენენ პირველ და

წამყვან სიმპტომს. ლორწოვანი დაზიანებები შეიძლება მოიცავდეს ტუჩებს, ლოყის ლორწოვანს, ენას, რბილ სასას და ხახას.

იმუნოლოგიურად პარანეოპლასტიური პემფიგუსი ხასიათდება მრავალ ანტიგენზე მიმართული ავტოანტისხეულებით (დესმოგლეინები, პლაკინების ჯგუფი), რაც განაპირობებს დაავადების მძიმე და პროგრესირებად მიმდინარეობას

წამლისმიერი პემფიგუსი წარმოადგენს იშვიათ, აუტოიმუნურ ბულოზურ დერმატოზს, რომელიც ვითარდება გარკვეული მედიკამენტების გამოყენების შედეგად. ამ ფორმის პემფიგუსის მექანიზმი ეფუძნება იმუნურ დისრეგულაციას: მედიკამენტის მეტაბოლიტები მოქმედებენ როგორც ჰაპტენები, რაც იწვევს B-უჯრედების სტიმულაციას და სპეციფიკური IgG ავტოანტისხეულების წარმოქმნას, რომლებიც მიმართულია ეპიდერმისის დესმოგლეინებზე. შედეგად ვითარდება აკანთოლიზი და ეპიდერმისის დაშლა, რაც კლინიკურად ხასიათდება ბუშტებითა და ეროზიებით (Scully et al., 2002). კლინიკური სურათი შეიძლება იყოს უფრო სწრაფი განვითარებით და ლორწოვანის უფრო მსუბუქი დაზიანებებით, ვიდრე კლასიკურ ვულგარულ პემფიგუსში. მკურნალობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს **გამოწვეული მედიკამენტის შეწყვეტა** და საჭიროების შემთხვევაში იმუნოსუპრესიული თერაპია (Scully et al., 2002).

პემფიგუსის ფორმების კლინიკური, ციტოლოგიური და იმუნოლოგიური მახასიათებლები:

დაავადება/ფორმა	ლორწოვანი გარსის დაზიანება	კანის დაზიანება	ბუშტების/ბუშტუკების ტიპი	ციტოლოგიური/ჰისტოლოგიური ნიშანი	იმუნოფლუორესცენტული (IF) ანალიზის შედეგი	მთავარი კლინიკური დიაგნოსტიკური ნიშანი
ვულგარული პემფიგუსი (Pemphigus vulgaris)	ხშირი პირის ღრუს ეროზიები; უმეტეს შემთხვევაში პროცესი იწყება პირის ღრუში;	ზედაპირული ბუშტუკები	სუპრაბაზალური ბუშტუკები; წვეტინი უჯრედები;	აკანთოლიზი	IgG, “Net-like” ან “Fish-net” pattern	ნიკოლსკის ნიშნი (+)
ფოთლისებური პემფიგუსი (Pemphigus foliaceus)	იშვიათად/	ზედაპირული ბუშტუკები/ქერქოვანი წარმონაქმნები	გარქოვანებული ვეზიკულები	აკანთოლიზი ეპიდერმისის ზედაპირულ შრეში	IgG, “Net-like” pattern	გარქოვანება, ეროზიები, ნიკოლსკის ნიშნი (+/-)

ნეოპლასტური / პარანეოპლასტიური პემფიგუსი (Paraneoplastic pemphigus- PNP)	შესაძლოა	სხვადასხვა ტიპის კანის დაზიანება	სუპრაბაზალური ან ზედაპირული ბუშტუკები	აკანთოლიზი	IgG, შესაძლოა სხვა პოსტთელეფონული ან ტონური ანტიგენები	თანხვედრა ნეოპლასტთან, მრავალფეროვანი „ლეზიები“
IgA პემფიგუსი (Gieß-ის ტიპი)	იშვიათი	ვეზიკულო-პაპულარული ბუშტუკები	ზედაპირული ბუშტუკები	ლეუკოციტური ინფილტრაცია	IgA დიფუზურად	ნიკოლსკის ნიშანი ნაკლებად გამოხატული
ვეგეტაციური პემფიგუსი (Pemphigus vegetans)	ხშირად, გამოვლინება ვულგარული ფორმის მსგავსია	ჰიპერპლასტიური, ვეგეტაციური პაპულები	ზედაპირული ბუშტუკები, ზოგიერთი ღრმა	აკანთოლიზი, ჰიპერპლაზია	IgG	პაპულარული/ვეგეტაციური „ლეზიები“
წამლისმიერი პემფიგუსი (Drug-induced pemphigus)	შეიძლება	სხვადასხვა	სუპრაბაზალური ან ზედაპირული ბუშტუკები	აკანთოლიზი	IgG	ანამნეზში წამლის მიღების შესახებ ინფორმაცია; ნიკოლსკის ნიშნი(+/-)

პემფიგუსის მკურნალობა

პემფიგუსის სრული განკურნება ამჟამად შეუძლებელია, თუმცა დაავადების ეფექტური კონტროლი უმრავლეს პაციენტებში შესაძლებელია. მკურნალობის რეჟიმი დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე, სიმძიმესა და სტადიაზე. დიაგნოზის დადასტურების შემდეგ, პემფიგუსის მართვა ეფუძნება როგორც დაავადების კლინიკურ სურათს, ისე პაციენტის ზოგად ჯანმრთელობის მდგომარეობას. ეს განსაზღვრავს თერაპიულ სტრატეგიას და პროგნოზს, ხოლო მკურნალობა მოიცავს როგორც იმუნოსუპრესიულ, ისე სიმპტომატურ საშუალებებს, საჭიროების მიხედვით.

კორტიკოსტეროიდები - კორტიკოსტეროიდები პემფიგუსის მკურნალობის ძირითად საფუძველს წარმოადგენენ მათი იმუნოსუპრესიული და ანთების საწინააღმდეგო ეფექტების გამო. ისინი ამცირებენ იმუნური სისტემის აქტივობას, ხელს უშლიან კანის ადჰეზიური მოლეკულების აუტოიმუნურ დაზიანებას და შედეგად, აძლიერებენ ბუშტუკების, ბუშტების და ეროზიების შეხორცების პროცესს.

ბიოქიმიურად, კორტიკოსტეროიდები უკავშირდებიან ციტოპლაზმურ გლუკოკორტიკოიდულ რეცეპტორებს და წარმოქმნიან რეცეპტორ-ლიგანდის კომპლექსს, რომელიც ბირთვში გადადის და არეგულირებს გენების ტრანსკრიფციას. შედეგად:

- B-ლიმფოციტების მიერ პათოგენური ავტოანტისხეულების გამომუშავება ინჰიბირდება;
- პროანთებითი ციტოკინების (TNF-α, IL-1, IL-6) სინთეზი შემცირებული;
- ლეიკოციტების (ნეიტროფილები, მაკროფაგები) აქტივაცია შემცირებულია;
- ანთებითი მედიატორების (პროსტაგლანდინები, ლეიკოტრიენები) წარმოქმნა ინჰიბირდებულია;
- აკანთოლიზი შემცირებულია, რაც ხელს უწყობს ეპიდერმისის მთლიანობის შენარჩუნებას;

კლინიკურად ეს ეფექტები იწვევს ბუშტუკების წარმოქმნის შემცირებას, ანთების დაქვეითებას და მეორადი ინფექციების რისკის შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ კორტიკოსტეროიდების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა პემფიგუსთან ასოცირებული სიკვდილიანობა, თუმცა მათი ხანგრძლივი გამოყენება დაკავშირებულია სერიოზულ გვერდით ეფექტებთან.

რიტუქსიმაბი - რიტუქსიმაბი პემფიგუსის მკურნალობაში პირველად კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა 2000-იან წლებში, თავდაპირველად კვლევითი და *off-label* რეჟიმით (ანუ იმ დაავადებისთვის, რომლისთვისაც პრეპარატი ოფიციალურად ჯერ არ იყო დამტკიცებული).

რიტუქსიმაბი წარმოადგენს მონოკლონურ ანტისხეულს, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს CD20-პოზიტიურ B-ლიმფოციტებზე და ამცირებს ავტოანტისხეულების გამომუშავებას.

ოფიციალურად, როგორც Pemphigus vulgaris-ის სამკურნალო საშუალება, იგი დაამტკიცა Food and Drug Administration-მა 2018 წელს.

დღეს რიტუქსიმაბი წარმოადგენს პირველი ხაზის ბიოლოგიურ თერაპიას პემფიგუს ვულგარისის მკურნალობაში, ხოლო პემფიგუსის სხვა ფორმებში გამოიყენება *off-label* რეჟიმით.

კომბინირებული თერაპია

რიტუქსიმაბი ხშირად გამოიყენება კორტიკოსტეროიდებთან კომბინაციაში, რაც განპირობებულია მათი განსხვავებული მოქმედების მექანიზმებით:

- კორტიკოსტეროიდები უზრუნველყოფენ ანთების სწრაფ კონტროლს და სიმპტომების შემცირებას
- რიტუქსიმაბი ზემოქმედებს დაავადების პათოგენეზზე B-ლიმფოციტების დათრგუნვით და უზრუნველყოფს ხანგრძლივ რემისიას

ამ კომბინაციის გამოყენება საშუალებას იძლევა ეფექტურად გაკონტროლდეს დაავადება და შემცირდეს კორტიკოსტეროიდების საჭირო დოზა, რაც ამცირებს მათთან დაკავშირებულ გვერდით ეფექტებს.

იმუნოსუპრესორები - გამოიყენება როგორც დამხმარე თერაპია ძირითადად სტეროიდების დოზის შესამცირებლად, მოქმედებს B- და T-ლიმფოციტებზე და ხელს უშლის ავტოანტისხეულების წარმოქმნას, გამოიყენება, თუ რიტუქსიმაბი მიუწვდომელია ან საჭიროა დაავადების მაღალი ხანგრძლივი კონტროლი.

დასკვნა

პემფიგუსი წარმოადგენს მძიმე, თუმცა მართვად აუტოიმუნური ბულოზური დაავადებას, რომლის მთავარი ნიშანი არის ეპიდერმისის უჯრედთაშორისი ადჰეზიის დაკარგვა

(აკანთოლიზი) და ბუშტუკების წარმოქმნა ლორწოვან გარსსა და კანზე. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანება განსაკუთრებით ტიპურია ვულგარული პემფიგუსისა და ვეგეტაციური ფორმებისთვის.

თანამედროვე მკურნალობა ეფუძნება კორტიკოსტეროიდებს, რიტუქსიმაბს და სხვა იმუნოსუპრესორებს. რიტუქსიმაბი ბიოლოგიური თერაპიის სახით მიზნად ისახავს მკურნალობის ეფექტიანობის გაზრდას და კორტიკოსტეროიდების ხანგრძლივი გამოყენებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების შემცირებას. თუმცა, როგორც კორტიკოსტეროიდებსა და რიტუქსიმაბსაც აქვთ პოტენციური გვერდითი ეფექტები, რაც ხაზს უსვამს მკაცრი კლინიკური მონიტორინგის აუცილებლობას.

მომავალი კვლევები მნიშვნელოვანია დაავადების პათოგენეზის უფრო სრულად შესწავლისა და ახალი, უსაფრთხო და ეფექტური ბიოლოგიური თერაპიების შემუშავებისთვის, განსაკუთრებით პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებების მართვის ოპტიმიზაციისთვის.

პირის ღრუს დაზიანებების გამო თერაპევტ სტომატოლოგს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პემფიგუსის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ხშირად სწორედ თერაპევტ სტომატოლოგი არის პირველი ექიმი, რომელიც ამ მდგომარეობის სიმპტომებს აიდენტიფიცირებს, განსაკუთრებით ვულგარული და ვეგეტაციური ფორმების შემთხვევაში. მათი პასუხისმგებლობა მოიცავს:

- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებების ადრეულ გამოვლენას და/ან ადრეული დიაგნოზის საფუძველზე პაციენტის სწორ რეფერირებას;
- დაავადების აქტივობის შეფასებას და მკურნალობის ეფექტიანობის მონიტორინგს, განსაკუთრებით ადგილობრივი თერაპიის (მაგ. სტეროიდული გელები) გამოყენებისას;
- პაციენტის განათლების ამაღლებას პირის ღრუს ჰიგიენის შესახებ, რაც ხელს უშლის მეორადი ინფექციების განვითარებას და აუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს.
- პაციენტისთვის ინდივიდუალური მკურნალობის გეგმის შემუშავებას;

თერაპევტ სტომატოლოგის ჩართულობა აძლიერებს პაციენტის კლინიკურ მართვას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაავადების პროგნოზის გაუმჯობესებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bystryn, J. C., & Rudolph, J. L. (2005). Pemphigus. The Lancet, 366(9479), 61–73. https://doi.org/10.1016/S0140-6736(05)66799-7
2. Malik, S., et al. (2021). Advances in the management of pemphigus vulgaris. Dermatologic Therapy, 34(6), e15134. https://doi.org/10.1111/dth.15134
3. Bystryn, J. C. (2023). Pemphigus vulgaris: Clinical features, diagnosis, prognosis. Medscape. Retrieved from https://emedicine.medscape.com/article/1064550-treatment
4. Rai, R., et al. (2015). Clinical features and treatment of pemphigus vulgaris: A review. Indian Dermatology Online Journal, 6(4), 258–265. https://doi.org/10.4103/2229-5178.165475
5. Batistella, R., et al. (2021). Current trends in pemphigus management. Journal of the American Academy of Dermatology, 85(3), 647–659. https://doi.org/10.1016/j.jaad.2021.03.024
6. Bolognia, J. L., Schaffer, J. V., & Cerroni, L. (2018). Dermatology (4th ed.). Elsevier.
7. Lever, W. F., & Schaumburg-Lever, G. (2016). Histopathology of the skin (12th ed.). Wolters Kluwer.
8. James, W. D., Berger, T. G., & Elston, D. M. (2015). Andrews' diseases of the skin: Clinical dermatology (14th ed.). Elsevier.

9. Murrell, D. F., Peña, S., Joly, P., et al. (2020). Definition and clinical classification of pemphigus. Journal of the American Academy of Dermatology, 82(1), 209–217. https://doi.org/10.1016/j.jaad.2019.05.063

10. Genentech. (2018, June 7). FDA approves Genentech's Rituxan (rituximab) for adults with moderate to severe pemphigus vulgaris. Retrieved from https://www.gene.com/media/press-releases/14727/2018-06-07/fda-approves-genentechs-rituxan-rituxima?utm_source=chatgpt.com

11. Medscape. (n.d.). Pemphigus vulgaris: Treatment. Retrieved from https://emedicine.medscape.com/article/1064187-treatment?utm_source=chatgpt.com

12. Scully, C., Shirlaw, P., & Porter, S. (2002). Drug-induced pemphigus. Oral Diseases, 8(3), 137–142. https://doi.org/10.1034/j.1601-0825.2002.080303.x

The Degree of Patient Autonomy in Terminal Conditions as a Major Challenge in Medical Law

Tamar Lomidze
junior researcher at the Thomas Jefferson Research Center
lawyer

Abstract. A subject becomes a matter of research when there is interest in it from the perspective of several scientific fields. This can include legal science, philosophy, medicine, religion, or others. The present issue is particularly important, as people have a direct interest in it just as they do in empirical knowledge that humans exist.

My research focuses on the extent to which decisions made by oncology patients at the end of life influence the behavior of medical personnel, taking into account Georgian and international medical law. For this purpose, it is important to compare the standards of patient rights, medical personnel responsibilities, and fundamental human rights and freedoms.

Keywords: Patient rights; right to patient autonomy; therapeutic consent; euthanasia; prohibition of torture; terminal condition.

Introduction. According to the Georgian intra-national legislative provisions, every competent person has the right to refuse treatment in the case of being in the terminal stage of an incurable disease,[764] Among them are palliative care, resuscitation, or other life-sustaining medical interventions, although in practice the issue is problematic because patients often lack information about their diagnosis or their health condition is not explained to them in a way that is understandable and comprehensible, both in terms of the type and state of the disease, as well as the treatment or the expected consequences of refusing treatment, which ultimately violates the policy developed for the protection of patients' rights. [765]

Additionally, the novelty of the issue leads to the formation of inconsistent judicial practices, which in turn complicates the protection of patients' rights at high standards.

For the present study, the component of patient autonomy is relevant, as it plays a significant role in medical-legal relationships, since patient autonomy stands above the idea of scientific development, public

[764] See the Law of Georgia on Health Protection, 1997, December 10, Article 10; available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980

[765] See the Convention on Human Rights and Biomedicine, 1997, April 4; available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204413?publication=0

opinion, or religious views. In Georgian legislation, patient autonomy is defined as the patient's exclusive right to independently determine all matters related to medical care. This issue also applies to patients in terminal conditions. For the purpose of this study, it will be important to determine the quality of the exercise of patient autonomy rights by terminal-stage patients and the interrelation with the protection of the right to human dignity and respect.

Main text. When discussing patients' rights, it is easy to conclude that, in some respects, they are accessory in nature.[766] The issues integrated under the concept of patients' rights are regulated in such a way that they resemble a unified chain, the integrity of which requires the presence of all components. Simply put, law is a systematic combination of norms; therefore, everything that constitutes the subject of legal regulation is interconnected. Accordingly, all matters discussed around the issue under study will be considered within the framework of both medical ethics and legislation.

In addition to the aforementioned issues, when discussing patients' rights, we must not forget how delicate this matter is, as it is directly related to the right to human honor and dignity, which holds central importance in Georgia's legislative space.[767] One of the most serious issues is the component of torture, equaled by the suffering of a patient in a terminal condition, caused by disease progression and, despite hopeless outcomes, prolonged by treatment, which extends the process of suffering. The prohibition of torture is found at the domestic level as well, in the Constitution of Georgia, as well as in international mechanisms for the protection of human rights. [768]

The patient's prior informed consent. A central element in protecting the rights of a person in the terminal stage of an incurable disease is the component of the patient's advance consent, which essentially represents the patient's previously expressed will regarding the medical intervention to be performed on them, whether it is life-sustaining, resuscitative treatment, or others, and in cases where the patient's health condition objectively does not allow them to express a new position, the medical staff is obliged to take into account the patient's previously expressed will.

For a patient to give advance consent and express their will, they must be provided with detailed information about their health condition, future risks, the disease, and modern methods of treatment for the said disease. This is precisely where the first difficulty arises, which often occurs between the patient and the medical staff, and which is a precondition for the future annulment of the full spectrum of the patient's rights.

For oncology patients, hiding the diagnosis and/or giving them an incorrect diagnosis can be assessed as a deprived opportunity for the patient to make a choice. Considering European court practice,[769] the right to life component does not include the right to die or assisted death, which infringes on the right to live with dignity. Although the patient has autonomy, in practice, the state is equipped with the right to limit the patient's autonomy. Another important case from the European Court of Human Rights, unlike the Pretty case, provides a more detailed explanation regarding the concept of patient autonomy.[770] Specifically, the court explains that Article 8 of the Convention[771] includes the person's right to decide

---

[766] See the Law of Georgia on Patients' Rights, 2000, May 5; available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=16

[767] See the Constitution of Georgia, 1995, August 24; available at: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346

[768] See the Universal Declaration of Human Rights, 1948; available at: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

[769] See Pretty v. The United Kingdom, #2346/02, 29.04.2002; available at: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-60448%22]}

[770] See HAAS v. SWITZERLAND, #31322/07, 20.01.2011; available at: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-102940%22]}

[771] See the European Convention on Human Rights, November 4, 1950; available at: https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat

when and how to end their life; however, according to the court, the state's discretionary powers were not violated. In subsequent years, the European Court of Human Rights made a landmark decision, clearly seen in one case[772] where the distinction between passive and active euthanasia emerged. The court explained that the withdrawal of life-sustaining treatment does not a priori contradict the right to life.

Inconsistent court practice somewhat creates problems in the practical regulation of the issue; however, one point can be agreed upon: not informing the patient of the diagnosis also disregards their right to respect and dignity, especially when the issue concerns a terminal condition.

According to Article 10 of the Law of Georgia on Health Protection, "Every capable person has the right to express in writing in advance their will regarding the provision of resuscitation, life-sustaining, or palliative treatment and/or palliative care in the event of being diagnosed with an incurable disease at the terminal stage." The content of the aforementioned norm includes both the consent and refusal components.

The institution of advance directives represents the patient's opportunity to decide in advance how their body should be treated in case they lose the objective ability to make decisions themselves. However, for the patient to exercise this right, it is first necessary to clearly explain what disease is involved, what the treatment method is, and the medical staff must offer all possible methods that can help the patient. The patient must also be provided with information about the consequences of neglecting treatment and all possible risks that can be foreseen.

Standard for informing the patient about the terminal condition. The terminal condition essentially refers to the final stage of an incurable disease.

Despite the fact that modern approaches established in medical law prioritize the standards of human rights protection and the definition of patient rights, they impose an obligation on medical personnel to inform the patient about their health condition as a prerequisite for the legality of treatment. This primarily concerns the diagnosis.

In the Georgian medical field, it is common for medical personnel not to provide patients with information about incurable diseases. This directly violates the right to human dignity and respect, which is recognized and protected at both international and national levels with high standards.

A patient in the terminal stage who has not been informed about their health condition is deprived of the opportunity to exercise the following rights: patient autonomy; advance directives; informed consent; therapeutic consent; and others.

The most serious issue is that patients in terminal conditions are guaranteed to progress to a stage of mental incapacity due to the nature and characteristics of the disease, making the issue of patient information of central importance, as it represents the patient's autonomy to determine their own fate in the event of mental incapacity.

The response to euthanasia in the language of medical ethics and legislation. This is clear and straightforward for any question related to euthanasia. Specifically, euthanasia is not a socially justified or morally acceptable concept, and above all, it is considered illegal within the Georgian legislative framework.

It is important to note that Georgian legislation also includes a prohibition on torture, which is imperative, and there is no case in which the act of torture could be justified from a legislative or legal perspective.

In the aforementioned cases where information is not provided to patients with incurable diseases and the patient cannot exercise the right to autonomy, which is their exclusive right as a patient, moreover, they simply have no understanding of what processes are occurring in their body, how rapidly

[772] See Lambert and Others v. France, #46043/14, 15.06.2015; available at: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-155352%22]}

the disease is progressing, what kind of symptoms to expect in the future, what risks are anticipated in their condition, and more, this is far more unethical from medical, legal, and moral-ethical perspectives than euthanasia in its essence.

Furthermore, worldwide, access to opioids is a significant problem, since for patients in terminal conditions, opioids remain the only means to alleviate unbearable pain. Often, we encounter limited access to adequate pain relief, which consequently leads to inadequate treatment.

The World Health Organization presents a guideline for the pharmacological and radiotherapeutic management of cancer pain. According to this, pain management in terminal conditions[773] by medical personnel should be conducted based on the following principles:

1. The principle of optimal management;
2. The principle of individualization;
3. Safety;
4. Accessibility to analgesics, including opioids (from economic and practical perspectives);
5. Psychosocial and spiritual care;
6. When providing analgesics to the patient, the hourly regimen and type of administration must be respected; an individual approach is required.

The opioid supply, which is economically and practically inaccessible to all patients equally due to shortages, does not allow for adherence to the aforementioned principles.

Considering the above, it can be said that modern standards of terminal condition management equate to torture. This statement is supported by statistics[774] observed in oncology patients, where 80% of cases of health deterioration cause unbearable pain, which, if not relieved, significantly equals torture, since the person lacks knowledge about their condition, has no opportunity to leave the environment, and is subjected to medical interventions by healthcare personnel that either have no effect or suppress pain only for a very short time.

Terminally ill patients are usually located in the intensive care unit, where the patient may be unconscious and not experience pain. However, due to prolonged immobility, they develop body tissue necrosis, which can lead to organ failure; for example, the ear often necrotizes in patients due to being fixed in one position.

We must not overlook the aspect of medical interventions during palliative and intensive care treatment, where tubes and catheters are inserted into the patient's body to facilitate the delivery of food, water, blood, iron, injections, or oxygen, as well as to enable the excretion of urine and feces. Sometimes, it is necessary to fix a tracheoscopy tube, which after a certain period causes fistulas in the body, leading to internal tissue necrosis. This condition carries a high risk of developing sepsis or the patient's death.

Although the aforementioned measures are used to prolong the patient's life, if the patient has not been informed that they are in the terminal stage of an incurable disease—during which treatment methods exist but also carry the mentioned risks—and has not given consent for treatment, then the medical intervention constitutes an illegal act.

Conclusion. From the perspective of international and national human rights law, it is important to emphasize that despite the lack of agreement on euthanasia and the fact that both the legislature and the judiciary avoid addressing the distinction between suffering, pain, and torture in terminally ill patients at both the national and international levels, a unified position regarding advance consent is quite significant. This position, in addition to the European Court of Human Rights case law I have already discussed, is also

[773] See The Report of the International Narcotics Control Board for 2019 (E/INCB/2019/1), available at: https://iris.who.int/server/api/core/bitstreams/809a021b-e75c-4f9c-b002-6fb13bf1a0f5/content

[774] See https://www.cancer.gov/about-cancer/treatment/side-effects/pain/pain-hp-pdq?utm_source=chatgpt.com

found in Georgian judicial practice, [775]where the European Court of Human Rights' approach to this issue is fully shared.

Although the concept of the terminal stage of incurable diseases is not new in legal or medical fields, it remains problematic for medical processes to be conducted under conditions that protect patient rights, which ultimately constitutes a violation of the patient's right to autonomy and, at the expense of this, disregards the right to human dignity and respect.

I believe that this work may not exhaust the legal regulatory standards of terminal conditions, but it certainly represents an attempt to reflect on the European Court of Human Rights' progressively evolving approach to euthanasia.

References

1. Constitution of Georgia, 1995, August 24; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346
2. Law of Georgia on Health Protection, 1997, December 10; https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980
3. Law of Georgia on Patient Rights, 2000, May 5; https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=16
4. Convention on Human Rights and Biomedicine, 1997, April 4; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204413?publication=0
5. Universal Declaration of Human Rights, 1948; https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf
6. European Convention on Human Rights, November 4, 1950; https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_kat
7. The Report of the International Narcotics Control Board for 2019 (E/INCB/2019/1), https://iris.who.int/server/api/core/bitstreams/809a021b-e75c-4f9c-b002-6fb13bf1a0f5/content
8. Pretty v. The United Kingdom, #2346/02, April 29, 2002; https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-60448%22]}
9. HAAS v. SWITZERLAND, #31322/07, January 20, 2011; https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-102940%22]}
10. Lambert and Others v. France, #46043/14, June 15, 2015; https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-155352%22]}
11. November 16, 2023, №as-970-2022, Tbilisi; file:///C:/Users/%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98/Downloads/doc17742709731179421.pdf
12. https://www.cancer.gov/about-cancer/treatment/side-effects/pain/pain-hp-pdq?utm_source=chatgpt.com

[775] See November 16, 2023, No. ას-970-2022, Tbilisi; available at: file:///C:/Users/%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98/Downloads/doc17742709731179421.pdf

აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესები და პროფესიული განვითარების საჭიროებები: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგალითი

Research interests and professional development needs of academic staff: Example of the Faculty of Social Sciences of the Georgian National University SEU

ხათუნა გაბიცინაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Khatuna Gabitsinashvili
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian National University SEU

აბსტრაქტი. კვლევის ძირითადი მიზანი იყო სეუ-ს[776] სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი ინტერესების, მათ შორის, ინტერდისციპლინური კვლევების პოტენციალისა და მათი ეფექტიანი წარმართვის ხელშემწყობი პროფესიული საჭიროებების შესწავლა და ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა განხორციელდა 2026 წლის მარტში და მასში მონაწილეობა მიიღო ორმოცდახუთმა რესპოდენტმა.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა შერეული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებდა რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული ონლაინ კითხვარი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფაკულტეტზე[777] დომინირებს თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევითი მიმართულებები, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობა, გეოპოლიტიკა, დეზინფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. გამოვლინდა ინტერდისციპლინური თანამშრომლობის მაღალი პოტენციალი, განსაკუთრებით ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის მიმართულებებს შორის.

ამასთან, კვლევამ გამოავლინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პროფესიული საჭიროებები, განსაკუთრებით გრანტების მოზიდვისა და მართვის, კვლევის მეთოდოლოგიისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით. შედეგები მნიშვნელოვან პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს ფაკულტეტის კვლევითი პოლიტიკისა და კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სეუ-ს კვლევითი პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური პერსონალი; კვლევითი ინტერესები; პროფესიული განვითარება; ინტერდისციპლინარული თანამშრომლობა; კვლევითი პოლიტიკა.

Abstract. „Research interests and professional development needs of academic staff: Example of the Faculty of Social Sciences of the Georgian National University SEU“ - The main objective of the study was to study and analyze the research interests of academic and visiting staff of the Faculty of Social Sciences of SEU, including the potential of interdisciplinary research and the professional needs that facilitate its effective conduct. To achieve this goal, the study was conducted in March 2026 and thirty-five respondents participated in it.

The research method used was a mixed research methodology, combining quantitative and qualitative data. A structured online questionnaire was used as the data collection tool.

The results of the study showed that the faculty is dominated by research areas focused on contemporary challenges, including mental health, geopolitics, disinformation, and the use of artificial intelligence. High potential for interdisciplinary collaboration was identified, especially between the fields of psychology, international relations, and journalism.

In addition, the study identified important professional needs for effective research activities of academic and visiting staff, especially in the areas of grant acquisition and management, research methodology, and data analysis. The results have important practical implications for determining the faculty's research policy and research priorities.

The results of the research can be used for SEU research policy and strategic development.

[776] საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

[777] საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Keywords: academic staff; research interests; professional development; interdisciplinary collaboration; research policy.

შესავალი

თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს უნივერსიტეტების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც განსაზღვრავს როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ისე ინსტიტუციის კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში, უნივერსიტეტებს სულ უფრო მეტად ევალებათ არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ მისი გენერირება და გავრცელება.

საქართველოში, როგორც წესი, აკადემიური პერსონალის კვლევითი პრიორიტეტები რამდენიმე - ინსტიტუციურ, ფაკულტეტურ და ინდივიდუალურ დონეზე განისაზღვრება.

ფაკულტეტის დონეზე, კვლევითი მიმართულებები მჭიდრო კავშირშია კონკრეტული პროგრამის მიზნებთან, რაც აუცილებელია სწავლისა და კვლევის ინტეგრირებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია.[778]

პრაქტიკაში, პროგრამის სპეციფიკა, დარგობრივი აქტუალობა და საერთაშორისო სამეცნიერო ტენდენციები განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს კვლევა და პერსონალის კვლევებიც სწორედ მასზეა ორიენტირებული. ამასთან, აკადემიურმა პერსონალმა უნდა უზრუნველყოს უახლესი კვლევის ასახვა სილაბუსებში და ასევე, სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში (განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე).

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების სისტემური შესწავლა. მსგავსი კვლევები ხელს უწყობს ინსტიტუციურ დონეზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, კვლევითი პოლიტიკის ფორმირებასა და რესურსების ეფექტიან გადანაწილებას.

კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის: კვლევითი კომპეტენციებზე, ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე, ფინანსურ რესურსებზე, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და სტუდენტების ჩართულობაზე. თანამედროვე კვლევები ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი, აკადემიური წერა და გრანტების მოზიდვა.

ამავე დროს, ინტერდისციპლინური კვლევები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს, ვინაიდან თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ტექნოლოგიური გამოწვევები კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. სხვადასხვა დარგის ინტეგრაცია ქმნის შესაძლებლობას უფრო სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზისთვის.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე, რაც მოითხოვს უნივერსიტეტების მხრიდან

[778] უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის ბრძანება №65/ნ, დანართი №3. თბილისი.

კვლევითი პოტენციალის სისტემურ განვითარებას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022).[779]

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი ინტერესების, პროფესიული საჭიროებებისა და ინტერდისციპლინური კვლევების პოტენციალის ანალიზს. კვლევის შედეგები წარმოადგენს საფუძველს ფაკულტეტის კვლევითი პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის შესწავლა ფართოდ არის წარმოდგენილი უმაღლესი განათლების კვლევებში. მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კვლევითი პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაზე (Altbach, 2013; Teichler, 2017).[780] განსაკუთრებით კვლევაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტებში, როგორიცაა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის წამყვანი ინსტიტუციები, კვლევითი პროდუქტიულობა წარმოადგენს ინსტიტუციური შეფასების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა სისტემურ და მრავალდონიან მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) ანგარიშების მიხედვით, ევროპულ უნივერსიტეტებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კვლევის ინსტიტუციურ მხარდაჭერას, რაც მოიცავს კვლევის მართვას, ინფრასტრუქტურას და აკადემიური პერსონალის განვითარების მექანიზმებს.[781] ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებას და ზრდის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას. მსგავსი მიდგომები ასახულია საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სტანდარტებშიც, სადაც ხაზგასმულია ინსტიტუციური მხარდაჭერის მნიშვნელობა აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებაში (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023).[782]

კვლევები აჩვენებს, რომ აკადემიური პერსონალის კვლევით პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ფაქტორები. ინდივიდუალურ დონეზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოტივაცია, კვლევითი უნარები და დროის რესურსი, ხოლო ინსტიტუციურ დონეზე - დაფინანსება, ინფრასტრუქტურა და ადმინისტრაციული მხარდაჭერა (Bland et al., 2005).[783] ამასთან, OECD-ის კვლევები მიუთითებს, რომ მკაფიო კვლევითი სტრატეგია და ეფექტიანი სტიმულირების სისტემები წარმოადგენს კვლევითი პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას (OECD, 2020).[784]

თანამედროვე აკადემიურ სივრცეში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პროფესიული განვითარების საკითხს - აუცილებელია უწყვეტი სწავლა და უნარების განახლება,

---

[779] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030. თბილისი.

[780] Teichler, U. (2017). Research on higher education and the academic profession. Springer.

[781] European University Association. (2025). *EUA Annual Report 2025*. https://eua.eu/publications/reports/eua-annual-report-2025

[782] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2023). უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი.

[783] Bland, C. J., Center, B. A., Finstad, D. A., Risbey, K. R., & Staples, J. G. (2005). A theoretical, practical, predictive model of faculty and department research productivity. Academic Medicine, 80(3), 225–237.

[784] OECD. (2020). *Research and Innovation Strategy for Higher Education.* Paris: OECD Publishing.

განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია, სტატისტიკური ანალიზი და აკადემიური წერა (Gibbs, 2013).[785] მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში უნივერსიტეტები აქტიურად იყენებენ Continuing Professional Development (CPD) მოდელებს, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სისტემურ გადამზადებას. აღნიშნული მიდგომა მხარდაჭერილია ქართულ აკადემიურ სივრცეშიც, სადაც პროფესიული განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების სისტემურ განვითარებას (შავერდაშვილი, 2018).[786]

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ინტერდისციპლინური კვლევების მიმართ. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ისეთი პროგრამები, როგორიცაა ევროკავშირის Horizon Europe, განსაკუთრებით უწყობს ხელს სხვადასხვა დარგის მკვლევართა თანამშრომლობას. ასეთი მიდგომა კომპლექსური პრობლემების უფრო სრულყოფილი გააზრებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავების საშუალებას იძლევა (Repko & Szostak, 2020).[787] კვლევები ასევე მიუთითებს, რომ ინტერდისციპლინური პროექტები ხშირად უფრო მაღალი გავლენის მქონეა.

სტუდენტების კვლევაში ჩართულობა ასევე მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს. საერთაშორისო გამოცდილება, განსაკუთრებით სკანდინავიურ და ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებში, აჩვენებს, რომ სტუდენტების აქტიური მონაწილეობა კვლევით პროცესში ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამებში. ე.წ. research-based learning მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნებისა და კვლევითი უნარების განვითარებას (Healey & Jenkins, 2009).[788]

თუმცა, მიუხედავად საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა, მრავალი უნივერსიტეტი კვლავ აწყდება გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება რესურსების შეზღუდულობას, დროის დეფიციტს და კვლევითი ინფრასტრუქტურის არასაკმარის განვითარებას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, სადაც კვლევითი სისტემების გაძლიერება კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

ზემოაღნიშნული კვლევების გათვალისწინებით, აშკარა ხდება, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესებისა და საჭიროებების კომპლექსური ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ეფექტიანი კვლევითი პოლიტიკის ფორმირებისთვის, განსაკუთრებით იმ უნივერსიტეტებში, რომლებიც ისწრაფვიან საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციისკენ.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით, რომელიც აერთიანებდა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის ელემენტებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კვლევის საკითხის უფრო სრულყოფილ და მრავალმხრივ გააზრებას, ვინაიდან იძლევა როგორც სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენის, ასევე რესპონდენტთა სუბიექტური შეხედულებების დაფიქსირების შესაძლებლობას.

[785] Gibbs, G. (2013). Improving the quality of student learning. Oxford: Oxford University Press.

[786] შავერდაშვილი, ე. (2018). აკადემიური წერა და კვლევები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი.

[787] Repko, A. F., & Szostak, R. (2020). Interdisciplinary research: Process and theory. Sage Publications.

[788] Healey, M., & Jenkins, A. (2009). Developing undergraduate research and inquiry. York: Higher Education Academy.

კვლევა წარმოადგენს აღწერით (descriptive) ტიპის კვლევას, რომლის მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი ინტერესების, პროფესიული საჭიროებებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პოტენციალის იდენტიფიცირება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა გაეგზავნა სულ 74 რესპონდენტს.

რესპონდენტები წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა აკადემიური სტატუსის მიხედვით: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და მოწვეული სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მრავალფეროვნებას და კვლევის შედეგების სანდოობას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 45 რესპონდენტმა, რაც ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 60.81%-ს შეადგენს. რესპონდენტთა განაწილება აკადემიური სტატუსის მიხედვით აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი წილი მოდის მოწვეულ პერსონალზე (45.71%), შემდეგ მოდის ასოცირებული პროფესორები (25.71%), ასისტენტ-პროფესორები (17.14%) და პროფესორები (11.43%). აღნიშნული განაწილება მიუთითებს, რომ კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აკადემიური რანგის წარმომადგენლები.

დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, რესპონდენტები გადანაწილდნენ შემდეგნაირად: ფსიქოლოგია (45.71%), საერთაშორისო ურთიერთობები (28.57%) და ჟურნალისტიკა (25.71%). აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს კვლევის შედეგების წარმომადგენლობითობას ფაკულტეტის ფარგლებში.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც განთავსებული იყო ონლაინ პლატფორმაზე (Google Forms). კითხვარი მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია ტიპის კითხვებს.

კითხვარი შედგებოდა ოთხი ძირითადი ბლოკისგან:

1. დემოგრაფიული და პროფესიული ინფორმაცია;
2. დარგობრივი კვლევითი ინტერესები;
3. პროფესიული საჭიროებები;
4. სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროცესში.

კვლევა განხორციელდა 2026 წლის 13-25 მარტის პერიოდში. მონაწილეებს კითხვარი გაეგზავნათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, თანდართული ინფორმაციული წერილით, რომელიც განმარტავდა კვლევის მიზნებს, მნიშვნელობას და უზრუნველყოფდა ინფორმირებულ თანხმობას.

კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკური პრინციპები, მათ შორის კონფიდენციალურობა და მონაცემთა ანონიმურობა.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა პროცენტული განაწილებების სახით, ხოლო ღია კითხვებზე მიღებული პასუხები გაანალიზდა თემატური ანალიზის პრინციპების საფუძველზე.

3. კვლევის შედეგები

3.1. დარგობრივი კვლევითი ინტერესები

მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესები მკაფიოდ არის ორიენტირებული თანამედროვე და აქტუალურ საკითხებზე.

ფსიქოლოგიის მიმართულებით დომინირებს თემები, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი და შფოთვა, ტრავმა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფსიქოლოგიაში.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წამყვანი თემებია ევროინტეგრაცია, რეგიონული უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა და დეზინფორმაცია.

ჟურნალისტიკის მიმართულებით გამოიკვეთა მედიის გარემოს ტრანსფორმაცია, სოციალური მედიის გავლენა, დეზინფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიაში.

საერთო ჯამში, შედეგები მიუთითებს, რომ ფაკულტეტზე კვლევითი ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს.

3.2. მიმდინარე კვლევების თემატური ანალიზი

რესპონდენტების მიერ წარმოდგენილი მიმდინარე კვლევები შეიძლება დაჯგუფდეს სამ ძირითად კატეგორიად:

1) **ფსიქოლოგია და განათლება** - ფსიქიკური ჯანმრთელობა, ტრავმა, სტრესი, ინკლუზიური განათლება და ხელოვნური ინტელექტი;

2) **პოლიტიკა და ისტორია** - პოსტსაბჭოთა სივრცე, საერთაშორისო პოლიტიკა, გეოპოლიტიკა და გლობალური წესრიგი;

3) **მედია და კომუნიკაცია** - დეზინფორმაცია, მედიის როლი კონფლიქტებში და ხელოვნური ინტელექტი მედიაში.

ანალიზი მიუთითებს, რომ კვლევები ხასიათდება ინტერდისციპლინური ბუნებით და პასუხობს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ გამოწვევებს.

3.3. ინტერდისციპლინური თანამშრომლობა

მონაცემების მიხედვით, ფაკულტეტზე იკვეთება ინტერდისციპლინური თანამშრომლობის მაღალი პოტენციალი. ყველაზე ხშირად დასახელებული კოლაბორაციის მიმართულებებია:

- ფსიქოლოგია და ჟურნალისტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები და ჟურნალისტიკა
- ფსიქოლოგია და საერთაშორისო ურთიერთობები

გარდა ამისა, რესპონდენტები გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს ისეთ სფეროებთან, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მედიცინა, განათლების ადმინისტრირება და ბიზნესი.

ეს შედეგები მიუთითებს კვლევითი ქსელების გაფართოების მნიშვნელოვან შესაძლებლობაზე.

3.4. პროფესიული საჭიროებები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიური პერსონალის მთავარი საჭიროებები უკავშირდება პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ყველაზე მაღალი პრიორიტეტი მიენიჭა:

- გრანტების მოზიდვისა და მართვის უნარებს (37.14%);
- პროფესიული განვითარების ტრენინგებს (17.14%);
- კვლევის მეთოდოლოგიას (11.43%);
- მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებს (11.43%).

შედეგები მიუთითებს, რომ პერსონალს სჭირდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად.

3.5. სტუდენტების ჩართულობა კვლევაში

მონაცემები აჩვენებს, რომ სტუდენტების ჩართულობა ძირითადად კონცენტრირებულია კვლევის საწყის ეტაპზე - მონაცემთა შეგროვებაზე (54.29%).

მნიშვნელოვანი, თუმცა შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფორმაა სტუდენტების თანაავტორობა (22.86%).

შედარებით დაბალია სტუდენტების ჩართულობა ლიტერატურის მიმოხილვასა (8.57%) და მონაცემთა ანალიზში (14.29%), რაც მიუთითებს დამატებითი ტრენინგებისა და მხარდაჭერის საჭიროებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (65.71%) ხშირად იყენებს საკუთარ კვლევებს სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე და სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე.

3.6. კვლევის შედეგების ანალიზი

წინამდებარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესები ორიენტირებულია თანამედროვე გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებზე, რაც თანხვედრაშია საერთაშორისო ტენდენციებთან (Altbach, 2013).[789] აღნიშნული შედეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კონტექსტში, რომელიც აქტიურად ცდილობს ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციას.

აღნიშნული ტენდენციები თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის მიზნებთან, რომელიც ხაზს უსვამს კვლევაზე დაფუძნებული განათლების განვითარებას და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022).[790]

ფსიქოლოგიის მიმართულებით გამოვლენილი ინტერესები — ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი და ტრავმა — სრულად შეესაბამება გლობალურ კვლევით პრიორიტეტებს. თუმცა, საქართველოს კონტექსტში აღნიშნული თემები დამატებით აქტუალობას იძენს სოციალური ტრანსფორმაციების, ეკონომიკური გამოწვევებისა და რეგიონული კონფლიქტების გავლენის გამო, რაც კვლევითი დღის წესრიგის ლოკალიზაციას განაპირობებს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის მიმართულებით დაფიქსირებული თემები (გეოპოლიტიკა, დეზინფორმაცია, მედიის ტრანსფორმაცია) განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთვის, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონისთვის. ეს ტენდენცია ადასტურებს, რომ აკადემიური კვლევები არა მხოლოდ გლობალურ, არამედ ეროვნულ საჭიროებებსაც პასუხობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პოტენციალი, რომელიც კვლევის ერთ-ერთ მთავარ შედეგად გამოიკვეთა.

საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ წარმატებული უნივერსიტეტები ხშირად ავითარებენ თანამშრომლობით კვლევით ქსელებს. მაგალითად, Georgia Research Alliance[791] წარმოადგენს უნივერსიტეტების, სახელმწიფო სექტორისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის ერთ-ერთ წარმატებულ მოდელს, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციას საერთო კვლევითი მიზნების ირგვლივ აერთიანებს.

---

[789] Altbach, P. G. (2013). The international imperative in higher education. Rotterdam: Sense Publishers.

[790] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030. თბილისი.

[791] Georgia Research Alliance.https://gra.org/

საქართველოში უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს შორის ინტერდისციპლინური კოლაბორაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფორმატი არსებობს. მაგალითად, პროექტი **ERIC-GE** - კვლევითი შესაძლებლობების განვითარება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში,[792] რომელიც ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში შექმნილი კონსორციუმია და მასში 8 ქართული და 2 ევროპული უნივერსიტეტია გაერთიანებული. პროექტის მიზანია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება ინსტიტუციური კვლევითი პოლიტიკის მოდერნიზებით, ევროპული კვლევითი სივრცის **ERA-ს**[793] **სტანდარტების შესაბამისად. ასევე,** ანალოგიურად, მრავალინსტიტუციური თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს - საქართველოს განათლების ინტერდისციპლინური კვლევების ასოციაცია (GAIRE), რომელიც სხვადასხვა უნივერსიტეტის მკვლევრებს აერთიანებს და არის **EERA-ს**[794] წევრი ორგანიზაცია.

აღნიშნული პრაქტიკები შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ორიენტირი, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული თანამშრომლობა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და საჭიროებს ეტაპობრივ ინსტიტუციურ გაძლიერებას.

გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარების მოდელები, რაც რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას უწყობს ხელს. მაგალითად, სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის საერთო ლაბორატორიებისა და ტექნოლოგიური რესურსების გაზიარება ხშირად ასოცირდება კვლევის ხარისხის გაუმჯობესებასთან. მსგავსი მიდგომები შესაძლოა პერსპექტიულ მიმართულებად იქნეს განხილული ადგილობრივი ინსტიტუციური განვითარების პროცესში.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მიდგომები ეფუძნება ერთ ფაკულტეტზე ჩატარებულ კვლევას და, შესაბამისად, საჭიროებს დამატებით ემპირიულ გამყარებას უფრო ფართო ინსტიტუციურ კონტექსტში.

პროფესიული საჭიროებების კუთხით მიღებული შედეგები (გრანტების მოზიდვა, მონაცემთა ანალიზი, ტრენინგები) სრულად ემთხვევა საერთაშორისო გამოცდილებას. კვლევები მიუთითებს, რომ წარმატებულ უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს სპეციალიზებული მხარდაჭერის სტრუქტურები - გრანტების ოფისები, კვლევითი განვითარების ცენტრები და ტრენინგ პროგრამები. საქართველოს უნივერსიტეტებში მსგავსი სერვისები ნაწილობრივ არსებობს, თუმცა მათი სისტემატიზაცია და გაძლიერება კვლავ გამოწვევად რჩება.

სტუდენტების ჩართულობის ანალიზი აჩვენებს, რომ მათი მონაწილეობა ძირითადად კონცენტრირებულია კვლევის საწყის ეტაპებზე. საერთაშორისო პრაქტიკა, განსაკუთრებით კვლევაზე ორიენტირებულ უნივერსიტეტებში, აჩვენებს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევის ყველა ეტაპზე - დიზაინიდან პუბლიკაციამდე.

საქართველოს კონტექსტში ეს მიუთითებს კვლევითი განათლების შემდგომი განვითარების საჭიროებაზე, მათ შორის:

- კვლევაზე დაფუძნებული სწავლების (research-based learning) გაძლიერებაზე
- სტუდენტთა კვლევით პროექტებში სისტემურ ჩართვაზე
- თანაავტორობის პრაქტიკის გაფართოებაზე

---

[792] ERIC-GE – Developing Research Capabilities among Georgian Higher Education Institutions, https://en.erasmus.org.ge/capacity-building-in-the-field-of-higher-education/

[793] European Research Area (ERA), https://research-and-innovation.ec.europa.eu/strategy/strategy-research-and-innovation/our-digital-future/european-research-area_en

[794] European Educational Research Association (**EERA**), https://eera-ecer.de/about-eera

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში არსებობს მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალი, თუმცა მისი სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია:

- ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება
- ინტერდისციპლინური კვლევების წახალისება

აღნიშნული დასკვნები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ფაკულტეტისთვის, არამედ ფართო აკადემიური სივრცისთვისაც, რომელიც ცდილობს კონკურენტუნარიანობის ზრდას გლობალურ დონეზე.

დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი ინტერესები, პროფესიული საჭიროებები და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პოტენციალი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ფაკულტეტზე დომინირებს თანამედროვე გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევითი დღის წესრიგი, განსაკუთრებით ფსიქიკური ჯანმრთელობის, გეოპოლიტიკის, მედიის ტრანსფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებებით. აღნიშნული ტენდენცია სრულად შეესაბამება საერთაშორისო აკადემიურ პრაქტიკას, სადაც კვლევები უფრო მეტად ფოკუსირდება კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ საკითხებზე.

კვლევამ ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი პროფესიული საჭიროებები, განსაკუთრებით კვლევითი გრანტების მოზიდვისა და მართვის, მონაცემთა ანალიზისა და აკადემიური უნარების განვითარების მიმართულებით. ეს მიუთითებს ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერების აუცილებლობაზე.

გარდა ამისა, სტუდენტების კვლევაში ჩართულობა ნაწილობრივ განვითარებულია, თუმცა ძირითადად შეზღუდულია კვლევის საწყის ეტაპებზე, რაც მიუთითებს დამატებითი ინტეგრაციის საჭიროებაზე.

საერთო ჯამში, კვლევა აჩვენებს, რომ ფაკულტეტს აქვს ძლიერი კვლევითი პოტენციალი, თუმცა მისი სრული რეალიზებისთვის საჭიროა სისტემური მხარდაჭერა, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის გაძლიერება და საერთაშორისო პრაქტიკებთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდირებულია შემდეგი მიმართულებების განვითარება:

1) **კვლევითი უნარების გაძლიერება:** აკადემიური პერსონალისთვის რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, განსაკუთრებით: მონაცემთა ანალიზი, აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი;

2) **გრანტების მხარდაჭერის სისტემის განვითარება:** კვლევითი გრანტების საკონსულტაციო სერვისის გაძლიერება; პერსონალის დახმარება საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვაში;

3) **ინტერდისციპლინური კვლევების წახალისება:** ერთობლივი კვლევითი ჯგუფების შექმნა; ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია;

4) **სტუდენტების კვლევაში ინტეგრაცია:** კვლევაზე დაფუძნებული სწავლების (research-based learning) გაძლიერება; სტუდენტების ჩართვა არა მხოლოდ მონაცემთა შეგროვებაში, არამედ ანალიზსა და პუბლიკაციებში;

5) **საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება:** ერთობლივი კვლევითი პროექტები უცხოურ უნივერსიტეტებთან; საერთაშორისო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობა.

ბიბლიოგრაფია

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2023). უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030. თბილისი.
3. შავერდაშვილი, ე. (2018). აკადემიური წერა და კვლევები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი.
4. Altbach, P. G. (2013). The international imperative in higher education. Rotterdam: Sense Publishers.
5. Bland, C. J., Center, B. A., Finstad, D. A., Risbey, K. R., & Staples, J. G. (2005). A theoretical, practical, predictive model of faculty and department research productivity. Academic Medicine, 80(3), 225–237.
6. Gibbs, G. (2013). Improving the quality of student learning. Oxford: Oxford University Press.
7. Healey, M., & Jenkins, A. (2009). Developing undergraduate research and inquiry. York: Higher Education Academy.
8. Repko, A. F., & Szostak, R. (2020). Interdisciplinary research: Process and theory. Sage Publications.
9. Teichler, U. (2017). Research on higher education and the academic profession. Springer.

უმაღლესი განათლების ახალი არქიტექტურა საქართველოში: სტრატეგიული დიფერენციაცია, რესურსების ოპტიმიზაცია და კონკურენტული გარემოს ტრანსფორმაცია

New Architecture of Higher Education in Georgia: Strategic Differentiation, Resource Optimization, and Transformation of the Competitive Environment

თამარი ბერიძე
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Tamari Beridze
Tbilisi Humanitarian University
Associate Professor

აბსტრაქტი. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ფუნდამენტური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტების სტრატეგიულ დიფერენციაციასა და რესურსების ოპტიმიზაციას. გამოკვეთილია ისეთი რეზონანსული საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ფაკულტეტების პროფილირებული გადანაწილება, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მოდელის ცვლილება და უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების უფლებრივი შეზღუდვები.

ნაშრომში განხილულია, თუ რამდენად პასუხობს აღნიშნული წარმოდგენილი ახალი არქიტექტურა სახელმწიფო ინტერესებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. SWOT ანალიზით შეფასებულია რეფორმის ძლიერი მხარეები, კერძოდ, აკადემიური რესურსების კონცენტრაცია და დუბლირების შემცირება, აგრეთვე ის სუსტი მხარეები, რომლებიც უკავშირდება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვასა და ინსტიტუციური ავტონომიის შესაძლო შესუსტებას. კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს

კერძო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს და იმ რისკებს, რაც შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებისა და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები აკადემიური თავისუფლებისა და სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალური ბალანსის შესახებ, დასაბუთებულია, რომ რეფორმის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრუქტურულ გარდაქმნებზე, არამედ იმ გამჭვირვალე კრიტერიუმებზე, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის მდგრადობასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული დიფერენციაცია, აკადემიური ავტონომია, კონკურენტული გარემო.

Abstract. The paper analyzes the fundamental reforms currently underway in Georgia's higher education system, which aim at the strategic differentiation of universities and the optimization of resources. It highlights high-profile issues such as the profiled redistribution of faculties among state universities, changes in the state funding model for private higher education institutions, and legal restrictions on the implementation of foreign-language programs.

The study examines the extent to which this "new architecture" aligns with state interests and labor market demands. Using a SWOT analysis, the paper evaluates the strengths of the reform—specifically the concentration of academic resources and the reduction of duplication—as well as the weaknesses related to the restriction of free market competition and the potential weakening of institutional autonomy. The research pays particular attention to the challenges facing the private sector and the risks concerning students' freedom of choice and the accessibility of educational services.

The concluding section formulates recommendations regarding the optimal balance between academic freedom and state regulations. It argues that the success of the reform depends not only on structural transformations but also on transparent criteria that ensure the sustainability of educational quality and international competitiveness.

Keywords: Strategic differentiation, Academic autonomy, Competitive environment.

შესავალი. საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიწოდებას და პროფესიული უნარების განვითარებას სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აქვს მდიდარი საუნივერსიტეტო ტრადიციები და ჩამოყალიბებულია საკმაოდ მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო სისტემა, საქართველოში დღეს, უმაღლესი განათლების სისტემა მაინც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, სათანადო ანალიზის, შეფასების და შესაბამისი მექანიზმების შემუშავების პირობებში, სავსებით შესაძლებელია, ისეთი საუნივერსიტეტო კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც სტუდენტებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ცოდნას მიაწვდის და აუცილებელი კომპეტენციითაც აღჭურვავს.

ძირითადი ნაწილი. თანამედროვე გლობალურ კონტექსტში უმაღლესი განათლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის უმთავრესი დეტერმინანტია. საქართველო დღეს დგას მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის წინაშე, რასაც შეიძლება, პირობითად, "უმაღლესი განათლების ახალი არქიტექტურა" ვუწოდოთ. საუნივერსიტეტო სისტემაში, რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალურ ღერძს სახელმწიფო უნივერსიტეტების "პროფილირება" წარმოადგენს, რაც გულისხმობს აკადემიური რესურსების კონცენტრაციას კონკრეტული მიმართულებების გარშემო, უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაციას, პრიორიტეტული სექტორების გამოკვეთას და დაფინანსების არხების მიმართვას შესაბამის ინსტიტუციებში. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო პრიორიტეტებზე ყურადღების გამახვილება, კერძო სექტორისთვის, გარკვეულწილად, ზღუდავს თანაბარი კონკურენციის პირობებს. თუმცა, მიზნად ისახავს საბიუჯეტო სახსრების უფრო რაციონალურ ხარჯვას. ასევე, ინტერნაციონალიზაციის ტემპს რისკის ქვეშ აყენებს უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების უფლებრივი შეზღუდვები - გამოწვეული ხარისხის კონტროლის გამკაცრების საბაბით.

2025 წლის „უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფციის“ თანახმად, ქართული საუნივერსიტეტო სისტემა რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა შორის აქცენტი კეთდება ძირითადად, შემდეგზე: **უმაღლესი განათლების სისტემის ჭარბი გეოგრაფიული კონცენტრაცია; რესურსების ირაციონალური გამოყენება და უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის უთანაბრობა; უსისტემო საკადრო პოლიტიკა; სუსტი კავშირი სწავლებასა და კვლევას შორის, თანამედროვე სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობა; გაუმართავი დაფინანსების სისტემა; სახელმწიფო უნივერსიტეტების გაუმართავი ინფრასტრუქტურა.**

საქართველოში მოქმედებს 19 სახელმწიფო და 45 კერძო უნივერსიტეტი. თითოეული მათგანი გასცემს თანაბარი რანგის დიპლომს საქართველოს სახელმწიფოს სახელით, თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, გაცემული განათლების და კვალიფიკაციის ხარისხი, თვისებრივად - არათანაბარია.

სტუდენტების 85%-ზე მეტი უმაღლეს განათლებას დედაქალაქში იღებს, რაც იწვევს დედაქალაქის ჭარბ დატვირთვას და ახალგაზრდების აქტიურ მიგრაციას რეგიონებიდან თბილისში, რაც თავის მხრივ, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების ჭრილში, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

უნივერსიტეტებში აკადემიური კვლევის დონე და მასშტაბები განსხვავებულია, კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია ეროვნული სასწავლო სტანდარტების მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი, მოქმედებს სამეცნიერო კვლევის დაფინანსების განცალკევებული სისტემა, რომელიც საუნივერსიტეტო განათლებასთან სათანადოდ არ არის დაკავშირებული; აკადემიურ პერსონალს არ აქვს განსაზღვრული მკაფიო ამოცანები საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, სამეცნიერო კვლევის განხორციელებასა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მომზადებაში. სამეცნიერო კვლევებისა და დისკუსიების მოცულობა ძალზე მცირეა, რაც ხელს უშლის აკადემიური სტანდარტების დაცვას და ინოვაციური პროცესების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში.

სახელმწიფო უნივერსიტეტები როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში ფლობენ შენობა-ნაგებობებს. თუმცა, მათი დიდი ნაწილი სარეაბილიტაციოა, სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა სტუდენტების ინტერესების რეალიზებისათვის, მათ შორის, მათი კულტურული, სპორტული და სხვა მსგავსი აქტივობების წასახალისებლად და სხვა.

უცხოური პრაქტიკა მოწმობს რამდენიმე მაგალითს:

ფინეთმა 2010 წელს განახორციელა მასშტაბური რეფორმა, რათა აკადემიური რესურსების კონსოლიდაცია მოეხდინა. შედეგად რამდენიმე უნივერსიტეტი გაერთიანდა. ყველაზე ცნობილი მაგალითია Aalto University, რომელიც შეიქმნა ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ხელოვნების უნივერსიტეტების შერწყმით. ამ ქმედების მიზანი იყო "კრიტიკული მასის" შექმნა - რესურსების გაერთიანება, რათა უნივერსიტეტი გამხდარიყო გლობალურად კონკურენტუნარიანი. შედეგად გამოიკვეთა როგორც პოზიტიური (უნივერსიტეტები მკვეთრად დაწინაურდნენ საერთაშორისო რეიტინგებში; გაიზარდა ინოვაციური პატენტების რაოდენობა და კავშირი ინდუსტრიასთან), ისე ნეგატიური (აკადემიური პერსონალის ნაწილმა დაკარგა ავტონომია და ბიუროკრატიული წნეხის ზრდის ქვეშ აღმოჩნდა) მხარეები.

ესტონეთის გამოცდილება საქართველოსთან ყველაზე ახლოსაა, რადგან პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის ტრანსფორმაცია მოუწია მათაც.

სახელმწიფომ მკაცრად განსაზღვრა უნივერსიტეტების დაფინანსების წესი. ტარტუს უნივერსიტეტი - ფოკუსირდა კლასიკურ მეცნიერებებზე, ხოლო ტალინის ტექნოლოგიური

უნივერსიტეტი - საინჟინრო და IT მიმართულებებზე. ასევე, შეამცირა სახელმწიფო ვაუჩერების გაცემა კერძო უნივერსიტეტების იმ პროგრამებზე, რომლებიც დუბლირებდა სახელმწიფო პრიორიტეტებს. შედეგად, ამ შემთხვევაშიც, იყო როგორც პოზიტიური (გაიზარდა განათლების ხარისხი და პროგრამების ეფექტიანობა; ბიუჯეტი დაბალი ხარისხის "პოპულარული" ფაკულტეტებისთვის აღარ იყო გათვალისწინებული), ისე ნეგატიური (მცირე კერძო უნივერსიტეტების უმრავლესობა დაიხურა ან გადავიდა მხოლოდ ვიწრო, სპეციალიზებულ ნიშაში).

უნგრეთის მთავრობამ შემოიღო რეგულაციები, რომლებმაც შეზღუდეს უცხოური (ძირითადად ინგლისურენოვანი) პროგრამების ფუნქციონირება, თუ მათ არ ექნებოდათ შესაბამისი ბაზა მშობლიურ ქვეყანაში. შედეგად, მიღებულ იქნა საერთაშორისო რეზონანსი და აკადემიური თავისუფლების ინდექსის ვარდნა, თუმცა სახელმწიფომ გააძლიერა კონტროლი საგანმანათლებლო შინაარსზე.

შესაბამისად, განხილული საერთაშორისო მაგალითებით შეგვიძლია ერთგვარი შეჯამების წარმოდგენა:

ინდიკატორი	**რეფორმის შედეგი**
განათლების ხარისხი	იზრდება - რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე
პროგრამების მრავალფეროვნება	მცირდება - დუბლირების აღმოფხვრის გამო
ინსტიტუციური ავტონომია	სუსტდება - რეგულაციების შედეგად
საერთაშორისო რეიტინგი	უმჯობესდება მსხვილი, პროფილირებული უნივერსიტეტებისათვის

კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა თვისებრივი კვლევა და შესაბამისი ემპირიული კვლევისთვის - ქართველ მეცნიერ-თანამშრომელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და ზოგადად, დარგის სპეციალისტთა აზრის შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ, განხორციელდა ექსპერტული კვლევა.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 11 ექსპერტთან.

მონაცემების შეგროვებისათვის შემუშავდა შემდეგი სახის ანკეტ-კითხვარი:

1. თქვენი აზრით, სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ფაკულტეტების პროფილირებული გადანაწილება რამდენად შეუწყობს ხელს აკადემიური რესურსების რეალურ კონცენტრაციას და რამდენად არსებობს საფრთხე, რომ ამ პროცესმა გამოიწვიოს ჯანსაღი შიდასახელმწიფოებრივი კონკურენციის გაქრობა კონკრეტულ მიმართულებებზე?

2. როგორ აფასებთ კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მოდელის შესაძლო ცვლილებას? რა გავლენას მოახდენს ეს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო ბაზარზე მოთამაშეთა თანაბარ პირობებში დგომის პრინციპსა და სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებაზე?

3. თქვენი აზრით, უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების შესაძლო შეზღუდვები როგორ აისახება საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესსა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე გლობალურ საგანმანათლებლო ბაზარზე?

4. რამდენად ვალიდურია არგუმენტი, რომ განათლების სისტემის „ახალი არქიტექტურა“ უფრო ეფექტიანად უპასუხებს შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებს? ხედავთ თუ არა რისკს, რომ სახელმწიფო რეგულაციებმა შესაძლოა დააყოვნოს უნივერსიტეტების მოქნილი რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე?

5. თქვენი ხედვით, სად გადის ზღვარი რესურსების ოპტიმიზაციასა და ინსტიტუციური ავტონომიის შეზღუდვას შორის? ხომ არ გამოიწვევს ფაკულტეტების პროფილირება უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლების ხარისხობრივ დაქვეითებას?

6. რა ძირითად რისკებს ხედავთ სოციალური კუთხით? შესაძლოა თუ არა, რომ სტრატეგიულმა დიფერენციაციამ შეამციროს საგანმანათლებლო სერვისების გეოგრაფიული ან ფინანსური ხელმისაწვდომობა სტუდენტების გარკვეული ჯგუფებისთვის?

7. რა უნდა იყოს ის მთავარი „გამჭვირვალე კრიტერიუმები“, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ რეფორმის მდგრადობა? როგორ უნდა გაიზომოს ამ გარდაქმნების ეფექტიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა თავიდან ავიცილოთ მხოლოდ ფორმალური სტრუქტურული ცვლილებები?

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ

- ფაკულტეტების პროფილირება აკადემიური რესურსების კონცენტრაციის კუთხით პოზიტიურია, რადგან სახელმწიფო სახსრები აღარ დაიფანტება დუბლირებულ პროგრამებზე. თუმცა, არსებობს შიდა კონკურენციის გაქრობის სერიოზული რისკი. თუ კონკრეტული დარგი (მაგ. მედიცინა ან ინჟინერია) მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში მოექცევა, იკარგება განვითარების სტიმული, რაც ხარისხის სტაგნაციას იწვევს.

- კერძო უნივერსიტეტებისთვის დაფინანსების მოდელის ცვლილება პირდაპირ მოქმედებს თანაბარი პირობების პრინციპს. თუ სახელმწიფო ვაუჩერი აღარ ექნება სტუდენტს კერძო სექტორში, ეს ზღუდავს არჩევანის თავისუფლებას - დაბალი შემოსავლის მქონე ნიჭიერი სტუდენტები იძულებულნი გახდებიან მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტები აირჩიონ. ეს გამოიწვევს სოციალურ უთანასწორობას და კერძო სექტორის, როგორც ხარისხის ალტერნატივის, დასუსტებას.

- გადაწყვეტილება ცალსახად უარყოფითად აისახება ინტერნაციონალიზაციაზე. საქართველო დაკარგავს რეგიონული ჰაბის სტატუსს უცხოელი სტუდენტებისთვის. ქართველი პროფესორ-მასწავლებლები დაკარგავენ ინგლისურენოვან გარემოში მუშაობის მოტივაციას. ნებისმიერი ადმინისტრაციული ბარიერი უცხოურ ენაზე სწავლებაზე აფერხებს ცოდნის ექსპორტს და ქვეყნის იმიჯს გლობალურ ბაზარზე.

- არგუმენტი ვალიდურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო რეგულაციები ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას და არა ბიუროკრატიულ ინტუიციას. ბაზარი ცვალებადობას სწრაფად განცდის, სახელმწიფო რეგულაციების განახლებას კი დრო სჭირდება. ზედმეტი ცენტრალიზაცია უნივერსიტეტებს ართმევს შესაძლებლობას, სწრაფად დანერგონ ინოვაციური, ინტერდისციპლინური პროგრამები.

- ზღვარი გადის აკადემიურ გადაწყვეტილებებზე. სახელმწიფო უნდა განსაზღვრავდეს პრიორიტეტებს (დაფინანსების გზით), მაგრამ არ უნდა კარნახობდეს უნივერსიტეტს, რომელი ფაკულტეტი გააუქმოს. პროფილირებამ შესაძლოა გამოიწვიოს აკადემიური თავისუფლების დაქვეითება, თუ უნივერსიტეტს აღარ ექნება უფლება, თავისი ხედვით განავითაროს ესა თუ ის მიმართულება. აკადემიური თავისუფლება მხოლოდ სწავლებას არ ნიშნავს, ის სტრატეგიულ თვითმყოფადობასაც გულისხმობს.

- სტრატეგიულმა დიფერენციაციამ შესაძლოა შექმნას „ელიტური“ და „პერიფერიული“ უნივერსიტეტების კასტა. თუ კონკრეტული სპეციალობა მხოლოდ დედაქალაქში დარჩება, რეგიონში მცხოვრები სტუდენტებისთვის ხარჯები გაორმაგდება. რესურსების კონცენტრაციამ ცალკეულ ერთეულებში შესაძლოა გაზარდოს სწავლის საფასური, რაც სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლებას ფუფუნებად აქცევს.

- რეფორმის წარმატება უნდა გაიზომოს არა შენობების ან ფაკულტეტების რაოდენობით, არამედ: დასაქმების მაჩვენებლით (რამდენად პოულობენ კურსდამთავრებულები სამსახურს თავისი პროფესიით), ციტირების ინდექსით (გაიზარდა თუ არა სამეცნიერო პროდუქტიულობა რესურსების გაერთიანების შემდეგ), სტუდენტური კმაყოფილებით (დამოუკიდებელი კვლევების საფუძველზე). გამჭვირვალობისთვის აუცილებელია მუდმივი მონიტორინგი, სადაც წარმოდგენილი იქნებიან როგორც აკადემიური წრეები, ისე დამსაქმებლები და საერთაშორისო ექსპერტები. მხოლოდ მაშინ აიცილებს სისტემა „ფასადურ“ რეფორმას.

რეფორმის იმპლემენტაციის შედეგად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები გახდებიან კონკრეტული დარგების ფლაგმანები; კერძო უნივერსიტეტები, რომლებიც ვერ გაუძლებენ ახალ ფინანსურ და ხარისხობრივ ბარიერებს, შესაძლოა ბაზრიდან გავიდნენ ან შეერწყან მსხვილ ერთეულებს. რესურსების ოპტიმიზაცია საშუალებას მისცემს სისტემას, მეტი ინვესტიცია ჩაიდოს ლაბორატორიულ და კვლევით ინფრასტრუქტურაში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია - განათლების ახალი არქიტექტურის SWOT ანალიზის აგება:

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• აკადემიური რესურსების კონცენტრაცია • პროგრამების დუბლირების შემცირება • სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია	• ბიუროკრატიული წნეხის ზრდა • ინსტიტუციური ავტონომიის შესუსტება • თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• შრომის ბაზართან თავსებადობა • საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციების გაუმჯობესება • კვლევითი კომპონენტების გაძლიერება	• „ტვინების გადინების“ რისკი • კერძო ინვისტიციების შემცირება განათლებაში • სტუდენტთა არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა

დასკვნა. უდავოა, რომ რეფორმა აუცილებელი ნაბიჯია სისტემური სტაგნაციის დასაძლევად, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია აღსრულების მექანიზმების გამჭვირვალობაზე. სტრატეგიული დიფერენციაციის კრიტერიუმები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ მონაცემებს (დასაქმების მაჩვენებელი, ციტირების ინდექსი და სხვა); საჭიროა მუდმივი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან (უნივერსიტეტები, სტუდენტები, დამსაქმებლები), რათა რეფორმის არქიტექტურა იყოს მოქნილი და დინამიკური; აუცილებელია შენარჩუნდეს აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტებს დარჩეთ სივრცე შემოქმედებითი და ინოვაციური გადაწყვეტილებებისთვის; სახელმწიფო დაფინანსების მოდელის ცვლილება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, რათა კერძო სექტორს მიეცეს ადაპტაციის საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია - 2025, https://edu.aris.ge/news/umaglesi-ganatlebis-sistemis-reformis-erovnuli-koncefcia-dokumenti.html

2. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030.

1. ნოზაძე მ., ბერიძე თ., ჭელიძე მ. (2024) ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (უცხოეთის და საქართველოს გამოცდილება), რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, ტომი 4, №2, 2024. გვ. 125-138. E-ISSN 2720-8036, https://doi.org/10.55367/HAET4006; Index Copernicus, Indexed CROSSREF, Google Scholar

1. ბერიძე თ., ჭელიძე მ., ბერიძე ლ და სხვ. (2024) განათლების ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მენეჯმენტი“.

ტომი 11, №3, 2024. გვ. 109-119. E-ISSN 2449-2604, https://doi.org/10.46361/2449-2604.11.3.2024.109-119; Indexed CROSSREF, Google Scholar

2. ბერიძე თ., ბერიძე ლ., ყურაშვილი გ. (2024). განათლება - აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ინტელექტის განვითარებისთვის. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო ჟურნალი "მეცნიერება და ინოვაცია".

3. ბერიძე თ., ჭელიძე მ., ბერიძე ლ. (2024). პრაქტიკული გამოცდილება სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი"მეცნიერება და ინოვაცია

4. ჩაკვეტაძე, რ. (2021). სტრატეგიული მენეჯმენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ბაზრის კონკურენცია.

5. World Bank. (2023). Georgia: Higher Education Sector Study and Modernization Roadmap.

6. OECD. (2022). Higher Education in Georgia: Quality, Equity and Efficiency. Reviews of National Policies for Education.

7. European University Association (EUA). (2021). University Autonomy in Europe: The Scorecard.

ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში
The role of investment in economic growth and development

ბექარ კილასონია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ-პროფესორი
Bekar kilasonia
Georgian National University SEU
Assistant Professor

რეზიუმე: ინვესტიცია წარმოადგენს ფინანსური, მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსების მიზნობრივ დაბანდებას, რომელიც ორიენტირებულია კაპიტალის ზრდაზე, ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებასა და დამატებითი ღირებულების შექმნაზე. თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ინვესტიციები განიხილება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, ვინაიდან ისინი ხელს უწყობს წარმოების ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესს, შრომის პროდუქტიულობის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს ფორმირებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასიცოცხლო როლს თამაშობს საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, პირდაპირი ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, კაპიტალი.

Summary: Investment is a targeted investment of financial, material or intellectual resources, which is focused on capital growth, expansion of economic activity and creation of added value. In the modern economic system, investments are considered one of the most important factors of economic growth and development, as they contribute to the growth of production, technological progress, increase in labor productivity and the formation of a competitive economic environment. Foreign direct investment plays a vital role in international economic integration.

Keywords: Investments, Foreign Direct Investments (FDI), Economic Growth, Capital.

ძირითადი ტექსტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის საკვანძო ელემენტია, რადგან ის ქმნის სტაბილურ და ხანგრძლივ კავშირებს ეკონომიკებს შორის. ინვესტიციები კატალიზატორის როლს ასრულებენ სხვადასხვა ინდუსტრიის განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ცენტრალურ როლს თამაშობს ინდუსტრიული განახლებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ექსპორტის შესაძლებლობების განვითარებისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობისთვის. ინვესტიციები ეკონომიკას კვებავს სამუშაო ადგილების შექმნით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და პროდუქტიულობის გაზრდით. როდესაც ბიზნესები ინვესტირებას ახორციელებენ ახალ აღჭურვილობაში, ტექნოლოგიებში ან ობიექტებში, ეს ზრდის წარმოების შესაძლებლობებს, რაც იწვევს წარმოების ზრდას და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას. ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები, როგორიცაა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში, ხელს უწყობს ბიზნეს საქმიანობას, რაც იწვევს უფრო გლუვ და ეფექტურ ოპერაციებს.

ინვესტიციების ერთ-ერთი პირდაპირი ზეგავლენა სამუშაო ადგილების შექმნაა. როდესაც ბიზნესი კაპიტალური ინვესტიციების გზით ფართოვდება, მათ მეტი მუშახელი სჭირდებათ. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების, ხიდების და სკოლების მშენებლობა, ასევე ქმნის მრავალ დასაქმების შესაძლებლობას, როგორც მოკლევადიან (მშენებლობა), ასევე გრძელვადიან (ტექნიკური მომსახურება და მომსახურება) პერსპექტივაში. დასაქმების ზრდა იწვევს განკარგვადი შემოსავლის ზრდას, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა ხარჯებს, რაც თავის მხრივ ასტიმულირებს შემდგომ ეკონომიკურ ზრდას. ისეთ სექტორებში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა მიზნობრივი ინვესტიციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიღარიბის შემცირებას და შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას. მაგალითად, განათლებაში ინვესტირება აუმჯობესებს ადამიანურ კაპიტალს, ხდის ინდივიდებს უფრო დასაქმებულს და პროდუქტიულს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელფასების ზრდა და ცხოვრების უკეთესი სტანდარტი. გარდა ამისა, ჯანდაცვაში ინვესტიციები აუმჯობესებს ცხოვრების საერთო ხარისხს, ამცირებს დაავადებების ტვირთს და საშუალებას აძლევს ინდივიდებს უფრო ეფექტურად შეიტანონ წვლილი ეკონომიკაში.

კაპიტალის ფორმირების ძირითადი წყარო ეროვნული დანაზოგებია, თუმცა მრავალი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა დანაზოგების დეფიციტს განიცდის, რაც ეკონომიკური განვითარების ტემპზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული გარემოება სახელმწიფოებს აიძულებს, მოიძიონ ფინანსური რესურსების ალტერნატიული წყაროები, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოურ ინვესტიციებს ენიჭება. უცხოური ინვესტიციები არა მხოლოდ დამატებითი კაპიტალის მოზიდვის საშუალებას იძლევა, არამედ ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების, მართვის გამოცდილებისა და საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის განვითარებას. მეორე მხრივ, შიდა ინვესტიციები და სავაჭრო გახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას განვითარებად ქვეყნებში. ტრადიციულ სექტორებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა ან ნედლეული, დამოკიდებულების ნაცვლად, ამ ქვეყნებს შეუძლიათ შექმნან ახალი სექტორები, როგორიცაა წარმოება, მომსახურება და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ეს ხელს უწყობს მათი ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებას და გრძელვადიანი ზრდისთვის უფრო მყარი საფუძვლის შექმნას. კაპიტალური ინვესტიციები პროგრესირებს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობის თვალსაზრისით. ასეთი ინვესტიციები სტიმულირებას უწევს მომხმარებელთა ხარჯებს და ბაზრის მოთხოვნას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის საერთო ზრდას. ოჯახების

განკარგვადი შემოსავლის ზრდით და მულტიპლიკატორის ეფექტით, ეკონომიკა უფრო აყვავებული ხდება, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ პროდუქტებისა და მომსახურების უფრო ფართო არჩევანით. იმისათვის, რომ ბიზნესმა გაზარდოს ან გააუმჯობესოს თავისი კაპიტალის სტრუქტურა, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი დაფინანსება. როგორც წესი, ბიზნესი ამ დაფინანსებას ეძებს ვალის ან ობლიგაციების - ან აქციების - გამოშვებით. კაპიტალური ინვესტიციები გრძელვადიანი ინვესტიციებია, ისინი საშუალებას აძლევს კომპანიებს, მრავალი წლის განმავლობაში მიიღონ შემოსავალი წარმოების ობიექტების დამატებით ან გაუმჯობესებით და ოპერაციული ეფექტურობის გაზრდით.

ინვესტიციები იწვევს კაპიტალის ფორმირებას, რაც აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. კაპიტალის ფორმირება გულისხმობს კაპიტალური აქტივების, როგორიცაა დანადგარები, ხელსაწყოები და შენობები, დაგროვებას, რაც ზრდის ეკონომიკის წარმოების შესაძლებლობებს. რაც უფრო მეტი კაპიტალი იდება პროდუქტიულ აქტივებში, მით უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების წარმოება შეუძლია, რაც გამოიწვევს წარმოების ზრდას და სიმდიდრის შექმნის ზრდას.

ფირმისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სარგებლიანობის მიღების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კონკურენტული უპირატესობაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად განხორციელდება მაშინ, როდესაც მიმღები ქვეყანა დარწმუნებული იქნება, რომ ინვესტორი მას სარგებელს მოუტანს. ამ შემთხვევაში მიმღებ ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას ადგილმდებარეობის უპირატესობები, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. როდესაც ქვეყანაში კარგი საინვესტიციო გარემო იქმნება დაცულია კანონის უზენაესობა, საკუთრების უფლებები და სხვა ეს საწინდარია მრავალეროვნული კორპორაციების ინვესტიციების მოზიდვისა. სწორედ ასეთი გარემო იქცევს მრავალი კორპორაციის ყურადღებას, რადგან ნებისმიერ ბიზნეს ურჩევნია დააბანდოს კაპიტალი იქ სადაც უფრო დაცული და ნაკლებად რისკიანია.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მყიდველობითიუნარიანობა ყოველთვის მაღალი, შესაბამისად ნებისმიერი ინვესტორისთის ეს გარემო მიმზიდველია. მაღალი მსყიდველობითუნარიანობა უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების ფართო რეალიზაციის შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ინვესტორის მოგების ზრდაზე აისახება. შესაბამისად ინვესტორების უმეტსობა უპირატესობას ანიჭებს ისეთ ბაზრებს, სადაც მოთხოვნა მაქსიმალურად სტაბილურია და ფინანსურადაც უზრუნველყოფილი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, როგორც წესი, გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნოლოგიური აქტივები, რაც მათ „საკუთრების უპირატესობას“ (Ownership Advantage) ანიჭებს. აღნიშნული უპირატესობა შეიძლება გამოიხატებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობაში, ძლიერი ბრენდის არსებობაში, მენეჯერულ გამოცდილებასა და ფინანსურ რესურსებზე ფართო ხელმისაწვდომობაში.

იმისათვის, რომ კომპანიებმა აირჩიონ საინვესტიციო გზა ან მეთოდი მენეჯმენტმა უნდა გააანალიზოს ინტერნალიზების უპირატესობა. იდეალურ შემთხვევაში, მიმზიდველი ინვესტიცია უნდა შეიცავდეს მასშტაბის მნიშვნელოვან ეკონომიას, კარგ რეპუტაციას და ცნობილ ბრენდს, მოწინავე ტექნოლოგიას და ა.შ. ფირმამ შეიძლება დააწესოს მაღალი ფასი მის პროდუქციაზე და გაზარდოს მისი ხარისხი საზღვარგარეთ და ამის შედეგად მიიღოს ინვესტიციისგან მაღალი მოგება, მან შეიძლება ასევე მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არ შევიდეს

ამ ბაზარზე იმის გამო, რომ მიმღებ ქვეყანაში არსებობს ძვირი ნედლეული, მაღალი ხელფასი ან გადასახადების მაღალი დონე.

საკუთრების უპირატესობების მნიშვნელოვანი როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში ნათლად იკვეთება ჩინეთის მაგალითზე. ჩინეთი მრავალი წლის განმავლობაში ლიდერობდა განვითარებად ქვეყნებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით და გარკვეულ პერიოდში მსოფლიო მასშტაბითაც ერთ-ერთ წამყვან საინვესტიციო ცენტრს წარმოადგენდა. აღნიშნული წარმატება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ინვესტორები ჩინურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვების შესაძლებლობას ხედავდნენ. ეს გულისხმობდა იმას, რომ ინვესტორებს შესაძლებლობა ეძლეოდათ შეემცირებინათ საწარმოო და ტრანსაქციური ხარჯები, რაც მათ პროდუქციის შედარებით დაბალ ფასად წარმოებისა და რეალიზაციის საშუალებას აძლევდა. ხარჯების შემცირება, თავის მხრივ, პირდაპირ აისახებოდა კომპანიის მოგებიანობის ზრდაზე და აძლიერებდა მის პოზიციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ინვესტიცია არის მთლიანი მოთხოვნის კომპონენტი. ინვესტიცია ცვლის კაპიტალის მარაგს. კაპიტალის მარაგის ცვლილებები ცვლის წარმოების შესაძლებლობების მრუდს და ეკონომიკის მთლიანი წარმოების ფუნქციას და, შესაბამისად, გადააქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მთლიანი მიწოდების მრუდები მარჯვნივ ან მარცხნივ. მოკლევადიან პერიოდში, ინვესტიციების ცვლილებები იწვევს მთლიანი მოთხოვნის შეცვლას. ზოგიერთი ინვესტიცია ხორციელდება სამთავრობო უწყებების მიერ, რადგან ისინი ამატებენ კაპიტალის საჯარო მარაგს. გარდა ამისა, საჯარო სექტორის მიერ არჩეულმა საგადასახადო და მარეგულირებელმა პოლიტიკამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კერძო ფირმებისა და ფიზიკური პირების საინვესტიციო არჩევანზე. ხშირად გვესმის ცნობები, რომ დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა ბინების მშენებლობის სტიმულირება მოახდინა ან რომ მაღალმა განაკვეთებმა შეამცირა იგი. ასეთი ანგარიშები გულისხმობს უარყოფით კავშირს საპროცენტო განაკვეთებსა და საცხოვრებელ შენობებში ინვესტიციებს შორის. ეს ურთიერთობა ეხება ინვესტიციის ყველა ფორმას: უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები ამცირებს ინვესტიციის რაოდენობას, ხოლო დაბალი საპროცენტო განაკვეთები ზრდის მას. საპროცენტო განაკვეთებსა და ინვესტიციებს შორის ურთიერთობის გასაგებად, უნდა გახსოვდეს, რომ ინვესტიცია არის კაპიტალის დამატება და რომ კაპიტალი არის ის, რაც წარმოებულია სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის.

The model was first introduced in Georgia in 2017, within vocational educational institutions — specifically "Blexi" and "Erkvani" colleges — with the support of the Millennium Challenge Fund Georgia. The approach was successfully implemented across several subjects. In more recent years, the model has been taken up by Ilia State University, the Technical University of Georgia, Sulkhan-Saba University, and Batumi State University. These institutions have run training sessions and pilot courses at both undergraduate and doctoral levels. Research conducted in Georgia indicates that the Flipped Classroom supports increased student motivation, the development of independent learning skills, and more active engagement in the learning process. The main challenges include limited access to technological resources, varying levels of preparedness among students and lecturers, and a general inertia toward traditional

teaching. Successful implementation requires sustained institutional support and a willingness to update pedagogical approaches (Chankvetadze, 2024).

Drawing on international examples, the authors believe that Georgia should avoid uncritically transplanting any single country's model. Rather, the right priorities should be given to identifying context-specific strategies aligned with the country's educational realities and institutional capacities. For instance, the Asian experience underscores the importance of strengthening student interaction and ensuring that students are genuinely active and engaged participants in the learning process, supported by a range of innovative methods. Effective implementation of the Flipped Classroom requires well-designed, clearly structured materials that are easily accessible to students. In-class activities need to be varied and participatory, incorporating discussions, case studies, and project-based learning (Mazlan et al., 2025, p. 1656).

Beyond pedagogy, the experience of Tanzania highlights that internet access and infrastructure are not peripheral concerns but central prerequisites for successful implementation. If these issues are not addressed at a national level, deeper problems follow, including unequal access to education. Another challenge worth raising is whether lecturers and teachers are genuinely ready to work with digital platforms and can reliably deliver instructional resources to students in a timely, structured, and purposeful manner. In the Georgian context specifically, the authors emphasize that instructional video resources should be produced in the Georgian language and should offer meaningful variety in format and presentation. Classroom time should be reallocated away from repetitive theoretical content and toward practical work that develops higher-order thinking. In this framework, theoretical content should primarily be handled outside the classroom, reserving face-to-face time for analytical, evaluative, and collaborative work.

For these prospects to become a reality, concrete and systematic measures are required. Drawing on international experience and research conducted within the Georgian context (Chankvetadze, 2024), the authors propose the following recommendations, organized under three principal domains: institutional, pedagogical, and technological:

1. Professional Development of Academic Staff - Universities should invest systematically in retraining and continuous development of academic staff. This development should extend beyond technological proficiency to include methodological competencies, developing the ability to facilitate discussions, moderate debates, and lead interactive, student-centered sessions effectively.

2. Design of Digital Learning Materials - Video, audio, and other digital materials provided by lecturers should be concise, clearly structured, focused on specific learning objectives, and easy to follow. International practice consistently demonstrates that excessively lengthy content diminishes students' concentration and reduces overall learning effectiveness.

3. Establishment of Formative Feedback Mechanisms - A structured feedback mechanism should be put in place, allowing students to communicate to the lecturer what they found difficult or unclear after engaging with the pre-class material. Such mechanisms provide instructors with valuable diagnostic insight before the session begins, allowing for more targeted and responsive instruction.

4. Reallocation of Classroom Time - Classroom time should be dedicated to practical, application-based tasks that build collaborative skills, critical thinking, and teamwork. Group work should not remain an aspiration component of the course design but should instead become a regular and integral part of instructional practice.

5. Ensuring Technological Accessibility - In regions where reliable internet access is limited, materials should be pre-downloaded and made available on devices and applications that function offline, ensuring that access to learning is not contingent on connectivity.

Conclusion

This article examines the principles and challenges of implementing the flipped classroom model in both international and local contexts.

Based on the analysis of existing research, it can be concluded that this model plays a significant role in fostering twenty-first-century competencies, with particular emphasis on student autonomy and student-centered education. The main findings of the study may be summarized as follows:

- The core value of the flipped classroom is to create a student-centered environment, where class time is entirely devoted to the development of critical thinking skills, enhancement of learning quality, developing communication, teamwork, independent learning skills, and self-regulation.
- The challenges associated with the model extend beyond technological barriers and include resistance to pedagogical change among educators who still choose traditional methods.
- The effectiveness of the flipped classroom depends on the country's education ecosystem. In developed contexts, the successful implementation of this method is facilitated by the advanced technological competencies among students and teachers, while in developing countries, it still faces challenges in terms of infrastructure limitations and traditional approaches.
- The experience of pilot projects in Georgia indicates that it significantly increases student motivation, self-efficacy, and engagement, all of which lead to improved academic performance.
- Ultimately, the success of the flipped classroom method depends not only on the technological infrastructure but also on the country's educational culture and socio-economic situation. In the context of the ongoing digital revolution, the integration of the flipped classroom model in the Georgian education system is necessary and strategically aligned with the goals of technological integration, personalized learning, and further development of higher-order cognitive skills.
-

References

1. Basiladze, I.; Dzotsenidze, K.; Akhvlediani, M., Chokhonelidze, N. Kancheli, N. Issues of education, learning, teaching, and upbringing Part II. 2025.

2. Antadze L. Modern methods of teaching. Tbilisi. 2024.

3. Chankvetadze, A. (2024). Flipped classroom: rising motivation of the new generation or challengeable way of studying on higher education level (case study in Georgia). *Proceedings of the International Conference on Innovative Research in Education*. https://doi.org/10.33422/ireconf.v1i1.442;

4. ElGamal, H. (2025). What is the De facto? Implementation of the Flipped Classroom Method in Higher Education: Veteran Professors Share Their Experiences over Multiple Years. *Online* Learning. https://doi.org/10.24059/olj.v29i1.4248;

5. European Commission**. (2018).** *Flipped classroom in practice***.** Erasmus+ Programme **Project Results Platform.** https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/project-result-content/17061004-3280-44bc-81ca-463b3f329b5d/Flipped_Classrom_in_Practice_EN.pdf;

6. Haji, O., Alochere, B., Mokua, T., & Asiimwe, S. (2025). Teacher Competencies and Digital Effectiveness: A Flipped Classroom in Zanzibar Lower-Secondary Schools. *International Journal For Multidisciplinary Research*. https://doi.org/10.36948/ijfmr.2025.v07i03.45571;

7. Karppinen, P., Niemitalo-Haapola, E., & Sandbacka, K. (2023). "At best, the students have themselves lead the discussion": University teachers' experiences of flipped teaching. In *Proceedings of the 56th Hawaii International Conference on System Sciences* (pp. 93–102). https://doi.org/10.24251/HICSS.2023.012;

8. Lo, C., & Hew, K. (2017). A critical review of flipped classroom challenges in K–12 education: Possible solutions and recommendations for future research. *Research and Practice in Technology Enhanced Learning, 12*, Article 4. https://doi.org/10.1186/s41039-016-0044-2;

9. Mazlan, R., Mahamod, Z., & Jamaluddin, K. A. (2025). Comprehensive structured review of implementing flipped classroom approaches in education. *Journal of Education and Learning (EduLearn)*, *19*(3), 1651–1661. https://doi.org/10.11591/edulearn.v19i3.22655;

10. Nyandara, Z., & Jonas, J. (2025). The feasibility of flipped classroom approaches: Insights from teachers and students in the selected public secondary schools in Tanzania. *Journal of Issues and Practice in Education, 17*(1). https://doi.org/10.61538/jipe.v17i1.1722;

11. Ray, S., & Sikdar, D. P. (2024). Comparative Analysis of Flipped Classroom Implementation in Western and Indian Indoctrination. *American Journal of Arts and Human Science*, *3*(4), 63-71. https://doi.org/10.54536/ajahs.v3i4.3638;

12. Roehling, P. V., & Bredow, C. A. (2021). *Flipped learning: What is it, and when is it effective?* The Brookings Institution. https://www.brookings.edu/articles/flipped-learning-what-is-it-and-when-is-it-effective/;

13. Strelan, P., Osborn, A., & Palmer, E. (2020). The flipped classroom: A meta-analysis of effects on student performance across disciplines and education levels. *Educational Research Review*. https://doi.org/10.1016/j.edurev.2020.100314;

14. University of Cambridge. **(n.d.).** *Case study: Flipped classroom.* https://www.cctl.cam.ac.uk/newsletter/case-study-flipped-classroom;

15. Wang, H., Hamid, J., & Tham, J. (2025). A study of flipped classrooms in higher education. *Edelweiss Applied Science and Technology*. https://doi.org/10.55214/25768484.v9i3.5232;

მექანიკის პრინციპები სამხედრო თეორიაში
Principles of mechanics in military theory

ლევან ქავთარაძე
საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილე, პოლკოვნიკი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

Levan Kavtaradze
Deputy Commander of Training and Military Education Command of the Georgian Armed Forces, Colonel
Georgian Technical University,
Doctoral Student of the Military Engineering Doctoral Program

ანოტაცია. წინამდებარე სტატია განიხილავს კლასიკური მექანიკის ფუნდამენტური პრინციპების გამოყენების შესაძლებლობას სამხედრო თეორიის ანალიზში ინტერდისციპლინური მიდგომის საფუძველზე.

კვლევის მიზანია მექანიკის ძირითადი ცნებებისა და კანონზომიერებების - ინერციის, ძალისა და აჩქარების, ქმედება-უკუქმედების, გრავიტაციის ცენტრის, პოტენციური და კინეტიკური ენერგიის სამხედრო სფეროში არსებული ანალოგიების გამოვლენა და მათი თეორიული მნიშვნელობის შეფასება.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის, სამხედრო დოქტრინებისა და ისტორიული მაგალითების ანალიზს.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მექანიკის პრინციპების ანალოგიები შესაძლებელს ხდის სამხედრო პროცესების უფრო სისტემურ, სტრუქტურირებულ და პროგნოზირებად გააზრებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სამხედრო სისტემებში მოქმედი ძალების, ურთიერთკავშირებისა და დინამიკური პროცესების უკეთ გაანალიზებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც ოპერატიული გარემოს შეფასების, ისე სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევის ფარგლებში განხილულია, თუ როგორ შეიძლება მექანიკის ფუნდამენტური ცნებები გამოყენებულ იქნენ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, საბრძოლო შესაძლებლობების შეფასებისა და მოწინააღმდეგის ქცევის პროგნოზირების თეორიულ ჩარჩოდ. ამასთანავე, კვლევა წარმოაჩენს, რომ ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენება ხელს უწყობს სამხედრო თეორიის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას.

კვლევამ დაადასტურა, რომ სამხედრო ძალის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რესურსების მოცულობაზე, არამედ ბრძოლის ოპერატიულ ტემპზე, მობილურობაზე, სტრუქტურულ ერთიანობასა და ადაპტაციის უნარზე. ასევე გამოიკვეთა, რომ გრავიტაციის ცენტრისა და ენერგეტიკული პრინციპების ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხედრო ოპერაციების დაგეგმვასა და საბრძოლო შესაძლებლობების შეფასებაში. კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ მექანიკის პრინციპების სამხედრო თეორიაში ინტეგრირება წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებას.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო თეორია, მექანიკა, პრინციპები, ანალოგია, მოდელირება, მასა, ენერგია, ძალა, გრავიტაცია.

Abstract. This article examines the applicability of the fundamental principles of classical mechanics to the analysis of military theory through an interdisciplinary approach.

The purpose of the study is to identify analogies between the core concepts and laws of mechanics - inertia, force and acceleration, action-reaction, center of gravity, and potential and kinetic energy and their military counterparts, as well as to assess their theoretical significance within the military domain.

The research is based on a qualitative methodology and includes the analysis of scientific literature, military doctrines and historical case studies.

The paper demonstrates that analogies derived from the principles of mechanics enable a more systematic, structured and predictable understanding of military processes. This approach contributes to a more comprehensive analysis of the forces, interdependencies and dynamic processes operating within military systems, which is essential both for the assessment of the operational environment and for the military decision-making process. Within the framework of the study, it is examined how the fundamental concepts of mechanics may be employed as a theoretical framework for operational planning, the assessment of combat capabilities and the prediction of adversary behavior.

Furthermore, the research demonstrates that the application of interdisciplinary approaches contributes to the expansion of the analytical capabilities of military theory.

The study confirms that the effectiveness of military force depends not only on the volume of available resources, but also on operational tempo, mobility, structural cohesion and the capacity for adaptation in combat operations. Furthermore, the analysis revealed that the concepts of center of gravity and energy-based principles play a significant role in operational planning and the assessment of combat capabilities.

The findings of the research confirm that the integration of mechanical principles into military theory represents a promising direction for the further development of military science.

Keywords: military theory, mechanics, principles, analogy, modeling, mass, energy, force, gravity.

შესავალი. მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ახალი სახე შესძინა მსოფლიო პოლიტიკის სფეროს. იზრდება რიგი სახელმწიფოების სწრაფვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პირველობისკენ და შესაბამისად, წარმოიქმნება მეტი შეიარაღებული კონფლიქტები მსოფლიოში. პოლიტიკურმა/სამხედრო სტრატეგიულმა ხედვებმა, მიდგომებმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ სამხედრო კონფლიქტების ტრანსფორმაცია მოახდინა და დღეს ისინი სახეცვლილი ფორმებით მიმდინარეობენ. მზარდი როლი ენიჭება მაღალი სიზუსტისა და შორსმსროლელი იარაღის, უპილოტო საფრენი აპარატების, მართვადი ავტომატიზირებული შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მასიურ გამოყენებას.

მსოფლიო გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილმა თანამედროვე რეალობამ განაპირობა სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხების წინა პლანზე წამოწევა. შესაბამისად, სახელმწიფოების მიერ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა ტოტალური თავდაცვის სისტემის დანერგვა, რაც თავისი შინაარსით, სამოქალაქო უსაფრთხოების მყარი გარანტიაა.

ზემოხსენებული გახშირებული პოლიტიკური თუ სამხედრო ხასიათის კრიზისები და მსოფლიოში შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს ახალ, უფრო დახვეწილ და შედეგისმომტან მიდგომას ქვეყნის თავდაცვითი ღონისძიებების მიმართ.

საკვლევი საკითხის აქტუალობა

საკვლევი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ქვეყნის წინაშე არსებული სხვადასხვა ტიპის სამხედრო საფრთხეები და გამოწვევები. აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის ქმედებები კავკასიის რეგიონსა და უკრაინაში, შედეგად კი ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიები. ამ მოცემულობით, ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030-ში“, ქვეყნის ტოტალური თავდაცვა განიხილება რუსეთის ფედერაციიდან მომავალი პირდაპირი და ჰიბრიდული საფრთხეების პრევენციისა და შემცირების ეფექტურ მექანიზმად (საქართველოს თავდაცვის მინისტრი 2021, 8). ამ კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სამხედრო კომპონენტი და მასში შემავალი სამხედრო ხასიათის საფრთხეებზე რეაგირების გეგმები, რომელთა რაციონალურად მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია ეფექტური თავდაცვითი ოპერაციების განხორციელებისთვის. ასეთ გეგმებს შესაბამისად განათლებული და გამოცდილი, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები ამზადებენ, რომელთაც ზურგს მაღალი თეორიული ცოდნა უმაგრებს.

სამხედრო თეორია არის ,,ძირითადი იდეების სისტემა, განზოგადებული მონაცემები ომის წარმოების და სამხედრო საქმის შესახებ. წარმოადგენს სამხედრო პრაქტიკის გააზრებას, მისი დებულებებისა და ფორმების განსაზღვრას“.[802] სწორედ დღევანდელი სახეცვლილი სამხედრო კონფლიქტების პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე იკვეთება სამხედრო თეორიის დახვეწის და ადაპტირების აუცილებლობა, რაც წინაპირობაა წარმატებული სამხედრო საქმიანობისათვის.

[802] მეძმარიაშვილი ე., ,,ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, გვ.417, თბილისი 2017.

უდავოა, რომ ზემოხსენებული ფაქტები საფრთხეებზე სათანადო რეაგირებისთვის ქვეყნისა და ჯარის მზადყოფნის საკითხის აქტუალურობას ნათლად წარმოაჩენს. ტოტალური თავდაცვის კარგად მომზადებულმა სამხედრო კომპონენტმა უნდა უზრუნველყოს თავდაცვის ძალების წარმატება სამხედრო მოქმედებებში და შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

საკითხი მით უფრო აქტუალურია საქართველოს, როგორც ჰიბრიდული ომის მსხვერპლი სახელმწიფოსთვის, რომლის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, დღემდე აქტიურ ფაზაშია ე.წ. „მცოცავი ოკუპაცია“ და კვლავ მაღალი რჩება სამხედრო კონფლიქტების განახლების რისკი.

საკვლევი პრობლემის ფორმულირება

საკვლევ პრობლემას წარმოადგენს სამხედრო პერსონალის კლასიკური, სტანდარტული მოქმედება სამხედრო საქმეში, თანამედროვე მრვალფეროვან და კომპლექსურ გარემოში, რომელიც უკვე ახლებურ, მრავალმხრივ აზროვნებასა და მიდგომას მოითხოვს. უფრო კონკრეტულად კი პრობლემას წარმოადგენს მიდგომები სამხედრო თეორიული საკითხების შეფასების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანისას. ეს ნიშნავს სამხედრო პრაქტიკის გააზრებას, მისი დებულებებისა და ფორმების განსაზღვრა/გამოყენებას. ახლებური მიდგომებით შესაძლებელია პრობლემის სხვადასხვა კუთხით დანახვა, გაანალიზება, უფრო ზუსტი და მართებული დასკვნების გაკეთება.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განსხვავებული და ახლებური, ინტერდისციპლინური (სამხედრო + მექანიკა) მიდგომის ჩამოყალიბება/წარმოჩენა მნიშვნელოვანი სამხედრო თეორიული საკითხების შესწავლისა და ანალიზისადმი, რომელიც ეფუძნება მექანიკის პრინციპების ანალოგიებს და უზრუნველყოფს სამხედრო პროცესების უფრო სისტემურ, ფორმალიზებულ და პროგნოზირებად ანალიზს.

ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ მექანიკის პრინციპების ანალოგიების (მასა, ენერგია, აჩქარება) სისტემური გამოყენება სამხედრო საქმეში საშუალებას იძლევა, ახლებური მიდგომის მეთოდების მეშვეობით, გაიზარდოს სამხედრო გადაწყვეტილების მიღების სიზუსტე და ეფექტიანობა ტრადიციულ, ინტუიციურ მეთოდებთან შედარებით, რაც გამოიხატება:

1. საბრძოლო შესაძლებლობებისა და შეზღუდვების უფრო ზუსტ შეფასებაში;
2. ოპერციის/მოქმედების ანალიზისა და შედეგების პროგნოზირების სიზუსტის ზრდაში.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც გამოყენებულია მეორეული მონაცემების ანალიზი, რაც მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვასა და დოკუმენტურ ანალიზს. კერძოდ, გაანალიზებულია სამხედრო თეორიისა და დოქტრინის სფეროში არსებული ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ასევე მოქმედი და ყოფილი სამხედრო ექსპერტებისა და ანალიტიკოსების შეფასებები. აღნიშნული მასალა დამუშავდა კონტენტ-ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით, რაც შესაძლებელს ხდის საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული მიდგომების კრიტიკულ გააზრებასა და სისტემატიზაციას.

კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და ,,შემთხვევის შესწავლის“ (case study) მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა სხვადასხვა პერიოდისა და შინაარსის სამხედრო გამოცდილების შედარებითი ანალიზი და თეორიული კონცეფციების პრაქტიკული

რეალიზაციის შეფასება. ამის საფუძველზე მოხდა სამხედრო თეორიაში არსებული მექანიკის პრინციპების ანალოგიების გამოკვეთა.

სტატიაში სამხედრო პროცესების აღწერა განხორციელებულია მექანიკის კატეგორიების (ძალა, ენერგია, მოძრაობა და სხვა) ანალოგიებზე დაფუძნებული მოდელების საშუალებით, რაც შესაძლებლობას იძლევა ახლებური მიდგომით მოხდეს სამხედრო პროცესების ანალიზი და არსებული შესაძლებლობების ეფექტიანობის ზოგადი შეფასება.

მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ეყრდნობა ავტორის, როგორც სამხედრო მოსამსახურის პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც გამოიყენება როგორც დამატებითი ანალიტიკური რესურსი კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში.

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აღიარებულია და დამკვიდრებულია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფუნდამენტურმა პრინციპებმა და კანონზომიერებებმა შეიძლება ჰპოვონ თავისი გამოყენება სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის სამხედრო მეცნიერებაში. მექანიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დარგის თეორიული პრინციპები გვთავაზობენ ანალოგიებს სამხედრო სფეროში. მექანიკა შეისწავლის, თუ როგორ მოძრაობენ ნივთიერი სხეულები სამყაროში და რა წესებს ემორჩილება ძალა, მასა, ენერგია და ა.შ. სამხედრო მეცნიერებაშიც საკმაოდ დიდი დოზით ფიგურირებენ ხსენებული მახასიათებლები ფიზიკურ სხეულებთან მიმართებაში, თუმცა ადამიანების, ორგანიზაციების და მათი ურთიერთკავშირების დონეზე. ეს ,,ინტერდისციპლინარული“ მიდგომა არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ ფორმას, არამედ იგი პრაქტიკული ინსტრუმენტიც არის სამხედრო ოპერაციების ანალიზისა და დაგეგმვისათვის.

სტატიაში მოცემულია მექანიკაში მოქმედი ძირითადი პრინციპებისა და კანონზომიერებების მსგავსებები/ანალოგიები სამხედრო კონცეფციებთან, მოდელირების არსი, როლი და დანიშნულება, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს და განხილული იქნეს სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქმედი ძალებისა და საშუალებების მართვის ლოგიკა. აღნიშნულის საფუძვლეზე, შესაძლებელია სამხედრო საქმეში უფრო ღრმა გამოთვლების ჩატარება და გარკვეული სიდიდეების რაოდენობრივი შეფასება, რაც უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი სამხედრო მოქმედების/ოპერაციის დაგეგმვის, მომზადების და აღსრულებისათვის, თუმცა ამ დონის სიღრმისეული კვლევა, თავისი მოცულობიდან გამომდინარე, სცილდება ერთი სტატიის ფორმატს და ავტორის მიერ მოცემული იქნება შემდეგ კვლევებსა და პუბლიკაციებში.

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, **მოდელირება არის** ,,სამხედრო საქმეში, რეალური სისტემის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მისი ანალოგის (მოდელის) შექმნის და შესწავლის გზით ობიექტის (მოვლენის, სისტემის, პროცესის) კვლევის სამხედრო-თეორიული ან სამხედრო-ტექნიკური მეთოდი. რეალურ სისტემასა და მის ანალოგს შორის წესდება განსაზღვრული შესაბამისობა (ანალოგია) იმ ნიშნებზე (ფაქტორებზე, მახასიათებლებზე), რომლებიც კვლევის მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ ზომით აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.”[803]

სტაიაში მოცემული მოდელირება, თავისი არსით აყალიბებს ახლებურ მიდგომებს თეორიულ დონეზე სამხედრო პრობლემების გადასაწყვეტად, მექანიკის დარგობრივი ტერმინებისა და პრინციპების შემოქმედებითად გამოყენებით. ეს ახლებური მიდგომები,

[803] მემარიაშვილი, ე., ,,ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი”. გვ. 158, თბილისი 2017.

სამხედრო მიდგომების პარალელურად, გვაძლევს პრობლემის სხვა კუთხით დანახვის, გაანალიზების და მართებული დასკვნების გაკეთების საშუალებას.

მექანიკის პრინციპების ანალოგიების საშუალებით ხდება რთული სამხედრო სისტემების ქცევის კანონზომიერებების წარმოდგენა მარტივ, გასაგებ და პროგნოზირებად მოდელებში. ამ პროცესში მექანიკის პრინციპების ანალოგიები საშუალებას იძლევიან:

- სამხედრო სისტემების ურთიერთქმედების კვლევისა
- დინამიკური პროცესების აღწერისა
- დასკვნების გაკეთებისა
- პროგნოზირებისა

სამხედრო მეცნიერება და კლასიკური მექანიკა, ერთი შეხედვით, განსხვავებულ ჭრილში მოქმედი დისციპლინებია. პირველი - სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური რეალობების შედეგად ფორმირებული, ხოლო მეორე – მატერიალური სამყაროს კანონზომიერებების კვლევა-განვითარებაზე დაფუძნებული. თუმცა, როგორც ჩანს, ორივე სფეროში მოქმედებენ თავსებადი პრინციპები და ცნებები, რომელთაც საერთო ფუნდამენტური ლოგიკა აქვთ - ძალა, ენერგია, ინერცია, მასა, მასების ცენტრი და სხვა. ყველა ეს ცნება სათავეს იღებს კლასიკური მექანიკის ფუნდამენტური პრინციპებიდან.

პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსი, გენერალი კარლ ფონ კლაუზევიცი ომს განსაზღვრავდა როგორც „პოლიტიკის გაგრძელებას სხვა საშუალებებით“,[804] ხოლო ისააკ ნიუტონის პირველმა კანონმა დაადგინა, რომ სხეული ინარჩუნებს უძრაობის ან თანაბარი წრფივი მოძრაობის მდგომარეობას, ვიდრე გარე ძალების გავლენის გამო იძულებით არ შეიცვლის არსებულ მდგომარეობას.[805] ამ ორ პრინციპს შორის პარალელის გავლება საშუალებას იძლევა, უკეთ გავიგოთ სამხედრო ძალების ქცევა ომის სხვადასხვა დონეზე, კერძოდ, როგორ იცვლება მათი მოქმედება მაშინ, როდესაც მასზე ,,გარე ძალა” ანუ პოლიტიკური ან სამხედრო ზემოქმედება გავლენას ახდენს. ასეთი შედარებითა და ანალოგიების მოძიებით დავინახავთ თუ როგორ ფუნქციონირებს ზოგადი მეცნიერული კანონზომიერებები სხვადასხვა სფეროში და როგორ შეიძლება ერთი დარგის მიღწევების გამოყენება მეორეში. სამხედრო საქმეში გადასაწყვეტი საკითხებისადმი ასეთი მრავალმხრივი მიდგომა აადვილებს გამოსავლის მოძებნას და ადეკვატური სამოქმედო გეგმების შემუშავებას.[806]

1. ნიუტონის პირველი კანონი მექანიკაში - ინერციის კანონი

როგორც უკვე ვახსენეთ, ნიუტონის პირველი კანონის მიხედვით, სხეული ინარჩუნებს არსებულ მდგომარეობას, ვიდრე გარე ძალების გავლენის გამო იძულებით არ შეიცვლის ამ მდგომარეობას. მის სამხედრო ანალოგიას თუ განვიხილავთ, სამხედრო ოპერაციებში ინერციის პრინციპი ვლინდება ზოგიერთ შემდეგ ფორმაში:

- **ოპერაციული ინერცია:**

- ქვედანაყოფის მიერ ერთხელ დაწყებული მოძრაობა, როგორიც არის მაგალითად შეტევა, ინარჩუნებს თავის მიმართულებას და ტემპს მანამ, სანამ არ შეხვდება წინააღმდეგობას. უმეტეს შემთხვევაში, ეს წინააღმდეგობა ხვდება მას მოწინააღმდეგის თავდაცვაზე მყოფი

[804] Clausewitz C., On War, Superior Publishing House, 2010;

[805] Cohen B., ISAAC NEWTON'S Papers & Letters On Natural Philosophy, HARVARD UNIVERSITY PRESS Cambridge, Massachusetts, and London, England, 1978, Pdf;

[806] Dupuy, Trevor N. Understanding War: History and Theory of Combat. New York: Paragon House, 1987.

ძალების სახით. მაგალითად, ,,ბლიცკრიგის“ ტაქტიკა ეყრდნობოდა სწორედ ამ პრინციპს - სწრაფი, მუდმივი მოძრაობა მტრის წინააღმდეგობრივი ძალების ამოქმედებამდე.[807]

- სამხედრო ფორმირება ან სტრატეგიული მიმართულება ინარჩუნებს თავის მიერ აღებულ კურსს მანამ, სანამ არ წარმოიშობა მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი. მაგალითად, ძლიერი სამხედრო ალიანსი (NATO) ინარჩუნებს თავის მიერ აღებულ უსაფრთხოების სტრატეგიას მანამ, სანამ არ წარმოიშობა ახალი საფრთხე ან გეოპოლიტიკური ცვლილება.

- **ფსიქოლოგიური ინერცია:**
  სამხედრო საქმეში ადამიანური ფაქტორები წამოადგენენ არასისტემატიზირებულ და ძნელადგაზომვად ფაქტორებს, რომელთაგან ერთ-ერთი ჯარების მორალი და მოტივაციაა. ეს მახასიათებლებიც ინარჩუნებენ გარკვეულ ,,ინერციას” - წარმატებული ოპერაციები ზრდიან მებრძოლთა ენთუზიაზმს, ხოლო წარუმატებლობა ქმნის უარყოფით ტენდენციას და იკლებს ბრძოლისუნარიანობა.

2. ნიუტონის მეორე კანონი მექანიკაში - ძალისა და აჩქარების კანონი

ძალა, რომელიც სხეულზე მოქმედებს, ტოლია სხეულის მასისა და ამ ძალის მიერ მინიჭებული აჩქარების ნამრავლისა. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, ძალა (F) პროპორციულია მასის (m) და აჩქარების (a) ნამრავლისა: F=ma. ნიუტონის ეს კანონი წარმოადგენს მექანიკის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ადგენს პირდაპირ პროპორციულობას გამოყენებულ ძალასა და მის შედეგად წარმოშობილ აჩქარებას შორის, ასევე, სხეულის მასის მნიშვნელობას ამ პროცესში. იგი განსაზღვრავს, თუ როგორ იცვლება სხეულის მოძრაობა გამოყენებული ძალის შესაბამისად. ანუ, ეს კანონი იძლევა სხეულის აჩქარების გამოთვლის საშუალებას, როდესაც ცნობილია სხეულის მასა და მასზე მოქმედი ძალის სიდიდე.

მექანიკურ სისტემებში აჩქარების ცვლილება შესაძლებელია გამოყენებული ძალის, მასის ან ,,ხახუნის“ და სხვა წინააღმდეგობის ძალების ცვლილებით. მექანიკური სისტემის დინამიკაში აჩქარების გაუმჯობესება გადამწყვეტია ეფექტურობისთვის - მაგალითად, რაკეტულ სისტემებში მასის შემცირება და ძრავის ბიძგის გაზრდა პირდაპირ იწვევს უფრო მაღალ აჩქარებას და შესაბამისად, უფრო ეფექტურ მოძრაობას.

სამხედრო მეცნიერებაში ეს კანონი აისახება უფრო კომპლექსურად, საბრძოლო ეფექტურობის პრინციპში, რომლის თანახმადაც შეიძლება აიხსნას თუ როგორ განისაზღვრება ერთი ქვედანაყოფის ან ქვედანაყოფთა გაერთიანების საერთო საბრძოლო ძალა.

სამხედრო თეორიაში, განსაკუთრებით მანევრული ომის დოქტრინაში, აჩქარება ინტერპრეტირდება როგორც სამხედრო ერთეულის უნარი, იმაზე სწრაფად მოახდინოს გადაწყვეტილების მიღება, რესურსების მობილიზება და საბრძოლო ოპერაციების განხორციელება, ვიდრე მოწინააღმდეგეს შეუძლია რეაგირება. ეს გახლავთ სამხედრო ოპერაციების შედარებითი სიჩქარე და რიტმი დროში, მოწინააღმდეგესთან მიმართებით, რომელსაც სამხედრო საქმეში ეწოდება ,,ოპერატიული ტემპი“.

სამხედრო სფეროში მასისა და სიჩქარის ურთიერთობის კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი ზომის სამხედრო ქვედანაყოფები (დიდი ,,მასა”), მოძრაობის ანუ მობილიზაციისა და ერთობლივი მოქმედებების სასურველი სიჩქარის გასავითარებლად საჭიროებენ მეტ ძალისხმევას (მეტ დროსაც), ხოლო მცირე, მობილური ქვედანაყოფები (ნაკლები ,,მასა”) კი შედარებით მოქნილები არიან. გადაადგილების სწრაფი უნარის მეშვეობით შეუძლიათ სწრაფი მანევრირება და სწრაფი მოქმედებებით კი - რეაგირება სასურველი მიზნების მისაღწევად.

[807] Limbach R., Military Tactic, Blitzkrieg, Encyclopedia Britanica, https://www.britannica.com/topic/blitzkrieg (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026).

3. ნიუტონის მესამე კანონი მექანიკაში - ქმედება-უკუქმედების კანონი

ერთი სხეულის მიერ კონკტერული ძალით ზემოქმედება მეორე სხეულზე იწვევს მეორე სხეულის მიერ იგივე სიდიდის ძალით უკუქმედებას პირველ სხეულზე. ანუ, ყოველ მოქმედებას შეესაბამება ტოლი და საწინააღმდეგოდ მიმართული უკუქმედება. ეს კანონი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და მრავალმხრივ გამოყენებად პრინციპს სამხედრო სტრატეგიაში. ეს კანონი ხსნის არა მხოლოდ ზედაპირულ მოვლენებს, არამედ სამხედრო აქტივობების მყარ სისტემურ ლოგიკას.[808]

სამხედრო სფეროში, ხსენებული კანონზომიერების საფუძვლები აისახება სტრატეგიული ბალანსის პრინციპში, რომ ყოველი სამხედრო მოქმედება იწვევს მოწინააღმდეგის რეაქციას, ყოველი სტრატეგიული მოქმედება იწვევს კონტრ-სტრატეგიის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქვეყნის მზადყოფნის აუცილებლობაზე ფიქრი და მოწინააღმდეგეზე ადაპტაციის აუცილებლობა, ყოველი ტაქტიკური ინოვაცია ან ტექნოლოგიური უპირატესობა უბიძგებს მეორე მხარეს შექმნას ისეთი საპირწონე მდგომარეობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გააჩნდეს კონკრეტული სიდიდის მქონე საბრძოლო ძალა დაპირისპირებულ ძალაზე უკუქმედების განხორციელებისათვის. ერთი მხარის სამხედრო პოტენციალის ზრდა იწვევს მეორე მხარის ანალოგიურ პასუხს, რომლის ნათელი მაგალითია ცივი ომის პერიოდში ,,დასავლეთისა“ და საბჭოთა კავშირის შეჯიბრი შეიარაღების გაზრდასა და სამხედრო მრეწველობის ტექნოლოგიურ მიღწევებში.

4. მასის ცენტრი და გრავიტაციის ცენტრი

მექანიკაში არსებული თეორიული განმარტების მიხედვით, მასათა ცენტრი წარმოადგენს წერტილს, სადაც თითქოს კონცენტრირებულია სხეულის ან სხეულთა სისტემის მთელი მასა.[809] ეს არის სისტემის სხეულთა მასებით შეწონილი მათი საშუალო მდებარეობა. მასის ცენტრი განსაზღვრავს სხეულის რეაქციას გარე ძალებზე, სტაბილურობისა და ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით. გრავიტაციის ცენტრიც წარმოადგენს სხეულის ან სხეულთა სისტემის მიზიდულობის ცენტრს, რომელშიც ასევე, თითქოს კონცენტრირდება მისი მასა. ტერმინები მასათა ცენტრი და გრავიტაციული ცენტრი ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რადგან ხშირად ისინი ერთმანეთს ემთხვევა.[810]

ხსენებული მექანიკური თეორიის პარალელურად მის სამხედრო ანალოგიას თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სამხედრო საქმეში გრავიტაციის ცენტრს (Center of Gravity) საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იგი არის კლაუზევიცის მიერ შემოღებული ცნება, რომელიც აღნიშნავს მტრის ძალის, წინააღმდეგობის უნარისა და საქმიანობის კვანძს, მთავარ წყაროს - ,,ძალთა და მოძრაობათა ის კონცენტრაცია, რომელზეც დამოკიდებულია მთლიანი”. კარლ ფონ კლაუზევიცი აღნიშნავს: ,,მტრის გრავიტაციის ცენტრზე თავდასხმა უნდა იყოს ნებისმიერი ოპერაციის მთავარი ღერძი”.[811]

---

[808] Newton, I., ,,Principia: Mathematical Principles of Natural Philosophy”. Translated by I. Bernard Cohen and Anne Whitman. Berkeley: University of California Press, 1999;

[809] გორგიძე დ., ჯიქიძე ლ., ციცქიშვილი ზ., ლოსაბერიძე მ., ქვარცხავა ლ., ,,მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის თეორიულ მექანიკაში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილი 2017, Pdf;

[810] მირიანაშვილი მ., ,,ფარდობითობის თეორია“, მე-2 გამოცემა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, pdf.

[811] თევზაძე, დ., ,,სამხედრო სტრატეგიის ევროპული ტრადიცია ანტიკურობიდან კლაუზევიცამდე“, 2019, https://1tv.ge/video/davit-tevzadze-samkhedro-strategiis-evropuli-tradicia-antikurobidan-klauzevicamde/, (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026);

,,დასავლეთის“ და კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დოქტრინა გრავიტაციის ცენტრს ასე განმარტავს: ,,ის მახასიათებლები, შესაძლებლობები და მდგომარეობები, რომელთაგანაც სამხედრო ძალა მოქმედების უნარს, ფიზიკურ ძალას ან ბრძოლის ნებას ღებულობს”.[812] მოკლედ რომ ვთქვათ, ეს გახლავთ მოქმედი ძალის ,,სიძლიერის წყარო“.

სამხედრო საქმეში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მტრის გრავიტაციის ცენტრის იდენტიფიცირება საშუალებას იძლევა საკუთარი სამხედრო კამპანიის მიზნები, ძალები და მოქმედებები ფოკუსირებული იყოს აღნიშნული გრავიტაციის ცენტრის დასუსტებასა და განადგურებაზე, რაც შემდეგში მოწინააღმდეგის სტაბილურობისა და ბალანსის მოშლას გამოიწვევს. შესაბამისად, საკუთარი ძალები უფრთხილდებიან და იცავენ საკუთარი ,,სიძლიერის წყაროს” მოწინააღმდეგის აგრესიული ქმედებებისგან. მაგალითისათვის: 1991 წლის ოპერაცია „უდაბნო ქარიშხალის“ „გრავიტაციის ცენტრად” კოალიციურმა ძალამ გამოკვეთა ერაყის რესპუბლიკური გვარდია, რომლის განეიტრალებითაც სწრაფად განიმუხტა სადამ ჰუსეინის რეჟიმის თავდაცვისუნარიანობა.

5. პოტენციური და კინეტიკური ენერგია

მექანიკაში არსებულ სხვადასხვა ცნებებთან ერთად, მნიშნელოვანია ასევე განვიხილოთ ამ სფეროში დამკვიდრებული პოტენციური და კინეტიკური ენერგიის ცნებები, მათი მატერიალური გამოხატულება ყოველდღიურ პრაქტიკაში და ის თუ რა პრინციპებით გამოიყენებიან იგივე იდეები სამხედრო სტრატეგიასა და ოპერაციებში.

მეცნიერულად, ენერგია განისაზღვრება როგორც მოძრაობისა და ცვლილების გამომწვევი პოტენციალი. ეს ტერმინი აღნიშნავს სხეულის ან სისტემის უნარს/შესაძლებლობას, შეასრულოს გარკვეული სახის სამუშაო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ფორმა, კლასიკური მექანიკის საფუძველს სწორედ პოტენციური და კინეტიკური ენერგიები წარმოადგენენ. ამ ორი ფუნდამენტური ცნების ჯამი ქმნის მექანიკურ ენერგიას. შესაბამისად, ესენი არიან ენერგიის ის ძირითადი სახეები, რომლებიც ენერგიის შენახვისა და გადაცემის კანონმდებლობის ბაზას ქმნიან.[813]

5.1. პოტენციური ენერგია

მექანიკაში პოტენციური ენერგია წარმოადგენს დაგროვებულ ენერგიას, რომელიც ობიექტს გააჩნია მისი მდებარეობის ან მდგომარეობის გამო. ეს ენერგიის ტიპი არსებობს ობიექტების ურთიერთდამოკიდებული პოზიციების და ურთიერთგანლაგების მიხედვით. პოტენციური ენერგიის საფუძველი მდგომარეობს სისტემაში დაგროვილ რესურსში, რომელიც შესაძლოა კონკრეტული პირობების დროს ქმედით ძალად (კინეტიკურ ენერგიად) გარდაიქმნას. მაგალითად, საგნის სიმაღლიდან დაცემა ქმნის ამ ენერგიის კინეტიკურ ტრანსფორმაციას. ენერგიის ამ ფორმას აქვს პოტენციალი, შეცვალოს მის გარშემო არსებული სხვა ობიექტების მდგომარეობა, მაგალითად, კონფიგურაცია ან მოძრაობა. პოტენციური ენერგიის უნიკალური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ,,უხილავად” შენახულია ობიექტში/სისტემაში და თავისი მრავალფეროვნების გამო, შეუძლია სხვადასხვა ფორმების ენერგიად გარდაქმნა, როგორებიც არის გრავიტაციული პოტენციური ენერგია - კავშირშია სიმაღლესთან, დრეკადი პოტენციური ენერგია - კავშირშია დრეკადი სისტემების დეფორმაციასთან, ქიმიური პოტენციური ენერგია - კავშირშია ქიმიურ რეაქციებთან ან/და ელექტრული პოტენციური ენერგია - კავშირშია ელექტრონურ მუხტებთან და ენერგიასთან.

[812] Joint Operations, Joint Publication 3-0, Department of the Army, USA, 2011, Pdf;

[813] https://openstax.org/books/university-physics-volume-1/pages/1-introduction (გადამოწმებული იქნა 10.05.2026).

პოტენციური ენერგია ფუნდამენტურად განსხვავდება კინეტიკური ენერგიისგან იმით, რომ იგი არა მოძრაობასთან, არამედ შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული - რა შეუძლია ობიექტს გააკეთოს თავისი მდებარეობის ან მდგომარეობის გამო.

სამხედრო მეცნიერებაში პოტენციური ენერგიის ანალოგია ვლინდება შეიარაღებული ძალების, ლოჯისტიკური რესურსების თუ რეზერვების არსებობაში და თავდაცვითი პოზიციების კონცეფციებში. ეს არის მდგომარეობა, როდესაც კონფლიქტის გარკვეულ ფაზაში აკუმულირებული ძალა ჯერ არ არის აქტიურად გამოყენებული, თუმცა მისი პოტენციალი კრიტიკულ მომენტში ქმედით გავლენას ახდენს იმ დროისათვის არსებულ ბალანსზე.

პოტენციური ,,სამხედრო ენერგია" არ გულისხმობს მხოლოდ საბრძოლო რესურსის რაოდენობას. იგი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ჯარების მომზადების დონეს, მორალურ მდგომარეობას, სტრუქტურულ შესაძლებლობებს, ტერიტორიულ უპირატესობას და ალტერნატიულ ძლიერ სამხედრო პარტნიორებთან კავშირსაც კი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პოტენციალი ხშირად გადანაწილებული ძალების ფარული შესაძლებლობა და ინსტრუმენტია საჭირო მომენტში აქტიურ ძალად გადასაქცევად.[814]

2022 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში დაწყებული სრულმასშტაბიანი ომის ფონზე, ,,დასავლეთმა" (,,ნატო" და ევროკავშირის წევრი ქვეყნები) თავიდანვე არ მიიღო უშუალო სამხედრო მონაწილეობა. თუმცა, მის მიერ დაგროვებული სამხედრო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი წარმოადგენდა ქმედითი ძალის წყაროს, რომელიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნა აქტიურ სტრატეგიულ მხარდაჭერაში (იარაღით მომარაგება, დაზვერვის მონაცემების გაზიარება, ფინანსური სანქციები).[815]

ამგვარად, დასავლეთის სამხედრო პოტენციური რესურსი თავდაპირველად მოქმედებდა როგორც შეკავების მექანიზმი და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტორი - პოტენციური ენერგია, რომელიც გარკვეულ პირობებში გარდაიქმნა რეალურ, მოქმედ სამხედრო ძალად.

ესე იგი, როგორც მექანიკაში, ისე სამხედრო სფეროში, პოტენციური ენერგია წარმოადგენს შინაგან რესურსს, რომელიც ჯერ არ არის გამოყენებული, მაგრამ გარკვეულ მომენტში გარდაიქმნება ქმედით ძალად. ეს პარალელი მიუთითებს იმაზე, რომ კლასიკური მექანიკის კანონზომიერებებს რეალური მნიშვნელობა აქვთ ასევე კომპლექსურ სამხედრო სისტემებში.

5.2. კინეტიკური ენერგია

კინეტიკური ენერგია წარმოადგენს მოძრავი სხეულის ენერგიას, რომელიც ამ სხეულს გააჩნია მისი მოძრაობის გამო. ნებისმიერ მოძრავ სხეულს აქვს კინეტიკური ენერგია, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია მის მასასა და სიჩქარეზე.

ენერგეტიკული კანონზომიერებების სამხედრო სფეროში გამოვლენის თვალსაზრისით და იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ კინეტიკური ენერგიის განმარტების თანახმად (კინეტიკური ენერგია არის სიდიდე, რომელიც ტოლია სხეულის მასისა და სიჩქარის კვადრატის ნახევრისა), რაც მეტია სხეულის მასა და მოძრაობის სიჩქარე, მით მეტია მოძრავი სხეულის ენერგია, შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არიან მაღალტექნოლოგიური ქვედანაყოფები ეფექტური მაშინაც კი, როცა ისინი რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგე ძალას უპირისპირდებიან. მაღალტექნოლოგიურობა ზრდის ,,საბრძოლო მასას" (ფიზიკური და მექანიკური პრინციპების თავისებურებების გათვალისწინებით, ქვედანაყოფის მასის განმსაზღვრელად შეგვიძლია ისეთი კომპონენტების აღება, როგორებიც არის ცოცხალი ძალის და ტექნიკის რაოდენობა, ხარისხი,

[814] Article: „Deterrence and Defence", North Atlantic Treaty Organization, 2025, https://www.nato.int/en/what-we-do/deterrence-and-defence/deterrence-and-defence, (გადამოწმებული იქნა 10.05.2026);

[815] Edgington, Tom., ,,Ukraine weapons: What arms are the US, UK and other nations supplying?" BBC News, 2025, https://www.bbc.com/news/world-europe-62002218 (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026).

ლეტარულობა და ა.შ.[816]) და მოძრაობის უნარს, რაც უდრის მეტ საბრძოლო პოტენციალს და შესაბამისად, იზრდება მისი კინეტიკური ენერგია. ქვედანაყოფს მეტად შესწევს სამუშაოს შესრულების, ანუ მოძრაობის, გადაადგილების და მოწინააღმდეგე ობიექტზე ზემოქმედების მოხდენის უნარი[817]. სამხედრო დაგეგმარებისას, ასეთი მიდგომით შეიძლება განისაზღვროს ქვედანაყოფის ინერცია, ანუ რა დონის და შედეგის მომტანი „დარტყმის“ განხორციელება შეუძლია კონკრეტული მიზნით კონცენტრირებულ ძალას, რამდენად ძნელია მისი შეჩერება ან გადამისამართება.[818]

დასკვნები

1. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კლასიკური მექანიკის ფუნდამენტური პრინციპები შესაძლებელია ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სამხედრო თეორიის ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში. მექანიკურ კანონზომიერებებსა და სამხედრო პროცესებს შორის არსებული ანალოგიები ქმნიან შესაძლებლობას, სამხედრო მოვლენები განხილული იქნენ არა მხოლოდ აღწერით, არამედ სისტემურ და ნაწილობრივ ფორმალიზებულ ჭრილშიც.

2. ნიუტონის პირველი კანონის სამხედრო ანალოგიების განხილვა ადასტურებს, რომ სამხედრო სისტემებს ახასიათებთ ოპერაციული და ფსიქოლოგიური ინერცია. ერთხელ ჩამოყალიბებული მოქმედების ტემპი, სტრატეგიული მიმართულება ან მორალური მდგომარეობა გარკვეული დროის განმავლობაში ინარჩუნებენ თავიანთ დინამიკას, ვიდრე მათზე ძლიერი გარე ფაქტორი არ მოახდენს ზემოქმედებას. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც სამხედრო ოპერაციების დაგეგმვაზე, ისე მოწინააღმდეგის ქცევის პროგნოზირებაზე.

3. ნიუტონის მეორე კანონის ანალოგიამ წარმოაჩინა, რომ სამხედრო ძალის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რესურსების მოცულობაზე, არამედ მათი გამოყენების სისწრაფესა და ოპერატიულ ტემპზე. კვლევამ დაადასტურა, რომ თანამედროვე სამხედრო გარემოში მაღალი მობილურობა, სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და მოქნილი მართვის სისტემები ხშირად უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება, ვიდრე მხოლოდ რაოდენობრივი უპირატესობა.

4. ნიუტონის მესამე კანონის სამხედრო ინტერპრეტაციამ ცხადყო, რომ სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებები მუდმივად წარმოშობენ საპასუხო რეაქციებს. ნებისმიერი ტექნოლოგიური, ოპერატიული თუ სტრატეგიული უპირატესობა დროთა განმავლობაში იწვევს მოწინააღმდეგის ადაპტაციასა და შესაბამისი საპირწონე მექანიზმების ფორმირებას. შესაბამისად, სამხედრო სისტემები ფუნქციონირებენ მუდმივი კონკურენტული ბალანსისა და ურთიერთზემოქმედების პირობებში.

5. გრავიტაციისა და მასის ცენტრების კონცეფციების ანალიზმა აჩვენა, რომ სამხედრო სისტემების სტაბილურობა და ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ კრიტიკული ელემენტების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ძალის მოქმედების უნარს. მოწინააღმდეგის გრავიტაციის ცენტრზე ფოკუსირებული ზემოქმედება წარმოადგენს სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს.

6. პოტენციური და კინეტიკური ენერგიის ანალოგიებმა დაადასტურა, რომ სამხედრო სფეროში დაგროვებული რესურსები, რეზერვები, ტექნოლოგიური შესაძლებლობები და

[816] მემარიაშვილი, ე., ,,საქართველოს სამხედრო საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“, თბილისი 2006;

[817] Woodford Sh., „Trevor Dupuy's Definitions of Lethality." Dupuy Institute Blog, 16 July 2019. https://dupuyinstitute.dreamhosters.com/tag/strategic-studies, (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026);

[818] Ryan, Col. John. "Warfighting: A Function of Combat Power." Military Review (Sept–Oct 2022): 67-70. PDF. https://armyupress.army.mil/ (გადამოწმებული იქნა 10.05.2026).

მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პოტენციური ენერგია, რომელიც საჭირო პირობებში გარდაიქმნება აქტიურ საბრძოლო ძალად. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ სამხედრო სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იზრდება მაშინ, როდესაც მაღალი ტექნოლოგიური შესაძლებლობები ერთიანდება ოპერატიულ სისწრაფესთან და მოქმედების ინტენსივობასთან.

საერთო დასკვნის სახით რომ ვთქვათ, წინამდებარე კვლევამ დაადასტურა, რომ მექანიკის პრინციპების ანალოგიების გამოყენება სამხედრო თეორიაში წარმოადგენს პერსპექტიულ და მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვან ინტერდისციპლინურ მიდგომას. კლასიკური მექანიკის ცნებები - ძალა, ინერცია, მასა, ენერგია, აჩქარება და გრავიტაციის ცენტრი საშუალებას იძლევიან სამხედრო პროცესები გაანალიზდეს უფრო სტრუქტურირებულ, ლოგიკურ და პროგნოზირებად ჩარჩოში. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ ამარტივებს რთული სამხედრო სისტემების ფუნქციონირების გააზრებას, არამედ ქმნის საფუძველს სამხედრო შესაძლებლობების შედარებითი შეფასების, ოპერაციების შედეგების პროგნოზირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ თანამედროვე სამხედრო გარემოს მზარდი კომპლექსურობა საჭიროებს ტრადიციული სამხედრო აზროვნების გაფართოებას და მასში სხვა სამეცნიერო სფეროების თეორიული ინსტრუმენტების ინტეგრირებას. მექანიკის პრინციპების გამოყენება სამხედრო სფეროში არ გულისხმობს სამხედრო პროცესების სრულ მექანიკურ ან მათემატიკურ გამოსახვას, რაც შეუძლებელიც კი არის, თუმცა იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამხედრო მოვლენების სისტემურ ანალიზსა და მათ შორის არსებული კავშირების უკეთ აღქმას.

ამრიგად, მექანიკის პრინციპების სამხედრო თეორიაში ინტეგრირება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამხედრო მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ქმნის საფუძველს მომავალში უფრო ღრმა რაოდენობრივი მოდელების, ანალიტიკური და პროგნოზირების მეთოდების შემუშავებისთვის.

ბიბლიოგრაფია

1. გორგიძე დ., ჯიქიძე ლ., ციცქიშვილი ზ., ლოსაბერიძე მ., ქვარცხავა ლ., ,,მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის თეორიულ მექანიკაში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილი 2017, Pdf;

2. თევზაძე, დ., ,,სამხედრო სტრატეგიის ევროპული ტრადიცია ანტიკურობიდან კლაუზევიცამდე“, 2019, https://1tv.ge/video/davit-tevzadze-samkhedro-strategiis-evropuli-tradicia-antikurobidan-klauzevicamde/, (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026);

3. მემმარიაშვილი ე., ,,ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი 2017;

4. მემმარიაშვილი, ე., ,,საქართველოს სამხედრო საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“, თბილისი 2006;

5. მირიანაშვილი მ., ,,ფარდობითობის თეორია“, მე-2 გამოცემა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, pdf;

6. Article: „Deterrence and Defence“, North Atlantic Treaty Organization, 2025, https://www.nato.int/en/what-we-do/deterrence-and-defence/deterrence-and-defence, (გადამოწმებული იქნა 10.05.2026);

7. Clausewitz C., On War, Superior Publishing House, 2010;

8. Cohen B., ISAAC NEWTON'S Papers & Letters On Natural Philosophy, HARVARD UNIVERSITY PRESS Cambridge, Massachusetts, and London, England, 1978, Pdf;

9. Dupuy, Trevor N. Understanding War: History and Theory of Combat. New York: Paragon House, 1987;

10. Edgington, Tom., ,,Ukraine weapons: What arms are the US, UK and other nations supplying?“ BBC News, 2025, https://www.bbc.com/news/world-europe-62002218 (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026);

11. https://openstax.org/books/university-physics-volume-1/pages/1-introduction (გადამოწმებული იქნა 10.05.2026);

12. Joint Operations, Joint Publication 3-0, Department of the Army, USA, 2011, Pdf;

13. Limbach R., Military Tactic, Blitzkrieg, Encyclopedia Britanica, https://www.britannica.com/topic/blitzkrieg (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026);

14. Newton, I., ,,Principia: Mathematical Principles of Natural Philosophy”. Translated by I. Bernard Cohen and Anne Whitman. Berkeley: University of California Press, 1999;

15. Ryan, Col. John. “Warfighting: A Function of Combat Power.” Military Review (Sept–Oct 2022): 67-70. PDF. https://armyupress.army.mil/ (გადამოწმებული იქნა 10.05.2026);

16. Woodford Sh., „Trevor Dupuy’s Definitions of Lethality.” Dupuy Institute Blog, 16 July 2019. https://dupuyinstitute.dreamhosters.com/tag/strategic-studies, (გადამოწმებულ იქნა 10.05.2026).

მდგრადი განვითარებისა და სამოქალაქო ავიაციის ურთიერთკავშირის ძირითადი მიმართულებები

Key areas of interaction between sustainable development and civil aviation

თინათინ დოლიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
ილონა ხუხუა
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის (სდასუ) დოქტორანტი
Tinatin Doliashvili
Professor, Caucasus International University
Ilona Khukhua
PhD student at David Agmashenebeli University of Georgia (DAUG)

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მდგრადი განვითარებისა და სამოქალაქო ავიაციის ურთიერთკავშირის ძირითადი მიმართულებები საქართველოს კონტექსტში. გაანალიზებულია 2019-2025 წლებში სამოქალაქო ავიაციის სექტორის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების ზემოქმედება ქვეყნის დინამიკურ განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო ავიაციის წვლილზე (ტრანსპორტირება და დასაწყობება) მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში, გარდა ამისა, ტურიზმის განვითარებასა და რეგიონული ეკონომიკური აქტივობის ზრდაში.

სტატიის მასალა ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საავიაციო სექტორის ინსტიტუციური წყაროების ინფორმაციასა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური ჩარჩოების მოთხოვნებს. შედეგად, ანალიზმა აჩვენა, რომ პანდემიური ვარდნის მიუხედავად საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ შემდგომში მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, წინ გაუსწრო 2019 წლის მიღწევებს, რამაც გააძლიერა მისი დარგობრივი ეკონომიკური როლი, თუმცა პარალელურად გაზარდა გარემოსდაცვითი გამოწვევები.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ავიაციის სექტორის გრძელვადიანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციის პირობებში, რაც მოიცავს დეკარბონიზაციის პოლიტიკას, ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციასა და ინსტიტუციური მმართველობის გაუმჯობესებას. სტატია წარმოადგენს კომპლექსურ ანალიზს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ განზომილებებს და გვთავაზობს სექტორის მდგრადი ტრანსფორმაციის სტრატეგიულ მიმართულებებს საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, სამოქალაქო ავიაცია, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენა, მდგრადი ტრანსფორმაციის სტრატეგიული მიმართულებები.

Abstract. The article discusses the main directions of the relationship between sustainable development and civil aviation in the Georgian context. The economic, social and environmental impact of the civil aviation sector on the dynamic development of the country in 2019-2025 is analyzed. Special attention is paid to the contribution of civil aviation (transportation and storage) to the formation of gross domestic product, as well as to the development of tourism and the growth of regional economic activity.

The material in the article is based on official statistical data, information from institutional sources in the aviation sector, and the requirements of the policy frameworks of international organizations. As a result, the analysis showed that despite the pandemic downturn, Georgian civil aviation subsequently experienced significant growth, surpassing the achievements of 2019, which strengthened its sectoral economic role, although at the same time increasing environmental challenges.

The results of the study indicate that long-term development of the aviation sector is possible only under the conditions of integration of sustainable development principles, which include decarbonization policies, infrastructure modernization, and improved institutional governance. The article presents a complex analysis that combines economic, environmental, and social dimensions and suggests strategic directions for the sustainable transformation of the sector, taking into account the specifics of Georgia.

Keywords: sustainable development, civil aviation, economic, social and environmental impact, strategic directions for sustainable transformation.

შესავალი

სამოქალაქო ავიაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდუსტრიას, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების/ტვირთის სწრაფ გადაადგილებას, საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და გლობალურ პროცესებში ინტეგრაციას. გარდა ამისა, სამოქალაქო ავიაციის საქმიანობა, ანუ ტრანსპორტირების ფუნქცია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე, ტურიზმისა და რეგიონული განვითარების ძირითად მიმართულებებზე. ვინაიდან, საქართველო რეგიონის ტურისტული და სატრანზიტო ქვეყნების ჯგუფში შემავალი ქვეყანაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა სახის ტრანსპორტის, მ. შ. კი საჰაერო ტრანსპორტის ოპტიმალური გამოყენების საკითხის გადაწყვეტა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდისა და ეკონომიკის სექტორების გამართული ფუნქციონირების ხელშესაწყობად.

მდგრადი განვითარების პრინციპების მისადაგება საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებასთან მიმართებაში შეიძლება ორ მიმართულებად წარმოვიდგინოთ:

- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ინტეგრაცია მდგრადი განვითარების პროცესში;
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური განზომილებები.

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs - Sustainable Development Goals) მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებიც ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2015 წელს. მათი შესრულება დაეხმარება ქვეყნებს უზრუნველყონ დაბალანსებული განვითარება ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მიმართულებებით. (United Nations (UN), თ. გ.)

საქართველო აქტიურად ჩაერთო მდგრადი განვითარების გლობალურ პროცესში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული „მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030“-ის საფუძველზე.

ქვეყანაში განხორციელდა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დონეზე ადაპტაცია, რაც გულისხმობს გლობალური მიზნების შესაბამისობაში მოყვანას ეროვნულ პრიორიტეტებსა და განვითარების პოლიტიკასთან მიმართებაში.

ამ პროცესის ეფექტიანი კოორდინირებისათვის ჩამოყალიბდა ინსტიტუციური მექანიზმები და განისაზღვრა პასუხისმგებელი უწყებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონკრეტული მიზნების შესრულება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უშუალოდ საჰაერო ტრანსპორტის სექტორში კი GCAA (Georgian Civil Aviation Agency) - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, UAG (United Airports of Georgia) - საქართველოს აეროპორტების გაერთიანება. (VNR-VOLUNTARY NATIONAL REVIEW GEORGIA 2020/საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა)

მდგრადი განვითარების მიზნები ინტეგრირებულია ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის „საქართველო 2030“-ში, რაც უზრუნველყოფს სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას მათი განხორციელების პროცესში.

განვმარტოთ SDGs მნიშვნელოვანი მიზნები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო ავიაციასთან:

SDG8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა: სამოქალაქო ავიაცია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის ტურიზმისა და მომსახურების სექტორის მახასიათებლებს და ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ აქტივობებს.

SDG9 - ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა: აეროპორტების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვითა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაძლიერებით.

SDG11 - მდგრადი ქალაქები და თემები: აეროპორტები გავლენას ახდენს ურბანულ განვითარებაზე, უზრუნველყოფს ქალაქების დაკავშირებასა და ქმნის რეგიონული განვითარების შესაძლებლობებს.

SDG12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება: თანამედროვე ეფექტური რესურსების გამოყენება სამოქალაქო ავიაციაში დაკავშირებულია საწვავის მოხმარების ოპტიმიზაციასთან, რაც იწვევს ნარჩენებისა და ემისიების შემცირებას.

SDG13 - კლიმატის ცვლილება: ვინაიდან ავიაცია არის CO_2 ემისიების წყარო, საჭიროა დეკარბონიზაციისა და მწვანე პოლიტიკის შემუშავება-გატარება მუდმივად განვითარებადი ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით.

SDG17 - პარტნიორობა მიზნებისთვის: საერთაშორისო თანამშრომლობა ისეთ ორგანიზა-ციებთან, როგორებიცაა ICAO (International Civil Aviation Organization) - სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, IATA (International Aviation Transport Association) - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია და EASA (European Union Aviation Safety Agency) – ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო. გარდა ამისა, სახელმწიფოებს შორის შეთანხმებები და გლობალური პოლიტიკის კოორდინაცია. (Xibei Jia, Rosário Macário, Sven Buyle, 2024)

ძირითადი ნაწილი

ზოგადად მდგრადობა ეხება ქვეყნის განვითარებისათვის ფუნქციონირებადი სექტორების მიხედვით წონასწორობას მიმდინარე მოთხოვნებსა და მომავალ მისწრაფებებს შორის, რაც უპირობოთ გულისხმობს გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური განზომილებების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. (Scoones, I., 2007)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო 2015 წელს ჩაერთო მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველ პროცესში და გაეროს სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად გამოთქვა მუშაობის სურვილი 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე.

სამოქალაქო ავიაციაში მდგრადობის მიღწევა მოითხოვს მთავრობების, ავიაკომპანიების, მწარმოებლებისა და კვლევითი ორგანიზაციების თანამშრომლობას, ვინაიდან პარტნიორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციების დაჩქარებაში, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლასა და სისტემური ცვლილებების ხელშეწყობის პროცესში.

საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ჩართულობა ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული, ვინაიდან სრულყოფილი და სისტემურად ინტეგრირებული მოდელი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია.

საქართველოში სამოქალაქო ავიაციის პოლიტიკას განსაზღვრავს სახელმწიფო.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრავს მთლიანად სატრანსპორტო სექტორის სტრატეგიულ პოლიტიკას, სამოქალაქო ავიაციის ლიბერალიზაციის პროცესსა და საერთაშორისო შეთანხმებებს.

საჰაერო ტრანსპორტის საქმიანობის მთავარი მარეგულირებელი ორგანო არის **GCAA - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო**, რომელიც:

- გასცემს ოპერირების სერტიფიკატებს;
- ახორციელებს ფრენის უსაფრთხოების ზედამხედველობას;
- უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- მონაწილეობს ICAO-ს აუდიტებში;
- აკონტროლებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს ავიაციის სექტორში.

UAG - საქართველოს აეროპორტების გაერთიანება კი მართავს სახელმწიფო აეროპორტებს და პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, ოპერაციული სტანდარტებისა და ეკოლოგიური მოთხოვნების შესრულებაზე. (Georgian Civil Aviation Agency-საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, თ. გ.)

გარდა ამისა, სახელმწიფო დონეზე შემუშავებულია ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სტრატეგიული დოკუმენტები (2023–2030), ასევე კლიმატის სამოქმედო გეგმები. თუმცა, ავიაციის დეკარბონიზაციის სპეციალიზებული ეროვნული სტრატეგია ცალკე ჯერჯერობით არ არის სრულად ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტის მარეგულირებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მთავარ მარეგულირებელს წარმოადგენს **ICAO** - სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ანუ გაეროს სპეციალიზებული სააგენტო, რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და რეკომენდაციას უწევს არსებულ პრაქტიკებს საავიაციო უსაფრთხოების, საერნაოსნო ნავიგაციის და გარემოს დაცვის სფეროში. შესაბამისად, ICAO წარმოადგენს სამოქალაქო ავიაციის მდგრადობის გლობალური სტანდარტებისა და რეგულაციების ჩამოყალიბების მთავარ ორგანოს, რომლის სტრატეგიული მიზანია საერთაშორისო ავიაციის

წმინდა ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირება. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების კონტექსტში ICAO ახორციელებს:

- CO_2 ემისიების შემცირების გლობალურ პოლიტიკას საერთაშორისო ავიაციის ნახშირბადის კომპენსაციისა და შემცირების სქემა-მექანიზმის საფუძველზე - CORSIA (Carbon Offsetting and Reduction Scheme for International Aviation);
- კლიმატის ნეიტრალობის მიზნებს (Long-Term Aspirational Goal – Net Zero 2050);
- მდგრადი საავიაციო საწვავის (SAF - Sustainable Aviation Fuel) ხელშეწყობას. ((ICAO), 2024)

IATA - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ორგანიზაცია წარმოადგენს ავიაკომპანიების საერთაშორისო ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციულ, ფინანსურ და უსაფრთხოების სტანდარტებს. ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდუსტრიის დეკარბონიზაციისა და ერთიანი საბაზრო წესების ჩამოყალიბებაში.

EASA - ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო არის ევროკავშირის ფარგლებში პასუხისმგებელი სააგენტო საავიაციო უსაფრთხოების, ტექნიკური სერტიფიცირებისა და ეკოლოგიური მოთხოვნების რეგულირებაზე. საქართველო, როგორც ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა და საერთო საავიაციო სივრცის (Common Aviation Area) წევრი, ეტაპობრივად ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას EASA-ს რეგულაციებთან მიმართებაში. (Agency, 2024)

საერთო ჯამში მსოფლიო მასშტაბით მდგრადმა განვითარებამ მნიშვნელობა შეიძინა ისეთი გამოწვევების გამო, როგორებიცაა ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, ჰაერის დაბინძურება, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები, დედამიწაზე მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

შესაბამისად, მდგრადი განვითარების თანამედროვე პარადიგმა მოითხოვს ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა და გარემოს დაცვის თანაბარ და დაბალანსებულ ინტეგრაციას. აღნიშნულ კონტექსტში საჰაერო ტრანსპორტი წარმოადგენს სტრატეგიულ სექტორს, რომლის გავლენაც სცილდება უშუალოდ სატრანსპორტო მომსახურების ფარგლებს და ვლინდება როგორც ეკონომიკური მულტიპლიკატორი, სოციალური ინტეგრაციის მექანიზმი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მატარებელი.

საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტები, მათ შორის ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ხედვები და ტრანსპორტის მიმართულებით შემუშავებული პოლიტიკა, სამოქალაქო ავიაციას განიხილავს როგორც ქვეყნის ლოგისტიკურ ჰაბად ფორმირების ერთ-ერთ საყრდენ კომპონენტს. ამასთან, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) თანხვედრა ცხადყოფს, რომ ავიაციის სექტორი განსაკუთრებით კავშირშია ღირსეულ სამუშაოსა და ეკონომიკურ ზრდასთან, ინფრასტრუქტურასა და ინოვაციებთან, მდგრად ქალაქებთან და კლიმატის ცვლილების შერბილებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ავიაციის მდგრადობისკენ მიმართული ძალისხმევა სახეზეა, გამოწვევები კვლავ არსებობს. ეს დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიებისა და მდგრადი საავიაციო საწვავის დანერგვასთან, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებსა და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს.

განვიხილოთ საჰაერო ტრანსპორტის მდგრადი განვითარების სამგანზომილებიანი ჩარჩო.

საჰაერო ტრანსპორტის **ეკოლოგიური განზომილების** ზოგადი მიზანია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და კლიმატის მიზნებთან ჰარმონიზაცია. შესაბამისად, სტრატეგია მიმართულია დეკარბონიზაციასა და მწვანე ტრანსფორმაციასთან. ყოველივე ეს კი მიიღწევა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრით:

- CO_2 ემისიების შემცირება;

- ენერგოეფექტური აეროპორტების განვითარება;
- მდგრადი საავიაციო საწვავის (Sustainable Aviation Fuel - SAF) გამოყენების ხელშეწყობა;
- ხმაურისა და ნარჩენების მართვის გაუმჯობესება. (Seth R. Coffman, 2022)

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგია ეკოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესება და საერთაშორისო კლიმატურ ვალდებულებებთან შესაბამისობა.

საჰაერო ტრანსპორტის **სოციალური განზომილების** ზოგადი მიზანია სოციალური თანასწორობის, უსაფრთხოებისა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება. სტრატეგიულად ამის მიღწევა შესაძლებელია ინკლუზიური და უსაფრთხო სექტორის ჩამოყალიბებით. ეს კი გადაიჭრება შემდეგი ამოცანების შესრულების ხარჯზე:

- რეგიონული ხელმისაწვდომობის ზრდა;
- დასაქმების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ფრენის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები;
- პროფესიული განათლებისა და კადრების გადამზადების მხარდაჭერა.

ამ ამოცანების გადაჭრით მიღებული მოსალოდნელი შედეგი იქნება დასაქმების ზრდა, რეგიონული ინტეგრაცია და სოციალური სტაბილურობა.

საჰაერო ტრანსპორტის **ეკონომიკური განზომილების** ზოგადი მიზანია ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. სტრატეგიაში ეს გულისხმობს ლოგისტიკური და სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებას. გადასაჭრელი ძირითადი ამოცანები:

- ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;
- სატვირთო ჰაბის განვითარება;
- ტურიზმის და ლოგისტიკის სექტორის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა.

ამოცანების შესრულების შედეგად მიღებული მოსალოდნელი შედეგი იქნება მშპ-ის და დამატებული ღირებულების ზრდა, მულტიპლიკაციური ეკონომიკური ეფექტი.

მდგრადი განვითარების სამივე განზომილება ურთიერთდაკავშირებულია. საჰაერო ტრანსპორტი ამ სამგანზომილებიანი სისტემის გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს, რადგან ის ერთდროულად ახდენს გავლენას როგორც გარემოზე, ისე დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. შესაბამისად, მისი ამ დარგის სტრატეგიული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ პოლიტიკას, რომელიც თანაბრად გაითვალისწინებს ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ბალანსს და გადაჭრის შემდეგ ძირითად გამოწვევებს:

- დეკარბონიზაციის პოლიტიკის გაძლიერებით ეკოლოგიურ გამოწვევებს;
- რეგიონული თანასწორობისა და დასაქმების მდგრადობის უზრუნველყოფით სოციალურ გამოწვევებს;
- ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდით ეკონომიკურ გამოწვევებს.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს საქართველოში საჰაერო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვის მნიშვნელოვან ცვლილებებს 2019–2024 წლებში. 2019 წელს დაფიქსირდა შედარებით მაღალი მაჩვენებელი - 1 420.0 მლნ. მგზავრ-კმ, თუმცა 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავლენით მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა და 180.0 მლნ. მგზავრ-კმ შეადგინა. საბაზისო და ჯაჭვური ინდექსები (-0.87) მიუთითებს 87%-იან შემცირებაზე. 2021 წელს შემცირების ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა, თუმცა კლება შედარებით მცირე იყო. 2022 წლიდან დაიწყო აღდგენის პროცესი - მგზავრთბრუნვა გაიზარდა 414.2 მლნ. მგზავრ-კმ-მდე, ხოლო ჯაჭვურმა ინდექსმა 1.39 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს. 2023 და განსაკუთრებით 2024 წლებში საჰაერო ტრანსპორტის სექტორმა სწრაფი

განვითარება განიცადა. 2024 წელს მგზავრთბრუნვამ 1766.2 მლნ. მგზავრ-კმ შეადგინა, რაც არა მხოლოდ პანდემიამდელ მაჩვენებელს აღემატება, არამედ მთელი პერიოდის განმავლობაში ყველაზე მაღალი შედეგია. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს საქართველოს საავიაციო სექტორის აღდგენასა და საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის აქტიურ ზრდაზე. საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სექტორმა წარმატებით გადალახა პანდემიური კრიზისი და მგზავრთბრუნვის კუთხით გადავიდა ინტენსიური ზრდის ფაზაში. ჩვენს ქვეყანაში მგზავრთბრუნვის ზრდა მეტწილად ტურიზმით მიიღწევა. ამიტომ, ტურიზმი რჩება ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს ცვალებად სექტორად, ვინაიდან სფერო ძლიერ არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე და გაუთვალისწინებელ გარემოებებზე(მაგალითად პანდემია). მიუხედავათ ამისა სამოქალაქო ავიაცია შეიძლება დახასიათდეს აღდგენისა და შემდგომი ზრდის მაღალი პოტენციალით.

საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)
მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის დინამიკური მახასიათებლები

ცხრილი 1

მაჩვენებლები	წლები					
	2019	2020	2021	2022	2023	2024
მგზავრთბრუნვა (მლნ.მგზავრ-კმ)	**1420,0**	**180,0**	**173,0**	**414,2**	**875,3**	**1766,2**
საბაზისო ინდექსი	-	-0,87	-0,88	-0,71	-0,38	0,24
ჯაჭვური ინდექსი	-	-0,87	0,39	0.64	0.46	0.23
ტვირთბრუნვა (მლნ. ტონა-კმ)	**268,6**	**438,4**	**818,2**	**1238**	**425,8**	**611,5**
საბაზისო ინდექსი	-	0,63	2,05	3,61	0,59	1,28
ჯაჭვური ინდექსი	-	0,63	0,87	0,51	-0,66	0,44

წყარო: https://www.geostat.ge/media/35685/Yearbook_2020.pdf - საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2020; https://www.geostat.ge/media/77970/Yearbook_2025.pdf - საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2025.

ცხრილში ასევე წარმოდგენილია ტვირთბრუნვის დინამიკა 2019–2024 წლებში საბაზისო და ჯაჭვური ინდექსებით. მონაცემების მიხედვით ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2019–2022 წლებში. ამ შემთხვევაში პანდემია არ შეხებია ტვირთბრუნვის ზრდის ტემპს. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირებული 268,6 მლნ. ტონა-კმ 2022 წლისთვის გაიზარდა 1238 ტონა-კმ-მდე, რაც აღნიშნულ პერიოდში სექტორის აქტიურ ზრდასა და აღდგენაზე მიუთითებს. განსაკუთრებით მაღალი ზრდა შეინიშნებოდა 2021–2022 წლებში. საბაზისო ინდექსის მიხედვით, 2020 წლიდან ზრდის ტენდენცია მკვეთრად გამოიკვეთა: 2020 წელს ინდექსი 0,63-ს შეადგენდა, 2021 წელს – 2,05-ს, ხოლო 2022 წელს – 3,61-ს. ეს ნიშნავს, რომ 2022 წელს მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით დაახლოებით 3,6-ჯერ მეტი იყო. აღნიშნული ტენდენცია ტვირთის გადაზიდვის არეალის გაფართოებასა და სექტორის ამ მიმართულებით გაძლიერებას ასახავს. ჯაჭვური ინდექსიც ზრდით ხასიათდებოდა 2020–2022 წლებში, თუმცა ზრდის ტემპი თანდათან შემცირდა: 2020 წელს ინდექსი იყო 0,63, 2021 წელს – 0,87, ხოლო 2022 წელს – 0,51. ეს მიუთითებს, რომ მიუხედავად მაჩვენებლის ზრდისა, სისწრაფე შედარებით შენელდა. 2023 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი კლება – მაჩვენებელი შემცირდა 425,8 ტონა-კმ-მდე, ხოლო ჯაჭვური ინდექსი უარყოფით ნიშნულზე (-0,66) გადავიდა, რაც სექტორში აქტივობის შემცირების ტენდენციას

ასახავს. თუმცა, 2024 წელს მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა: მაჩვენებელი გაიზარდა 611,5 ტონა-კმ-მდე და საბაზისო ინდექსმა 1,28 შეადგინა, ხოლო ჯაჭვურმა – 0,44, რაც ასევე დადებით ტენდენციაზე მეტყველებს. უპირობაა ის გარემოება, რომ საქართველომ ინტენსიურად უნდა გამოიყენოს ,,შუა დერეფნის'' სტატუსი, რაც გაზრდის მის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე და წვლილს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში.

დასკვნა

საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ 2019–2024 წლებში ავიაციის დინამიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ ციკლთან. პანდემიის შედეგად გამოწვეული მკვეთრი შემცირების შემდეგ სექტორმა აჩვენა სწრაფი აღდგენა და ზრდა, რაც აისახა მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლებში. სამოქალაქო ავიაციის განვითარებამ ხელი შეუწყო ტურიზმის, სასტუმრო და კვების სექტორის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ასევე ფინანსური მომსახურებების გააქტიურებას, რაც საბოლოოდ აისახა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის განუხრელ ზრდაზე. ამდენად, საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვნად აღემატება მის პირდაპირ წილს ზოგადად ტრანსპორტის სექტორში.

მიუხედავად პოზიტიური დინამიკისა, სექტორი დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ეკოლოგიური განზომილება მოითხოვს დეკარბონიზაციის პოლიტიკის გაძლიერებას, ემისიების შემცირებას და მდგრადი საავიაციო საწვავის დანერგვის ხელშეწყობას.

სოციალური განზომილება უკავშირდება რეგიონული ხელმისაწვდომობის ზრდას, დასაქმების სტაბილურობასა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას.

ეკონომიკური განზომილება კი გულისხმობს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, სატვირთო ჰაბის ფუნქციის გაძლიერებასა და გარე შოკებზე დამოკიდებულების შემცირებას.

განზოგადებული დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საჰაერო ტრანსპორტის განვითარება აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ, სამგანზომილებიან მიდგომას, სადაც ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ეკოლოგიური ბალანსი თანაბრად იქნება გათვალისწინებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს ავიაციის სექტორი არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას, არამედ მდგრადი და გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფას რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (ICAO), I. C. (2024). *ICAO (International Civil Aviation Organization) - სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია*. Retrieved from https://www.icao.int/CORSIA.

2. Agency, E. U. (2024). *EASA (European Union Aviation Safety Agency) - ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო*. Retrieved from https://www.easa.europa.eu/en/about-us.

3. *Georgian Civil Aviation Agency-საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო*. (n.d.). Retrieved from https://gcaa.ge/en/about-gcaa/.

4. Scoones, I. (2007). Sustainability. *Development in Practice/ განვითარება პრაქტიკაში*, 590-591.

5. Seth R. Coffman, M. W. (2022). Pathways to net-zero emissions from aviation/ავიაციიდან ნულოვანი ემისიების მიღწევის გზები. Nature Sustainability. *Pathways to Net-Zero Emissions from Aviation*, 1064-1071.

6. *United Nations (UN)*. (n.d.). Retrieved from https://www.un.org/en/academic-impact/page/sustainable-development-goals.

7. VNR-VOLUNTARY NATIONAL REVIEW GEORGIA 2020/საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა.*sdgs.un.org.*Retrievedfrom https://sdgs.un.org/sites/default/files/documents/26389VNR_2020_Georgia_Report.pdf.

8. Xibei Jia, Rosário Macário, Sven Buyle. (2024). How Do Airports Align with Sustainability? An Analysis of the World's 150 Busiest Airports/როგორ ემთხვევა აეროპორტები მდგრადობას? მსოფლიოს 150 ყველაზე დატვირთული აეროპორტის ანალიზი. *Sustainable Development*, 7425-7428.

ავიაცია და საერთაშორისო გარემო
Aviation and the international environment

ანა კურტანიძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
პროფესორი
გიორგი ევგენიძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკნი.
ასოც. პროფესორი
Ana Kurtanidze
Georgian Aviation University
Faculty of Business Administration
Professor
Giorgi Evgenidze
Georgian Aviation University
Dean of the Faculty of Business Administration
Associate Professor

აბსტრაქტი. გლობალურ დონეზე, აეროტრანსპორტი ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურ და დიპლომატიურ, არამედ სოციალურ განვითარებასაც განაპირობებს. მისი მნიშვნელობა ვლინდება საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის ხელშეწყობაში, კულტურული, დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში.

თანამედროვე საავიაციო ინდუსტრიის მრავალფეროვანი ბუნება არის გლობალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. ამ სექტორზე პირდაპირ გავლენას ახდენს გლობალური ბიზნეს გარემო, უსაფრთხოება, საერთაშორისო ურთიერთობის ასპექტები, ეკონომიკური პოლიტიკა და გარემოსდაცვითი შეთანხმებები. შესაბამისად, მსოფლიო ლიდერების ქმედებებს და გადაწყვეტილებებს დიდი გავლენა აქვს საავიაციო სფეროზე. ტექნოლოგიური პროგრესი და გლობალიზაციის პროცესები მნიშვნელოვნად ზრდის ავიაციის როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში/გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ავიაცია. საერთშორისო გარემო. აეროპორტი, ტურიზმი, ინდუსტრია, ტექნოლოგიური პროცესები, უსაფრთხოება, საერთაშორიო ეკონომიკური ურთიერთობები.

Abstract. At the global level, air transport has always been one of the most important sectors that drives not only economic and diplomatic, but also social development. Its importance is manifested in the promotion of international and local tourism, and in the deepening of cultural, diplomatic and economic ties.

The diverse nature of the modern aviation industry is an integral part of global politics. This sector is directly affected by the global business environment, security, aspects of international relations, economic policies, and environmental agreements. Accordingly, the actions and decisions of world leaders have a great impact on the aviation sector. Technological progress and globalization processes significantly increase the role of aviation in international economic relations/environment

Keywords: Aviation. International environment. Airport, tourism, industry, technological processes, security, international economic relations.

შესავალი

ცნობილია, რომ ავიაცია მხოლოდ ტრანსპორტირების საშუალება არ არის, ის წარმოადგენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორს, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკას, კულტურასა და პოლიტიკურ სისტემას. იგი დიდ როლს თამაშობს ჰუმანიტარულ მისიებში და სახელმწიფო პროექტებში. მოკლედ, რომ ჩამოვაყალიბოთ ავიაცია მხოლოდ კომეციულ საქმიანობას არ მოიცავს იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას, კულტურულ და დიპლომატიურ ინტერესებს მსოფლიო მასშტაბით. ავიაცია სასიცოცხლო როლს ასრულებს ვაჭრობისა და ტურიზმის სტიმულირებაში, წარმოადგენს გლობალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემადგენელ სასიცოცხლო ნაწილს. საავიაციო ინდუსტრია, დღევანდელობიდან გამომდინარე, უფრო ხელმისაწვდომი გახდა ყველა ფენის წარმომადგენლისთვის. რამაც გამოიწვია ტურიზმის სექტორის განვითარება, რაც ხელი უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას. ტურისტების მიერ დახარჯული ფული ასტიმულირებს ეკონომიკური პროცესების ზრდას.

მდგრადი საჰაერო კავშირები ქვეყნებს უფრო მიმზიდველს ხდის მრავალეროვანი კორპორაციებისათვის, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას იწვევს. შემდეგ ეს ინვესტიციები ქმნის ტექნოლოგიურ ტრანსფერებსაც *(ცოდნის გამოცდილების გადატანა ერთი სიტუაციიდან მეორეში ან მეცნიერების ერთი დარგიდან მეორეში).*

ქვეყნისათვის ახალი ააერო მარშრუტების დანერგვა სტარტეგიულად მნიშვნელოვანია და ხაზს უსვამს ავიაკომპანიების როლს საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ეს გაოიხატება :

1 - ეკონომიკური ზრდაში- გაუმჯობესებული კავშირი ზრდის ვაჭრობისა და საინვესტიციო შესაძლებლობებს.

2 - კულტურულ ურთიერთობებში - გამარტივებული მგზავრობა ხელს უწყობს ურთიერთგაგებას და კულტურულ კავშირებს.

3 - ტურიზმის განვითარებაში- გაუმჯობესებული სერვისები იზიდავს საერთაშორისო ტურისტებს, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ ეკონომიკას.

ასევე აღსანიშნავია ის რომ, ვაზიანის აეროპორტის პროექტი არის სტრატეგიული, მასშტაბური ინვესტიცია, რომლის მიზანია თბილისის რეგიონული ავიაციის მთავარ ცენტრად გადაქცევა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლითა და გაფართოებული სიმძლავრით. იდეა ითვალისწინებს ვაზიანის ყოფილ სამხედრო აეროდრომზე ახალი საერთაშორისო აეროპორტის აშენებას, რომელიც მდებარეობს ამჟამინდელი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაახლოებით 20 კმ-ში აღმოსავლეთით. თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტი, რომლის გამტარუნარიანობაც 20 მილიონამდე მგზავრი იქნება, ქვეყნის ავიაბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი გეგმაა. თბილისის ამჟამინდელი აეროპორტის შესაძლებლობები უკვე ამოწურულია: ის თავდაპირველად 60-70 წლის წინ შეიქმნა და დღევანდელ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. თბილისის ახალი აეროპორტი ვაზიანის ტერიტორიაზე აშენდება, რაც ორჯერ მეტი ფართის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული გეგმის შემუშავების შემდეგ მთავრობა გეგმავს გამოაცხადოს საერთაშორისო ინტერესთა გამოხატვა რის საფუძველზეც პროექტის ინვესტორს მოიძიებს. მთავრობის ინფორმაციით, პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 1.2 მილიარდი დოლარია. (Business Media Georgia 19:28, ხუთშაბათი 31 ივლისი 2025წ)

საქართველოს რეგიონული ავიაციის ცენტრად გარდაქმნა, მაღალი ტევადობის სატრანზიტო და სატვირთო ინფრასტრუქტურა გააძლიერებს საქართველოს როლს აზიისა და ევროპის დამაკავშირებელ „შუა დერეფანში“. რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ სატრანზიტო ფრენებსა და ტვირთების გადაზიდვას, გააძლიერებს ეკონომიკურ ინტეგრაციას და ლოგისტიკურ მიმზიდველობას- სწორედ ეს არის სარგებელი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

საქართველოს ფლაგმანი ავიაკომპანია, Georgian Airways, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერაში. მისი გავლენა მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სტრატეგიულ ასპექტებს.

საქართველოსა და ძირითად ეკონომიკურ ცენტრებს შორის პირდაპირი მარშრუტების უზრუნველყოფით, Georgian Airways ხელს უწყობს ბიზნესმენების, ინვესტორების და სავაჭრო დელეგაციების გადაადგილებას. ის მხარს უჭერს ქართული ექსპორტის ლოჯისტიკას (განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების, როგორიცაა ღვინო და სოფლის მეურნეობის პროდუქტები) და აძლიერებს სავაჭრო ურთიერთობებს.

ასევე, ავიაკომპანია ხელს უწყობს თბილისის, როგორც ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო პუნქტის პოზიციონირებას, რაც შეესაბამება საქართველოს უფრო ფართო საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიას - აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის როლი შეასრულოს. მოზადინოს ინტეგრაცია დასავლურ ინსტიტუტებთან: ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებთან მისი გავლენის გაფართოება ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვას ორმხრივი ხელმისაწვდომობის გაზრდით.

მიუხედავად იმისა, რომ Georgian Airways არ არის საგარეო პოლიტიკის პირდაპირი ინსტრუმენტი, ის ფუნქციონირებს როგორც არაფორმალური, მაგრამ ძლიერი კონტრიბუტორი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი მარშრუტები, ოპერაციები და სტრატეგიული გადაწყვეტილებები ასახავს და მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკურ მიზნებს, დიპლომატიურ მისწრაფებებს და გეოპოლიტიკურ ხედვას. (GeorgianAirways. (2024). "ჯორჯიან ეარვეისი" საერთაშორისო ასპარეზზე)

ქართული სატვირთო ავიაკომპანია, Geo Sky Airlines, მნიშვნელოვან, თუმცა ხშირად ნაკლებად თვალსაჩინო როლს ასრულებს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. Georgian Airways-ისგან განსხვავებით, რომელიც სამგზავრო გადამზიდავია, Geo Sky სპეციალიზირებულია საჰაერო ტვირთების გადაზიდვაში და მისი გავლენა ძირითადად ეკონომიკური დიპლომატიის, ლოჯისტიკისა და სტრატეგიული საერთაშორისო პარტნიორობის სფეროებშია.

Geo Sky საშუალებას აძლევს საქართველოს სწრაფად და ეფექტურად გადაიტანოს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ღვინო, თხილი, ხილი), ფარმაცევტული და სამრეწველო საქონელი უცხოურ ბაზრებზე. ის უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმპორტის, მათ შორის დანადგარების, სამედიცინო მარაგების და ნედლეულის დროულ ლოჯისტიკას. ავიაკომპანიის სატვირთო მომსახურება მხარს უჭერს საქართველოს ვაჭრობას ევროპასთან, ახლო აღმოსავლეთთან, ცენტრალურ აზიასთან და მის ფარგლებს გარეთ, აძლიერებს ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ავიაკომპანიის ოპერაციები ხელს უწყობს საქართველოს აეროპორტებისა და ლოჯისტიკური ცენტრების, როგორც გლობალური მიწოდების ჯაჭვების ძირითადი კვანძების პოპულარიზაციას.

Geo Sky აქტიურად მონაწილეობდა ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებაში (მაგ., COVID-19 პანდემიის დროს ან კონფლიქტის ზონებში), რითაც აძლიერებდა საქართველოს, როგორც პასუხისმგებლიანი და სწრაფად რეაგირებადი საერთაშორისო პარტნიორის იმიჯს. მაღალი შესაბამისობის, საერთაშორისო ლოჯისტიკის სფეროში წარმატებული ფუნქციონირება მიუთითებს საქართველოს უნარზე, შეინარჩუნოს სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება გლობალური ავიაციის ნორმებს, რაც მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვაში.

Geo Sky, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სტრუქტურაა, წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან აქტიურ ეროვნულ/ქართულ გადამზიდავს, რომელსაც აქვს საერთაშორისო მასშტაბი, რაც ხელს უწყობს საქართველოს, როგორც პროფესიონალურ, უსაფრთხო და საიმედო პარტნიორს ავიაციისა და ლოჯისტიკის ინდუსტრიებში. მიმდინარე პროცესებში მისი მზარდი ქსელის აქტიურობა ეფექტურია სხვა ქვეყნების ბიზნესორგანიზაციებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა/განვითარებაში.

რადგანაც, ავიაკომპანია Geo Sky Airlines თავის ქმედებებს კულისებში ამჯობინებს, იგი მაინც სტრატეგიულ როლს ასრულებს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერაში. განსაკუთრებით - ვაჭრობის სფეროში, ჰუმანიტარულ ღონისძიებებში. მისი მუშაობა აძლიერებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ პროცესებში, მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და შეესაბამება ევროპულ და ტრანსკონტინენტურ ლოგისტიკურ ქსელებში ინტეგრაციის ეროვნულ მიზნებს. (GeoSKY. (2023). cargo without limits.)

დასკვნა

სამოქალაქო ავიაცია, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირებს, წარმოაჩენს ქვეყნის ავიაციას და ბრენდს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ფაქტორი დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე - ავიაკომპანიების საქმიანობა ხელს უწყობს ტურიზმის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. პოლიტიკურად კი დადებითი იმიჯის/რეპუტაციის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ნიშანდობლივია რომ, ზოგადად, ავიაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს კატასტროფების/ეპიდემიების დროს დახმარებისა და ჰუმანიტარულ ძალისხმევაში. მისი მეშვეობით ხდება აუცილებელი რესურსების სწრაფი მიწოდება დაზარალებულ რეგიონებში და ეხმარება სახელმწიფოებს პრობლემის დროულად აღმოფხვრაში.

სამოქალაქო ავიაციის მიზანია: საერთაშორისო ურთიერთკავშირებისა და ვაჭრობის გაძლიერება, EU-Asia (ევროპა-აზიის ინტერმოდალური ლოჯისტიკა) ლოჯისტიკაში

როლის გაძიერება, EU (ევროპის) კლიმატის მიზნებთან შესაბასობაში მოყვანა, რეგიონალური კავშირების გაძლიერება, მსხვილი გადამზიდავებისა და ინვესტორების მოზიდვა, საერთაშორისო ნდობისა და ინტეგრაციის მოპოვება.

ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები: პირდაპირი მარშრუტების გაფართოება, სატრანზიტო ჰაბის შექმნა, მწვანე ავიაციის ინიციატივები, ავიაციის რეგიონალური პროექტები, ინფრასტრუქტურის გაძლიერება.

საქართველოს მთავრობის საავიაციო პოლიტიკა მიმართულია ბაზრების დივერსიფიკაციისკენ, ფრენების სიხშირეებისა და მიმართულებების ზრდისკენ, რომელიც უდაოდ ხელს შეუწყობს ავიაცის როლის გაძლიერებას საერთაშორისო ურთიერთობებში. სახელმწიფო მხარდაჭერა, საინვესტიციო პოლიტიკა და მენეჯმენტის პროფესიონალიზმი ავიაკომპანიებს მისცემს საშუალებას გადალახოს მრავალი გამოწვევა და გახდეს მსოფლიო

ავიაციის ერთ-ერთი სანდო მოთამაშე. მათი საქმიანობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაში, არამედ მთლიანად რეგიონულ და გლობალურ ავიაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. GCAA. (თ. გ.). სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.
2. GCAA. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2024 წლის ანგარიში.
3. GeorgianAirways. (2024). "ჯორჯიან ეარვეისი" საერთაშორისო ასპარეზზე.
4. GeoSKY. (2023). cargo without limits.
5. aero, T. (2024 წლის 12 dec). ახალი მიმართულებები თბილისის აეროპორტში - განცხადება.
6. businessweek. (2024). თბილისის ახალი აეროპორტი ვაზიანში.
7. chandrawat. (2024). ავიაციის როლი გლობალიზაციაში.
8. FAA, ფ. ს. (თ. გ.). ორმხრივი შეთანხმებები.
9. newshub. (2024 წლის 8 4). საქართველოს მთავრობის დამტკიცებული გეგმა თბილისის ახალი აეროპორტის შესახებ.
10. USMANOVA, M. (2025 წლის 20 FEB). TREND NEWS AGENCY:

ენერგიის კონცეფცია სამხედრო ორგანიზაციებში
Energy Dynamics in Military Organisation

ლევან ქავთარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ირაკლი ბუიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი. ასისტენტ პროფესორი
ORCID: https://orcid.org/0009-0006-7196-4714
Levan Kavtaradze
Georgian Technical University,
Doctoral Candidate of the PhD Program in Military Engineering
Irakli Buishvili
Georgian Technical University,
Doctor of Military Sciences, Assistant Professor, Faculty of Civil Engineering
ORCID: https://orcid.org/0009-0006-7196-4714

ანოტაცია: სტატია განიხილავს სამხედრო ორგანიზაციების ანალიზის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ენერგიის კონცეფციის ტრანსფორმაციას ფიზიკიდან სამხედრო სისტემებში. კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება სამხედრო ქვედანაყოფის შესაძლებლობების შეფასება პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ანალოგიის გამოყენებით და როგორ გარდაიქმნება დაგროვილი რესურსები რეალურ მოქმედებებად ოპერაციების მიმდინარეობისას.

ნაშრომში სამხედრო სისტემა წარმოდგენილია როგორც კომპლექსური „მებრძოლი სისტემა“, რომლის ეფექტურობა განისაზღვრება ენერგიის დაგროვების, გარდაქმნისა და გამოყენების პროცესებით. პოტენციური ენერგია ინტერპრეტირებულია, როგორც ქვედანაყოფის შენახული შესაძლებლობების ერთობლიობა (ადამიანური, მატერიალური, ორგანიზაციული, საინფორმაციო და გეოგრაფიული ფაქტორები), ხოლო კინეტიკური ენერგია როგორც ამ შესაძლებლობების რეალიზაცია მოქმედებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგიის გარდაქმნის პროცესში არსებული „ხახუნის“ გავლენას, რომელიც ამცირებს სისტემის ეფექტურობას.

კვლევაში წარმოდგენილია პოტენციური ენერგიის შეფასების მოდელი, რომელიც ეფუძნება კომპონენტების შეწონილ ანალიზს და იძლევა სამხედრო შესაძლებლობების რაოდენობრივი შეფასების საშუალებას.
საკვანძო სიტყვები: ენერგიის კონცეფცია, სამხედრო სისტემა, მექანიკა, პოტენციური ენერგია, კინეტიკური ენერგია.

Abstract: This article explores a theoretical framework for analyzing military organizations, grounded in the transformation of the concept of energy from physics into military systems. The objective of the study is to illustrate how the capabilities of military units can be evaluated through the analogy of potential and kinetic energy, and how accumulated resources are converted into operational actions during military operations. The study conceptualizes the military organization as a complex "combat system," whose effectiveness is governed by the processes of energy accumulation, transformation, and utilization. Potential energy is understood as the aggregate of stored capabilities, including human, material, organizational, informational, and geographical factors, while kinetic energy signifies the realization of these capabilities in action. Particular focus is given to the influence of "friction" in the energy transformation process, which diminishes the system's effectiveness. The article further introduces a model for assessing potential energy through weighted component analysis, facilitating the quantitative evaluation of military capabilities.
Keywords: Energy concept, military system, mechanics, potential energy, kinetic energy.

შესავალი

თანამედროვე სამხედრო ორგანიზაციები წარმოადგენს რთულ, მრავალკომპონენტიან სისტემებს, რომელთა ეფექტურობა განისაზღვრება არა მხოლოდ არსებული რესურსების მოცულობით, არამედ მათი მობილიზების, გარდაქმნისა და გამოყენების უნარით. ტრადიციული სამხედრო ანალიზი ხშირად კონცენტრირდება ძალის რაოდენობრივ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე, თუმცა ასეთი მიდგომა ყოველთვის ვერ ასახავს სამხედრო სისტემის დინამიკურ ბუნებას.

ამ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევა გვთავაზობს ალტერნატიულ ხედვას, რომელიც ეფუძნება ენერგიის კონცეფციის სამხედრო სისტემებზე გადატანას. მექანიკაში ენერგია განისაზღვრება როგორც სამუშაოს შესრულების უნარი, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს და გარდაიქმნას. სწორედ ეს ქმნის საფუძველს სამხედრო ორგანიზაციის ანალიზისთვის, სადაც რესურსები და მოქმედებები შეიძლება განვიხილოთ როგორც ენერგიის სხვადასხვა ფორმები.

სამხედრო ქვედანაყოფი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც „მებრძოლი სისტემა“, რომლის ფუნქციონირება ეფუძნება პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ურთიერთქმედებას. პოტენციური ენერგია ასახავს სისტემაში დაგროვილ შესაძლებლობებს, ადამიანურ, მატერიალურ, ორგანიზაციულ და საინფორმაციო რესურსებს, რომლებიც მზად არიან რეალიზაციისთვის. კინეტიკური ენერგია კი წარმოადგენს ამ შესაძლებლობების აქტიურ გამოვლინებას ოპერაციულ მოქმედებებში.

მნიშვნელოვანი საკითხია ენერგიის გარდაქმნის ეფექტურობა, რადგან რეალურ სამხედრო გარემოში ეს პროცესი არასოდეს მიმდინარეობს სრულყოფილად. ორგანიზაციული ხარვეზები, კომუნიკაციის პრობლემები, ლოგისტიკური შეფერხებები და გაურკვევლობა ქმნიან ე.წ. „ხახუნს“, რომელიც ამცირებს სისტემის ეფექტურობას და იწვევს ენერგიის დანაკარგს.

კვლევის მიზანია ენერგიის კონცეფციის გამოყენებით ჩამოაყალიბოს სამხედრო ორგანიზაციების ანალიზის ერთიანი მოდელი, რომელიც მოიცავს პოტენციური ენერგიის სტრუქტურას, კინეტიკური ენერგიის გამოვლინებას და მათი ურთიერთგარდაქმნის პროცესს.

თეორიული საფუძველი - ენერგიის კონცეფცია და მისი ტრანსფერი სამხედრო სისტემაში

ენერგია მეცნიერებაში განმარტებულია, როგორც უნარი მატერიის გადასაადგილებლად ან მისი მდგომარეობის შესაცვლელად. მექანიკაში ენერგია წარმოადგენს სისტემის შესაძლებლობას შეასრულოს მუშაობა ან გამოიწვიოს ცვლილებები. ენერგიის შენახვის კანონის მიხედვით, ენერგია არ ქრება და არ იქმნება რაიმესგან, იგი მხოლოდ იცვლის ფორმას ან გადაეცემა ერთი სისტემიდან მეორეს.[819]

მექანიკაში ენერგია ძირითადად ორ ფორმად განიხილება, პოტენციურ და კინეტიკურ ენერგიად. პოტენციური ენერგია ასახავს სისტემაში დაგროვილ შესაძლებლობას, რომელიც დაკავშირებულია მის მდგომარეობასთან ან მდებარეობასთან, ხოლო კინეტიკური ენერგია წარმოადგენს ამ შესაძლებლობის რეალიზაციას მოძრაობაში.[820]

სამხედრო ორგანიზაციების ანალიზში ენერგიის კონცეფციის გამოყენება გულისხმობს ფიზიკური პრინციპების ტრანსფერს სამხედრო გარემოში. სამხედრო ქვედანაყოფი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს ადამიანურ, ტექნიკურ, საინფორმაციო და ორგანიზაციულ ელემენტებს. თითოეული ეს ელემენტი წარმოადგენს გარკვეული ტიპის „ენერგიის მატარებელს“, ხოლო მათი ურთიერთქმედება განსაზღვრავს სისტემის საერთო შესაძლებლობებსა და ეფექტურობას.

ენერგიის ანალოგია საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ სტატიკური აღწერიდან დინამიკურ ანალიზზე. პოტენციური ენერგია ამ შემთხვევაში წარმოადგენს სისტემაში დაგროვილ შესაძლებლობებს, ხოლო კინეტიკური ენერგია - ამ შესაძლებლობების აქტიურ გამოვლინებას ოპერაციებში, მანევრებში და სხვა მოქმედებებში.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ენერგიის გარდაქმნა რეალურ სისტემებში არასოდეს არის სრულყოფილი. მექანიკურ სისტემებში ენერგიის ნაწილი იკარგება ხახუნის შედეგად, ხოლო სამხედრო სისტემებში მსგავსი ეფექტი ვლინდება ორგანიზაციული და ოპერაციული ფაქტორების გავლენით.

1. სამხედრო ქვედანაყოფის პოტენციური ენერგია

პოტენციური ენერგია შეიძლება განიმარტოს, როგორც ქვედანაყოფში დაგროვილი შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც ჯერ არ არის გარდაქმნილი უშუალო მოქმედებად, თუმცა ქმნის ამ მოქმედების საფუძველს.

პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ რესურსს. მომზადებული და პროფესიონალურად განვითარებული პირადი შემადგენლობა წარმოადგენს სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოტენციურ ფაქტორს. ცოდნა, გამოცდილება და უნარები ქმნის იმ საფუძველს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გარდაიქმნება ეფექტურ მოქმედებად.

მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მატერიალური რესურსები, საბრძოლო მასალა, ტექნიკა, საწვავი და ლოგისტიკური უზრუნველყოფა. რესურსების არსებობა ზრდის სისტემის პოტენციურ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს ოპერაციების მდგრადობას.

ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა ასევე ქმნის მნიშვნელოვან პოტენციურ კომპონენტს. ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სწრაფ მიღებას და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

---

[819] **U.S. Energy Information Administration. Forms of energy.** https://www.eia.gov/energyexplained/what-is-energy/forms-of-energy.php

[820] Encyclopaedia Britannica. Energy. https://www.britannica.com/science/energy

თანამედროვე სამხედრო გარემოში განსაკუთრებული როლი ენიჭება ინფორმაციას. სადაზვერვო მონაცემები და გარემოს შესახებ ცოდნა ქმნის ინფორმაციულ პოტენციალს, რომელიც მოქმედებაში გარდაიქმნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს სამხედრო პოტენციური ენერგიის ანალოგს გრავიტაციული პოტენციური ენერგიისა. ხელსაყრელ პოზიციაზე განლაგებული ქვედანაყოფი ფლობს უპირატესობას, რომელიც საშუალებას აძლევს ნაკლები დანახარჯით მიაღწიოს ოპერატიულ ეფექტს.

მოკავშირეების ქსელი და სტრატეგიული ურთიერთობები ქმნის დამატებით რესურსულ და ოპერატიულ შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სწრაფად იქნას გამოყენებული.[821]



სურათი 1 „მებრძოლი სისტემის“ პოტენციური ენერგიის კომპონენტები

სამხედრო ორგანიზაციაში პოტენციური ენერგიის ანალოგიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს:

- შევაფასოთ არა მხოლოდ „რა გვაქვს“, არამედ „რას შევძლებთ“;
- განვსაზღვროთ რესურსების ოდენობა და ხარჯვა;
- აღვწეროთ ომის დინამიკა, როგორც ენერგეტიკული გარდაქმნების პროცესი.

პოტენციური ენერგიის სისტემური შეფასებისთვის, გადავიდეთ კლასიფიკაციაზე და შეწონილი ქულების მეთოდზე.

პირობად ავიღოთ, რომ გათვლებს ვაწარმოებთ თავდაცვითი მოქმედებების დასაგეგმად და "მებრძოლი სისტემის" პოტენციური ენერგია (Ep) წარმოვადგინოთ მისი შემადგენელი კომპონენტების წონების ჯამურ სიდიდედ:

---

[821] Watts, B. D. Clausewitzian Friction and Future War. National Defense University, 2004.

$Ep = w_1C_1 + w_2C_2 + w_3C_3 + w_4C_4 + w_5C_5 + w_6C_6$

სადაც:

- C_1 = ადამიანური რესურსის კომპონენტი
- C_2 = მატერიალური რესურსის კომპონენტი
- C_3 = ორგანიზაციული სტრუქტურის კომპონენტი
- C_4 = საინფორმაციო ბაზის კომპონენტი
- C_5 = გეოგრაფიული მდებარეობის კომპონენტი
- C_6 = მოკავშირეების / სტრატეგიული ურთიერთობების ფაქტორების კომპონენტი

$w_1, w_2, w_3, w_4, w_5, w_6$ არიან ჩამოთვლილი 6 კომპონენტის შესაბამისი კოეფიციენტები (ჩვენ მიერ მინიჭებული მნიშვნელობის მიხედვით), რომელთა ჯამი უდრის 1-ს.

ფარდობითობის/შედარებითობის პრინციპით, პოტენციური ენერგიის (Ep) სისტემური შეფასებისას, კომპონენტების შეფასების პირობითად აღებული ქულების გამოყენებით, საბოლოო ჯამი რიცხვებში ასე გამოიყურება:

პოტენციური ენერგია (Ep) **= 0,2(0,9) + 0,2(0,845) + 0,2(0,72) + 0,1(0,8) + 0,2(0,665) + 0,1(0,55) = 0,18 + 0,169 + 0,144 + 0,08 + 0,133 + 0,055 = 0,761.**

ამრიგად, სამხედრო ქვედანაყოფის პოტენციური ენერგია წარმოადგენს მდგომარეობების, შესაძლებლობებისა და ურთიერთკავშირების დინამიკურ სისტემას, რომლის ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება მისი გარდაქმნა კინეტიკურ ენერგიად.

2. სამხედრო ქვედანაყოფის კინეტიკური ენერგია

თუ პოტენციური ენერგია ასახავს სამხედრო სისტემაში დაგროვილ შესაძლებლობებს, კინეტიკური ენერგია წარმოადგენს ამ შესაძლებლობების რეალურ განხორციელებას მოქმედებაში.

სამხედრო ორგანიზაციის ფარგლებში კინეტიკური ენერგია გამოიხატება გადაადგილებით, მანევრით, შეტევითი ან თავდაცვითი მოქმედებებით, ცეცხლის წარმოებით და სხვა აქტიური პროცესებით. ამ დროს სისტემის მიერ დაგროვილი რესურსები გადადის მოქმედების ფაზაში და ახდენს გავლენას გარემოზე.

კინეტიკური ენერგიის სიდიდე დამოკიდებულია როგორც სისტემის „მასაზე“, ისე მისი მოქმედების სიჩქარეზე და ინტენსივობაზე. კარგად მომზადებული და სწრაფად მოქმედი ქვედანაყოფი ფლობს უფრო მაღალ კინეტიკურ ენერგიას.

მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო კინეტიკური ენერგია არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური მოძრაობით. იგი მოიცავს ინტელექტუალურ და მართვით პროცესებსაც გადაწყვეტილებების მიღებას, ინფორმაციის ანალიზს, ბრძანებების გაცემასა და კოორდინაციას.

კინეტიკური ენერგია შეიძლება გამოვლინდეს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმითაც. შეტევის ინტენსივობა და მოულოდნელობა ქმნის ფსიქოლოგიურ ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს მოწინააღმდეგის ქცევასა და გადაწყვეტილებებზე.

ამრიგად, სამხედრო ქვედანაყოფის კინეტიკური ენერგია წარმოადგენს ყველა იმ პროცესის ერთობლიობას, სადაც დაგროვილი შესაძლებლობები უკვე მოქმედებაშია გარდაქმნილი.

3. ენერგიის გარდაქმნა და ხახუნი სამხედრო მოქმედებებში

მექანიკურ სისტემებში ენერგიის გარდაქმნა წარმოადგენს მუდმივ და აუცილებელ პროცესს, რომლის შედეგადაც პოტენციური ენერგია გარდაიქმნება კინეტიკურ ენერგიად და

უზრუნველყოფს სისტემის მოქმედებას. ანალოგიურად, სამხედრო ორგანიზაციებში დაგროვილი შესაძლებლობები ადამიანური, მატერიალური, ორგანიზაციული და საინფორმაციო რესურსები მოქმედებაში გარდაიქმნება ოპერაციების დაწყებისა და განხორციელების პროცესში. სწორედ ეს გარდაქმნა წარმოადგენს სამხედრო სისტემის ფუნქციონირების არსებით მექანიზმს.

სამხედრო ქვედანაყოფის პოტენციური ენერგია აქტიურ ფაზაში გადადის მაშინ, როდესაც იწყება ოპერაცია. ამ მომენტში დაგროვილი შესაძლებლობები თანდათანობით გარდაიქმნება რეალურ მოქმედებებად: ტექნიკა მოძრაობს, რესურსები იხარჯება, პირადი შემადგენლობა იყენებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს, ხოლო მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროცესების კოორდინაციას. ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ მექანიკურ სისტემაში ენერგიის გარდაქმნას, სადაც შენახული ენერგია მოძრაობაში რეალიზდება და განსაზღვრავს სისტემის ქცევას.

თუმცა, როგორც ფიზიკურ სისტემებში, სამხედრო გარემოშიც ენერგიის გარდაქმნა არასოდეს მიმდინარეობს იდეალურად. გარდაქმნის პროცესში ყოველთვის არსებობს ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ სისტემის ეფექტურობას და იწვევს ენერგიის დანაკარგს. მექანიკაში ეს მოვლენა ცნობილია როგორც „ხახუნი“, ხოლო სამხედრო სფეროში იგი ვლინდება ორგანიზაციული და ოპერაციული სირთულეების სახით.

სამხედრო „ხახუნი“ მოიცავს მრავალფეროვან ფაქტორებს, როგორიცაა კომუნიკაციის შეფერხებები, არასრულყოფილი კოორდინაცია, ლოგისტიკური პრობლემები, ინფორმაციის არასაკმარისი სიზუსტე, გაურკვევლობა და ადამიანური ფაქტორები. ეს გარემოებები იწვევს იმას, რომ პოტენციური ენერგიის მხოლოდ ნაწილი გარდაიქმნება ეფექტურ კინეტიკურ ენერგიად, ხოლო დანარჩენი იკარგება არაპროდუქტიულ პროცესებში.

ამ კონცეფციის თეორიული არსი კარგად აისახება კარლ ფონ კლაუზევიცის მიერ შემოთავაზებულ „ომის ხახუნის“ იდეაში, რომლის მიხედვითაც რეალური ოპერაციები ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე მათი დაგეგმვა. გაურკვევლობა, შეცდომები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა ქმნის დამატებით წინააღმდეგობებს, რომლებიც ამცირებს მოქმედების ეფექტურობას. აღნიშნული ფაქტორების არსებობა ნიშნავს, რომ სამხედრო სისტემის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ პოტენციური ენერგიის მოცულობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად ხდება მისი გარდაქმნა მოქმედებად.

ენერგიის გარდაქმნის პროცესის ეფექტურობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამხედრო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. რაც უფრო მცირეა დანაკარგები და „ხახუნის“ გავლენა, მით უფრო ეფექტურად გამოიყენება დაგროვილი რესურსები. შესაბამისად, ოპერაციული დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იმ ფაქტორების შემცირება, რომლებიც ხელს უშლიან ენერგიის ეფექტურ გარდაქმნას.

ამ პროცესის ანალიზი ასევე გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ გავიაზროთ სამხედრო მოქმედებების დინამიკა. ოპერაციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენერგიის გარდაქმნის უწყვეტი პროცესი, სადაც პოტენციური ენერგია თანდათანობით იკლებს, ხოლო კინეტიკური ენერგია იზრდება და საბოლოოდ გარდაიქმნება შედეგში. ამავე დროს, თუ ენერგიის დანაკარგი მაღალია, სისტემა სწრაფად კარგავს ეფექტურობას და ვერ აღწევს დასახულ მიზნებს.

ამრიგად, ენერგიის გარდაქმნისა და „ხახუნის“ კონცეფცია ქმნის მნიშვნელოვან ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სამხედრო სისტემის ეფექტურობა არა მხოლოდ რესურსების არსებობის მიხედვით, არამედ მათი გამოყენების ხარისხის გათვალისწინებით. ეს მიდგომა აძლიერებს თეორიულ საფუძველს და ამავე დროს ქმნის პრაქტიკულ შესაძლებლობას ოპერაციების უკეთ დაგეგმვისა და მართვისათვის.



სურათი. 2: მოქმედების დაწყება - პოტენციური ენერგიის გარდაქმნა კინეტიკურად

4. შედარებითი უპირატესობა და ენერგიის ასიმეტრია

სამხედრო ოპერაციების ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებობს ენერგიის არათანაბარი განაწილება. ეს მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ენერგიის ასიმეტრია, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ოპერაციების მიმდინარეობასა და საბოლოო შედეგს.

ენერგიის ასიმეტრია შეიძლება გამოვლინდეს როგორც პოტენციური, ისე კინეტიკური ენერგიის დონეზე. პოტენციური ენერგიის უპირატესობა ნიშნავს, რომ ერთ მხარეს გააჩნია მეტი რესურსი, უკეთესი მომზადება, უფრო ხელსაყრელი პოზიცია და ორგანიზაციული შესაძლებლობები. ასეთი უპირატესობა ქმნის საფუძველს გრძელვადიანი ოპერაციებისათვის და ზრდის მდგრადობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანგრძლივი დაპირისპირების პირობებში.

მეორე მხრივ, კინეტიკური ენერგიის უპირატესობა ვლინდება მოქმედების ტემპში, ინტენსივობასა და ეფექტურობაში. მხარე, რომელიც ახერხებს სწრაფ და კოორდინირებულ მოქმედებას, ხშირად იღებს ინიციატივას და ახდენს გავლენას ოპერაციულ გარემოზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მას ნაკლები პოტენციური რესურსი ჰქონდეს. ისტორიული გამოცდილება არაერთხელ აჩვენებს, რომ შედარებით მცირე, მაგრამ მობილური და ეფექტურად მოქმედი ძალები წარმატებით უპირისპირდებიან უფრო დიდ, მაგრამ ნაკლებად მოქნილ სისტემებს.

ენერგიის ასიმეტრიის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამხედრო წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ენერგიის რაოდენობაზე, არამედ მის გამოყენების ხარისხზე. სისტემა შეიძლება ფლობდეს მნიშვნელოვან პოტენციურ ენერგიას, თუმცა თუ იგი ვერ ახერხებს მის დროულ და ეფექტურ გარდაქმნას კინეტიკურ ენერგიად, ეს უპირატესობა პრაქტიკულად კარგავს მნიშვნელობას. შესაბამისად, გადამწყვეტი ხდება ენერგიის მართვის უნარი და მისი გარდაქმნის ეფექტურობა.

თანამედროვე სამხედრო გარემოში, სადაც ტექნოლოგიური განვითარება და ინფორმაციული შესაძლებლობები სწრაფად იზრდება, კინეტიკური ენერგიის როლი კიდევ უფრო ძლიერდება. მაღალი სიჩქარე, მანევრულობა და კოორდინაცია საშუალებას აძლევს ქვედანაყოფებს მოკლე დროში მიაღწიონ მნიშვნელოვან შედეგებს და შექმნან დინამიკური უპირატესობა. ამ პირობებში, ენერგიის ეფექტური გამოყენება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი აბსოლიტური მოცულობა.

ენერგიის ასიმეტრიის გამოყენება ასევე წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. სამხედრო ხელმძღვანელობა შეიძლება მიზანმიმართულად ცდილობდეს საკუთარი უპირატესობების გაძლიერებას და მოწინააღმდეგის სისუსტეების

გამოვლენას, რაც იწვევს ასიმეტრიის გაზრდას სასურველი მიმართულებით. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც რესურსების კონცენტრაციით, ისე მოქმედების ტემპის შეცვლით ან მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღებით.

ამრიგად, ენერგიის ასიმეტრიის კონცეფცია ავსებს პოტენციური და კინეტიკური ენერგიების მოდელს და საშუალებას იძლევა უფრო სრულად შეფასდეს სამხედრო სისტემების ურთიერთქმედება. იგი გვიჩვენებს, რომ წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენ ენერგიას ფლობს სისტემა, არამედ იმაზე, თუ როგორ იყენებს მას კონკრეტულ ოპერაციულ გარემოში.

5. ენერგიის მართვის სტრატეგიები სამხედრო დაგეგმვაში

სამხედრო ორგანიზაციების ფუნქციონირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენერგიის დაგროვების, გარდაქმნისა და გამოყენების უწყვეტი პროცესი. შესაბამისად, სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა არსებითად წარმოადგენს ენერგიის მართვის ხელოვნებას, რომლის მიზანია არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება ოპერაციული მიზნების მისაღწევად.

Mediation analysis revealed that capabilities significantly mediated the relationship between openness and innovation (indirect effect = .12, $p < .01$), suggesting that cognitive and adaptive skills partially explain how personality translates into innovative behavior. Moderation analysis showed that context significantly influenced the relationship between conscientiousness and performance ($\beta = .18$, $p < .05$), indicating that environmental conditions strengthen or weaken personality effects.

Hierarchical regression demonstrated that adding attachment variables significantly improved model prediction (R^2 increased from .38 to .47, $\Delta R^2 = .09$, $p < .01$), confirming the incremental importance of relational factors beyond core personality traits.

Discussion of Results, Hypotheses Evaluation, and Final ConclusionsH3 is partly supported

H1: Parental personality traits → Child Big Five personality

Hypothesis: There is a significant relationship between parental personality traits and children's Big Five personality dimensions.

Evidence from results:

- Significant correlations between parental and child personality variables (Big Five structure was consistently linked across models)
- Regression results show parental traits significantly predict child-related outcomes indirectly through personality-linked variables

H1 is supported confirmed Parental personality traits show a statistically significant relationship with children's Big Five personality dimensions.

H2: Authoritative parenting and adaptive traits

Hypothesis: Authoritative parenting is positively associated with emotional stability, conscientiousness, and social adaptation.

Evidence from results:

- Authoritative parenting is included as a key mediator in regression/mediation models
- Positive predictive structure observed for adaptive traits (conscientiousness and performance-related outcomes)
- Strong model fit ($R^2 = .42$) indicates meaningful explanatory power of personality + parenting mechanisms

H2 is supported confirmed Authoritative parenting is positively linked with adaptive personality outcomes, especially conscientiousness and psychological adjustment.

H3: Authoritarian parenting → Neuroticism & low self-esteem

Hypothesis: Authoritarian parenting is positively associated with neuroticism and lower self-esteem.

Evidence from results:

- Neuroticism showed a strong negative relationship with well-being: $\beta = -.31$, $p < .001$
- Attachment anxiety positively related to neuroticism: $r = .51$, $p < .001$
- However, direct authoritarian-specific effects were not explicitly isolated in the provided regression output

H3 is partly supported

- Supported: Neuroticism is significantly linked to maladaptive psychological outcomes
- Not fully confirmed: Direct authoritarian parenting effect on self-esteem was not explicitly demonstrated in the provided final model output

H4: Neglectful parenting → maladaptive traits

Hypothesis: Neglectful parenting is negatively associated with adaptive personality traits.

Evidence from results:

- Adaptive traits (conscientiousness, openness, performance) were positively predicted by structured psychological and family variables
- Model indicates that lack of supportive parenting structures reduces adaptive outcomes indirectly
- However, neglectful parenting was not directly isolated in regression coefficients shown

H4 is partly supported

- General pattern supports hypothesis (less supportive environment → lower adaptation)
- Direct statistical effect of neglectful parenting not explicitly reported in final outputs

H5: Mediation – Self-perception

Hypothesis: Self-perception mediates the relationship between parental factors and child personality development.

Evidence from results:

- Mediation model (PROCESS Model 4) confirmed indirect effects:
  - Indirect effect = .12, $p < .01$
- Significant mediation through psychological capabilities/self-related constructs
- Bootstrapping confirmed robustness of indirect pathway

H5 is fully supported and confirmed Self-perception (and related capability constructs) significantly mediates the relationship between parental factors and child personality outcomes.

Research Questions – Final Answers

RQ1: How do parental personality traits influence child personality?

Parental personality traits significantly predict child personality development both directly and indirectly through behavioral and psychological pathways. Traits such as openness and conscientiousness positively contribute to adaptive child outcomes, while neuroticism is associated with less adaptive psychological functioning.

RQ2: Role of parenting styles?

Parenting styles function as a key structural mechanism shaping emotional and behavioral outcomes. Authoritative parenting is associated with more adaptive traits, while less supportive styles contribute to less favorable psychological patterns.

RQ3: Does self-perception mediate the relationship?

Yes. Mediation analysis confirmed that self-perception significantly explains how parental factors influence child personality development, with a significant indirect effect ($p < .01$).

RQ4: Which parenting style is most adaptive?

Authoritative parenting emerges as the most strongly associated with positive and adaptive personality outcomes, particularly conscientiousness, emotional stability, and performance-related traits.

Final Integrated Conclusion

Overall, the findings strongly support a **biopsychosocial and family-systems model of personality development**, where:

- Parental traits shape parenting style
- Parenting style influences child psychological development
- Self-perception acts as a key psychological mechanism
- Adaptive outcomes are maximized under authoritative parenting structures

Conclusion

The present study met its also aims to examine personality development within the framework of the Big Five model, with particular emphasis on parental personality traits, parenting styles, self-perception, and the perception of the family environment. The research is grounded in a biopsychosocial approach, which assumes that personality development results from the interaction between individual and environmental factors.

The study explores how parental characteristics and parenting styles influence children's personality profiles, as well as the mediating role of self-perception in this relationship. A correlational research design and standardized psychometric instruments are employed. It is expected that authoritative parenting and parental emotional stability will be positively associated with adaptive personality traits, while dysfunctional parenting styles will be linked to higher neuroticism and negative self-perception. The

findings are expected to contribute to a deeper understanding of personality development and provide practical implications for parents, educators, and psychologists The present study provides an integrative examination of personality, attachment, capabilities, and contextual influences in predicting human behavior. The findings reinforce the robustness of the Big Five personality framework while simultaneously highlighting its limitations when used in isolation.

Consistent with prior research, traits such as openness and conscientiousness demonstrated strong predictive value for adaptive outcomes, including innovation and performance. However, the results clearly indicate that personality traits alone are insufficient to fully explain behavioral variability. Instead, behavior emerges from a **dynamic and multidimensional system** involving individual capabilities, relational patterns, and environmental conditions. Importantly, attachment dimensions contributed significant incremental validity beyond the Big Five, particularly in predicting relationship-related outcomes. This underscores the necessity of incorporating **domain-specific psychological systems** into broader personality frameworks.

Overall, the findings support a **Trait–Capability–Context–Attachment (TCCA) model**, which conceptualizes human behavior as the product of interacting psychological and environmental systems rather than fixed personality traits. Accordingly, the aim of the present study is to examine personality development through the interaction of parental personality traits, parenting styles, and self-perception. The object of the research is personality development itself, while the subject of the study is parental influence on the child's personality formation. Within the research model, parental personality traits and parenting styles function as independent variables, child personality traits represent the dependent variable, and self-perception is examined as a mediating factor explaining the psychological mechanisms underlying these relationships. Through this framework, the study aims to contribute to a deeper understanding of personality development and provide practical implications for parents, educators, and mental health professionals.

This study examines personality development within the framework of the Big Five model, focusing on parental personality traits, parenting styles, and self-perception. The family, as the primary social environment, plays a crucial role in identity formation and personality development. Grounded in a biopsychosocial approach, the study explores how parental behavior and emotional patterns influence children's personality traits. A correlational design and standardized instruments are used. It is expected that authoritative parenting will be positively associated with adaptive traits, while dysfunctional styles will be linked to higher neuroticism and negative self-perception.

The Big Five personality model helps explain how parental traits directly influence child development. A parent is not only a caregiver but also a behavioral and emotional model from whom the child learns regulation, interaction, and coping strategies.

Parents high in conscientiousness tend to create structured environments that promote responsibility and self-discipline in children. Similarly, high agreeableness and empathy foster secure emotional attachment and trust. In contrast, high parental neuroticism often leads to unstable emotional climates within the family, increasing anxiety and emotional instability in children. Personality development is a complex and multidimensional process shaped by the interaction of biological, psychological, and social influences throughout life. Among the most influential environmental factors in this process is the family environment, particularly parental personality characteristics and parenting behaviours. Parents represent children's first emotional and social context, and through daily interaction they influence the formation of emotional regulation, interpersonal behavior, self-concept, and long-term personality patterns. For this

reason, understanding how parental personality traits affect child personality development remains one of the central questions in developmental and personality psychology. A key contribution of this study is the identification of self-perception as a mediating mechanism. The findings suggest that parenting styles do not influence personality directly, but rather through their impact on how individuals perceive themselves. Thus, self-perception serves as a central psychological process linking environmental influences to personality development.

The present study searched and investigated to explore the extent to which parental personality traits influence the development of children's personality characteristics within the framework of the Big Five personality model. Parenting style refers to the consistent emotional climate and behavioural strategies parents use in raising their children. In addition, the study investigates whether self-perception functions as a mediating variable in the relationship between parental influence and child personality development. Self-perception refers to the way individuals evaluate and understand themselves, including their self-esteem, self-image, and perceived personal competence. Since children develop their self-concept largely through parental feedback, emotional interactions, and family experiences, self-perception may serve as an important psychological pathway connecting parenting experiences to personality outcomes.

References

1. Ainsworth, M. D. S., Blehar, M. C., Waters, E., & Wall, S. (1978). *Patterns of attachment: A psychological study of the strange situation*. Erlbaum.
2. Bandura, A. (1977). *Social learning theory*. Prentice Hall.
3. Baumrind, D. (1967). Child care practices anteceding three patterns of preschool behavior. *Genetic Psychology Monographs, 75*(1), 43–88.
4. Bowen, M. (1978). *Family therapy in clinical practice*. Jason Aronson.
5. Bowlby, J. (1969). *Attachment and loss: Vol. 1. Attachment*. Basic Books.
6. Centre for Business & Economic Research (CBER). (2019). *Conference proceedings*. https://cberuk.com
7. Cicchetti, & E. Cummings (Eds.), *Attachment in the preschool years* (pp. 121–160). University of Chicago Press.
8. Costa, P. T., & McCrae, R. R. (1992). *Revised NEO personality inventory (NEO PI-R)*. Psychological Assessment Resources.
9. Hazan, C., & Shaver, P. (1987). Romantic love conceptualized as an attachment process. *Journal of Personality and Social Psychology, 52*(3), 511–524.
10. Maccoby, E. E., & Martin, J. A. (1983). Socialization in the context of the family. In P. H.
11. Mussen (Ed.), *Handbook of child psychology* (Vol. 4, pp. 1–101). Wiley.
12. Main, M., & Solomon, J. (1990). Procedures for identifying infants as disorganized/disoriented during the Ainsworth Strange Situation. In M. Greenberg, D.
13. McCrae, R. R., & Costa, P. T. (1999). A five-factor theory of personality. In L. A. Pervin & O. P. John (Eds.), *Handbook of personality: Theory and research* (2nd ed., pp. 139–153). Guilford Press.
14. Mikulincer, M., & Shaver, P. R. (2007). *Attachment in adulthood: Structure, dynamics, and change*. Guilford Press.
15. Rogers, C. R. (1951). *Client-centered therapy: Its current practice, implications and theory*. Houghton Mifflin.
16. Rosenberg, M. (1965). *Society and the adolescent self-image*. Princeton University Press.

Green Architecture and Principles of Sustainable Development

Ana Kurtanidze
Georgian Aviation University
Faculty of Business Administration.
Professor
Anastasia Tepnadze
Private School "Pegasi"

Abstract. The mentioned work aims to analyze the theoretical and practical foundations of green architecture and highlights its connection with the concept of sustainable development. The research is based on the three-dimensional model of sustainable development, which was molded in the report of the World Commission on Environment and Development (1987) and includes ecological, economic, and social components. This framework is considered in the context of the architecture and construction sector, as a sphere with a significant impact on the environment.

The paper analyzes the role of architecture in the processes of climate change, resource scarcity and urban environmental degradation. It also highlights that the construction sector is one of the main sources of energy consumption and carbon dioxide emissions, which increases the importance of sustainable design. In this context, the main principles of green architecture are established: energy efficiency, integration of renewable energy sources, rational management of water resources, use of environmentally friendly and recyclable materials, life cycle analysis (LCA) methodology (ISO 14040; ISO 14044) and improvement of indoor environmental quality.

The international certification systems — LEED and BREEAM — developed by the U.S. Green Building Council and the Building Research Establishment and providing standardization and quality control of sustainable construction are also discussed.

In conclusion, it is noted that green architecture is one of the most effective mechanisms for the practical implementation of sustainable development. Its integration into architectural and urban planning contributes to the mitigation of climate change, the maintenance of ecological balance and the improvement of the quality of life of society. consequently, the development and implementation of green architecture is considered a strategic priority in response to modern global environmental challenges.

Keywords: Green Architecture, Sustainable Development, Energy Efficiency, Renewable Energy, Water Resource Management, Recyclable Materials, Indoor Environmental Quality, Climate Change, Urban Environment Degradation, Ecological, Economic, and Social Components.

Introduction

The modern world is in an era of ecological and social transformation, where climate change, biodiversity loss and energy crisis represent global challenges. In this context, the concept of sustainable development, which has been established within the framework of the international discourse supported by the United Nations, is of significant importance.

The theoretical basis of sustainable development was established in 1987 in the Brundtland Commission report "Our Common Future" (Brundtland Commission, 1987. Our Common Future), which defines sustainable development as evolution that meets the needs of the present generation without compromising the ability of future generations to meet their own needs. This definition has influenced international policy and architectural practice (Kibert, 2016).

Green architecture is an interdisciplinary approach that combines architecture, environmental science, engineering technology, and economic analysis. It aims to reduce the environmental footprint of buildings throughout their life cycle. LEED (Leadership in Energy and Environmental Design) and BREEAM (Building Research Establishment Environmental Assessment Method) provide standardized criteria that evaluate buildings' energy efficiency, water use, environmental performance of materials, and indoor environmental quality (U.S. Green Building Council, 2023; Building Research Establishment, 2022). These means contribute to the institutionalization of sustainable architectural practices.

Architecture is responsible for a significant share of global energy consumption. Environmental sustainability requires: reducing energy consumption; reducing greenhouse gas emissions; protecting ecosystems; and making the most efficient use of land resources. Energy-efficient design includes passive design strategies — proper building orientation, thermal insulation, natural lighting and ventilation. Sustainable architecture takes into account long-term economic efficiency. Although the initial investment may be high, operating costs are significantly reduced due to energy and water savings.

The large-scale implementation of green architecture is associated with both structural and institutional and economic challenges. Although environmental policies and international standards actively promote the development of sustainable construction, significant barriers still remain active in practice.

Green architecture requires interdisciplinary knowledge — in the fields of architecture, engineering, environmental science, energy and digital technologies. In many cases: the training of professionals does not meet the requirements of modern sustainable design; there is less practical experience in passive design strategies; The use of Life Cycle Assessment (LCA) and energy modeling is limited; technical standards are not adapted to local climatic conditions.

(Life Cycle Assessment (LCA) is a scientific method that evaluates the environmental impact of a product, material or building throughout its entire life cycle, including: raw material extraction, production, transportation, construction, operation (energy, water, maintenance), dismantling and recycling).

Addressing these challenges requires updating academic programs, developing professional training and integrating international experience.

The effective implementation of green architecture largely depends on state policy. The following remain problems: the absence or insufficient rigor of mandatory energy efficiency standards; limited integration of sustainable criteria in building codes; weak monitoring and control mechanisms; and the absence of financial incentives for green initiatives.

International practice shows that where the state implements clear regulations and economic incentives, green construction rates increase significantly.

Modern technological progress and tightening climate policy create new opportunities for the development of green architecture. For example:

Net Zero Buildings

Zero energy buildings are a concept according to which a building produces as much energy during the year as it consumes. This is achieved by:

- Maximum use of passive design;
- Integration of solar panels and other renewable sources;
- Energy-efficient engineering systems;
- Energy storage technologies (battery storage).

Net Zero Buildings represent the highest stage of development of sustainable architecture and one of the main mechanisms for mitigating climate change.

Smart Energy Systems

The development of digital technologies makes it possible to optimize energy consumption in real time. Smart buildings use:

- Building Management Systems (BMS);
- Sensors for lighting and temperature control;

• Energy monitoring and analysis platforms.

These systems reduce energy consumption and increase the efficiency of buildings.

Integration of Digital Modeling (BIM)

Building Information Modeling is a digital platform that enables comprehensive modeling of a building's entire life cycle—from design to operation. The use of BIM allows for:

- advance assessment of energy efficiency;
- analysis of the environmental impact of materials;
- reduction of construction waste;
- Optimization of costs.

BIM facilitates coordination among architects, engineers, and developers, while reducing technical errors.

Development of Bioclimatic Design

Bioclimatic architecture is based on considering local climatic conditions when determining a building's form and structure. It includes: optimization of natural lighting and shading; integration of natural ventilation systems; use of thermal mass; and implementation of green roofs and façades.

The bioclimatic approach reduces energy dependence and creates a more comfortable indoor environment.

Conclusion

The development of green architecture requires a complex and systematic approach that combines economic, technological and legal mechanisms. The existing (present) challenges, despite their complexity, do not represent an insuperable barrier.

On the contrary, modern technological progress, strengthening climate policy and increasing public awareness create the prerequisites for green architecture to become not just an alternative, but a standard practice.

Sustainable development goals cannot be achieved without the transformation of architecture. Consequently, green architecture is not only a professional direction, but also an expression of global responsibility to future generations.

In the future, sustainable architecture will be considered not only as an ecological necessity, but also as a strategic direction for economic and social development.

References

1. United Nations (2015). *Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development.*
2. U.S. Green Building Council (2023). *LEED v4 for Building Design and Construction.*
3. Building Research Establishment (2022). *BREEAM International New Construction Technical Manual.*
4. Kibert, C. J. (2016). *Sustainable Construction: Green Building Design and Delivery.* Wiley.
5. Edwards, B. (2014). *Rough Guide to Sustainability.* RIBA Publishing.
6. Hammond & Jones – *Inventory of Carbon & Energy (ICE) Database*
7. ISO 14040 & ISO 14044 – *Life Cycle Assessment (international standards)*

იკაო-ს რეკომენდაციები საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სფეროში — „რბილი სამართალი“ თუ რეალური რეგულაციები

ICAO Recommendations in the Field of International Air Transport — “Soft Law” or Effective Regulation?

დავით გეფერიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო სამართლის დოქტორი
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლუკა ჩადუნელი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
David Geperidze
Tbilisi State University
Doctor of International Law
Associate Professor, Tbilisi Humanitarian University
Luka Chaduneli
Tbilisi State University
Master of International Law

აბსტრაქტი. თანამედროვე საერთაშორისო საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობას ეფუძნება, განსაკუთრებით თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სფეროში (ვინაიდან საეთაშორისო სამართალი პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარ კუმულაციას წარმოადგენს). ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი ICAO-ს, რომელიც ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს, რეკომენდაციებსა და პრინციპებს, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოება. ICAO-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ხშირად განიხილება როგორც ე.წ. „რბილი სამართალი“ (soft law), ანუ ინსტრუმენტი, რომელიც სახელმწიფოთა სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფასა და თანამშრომლობის გაძლიერებას ემსახურება, თუმცა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. აღნიშნული პრობლემების შედეგად იწვევენ იმას, რომ სრული მოცულობით არ რეგულირდება საერთაშორისო–სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოიშობიან არარეგულირებადი სფეროები, რომლებიც იწვევენ საერთაშორისო სამართლის ბევრი სუბიექტის სამართლებრივი რეგულირების უზუსტობებს და გაურკვევლობებს.

საკვანძო სიტყვები: *სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია-იკაო, საჰაერო სამართალი, სამოქალაქო ავიაცია, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები, რბილის სამართალი, სტანდარტები.*

Abstract

Ensuring contemporary international aviation safety is grounded not only in technical considerations but also in legal and political realities, particularly within the framework of modern international law (inasmuch as international law represents a cumulative interplay of law and politics). In this process, a special role is played by international organizations, most notably the International Civil Aviation Organization, which establishes international standards, recommendations, and principles to ensure the safety of civil aviation.

Recommendations developed by ICAO are often regarded as so-called “soft law,” that is, instruments aimed at refining the legal frameworks of states and strengthening cooperation, yet lacking binding force. This situation gives rise to significant challenges, as international legal relations are not regulated in their entirety; unregulated areas emerge, leading to inconsistencies and ambiguities in the legal regulation of numerous subjects of international law.

Keywords: International Civil Aviation Organization (ICAO), air law, civil aviation, air transport, soft law, standards.

შესავალი

საერთაშორისო საავიაციო სისტემა თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ როლს ასრულებს. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი და ტვირთი გადაადგილდება საჰაერო გზით, რაც ხაზს უსვამს ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო ტრანსპორტის მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, სამოქალაქო ავიაციის სფერო განსაკუთრებით მგრძნობიარეა ტერორიზმის, ავიაკატასტროფებისა და სხვა საფრთხეების

მიმართ. მსგავსი რისკები არა მხოლოდ სახელმწიფოების უსაფრთხოებას უქმნიან საფრთხეს, არამედ გავლენას ახდენს საერთაშორისო ტრანსპორტისა და ეკონომიკის სტაბილურობაზე.

იკაო-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ხშირად „რბილი სამართლის“ ფორმატში, წარმოადგენს სახელმწიფოთა რეგულირების ეფექტური მექანიზმის ალტერნატივას, რომელიც არა მხოლოდ ტექნიკურ და ოპერაციულ სტანდარტებს ადგენს, არამედ განაპირობებს საერთაშორისო თანამშრომლობასა და უსაფრთხოების ერთგვარ ხარისხობრივ მინიმუმს.

საზოგადოებრივი და საერთაშორისო სამართლებრივი კვლევები მიუთითებენ, რომ მიუხედავად რეკომენდაციების იურიდიულად არასავალდებულო ბუნებისა, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოების სამართლებრივი ჩარჩოების ჰარმონიზაციაზე, ხელს უწყობენ გეოპოლიტიკური უთანასწორობის შემცირებას და უზრუნველყოფენ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვას. ამავე დროს, რბილი სამართალი უზრუნველყოფს სახელმწიფოების უსაფრთხოების გამოწვევებთან ადაპტაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ავიაციის ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო საფრთხეების სწრაფი ცვლილებების პირობებში.

ნაშრომი მიზანია შეაფასოს იკაოს-ს რეკომენდაციების საერთაშორისო სამართლებრივი და პრაქტიკული ეფექტი, გამოავლინოს მათი შესაძლებლობები და განისაზღვროს სახელმწიფოთა რეალური როლი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სისტემაში. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს და სახელმწიფოების რეგულაციების შედარებით შესწავლას, ასევე პრაქტიკული მაგალითების განხილვას.

1. საერთაშორისო ავიაციის რეგულირების თეორიული საფუძვლები და „რბილი სამართლის“ კონცეფცია

1.1 საერთაშორისო საავიაზიო სამართლის წყაროები

საერთაშორისო საჰაერო სამართალი წარმოადგენს სპეციალიზებულ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას, რომლის ძირითადი მიზანია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების, ეფექტური ტრანსპორტის ფუნქციონირების და სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის უზრუნველყოფა. სამართალი გამოირჩევა მრავალშრიანობით, ვინაიდან იგი ეფუძნება მაღალი იერარქიის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, ეროვნული კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის დოქტრინებსა და სასამართლო პრაქტიკას.

საერთაშორისო საჰაერო სამართლის წყაროები შეიძლება დაყოფილ იქნეს რამდენიმე მნიშვნელოვან კატეგორიად:

1.1.1 საერთაშორისო კონვენციები და მრავალმხრივი ხელშეკრულებები

საერთაშორისო საჰაერო სამართლის საფუძველს წარმოადგენს ორმხრივი ხელშეკრულებები და მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციები, თითოეული კონვენცია თუ ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესია, მაგრამ „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ 1944 წლის ჩიკაგოს კონვენცია წარმოადგენს ბაზისს, რომელზეც, დგას მთლიანად საერთაშორისო საჰაერო სამართალი. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს სახელმწიფოთა უფლებასა და ვალდებულებებს საჰაერო სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სტანდარტებს და წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ერთიან სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, 1963 წლის ტოკიოს, 1970 წლის ჰააგისა და სხვა კონვენციები განსაზღვრავენ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებს, როგორიცაა საჰაერო ხომალდების

გატაცება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტები, საერთაშორისო იურისდიქციის საკითხები და სხვ.

1.1.2 იკაო-ს სტანდარტები და რეკომენდაციები (SARPs)

შეიძლება ითქვას, რომ იკაო „განაგებს“ საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. SARPs წარმოადგენს „რბილ სამართალს“, ვინაიდან ისინი არ ქმნიან ვალდებულებას სახელმწიფოებისათვის, მაგრამ წარმოადგენენ ძირითად სამართლებრივ მიმართულებასა და საერთაშორისო სტანდარტს, რომლის დადგენაც აუცილებელია ავიაციის უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. SARPs უზრუნველყოფს საერთაშორისო ერთიან სტანდარტს უსაფრთხოების, ექსპლუატაციისა და რეგულირების სფეროებში, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა სამართლებრივი თანამშრომლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების კონსოლიდაციისთვის.

1.1.3 ეროვნული საავიაციო კანონმდებლობა

მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებისა, რეალური სამართლებრივი ეფექტურობა უმეტესად დამოკიდებულია ეროვნულ სამართალზე. სახელმწიფოთა მიერ მიღებული საავიაციო კანონმდებლობა უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციას ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში, განსაზღვრავს იურისდიქციის სფეროს, პასუხისმგებლობასა და კონტროლის მექანიზმებს. ეროვნული რეგულაციები ასევე განსაზღვრავენ სავალდებულო პროცედურებს ავიაციის უსაფრთხოების, ტრანსპორტის ოპერირებისა და ადმინისტრაციული კონტროლისათვის, რაც ქმნის სამართლებრივ ინსტრუმენტს განხორციელდეს საერთაშორისო რეკომენდაციები.

1.1.4 სამართლებრივი პრეცედენტები და დოქტრინა

საერთაშორისო საჰაერო სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ დოქტრინას. სამართლებრივი დოქტრინა განსაზღვრავს ნორმების ინტერპრეტაციას, პრინციპებს, რომელთა შესაბამისად სახელმწიფოები ამუშავებენ სამოქალაქო ავიაციის კანონმდებლობას და უზრუნველყოფენ სამართლებრივი სტანდარტების ერთიან პრაქტიკულ გამოყენებას. სამართლებრივი პრეცედენტები ქმნიან პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც წარმოადგენენ სამართლებრივი ნორმების განმარტების გზამკვლევს საერთაშორისო ავიაციის სფეროში.

ზემოაღნიშნული წყაროები უზრუნველყოფენ არამხოლოდ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს ურთიერთთანამშრომლობის გზით შეძლონ რისკების ეფექტური მართვა.

1.2 „რბილი სამართლის“ ცნება საერთაშორისო საჯარო სამართალში

საერთაშორისო საჯარო სამართალში „რბილი სამართალი“ (*soft law*) წარმოადგენს ნორმების, პრინციპებისა და რეკომენდაციების სისტემას, რომელიც ფორმალურად არ ქმნის იურიდიულ ვალდებულებებს სახელმწიფოებისთვის, მაგრამ პრაქტიკაში ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სახელმწიფოთა ქმედებებსა და საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაზე. ის მოიცავს მრავალ ფორმას: დეკლარაციებს, რეკომენდაციებს, სახელმძღვანელო სტანდარტებს, პროტოკოლებსა და პრინციპებს, რომლებიც შექმნილია სტანდარტიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და სამართლებრივი თანმიმდევრობის უზრუნველსაყოფად[822]. რბილი სამართლის არსი მდგომარეობს მის მოქნილობაში, რომელიც საშუალებას აძლევს საერთაშორისო სამართალს

[822] Bartsch, R. *International Aviation Law: A Practical Guide*, 2nd edition, 2016

რეაგირება მოახდინოს ახალ გამოწვევებსა და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, მაშინ, როდესაც მოცემულ თემებზე მკაცრი სამართლის ნორმები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული[823].

განვითარებული საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის პირობებში რბილი სამართალი ასრულებს სამართლებრივი ინოვაციების როლს. ის ქმნის მექანიზმს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები შეიმუშავებენ პრინციპებს, რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა მოგვიანებით იქცნენ მკაცრი სამართლის ნორმებად. ამგვარი პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო ვაჭრობა, ინტერნეტი და ტექნოლოგიური უსაფრთხოება, სადაც მუდმივად წარმოიქმნება ახალი სამართლებრივი გამოწვევები[824].

რბილი სამართალი ასევე წარმოადგენს წინასწარ პროგნოზირებად მექანიზმს, რომელიც სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას შექმნან აღსრულების სტანდარტები და უსაფრთხოების პრინციპები, სანამ ისინი სრულად იქცევიან იურიდიულად ნორმებად. პრაქტიკაში რბილი სამართალი არ ითვლება მკაცრად იურიდიულ ვალდებულებად, მაგრამ მისი აღსრულების მაღალი კოეფიციენტი და საერთაშორისო ჩარჩოებში მიღებულობა ქმნის ეფექტს.

რბილი სამართალი ასრულებს არაერთ ფუნქციას: იგი ხელს უწყობს სტანდარტების ჰარმონიზაციას, აღრმავებს საერთაშორისო თანამშრომლობას, საფუძველს უყრის მომავლის სამართლებრივი ჩარჩოების ფორმირებას და ახდენს რისკების პრევენციას. ამ ფუნქციების სისწრაფე და მოქნილობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ სფეროებში, სადაც ტექნოლოგიური განვითარება სწრაფია და სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი ნორმების სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს, საჰაერო სამართალი კი სწორედ მსგავს სფეროს წარმოადგენს.

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში რბილი სამართლის გამოყენება უზრუნველყოფს სტანდარტიზაციას, უსაფრთხოების ზრდას, სამართლებრივი ერთიანობის გაძლიერებასა და სამართლებრივი ჩარჩოების ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ფორმალურად სავალდებულო, სახელმწიფოების მიერ მიღებული პრაქტიკა ქმნის ფაქტობრივ სამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებსა და სამართლებრივი სტანდარტების შემუშავებაზე.

1.3 „რბილი სამართლის“ ადგილი და ფუნქცია საჰაერო სამართალში

საჰაერო სამართალში „რბილი სამართალი“ წარმოადგენს სტრატეგიულ და ოპერატიულ ინსტრუმენტს, რომელიც ქმნის საერთაშორისო ფრენების უსაფრთხოების, ტექნიკური სტანდარტების და ოპერაციული წესების ერთიან სამართლებრივ სივრცეს. ამის ყველაზე მაგალითია იკაო-ს *Standards and Recommended Practices (SARPs)*, რომლებიც განსაზღვრავენ საჰაერო ხომალდების უსაფრთხოების, ფრენის ოპერაციული წესების, ავიაციის ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების სისტემას.

მიუხედავად SARPs არასავალდებულო ხასიათისა, ისინი პრაქტიკაში ქმნიან ფაქტობრივ იურიდიულ ეფექტს, ვინაიდან და რადგანაც, ძირითად შემთხვევებში, სახელმწიფოები აღასრულებენ რეკომენდაციებს, ახდენენ მათ ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას და ქმნიან კონტროლის მექანიზმებს.

პირველი ფუნქცია არის სტანდარტების ჰარმონიზაცია. საერთაშორისო ფრენების უსაფრთხოებისთვის აუცილებელია, რომ საჰაერო ხომალდებმა, აეროპორტებმა და

[823] Dempsey, P., & Jakhu, R. *Routledge Handbook of Public Aviation Law*. London: Routledge, 2020.

[824] Dempsey, P., & Jakhu, R., *The Foundations of Public International Aviation Law*, 2020.

ავიაკომპანიებმა დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, ტექნიკური მოთხოვნები და ოპერატიული წესები. რბილი სამართლის ინსტრუმენტები უზრუნველყოფენ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩო ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე იყოს დაშენებული.

მეორე ფუნქცია, რომელსაც რბილი სამართალი სამოქალაქო ავიაციის დარგში ასრულებს, არის მოქნილობა და ადაპტაცია ტექნოლოგიურ ცვლილებებთან. თანამედროვე ავიაცია სწრაფად ვითარდება: დრონები, თვითმავალი საჰაერო სისტემები, თანამედროვე სანავიგაციო და საკონტროლო რადარები მოითხოვენ მუდმივ სამართლებრივ უზრუნველყოფას. რბილი სამართალი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს სწრაფად ინტეგრირდნენ ახალ სტანდარტებთან.

რბილი სამართალი საჰაერო სამართალში ასრულებს ასევე იურიდიულ-პრაქტიკულ ფუნქციასაც. მიუხედავად ფორმალური ვალდებულების არქონისა, მისი აღსრულება სახელმწიფოების მიერ ქმნის ე.წ. „Binding“ ეფექტს, რადგან საერთაშორისო ფრენების უსაფრთხოება და საერთაშორისო სამართლებრივი იმიჯი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ICAO-ს რეკომენდაციების დაცვაზე.

საერთო ჯამში, რბილი სამართალი სამოქალაქო ავიაციის სფეროში წარმოადგენს ფუნდამენტურ ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს სტანდარტიზაციას, უსაფრთხოების კონტროლს, ტექნოლოგიურ ადაპტაციასა და საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას. მისი ეფექტიანობა გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოები, ავიაკომპანიები და სხვა საავიაციო ორგანიზაციები აღასრულებენ რეკომენდაციებს, ახდენენ საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციას და უზრუნველყოფენ სისტემური უსაფრთხოების მუდმივ გაუმჯობესებას.

2. იკაო როგორც საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის სამართალშემომედებითი სუბიექტი

2.1. ფორმირების პროცესი

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) შეიქმნა 1944 წელს ჩიკაგოს კონვენციით[825]. იგი საერთაშორისო საჰაერო რეგულირების ერთ-ერთ მთავარ ღერძს წარმოადგენს[826]. იკაო-ს მიზანი საერთაშორისო სამოქალქო ავიაციის უსაფრთხოების, ეფექტურობისა და რეგულარული განვითარების უზრუნველყოფაა, ხოლო მისი ძირითადი ფუნქცია წარმოადგენს ნორმების და რეკომენდაციების (შემდეგ - „SARPs) შემუშავებაა.

რეკომენდაციების ფორმირების პროცესს რთული სამართლებრივ-პოლიტიკურ მექანიზმი აქვს, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფოების, ისე ავიაკომპანიებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობას. პროცესი იწყება სპეციალიზირებული ტექნიკური კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების დონეზე, რომლებიც აწარმოებენ კვლევებს კონკრეტულ სეგმენტში. მაგალითად, საჰაერო მიმოსვლის მართვის, ავიაციის უსაფრთხოების, ანდაც ეკოლოგიური სტანდარტების სფეროში.[827]

მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, საკითხი გამოდის იკაო-ს საბჭოს წინაშე, რომელიც აძლევს საბოლოო პოლიტიკურ-სამართლებრივ სახეს და განსაზღვრავს რეკომენდაციების მიღების არსებით მნიშვნელობას. სქემატურად, პროცესი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ტექნიკური კვლევა და ანალიზი - ტექნიკური კომიტეტები იკვლევენ არსებულ რეგულაციებს, ავიაციის ბაზრის გამოწვევებსა და უსაფრთხოების რისკებს.

[825] „საერთაშორისო საჰაერო სამართალი“, დავით გეფერიძე, გვ.232
[826] artsch, R. *International Aviation Law: A Practical Guide*, 2nd edition, 2016, გვ. 35
[827] ICAO, *Manual on ICAO's Standard-Setting Process*, Doc 10001, 2018.

2. საზოგადოებრივი კონსულტაციები - სხვადასხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საჯარო განხილვებში.

3. საბჭოს განხილვა და დამტკიცება- საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს იკაოს საბჭო, სადაც სახელმწიფოები თანხმდებიან რეკომენდაციების ფორმულირებაზე.

ეს პროცესი ხაზს უსვამს „რბილი სამართლის“ კონცეფციას, რადგან SARPs ძირითადად არ იძლევა პირდაპირ ვალდებულებებს სახელმწიფოებისთვის, არამედ ქმნის რეკომენდაციებს, რომლის განხორციელება დამოკიდებულია ეროვნული კანონმდებლობისა და ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

მაგალითად, ავიაციის უსაფრთხოების სფეროში იკაო-ს რეკომენდაციები ხშირად აღწერილია როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, მაგრამ თითოეული ქვეყანა უფლებამოსილია მოარგოს ისინი საკუთარ სპეციფიკას, ტექნიკურ შესაძლებლობებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს.[828] ეს მიდგომა საშუალებას აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციას შეინარჩუნოს უნივერსალური სტანდარტების ჩარჩო, ხოლო სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, რომ იმოქმედონ მათი საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროცესში ჩართულია მუდმივი მონიტორინგი. მაგალითად, იკაო-მ შეიმუშავა Universal Safety Oversight Audit Programme (USOAP), რომელიც უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების მოქმედებათა მუდმივ შეფასებას და რეკომენდაციების შესრულები მონიტორინგს[829]. ეს იძლევა საშუალებას, რეალურად დადგინდეს, რომელ სახელმწიფოებს სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი „რბილი სამართლის“ მიდგომა მეტად ეფექტურია მაშინ, როდესაც არსებობს ძლიერი პოლიტიკური ნება და შესაბამისი კაპიტალი სახელმწიფოში. ძირითადად პრობლემები წარმოიქმნება ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც ტექნიკური რესურსი არ არის საკმარისი SARPs-ის განხორციელებისთვის. ფორმირების პროცესში ასევე მონაწილეობენ სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდუსტრიული ასოციაციების წარმომადგენლები, რომელთა ვალია, უზრუნველყონ რეკომენდაციები იყოს პრაქტიკულად აღსრულებადი და მორგებული რეალურ ავიაციის მოთხოვნებზე.

2.2. სამართლებრივი გავლენა სახელმწიფოების საავიაციო პოლიტიკაზე

იკაო-ს რეკომენდაციები წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო „რბილმა სამართალმა“ იქონიოს რეალური გავლენა სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმალურად არასავალდებულოა, მათი სტანდარტები ხშირად იქცევიან აუცილებელ ინსტრუმენტებად, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებას, არამედ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას. სახელმწიფოებისთვის SARPs წარმოადგენს ტიპურ გზამკვლევს: მათი აღსრულება არა მხოლოდ უზრუნველყოფს ტექნიკური უსაფრთხოების დონეს, არამედ ნიშნავს საერთაშორისო აღიარებას, რაც უშუალოდ აძლიერებს ქვეყნის საავიაციო სექტორს.

სახელმწიფოებს ხშირად უწევთ შიდა კანონმდებლობის ადაპტაცია იკაო-ს რეკომენდაციების შესაბამისად. ეს პროცესი არ არის მხოლოდ *ფორმალური* დაკონკრეტება, არამედ ის შესაძლოა გულისხმობს ეროვნული რეგულაციების განახლებას, ტრენინგის პროგრამების დამუშავებას თუ უსაფრთხოების მართვის სისტემების დანერგვას, რაც ქმნის

[828] ICAO, *Safety Oversight Manual*, Doc 9734, 2019, 22–25 გვ.

[829] იქვე 30-35 გვ.

ერთგვარ სტრუქტურულ ჩარჩოს. შედეგად, „რბილი სამართალი“ იქცევა პრაქტიკულად სავალდებულო სახის ინსტრუმენტად, ვინაიდან მისი უგულებელყოფა პირდაპირ მოქმედებს სახელმწიფოების შესაძლებლობაზე წარმოადგინონ საერთაშორისო რეისები და დაიცვან საერთაშორისო სტანდარტები.

საინტერესოა, რომ საერთაშორისო მონიტორინგი კიდევ უფრო აძლიერებს SARPs-ის სამართლებრივ ეფექტს. USOAP არამხოლოდ აფასებს წევრი ქვეყნების შესაბამისობას რეკომენდაციებთან, არამედ უზრუნველყოფს პრაქტიკულ გავლენასაც. სახელმწიფოებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ SARPs-ის მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში უწესდებათ შეზღუდვები, რომლებიც აისახება სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკაზე. ამგვარად, „რბილი სამართალი“ იქცევა ინსტრუმენტად, რომელიც მიუხედავად არასავალდებულო სტატუსისა, რეალურად მოქმედებს სახელმწიფოების პოლიტიკაზე.

ამასთანავე, სახელმწიფოებს სურთ უზრუნველყონ ავიაკომპანიების ოპერირების უსაფრთხოება და შეუფერხებელი ფუნქციონირება, რადგან უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევა იწვევს ეკონომიკურ ზარალს და საერთაშორისო რეპუტაციის დაქვეითებას. ამდენად, ეკონომიკური ფაქტორები ქმნიან მექანიზმს, რომელიც ხაზს უსვამს „რბილი სამართლის“ ეფექტურობას, აძლიერებს წესების შესრულების მოტივაციას და აჩვენებს მის რეალურ გავლენას.

მნიშვნელოვანია ასევე საერთაშორისო ჰარმონიზაციის ასპექტი. SARPs უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტების შექმნას, რომელიც აუცილებელია მრავალმხრივი რეისების უსაფრთხოებისთვის. სახელმწიფოები აადაპტირებენ საკუთარ რეგულაციებს ამ სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფენ არა მხოლოდ უსაფრთხოებას, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი თანმიმდევრულობის შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით, SARPs წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ფუნქციონირებს როგორც საერთო მექანიზმი ავიაციის უსაფრთხოების, ეკონომიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის.

ასევე, „რბილი სამართალი“ გამოირჩევა იმით, რომ ეფექტურად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. დრონების ინტეგრაცია საჰაერო სივრცეში, ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა და ციფრული ავიაციის უსაფრთხოება არის სფეროები, სადაც SARPs ქმნის მოქნილ სამართლებრივ ჩარჩოს. სახელმწიფოები, აყალიბებენ თავიანთ კანონმდებლობას, ისე რომ არასავალდებულო რეკომენდაციაც კი სავალდებულოდ იქცეს და უზრუნველყოს უსაფრთხოება, ტექნოლოგიური ადაპტაცია და საერთაშორისო სტანდარტების ერთგვაროვნება.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, იკაო-ს რეკომენდაციები აჩვენებენ, რომ „რბილი სამართალი“ საერთაშორისო ავიაციაში არა მხოლოდ რეკომენდაციის სტატუსით ფუნქციონირებს, არამედ ქმნის სამართლებრივი გავლენის რეალურ მექანიზმს, რომელიც ზემოქმედებს ეროვნულ პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე. მისი გავლენა ფართოა და მრავალშრიანი: ის მოიცავს კანონმდებლობას, მონიტორინგს, ეკონომიკურ სტიმულს, ჰარმონიზაციას და თანამედროვე გამოწვევებზე სწრაფ რეაგირებას. SARPs წარმოაჩენს საერთაშორისო სამართლის უნიკალურ შესაძლებლობას, როცა არასავალდებულო დოკუმენტი, პრაქტიკულად, წარმოადგენს სავალდებულო მექანიზმს რეალურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

3. ICAO-ს რეკომენდაციები: რბილი სამართალი თუ დე ფაქტო სავალდებულო რეგულირება?

3.1 იკაო-ს რეკომენდაციების იურიდიული ძალის შეფასება

იკაო-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და სტანდარტები საერთაშორისო სამოქალქო ავიაციის რეგულირების ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი იურიდიული ბუნება დოქტრინაში არაერთგვაროვნად ფასდება. ძირითადი დისკუსია უკავშირდება კითხვას,

წარმოადგენს თუ არა იკაო-ს მიერ მიღებული ნორმები კლასიკურ რბილ სამართალს, თუ მათ პრაქტიკაში დე ფაქტო სავალდებულო რეგულირების ფუნქცია აქვთ.[830]

იკაო-ს ნორმატიული აქტების ძირითადი ფორმა ჩიკაგოს კონვენციის (1944) დანართებია, რომლებიც „სტანდარტებსა და რეკომენდებულ პრაქტიკებს" (Standards and Recommended Practices – SARPs). კონვენციის 37-ე მუხლის მიხედვით, იკაო-ს მიზანია საერთაშორისო საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხო, მოწესრიგებული და მაქსიმალურად ეკონომიკურად გამართლებული წესებისა და პროცედურების ჰარმონიზაცია. ამავე დროს, კონვენციის 38-ე მუხლი სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას, გადაუხვიონ იკაო-ს სტანდარტებს, იმ პირობით, რომ აღნიშნული გადახვევის შესახებ ორგანიზაციას ეცნობება.

ზემოაღნიშნული მექანიზმი ნათლად მიუთითებს, რომ ICAO-ს სტანდარტები ფორმალურად არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია, დაიცვან ან არ დაიცვან კონკრეტული სტანდარტი, თუმცა არ დაცვის შემთხვევაში, მსგავსი გადახვევა დაკავშირებული უნდა იყოს მნიშვნელოვან პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგების მიღებასთან. სწორედ ზემოთხსენებული გადახვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ამცირებს სახელმწიფოების თავისუფლებას და ჰმატებს იკაო-ს ნორმებს „ნორმატიულ წონას".[831]

რეკომენდებული პრაქტიკა, განსხვავებით სტანდარტებისგან, უფრო რბილი ხასიათისაა და პირდაპირ არ უკავშირდება შესაბამისობის მოთხოვნას. თუმცა, ავიაციის საერთაშორისო ბუნებიდან გამომდინარე, როგორც სტანდარტები, ისე რეკომენდაციები ხშირად ინტეგრირდება ეროვნულ კანონმდებლობებში ან გამოიყენება ადმინისტრაციულ და სასამართლო პრაქტიკაში, რაც მათ ფაქტობრივად სავალდებულო ხასიათს ანიჭებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იკაო-ს რეკომენდაციების იურიდიული ძალა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმებით. საერთაშორისო ავიაციის სფეროში ავიაციის უსაფრთხოებისა და ტექნიკური თავსებადობის მაღალი დონე აიძულებს სახელმწიფოებს, რომ პრაქტიკაში დაემორჩილონ იკაო-ს მიერ დადგენილ წესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება შეექმნათ საერთაშორისო ფრენებზე დაშვების, ავიაკომპანიების სერტიფიცირების ანდაც საერთოდ დაზღვევის პრობლემები.[832]

შესაბამისად, იკაო-ს რეკომენდაციები კლასიკური გაგებით შეიძლება ჩაითვალოს რბილ სამართლად, თუმცა მათი პრაქტიკული ეფექტი ნამდვილად სცდება ამ კატეგორიას. ისინი ქმნიან „დე ფაქტო" სავალდებულო სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოების ქმედით თავისუფლებას და განსაზღვრავს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების სამართლებრივ და ტექნიკურ სტანდარტებს.

თუმცა, მაშინ როდესაც ვსაუბრობთ ზემოხსენებულ რეკომენდაციებზე, არ უნდა გამოგვრჩეს სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხიც. საერთაშორისო საჰაერო სამართალში სახელმწიფო სუვერენიტეტი ფორმალურად უზრუნველყოფილია ჩიკაგოს კონვენციის 1-ელი მუხლით, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებს აქვთ სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი საკუთარი ტერიტორიის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეზე. თუმცა, საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების უსაფრთხო და ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ერთიანი ტექნიკური და ოპერატიული წესების არსებობას, რაც განაპირობებს საერთაშორისო ავიაციის სტანდარტიზაციის აუცილებლობას.

---

[830] Bartsch, R. *International Aviation Law: A Practical Guide*, 2nd ed., Routledge, 2016, გვ. 52.

[831] Dempsey, P., Jakhu, R. *Routledge Handbook of Public Aviation Law*, Routledge, 2020, გვ. 83

[832] Shawcross, K., Beaumont, P. *Air Law*, 5th ed., Butterworths, 2019, გვ. 45.

იკაო-ს მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები მოქმედებს როგორც სუვერენიტეტის განხორციელების შემზღუდველი მექანიზმი, თუმცა, სახელმწიფო სუვერენიტეტს ამით ჩრდილი არ ადგება. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩიკაგოს კონვენციის 38-ე მუხლი სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, გადაუხვიონ საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, პრაქტიკაში ასეთი გადახვევები ძალზედ იშვიათია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის სტანდარტიზაცია ქმნის ნორმატიულ ჩარჩოს, სადაც სახელმწიფო სუვერენიტეტი მეტწილად შენარჩუნებულია, თუმცა ნაწილობრივ შეზღუდულია საერთაშორისო ავიაციის უწყვეტობის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური თავსებადობის ინტერესებიდან გამომდინარე.

3.2. იკაო-ს რეკომენდაციების შეუსრულებლობის სამართლებრივი და პრაქტიკული შედეგები და სასამართლო პრაქტიკა

   - Creation of attractive conditions for digital nomads and remote workers to attract long-term visitors.
9. **Improved Access to Finance**
   - Provision of concessional loans and credit lines for tourism businesses during crisis periods.
   - Introduction of targeted grant programs for the development of innovative tourism products.
   - Investment incentives for international hotel chains and foreign investors.
10. **Long-Term Strategic Planning**
   - Development of a comprehensive tourism crisis management strategy to address future shocks.
   - Formulation of a sustainable tourism development plan incorporating environmental, social, and economic dimensions.
   - Conducting regular research to identify market trends and evolving sectoral needs.

REFERENCES

1. Butler, R. W. (1980). The concept of a tourist area cycle of evolution: Implications for management of resources. *Canadian Geographer*, 24(1), 5–12.
2. Cahyanto, I., Wiblishauser, M., Pennington-Gray, L., & Schroeder, A. (2016). The dynamics of travel avoidance: The case of Ebola in the US. *Tourism Management Perspectives*, 20, 195–203.
3. Croes, R., & Vanegas, M. (2008). Cointegration and causality between tourism and poverty reduction. *Journal of Travel Research*, 47(1), 94–103.
4. Dwyer, L., Forsyth, P., & Spurr, R. (2004). Evaluating tourism's economic effects: New and old approaches. *Tourism Management*, 25(3), 307–317.
5. Gössling, S., Scott, D., & Hall, C. M. (2020). Pandemics, tourism and global change. *Journal of Sustainable Tourism*, 29(1), 1–20.
6. Hall, C. M. (2010). Crisis events in tourism: Subjects of crisis in tourism. *Current Issues in Tourism*, 13(5), 401–417.
7. Hall, C. M., Prayag, G., & Amore, A. (2018). *Tourism and resilience: Individual, organisational and destination perspectives*. Channel View Publications.
8. Iordache, C., Ciochină, I., & Asandei, M. (2010). Tourism–economic growth nexus: Evidence from Romania. *Tourism Economics*, 16(4), 951–977.
9. Ivanov, S., & Webster, C. (2013). Tourism's impact on growth: The role of globalisation. *Annals of Tourism Research*, 41, 231–236.
10. Li, S., Blake, A., & Cooper, C. (2010). China's tourism industry reform. *Journal of Travel Research*, 49(3), 360–374.
11. Page, S., & Yeoman, I. (2007). How visitScotland prepared for a flu pandemic. *Journal of Business Continuity & Emergency Planning*, 1(2), 167–182.

12. Pennington-Gray, L. (2018). Reflections to the future of tourism research. *Tourism Management*, 65, 253–256.

13. Ritchie, B. W. (2004). Chaos, crises and disasters: A strategic approach. *Tourism Management*, 25(6), 669–683.

14. Ritchie, B. W., & Jiang, Y. (2019). A review of research on tourism risk, crisis and disaster management. *Annals of Tourism Research*, 79, 102812.

15. Sharpley, R. (2020). Tourism, sustainable development and the theoretical divide. *Journal of Sustainable Tourism*, 28(11), 1935–1952.

16. Smeral, E. (2009). The impact of the financial and economic crisis on European tourism. *Journal of Travel Research*, 48(1), 3–13.

17. UNWTO. (2020). *Tourism and COVID-19 – unprecedented economic impacts*. United Nations World Tourism Organization.

18. UNWTO. (2022). *Tourism recovery tracker*. United Nations World Tourism Organization.

19. World Bank. (2021). *Rebuilding tourism competitiveness*. World Bank Group.

20. WTTC. (2023). *Economic impact report*. World Travel & Tourism Council.

მომხმარებელთა ციფრული ჩართულობა და ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში: ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები

Consumers` Digital Engagement and Tourism Development in Georgia: Emerging Opportunities and Challenges

ბაბულია მღებრიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
მარიამი სეთური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურის სტუდენტი
Babulia Mghebrishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctor of Economics. Associate Professor
Mariami Seturi
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Student of doktoral program

აბსტრაქტი. ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ციფრულმა მარკეტინგმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურისტული სექტორის განვითარებაზე. ინფორმაციის გავრცელების მოდელის შეცვლამ გაამარტივა რა მომხმარებელთან დაკავშირება, დააჩქარა ტურიზმის განვითარების პროცესი. გამომდინარე აღნიშნულიდან, მოცემული კვლევის მიზნად დავისახეთ მომხმარებელთა ციფრული ჩართულობისა და მათ მიერ ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენების კომპეტენციების შეფასება და მათი გავლენის დონის დადგენა საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარებაზე.

მოცემული კვლევა ეფუძნება თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურული წყაროების ანალიზს და რაოდენობრივი ემპირიული კვლევის შედეგებს. ონლაინში ჩატარდა 302 რესპონდენტის ანკეტური გამოკითხვა. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური მეთოდებით. გაირკვა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა-89,7% დადებითად არის განწყობილი ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ. რესპონდენტების დიდი ნაწილი სთვლის, რომ მაღალი -57,9% ან ძალიან მაღალი-32,5% არის მათი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციები. დადგინდა ისიც, რომ რესპონდენტების ნდობის

დონე ციფრული ტექნოლოგიების მიმართ რამდენადმე განსხვავებულია. ამასთან, განსხვავებულია ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების სიხშირეც. ტურისტული მიზნებით, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებიდან, უმეტესობა-47,7% უპირატესობას მობილურ აპლიკაციებს, 21,5% ელექტრონული ბილეთების შეძენას და ონლაინში დაჯავშნის სისტემას ანიჭებს. მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა-6%, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს ტურისტული მიზნებით იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის განვითარებაში ინფლუენსერმარკეტინგს შეუძლია გარკვეული წვლილის შეტანა, რესპონდენტების არც თუ ისე მცირე ნაწილი-21,9% არ ენდობა ან არაფრად არ მიიჩნევს-31,5% მას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული მარკეტინგი, ტურიზმის სექტორი, ხელოვნური ინტელექტი, ინფლუენსერმარკეტინგი

Abstract. Digital technologies and digital marketing have profoundly influenced the development of the tourism sector. The transformation of information dissemination models has streamlined communication with consumers and accelerated tourism growth. Accordingly, this study aims to evaluate consumers' digital engagement and competencies in adopting technological innovations, as well as to determine the extent of their impact on the tourism sector in Georgia.

The research is based on an analysis of existing literature and the results of a quantitative empirical study. An online survey of 302 respondents was conducted, and the collected data were processed using statistical methods. The findings indicate that the majority of respondents (89.7%) hold a positive attitude toward technological innovations. A significant proportion rate their competence in using digital technologies as high (57.9%) or very high (32.5%). The study also reveals variations in respondents' trust in digital technologies and in their frequency of using digital marketing tools. For tourism purposes, most respondents (47.7%) prefer mobile applications, while 21.5% favor e-ticket purchasing and online booking systems. Only a small share (6%) use artificial inelligence for tourism-related activities. Although influencer marketing can contribute to business development, a notable proportion of respondents either do not trust it (21.9%) or do not consider it important (31.5%).

Keywords: Digital technologies, digital marketing, tourism sector, artificial intelligence, influencer marketing

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის სფერო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორად იქცა როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისთვის (Sevrani & Elmazi, 2008), მათ შორის საქართველოსთვის. ტურიზმი, რომელიც საქართველოში დღეს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად ითვლება, ქვეყნისთვის საქმიანობის ახალი სფერო არ არის. საქართველოში უცხოელები უძველესი დროიდან მოგზაურობდნენ (მღებრიშვილი ბ., 2026), შესაბამისად ქვეყანას ამ მიმართულებით საკმარისი გამოცდილება აქვს დაგროვებული, რაც ხელს უწყობს ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომ განვითარება-სრულყოფას.

ტურიზმის სექტორის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მარკეტინგი, რომელიც დღეს, ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, ძალიან გააქტიურდა. ციფრული ტექნოლოგიებისა და ციფრული მარკეტინგის ეპოქამ მოგზაურობის მოყვარულ ადამიანებს შესთავაზა ინფორმაციის მოძიების ბევრი ახალი წყარო. ასეთია, მაგალითად, ვიდეორგოლები, რომელთაც შეუძლიათ ადამიანებს ტურისტული გამოცდილება ადგილზე შესძინონ სხვადასხვა მიმართულებით, შესაბამისად იმისა, თუ რაზეა ვიდეორგოლი ორიენტირებული: ადგილმდებარეობაზე, ტურისტულ აქტივობებსა თუ სოციალურ-კულტურულ გარემოზე (Tussyadiah & Fesenmaier, 2009). ადამიანებზე ზემოქმედების მოსახდენად, ბუნებრივია, ვიდეოების მსგავსად, გამოიყენება ციფრული მარკეტინგის სხვა საშუალებებიც. ასე რომ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა შეცვალა მოგზაურობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მოდელი (Qian et al., 2015), რამაც მოგზაურობით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზარდა და ტურიზმის შემდგომი განვითარების პროცესი დააჩქარა. ასე მოხდა საქართველოშიც.

სამთავრობო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის მიერ, მოგზაურობის მოყვარულ ადამიანებზე ზემოქმედების მოსახდენად, მრავალფეროვანი ციფრული ინსტრუმენტების ინტენსიურად გამოყენებამ ტურიზმის სექტორის შემდგომი განვითარება განაპირობა. ციფრულმა მარკეტინგმა ხელი შეუწყო ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და ქართული კომპანიების მიმზიდველი იმიჯის შექმნას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტების თვალში, რაც დადებითად აისახა ტურიზმის სექტორის განვითარების პროცესზე.

ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებმა შესაძლებელი გახადა მოგზაურობის მოყვარულ ადამიანებთან პერსონალური ურთიერთობის დამყარება, რამაც გაზრდა მათი ჩართულობისა და კმაყოფილების დონე (Awand & Alharthi, 2025). ამასთან, ონლაინპლატფორმების გამოყენებით, სულ უფრო იზრდება ტურისტული პროდუქტების გავრცელების საზღვრები და მათი ცნობადობა, რაც გავლენას ახდენს ტურისტების ქცევაზე. ეს გამოწვეულია ტურისტების ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, მობილურობისა და ფასების მიმართ მგრძნობელობის გაზრდით, კრიტიკული აზროვნების განვითარებით (Sevrani & Elmazi, 2008). ცვლილებებმა ტურისტების ქცევაში შექმნა ე.წ. ჭკვიანი ტურიზმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ტურისტული ობიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება (Buhalis&Amaranggana, 2015), რაც საბოლოოდ ტურისტების მომსახურების თანდათანობით გაუმჯობესებას მათი რაოდენობის ზრდას განაპირობებს.

ტურიზმის სექტორთან ერთად, მოგზაურობით დაინტერესებულმა ადამიანებმაც, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის შესაბამისად, დაიწყეს ახალი ტექნოლოგიების მოხმარება ტურისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დასამყარებლად და ტურისტული პროდუქტების შესაძენად. ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობა, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების ტექნიკა, ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა სახით სარგებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესის განვითარებისთვის (Mandal et al, 2026). ციფრულ მარკეტინგს აქვს უნარი რეალურ დროში დააკვირდეს მომხმარებლის ქცევას და გატარებული ღონისძიებების შედეგებს. ციფრული მარკეტინგი დღეს არის ის გზა, რომლითაც ტურისტული ბიზნესი მომხმარებლებს უკავშირდება (Kaur, 2017) და შეუძლია მნიშვნელოვნად დაზოგოს როგორც ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენლების, ისე მომხმარებლების დრო და ენერგია. ციფრული ტექნოლოგიების ორმხრივი გამოყენების პირობებში, ერთი მხრივ, ტურიზმის სექტორის და, მეორე მხრივ, მომხმარებლების მიერ, მნიშვნელოვნად იზრდება ტურისტების რაოდენობა და ტურისტული სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

2025 წლისთვის საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების საერთო რაოდენობამ მიაღწია 7 803 239-ს, საიდანაც ტურისტული ვიზიტი იყო 5 521 866. ქვეყნის შემოსავალმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 4 690 180 153 დოლარი შეადგინა. საერთაშორისო ტურიზმით საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში და სათანადო სარგებელსაც იღებს. დღეს არ არსებობს ეჭვი, რომ საერთაშორისო მოგზაურობა და ტურიზმი გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს და საერთაშორისო ვაჭრობაში მომსახურების უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს (Lew, 2011).

საერთაშორისო ტურიზმთან ერთად საქართველოში აქტიურად ვითარდება შიდა ტურიზმი, რომლის შემდგომი განვითარებისთვის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ყოველწლიურად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს. ასე რომ, ტურიზმის სექტორი ქვეყანაში სულ

უფრო ვითარდება და ძლიერდება. ამის შესაბამისად იზრდება მისგან მოტანილი სარგებელი როგორც ტურისტებისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის. 2019 წელს (პანდემიის დაწყებამდე) ტურიზმის ხვედრითი წილი მშპ-ში 8,4% იყო. ეს მაჩვენებელი პანდემიის დროს ძალიან შემცირდა, შემდეგ წლებში კი თანდათანობით ამაღლდა და 2024 წლისთვის მიაღწია 2017 წლის დონეს-7,3%-ს .

ბოლო პერიოდში ტურიზმის სექტორის განვითარება, როგორც უკვე ითქვა, უშუალოდ უკავშირდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობებიდან მეტი სარგებლის მიღებას. მართალია, ციფრული მარკეტინგი თანამედროვე მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული და საქართველოშიც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები (Todua et al, 2023; Todua, 2018; Todua & Gogitidze, 2024 და სხვ.) ტარდება, მაინც ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ასეთ პირობებში ფერხდება ტურიზმის სექტორის სრულფასოვანი ციფრული განვითარება (Todua, 2019). გამომდინარე აღნიშნულიდან დავინტერესდით, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლით. ჩვენი კვლევის ობიექტი გახდა საქართველოს მოსახლეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარებისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართ არსებული დამოკიდებულების შეფასება და მიღებული შედეგების გავლენის განსაზღვრა ტურისტული სექტორის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული სტატიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების როლი შეასრულა როგორც ქართველი [(Todua, 2018); (Todua, 2019); (Todua & Urotadze, 2021); (Todua et al, 2023); (Todua & Danelia, 2025); (Mghebrishvili, 2019); (Mghebrishvili, 2026); (Seturi, 2018); (Seturi, 2019); (Jashi, 2018); (Khokhobaia, 2018); (Khokhobaia & Gugushvili, 2021)], ისე უცხოელი [(Sevrani & Elmazi, 2008); (Law, 2011); (Demir et al, 2014); (Buhalis & Amaranggana, 2015); (Qian et al., 2015); (Mayer & Vogt, 2016); (Mandal et al, 2016); (Kaur , 2017); (Awand & Alharthi, 2025)] მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომებმა. გაანალიზდა, აგრეთვე, ტურიზმის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებული ანგარიშები, მიმდინარე პროექტების შესახებ არსებული ინფორმაცია. მათი შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა ანკეტა, რომლითაც ჩატარდა რესპონდენტების გამოკითხვა ონლაინში. გამოიკითხა 302 რესპონდენტი, რომლებიც გამოკითხვისთვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მიღებული შედეგების შეჯერებისა და საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად გამოყენებულ იქნა ზოგადი თეორიული მეთოდები, კერძოდ, ანალიზი და სინთეზი.

კვლევის შედეგები

ტურიზმის სექტორმა უნდა შეძლოს საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინება. ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მომხმარებლებთან დაკავშირება, არამედ მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებაც მომხმარებლებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანი ანალიზის მიხედვით. ამასთან, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებით მომხმარებლებთან ურთიერთობა მოითხოვს მათ მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარის ფლობას, ტექნოლოგიურ სიახლეებში გარკვევას. ჩვენს მიერ ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ გამოავლინა ქართული საზოგადოების დადებითი განწყობა ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ. ასეთი აღმოჩნდა რესპონდენტთა 89,7%. რესპონდენტთა 9,3% ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენს ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა (1%) დააფიქსირა

უარყოფითი განწყობა. მიღებული შედეგები დადებითად ფასდება და მიუთითებს ციფრული ტექნოლოგიებისა და ციფრული მარკეტინგის გამოყენების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობებზე ტურისტული სექტორის განვითარებაში, ეკონომიკის სხვა სფეროებთან ერთად.

თუმცა, ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ დადებითი განწყობა არ არის საკმარისი ტურიზმის სფეროში ციფრული მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის. მომხმარებელი უნდა ფლობდეს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სათანადო უნარს. გამოკითხვის შედეგებით გაირკვა, რომ ქართულ საზოგადოებაში ციფრული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების მხრივ პრობლემები ნაკლებად არსებობს. რესპონდენტთა აბსოლუტურ უმეტესობას (57,9%) მიაჩნია, რომ, ციფრული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების კუთხით, მაღალ კომპეტენციებს ფლობს. რესპონდენტთა შედარებით ნაკლები რაოდენობა (32,5%) თვლის, რომ ამ მიმართულებით მისი კომპეტენციები ძალიან მაღალია. მაგრამ, თანამედროვე საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომელთაც ციფრული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების ნაკლები უნარი აქვთ. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა (7,3%) ჩათვალა, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი განვითარებული აქვთ დაბალ დონეზე, უფრო მცირე ნაწილმა (2,3%) კი თავისი უნარი ამ კუთხით ძალიან დაბალ დონეზე შეაფასა. გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საზოგადოებაში, ციფრული მარკეტინგის კუთხით, გატარებული ღონისძიებების სათანადოდ აღქმის პოტენციალი ძალიან დიდია. ეს კარგია და მომავალში ხელს შეუწყობს ტურისტული ორგანიზაციების მიერ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების პროცესის შემდგომ გაფართოებას.

ქართველი მოგზაურობის მოყვარული ადამიანები განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა ინსტრუმენტების მიმართ. ასე, მაგალითად, რესპონდენტთა 47,7% ტურისტული პროდუქტის შესაძენად უპირატესობას მობილურ აპლიკაციებს ანიჭებს, 21,5% ელექტრონული ბილეთების შეძენას და ელექტრონულად დაჯავშნის შესაძლებლობას, 21,2% ონლაინრუკების გამოყენებას. რესპონდენტთა 6%-ისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებით სარგებლობა, 3,6%-ისთვის კი ვირტუალური ტურების გამოყენება. ცხადია, რესპონდენტები შეეცდებიან ციფრული მარკეტინგის იმ ინსტრუმენტის გამოყენებას, რომელიც, მათი შეფასებით, მეტ სარგებელს მოუტანს. სასურველია, აღნიშნული შედეგები გაითვალისწინონ ტურისტულმა ორგანიზაციებმა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სტრატეგიების განსაზღვრისთვის.

ტურისტული პროდუქტების გაყიდვა, ციფრული პლატფორმების გამოყენებით, უშუალო კავშირშია მომხმარებლების მიერ მათ მიმართ გამოჩენილ ნდობაზე, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლების ლოიალურ დამოკიდებულებას განაპირობებს. კვლევის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ რესპონდენტების უმეტესობა - 64,2% ციფრული პლატფორმების გამოყენებით ტურისტული პროდუქტების შეძენას ძირითადად ენდობა, 8,2% ზოგჯერ ენდობა, 13, 9% კი ყოველთვის ენდობა. რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა დააფიქსირა, რომ არ ენდობა (3%) ან არასოდეს არ ენდობა (0,7%). როგორც ჩანს, ციფრული პლატფორმების გამოყენებით ტურისტული პროდუქტების გაყიდვის გასაზრდელად, ტურიზმის სექტორმა უნდა იზრუნოს მომხმარებელთა ნდობის დონის შემდგომ ამაღლებაზე.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ტურისტული პროდუქტის შეძენას, მოგზაურობის მოყვარული ადამიანებისთვის, ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. თუმცა, ადამიანთა ნაწილი ტურისტული პროდუქტების ყიდვას ტრადიციული მეთოდით ამჯობინებს. ამას განაპირობებს

ორი ფაქტორი: მომხმარებელს არ შეუძლია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ისე, როგორც საჭიროა; მომხმარებელი არ ენდობა, სათანადოდ, ციფრულ ტექნოლოგიებს. ისინი, ვისაც შეუძლია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და ენდობა მათ, დღეისთვის უმეტესობას წარმოადგენენ. ამიტომ, ამ კატეგორიის ადამიანები მოგზაურობას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით გეგმავენ და ასე დაგეგმილ მოგზაურობას დადებითადაც აფასებენ. ასეთი აღმოჩნდა რესპონდენტთა უმრავლესობა (67,2%). მათი აზრით, ციფრული ტექნოლოგიებით მოგზაურობის დაგეგმვა სწრაფი და მოსახერხებელია. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მოგზაურობის დაგეგმვის მიმართ, მომხმარებელთა უმეტესობაში, დადებითი დამოკიდებულების არსებობა ციფრული მარკეტინგის გამოყენების გაფართოება-სრულყოფისთვის ფართო შესაძლებლობებს ქმნის.

მოგზაურობის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, დაგეგმვის დროს ადამიანებზე დადებითად ზემოქმედებენ გარკვეული ფაქტორები, რომელთა ნდობის ხარისხი მომხმარებლებში განსხვავებულია. რესპონდენტებში (59,3%) ყველაზე მეტ ნდობას მიმზიდველი ფოტოები/ვიდეოები იწვევს. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კომპანიის საიმედო ვებგვერდიც (54,3%).

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ადამიანებს, ზოგჯერ, მოგზაურობის სურვილს აღუძრავს ხოლმე ციფრულ ტექნოლოგიებთან შემთხვევითი შეხება. ეს გამოკითხვის შედეგებმაც დაადასტურა. სოციალურ ქსელში განთავსებული რეკლამის ნახვით ხშირად გასჩენია მოგზაურობის სურვილი რესპონდენტთა 37,4%-ს, ძალიან ხშირად 33,1%-ს, ზოგჯერ 23,8%-ს, იშვიათად 4,6%-ს, არასოდეს 1%-ს. აღნიშნული მონაცემები, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მომხმარებლის მიერ ტურისტული პროდუქტის იმპულსური ყიდვის დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს. ასე რომ, კარგი იქნება, თუ ტურიზმის სექტორი კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებს ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებს ადამიანებში მოგზაურობის სურვილის აღძვრისთვის და ამისთვის ისარგებლებს სოციალური ქსელებით.

ტურისტული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის კარგი შესაძლებლობები აქვს ინფლუენსერმარკეტინგს. ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ენდობა ინფლუენსერებისა და ბლოგერების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. რესპონდენტებს შორის ასეთი აღმოჩნდა 46,7%. მაგრამ რესპონდენტთა 21, 9%-მა უნდობლობა გამოუცხადა ინფლუენსერებსა და ბლოგერებს, 31,5%-ისთვის კი მათი არსებობა საერთოდ არაფერს ნიშნავს. მეტი მუშაობა სჭირდება ტურიზმის სექტორს იმისთვის, რომ მოგზაურობის მოყვარულ ადამიანებში ამაღლდეს ინფლუენსერებისა და ბლოგერების მიმართ ნდობა.

დასკვნა

ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა ციფრული ტექნოლოგიებისა და ციფრული მარკეტინგის გამოყენების პირობებში. მაგრამ, რიგი ლიტერატურული წყაროს შესწავლამ და ონლაინში ჩატარებულმა ანკეტური გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის, საქართველოში, ჯერჯერობით, სრულად არ გამოიყენება. უნდა ითქვას, რომ არც გამოწვევებია სრულად გამოკვლეული და გათვალისწინებული.

ჩატარებულმა კვლევამ მიგვიყვანა შემდეგ ძირითად მიგნებებამდე:

✓ ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ საქართველოს მოსახლეობა, ძირითადად, დადებითად არის განწყობილი;

✓ მოგზაურობის მოყვარული ადამიანების უმეტესობას ციფრული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების კარგი უნარი აქვს;

✓ ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებით მიწოდებული ინფორმაციის მიმართ ქვეყანაში საკმაოდ მაღალი დონის ნდობა არსებობს;

✓ ადამიანების უმეტესობა, მოგზაურობის დაგეგმვის დროს, უპირატესობას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას ანიჭებს;

✓ მოგზაურობის მოყვარული ადამიანები, ტურისტული პროდუქტების შესაძენად, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს ნაკლებად იყენებენ;

✓ მოგზაურობის მოყვარული ადამიანების ერთ, არც თუ ისე მცირე, ნაწილში ინფლუენსერებისა და ბლოგერების მიმართ ნაკლები ნდობა არსებობს.

ასე რომ, საქართველოში ტურისტული ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სტიმულირება როგორც ტურისტულ ორგანიზაციებში, ისე მოგზაურობით დაინტერესებულ ადამიანებში, რადგან, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პირობებში, მაღლდება მომსახურების ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონე. თანამედროვე ტურისტული კომპანიები, სწორედ ამიტომ, აქტიურად აკვირდებიან AI ტექნოლოგიების განვითარების მდგომარეობას და საკუთარ საქმიანობაში მათ ინტეგრაციას (Hamarat, H. et al., 2024), AI ტექნოლოგიები ხომ არის ის უახლესი ინოცაციური ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც ტურისტულ საწარმოებში მომსახურების სახეების ეფექტიანად მართვისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლებას უწყობს ხელს. ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ყველა ტურისტულმა საწარმომ. ამასთან, საჭიროა ბიზნესის მხრიდან ღონისძიებების გატარება ინფლუენსერებისა და ბლოგერების მიმართ მოსახლეობაში არსებული ნდობის დონის ასამაღლებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Awad, A., & Alharthi, B. (2025). The role of digital marketing tools in promoting tourism: An applied study on online marketing strategies. *Journal of Innovative Marketing, 21*(2), 14–26. https://doi.org/10.21511/im.21(2).2025.02

2. Buhalis, D., & Amaranggana, A. (2015). Smart tourism destinations enhancing tourism experience through personalisation of services. In *Information and communication technologies in tourism* (pp. 377–389). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-319-14343-9_28

3. Demir, S. S., Kozak, M., & Correia, A. (2014). Modelling consumer behavior: An essay with domestic tourists in Turkey. *Journal of Travel & Tourism Marketing, 31*(3), 303–312.

4. Jashi, C. (2018). Application of social marketing for sustainable tourism development. *International Scientific Journal, 1*(1), 19–28.

5. Kaur, G. (2017). The importance of digital marketing in the tourism industry. *International Journal of Research - Granthaalayah, 5*(6), 72–77. https://doi.org/10.29121/granthaalayah.v5.i6.2017.1998

6. Khokhobaia, M. (2018). Transdisciplinary research for sustainable tourism development. *Journal of International Management Studies, 18*(2), 21–26.

7. Khokhobaia, M., & Gugushvili, T. (2021). Tourism transformation in Georgia during the Soviet and post-Soviet eras. *Caucasus Analytical Digest, 122*, 3–8. https://doi.org/10.3929/ethz-b-000506344

8. Lew, A. A. (2011). Tourism's role in the global economy. *Tourism Geographies, 13*(1), 148–151. https://doi.org/10.1080/14616688.2010.531046

9. Mandal, P., Joshi, N., & Sheela, K. (2016). Understanding digital marketing: Theories and strategies. *International Research Journal of Management Science and Technology, 7*(9), 51–61. https://doi.org/10.32804/IRJMST

10. Mayer, M., & Vogt, L. (2016). Economic effects of tourism. *Zeitschrift für Tourismuswissenschaft, 8*(2), 169–198.

11. Mghebrishvili, B. (2019). Impact of changes in external marketing environment on the development of retail trade in Georgia. *Economics and Business, 2019*(2), 142–155. (In Georgian)

12. Mghebrishvili, B. (2026). Marketing aspects of gastronomic tourism development in Georgia. *International Journal of Multidisciplinary and Innovative Research, 3*(4), 283–289. https://doi.org/10.58806/ijmir.2026.v3i4n0.1

13. Qian, Y., Hu, J., & Zhang, M. (2015). Online travel information search. *Advances in Applied Sociology, 5*, 219–233. https://doi.org/10.4236/aasoci.2015.58021

14. Seturi, M. (2018). Some aspects of using marketing stimulation for attracting tourists. In *Proceedings of the III International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business* (pp. 338–341). (In Georgian)

15. Seturi, M., & Surmava, M. (2023). Attitude of consumers towards events organized by companies. *Archives of Business Research, 11*(11).

16. Sevrani, K., & Elmazi, L. (2008). ICT and tourism distribution. *Revista de Turism, 6*(6), 22–29.

17. Todua, N. (2017). Social media marketing for promoting tourism industry in Georgia. In *Proceedings of the 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications* (p. 168).

18. Todua, N. (2018). Impact of social media marketing on consumer behavior in the Georgian tourism industry. *International Academy Journal Web of Scholar, 3*(5), 11–16.

19. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business, 7*, 39–48. (In Georgian)

20. Todua, N., & Urotadze, E. (2021). Effect of perception of smart tourism technologies on Georgian tourist destinations loyalty. In *Proceedings of the 6th International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business* (pp. 156–162).

21. Todua, N., Jashi, C., & Todua, N. (2023). The impact of social media marketing activities on purchase intentions of healthcare consumers. *Economics and Business, 16*(4), 145–172.

22. Todua, N., & Gogitidze, N. (2024). Consumer attitude towards digital banking services (case of Georgia). *International Journal of Professional Business Review, 9*(11), 1–23. https://doi.org/10.26668/businessreview/2024.v9i11.5096

23. Todua, N., & Danelia, L. (2025). The effect of social media marketing on consumer behavior in the Georgian tourism industry. *International Journal of Research and Innovation in Social Science, 9*(6), 549–560.

24. Tussyadiah, I. P., & Fesenmaier, D. R. (2009). Mediating tourist experiences. *Annals of Tourism Research, 36*, 24–40. https://doi.org/10.1016/j.annals.2008.10.001

25. Yasmin, A., Tasneem, S., & Fatema, K. (2015). Effectiveness of digital marketing in the challenging age: An empirical study. *International Journal of Management Science and Business Administration, 1*(5), 69–80. https://doi.org/10.18775/ijmsba.1849-5664-5419.2014.15.1006

26. ნორმატიული/ონლაინ წყაროები (APA)

27. Geostat. (2025). *Statistical yearbook of Georgia 2025*. https://www.geostat.ge/media/77970/Yearbook_2025.pdf

28. Georgian National Tourism Administration. (2019). *Tourism statistical review*. https://api.gnta.ge/storage/files/doc/2019-geo.pdf

29. Georgian National Tourism Administration. (2024). *Tourism statistical review*. https://api.gnta.ge/api/v1/web/researches/download/264

30. Government of Georgia. (2024). *Government program 2025–2028*. https://www.gov.ge/files/90372_90372_536784_372256.pdf

31. Law of Georgia on tourism. (2023). https://api.gnta.ge/storage/files/doc/sak-art-velos-kanoni-turizmisshesaxeb.pdf

32. Georgian National Tourism Administration. (n.d.). *Official website*. https://gnta.ge/en

33. Ministry of Economy of Georgia. (n.d.). *Tourism strategy 2025*. https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

ნარჩენების მართვის ასპექტები ტურიზმისა და ცირკულარული ეკონომიკის კონტექსტში

Aspects of waste management in the context of tourism and circular economy

მაია ალადაშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
თამარ თამარაშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
Maia Aladashvili
IakobGogebashvili Telavi State University
Associate Professor of Faculty of Social Sciences, Business and Law
Tamar Tamarashvili
IakobGogebashvili Telavi State University
Associate Professorof Faculty of Social Sciences, Business and Law

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ნარჩენების მართვის ტენდენციები და გამოწვევები სასტუმრო სექტორში, ტურიზმის კონტექსტში და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებთან კავშირში. ნაშრომში გაშუქებულია ძირითადი გარემოებები ფაქტორები, რაც განაპირობებს ნარჩენების წარმოქმნას და ზრდას ტურისტულ სექტორში.

წინამდებარე კვლევაში წარმოჩენილია, ქსელური, მცირე, საშუალო და საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ნარჩენების მართვის საკითხები. ხაზგასმულია, რომ ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება, ნარჩენების სათანადო მართვა, რაც ამცირებს გადამუშავების შესაძლებლობებს და ზრდის გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას. ასევე აღნიშნულია, რომ არსებული გამოწვევები დაკავშირებულია ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან. ზოგიერთ შემთხვევაში კი პერსონალის კვალიფიკაციის ნაკლებობასთან.

სტატიაში ყურადღება გაამახვილებულია ცირკულარული ეკონომიკის როლსა და მნიშვნელობაზე, რომელიც ეყრდნობა ნარჩენების შემცირებას, მის ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებას. სტატიაში დასახელებული საკითხები განხილულია მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპების გათვალისწინებით. **ზოგადად, ტურისტული რესურსების შენარჩუნება, ტურისტული ნაკადების სწორი**

მართვა და გარემოს დაცვა არის მნიშვნელოვან საფუძველი და წინაპირობა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის.

მრავალი გამოკვლევის შედეგები დადგინა, რომ ნარჩენების მართვა მოითხოვს მრავალი სექტორის აქტიურ თანამშრომლობას, როგორც კერძო ასევე სახელმწიფოებრივ დონეზე,აგრეთვე მნიშვნელოვანია საგამანათლებლო დაწესებულებების: საჯარო სკოლების და საუნივერსიტეტო ჩართულობა ტურიზმის სექტორთან ერთად, რათა ამაღლდეს ცნობადობა საზოგადოებაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ნარჩენების მართვა, ტურიზმი, სასტუმრო ინდუსტრია, ცირკულარული ეკონომიკა, სეპარაცია, მდგრადი განვითარება

Abstract. This article analyzes the trends and challenges of waste management in the hotel sector in the context of tourism and in relation to the principles of the circular economy. The paper examines the main circumstances and factors that determine the generation and growth of waste in the tourism sector. This study presents waste management issues in hotels of different types and capacities. It is emphasized that, in many cases, proper waste management is not carried out, which reduces recycling opportunities and increases the negative impact on the environment. It is also noted that the existing challenges are related to technical and infrastructural problems as well as, in some cases, a lack of personnel qualifications.

The article focuses on the role and importance of the circular economy, which is based on waste reduction, reuse and recycling. The issues discussed are considered in light of the principles of sustainable tourism development. The preservation of tourism resources, proper management of tourist flows and environmental protection are important foundations and prerequisites for the sustainable development of tourism.

The study found that waste management, when aligned with the principles of the circular economy, requires the implementation of multiple measures and active cooperation between various sectors at both private and public levels. It is also important to involve educational institutions—such as public schools and universities—together with the tourism sector in order to raise societal awareness about waste management. Key measures include replacing disposable shampoo and soap with reusable dispensers in hotels, increasing awareness, retraining and informing hotel staff, using digital technologies, implementing on-site waste separation, composting organic waste and fostering active cooperation and partnerships with recycling organizations.

Keywords: waste management, tourism, hotel industry, circular economy, separation, sustainable development.

ცირკულარული ეკონომიკა სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი მოაქვს როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისთვის და გარემოსთვის. ცირკულარული ეკონომიკა წარმოების და მოხმარების ისეთი თანამედროვე მოდელია, რომელიც არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით მათ მრავალჯერად გამოყენებას, შეკეთებას, ქარხნულად აღდგენას და მათი სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას გულისხმობს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ნარჩენების მაქსიმალურად შემცირებას ნიშნავს.იმისათვის, რომ ზუსტად გავიგოთ, რატომაა ცირკულარული ეკონომიკა გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი გზა, ამისთვის მნიშვნელოვანია ის გლობალური პრობლემების მასშტაბი, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას,როგორიცაა:1. კლიმატის ცვლილება;2. გარემოს დაბინძურება3. ბიომრავალფეროვნების დაკარგვა.

მათ შორის კლიმატის ცვლილება კაცობრიობის ყველაზე დიდი გამოწვევაა, რადგან ტემპერატურის და ამინდის პირობების გრძელვადიანი ცვლილებები საბოლოოდ სრულიად შეცვლის დედამიწაზე სიცოცხლისთვის აუცილებელ ეკოსისტემებს. ეს ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის საქმიანობას, რადგან ჩვენი ყოველდღიური ქმედებები: ენერგიის მოხმარება, მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა წარმოქმნის სითბურ აირებს, რომელიც გარემოში გამოიფრქვევა.სწორედ ზემოაღნიშნული გახდა მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების ძირითადი მიზეზი, რაც შესაბამისად დაავადებების და ნაადრევი

სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი ხდება, რის გამოც მსოფლიოში ყოველწლიურად უამრავი ადამიანი ნაადრევად იღუპება.

ჰაერის დაბინძურების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ერთად გადაყრილი სხვადასხვა ნარჩენის ოდენობა, რომლებიც ჰაერთან და წყალთან შეხებისას რეაქციაში შედის ერთიმეორესთან და წარმოქმნის აალებად ან მხრჩოლავ აირებს, რაც კიდევ უფრო საშიში ხდება გარემოსთვის და ადამიანებისთვის, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამ ნარჩენების სეპარირება და აღდგენა და ხელახლა გამოყენება.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში გამოკვეთილია სამი მნიშვნელოვანი ტენდენცია:

1. ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ზრდას მოსდევს ბუნებრივი რესურსების ჭარბი მოხმარება;

2. საბაზრო ჩავარდნა - რაც ნიშნავს,რომ პროდუქტის საბოლოო ფასი ასახავს მხოლოდ მწარმოებელი კომპანიის დანახარჯებს და არ მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით ხარჯებს;

3. მსოფლიოში ხდება რესურსების დაჩქარებული ამოწურვა, ნარჩენების ოდენობის ზრდა და შესაბამისად, გარემოს დაბინძურებაც.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის გამო, მსოფლიო დაჩქარებული წესით გადადის ცირკულარული ეკონომიკის დანერგვაზე ყველა დარგში და სფეროში, სადაც მინიმუმამდეა შემცირებული ახალი რესურსის გამოყენება, გახანგრძლივებულია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი და შესაბამისად, მინიმუმამდეა დაყვანილი გადაყრილი ნარჩენების ოდენობა.

ნარჩენების მართვა უდიდეს გამოწვევადაა მიჩნეული საქართველოში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების დიდ ნაწილი იყრება და იმარხება ნაგავსაყრელებზე. ნაგავში მოხვედრილი ნარჩენი განსაკუთრებით სახიფათოა როგორც გარემოს, ასევე ადამიანების ჯანმრთელობისთვის, რადგან ამ ნარჩენების ქიმიური შემადგენლობა: მძიმე მეტალები, ნავთობპროდუქტები,ოზონდამშლელი ნივთიერებები და სხვა მავნე ელემენტები, იწვევს ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურებას, რადგან არ ხდება მათი სათანადოდ უტილიზაცია.

აღსანიშნავია რომ 2022 წლიდან ამოქმედდა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, რომელიც რამოდენიმე სახის ნარჩენის შეგროვებას და გადამუშავებას გულისხმობს თვითონ მწარმოებლის მიერ, მაგალითად გამოყენებული ზეთების, ბატარეების და აკუმულატორების, საბურავების, მოძველებული ელექტრო მოწყობილობების და სხვა, მაგრამ იმის გამო, რომ ან ნარჩენების გადამუშავება ხდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ძირითადად ევროპის ქვეყნებში, ეს იწვევს დამატებით ფინანსურ და ლოგისტიკურ პრობლემებს.

თუ გადავხედავთ 2025 წლის სტატისკიკას, „ნარჩენების მართვის ბიზნეს-ასოციაციამ“, 5000 ტონამდე ნარჩენი მოაგროვა და გადაამუშავა, რითაც ნაგავსაყრელზე მოხვედრის ნაცვლად, ცირკულარული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების , „გადამუშავების“ ციკლში მოხვდა.ეს ნიშნავს უფრო სუფთა გარემოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების საშუალო წლიურ რაოდენობას, რომელიც ყოველ 2 წელიწადში 300 000 ტონით იზრდება, ასევე პლასტმასის წარმოება 10%-ით იზრდება, მივხვდებით, რამდენად უმნიშვნელოა გადამუშავებული ნარჩენის წილი.

როგორც ცნობილია, საქართველოს , ნარცენების მართვის სტრატეგიის მიხედვით, (2016-2030), უნდა მიაღწიოს ქაღალდის, პლასტმასის, მეტალის და მინის რეციკლირების შემდეგ მინიმალურ მიზნებს:

2025 წლისთვის გადამუშავებული უნდა იყოს ამ პროდუქციის 50% , ხოლო 2030 წლისთვის - 80 %.

ვინაიდან ნარჩენების მართვის საკითხი საკმაოდ ღრმა და კომპლექსურია,მოიცავს საკმაოდ სხვადასხვა უწყებებს;კერძოდ

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ ხდება ცირკულარული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის - „ნარჩენების შემცირების“ განხორციელება ტურიზმის მიმართულებით, კერძოდ კი სასტუმრო ბიზნესში.

დღეისათვის მრავალი სასტუმრო ფუნქციონირებს კახეთის რეგიონში. ისინი ერთმანათისაგან განსხვავდებიან, მომსახურების კლასით, სერვისების სიმრავლით,მდებარეობით და მრავალფეროვნებით. მასშტაბებით და შეთავაზებით. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით,კვლევის ობიექტები შერჩეულ იქნა,ერთმანეთისაგან განსხავავებული დატვირთვის სასტუმროები, სასტუმროებისათვის შედგენილი იქნა კითხვარები, რომლის მიზანი იყო შეგვესწალა და წარმოგვეჩინა სექტორში არსებული პრობლემური საკითხები და კვლევის შედეგების საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები,კვლევა ჩატარდა შემდეგ სასტუმროებზე:

1. **სასტუმრო,,კავკასიონი 33''** დაარსდა 2006, **გათვლილია** 20 **ვიზიტორზე**
2. **,,კვირია''**, დაარსდა **2021 წ, გათვლილია 37 ვიზიტორზე**
3. **,პიანო ყვარელი''დაარსდა 2023წ.. გათვლილია ვიზიტორზე 30**
4. **,,,სამზეო'' დაარსდა 2024 წ,. გათვლილია ვიზიტორზე 140**
5. **.ჰოლიდეი ინი'' დაარსდა 2018 წ,, გათვლილია ვიზიტორზე 230**
6. **,,საოჯახო სასტუმრო თინიკოსთან''2008 წ. გათვლილია 11 ვიზიტორზე**
7. **კორპორაცია ქინძმარაული,**სასტუმრო -2015 წ; კორპორაცია ქინძმარაული - დაარსდა 1992. გათვლილია 150 ვიზიტორზე.
8. **,,ზუზუმბო რეზორტი''**, დაარსდა **2020.წ. გათვლილია** 220
9. **შპს ლოკალ ჰოტელ''** დაარსდა 2019 წ.**გათვლილია 120 ვიზტორზე**
10. **,,შატო ყვარელი''** დაარსდა **2013.წ. გათვლილია** 69 **ვიზიტორზე**
11. **სასტუმრო ,,კისი გარდენი'', 2020.წ. გათვლილია 30 კაცზე**
12. **,,ტოპ ფლორა'', 2015.წ. გათვლილია 15 ვიზიტორზე**
13. **სასტუმრო - რესტორანი ,,**ვინოოდორი'' დაარსდა , 2023 წ. -
14. **,,იყალთო ვუდსი''** დაარსდა **2024 .წ.** 45 ვიზიტორზეა გათვლილი
15. ,,შპს შუხმან ვაინს ჯორჯია'' დაარსდა 2006 წ. გათვლილია 150 ვიზიტორზე

გამოირკვა , რომ მცირე სასტუმროებში ძირითად არა ხდება თუ არა ნარჩენების დახარისხება (სეპარირება) არც კომპოსტირება. მნიშვნელოვანი ნაწილი ნარჩენებისა და ქალაქის ურნებში იყრება ან საკვებად აძლევენ ახლობლებს შინაური ცხოველებისათვის, არც ტრენინგებს და გარკვეულ სწავლებას არ გადიან პერსონალი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. დასახელებულ სასტუმროებს დაეგზავნათ კითხვარები :1.კითხვაზე დაასახელოთ რამდენიმე მოსაზრება ნარჩენების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ სათანადო კომპანიებს არ გააქვთ სასტუმროს ტერიტორიიდან ნარჩენები და ამიტომ იძულებულნი არიან ნარჩენები ჩაყარონ ბუნკერებში.

დიდი დატვირთვის სასტუმროებთან აღმოჩნდა რომ გავლილი აქვთ ნარჩებების მართვასთან დაკავშირებული ტრენინგები, გამომდინარე ქსელური სასტუმროს სტანდარტებიდან საკმაოდ მაღალია მათი ცნობადობა, თუმცა გამოთქვავენ სურვილს , რომ სეპარაციისთვის საჭირო ურნები მათ ტერიტორიაზე განთავსდეს,რომელსაც შემდგომ კომპანიები გაიტანდნენ. ეს გზა მათთვის ბევრად პრაქტიკული იქნება. .რამოდენიმე დადი დატვირთვის სასტუმროში ახდენენ ცალკ-ცალკე სახეობების მიხედვით. ახდენენ

პლასტმასის ბოთლი, მინის ბოთლი, ერთჯერადი ჭურჭელი, საკვები პროდუქტის ნარჩენი სეპარირირებას და სპეციალური კომპანიები პერიოდულად ახდენენ გატანას.

კვლევისას აღმოჩნდა რომ ქსელურ სასტუმროებში უტარდებათ ტრენინგები,ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. ხშირად ისინი თავადაც მასპინძლობენ ნარჩენების მართვასთან დაკავსირებულ ღონისძიებებს.

კითხვარში მითითებული გვქონდა ასეთი კითხვა: - თუ იცნობენ რაიმე ტიპის სახელმწიფო რეგულაციებს (აკრძალვა, მითითება), ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით?.

სასტუმროების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მათთვის ცნობილია სახელმწიფო რეგულაციები და აკრძალვები ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, (სახიფათო ნარჩენებზე, ელემენტები ბატარეიები).

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით 2026 წლიდან კახეთში იწყება მასშტაბური პროექტი,Wasteless ის მიერ, Wasteless არის სპეციფიკური ნარჩენების მართვის ასოციაცია.(საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია), რომელიც ეხმარება კომპანიებს თავიანთი ბიზნესის უნარჩენო, სუფთა და მდგრადი მიმართულებით გარდაქმნაში და ხელს უწყობს ნარჩენების მართვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას საქართველოში. Wasteless უზრუნველყოფს ნარჩენების შეგროვებას და ხელს უწყობს მათ სწორად მართვას. შეგროვებული ნარჩენები შესასწავლად და დასაშლელად გადაეცემა ადგილობრივ კონტრაქტორებს, ხოლო რისი გადამუშავებაც საქართველოში ვერ ხერხდება ექსპორტზე იგზავნება. ამ მიდგომით Wasteless ახდენს ნარჩენების ეფექტურად მართვას და ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვას.

პროექტის ფარგლებში მოხდება გარემოსდაცვითი პრაქტიკების გაძლიერება და ადგილობრივ დონეზე მდგრადი ქცევის კულტურის ფორმირება. პროექტის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება და გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის სისტემურ და მდგრად განვითარებას რეგიონში.პროექტი საგანმანათლებლო ნაწილსაც მოიცავს 31საჯარო სკოლა შეირჩა სადაც მოსწავლეებისათვის ჩატარდება ტრენინგები. პრეზენტაციები სადაც მოსწავლეები გაეცნობიან ცირკულარული ეკონომიკის საკითხებს,ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს გარემოსდაცვიტი კულტურის ჩამოყალიბებას და დადებით ზეგავლენას მოახდებს გარემოზეც და ადგილობრივ საზოგადოებაზეც . პროექტის ფარგლებში გამოცხადდება ნარჩენების შეგროვების დღეები, სადაც სკოლები ერთმანეთს შეეჯიბრებიან, ხოლო დასასრულს ჩატარდება მასშტაბური ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება გამარჯვებული სკოლები, რომლებიც დაჯილდოვდებიან. აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს

რეგიონში გარემოსდაცვითი კულტურის ჩამოყალიბებისა და ნარჩენების რესურსად გარდაქმნის პროცესის გასაძლიერებლად, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დადებით გავლენას მოახდენს, როგორც გარემოზე, ისე ადგილობრივ საზოგადოებაზე.

ასეთი ინიციატივები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს, როგორც მდგრადი ტურიზმის განვითარებას, სასტუმრო ინდუსტრიის სერვისების სწორ და ეფექტურ მართვას, ასევე მომავალი თაობისთვის სწავლებას და გამოცდილების შეძენას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ კახეთი ღვინის ტურიზმით გამორჩეული რეგიონია. უძველესი მევენახეობა მეღვინეობის ტრადიციებიდან გამომდინარე, დღეისათვის მრავალი ღვინის კომპანიას აქვს მცირე განთავსების ობიექტებიც . ასეთი ობიექტები აღნიშნავენ, რომ

მათთან რეგულარულად ხდება ნარჩენების სეპარირება სახეობების მიხედვით, ისინი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, აღნიშნავენ, რომ ღვინის წარმოების ნარჩენი – ხშირად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. ხოლო საკვები ნარჩენების – კომპოსტირებას ახდენენ. პლასტმასის ნარჩენებს კი – მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად გადამუშავების პუნქტში აბარებენ. ამასთანავე ახდენენ ქაღალდი/მუყაო – შეგროვება და გადაცემას გადამამუშავებელ კომპანიისათვის. ;ასევე მათთვის ცნობილია გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის წესებით.

ხოლო კითხვაზე გთხოვთ, დაასახელოთ რამდენიმე მოსაზრება ნარჩენების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით: აღნიშნავენ რომ ისურვებდნენ 1.მასშტაბური გადამამუშავებელი პუნქტის შექმნას რეგიონში; 2. ნარჩენების სეპარაციის რეგიონულ დონეზე სისტემის შექმნას ; 3.თანამშრომლებას გარემოსდაცვითი ორგანიზაციებთან, 4.განათლების გაზრდას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.; ნარჩენების დიდი ხნით შენახვა არაჰიგიენურია და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ყოველდღიური გატანა ტერიტორიიდან.

ჩატარებული კვლევის შედეგად ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

ნარჩენების მართვის აქვს მრავალი გამოწვევები, რომლის დასაძლევად უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები,უნდა მოხდეს*:

❖ **ნარჩენების სეპარაცია** - ხდება,მაგრამ მხოლოდ მცირე რაოდენობის სასტუმროებში.პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება ეკო-მეგობრული სასტუმროების განვითარების მიმართულებით, რომლებიც ცდილობენ ნარჩენების შემცირებასა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვას.მნიშვნელოვანია **ნარჩენების სეპარაციის სისტემის გაფართოება:**

აუცილებელია სასტუმროებში ნარჩენების სავალდებულო ან რეგულირებული სეპარაციის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პლასტმასის, მინის, ქაღალდისა და ორგანული ნარჩენების განცალკევება.

❖ **ნარჩენების მართვა** - სასტუმრო ინდუსტრიაში წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლის გადაჭრაც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესება, კერძო სექტორის ჩართულობა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება აუცილებელია მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და სასტუმრო ინდუსტრიაში გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

❖ **ინფრასტრუქტურის განვითარება:**საჭიროა ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, განსაკუთრებით ტურისტულად აქტიურ ზონებში, მათ შორის კახეთში.

❖ **კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგები, ინფორმირება,** სასტუმროს პერსონალის რეგულარული გადამზადება, აუცილებელია ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების დასანერგად. ტრენინგები ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ზრდას. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, (რაც ზოგავს ქაღალდს, მაგ. მენიუ QR კოდით, ელექტრონული ჯავშნები და სხვა აგრეთვე მნიშვნელოვანია) **ცნობიერების ამაღლება** მოსახლეობის, სასტუმროს პერსონალისა და ტურისტების ინფორმირება ნარჩენების სწორი მართვისა და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი

ქცევის შესახებ, რაც შესაძლებელია საინფორმაციო კამპანიების,რეკლამების ვიზუალური მასალებისა და მიმზიდველი ეკო - ინსტრუქციების საშუალებით.

❖ **ერთჯერადი პლასტმასის შემცირება:**რეკომენდებულია ერთჯერადი პლასტმასის პროდუქტების ჩანაცვლება ეკოლოგიურად უსაფრთხო ან მრავალჯერადი გამოყენების ალტერნატივებით.

❖ **სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება:** საჭიროა მკაფიო რეგულაციებისა და წახალისების მექანიზმების დანერგვა იმ სასტუმროებისთვის, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ ეკოლოგიურ პრაქტიკებს.

❖ **ეკო-მეგობრული სასტუმროების განვითარება:** მნიშვნელოვანია მწვანე ტურიზმის მხარდაჭერა და ისეთი სასტუმროების წახალისება, რომლებიც იყენებენ ენერგოეფექტურ და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს.

❖ **უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა:** სასტუმრო ინდუსტრიისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა ხელს უწყობს კვლევების განვითარებას, ინოვაციური მიდგომების დანერგვას და სტუდენტების პრაქტიკულ ჩართულობას. ასეთი პარტნიორობა ზრდის ცოდნის დონეს და აძლიერებს ეკოლოგიური საკითხებისადმი ცნობადობას.

❖ **ინდუსტრიული სიმბიოზის შექმნა** - სადაც მონაწილე კომპანიებს, მასალების ხელახალი გამოყენებით და გადამუშავებით, უმცირდებათ პირველად ნედლეულზე მოთხოვნა, რაც ნარჩენების შემცირებას განაპირობებს.

❖ საქართველოში ახლად ამოქმედებული კანონის „ სურსათის დანაკარგების, სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ თანახმად, შესაძლებელია ჭარბი, თუმცა, ვარგისი საკვების, საჭიროების მქონე ადამიანებთან გადამისამართება, რას საგრძნობლად შეამცირებს საკვების ნარჩენებს.

❖ ნაგავსაყრელზე მოხვედრის ნაცვლად ორგანული ნარჩენებისგან კომპოსტის დამზადება და პლასტმასის ბოთლების შეგროვების და ჩაბარების უზრუნველყოფა;

❖ ერთჯერადი საპნის ნაცვლად ყველა სასტუმროში მრავალჯერადი დისპენსერების გამოყენება.

❖ **პროდუქციის დახარისხება ადგილზე და აქტიური პარტნიორობა გადამამუშავებელ ორგანიზაციებთან.**

საქართველოში კახეთის გამოირჩევა, ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო რესურსებით და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით,რაც განაპირობებს, როგორც ტურისტების ასევე სხვდასხვა ტიპის განთავსების ობიექტების რაოდენობის ყოველწლიურ ზრდას და შესაბამისად ნარჩენების მოცულობის მატებას. ზემოაღნიშნული საკითხი მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარების საჭიროებას. ვინაიდან რეგიონში მოქმედი სასტუმროები და საოჯახო განთავსების ობიექტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოსდაცვით მდგომარეობაზე.მნიშვნელოვანია, რომ სასტუმრო ინდუსტრია წარმოადგენს ნარჩენების ერთ-ერთ წყაროს, რასაც სჭირდება სწორი და თანამიმდევრული მართვა ნარჩენების შეგროვების სისტემა,მათი შემდგომი გადამუშავების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ვისმეტი,ჰ.(2019). ცირკულარული ეკონომიკა-კონცეფცია და ფაქტები. სახელმძღვანელო. თბილისი: მომზადებულია GENN-ის მიერ.
2. პრაშეკი, დ., (2022). ცირკულარული ეკონომიკის სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისათვის. თბილისი: პირველი გამოცემა.
3. ცირკულარული ეკონომიკა - ძირითადი პრინციპები, ბიზნეს-მაგალითები და ცირკულარულ ღირებულებათა ჯაჭვი, (2026.) თბილისი, 2. შედგენილია CEEN -ის მიერ.
4. ნადირაშვილი გ. ჯანგულაშვილი დ. (2016.),, მდგრადი ტურიზმის საფუძვლები'' თბილისი .
5. https://wasteless.ge/full_new/ka/

ხელოვნური ინტელექტი და ციფრული სერვისები საქართველოს ჭკვიანი ტურიზმის განვითარებისთვის

Artificial Intelligence and Digital Services for the Development of Smart Tourism in Georgia

მაია მელაძე
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
Maia Meladze
PhD in Business administration. Associate professor
Grigol Robakidze Unversity
Tbilisi Humanitarian University

აბსტრაქტი. ხელოვნური ინტელექტი და გაციფრულება თანამედროვე სამყაროს განუყოფელი ნაწილია. ტურიზმი იყო ერთ-ერთი პირველი სექტორი, რომელმაც გლობალური მასშტაბით გააციფრულა ბიზნეს პროცესები. ავიაბილეთებისა და სასტუმროების ონლაინ დაჯავშნა იქცა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მისაბაძ მაგალითად. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გლობალურ ფენომენად გადაქცევის შემდეგ, ტურიზმი მუდმივად იყენებს ახალ ტექნოლოგიებსა და პლატფორმებს.

ციფრული ტექნოლოგიები ეხმარება ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ კომპანიებს დივერსიფიკაციასა და მასშტაბის გაფართოებაში, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეხმარება ტურიზმის სექტორში მოქმედ კომპანიებს არა მხოლოდ მომსახურების გაუმჯობესებაში, არამედ მათი დახმარებით შეუძლიათ გაყიდვების ზრდა.

არსებობს მრავალი აუცილებელი თანამედროვე ციფრული ტენდენცია, რომელთა შესახებაც ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ და ადაპტირდნენ, თუ სურთ წარმატებით ოპტიმიზაცია გაუკეთონ თავიანთ ბიზნეს ოპერაციებს.

ნაშრომის მიზანია საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული სერვისების იდენტიფიცირება, ჭკვიანი ტურიზმის განვითარების დონის დადგენა, მისი მახასიათებლების ანალიზი და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული აპლიკაციები, ხელოვნური ინტელექტი, ჭკვიანი ტურიზმი, ჭკვიანი მიმართულებები, ქართული ტურიზმი და მასპინძლობა, ქართული ციფრული პროდუქტები.

Abstract. Artificial intelligence and digitalization are an integral part of the modern world. Tourism was one of the first sectors to digitize business processes on a global scale. Online booking of airline tickets and hotels has become a role model for the use of digital technologies. Since information and communication technologies (ICT) have become a global phenomenon, tourism is constantly using new technologies and platforms.

Digital technologies are helping companies involved in the tourism industry to diversify and expand their scale than was previously possible. The use of artificial intelligence is helping companies operating in the tourism sector not only improve their services, but they can also help them increase sales.

There are many essential modern digital trends that tourism industry representatives need to be aware of and adapt to if they want to successfully optimize their business operations.

The aim of the paper is to identify digital services in the Georgian tourism sector, determine the level of development of smart tourism, analyze its characteristics, and review the challenges and opportunities in this direction.

Key words: Digital Applications, Artificial Intelligence, Smart Tourism, Smart Destinations, Georgian Tourism and hospitality, Georgian digital products.

შესავალი

ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ბიზნესში კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ეს პროცესი სხვადასხვა სარგებელს გვთავაზობს, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების ეფექტურობის გაუმჯობესება და ბიზნესის მოქნილობის გაზრდა. მრავალი ინდუსტრია, მათ შორის ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია, იზიარებს ამ ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციას. ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება, რაც იწვევს სტუმრების მომსახურების გაუმჯობესებას. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენებას შეუძლია გაამარტივოს და დააჩქაროს შიდა ოპერაციები, ხელი შეუწყოს მოწყობილობების ინტეგრაციას, გააუმჯობესოს კომუნიკაცია და უზრუნველყოს მონაცემთა ანალიზი. ამ საშუალებებით, მენეჯმენტს და პერსონალს შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ თანამედროვე მასპინძლობის სერვისებზე, იყვნენ ინფორმირებულნი ბაზრის ტენდენციების შესახებ და შესაბამისად შეცვალონ თავიანთი ბიზნეს და მარკეტინგული სტრატეგიები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიები (DTs) წარმოადგენს ინფორმაციის, გამოთვლითი, საკომუნიკაციო და კავშირის ტექნოლოგიების კომბინაციას, მათ შორის სოციალური, მობილური, ანალიტიკური, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების, ნივთების ინტერნეტის, ხელოვნური ინტელექტისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების (Busulwa et al., 2022). ციფრული ტრანსფორმაცია რევოლუციას ახდენს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში, რომელსაც სხვადასხვა ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, ვირტუალური რეალობა და ინტერნეტი ავითარებს (Erdoğan, 2021; Kumar & Sharma, 2024). ეს ტექნოლოგიები აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და ხელს უწყობს პერსონალიზაციას (Nikolskaya et al., 2021; Erdoğan, 2021). ადაპტაციისთვის, ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ ციფრული ბიზნეს შესაძლებლობები და შესაბამისი მენეჯმენტის კომპეტენციები (Busulwa et al., 2022). ტრანსფორმაცია სამ ძირითად ფაზაში ხდება: გაყიდვები და მარკეტინგი, ციფრული ბიზნეს ეკოსისტემები და სისტემების ინტეგრაცია (Erdoğan, 2021). საერთაშორისო მოგზაურები აქტიურად იყენებენ ონლაინ არხებს ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიზნით: გამგზავრებამდე ინფორმაციის მოძიება, ალტერნატივების შეფასება, მომსახურების დაჯავშნა და შეძენა და მოგზაურობის შემდგომი ქმედებები (Abashidze, 2023). ციფრული ტექნოლოგიები გადამწყვეტია ინდუსტრიის

განვითარებისთვის, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ინტეგრაციას და კომუნიკაციას (Nikolskaya et al., 2021).

ჭკვიანი ტურიზმი წარმოიშვა „ჭკვიანი ქალაქების“ (smart cities) კონცეფციიდან და მოიცავს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკოსისტემას, რომელიც აერთიანებს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და გამოყენებას რეალურ დროში (Buhalis & Amaranggana, 2014). ავტორი გამოყოფს ჭკვიანი ტურიზმის ძირითად კომპონენტებს: ციფრული ინფრასტრუქტურა, კავშირი, მონაცემთა ანალიტიკა, მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისები და მდგრადობა. კვლევები მიუთითებს, რომ ჭკვიანი ტურიზმის ეკოსისტემა ქმნის ღირებულებას როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესისთვის (Xiang et al., 2015).

AI ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება მომხმარებლის ქცევის ანალიზისა და პერსონალიზებული სერვისების მიწოდებისთვის. რეკომენდებული სისტემები ტურისტებს სთავაზობენ ინდივიდუალურად მორგებულ პროდუქტებსა და მარშრუტებს (Ricci et al., 2015). AI-ზე დაფუძნებული ჩატბოტები ფართოდ გამოიყენება ტურისტულ მომსახურებაში. ისინი უზრუნველყოფენ უწყვეტ კომუნიკაციას და ამცირებენ ოპერაციულ ხარჯებს (Tussyadiah & Park, 2018).

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ტურისტული ნაკადების პროგნოზირებისთვის, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურისა და მომსახურების უკეთ დაგეგმვას (Li et al., 2018). ციფრული სერვისები წარმოადგენს ჭკვიანი ტურიზმის პრაქტიკულ საფუძველს. ლიტერატურაში ხაზგასმულია შემდეგი ტექნოლოგიური მიმართულებები:

- მობილური აპლიკაციები – ციფრული გიდები და ნავიგაცია (Wang et al., 2016).
- ონლაინ დაჯავშნის პლატფორმები – ტურისტული მომსახურების ინტეგრაცია (Buhalis, 2020).
- IoT (Internet of Things) – სენსორებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურა.
- Big Data ანალიტიკა – ტურისტული ქცევის ანალიზი.

კვლევები მიუთითებს, რომ ციფრული სერვისების ინტეგრაცია ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას და ამცირებს მომსახურების დროისა და რესურსების ხარჯებს (Gretzel et al., 2015).

მოგზაურობის დაგეგმვის პროცესი ციფრული პროდუქტების გამოყენებით შეიძლება განვიხილოთ შემდეგნაირად:

1. **სურვილი და მოთხოვნილება** - მოგზაურობის დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპია, სადაც მოგზაურები შემოქმედებითად ფიქრობენ იმ ადგილების შესახებ, რომელთა მონახულებაც სურთ. ციფრული კონტენტი უნიკალურად კვებავს ამ ოცნებებს ონლაინ ძიების საშუალებით, რომელიც პოტენციურ მოგზაურებს აკავშირებს ისტორიებით, სურათებით, აღწერილობებითა და ვირტუალური გამოცდილებით, რომლებიც იკვლევს კონკრეტულ დანიშნულების ადგილებს, კულტურებს, სამზარეულოს და სხვა.

2. **მოგზაურობის დაგეგმვა** - შემდეგი ეტაპია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც გადაწყვიტეს გადაწყვიტეს იმოგზაურონ ზოგადად ან რამდენიმე ალერნატიული ადგილმდებარეობის მიმართულებით. ამ ეტაპზე მოგზაურები აანალიზებენ ხელმისაწვდომ ტრანსპორტს, საცხოვრებელს და თითოეულ დანიშნულების ადგილთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ონლაინ ძიება ეხმარება მოგზაურებს იპოვონ საუკეთესო ვარიანტი, რომელიც შეესაბამება მათ არჩევანს მიმოხილვების, ონლაინ და სოციალურ მედიის ინფორმაციისა და ონლაინ დაჯავშნის შესაძლებლობის მეშვეობით.

3. **დაჯავშნა** - დაგეგმვის მესამე ეტაპია, რომელიც მოიცავს მოგზაურობის გამოცდილებისთვის განხორციელებულ პირველ შესყიდვებს. მოგზაურები ხშირად იწყებენ ამ

ნაბიჯს მარტივი ციფრული პლატფორმების ძიებით, რომლებიც სწრაფ და გამჭვირვალე ტრანზაქციებს გვთავაზობენ. ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფენ ორმაგ სარგებელს: სიმარტივე და ფასების გამჭვირვალობა დაჯავშნის პროცესში.

4. **ტურისტი დანიშნულების ადგილზე ყოფნისას** ყველაზე შთამბეჭდავ მდგომარეობაშია - როდესაც ის ციფრული კონტენტის სიზუსტესა და ხარისხს ამოწმებს. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურები დროსა და ფულს ონლაინ პლატფორმებზე ოცნებაში, დაგეგმვასა და დაჯავშნაში ხარჯავენ, მოგზაურობის გამოცდილება ციფრულად შეიძლება გაუმჯობესდეს. დანიშნულების ადგილისთვის სპეციფიკურ ციფრულ პლატფორმებს შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, როგორიცაა ატრაქციონების სამუშაო საათები და ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროტოკოლები, საგანგებო სამსახურები, ვალუტის შესახებ ინფორმაცია და ადგილობრივი წეს-ჩვეულებები. ციფრულ კონტენტს შეუძლია გააუმჯობესოს ვიზიტორის გამოცდილების ხარისხი და გაზარდოს მათი ხარჯები დანიშნულების ადგილზე.

5. **გაზიარება** - შეიძლება იყოს ყველაზე გავლენიანი ფაქტორი დანიშნულების ადგილის ციფრულად განსაზღვრისას. მოგზაურობის დაგეგმვის ყველა ეტაპზე მოგზაურის შთაბეჭდილებები შეიძლება გამოიხატოს მათივე რეკომენდაციებითა და მოწონებით, პროცესში გამოყენებული თითოეული ციფრული პლატფორმის მიმოხილვების ან სოციალური მედიის არხების მეშვეობით სოციალური მედია აღწევს აუდიტორიის ფართო სპექტრს, რათა მიაღწიოს იმ ადამიანებს, რომლებსაც აქამდე არასდროს უოცნებიათ დანიშნულების ადგილის მონახულებაზე. ის, თუ როგორ ურთიერთქმედებს დანიშნულების ადგილი მოგზაურებთან სოციალურ მედიაში მათი გამოცდილების გაზიარებით, აუმჯობესებს დანიშნულების ადგილებსა და მოგზაურებს შორის ურთიერთობას და სხვებსაც უბიძგებს, დაიწყონ მოგზაურობის დაგეგმვის პროცესი.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო აფინანსებს სხვადასხვა სფეროს სხვადასხვა აპლიკაციებსა და ინოვაციებს. 2019 წლიდან დაფინანსდა სასტუმრო სექტორის პროექტებიც (Meladze & Sachaleli, 2023).

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში დამუშავების პროცესშია. კორონავირუსმა დააჩქარა ტურიზმის ინდუსტრიაში ციფრული სერვისების დანერგვის საჭიროებ. ვიმედოვნებთ, რომ დროთა განმავლობაში ეს მიმართულება გაუმჯობესდება საქართველოში და შიდა ტურიზმის ბაზარი აქტიურად გამოიყენებს ციფრულ პლატფორმებს, სისტემებსა და აპლიკაციებს (Meladze et al., 2024) .

ქართული პროდუქტები გვთავაზობენ უნიკალურ მახასიათებლებს, რომლებიც მორგებულია ადგილობრივ ბაზარსა და კულტურულ პრეფერენციებზე; ქართული პროდუქტები საშუალებას აძლევს ბიზნესებს წარმოაჩინონ ადგილობრივი ინოვაციები და დააკმაყოფილონ კონკრეტული რეგიონული საჭიროებები; ქართული ციფრული პროდუქტები ხელს უწყობს ადგილობრივი ავთენტურობის განცდის ჩამოყალიბებას და უკეთეს რეზონანსს ქმნის ადგილობრივ მომხმარებლებთან; ქართული ციფრული პროდუქტების დანერგვა მხარს უჭერს ადგილობრივ ტექნოლოგიურ ინდუსტრიას, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ინოვაციებს ქვეყანაში. საერთაშორისო და ქართული ციფრული პროდუქტების კომბინირებული გამოყენება მასპინძლობის ოპერაციებში საშუალებას აძლევს ბიზნესებს გამოიყენონ გლობალური სტანდარტები, დააკმაყოფილონ ადგილობრივი საჭიროებები და შექმნან ყოვლისმომცველი და ადაპტირებადი ციფრული ინფრასტრუქტურა (Meladze & Khakhubia, 2024).

მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა სტატიების, სამეცნიერო ნაშრომების, ლიტერატურული მიმოხილვებითა და ქართველი და უცხოელი მეცნიერების წიგნების საშუალებით მოწოდებული მასალების გამოყენებით. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემები და დამატებითი ინფორმაცია მოპოვებული იქნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან.

პროგრამების/აპლიკაციების მფლობელების საიტიდან მასპინძლობის ბიზნესის გამოწვევების შესასწავლად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, ხოლო მასპინძლობის სექტორში ციფრული ტექნოლოგიების როლის შესასწავლად და თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობის ხაზგასასმელად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (გამოკითხული იქნა 32 ბიზნესის მფლობელი), რომლებიც იყენებენ პროგრამულ უზრუნველყოფას. კითხვარი შეიცავდა ღია კითხვებს, რათა მონაწილეებს შეეძლებოდათ თავიანთი შეხედულებებისა და იდეების შეუზღუდავად გაზიარება. ასევე, ზოგიერთმა ანონიმურად დარჩენა გადაწყვიტა.

შედეგები და მსჯელობა

ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და ხელოვნური ინტელექტმა ამ ევოლუციის ტემპი და მასშტაბი წარმოუდგენელი გახადა. ტურიზმის სექტორში ახალი ტერმინიც კი გაჩნდა: ტექნოლოგიური ტურიზმი. როგორ უწყობს ხელს ეს გლობალური ინდუსტრია პროგრესს და რა დონის ტექნოლოგია გამოიყენება საქართველოს ტურიზმში?

ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ზრდის მომსახურების ხარისხს და ამცირებს დროს, რაც სარგებელს მოუტანს როგორც კლიენტს, ასევე მომსახურების მიმწოდებელს. ხელოვნური ინტელექტი უკვე აქტიურად შემოდის ტურიზმის ინდუსტრიაში. ისეთი დიდი პლატფორმები, როგორიცაა TripAdvisor, Booking.com, Airbnb და სხვა, უკვე განიხილავენ ხელოვნური ინტელექტის აქტიურ გამოყენებას. ეს ეხმარება მომხმარებელს პლატფორმებზე ნავიგაციაში და სასურველი მომსახურების უფრო სწრაფად მიღებაში, ხოლო ბიზნესი დამატებით მომხმარებლებს მოიზიდავს.

ბიზნესი და კერძო სექტორი ინოვაციებს სახელმწიფოზე სწრაფად ითვისებს. ეს სინამდვილეში უნივერსალურია - კერძო სექტორი ინოვაციებს უფრო სწრაფად ეგუება, ვიდრე საჯარო სტრუქტურები.

იმისათვის, რომ გავიგოთ ტექნოლოგიების მნიშვნელობა საქართველოს მასპინძლობის სექტორისთვის, უნდა შევადაროთ არა მხოლოდ მსოფლიო გამოცდილება, არამედ ისიც, თუ როგორ ვითარდებოდა ეს სექტორი ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში. მაგალითად, 5-6 წლის წინ ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის ძალიან არამეგობრული გარემო იყო. ზოგიერთი ბიზნესმენი თვლიდა, რომ Facebook-ის ან Instagram-ის გვერდები საკმარისი იქნებოდა მათი ბიზნესისთვის. თანამედროვე ტექნოლოგია გაცილებით მეტია და ეს შეხედულება სულ უფრო პოპულარული ხდება ტრადიციულ ბიზნესებშიც კი.

მომხმარებელთა დამოკიდებულება Booking.com-ის მიმართ შეიცვალა. თუ ადრე ტურისტები მას სასტუმროს დასაჯავშნად იყენებდნენ, ახლა ისინი ვებგვერდს უფრო ხშირად იყენებენ სასტუმროს დასათვალიერებლად. ახლა booking.com-ზე მოგზაური ხშირად მხოლოდ სასტუმროებს ათვალიერებს და შემდეგ ცდილობს მათთან პირდაპირ დაკავშირებას. ამრიგად, მომხმარებლები ელიან, რომ თუ სასტუმროს პირადად დაუკავშირდებიან, უკეთეს ფასად მიიღებენ მომსახურებას, მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთ აქციაში, მიიღებენ უფასო საუზმეს და ა.შ. ეს ტენდენცია უკვე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს. სასტუმროს უნდა ჰქონდეს ვებგვერდი, სადაც მზად იქნებიან სტუმრებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს რეგიონების ზოგიერთ სასტუმროში ჯავშნები Excel-ში იწერებოდა და Google Maps-ზე მდებარეობა სწორად არ იყო მონიშნული. Excel-ში მუშაობა შეიძლება მარტივი იყოს, მაგრამ ამ გზით მუშაობა ნიშნავს, რომ ბიზნესი ზრდაზე არ ფიქრობს, რადგან როდესაც ის სხვადასხვა არხზეა განთავსებული, Excel არამოქნილი ხდება. ქართულმა კომპანიებმა ნელ-ნელა დაიწყეს Channel Manager-ის გამოყენება, რომელიც ბიზნესის მართვის გაუმჯობესების მაჩვენებელია. არხის მენეჯერი ამარტივებს სამუშაოს - იცავს არასაჭირო დაჯავშნებისგან და ყველაფერს ერთ სივრცეში ათავსებს, რაც ბიზნესს საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება მეტ პლატფორმაზე იყოს წარმოდგენილი. გაციფრულება ზოგავს თანამშრომლების დროსა და ენერგიას, ისინი კი, თავის მხრივ, უფრო ბედნიერები და მომხმარებლების მიმართ უფრო ლოიალურები იქნებიან. საბოლოო ჯამში, მთავარი მიზანი მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდაა.

ქართული ბიზნესი და ქართული საზოგადოება გამოირჩევა სიახლეებისადმი ღია დამოკიდებულებით, რაც აისახება ყველაფერში, ChatGPT-ის გამოყენების სიხშირიდან დაწყებული, სოციალური ქსელებითა და კრიპტოვალუტებით დამთავრებული. ქართული საზოგადოება ტურიზმის სფეროში სტარტაპების დაარსების საწყის ეტაპზეა. მაგალითად, e-consul ურჩევს და უზრუნველყოფს ონლაინ დახმარებას ვიზის მიღებაში იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოს არ აქვს უვიზო მიმოსვლა; მათ მომსახურებაზე მოთხოვნა შედარებით მაღალია.

ციფრული ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნესისთვის. პლატფორმა Biliki არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტურიზმში. Biliki AI-ის ბეტა ვერსია უკვე გამოიყენება და საშუალებას აძლევს მოგზაურებს დაგეგმონ მთელი მარშრუტი ბიუჯეტისა და ხანგრძლივობის მიხედვით.

ტურიზმისა და მასპინძლობის ბიზნესში ტექნოლოგიების შეღწევადობის გაფართოებაა საჭირო. eHotelspace პლატფორმა სასტუმროებს ვებგვერდების შექმნაში ეხმარება, რათა პროცესი სწრაფი იყოს და ბიზნესებს თვეების განმავლობაში ლოდინი არ მოუწიოთ. დიდი ხნის განმავლობაში საშუალო და მცირე სასტუმროების მფლობელები სამუშაო პლატფორმებად Booking, Airbnb, Facebook ან Instagram გვერდებს განიხილავდნენ. თუმცა, მალევე დაინახეს ვებგვერდის ქონის აუცილებლობა, სადაც eHotelspace-ს დახმარება შეეძლო. ამ თანამედროვე პლატფორმების გამოყენება როგორც ბიზნესის დროს დაზოგავს, ასევე მომხმარებელთა კმაყოფილებას გაზრდის. ხელოვნური ინტელექტმა თამაშის წესები სრულიად შეცვალა და ახალ დონეზე აიყვანა. ამ ტენდენციას საქართველოს ტურიზმის სექტორიც უნდა მიჰყვეს.

კვლევამ აჩვენა, რომ ზემოთ ხსენებული საერთაშორისო და ქართული ინსტრუმენტების გარდა, საქართველოში ციფრული პროდუქტებიც შემუშავდა და გამოიყენება. მათ შორისაა: self.ge, retain.ge, area.ly, travelgis.ge, LiveCaller.io, wifisher.com, Fina, FMG, Tripcamp.ge და სხვა.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი და ციფრული სერვისები წარმოადგენს ჭკვიანი ტურიზმის განვითარების ცენტრალურ ელემენტებს. საქართველოსთვის აღნიშნული ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაცია მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე ტურისტული გამოცდილების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კვლევები მიუთითებს, რომ AI და ციფრული სერვისების ინტეგრაცია შეიძლება გახდეს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის წყარო (UNWTO, 2021). საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ჭკვიანი ტურიზმის განვითარებისთვის: უნიკალური

კულტურული და ბუნებრივი რესურსები; მზარდი ტურისტული ნაკადები და ციფრული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიები.

საქართველოს ტურიზმის სექტორი ბოლო წლებში სწრაფი ზრდით ხასიათდება, თუმცა ციფრული ტრანსფორმაციის დონე ჯერ კიდევ შეზღუდულია. კვლევა მიუთითებს შემდეგ გამოწვევებზე:

- რეგიონებს შორის ციფრული უთანასწორობა
- მონაცემთა ინტეგრაციის ნაკლებობა
- AI ტექნოლოგიების შეზღუდული გამოყენება

მომავალი კვლევები უნდა ფოკუსირდეს:

- ლოკალურ მონაცემებზე დაფუძნებულ AI მოდელებზე
- მდგრადი ტურიზმის ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე
- რეგიონული განვითარების მხარდაჭერაზე

ხელოვნური ინტელექტი და ციფრული სერვისები წარმოადგენს ჭკვიანი ტურიზმის განვითარების ძირითად ბერკეტს. საქართველოსთვის ამ ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაცია შეიძლება გახდეს კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი წყარო. თუმცა ამისათვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარება, ცოდნის გაღრმავება და სტრატეგიული მიდგომების დანერგვა.

ლიტერატურა

1. მელაძე მ., გვარამაძე ა., ძიმისტარიშვილი ლ. (2023) ქართველი მოგზაურების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, https://www.gruni.edu.ge/other_content/index/994/1445595987

2. Abashidze, I. (2023). The influence of online platforms on decision-making process and behavioural traits of international travelers. ESI Preprints. https://doi.org/10.19044/esipreprint.12.2023.p132

3. Buhalis, D. (2020). Technology in tourism: From information communication technologies to eTourism and smart tourism.

4. Buhalis, D., & Amaranggana, A. (2014). Smart tourism destinations.

5. Busulwa, R., Pickering, M., & Mao, I. (2022). Digital transformation and hospitality management competencies: Toward an integrative framework. International Journal of Hospitality Management, 102, 103132. https://doi.org/10.1016/j.ijhm.2022.103132

6. Cheng, X., Xue, T., Yang, B., & Ma, B. (2023). A digital transformation approach in hospitality and tourism research. *International Journal of Contemporary Hospitality Management*. https://doi.org/10.1108/IJCHM-06-2022-0679

7. Erdoğan, H. A. (2021). Digital transformation in tourism. In *Emerging transformations in tourism and hospitality*.

8. Gretzel, U., Sigala, M., Xiang, Z., & Koo, C. (2015). Smart tourism: Foundations and developments. *Electronic Markets, 25*(3), 179–188. https://doi.org/10.1007/s12525-015-0196-8

9. Kotler, P., Bowen, J. T., & Baloglu, S. (2022). *Marketing for hospitality and tourism* (8th ed.). Pearson Education Limited.

10. Kumar, P. S., & Sharma, D. A. (2024). An era of digital transformation in the hospitality & tourism sector. *Educational Administration: Theory and Practice*.

11. Letandze, N. (2023). The impact of digital technologies on the development of rural tourism in Georgia. In *Proceedings of the 1st International Conference of the Institute of Geography and Tourism of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*. https://proceedings.taas.ge/index.php/taas/article/view/7055/7033

12. Li, X., Pan, B., Law, R., & Huang, X. (2018). Forecasting tourism demand with machine learning approaches. *Annals of Tourism Research, 72*, 245–257.

13. Meladze, M., & Khakhubia, N. (2024). Use of digital products in the tourism sector of Georgia (Case of Adjara Region). *German International Journal of Modern Science, 73*, 8–12. https://zenodo.org/records/10613444

14. Meladze, M., & Sachaleli, N. (2023). Digital travelers and tourism industry. *German International Journal of Modern Science, 68*. https://doi.org/10.5281/zenodo.10151088

15. Meladze, M., Gvaramadze, A., & Bestaeva, S. (2024). Digital services in Georgian tourism – The basis of smart tourism. *European Scientific Journal, 20*(37), 90–100. https://doi.org/10.19044/esj.2024.v20n37p90

16. Nikolskaya, E. Y., Zakharova, E. V., Galkin, D. V., Kovaleva, N. I., & Panova, N. A. (2021). The impact of digital technologies on the transformation of the tourism and hospitality industry. *Revista Gestão Inovação e Tecnologias, 11*(4), 123–135.

17. Ricci, F., Rokach, L., & Shapira, B. (2015). *Recommender systems handbook* (2nd ed.). Springer.

18. Tussyadiah, I. P., & Park, S. (2018). Consumer evaluation of chatbots in tourism. *Journal of Travel Research, 57*(5), 597–611.

19. UNWTO. (2021). *Tourism and digital transformation*. World Tourism Organization.

20. Wang, D., Xiang, Z., & Fesenmaier, D. R. (2016). Smartphone use in everyday life and travel. *Journal of Travel Research, 55*(1), 52–63.

21. Xiang, Z., Schwartz, Z., Gerdes, J. H., & Uysal, M. (2015). What can big data and text analytics tell us about hotel guest experience? *International Journal of Hospitality Management, 44*, 120–130.

22. Zhang, Z., Li, N., & Liu, Z. (2019). Artificial intelligence in tourism: A review and research agenda. *Tourism Management Perspectives, 30*, 100–110.

საქართველოს ტურიზმი პოსტპანდემიურ და გეოპოლიტიკურ გარემოში: ვიზიტორთა დინამიკა, ქცევა და სტრუქტურული ცვლილებები

Georgian Tourism in the Post-Pandemic and Geopolitical Environment: Visitor Dynamics, Behavior and Structural Changes

ნინო ტალიკაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Nino Talikadze
Business and Technology University
Associate Professor

აბსტრაქტი. მოცემული ნაშრომი იკვლევს საქართველოს ტურიზმის სექტორის ტრანსფორმაციას პოსტპანდემიურ პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღებას ამახვილებს 2022–2025 წლების ტენდენციებზე. კვლევა ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს და მოიცავს ვიზიტორთა რაოდენობის, სტრუქტურის, ხარჯების, ვიზიტის მიზნებისა და რეგიონული განაწილების ანალიზს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მიუხედავად COVID-19-ის მიერ გამოწვეული შოკისა, ტურიზმის სექტორმა სწრაფი აღდგენა განიცადა, თუმცა ხასიათდება არასტაბილურობით და გეოპოლიტიკური ფაქტორებისადმი მგრძნობელობით. გამოვლენილია ბაზრის მაღალი კონცენტრაცია მეზობელ ქვეყნებზე, ევროკავშირის ბაზრის დაბალი წილი და რეგიონული დისბალანსი ტურისტულ ნაკადებში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურიზმის კავშირს შრომის ბაზართან, ტექნოლოგიურ განვითარებასთან და მდგრადობის გამოწვევებთან. წარმოდგენილია რეკომენდაციები ბაზრის დივერსიფიკაციის, რეგიონული განვითარების და მაღალი ღირებულების ტურიზმის სეგმენტების განვითარების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი საქართველოში, პოსტპანდემიური ტურიზმი, ვიზიტორთა ქცევა, ტურიზმის აღდგენა

Abstract. This paper examines the transformation of Georgia's tourism sector in the post-pandemic period, with a particular focus on trends observed between 2022 and 2025. The study is based on official statistical data and analyzes visitor flows, structure, expenditure patterns, travel purposes, and regional distribution.

The findings indicate that despite the severe shock caused by COVID-19, the tourism sector has demonstrated a strong recovery, although it remains highly volatile and sensitive to geopolitical factors. The market is characterized by a high concentration of visitors from neighboring countries, a relatively low share of EU tourists, and significant regional imbalances.

The paper also explores the interconnections between tourism, labor markets, technological advancements, and sustainability challenges. Policy recommendations are provided to support market diversification, regional development, and the promotion of high-value tourism segments.

Keywords: Tourism in Georgia, Post-pandemic tourism, Visitor behavior, Tourism recovery.

ტურიზმის ინდუსტრია ისტორიულად ხასიათდება მაღალი მგრძნობელობით გლობალური შოკების მიმართ, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა COVID-19 პანდემიის პერიოდში. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ კრიზისები, იქნება ეს ეკონომიკური, ჯანმრთელობის, გეოპოლიტიკური თუ ეკოლოგიური, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურისტულ ნაკადებზე, მოგზაურობის ქცევასა და ინდუსტრიის სტრუქტურაზე (Gössling et al., 2020; Škare et al., 2021). COVID-19 პანდემიამ, ტურიზმის ინდუსტრიაზე მოახდინა უპრეცედენტო და მრავალმხრივი გავლენა. საერთაშორისო ტურიზმის ბაზარი აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული სექტორი, რაც გამოიხატა ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი შემცირებით, დასაქმების კლებითა და ეკონომიკური აქტივობის შემცირებით (Zaika & Avriata, 2024)

გლობალური კრიზისების გავლენის ანალიზი აჩვენებს, რომ ტურიზმის სექტორი განსაკუთრებით მოწყვლადია, რადგან იგი დამოკიდებულია როგორც საერთაშორისო გადაადგილებაზე, ისე მომხმარებლის ხარჯებზე. კრიზისების შედეგად, მოკლევადიან პერიოდში ფიქსირდება ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, თუმცა გრძელვადიან

პერსპექტივაში ვითარდება ახალი ტენდენციები, როგორიცაა შიდა ტურიზმის ზრდა, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და მდგრადი ტურიზმის გაძლიერება (Sigala, 2020; UNWTO, 2022). კვლევები მიუთითებს, რომ პანდემიის გავლენა ტურიზმზე იყო როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი. პირდაპირი გავლენა უკავშირდებოდა მოგზაურობის შეზღუდვებსა და ინფექციის შიშს, ხოლო ირიბი გავლენა განპირობებული იყო შემოსავლების შემცირებითა და ეკონომიკური აქტივობის შემცირებით (Varzakas & Metaxas, 2024). აღნიშნული ფაქტორები ერთობლივად განაპირობებდა საერთაშორისო ტურიზმის ხარჯების და მოთხოვნის შემცირებას.

პანდემიამდე, პანდემიის პერიოდში და მის შემდგომ პერიოდში ტურიზმის განვითარების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ COVID-19-მა არა მხოლოდ დროებითი კრიზისი გამოიწვია, არამედ - სისტემური ტრანსფორმაციაც. კვლევების მიხედვით, ტურიზმის ბაზარი გადავიდა „ახალ ნორმაზე“, სადაც გაიზარდა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მნიშვნელობა, მოქნილი დაჯავშნის პირობები და მომხმარებლის ნდობის ფაქტორი (Higgins-Desbiolles, 2021; Sharma et al., 2021).

საერთაშორისო ტურიზმის ბაზრის დინამიკის კვლევები აჩვენებს, რომ პანდემიამ დააჩქარა ტურიზმის ინდუსტრიის ადაპტაცია და აღდგენა (OECD, 2022).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენას ტურიზმზე. თანამედროვე გლობალურ გარემოში, სადაც იზრდება პოლიტიკური დაძაბულობა და რეგიონული კონფლიქტები, ტურისტული ნაკადები ხშირად განისაზღვრება უსაფრთხოების აღქმებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით (Hall, 2010; Timothy, 2022). პოსტპანდემიურ პერიოდში აღნიშნული ფაქტორები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ტურიზმის აღდგენა მიმდინარეობს არასტაბილურ გეოპოლიტიკურ გარემოში.

გარდა ამისა, კვლევები მიუთითებს მომხმარებელთა ქცევის მნიშვნელოვან ცვლილებაზე. პოსტპანდემიურ პერიოდში მოგზაურები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას უსაფრთხოებას, ინდივიდუალურ გამოცდილებას და გარემოზე ზემოქმედებას, რაც გავლენას ახდენს ტურისტული პროდუქტების სტრუქტურასა და მიწოდების მოდელებზე (Zenker & Kock, 2020; Sharma et al., 2021).

საერთო ჯამში, არსებული ლიტერატურა ადასტურებს, რომ თანამედროვე ტურიზმი ფუნქციონირებს მაღალი გაურკვევლობის პირობებში და მისი განვითარება დამოკიდებულია როგორც გლობალურ კრიზისებზე, ისე ტექნოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებზე. შესაბამისად, ტურიზმის სექტორის კვლევა საჭიროებს კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებს (UNWTO, 2022; OECD, 2022). ტურიზმის ინდუსტრია პოსტპანდემიურ პერიოდში ფუნქციონირებს ახალი რეალობის პირობებში, სადაც ძირითადი მახასიათებლებია: მაღალი გაურკვევლობა, მომხმარებლის ქცევის ცვლილება, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის ზრდა. შესაბამისად, ტურიზმის კვლევა საჭიროებს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებს.

მოცემულ ანალიტიკურ სტატიაში ჩვენ ჩავუღრმავდებით ტურიზმის უახლეს სტატისტიკას, შევისწავლით ძირითად ტენდენციებს, მათ გავლენას სხვადასხვა დარგებზე და ინდუსტრიის სამომავლო პერსპექტივებს. ამ სტატისტიკის შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ და გავაკეთოთ პროგნოზები მისი სამომავლო ტრაექტორიის შესახებ.

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

მონაცემები აჩვენებს, რომ 2020 წლის მკვეთრი ვარდნის შემდეგ ტურიზმის სექტორი აღდგენის ტრაექტორიაზე გადავიდა, თუმცა აღდგენა ხასიათდება ციკლურობით.

2025 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა გაზრდილია 7%-ით და შეადგენს 482 ათასს, რა თქმა უნდა ის ჩამოუვარდება 2022 წლის ზრდის ანალოგიური რეკორდულ მაჩვენებელს (173%), თუმცა მაინც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, იხ. დიაგრამა 1.



დიაგრამა 1. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი [836]

დიაგრამიდან 1 ჩანს, რომ COVID 19 პანდემიის შემდეგ შეინიშნება ზრდადი ტენდენცია. დაკვირვების პერიოდში ყველაზე მაღალი ნიშნული დაფიქსირებულია COVID 19 პანდემიამდე, 2019 წელს და შეადგინა დაახლოებით 506 ათასი განხორციელებული ვიზიტი. 2025 წელი ყველაზე ახლოს იყო ამ ნიშნულთან. ყველაზე დიდი კლება 82%-ის ოდენობით ფიქსირდება მომდევნო, 2020 წელს და შეადგენს 91.8 ათას ვიზიტორს. ამდენად პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ტურიზმის მთავარი ამოცანაა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ნიშნულს და გადაასწროს მას.

საინტერესოა, როგორ არის განაწილებული ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, ამასთან, როგორაა განაწილებული ასაკობრივი ჯგუფები. მაგალითად 2019 წელს მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით ლიდერობს, რუსეთის ფედერაცია 20.1%-ით, მას 18.4%-ით მოსდევს აზერბაიჯანი, და 15.9%-ით - სომხეთი. ხოლო ასაკობრივი ჯგუფები 2019 წელს შემდეგნაირად განაწილდა 15-30 წელი - 27.0%, 31-50 წელი - 46.4%, 51-70 წელი - 24.4% და 71+ წელი - 2.1%.

2025 წელს ასაკობრივი ჯგუფები თითქმის მსგავსად ნაწილდება: 15-30 წელი - 25.8%, 31-50 წელი - 46.4%, 51-70 წელი - 25.1% და 71+ წელი - 2.7%. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური განაწილება გვაქვს მთელი დაკვირვების პერიოდში, გადახრა შეადგენს 2-3%-ს მხოლოდ. ხოლო განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით უფრო მეტად შეიცვალა, კერძოდ, კვლავ ლიდერობს რუსეთის ფედერაცია 23.2%-ით, მას მოსდევს თურქეთი 16.9%-ით და სომხეთი 11.9%-ით, იხ. დიაგრამა 2.

[836] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



837

დიაგრამა 2. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, 2025 წელი, %[838]

დიაგრამიდან 2, კარგად ჩანს, რომ ძალიან მწირია ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებული ვიზიტორების რიცხვი (7.4%), თითქმის თერთმეტ წლიანი დაკვირვების პერიოდში იგი ვარირებს მხოლოდ 4%-დან 8%-მდე და საშუალოდ 6.4%-ს შეადგენს. 2020 წლიდან ბოლო პერიოდის ჩათვლით მკვეთრად არის ტურისტული ნაკადი შემცირებული აზერბაიჯანიდან, ასევე, მკვეთრი შემოდინება 9.9%-ის ოდენობით უკრაინიდან მივიღეთ 2021 წელს. მიუხედავად ამისა, 2015-2025 პერიოდზე დაკვირვებამ დაგვანახა რომ საშუალოდ პროცენტულად განხორციელებული ვიზიტების მიხედვით საქართველოს ძირითადად სტუმრობენ: თურქეთიდან, სომხეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან. ამდენად, ეს მიუთითებს, რომ ტურიზმის ზრდა საქართველოში უფრო მეტად „რეგიონული მოთხოვნის აღდგენაზეა“ დამოკიდებული, ვიდრე გლობალური ბაზრის დივერსიფიკაციაზე.

ასაკობრივი სტრუქტურა პრაქტიკულად არ იცვლება, რაც მიუთითებს მოთხოვნის სტაბილურ სოციალურ პროფილზე და ბაზრის სეგმენტაციის დაბალ დინამიკაზე. ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით საქართველოს ძირითადად სტაბილურად სტუმრობენ 31-50 წლის არარეზიდენტი პირები. ამ უკანასკნელთა პროცენტული გადანაწილება მთლიან ვიზიტორებთან მიმართებით შეადგენს 46-50%-ს. ამასთან, თითქმის თანაბარ გადანაწილებას ვხედავთ 15-30 და 51-70 წლების ასაკობრივ ჯგუფებში, დაახლოებით 22-29%-ის ფარგლებში. ამდენად, საქართველო ნაკლებად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდული დანიშნულების პუნქტად. ამასთან, სქესობრივ ჭრილში დანახული ვიზიტორების მიხედვით, საქართველოს უფრო მეტად სტუმრობენ მამაკაცები, ვიდრე ქალბატონები. მაგალითად, 2025 წელს უცხოელ ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში 57%-ს შეადგენდა მამაკაცი, შესაბამისად, 43%-ს - ქალბატონი.

2025 წელს, როგორც წინა წლებშიც, უცხოელი ვიზიტორების მთავარი დანიშნულების ადგილად რჩება დედაქალი თბილისი, ხოლო მას მოსდევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ხოლო ყველაზე მცირე ვიზიტების რაოდენობა დაფიქსირებულია კახეთსა და სამცხე-ჯავახეთსა და სხვა რეგიონებში, იხ. დიაგრამა 3.

837 *იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან

838 წყარო: საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია



დიაგრამა 3. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, 2025 წელი, %[839]

აღსანიშნავია უცხოელ ვიზიტორთა დადებითი კმაყოფილების დონეც განხორციელებული ვიზიტისას. მაგალითად, 2025 წელს, დაახლებით 94% არარეზიდენტი ვიზიტორებისას გამოთქვამს კმაყოფილებას (53% ძალიან კმაყოფილი, 41% კმაყოფილი), რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის განმეორებითი ვიზიტის ალბათობის მაჩვენებელს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ტურისტული ხარჯების განაწილების შესწავლა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის ეკონომიკური გავლენის უფრო ღრმა გაგებას. შედეგები ასახულია დიაგრამაზე 4. ხარჯვითი სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ტურისტული შემოსავლების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია სამ სეგმენტში: საცალო ვაჭრობა, განთავსება, კვება და სასმელი.



დიაგრამა 4. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილება ხარჯის კატეგორიების მიხედვით, 2025 წელი, %[840]

[839] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[840] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეს სტრუქტურა მიუთითებს, რომ ტურიზმი საქართველოში ძირითადად წარმოადგენს მომხმარებლურ მოდელს და ნაკლებად — გამოცდილებაზე ან მაღალი დამატებითი ღირებულების სერვისებზე დაფუძნებულ ინდუსტრიას.

შედეგად, ტურიზმის ეკონომიკური ეფექტი უფრო მეტად გადანაწილებულია მომსახურების სექტორში და ნაკლებად ქმნის მაღალპროდუქტიულ ჯაჭვებს (მაგ. კულტურული, სამედიცინო, პრემიუმ ტურიზმი). მიუხედავად ამისა, ტურიზმის სფერომ შესაძლოა ერთი მხრივ დიდი გავლენა იქონიოს მოცემულ დარგებში სამუშაო ძალის შექმნასა და შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების ნაწილში და მეორეს მხრივ, აღნიშნული დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ტურიზმის სამომავლო განვითარებას და დამატებითი ღირებულების შექმნას. ამ ყოველივეს ამყარებს ის ფაქტიც, რომ თერთმეტ წლიანი დაკვირვების საფუძველზე ეს სამი სექტორი ინარჩუნებს სტაბილურ ადგილს უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურაში.

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობაზეც, რაც 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 37%-ით და თუმცა შემცირებულია 2022 წელთან -10%-ით. კერძოდ, არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 4.11 ღამეს, 2022 წელს - 6.25 ღამეს, ხოლო 2025 წელს შეადგენს 5.63 ღამეს. სასურველია აღნიშნული მაჩვენებელმა შეინარჩოს ასეთი მზარდი ტენდენცია. როგორც წესი, გათეული ღამეების საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალია წლის მესამე კვარტალში.

კვლევის ფარგლებში შეფასდა ტურისტთა ხარჯვისა და ვიზიტის ხანგრძლივობის (გატარებული ღამეების რაოდენობა) ურთიერთკავშირი კვარტალური მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოიცავს 2014 წლის III კვარტლიდან 2026 წლის I კვარტლის ჩათვლით პერიოდს.

კორელაციური ანალიზის შედეგების მიხედვით, ტურისტთა ხარჯებსა და ვიზიტის ხანგრძლივობას შორის გამოვლინდა ძლიერი დადებითი კავშირი ($r = 0.72$). აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ ვიზიტის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ტურისტის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა.

მიღებული შედეგი ადასტურებს, რომ ტურისტული ხარჯვა პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყანაში გატარებულ დროსთან, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ლოგიკურია — უფრო ხანგრძლივი ვიზიტი ზრდის როგორც განთავსების, ისე კვებისა და სხვა სერვისებზე გაწეულ ხარჯებს.

ამავდროულად, აღნიშნული ძლიერი კორელაცია მიუთითებს, რომ ვიზიტის ხანგრძლივობა წარმოადგენს ტურიზმის სექტორის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ განმსაზღვრელ ფაქტორს. შესაბამისად, ტურიზმის პოლიტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ტურისტულ შემოსავლებზე. საერთო ჯამში, მიღებული შედეგი ემთხვევა საერთაშორისო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს, რომლის მიხედვითაც ტურისტული ხარჯვა იზრდება ვიზიტის ხანგრძლივობის პროპორციულად და წარმოადგენს ტურიზმის ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს.

დანახარჯებთან ერთად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ვიზიტის მიზანიც (იხ. დიაგრამა 5). ვიზიტის მიზნების სტრუქტურა პრაქტიკულად სტაბილურია და დომინირებს რეკრეაციული ტურიზმი.



დიაგრამა 5. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, 2025 წელი, %[841]

დიაგრამიდან 5 ჩანს, რომ უცხოელ ვიზიტორთა დიდი ნაწილისთვის (50%) ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს დასვენება, გართობა, რეკრეაცია და მხოლოდ შემდეგ მეგობრების/ნათესავების მონახულება (24%). ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად ფიგურირებს ტრანტიზი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად (13%). სამწუხაროდ, მიზერული წვლილი (0,5%) უკავია მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით ვიზიტთა რაოდენობას. აღნიშნული მაჩვენებელი წლიდან წლამდე მცირდება. ბოლო თერთმეტი წლის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ვიზიტის მიზნის მიხედვით გამოკვეთილი მზარდი ტენდენცია ფიქსირდება მხოლოდ დასვენების, გართობის, რეკრეაციის კუთხით, თუმცა ძირითადი სამეული (მიზნების მიხედვით) უცვლელი რჩება. ეს მიუთითებს, რომ საქართველო ძირითადად რჩება დასვენების დანიშნულების ბაზრად, ამასთან ბაზარი ნაკლებად დივერსიფიცირებულია ფუნქციური თვალსაზრისით.

სამომავლო რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ფართოდ არის შესწავლილი COVID-19 პანდემიისა და გლობალური კრიზისების გავლენა ტურიზმის ინდუსტრიაზე, არსებული კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია გლობალურ ან რეგიონულ დონეზე და ნაკლებად ეხება მცირე ზომის ღია ეკონომიკებს. განსაკუთრებით შეზღუდულია ემპირიული კვლევები, რომლებიც ერთდროულად აანალიზებს ტურისტთა დემოგრაფიულ მახასიათებლებს, ქცევით თავისებურებებსა და ეკონომიკურ გავლენას ერთიან ჩარჩოში.

ამასთან, არსებული კვლევები ხშირად შემოიფარგლება აღწერითი ანალიზით და ნაკლებად იყენებს რაოდენობრივ მეთოდებს ტურისტთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის. ასევე, არასაკმარისად არის შესწავლილი პოსტპანდემიურ პერიოდში ტურისტთა ქცევის ცვლილება ისეთი ცვლადების მიხედვით, როგორიცაა ვიზიტის ხანგრძლივობა, ვიზიტის მიზანი და განმეორებითი ვიზიტების სიხშირე.

ბოლო წლების განმავლობაში მდგრადმა ტურიზმმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო, როგორც გარემოსდაცვითი პრობლემებისა და პასუხისმგებელი მოგზაურობის პრაქტიკის

[841] წყარო: საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია

საჭიროების საპასუხოდ. მომავალში მნიშნელოვანი შესაწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს მდგრად ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი, როგორიცაა ეკო-სერთიფიკატები, ნახშირბადის გამონაბოლქვი ან ნარჩენების მართვის ინიციატივები. საჭიროა შეფასდეს მიღწეული პროგრესი მდგრადი პრაქტიკის მიღებაში და პოტენციური სარგებელი როგორც გარემოსთვის, ისე ტურისტული ინდუსტრიისთვის. მეორე საკითხია ტურიზმი და ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურიზმის სექტორზეც, მაგალითად, მოგზაურების დაგეგმვის, დაჯავშნისა და გამოცდილების შესახებ მოგზაურობებზე. საინტერესო იქნება ისეთი სტატისტიკის მოპოვება რომელიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის პლატფორმებთან, სამოგზაურო აპებთან და სოციალური მედიის გამოყენებასთან მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ყოველივე დაგვეხმარება ვიმსჯელოთ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ტურისტული გამოცდილების გაღრმავების, ახალი ბაზრების მიღწევისა და ვიზიტორთა ნაკადების მართვის თვალსაზრისით. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი ანალიზით, შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის როლი საქართველოსთვის გადაჭარბებულად შეფასებულად მივიჩნიოთ. აუცილებელია სწორად შეფასდეს დარგის შესაძლებლობები და სწორად წარიმართოს სამთავრო რესურსები მისი გაძლიერება განვითარებისთვის.

მონაცემთა ერთობლივი ანალიზი აჩვენებს სამ მთავარ სტრუქტურულ ტენდენციას: ეს არის 1) რეგიონული დამოკიდებულება – ბაზარი კონცენტრირებულია მეზობელ ქვეყნებზე. 2) სეგმენტური სტაბილურობა – ასაკი და მიზნები თითქმის არ იცვლება და 3) დაბალი დამატებითი ღირებულება – ხარჯვა კონცენტრირებულია საბაზისო სერვისებზე. ეს სამი ფაქტორი ერთად ქმნის ტურიზმის მოდელს, რომელიც არის სწრაფად აღდგენადი, მაგრამ სტრუქტურულად ნაკლებად დივერსიფიცირებული. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს ტურიზმი პოსტპანდემიურ პერიოდში განიცდის რაოდენობრივ აღდგენას, თუმცა რჩება სტრუქტურულად კონცენტრირებულ სისტემად.

ამ კონტექსტში ძირითადი გამოწვევებად რჩება: ბაზრის გეოგრაფიული დივერსიფიკაციის დაბალი დონე, მაღალი დამოკიდებულება რეგიონულ მოთხოვნაზე, და დაბალი წილი მაღალი დამატებითი ღირებულების ტურიზმის სეგმენტებში. შესაბამისად, ტურიზმის მდგრადი ზრდა დამოკიდებულია არა მხოლოდ ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაზე, არამედ მისი სტრუქტურული კომპოზიციის ცვლილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gössling, S., Scott, D., & Hall, C. M. (2020). Pandemics, tourism and global change. Journal of Sustainable Tourism, 29(1), 1–20.
2. Hall, C. M. (2010). Crisis events in tourism: Subjects of crisis in tourism. Current Issues in Tourism.
3. Higgins-Desbiolles, F. (2021). The “war over tourism”. Journal of Sustainable Tourism.
4. OECD. (2022). Tourism Trends and Policies.
5. Sigala, M. (2020). Tourism and COVID-19: Impacts and implications. Journal of Business Research, 117, 312–321.
6. Sharma, G. D., Thomas, A., & Paul, J. (2021). Reviving tourism industry post-COVID-19. Journal of Business Research.

7. Škare, M., Soriano, D. R., & Porada-Rochoń, M. (2021). Impact of COVID-19 on tourism industry. Technological Forecasting and Social Change.
8. Timothy, D. J. (2022). Tourism and geopolitics. Routledge.
9. UNWTO. (2022). World Tourism Barometer.
10. Zenker, S., & Kock, F. (2020). The coronavirus pandemic – A critical discussion. Tourism Management.
11. Sigala, M. (2020). Tourism and COVID-19: Impacts and implications.
12. Varzakas, I.-P., & Metaxas, T. (2024). Econometric analysis of COVID-19 impact on tourism.
13. Zaika, S., & Avriata, A. (2024). Impact of COVID-19 on international tourism market.

გამოყენებული საიტები:

- **https://www.geostat.ge/ka** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:

1. განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
2. განაწილება სქესის მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
3. განაწილება ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
4. განაწილება ღამეების საშუალო რაოდენობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
5. განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika

- **https://www.datalab.ge/ge** - საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:

1. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2015-2022
2. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა ვიზიტის მიზნის მიხედვით 2015-2022
3. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით 2015-2022

- **https://www.unwto.org/** - World Tourism Organization (UNWTO), მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

ტურიზმის სექტორის ზრდა და ეკონომიკის სტრუქტურული ეფექტები საქართველოში
Tourism Sector Growth and Structural Effects on the Economy in Georgia

თამარი დევიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ალექსანდრე შარაშენიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიას
ისტენტ პროფესორი
Tamari Devidze
Georgian Technical University
Associate Professor
Alexander Sharashenidze
Georgian technical University
Assistant Professor

აბსტრაქტი. სტატიაში შეფასებულია ტურიზმის სექტორის ზრდის გავლენა ეკონომიკის სტრუქტურულ მახასიათებლებზე საქართველოში 2010–2024 წლებში. კვლევის მიზანია დადგინდეს, რამდენად არის ტურიზმის რაოდენობრივი ზრდა დაკავშირებული შიდა დამატებული ღირებულების შექმნასთან, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასთან. ანალიზი ეფუძნება მეორად მონაცემებს და მოიცავს აღწერით, კორელაციურ და რეგრესიულ მეთოდებს.

ემპირიული შედეგები აჩვენებს, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ არის დაკავშირებული ერთ ვიზიტორზე რეალური შემოსავლის მატებასთან, რაც მიუთითებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ დინამიკებს შორის დისბალანსზე. იმპორტის წილის უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ადასტურებს ეკონომიკური გაჟონვის არსებობას და მის შემზღუდავ როლს შიდა ეკონომიკური სარგებლის ფორმირებაში. ამასთან, სექტორის განვითარება მეტწილად ასახავს შრომის ინტენსიურ ზრდას და ნაკლებად უკავშირდება პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ საქართველოში ტურიზმის სექტორის ზრდა ძირითადად რაოდენობრივ ხასიათს ატარებს და შეზღუდულად აისახება ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, ვიზიტორთა მატება არ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობისა და შიდა ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის საკმარის საფუძველს.

კვლევა ავსებს ემპირიულ სიცარიელეს ტურიზმის სტრუქტურული ეფექტების შეფასების მიმართულებით და ქმნის ანალიტიკურ საფუძველს ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვისათვის, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ერთ ვიზიტორზე შექმნილი ეკონომიკური ღირებულების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა; შიდა დამატებული ღირებულება; ეკონომიკური გაჟონვა; სტრუქტურული ტრანსფორმაცია; საქართველო.

Abstract. This study examines the impact of tourism sector growth on the structural characteristics of the economy in Georgia during 2010–2024. It aims to assess whether the quantitative expansion of tourism contributes to domestic value added, economic integration, and structural competitiveness. The analysis is based on secondary data and applies descriptive, correlational, and regression methods.

The findings indicate that growth in international visitor numbers is not statistically significantly associated with increases in real revenue per visitor, suggesting a mismatch between quantitative and qualitative development. In contrast, the negative and statistically significant effect of import share confirms the presence of the “leakage effect,” which constrains domestic economic benefits. The results further show that sectoral growth is primarily labor-intensive rather than productivity driven.

Overall, tourism development in Georgia remains largely quantitative and contributes only modestly to structural transformation. The study highlights that increasing visitor numbers alone is insufficient for enhancing competitiveness and emphasizes the importance of raising value added per visitor.

Keywords: Tourism; Economic competitiveness; Domestic value added; Leakage effect; Structural transformation; Georgia.

1. კვლევის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ ეკონომიკურ სექტორად, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უცხოური ვალუტის შემოდინებაში, დასაქმების ზრდასა და რეგიონული ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებაში. მიუხედავად ამისა, სექტორის განვითარება ძირითადად ფასდება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რაც სრულად ვერ ასახავს ტურიზმის ეკონომიკური გავლენის სტრუქტურულ და ხარისხობრივ თავისებურებებს.

პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ინტერპრეტაციისას. ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და ანალიტიკურ პრაქტიკაში კონკურენტუნარიანობა ხშირად განიმარტება როგორც ფასზე დაფუძნებული უპირატესობა, რაც ხელს უწყობს დაბალბიუჯეტიანი მასობრივი ტურიზმის მოდელის დამკვიდრებას. თუმცა აღნიშნული მიდგომა ავტომატურად არ უზრუნველყოფს მაღალი დამატებული ღირებულების შექმნას და ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიო გამიჯვნა ფასზე დაფუძნებულ და სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობას შორის. სტრუქტურული ტრანსფორმაცია ნაშრომში განიხილება როგორც რესურსების გადანაწილება უფრო მაღალი პროდუქტიულობის სექტორების მიმართულებით.

არსებული ანალიზი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს, როგორიცაა ერთ ვიზიტორზე რეალური შემოსავალი, შიდა დამატებული ღირებულება და სექტორის ინტეგრაციის ხარისხი ადგილობრივ ეკონომიკასთან. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. „გაჟონვის ეფექტი“, რომლის შედეგად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტის გზით ეკონომიკიდან გაედინება და ამცირებს მულტიპლიკატორულ ეფექტს.

ამასთან, სექტორის სუსტი კავშირი ადგილობრივ წარმოებასთან და ბაზრების კონცენტრაცია ზრდის ქვეყნის მოწყვლადობას საგარეო შოკების მიმართ. რესურსების გადანაწილება შრომატევად, თუმცა შედარებით დაბალპროდუქტიულ ტურიზმის სექტორში ქმნის „ჰოლანდიური დაავადების“ მსგავსი ეფექტს, რაც საჭიროებს დამატებით ემპირიულ გადამოწმებას.

ამდენად, ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ტურიზმის ზრდა ხშირად აღიქმება ეკონომიკური წარმატების თვითკმარ მაჩვენებლად, მაშინ როდესაც მისი რეალური გავლენა შიდა დამატებული ღირებულების შექმნაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობაზე არასაკმარისად არის შეფასებული. აღნიშნული გარემოება განსაზღვრავს წინამდებარე კვლევის აქტუალობას.

2. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია განისაზღვროს, რა მასშტაბით და რა მექანიზმებით არის საქართველოში ტურიზმის სექტორის ზრდა დაკავშირებული შიდა დამატებული ღირებულების შექმნასთან, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობასთან. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს მაღალი დამატებული ღირებულების ფორმირების ძირითადი შემზღუდავი ფაქტორების იდენტიფიცირებას.

ცენტრალური კვლევითი კითხვა

რამდენად წარმოადგენს საქართველოში ტურიზმის სექტორის ზრდა ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და შიდა დამატებული ღირებულების ზრდის საფუძველს, შემოიფარგლება იგი მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით?

ქვეკითხვები

1. როგორია ტურიზმის სექტორის იმპორტდამოკიდებულების ხარისხი (ე.წ. „გაჟონვის ეფექტი“) და რა გავლენას ახდენს იგი შიდა მულტიპლიკატორულ ეფექტზე?

2. რა დონეზეა ტურიზმის სექტორის ინტეგრაცია ადგილობრივ ეკონომიკასთან და რომელი ფაქტორები ზღუდავს ამ პროცესს?

3. რამდენად იწვევს ტურიზმის სექტორის ზრდა რესურსების გადანაწილებას სხვა, პოტენციურად უფრო მაღალპროდუქტიული დარგებიდან?

ჰიპოთეზა

საქართველოში ტურიზმის სექტორის რაოდენობრივი ზრდა არ არის სინქრონიზებული ეკონომიკის სტრუქტურული კონკურენტუნარიანობისა და შიდა დამატებული ღირებულების ზრდასთან. აღნიშნული დისპროპორცია განპირობებულია სუსტი ეკონომიკური კავშირებით, მაღალი იმპორტდამოკიდებულებითა და ადამიანური კაპიტალის დეფიციტით

3. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ეფუძნება სამ ძირითად თეორიულ მიმართულებას, რომელთა ურთიერთმიმართება ქმნის არა მხოლოდ კონცეპტუალურ ჩარჩოს, არამედ ანალიზის საკვანძო პრობლემას — რატომ ვერ გარდაიქმნება ტურიზმის ზრდა სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობად მცირე გარდამავალ ეკონომიკაში.

პირველი მიმართულება — კონკურენტუნარიანობის თეორია — Michael Porter (1990)-ის მიხედვით, ეკონომიკური წარმატება ეფუძნება პროდუქტიულობის ზრდას, რომელიც განპირობებულია ინოვაციითა და კლასტერული კავშირებით. გარდამავალ ეკონომიკებში ინსტიტუციური სისუსტეები და სტრუქტურული შეზღუდვები აფერხებს აღნიშნული მექანიზმების სრულფასოვან რეალიზებას. აქედან გამომდინარეობს პირველი ანალიტიკური წინააღმდეგობა: **რესურსების ზრდა არ იწვევს ავტომატურად პროდუქტიულობის ზრდას**, რაც ამცირებს კონკურენტული უპირატესობის ფორმირების შესაძლებლობას.

მეორე მიმართულება — ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების შეფასება — ამ წინააღმდეგობას კონკრეტულ ეკონომიკურ შინაარსს ანიჭებს. Stephen Pratt (2015) ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკურ გაჟონვაზე, რომელიც ამცირებს ტურიზმის მიერ შექმნილ შიდა ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ როცა Larry Dwyer (2004) კრიტიკულად აფასებს მულტიპლიკატორული ეფექტების შეფასების სანდოობას და მიუთითებს მათი გადაჭარბების რისკზე. მიკრო დონეზე განხორციელებული უახლესი კვლევები (Andrea Srhoj; Josip Mikulić, 2025) აჩვენებს, რომ ტურიზმის შედეგად მიღებული შემოსავლები ხშირად არ გარდაიქმნება შიდა დამატებულ ღირებულებად და არ უწყობს ხელს მაღალი პროდუქტიულობის სექტორების განვითარებას. შესაბამისად, ყალიბდება მეორე ანალიტიკური დასკვნა: **ტურიზმის რაოდენობრივი ზრდა არ წარმოადგენს ეკონომიკის ხარისხობრივი გაძლიერების საკმარის პირობას**. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ტურიზმი შესაძლოა იქცეს სტრუქტურული ცვლილებების ერთ-ერთ ფაქტორად, რაც მიუთითებს შედეგების დამოკიდებულებაზე კონკრეტულ ეკონომიკურ გარემოსა და შიდა მექანიზმებზე.

მესამე მიმართულება — საქართველოს კონტექსტი — აღნიშნული თეორიული მიდგომების ემპირიულ გამოვლინებას ასახავს. Paata Gegeshidze და თანაავტორები (2025) მიუთითებენ, რომ მაღალი ხარჯვითი პროფილის ტურისტების სიმცირე და ადამიანური კაპიტალის დეფიციტი ზღუდავს სექტორის ხარისხობრივ განვითარებას. თუმცა, არსებული კვლევები უმეტესად აღწერითი ხასიათისაა და არ უზრუნველყოფს იმ მექანიზმების რაოდენობრივ შეფასებას, რომლებიც განსაზღვრავს ტურიზმის ეკონომიკურ ეფექტებს — კერძოდ, რა მასშტაბით მოქმედებს ეკონომიკური გაჟონვა, რამდენად განვითარებულია სექტორებს შორის კავშირები და

რა როლი აქვს პროდუქტიულობის დინამიკას. აქედან გამომდინარეობს მესამე ანალიტიკური დასკვნა: **პრობლემა არ არის მხოლოდ ტურიზმის ხარისხობრივ მახასიათებლებში, არამედ ეკონომიკის უნარში, ეფექტიანად გამოიყენოს და გადაანაწილოს ტურიზმის მიერ გენერირებული რესურსები**.

ამგვარად, თეორიულ ლიტერატურაში იკვეთება თანხვედრილი პოზიცია, რომ ეკონომიკური ზრდა თავისთავად არ უზრუნველყოფს სტრუქტურულ კონკურენტუნარიანობას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ინტეგრირებული ემპირიული ანალიზი, რომელიც ერთდროულად შეაფასებს პროდუქტიულობის დინამიკას, ეკონომიკური გაჟონვის მასშტაბებსა და სექტორულ კავშირებს მცირე გარდამავალ ეკონომიკაში. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული ურთიერთკავშირების სისტემურ შეფასებას და ამტკიცებს, რომ **ტურიზმის ზრდის გავლენა კონკურენტუნარიანობაზე დამოკიდებულია შიდა ეკონომიკური მექანიზმების ეფექტიანობაზე**, რაც განსაზღვრავს რაოდენობრივ ზრდასა და ხარისხობრივ ტრანსფორმაციას შორის არსებულ განსხვავებას.

4. მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ, აღწერით-ანალიტიკურ დიზაინს და მიზნად ისახავს ტურიზმის ზრდისა და ეკონომიკის სტრუქტურულ მახასიათებლებს შორის კავშირის შეფასებას საქართველოში დროითი რიგების ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი ეყრდნობა მეორად მონაცემებს, რომლებიც მიღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის ბაზებიდან და მოიცავს 2010–2024 პერიოდს.

დამოკიდებული ცვლადებია ერთ ვიზიტორზე რეალური შემოსავალი და ტურიზმის დამატებული ღირებულება, რომელიც შეფასებულია მომსახურების სექტორის ან ტურიზმის წილის საშუალებით მთლიანი შიდა პროდუქტში. დამოუკიდებელი ცვლადები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობას, იმპორტის წილს ეკონომიკაში, როგორც „გაჟონვის ეფექტის“ ინდიკატორს, და დამატებით სტრუქტურულ მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავს სექტორის ინტეგრაციასა და ბაზრის კონცენტრაციას. ტურიზმის მთლიანი შემოსავლები არ არის ჩართული მოდელში ენდოგენურობისა და მულტიკოლინეარობის რისკების თავიდან აცილების მიზნით. კონტროლის ცვლადებად გამოყენებულია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, მომსახურების სექტორში დასაქმება და გაცვლითი კურსი.

ემპირიული ანალიზი მოიცავს აღწერით და შედარებით შეფასებას, კორელაციურ ანალიზსა და ხაზოვან რეგრესიულ მოდელს. მოდელის სპეციფიკაციისას გამოყენებულია ცვლადების ლოგარითმული ტრანსფორმაცია, რაც ამცირებს ჰეტეროსკედასტიურობისა და მასშტაბის ეფექტს. მულტიკოლინეარობის, ჰეტეროსკედასტიურობისა და ავტოკორელაციის შესაფასებლად გამოყენებულია შესაბამისი დიაგნოსტიკური ტესტები.

დროითი რიგების ანალიზის ფარგლებში მონაცემთა სტაციონარულობა შემოწმდება გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტით. არასტაციონარული რიგების შემთხვევაში გამოყენებული იქნება პირველი რიგის სხვაობები. დამატებით, შესაძლო სტრუქტურული შოკების გასაკონტროლებლად (მაგალითად, პანდემიის პერიოდი) მოდელში ჩაირთვება ფიქტიური ცვლადები.

პროდუქტიულობა ნაშრომში ოპერაციონალიზებულია ერთ დასაქმებულზე შექმნილი დამატებული ღირებულების არაპირდაპირი მაჩვენებლით, რაც განპირობებულია შესაბამისი დეტალური სექტორული მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობით

„გაჟონვის ეფექტი“ იზომება იმპორტის წილის გამოყენებით, თუმცა ანალიზი ითვალისწინებს ამ ინდიკატორის შეზღუდვებს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენებს უფრო სექტორულად მიზნობრივ მაჩვენებლებს.

კვლევა ეფუძნება მეორად მონაცემებს და იყენებს ნაწილობრივ არაპირდაპირ ინდიკატორებს, რაც ზღუდავს ზუსტ კვანტიფიკაციას. მიუხედავად გამოყენებული ეკონომეტრიული სპეციფიკაციისა და დიაგნოსტიკური ტესტების, მოდელი სრულად ვერ აღმოფხვრის ენდოგენობის რისკს, მათ შორის ორმხრივი მიზეზობრიობისა და გამოტოვებული ცვლადების გავლენას. შესაბამისად, მიღებული შედეგები უნდა ინტერპრეტირდეს მკაცრად როგორც ასოციაციური და არა მიზეზობრივი კავშირები. დამატებით, დროითი რიგის შეზღუდული სიგრძე (T მცირეა) ამცირებს შეფასებების სტაბილურობასა და სტატისტიკურ ძალას, რაც ზღუდავს შედეგების განზოგადების შესაძლებლობას.

5. შედეგები და ანალიზი

დესკრიპტიული ანალიზის ფარგლებში, ცხრილ 1-ში წარმოდგენილია საქართველოს ტურიზმის სექტორის ძირითადი მაკროინდიკატორები 2019–2024 წლებში, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს სექტორის რაოდენობრივი და შემოსავლური დინამიკის თანხვედრა.

ცხრილი 1. საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში (2019–2024)

წელი	საერთაშორისო ვიზიტორები (მლნ)	ტურიზმის შემოსავალი (მლრდ USD)	ერთ ვიზიტორზე შემოსავალი (USD)
2019	6.1	3.27	536
2020	1.7	0.54	318
2021	1.6	1.24	775
2022	5.4	3.50	648
2023	5.7	4.10	719
2024	5.4	4.43	820

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები; ავტორის გამოთვლები.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარება არ არის ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული ვიზიტორთა რაოდენობის ცვლილებასთან. კერძოდ, 2019–2024 პერიოდის შედარება ცხადყოფს, რომ მიუხედავად საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის შემცირებისა (6.1 მლნ-დან 5.4 მლნ-მდე), ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა (3.27 მლრდ-დან 4.43 მლრდ აშშ დოლარამდე). შედეგად, ერთ ვიზიტორზე საშუალო შემოსავალი 536 დოლარიდან დაახლოებით 820 დოლარამდე გაიზარდა.

თუმცა აღნიშნული ზრდა ნომინალურია და საჭიროებს სიფრთხილით ინტერპრეტაციას. ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით, რეალური ზრდა გაცილებით უფრო მოკრძალებულია — შეფასებით, 2024 წლის 820 აშშ დოლარი 2019 წლის ფასებში დაახლოებით 650–680 აშშ დოლარის ექვივალენტურია. ეს მიუთითებს, რომ დაფიქსირებული ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ასახავდეს ფასების დონის ცვლილებას და არა ტურისტული პროდუქტის რეალური ღირებულების ზრდას.

მეორე მხრივ, ერთ ვიზიტორზე შემოსავლის ზრდა არ უნდა განიმარტოს როგორც შიდა ეკონომიკური სარგებლის პირდაპირი ინდიკატორი „გაჟონვის ეფექტის“ პირობებში, ტურიზმის მიერ გენერირებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება იხარჯებოდეს იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე. მაგალითად, იმპორტირებულ ან უცხოური კაპიტალის მქონე მაღალი კლასის სასტუმროში განთავსება ზრდის ერთ ვიზიტორზე ხარჯვას, თუმცა აღნიშნული ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი არ რჩება ეროვნულ ეკონომიკაში. შესაბამისად, მაღალი საშუალო ხარჯვა არ არის იდენტური ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალ დონესთან.

დამატებით, მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ვიზიტორთა ჰეტეროგენურობა. აგრეგირებული მაჩვენებლები ფარავს არსებით განსხვავებებს ტურისტთა სეგმენტებს შორის — როგორც გეოგრაფიული წარმოშობის, ისე ვიზიტის მიზნის მიხედვით. მაგალითად, დასვენების მიზნით ჩამოსული ტურისტების ხარჯვითი ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება ბიზნეს ვიზიტორებისა და ნათესავების მონახულების მიზნით ჩამოსული ვიზიტორებისგან. აღნიშნული გარემოება ზღუდავს საშუალო მაჩვენებლების ინტერპრეტაციას და ამლიერებს დეზაგრეგირებული ანალიზის საჭიროებას.

პანდემიური პერიოდის (2020–2021) მონაცემები დამატებით მიუთითებს სტრუქტურულ ცვლილებებზე. ვიზიტორთა მკვეთრი შემცირების ფონზე, ერთ ვიზიტორზე შემოსავლის ზრდა (775 USD 2021 წელს) სავარაუდოდ ასახავს ვიზიტორთა სტრუქტურის ცვლილებას და არა სექტორის პროდუქტიულობის ზრდას. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც მაღალი ხარჯვითი სეგმენტის შედარებით გაზრდილ წილთან, ისე დარჩენილი ვიზიტორების უფრო ხანგრძლივ ყოფნასთან.

პოსტპანდემიურ პერიოდში (2022–2024) აღინიშნება ტურიზმის რაოდენობრივი აღდგენა, თუმცა ერთ ვიზიტორზე შემოსავლის დინამიკა არ არის თანმიმდევრული. 2022 წელს მაჩვენებლის შემცირება (648 USD) შესაძლოა ასახავდეს მასობრივი ტურიზმის დაბრუნებას, მაშინ როდესაც 2023–2024 წლებში ზრდა მიუთითებს ნაწილობრივ შემოსავლურ ინტენსიფიკაციაზე.

საერთო ჯამში, მონაცემები მიუთითებს, რომ ტურიზმის რაოდენობრივი ზრდა საქართველოში არ ახლავს პროპორციულად შემოსავლების ზრდა. ეს მიუთითებს, რომ სექტორის ზრდა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით და საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზს შიდა ეკონომიკური ინტეგრაციისა და დამატებული ღირებულების ჭრილში.

დამატებით, რეგრესიული ანალიზის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე კვლევაში, აჩვენებს, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობასა და ერთ ვიზიტორზე რეალურ შემოსავალს შორის კავშირი სუსტია და სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი, მაშინ როდესაც იმპორტის წილი ეკონომიკაში ახდენს უარყოფით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას. აღნიშნული შედეგები ამყარებს არგუმენტს, რომ ტურიზმის ზრდა საქართველოში უფრო მეტად ასახავს რაოდენობრივ ექსპანსიას, ვიდრე სტრუქტურულ ტრანსფორმაციას.

ამრიგად, მიღებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ტურიზმის სექტორის ეფექტიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ აგრეგირებულ მაჩვენებლებს, არამედ რეალურ და დეზაგრეგირებულ ინდიკატორებს, რომლებიც უკეთ ასახავს შიდა დამატებული ღირებულების შექმნასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

6. დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარება ძირითადად რაოდენობრივი ზრდის ხასიათს ატარებს და შეზღუდულად აისახება ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. მიუხედავად საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა, ერთ ვიზიტორზე შემოსავლის დინამიკა არ ავლენს თანმიმდევრულ და მდგრად ტენდენციას. ემპირიული ანალიზი მიუთითებს, რომ ვიზიტორთა მატება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული შემოსავლების ზრდასთან, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას ტურიზმის რაოდენობრივი გაფართოების ავტომატური გარდაქმნის შესახებ ხარისხობრივ ეკონომიკურ პროგრესად.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ აღნიშნული დისბალანსი არ არის მხოლოდ ბაზრის თვითრეგულირების შედეგი, არამედ მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინსტიტუციური და პოლიტიკის გარემოთი, რომელიც ხელს უწყობს მასობრივ, დაბალი დამატებული ღირებულების მქონე ტურიზმის მოდელის შენარჩუნებას. შედეგად ყალიბდება დაბალპროდუქტიული სტრუქტურული წონასწორობა, სადაც სექტორის განვითარება ვერ გარდაიქმნება ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდად.

კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიგნებას წარმოადგენს „გაჟონვის ეფექტის“ მნიშვნელობა. იმპორტის წილის უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მიუთითებს, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნულ ეკონომიკაში არ რჩება, რაც ზღუდავს შიდა დამატებული ღირებულების შექმნას და ამცირებს მულტიპლიკატორულ ეფექტს. აღნიშნული გარემოება ასახავს სექტორის სუსტ ინტეგრაციას ადგილობრივ ეკონომიკასთან და მის ფუნქციონირებას ნაწილობრივ „სექტორული იზოლაციის“ პირობებში.

მომსახურების სექტორში დასაქმების ზრდა, როგორც ჩანს, უფრო მეტად ასახავს შრომის ინტენსიურ გაფართოებას, ვიდრე პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, რაც ზრდის რესურსების არაეფექტიანი გამოყენების რისკს. ამასთან, ტურიზმიდან მიღებული უცხოური ვალუტის შემოდინება ქმნის „ჰოლანდიური დაავადების“ მსგავსი ეფექტების პოტენციალს, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ექსპორტზე ორიენტირებული დარგების კონკურენტუნარიანობაზე და გააღრმავოს ეკონომიკის სტრუქტურული დისბალანსები.

თეორიული თვალსაზრისით, შედეგები მიუთითებს, რომ კონკურენტუნარიანობის ფასზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია არასაკმარისია მდგრადი განვითარების ასახსნელად. შესაბამისად, საქართველოს ტურიზმის სექტორი შეიძლება განიხილებოდეს როგორც დაბალი დამატებული ღირებულების სტრუქტურულ წონასწორობაში მყოფი სისტემა, სადაც რაოდენობრივი ზრდა ვერ გარდაიქმნება ხარისხობრივ ტრანსფორმაციად.

პოლიტიკის თვალსაზრისით, შედეგები მიუთითებს განვითარების მოდელის გადახედვის აუცილებლობაზე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, არამედ ერთ ვიზიტორზე შექმნილი ეკონომიკური ღირებულების ზრდას. ამისათვის აუცილებელია სექტორის უფრო ღრმა ინტეგრაცია ადგილობრივ ეკონომიკასთან, იმპორტდამოკიდებულების შემცირება, კლასტერული კავშირების გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

მიუხედავად კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვებისა, მიღებული შედეგების დროითი მდგრადობა იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ დაფიქსირებული ტენდენციები ასახავს ეკონომიკის სტრუქტურულ თავისებურებებს და არ წარმოადგენს შემთხვევით კორელაციებს.

საბოლოოდ, ტურიზმის სექტორის წარმატება არ უნდა შეფასდეს მხოლოდ ვიზიტორთა რაოდენობით. გადამწყვეტია, თუ რამდენად ქმნის ეს სექტორი შიდა დამატებულ ღირებულებას, რამდენად არის ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკასთან და რამდენად უწყობს ხელს

პროდუქტიულობის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განვითარება დარჩება სტატისტიკურ მიღწევად, რომელიც ვერ გარდაიქმნება რეალურ ეკონომიკურ პროგრესად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Dwyer, L., Forsyth, P., & Spurr, R. (2004). Evaluating tourism's economic effects: New and old approaches. *Tourism Management, 25*(3), 307–317. https://doi.org/10.1016/S0261-5177(03)00131-6
2. Gegeshidze, P., Garakanidze, Z., & Maghradze, N. (2025). Why Georgia struggles to attract high-spending tourists. *Georgian Scientists, 7*(4), 248–267.
3. Krajnyak, K., & Zettelmeyer, J. (1997). *Competitiveness in transition economies: What scope for real appreciation?* (IMF Working Paper No. 97/149). International Monetary Fund.
4. National Bank of Georgia. (2024). *Macroeconomic indicators*. https://www.nbg.gov.ge
5. National Statistics Office of Georgia. (2024). *Tourism statistics in Georgia*. https://www.geostat.ge
6. Organisation for Economic Co-operation and Development. (1998). *The competitiveness of transition economies*. OECD Publishing.
7. Porter, M. E. (1990). *The competitive advantage of nations*. Free Press.
8. Pratt, S. (2015). The economic impact of tourism in small island developing states. *Journal of Travel Research, 54*(5), 610–622. https://doi.org/10.1177/0047287514528280
9. Srhoj, A., & Mikulić, J. (2025). The hidden geography of tourism firm spending. *Annals of Tourism Research, 112*, Article 103842. https://doi.org/10.1016/j.annals.2024.103842
10. World Bank. (2024). *World development indicators database*. https://data.worldbank.org
11. World Tourism Organization. (2024). *Tourism statistics database*. https://www.unwto.org

Aviation Operational Data as an Early Indicator for Tourism Demand Forecasting: The AI Bridge Model (A Case Study of the Georgia-Turkey Aviation Corridor)

Tamta Beridze
Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University, Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0009-0008-6291-6635
Irma Dikhaminjia
Faculty of Business, Law, and Management,
Tbilisi Humanitarian Teaching University, Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-2227-5158

Abstract: The present study explores the potential of utilizing Low-Cost Carrier (LCC) operational data in the process of tourism demand forecasting. The research focuses on changes in aircraft seat capacity as an early indicator of tourist flows. The study employs a hybrid methodology, integrating exploratory analysis with an empirical examination of Pegasus Airlines' data (SAW-TBS-SAW route) for the 2023-2026 period. This airline was selected as the dominant private market operator whose operational behavior provides a universal framework for utilizing private-sector aviation signals.

The study analyzes the impact of aircraft capacity optimization (e.g. the transition from A320 to A321neo) on market expectations. It identifies two distinct time dimensions: an operational planning horizon of 2-3 months, representing the airline's scheduling cycle, and a 16-day strategic predictive window. During this latter interval, fluctuations in seat capacity serve as a leading indicator, anticipating changes in tourism flow dynamics before they are registered in official statistical reports.

The primary innovation of this paper is the "AI Bridge" concept, designed to facilitate data integration between the aviation and tourism sectors. Empirical analysis indicates that the operational behavior of LCCs in the given corridor may precede official tourism statistics. The research proposes an analytical framework where aviation signals are transformed into actionable forecasts, thereby contributing to more efficient resource management. The findings provide a strategic tool for DMOs (Destination Management Organizations) to anticipate market shifts ahead of traditional reporting cycles.

Keywords: Tourism Demand Forecasting, Low-Cost Carriers (LCC), Aviation Operational Data, Predictive Analytics, AI Bridge Model, Aircraft Seat Capacity.

1. Introduction

The global aviation and tourism sectors constitute an interconnected ecosystem where operational decisions directly affect regional economic stability. This synergy represents a solid fundamental baseline for achieving the United Nations Sustainable Development Goals (SDGs), specifically Goals 8 and 9. In the post-pandemic era, the rapid evolution of Low-Cost Carriers (LCCs) has transformed the Georgia-Turkey aviation corridor into one of the region's most dynamic hubs. However, traditional methodologies for forecasting tourism demand remain constrained by their reliance on lagging indicators, creating an information vacuum for policymakers and Destination Management Organizations (DMOs).

Existing econometric models, which rely on GDP, exchange rates, and historical statistics, fail to capture short-term market fluctuations. During environmental shocks, such as the February 2023 earthquake, when travel patterns change instantaneously, the lack of real-time predictive signals creates systemic vulnerability. Consequently, there is a critical need for leading indicators that reflect suppliers' adaptive strategies before those changes are registered in official statistics.

To address this need, the present study introduces the "AI Bridge" model — an analytical framework designed to transform raw aviation metadata into predictive tourism analytics. The fundamental novelty of this model lies in its focus on aircraft capacity dynamics (Seat Capacity Dynamics). Unlike search-intent analyses (e.g., Google Trends), the AI Bridge model evaluates airlines' actual operational commitments.

For instance, swapping an Airbus A320neo for an A321neo indicates a verified surge in demand backed by the airline's proprietary, high-precision algorithms.

In terms of methodology and research scope, this paper demonstrates the potential of Open Source Intelligence (OSINT). By reconstructing flight history from the Flightera.net platform, the AI Bridge functions as a secure intermediary that processes sensitive operational data (such as cancellations and technical rotations) while preserving commercial confidentiality. Using Pegasus Airlines' Tbilisi-Istanbul (TBS-SAW) route (2023-2026) as a case study, this paper investigates the temporal gap between capacity adjustments and actual visitor flows.

2. Literature Review

2.1 Theoretical Framework of Aviation Accessibility

Air transport accessibility is considered a fundamental determinant of tourism destination development (Prideaux, 2000). There is a consensus in academic circles that the density of aviation networks directly correlates with regional economic resilience. Bieger and Wittmer (2006) emphasize that air transport is a "bridge" between market supply and demand. The operation of Pegasus Airlines in the Georgia-Turkey corridor is a classic example of this theory, where the increase in capacity creates an "induced demand" effect (Doganis, 2019), which implies that the growth of supply inherently generates new tourist flows.

2.2 Methodological Debates in Forecasting: Leading vs. Lagging Indicators

Traditional methods of forecasting tourism demand, such as ARIMA models, predominantly rely on historical data (Song & Li, 2008). Despite their accuracy, these approaches represent lagging indicators (Lagging Indicators) that fail to respond to sudden market shocks. Recently, researchers have started using consumer intent-oriented data, specifically Google Trends (Law et al., 2018). However, a "methodological gap" is revealed here: search history reflects only intent and not the actual transaction. In contrast, an airline's decision to change the aircraft type is a financially justified step taken by the supplier (Araz et al., 2020).

2.3 Seat Capacity as a Strategic Signal

Revenue management in the aviation industry is based on a complex analysis of future demands. Humphreys (2003) notes that airlines change the aircraft type (e.g., upgrading from an Airbus A320 to an A321neo) only when their internal algorithms confirm the stability of the load factor (Load Factor). Consequently, operational data should be considered as a "leading indicator" (Leading Indicator). During external shocks (e.g., the 2023 earthquake in Turkey), immediate flight cancellations or capacity reductions represent the first empirical signal for the tourism ecosystem (Ivanov et al., 2017).

2.4 OSINT Data Reconstruction and the Role of the AI Bridge

Under conditions of information asymmetry, the utilization of open-source intelligence (OSINT) is becoming increasingly relevant. Reconstructing data from platforms like Flightera.net allows for the recovery of flight history even where official sources are limited (Glassman & Kang, 2012). The primary innovation of this study - the AI Bridge model - aims to solve the data deficiency (ND - No Data). Contemporary literature indicates that the best mechanism for data exchange between the public and private sectors is decentralized analytics (Privacy-preserving analytics), where public authorities receive aggregated predictive signals (Yang et al., 2019; Varga et al., 2021). This ensures commercial confidentiality while simultaneously strengthening the country's tourism readiness.

3. Methodology

3.1 Research Design and Data Reconstruction

The research is based on a post-positivistic paradigm and employs a quasi-experimental approach to establish causal links between aviation signals and tourism dynamics. The empirical basis is provided by the activity of Pegasus Airlines in the Istanbul-Tbilisi (SAW-TBS-SAW) corridor (01.01.2023 – 22.04.2026). As aviation systems are closed, an OSINT methodology was utilized. Real data from ADS-B transponders was obtained from Flightera.net, which allows for the reconstruction of the actual operational picture (Actual Flight History) rather than just the theoretical schedule.

3.2 Functional Hierarchy of Flights: The Continuous Series of PC 317/318

The accuracy of this study is grounded in a 1200-day continuous data series (2023–2026), which allows for a comprehensive analysis of aviation metadata. The process of transforming these raw ADS-B records into predictive indicators involves three distinct stages. Initially, the model identifies the base aviation signal through observed variations in seat capacity, which directly reflect the airline's operational behavior. Subsequently, the AI Bridge algorithm processes this data, incorporating a 16-day lead time calculation to account for temporal lags. Finally, these inputs are synthesized into a predictive outcome, enabling a more accurate forecast of tourist flows for market optimization purposes.



Fig. 1 Flowchart of the AI Bridge data transformation methodology.

3.3 Capacity Classification and Mathematical Modeling

In the analytical process, flights are filtered into specific strategic categories to isolate meaningful signals. Flight PC 315 serves as the baseline, representing the axis of stable demand where standard aircraft such as the A320neo or B737-800 are consistently utilized. In contrast, PC 317 acts as the primary strategic indicator; it exhibits the highest degree of variability, and any aircraft upgrade to an Airbus A321neo on this route serves as a direct empirical signal of market growth. Furthermore, PC 319 is categorized as an expansive flight, typically added during periods of peak demand; its presence or absence serves as a reliable signal of market saturation.

To quantify these dynamics, each aircraft is assigned a seating capacity based on specific Pegasus configuration standards: 239 seats for the Airbus A321neo (high capacity), and 186/189 seats for the Airbus A320neo and Boeing 737-800 (baseline capacity). Flights marked as "Cancelled" (0) are utilized to identify the impact of external shocks, while missing data (ND) is addressed through statistical mean imputation.

The total monthly potential capacity (SC_m) was calculated using the formula:

$SC_m = \sum_{i=1}^{n} (Fi \times Si)$

where F_i represents flight frequency, and S_i denotes the number of seats according to the aircraft type.

3.4 Validation and Quality Control

The integrity of the research findings is maintained through a rigorous three-level validation protocol. First, a logical control mechanism is applied to cross-reference every flight number with its corresponding aircraft registration (tail number), which ensures the accuracy of operational data. Second, the study employs a cross-verification procedure, wherein a random 5% sample of the data is compared against historical archives from FlightRadar24 to mitigate potential discrepancies. Finally, a temporal logic filter is utilized to address data gaps; for any flights identified with an "ND" (No Data) status, the model assigns a status based on the consistent trends observed during the preceding seven-day period.

3.5 Anomaly Analysis and the "Lead-Lag" Effect

The model pays special attention to "negative operational signals" (e.g., mass cancellations in February 2023). The study determines the lead time required for an airline to react to a decline in demand. A 14-21 day "strategic window" has been identified, where changes in aviation capacity precede changes in official visitor statistics.

3.6 AI Bridge Technological and Ethical Framework

The Python-based algorithm normalizes the data and calculates the "Capacity Variance" in relation to the historical moving average. The model is based on the principle of Privacy-Preserving Analytics, which ensures the protection of airline commercial secrets while providing the state with only an aggregated "Tourism Readiness Index" (PPP model).

4. Results and Discussion

4.1 Aviation Supply Dynamics and Crisis Anomalies

A 1200-day observation period (2023–2026) revealed a statistically significant correlation between aviation signals and external shocks. The most distinct systemic anomaly was recorded in February 2023 (the period of the earthquake in Turkey). On the PC 317 flight, where the Airbus A321neo had previously dominated, there was a transition to smaller aircraft (A320neo/B737-800), which reduced total capacity by 22%. This confirms that aviation capacity serves as the "nervous system" of the market, reacting to crises before they are reflected in tourist destinations.

4.2 Functional Differentiation of Flights

The data analysis reveals that Pegasus Airlines operates through a structured hierarchical approach, where each flight category serves a specific purpose in market balancing. Flight PC 315 acts as the "anchor," functioning as the backbone of the corridor by maintaining maximum operational stability even during periods of market turbulence. In contrast, PC 317 serves as the primary strategic indicator; its high variability makes it the most sensitive route, where the return of the Airbus A321neo is a definitive signal of market recovery. Finally, PC 319 operates as an expansion buffer, characterized by a higher frequency of cancellations (Status: 0), which allows the airline to adjust capacity dynamically in response to peak seasonal shifts.

4.3 The Economics of Operational Rotation

The selection of Pegasus Airlines for this case study is grounded in its role as a "pure economic signal." Unlike flag carriers, which may sometimes be influenced by political considerations or subsidies, LCCs like Pegasus operate on high-precision, profit-driven algorithms that prioritize load factor stability above all else. This renders their operational choices such as aircraft swaps-objective reflections of market reality. During discussions of operational rotations, it is vital to acknowledge that while a "downsizing" of aircraft

can sometimes reflect internal logistical priorities, the AI Bridge model remains focused on objective supply. For the tourism sector (including hotels, local guides, and service providers), the physical count of available seats is the primary constraint. Therefore, by recording every decrease in capacity as a negative signal, the model provides a more objective and unfiltered perspective on market health than traditional consumer-intent metrics.

4.4 AI Bridge Predictive Validity and the Lead-Lag Effect

The comparison between aviation supply data and official tourism statistics highlights the model's significant predictive validity. The analysis demonstrates that changes in aviation capacity precede actual fluctuations in tourist flows by an average of 16 days. This "strategic window" allows destination managers to anticipate shifts in demand before they appear in official data. Furthermore, it is essential to distinguish between the airline's internal operational planning cycle-which typically spans 2-3 months-and the model's immediate predictive capability. By narrowing this gap, the AI Bridge provides a proactive management tool that enables tourism stakeholders to adjust their strategies well before the market correction occurs.

2. 4.5 Data Validation and Heterogeneity

The validation process, conducted by comparing ADS-B data acquired through OSINT methodology with official airport statistics, demonstrates a high level of reliability with a 98.4% accuracy rate. This result confirms that open-source monitoring serves as a robust and valid alternative to traditional reporting methods. Furthermore, the "Tourism Readiness Index" generated by the AI Bridge model empowers market stakeholders to synchronize their pricing strategies with supply volumes in real-time, thereby optimizing resource allocation based on verifiable operational data.

3. 4.6 Long-term Sustainability (2023–2026)

A longitudinal analysis covering the three-year period from 2023 to 2026 reveals that Pegasus Airlines has entered a phase of stable market expansion. As of May 2026, the systemic transition to the Airbus A321neo on flights PC 317 and PC 319 indicates a significant increase in market maturity. Consequently, the AI Bridge model establishes itself as an effective and economical instrument for monitoring national tourism stability. By providing granular insights into aviation capacity, the model enables state authorities to shift toward proactive management, facilitating more informed and timely decision-making processes in response to evolving tourism dynamics.

4. 5. Conclusion

Based on a 1,200-day continuous empirical observation, this study confirms the hypothesis that the operational management of carriers within the Istanbul aviation hub serves as a reliable indicator of regional tourism dynamics. By analyzing the "digital footprint" of Pegasus Airlines, the AI Bridge model demonstrates that fluctuations in seat capacity are not merely internal logistical adjustments; rather, they represent proactive responses to market signals. Although this research focuses on a specific case study, the depth of the data confirms that aviation metadata constitutes a primary and highly reliable source for real-time economic forecasting.

The selection of Pegasus Airlines, as an independent low-cost carrier (LCC), is methodologically justified by its high operational agility, where every seat capacity change is directly correlated with profit maximization. This behavior positions the airline as a "pure economic signal." In the discussion of operational rotations, it is vital to emphasize that the immediate replacement of aircraft types provides a 16-day strategic window, offering early insights into market trends before they manifest in official statistics.

This study identifies a fundamental distinction between strategic planning and market-driven management. While global giants like Turkish Airlines (THY) pursue decade-long fleet modernization strategies often aligned with broader corporate or political goals, the operational behavior of Pegasus Airlines is calibrated toward immediate profitability. Consequently, for state authorities, the data from Pegasus serves as a more accurate reflection of the market's "true pulse" rather than long-term corporate positioning. In the future, the model's refinement will require synergies with other players, particularly AJet, to clearly differentiate between planned fleet updates and pure economic optimization. While states may have access to internal data from national carriers, the AI Bridge model offers an OSINT-based integration that ensures a transparent and automated decision-making process.

For the tourism sector, the analysis of aviation capacity is transformative, as the AI Bridge model functions as an early warning system. It allows both public and private sectors to optimize pricing policies in accordance with supply volumes, strengthen marketing interventions during growth phases, and effectively manage risks during downturns. The identified 16-day strategic window is the study's primary practical contribution, enabling decision-makers to shift from reactive management to proactive economic policy. This model is particularly valuable for the state, as it relies on objective, open-source data rather than subjective expectations.

In conclusion, while the study acknowledges certain limitations—such as the absence of real-time passenger load factors—the variations in capacity serve as reliable proxies for these metrics. Future research will focus on expanding the system to a multi-company monitoring framework, incorporating data from Turkish Airlines and AJet to create a holistic "Aviation Capacity Map" of the Istanbul hub. This work demonstrates that the interpretation of private aviation logistics is the key to a competitive tourism sector. The AI Bridge model provides a scalable framework that transforms raw data into strategic economic advantage, representing the most direct path to regional stability in an era of global uncertainty.

References

1. Araz, O. M., Choi, T. M., Koppius, O., & Scheller-Wolf, A. (2020). Data analytics for operational risk management: Interdisciplinary perspectives and future research. Production and Operations Management, 29(6), 1321-1335.

2. Bieger, T., & Wittmer, A. (2006). Air transport and tourism—Perspectives and challenges for destinations, airlines and governments. Journal of Air Transport Management, 12(1), 40-46.

3. Doganis, R. (2019). Flying Off Course: Airline Economics and Marketing. Routledge.

4. Glassman, M., & Kang, M. J. (2012). Intelligence in the era of open source. Educational Psychologist, 47(3), 149-167.

5. Humphreys, I. (2003). Organizational and growth trends in air transport. Journal of Transport Geography, 11(3), 231-233.

6. Ivanov, S., Webster, C., & Berezina, K. (2017). Adoption of robots and service automation by tourism and hospitality companies. Revista Turismo & Desenvolvimento, 27(28), 1501-1517.

7. Law, R., Li, G., Fong, D. K. C., & Han, X. (2018). Tourism demand forecasting: A deep learning approach. Annals of Tourism Research, 75, 410-423.

8. Prideaux, B. (2000). The role of the transport system in destination development. Tourism Management, 21(1), 53-63.

9. Song, H., & Li, G. (2008). Tourism demand modelling and forecasting—A review of recent research. Tourism Management, 29(2), 203-220.

10. Yang, Y., Pan, B., & Song, H. (2019). Predicting hotel demand using destination marketing organization's website traffic data. Journal of Travel Research, 53(7), 833-847.

11. Varga, Á., Horváth, G., & Gere, A. (2021). The role of artificial intelligence in airline revenue management. Sustainability, 13(21), 11842.

12. Flightera Aviation Data (2026). Flight History and Aircraft Utilization Statistics for TBS-SAW Corridor. Retrieved from https://www.flightera.net.

ბოსტნეულის წარმოების დინამიკის ეკონომეტრიკული მოდელირება და პროგნოზული სცენარები საქართველოში

Econometric Modeling of the Dynamics of Vegetable Production and Forecast Scenarios in Georgia

ლელა ადუაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Lela Aduashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

აბსტრაქტი. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ბოსტნეულის წარმოების დინამიკა და შემუშავებულია მისი განვითარების პროგნოზული სცენარები ეკონომეტრიკული მოდელირების საფუძველზე. კვლევა ეფუძნება 2009-2024 წლების სტატისტიკურ მონაცემებს და მოიცავს როგორც ბოსტნეულის წარმოების საერთო მოცულობის, ისე მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მაჩვენებლის შეფასებას. ტენდენციების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულია წრფივი და პარაბოლური ფუნქციები, ხოლო პროგნოზირებისათვის - ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი ეკონომეტრიკული მოდელები.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ბოსტნეულის წარმოება საქართველოში ხასიათდება არასტაბილური და გრძელვადიან პერიოდში დაღმავალი დინამიკით. პროგნოზული შეფასებები აჩვენებს, რომ ინერციული განვითარების პირობებში წარმოება მომავალშიც შეინარჩუნებს კლებად ტენდენციას.

მიღებული შედეგები ხაზს უსვამს მიზნობრივი აგროპოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების ზრდასა და დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ბოსტნეულის წარმოება, ეკონომეტრიკული მოდელირება, პროგნოზირება, სასურსათო უსაფრთხოება, საქართველო.

Abstract. The article analyses the dynamics of vegetable production in Georgia and develops forecast scenarios for its development based on econometric modelling. The study is based on statistical data for the years 2009-2024 and includes the assessment of both the total volume of vegetable production and the per capita production indicator. Linear and quadratic functions are used to identify trends, while single-factor and multifactor econometric models are applied for forecasting.

The results of the study indicate that vegetable production in Georgia is characterized by unstable dynamics and a downward trend in the long term. Forecast estimates show that under inertial development conditions, production will continue to maintain a declining trend in the future.

The obtained results emphasize the necessity of implementing targeted agro-policy measures that will ensure the growth of domestic production and enhance the competitiveness of the sector in Georgia.

Keywords: vegetable production, econometric modelling, forecasting, food security, Georgia.

შესავალი

თანამედროვე აგროსასურსათო მეურნეობები მაღალი გაურკვევლობისა და გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში ფუნქციონირებენ, რაც პირდაპირ აისახება ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე (Kharaishvili & Aduashvili, 2024b). ამ კონტექსტში, ბოსტნეულის წარმოება სტრატეგიული მიმართულებად ყალიბდება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსახლეობის კვების რაციონის გაუმჯობესებასა და ადგილობრივი ბაზრის თვითუზრუნველყოფის ხარისხის ამაღლებაში (Aduashvili, 2023).

გლობალური ბოსტნეულის ბაზრის ზრდის მიუხედავად, მისი მოხმარება ხშირად ვერ აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს - 400 გრ/დღეში (WHO, 2019). ამასთან, პროდუქტის მალფუჭებადი ბუნების გამო, დანაკარგების წილი წარმოების თითქმის ნახევარს აღწევს (United Nations, 2022), რაც მდგრადი განვითარებისა და მცირე მწარმოებელთა როლის გაძლიერების აუცილებლობას წარმოშობს (FAO & CIRAD, 2021).

საქართველოს აგრარული სექტორი, მნიშვნელოვანი პოტენციალის მიუხედავად, კვლავ დგას ისეთი ბარიერების წინაშე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ინვესტიციების სიმცირე და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა (Kharaishvili & Aduashvili, 2022). აღნიშნული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს წარმოების ტენდენციების იდენტიფიცირებისა და პროგნოზირების საჭიროებას.

ეკონომეტრიკული მოდელირება, კლასიკური მიდგომების და დროითი რიგების ანალიზის საფუძველზე, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს დარგის განვითარების კანონზომიერებები (Stock & Watson, 2020; Wooldridge, 2020). არსებული კვლევები ადასტურებს, რომ აგრარულ სექტორში პროგნოზირება უნდა ეფუძნებოდეს როგორც ტენდენციების ანალიზს, ისე მულტიფაქტორულ მოდელებს, რაც ქმნის საფუძველს ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისათვის (Mundlak, 2001; Pawlak & Kołodziejczak, 2020).

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოში ბოსტნეულის წარმოების დინამიკის ეკონომეტრიკული შეფასება და პროგნოზული სცენარების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება დროითი რიგების ანალიზის მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ბოსტნეულის წარმოების დინამიკის იდენტიფიცირება წრფივი და პარაბოლური ფუნქციების მეშვეობით. მოდელების პარამეტრები შეფასებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სტატისტიკურ ვალიდურობას.

ბოსტნეულის წარმოების პროგნოზირება განხორციელდა ორი ალტერნატიული მიდგომით: ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით. ანალოგიური მეთოდოლოგიური აპარატი გამოყენებული იქნა მოსახლეობის ერთ სულზე ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებლის ანალიზისათვის, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს დარგის ეფექტიანობა დემოგრაფიული ცვლილებების კონტექსტში. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა პროგნოზული სცენარები 2025-2035 წლების პერიოდისთვის.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ზოგადი მეთოდები: სისტემური ანალიზის, სინთეზის, შედარებისა და დედუქციის. მონაცემთა პირველადი დამუშავება განხორციელდა საქსტატის მონაცემთა ბაზების საფუძველზე, ხოლო სტატისტიკური გამოთვლებისა და ვიზუალიზაციისათვის გამოყენებულია MS Excel-ისა და Canva-ს პროგრამები.

საკვლევი კითხვები

RQ1: როგორია ბოსტნეულის წარმოების დინამიკა საქართველოში?

RQ2: ბოსტნეულის წარმოების რა პროგნოზული სცენარებია მოსალოდნელი მომდევნო 10 წლის განმავლობაში?

RQ3: როგორია მოსახლეობის ერთ სულზე ბოსტნეულის წარმოების დინამიკა საწართველოში?

RQ4: მოსახლეობის ერთ სულზე ბოსტნეულის წარმოების რა პროგნოზული სცენარებია მოსალოდნელი მომდევნო 10 წლის განმავლობაში?

RQ5: რა ეკონომიკური და აგროპოლიტიკური ღონისძიებებია საჭირო ბოსტნეულის წარმოების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოში?

კვლევის შედეგები

საქართველოში ბოსტნეულის წარმოება წლების განმავლობაში ცვალებადი დინამიკით ხასიათდებოდა. 2009-2024 წლებისათვის წარმოებამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია 2013 წელს - 204,3 ათასი ტონა, ხოლო მინიმალურ მაჩვენებელს 2017 წელს - 125,9 ათასი ტონა. ნათელია, ბოლო პერიოდის მანძილზე მებოსტნეობის დარგი რეცესიულად ვითარდება. აღნიშნულს განაპირობებს ბოსტნეულის წარმოების წინაშე არსებული გამოწვევები.

ამ ფონზე, საინტერესოა, როგორ განვითარდება ბოსტნეულის წარმოების დინამიკა მომდევნო 10 წლის განმავლობაში. წარმოების სტატისტიკური პროგნოზირებისათვის აუცილებელია ტენდენციის გამოვლენა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდებია წრფივი და პარაბოლური ფუნქციის გამოყენება (გელაშვილი, 2017; 2019).

წრფივ ფუნქციას აქვს შემდეგი სახე: $\widehat{y_t} = a_0 + a_1 t$, სადაც: $\widehat{y_t}$ - დინამიკური მწკრივის მოწორებული დონეებია; a_0 და a_1- განტოლების პარამეტრებია; t - დრო.

უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე გვექნება:

$$\sum_{t=1}^{n} (y_t - a_0 - a_1 t)^2 \to min$$

საჭიროა ამოიხსნას ნორმალურ განტოლებათა შემდეგი ორუცნობიანი სისტემაა:

$$\begin{Bmatrix} \sum y = na_0 + a_1 \sum t \\ \sum yt = a_0 \sum t + a_1 \sum t^2 \end{Bmatrix}, \text{ სადაც } \sum t = 0.$$

აღნიშნული სისტემიდან განისაზღვრება a_0 და a_1პარამეტრები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ბოსტნეულის წარმოების მოცულობა 2009-2024 წლებში (ათასი ტონა) - ტენდენციის გამოვლენა წრფივი ფუნქციით

წელი	ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა) y	t	yt	t^2
2009	170,3	-8	-1362.4	64
2010	175,5	-7	-1228.5	49
2011	185,8	-6	-1114.8	36
2012	198,5	-5	-992.5	25
2013	204,8	-4	-819.2	16
2014	153.6	-3	-460.8	9
2015	152.3	-2	-304.6	4
2016	141.7	-1	-141.7	1
2017	125.9	1	125.9	1
2018	142.2	2	284.4	4
2019	161.1	3	483.3	9

2020	176.1	4	704.4	16
2021	149	5	745	25
2022	128.5	6	771	36
2023	142	7	994	49
2024	134.4	8	1075.2	64
	$\sum y$ =*2541.7*		$\sum yt$ =*–1241.3*	$\sum t^2$ =408

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე*

ცხრილში 1 წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით a_0 და a_1 პარამეტრები იქნება:

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = \frac{2541.7}{16} = 158{,}85625$$

$$a_1 = \frac{\sum yt}{t^2} = \frac{-1241.3}{408} = -3{,}0424$$

მათი კონკრეტული მნიშვნელობების წრფივ ფუნქციაში $\hat{y}_t = 158{,}85625 - 3{,}0424t$ შეტანით მოვახდენთ ემპირიული მწკრივის მოსწორებასა და ტრენდის გამოვლენას.

ტენდენციის გამოსავლენად, ასევე, შეგვიძლია დავეყრდნოთ პარაბოლურ ფუნქციასაც: $\hat{y}_t = a_0 + a_1 t + a_2$.

ამ შემთხვევაშიც ვიყენებთ უმცირეს კვადრატთა მეთოდს:

$$\sum_{t=1}^{n} (y_t - a_0 - a_1\, t - a_2 t^2)^2 \to \min$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $\sum t = 0$, მაშინ სამუცნობიანი განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\left\{ \begin{array}{c} \sum y = na_0 + a_2 \sum t^2 \\ \sum yt = a_1 \sum t^2 \\ \sum yt^2 = a_0 \sum t^2 + a_2 \sum t^4 \end{array} \right\}$$

მოცემული სისტემის საფუძველზე განვსაზღვროთ შესაბამისი პარამეტრები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ბოსტნეულის წარმოების მოცულობა 2009-2024 წლებში (ათასი ტონა) - ტენდენციის გამოვლენა პარაბოლური ფუნქციით

წელი	ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა) y	t	yt	t^2	yt^2	t^4
2009	170,3	-8	-1362.4	64	10899.2	4096
2010	175,5	-7	-1228.5	49	8599.5	2401
2011	185,8	-6	-1114.8	36	6688.8	1296
2012	198,5	-5	-992.5	25	4962.5	625
2013	204,8	-4	-819.2	16	3276.8	256
2014	153.6	-3	-460.8	9	1382.4	81
2015	152.3	-2	-304.6	4	609.2	16
2016	141.7	-1	-141.7	1	141.7	1
2017	125.9	1	125.9	1	125.9	1

2018	142.2	2	284.4	4	568.8	16
2019	161.1	3	483.3	9	1449.9	81
2020	176.1	4	704.4	16	2817.6	256
2021	149	5	745	25	3725	625
2022	128.5	6	771	36	4626	1296
2023	142	7	994	49	6958	2401
2024	134.4	8	1075.2	64	8601.6	4096
	$\sum y = 2541.7$		$\sum yt = -1241.3$	$\sum t^2 = 408$	$\sum yt^2 = 65432,9$	$\sum t^4 = 17544$

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე*

გავიანგარიშოთ a_0, a_1 და a_2 პარამეტრის კონკრეტული მნიშვნელობები. უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ a_2-ის რიცხვითი მნიშვნელობა.

$$a_2 = \frac{n\sum yt^2 - \sum y \sum t^2}{n\sum t^4 - \sum t^2 \sum t^2}$$

$$a_2 = \frac{16 \times 65432,9 - 2541,7 \times 408}{16 \times 17544 - 408 \times 408} = 0,0868$$

a_2-ის მიღებული რიცხვითი მნიშვნელობის საფუძველზე განვსაზღვროთ a_0 პარამეტრის მნიშვნელობა.

$$a_0 = \frac{\sum y - a_2 \sum t^2}{n}$$

$$a_0 = \frac{2541,7 - 0,0868 \times 408}{16} = 156,6436$$

ჩვენს შემთხვევაში, პარაბოლური ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს: $\hat{y_t} = 156,6436 - 3,0424t + 0,0868t^2$.

მოცემული ფუქნციის საფუძველზე მოვახდინოთ ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელთა მოსწორება ტენდენციის გამოვლენის მიზნით.

ამგვარად, ორივე ფუნქციით გამოვლენილი ტენდენცია ადასტურებს, რომ ბოსტნეულის დარგში არსებული სტრუქტურული პრობლემების გამო გენერალური ტენდენცია რეგრესიულია (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ბოსტნეულის წარმოება და წარმოების ტენდენცია (წრფივი და პარაბოლური ფუნქციით)

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით*

ბოსტნეულის წარმოების პროგნოზირება განხორციელდა კვლევის ფარგლებში მიღებული წრფივი და პარაბოლური ფუნქციების საფუძველზე (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ბოსტნეულის წარმოების სტატისტიკური პროგნოზირება 2025-2035 წლებში (წრფივი ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი მოდელებით)

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით*

აღსანიშნავია, რომ მრავალფაქტორიანი მოდელით პროგნოზირებისას გამოიკვეთა შედარებით „სტაბილური“ განვითარების სცენარი. თუმცა, ორივე შემთხვევაში მიღებული სტატისტიკური პროგნოზული შედეგებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ინერციული განვითარება საქართველოს მებოსტნეობის დარგს რეგრესისაკენ უბიძგებს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მთლიანი მოცულობის პროგნოზირება დარგის სამომავლო განვითარების ტენდენციას ასახავს, იგი საკმარისი არაა დარგის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძვლიანი შეფასებისათვის. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის კონტექსტში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული ინდიკატორი საშუალებას იძლევა შეფასდეს, რამდენად თანხვედრაშია ადგილობრივი წარმოების დინამიკა დემოგრაფიულ ცვლილებებთან და რამდენად უზრუნველყოფს იგი თითოეული მოქალაქისათვის ბოსტნეულის ხელმისაწვდომობის ზრდას. შესაბამისად, კვლევის მომდევნო ეტაპზე, ანალოგიური ეკონომეტრიკული მეთოდოლოგიით გაანალიზებულია ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 2009-2024 წლებში (კგ) - ტენდენციის გამოვლენა წრფივი ფუნქციით

წელი	ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა) y	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)	ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ) z	t	zt	t^2
2009	170,3	3829.0	44.5	-8	-355.8	64
2010	175,5	3799.8	46.2	-7	-323.3	49

2011	185,8	3773.6	49.2	-6	-295.4	36
2012	198,5	3739.3	53.1	-5	-265.4	25
2013	204,8	3718.4	55.1	-4	-220.3	16
2014	153.6	3716.9	41.3	-3	-124.0	9
2015	152.3	3721.9	40.9	-2	-81.8	4
2016	141.7	3728.6	38.0	-1	-38.0	1
2017	125.9	3726.4	33.8	1	33.8	1
2018	142.2	3729.6	38.1	2	76.3	4
2019	161.1	3723.5	43.3	3	129.8	9
2020	176.1	3716.9	47.4	4	189.5	16
2021	149	3728.6	40.0	5	199.8	25
2022	128.5	3688.6	34.8	6	209.0	36
2023	142	3736.4	38.0	7	266.0	49
2024	134.4	3694.6	36.4	8	291.0	64
			$\sum z = 680.0$		$\sum yt = -308.9$	$\sum t^2 = 408$

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე*

ცხრილში 3 წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით a_0 და a_1 პარამეტრები იქნება:

$$a_0 = \frac{\sum z}{n} = \frac{680}{16} = 42{,}5$$

$$a_1 = \frac{\sum zt}{t^2} = \frac{-308{,}9}{408} = -0{,}6435$$

მათი კონკრეტული მნიშვნელობების წრფივ ფუნქციაში შეტანით $\widehat{z_t} = 42{,}5 - 0{,}6435t$ მოვახდენთ ემპირიული მწკრივის მოსწორებასა და ტრენდის გამოვლენას.

ასევე, მოსახლეობის ერთ სულზე წარმობული ბოსტნეულის ტენდენცია გამოვლინდა პარაბოლური ფუნქციის საშუალებითაც (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 2009-2024 წლებში (კგ) - ტენდენციის გამოვლენა პარაბოლური ფუნქციით

წელი	ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ) z	t	zt	t^2	zt^2	t^4
2009	44.5	-8	-355.8	64	2848	4096
2010	46.2	-7	-323.3	49	2263.8	2401
2011	49.2	-6	-295.4	36	1771.2	1296
2012	53.1	-5	-265.4	25	1327.5	625
2013	55.1	-4	-220.3	16	881.6	256
2014	41.3	-3	-124.0	9	371.7	81
2015	40.9	-2	-81.8	4	163.6	16
2016	38.0	-1	-38.0	1	38	1
2017	33.8	1	33.8	1	33.8	1
2018	38.1	2	76.3	4	152.4	16
2019	43.3	3	129.8	9	389.7	81

2020	47.4	4	189.5	16	758.4	256
2021	40.0	5	199.8	25	1000	625
2022	34.8	6	209.0	36	1252.8	1296
2023	38.0	7	266.0	49	1862	2401
2024	36.4	8	291.0	64	2329.6	4096
	$\sum z = 680.0$		$\sum yt = -308.9$	$\sum t^2 = 408$	$\sum zt^2 = 17444,1$	$\sum t^4 = 17544$

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე*

გავიანგარიშოთ a_0, a_1 და a_2 პარამეტრის კონკრეტული მნიშვნელობები. უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ a_2-ის რიცხვითი მნიშვნელობა.

$$a_2 = \frac{n\sum zt^2 - \sum z \sum t^2}{n\sum t^4 - \sum t^2 \sum t^2}$$

$$a_2 = \frac{16 \times 17444,1 - 680 \times 408}{16 \times 17544 - 408 \times 408} = 0,01458$$

a_2-ის მიღებული რიცხვითი მნიშვნელობის საფუძველზე განვსაზღვროთ a_0 პარამეტრის მნიშვნელობა.

$$a_0 = \frac{\sum z - a_2 \sum t^2}{n}$$

$$a_0 = \frac{680 - 0,01458 \times 408}{16} = 37,62821$$

ჩვენს შემთხვევაში, პარაბოლური ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს: $\hat{z_t} = 37,62821 - 0,6435t + 0,01458t^2$.

ბოსტნეულის წარმოების ეკონომეტრიკულმა ანალიზმა მოსახლეობის ერთ სულზე გამოავლინა უარყოფითი ტენდენცია. წრფივი და პარაბოლური მოდელები ერთხმად ადასტურებენ მაჩვენებლის რეგრესიულ ბუნებას (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე და მისი ტენდენცია (წრფივი და პარაბოლური ფუნქციით)

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით*

ამდენად, ქვეყნის აგრარული პოტენციალი სულ უფრო ნაკლებად პასუხობს მოსახლეობის კვებით მოთხოვნებს, რაც ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას.

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ბოსტნეულის პროგნოზირება განხორციელდა კვლევის ფარგლებში მიღებული წრფივი და პარაბოლური ფუნქციების საფუძველზე (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 4. მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ბოსტნეულის სტატისტიკური პროგნოზირება 2025-2035 წლებში (წრფივი ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი მოდელებით)

წყარო: *აგებულია ავტორის მიერ Canva-ს პროგრამით*

პროგნოზული სცენარების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოსტნეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე 2035 წლისთვის სტაბილიზაციის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ეს სტაბილურობა კრიტიკულად დაბალ ნიშნულზეა მოსალოდნელი. მრავალფაქტორიანი მოდელით მიღებული შედეგი (31 კგ) მიუთითებს იმაზე, რომ არსებული აგრარული რესურსებითა და ტექნოლოგიური დონით, დარგი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ბოსტნეულის ზრდას. თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციას (146 კგ წელიწადში) ნათელი ხდება, რომ ადგილობრივი წარმოება მოთხოვნის მხოლოდ 21%-ს აკმაყოფილებს. შესაბამისად, აუცილებელია დროული და რაციონალური პოლიტიკის შემუშავება, რათა თავიდან იქნეს აცილებული წრფივი ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი მოდელებით ნავარაუდები რეგრესი.

კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული ეკონომეტრიკული მოდელირება იძლევა ბოსტნეულის ბაზრის განვითარების ობიექტურ სურათს, კვლევას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გასათვალისწინებელია შედეგების ინტერპრეტაციისას:

- მონაცემთა აგრეგირებული ხასიათი - კვლევა ეყრდნობა ბოსტნეულის წარმოების ჯამურ მაჩვენებლებს. მოდელი ვერ ითვალისწინებს შიგა დარგობრივ თავისებურებას;
- ეგზოგენური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა - ეკონომეტრიკული მოდელები აგებულია ისტორიულ დინამიკაზე და ვერ ახდენს ისეთი ფორსმაჟორული ფაქტორების

სრულყოფილ პროგნოზირებას, როგორიცაა რადიკალური კლიმატური ცვლილებები, ბუნებრივი კატაკლიზმები ან მკვეთრი გეოპოლიტიკური რყევები, რომელთაც შეუძლიათ არსებითად შეცვალონ ტრენდის ტრაექტორია;

- არაფორმალური სექტორი - კვლევა ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. ამგვარი მონაცემები ყოველთვის ვერ ასახავს იმ პროდუქციას, რომელსაც საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ პირადი მოხმარებისათვის. ეს გარემოება ქმნის გარკვეულ განსხვავებას რეალურ წარმოების მოცულობასა და სტატისტიკურ ციფრებს შორის.

დასკვნა

პროგნოზული მოდელირების შედეგები მიუთითებს, რომ ინერციული განვითარების პირობებში ბოსტნეულის წარმოება მომავალშიც შეინარჩუნებს კლებად ან საუკეთესო შემთხვევაში სტაგნაციურ ტენდენციას. წრფივი ერთფაქტორიანი მოდელი პროგნოზირებს უფრო მკვეთრ შემცირებას, მაშინ როდესაც მრავალფაქტორიანი მოდელი შედარებით უკეთეს სცენარს გვთავაზობს. აღნიშნული განსხვავება ხაზს უსვამს იმას, რომ დარგის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამატებით ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე, რომელთა გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელია ნეგატიური ტენდენციის ნაწილობრივი შემსუბუქება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე, რომლის დინამიკაც კიდევ უფრო მკაფიოდ ასახავს დარგის ეფექტიანობის შემცირებას. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ინდიკატორი გრძელვადიან პერიოდში კლებადია, რაც ნიშნავს, რომ წარმოების დინამიკა ვერ ეწევა მოსახლეობის მოთხოვნებს. ეს ტენდენცია ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე და აუარესებს სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრებს.

პროგნოზული შეფასებების მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე ბოსტნეულის წარმოება 2035 წლისთვის შესაძლოა დასტაბილურდეს. თუმცა, ეს სტაბილურობა მიღწეული იქნება დაბალ ნიშნულზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ჯანდაცვის საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობას. აღნიშნული შედეგი მიუთითებს, რომ არსებული აგროპოლიტიკური და ეკონომიკური გარემო არ ქმნის საკმარის წინაპირობებს დარგის მდგრადი განვითარებისათვის.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ ბოსტნეულის წარმოების შემცირება საქართველოში არის არა მხოლოდ სტატისტიკური ტენდენცია, არამედ კომპლექსური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ინსტიტუციური ფაქტორების შედეგი. არსებული მდგომარეობა მოითხოვს დარგის განვითარების მიმართ სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც წარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლებას, ისე ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და აგრარული პოლიტიკის ეფექტიან რეფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი, ს. (2017). *სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში.* გამომცემლობა „მერიდიანი“, ISBN 978-9941-25-311-9. გვ.122-128.

2. გელაშვილი, ს. (2019). *შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში.* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. გვ. 63-77.

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2026a). *ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა).* მემცენარეობა. https://agriculture.geostat.ge/vegetation

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2026b). *საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი).* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

5. Aduashvili, L. (2023). Market Competition for Vegetables Under the Influence of Confrontation. *Proceedings of the conference «Business Strategy: Ukrainian Realities and Convergence with the EU Opportunities»*, 62-66. doi.org/10.35668/978-966-926-463-3

6. Kharaishvili, E., & Aduashvili, L. (2022). The importance of innovation in vegetable production and management (The example of Georgia). *Proceedings of the conference «Management: Challenges and Prospects of the Digital Era»,* 1-3.

7. Kharaishvili, E., & Aduashvili, L. (2024a). Competition in the Vegetable Market and Challenges for the Industry: A Bibliometric Analysis of Dominant Publications. *Agricultural and Resource Economics: International Scientific E-Journal*, 10(3), 219–247. https://doi.org/10.51599/are.2024.10.03.09

8. Kharaishvili, E., & Aduashvili, L. (2024b). Impact of Geoeconomic Fragmentation Risks on Food Security: Conceptual Challenges and Empirical Trends. *Proceedings of the IX International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and Business*, 438-447. ISBN 978-9941-36-414-3 (pdf)

9. Kharaishvili, E., Lobzhanidze, N., & Aduashvili, L. (2025). Geoeconomic Fragmentation: Challenges and Opportunities of Multilateralism in Small and Medium-Sized Business Development. *International Journal of Multidisciplinary Research and Growth Evaluation,* 6(5), 380-389. https://doi.org/10.54660/.IJMRGE.2025.6.5.380-389

10. Mundlak, Y. (2001). *Production and supply*, Handbook of Agricultural Economics, in: B. L. Gardner & G. C. Rausser (ed.), Handbook of Agricultural Economics, edition 1, 1(1), 3-85, Elsevier.

11. Pawlak, K., & Kołodziejczak, M. (2020). The Role of Agriculture in Ensuring Food Security in Developing Countries: Considerations in the Context of the Problem of Sustainable Food Production. *Sustainability*, *12*(13), 5488. https://doi.org/10.3390/su12135488

12. Stock, J. H., & Watson, M. W. (2020). *Introduction to econometrics* (4th global ed.). Pearson Education Limited. eBook ISBN 13: 978-1-292-26452-3

13. United Nations (2022). *We Can All Help Reduce Food Loss And Waste.* https://www.un.org/en/un-chronicle/we-can-all-help-reduce-food-loss-and-waste

14. Wooldridge, J. M. (2020). *Introductory econometrics: A modern approach* (7th ed.). Cengage Learning. ISBN-10: 1-111-53104-8

15. World Health Organization (2019). *Healthy Diet.* https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/325828/EMROPUB_2019_en_23536.pdf

USE OF ANISE AND NECTARINE IN THE PRODUCTION OF NON-ALCOHOLIC BEVERAGES

Naira Mamardashvili
Georgian Technical University
Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies
Department of Food Technology. Associate Professor
Gvantsa Jachvadze
Georgian Technical University
Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies,
Ketevan Makhashvili
Georgian Technical University
Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies
Department of Food Technology
Professor,
Maya Kiladze
Georgian Technical University
Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies
Department of Food Technology
Professor
Tamar Dundua
Georgian Technical University
Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies

აბსტრაქტი. თანამედროვე პირობებში კვების ინდუსტრია ორიენტირებულია ფუნქციური პროდუქტების შექმნაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელოვანია ნატურალური წვენების წარმოება, რომლებსაც გააჩნიათ კვებითი ღირებულება და პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ფუნქციური დანიშნულების უალკოჰოლო სასმელის შექმნა, სადაც ხილის ბაზა შერწყმულია სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტებთან.

კვლევის ობიექტად შეჩეულია ვაშლატამას (*Prunus persica var. nucipersica*) ჯიში „ვენუსი“, ხოლო სამკურნალო-მცენარეული ფუნქციური დანამატის სახით ანისული (*Pimpinella anisum*).

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია ახალი ტიპის უალკოჰოლო კომპოზიციური სასმელის რეცეპტურა.

მიღებული უალკოჰოლო სასმელი დამზადებულია ყველა სტანდარტის გათვალისწინებით და შესრულებულია თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით.

დადგინდა ვაშლატამას და ანისულის წვენების ოპტიმალური პროპორცია, რომელიც უზრუნველყოფს კომპონენტთა ერთობლივ ქმედებას და საუკეთესო ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს.

ანისულის ეთერზეთების მაღალი კონცენტრაცია მოქმედებს როგორც არომატის ბუნებრივი მოდიფიკატორი, რომელიც სასმელს სძენს ფუნქციურ ღირებულებას და უნიკალურ საგემოვნო პროფილს. აღნიშნული ნიმუში სრულად აკმაყოფილებს ხარისხიანი უალკოჰოლო სასმელის სტანდარტებს და რეკომენდებულია წარმოებაში დასანერგად, როგორც მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე ინოვაციური ქართული პროდუქტი.

საკვანძო სიტყვები: ფუნქციური პროდუქტი, უალკოჰოლო სასმელი, სამკურნალო მცენარეები, წარმოების ტექნოლოგია.

Abstract. In modern conditions, the food industry is focused on the development of functional products. Of particular importance is the production of natural juices that possess nutritional value as well as preventive and therapeutic properties.

The aim of this study is to develop a functional non-alcoholic beverage in which a fruit base is combined with extracts of medicinal plants. The object of the study is a nectarine variety (*Prunus persica var. nucipersica*) of the "Venus" cultivar, while anise (*Pimpinella anisum*) is used as a functional plant-based additive.

Based on the conducted research, a formulation for a new type of non-alcoholic composite beverage has been developed. The resulting drink was produced in compliance with all relevant standards and using modern research methods.

An optimal ratio of nectarine and anise juices has been established, ensuring a synergistic effect of the components and the best organoleptic characteristics. The high concentration of essential oils in anise acts as a natural aroma modifier, providing the beverage with functional value and a unique flavor profile. This sample fully

complies with the standards for high-quality non-alcoholic beverages and is recommended for industrial implementation as an innovative Georgian product with high competitiveness.

Keywords: functional product, non-alcoholic beverage, medicinal plants, production technology.

In the context of the rapidly evolving global food industry, increasing emphasis is placed on the development of functional products that provide not only nutritional value but also health-promoting benefits. In this regard, the production of natural fruit juices with preventive and therapeutic properties has become particularly relevant.

Fruit and berry juices serve as a significant source of biologically active compounds in the human diet, supplying essential vitamins and micronutrients required for normal physiological functioning. However, contemporary consumer demand extends beyond mere naturalness, prioritizing the development of combined products in which fruit bases are enriched with extracts of medicinal plants. Such combinations offer a synergistic effect, improving organoleptic characteristics—such as taste, aroma, and color—while simultaneously enhancing the functional and therapeutic potential of the product.

The selection of nectarine (*Prunus persica var. nucipersica*), cultivar "Venus," as the object of this study is justified by its widespread cultivation and rich biochemical composition. Nectarine is considered a natural multivitamin complex due to its balanced content of vitamins (C, B1, B2, B6, A, and E), mineral compounds, and antioxidants, making it highly valuable in dietary nutrition. Additionally, its relatively low caloric content (approximately 70 kcal per medium-sized fruit) further increases its suitability for functional food applications [1–3].

The incorporation of anise (*Pimpinella anisum*) as a medicinal plant additive represents an innovative approach, as it is rich in biologically active substances, particularly essential oils known for their functional and therapeutic properties.

The primary objective of this study is to conduct a comprehensive physicochemical analysis of a nectarine cultivar cultivated in Georgia, along with anise as a medicinal plant component. Furthermore, the research aims to develop a formulation for a functional combined juice based on these raw materials and to determine optimal technological processing parameters that ensure maximum retention of biologically active compounds while achieving high sensory quality.

Based on the conducted experiments, the compatibility between the fruit base (nectarine) and the plant-based additive (anise) has been established. The study revealed that the essential oil components of anise not only enhance the aroma of the juice but also contribute to the stabilization of biologically active compounds.

Fully ripe fruits were used in the study, ensuring maximum juice yield and a characteristic aroma profile. Anise was applied as a functional additive, imparting a distinctive flavor and increasing the nutritional value of the juice. The chemical parameters of the obtained juices were analyzed, and the results are presented in Table 1.

Table 1. Chemical Composition of Nectarine and Anise Extracts

Sample	Titratable Acidity, %	Vitamin C, mg/100 mL	Proteins, mg/mL	Phenols, mg/mL	Total Sugars, %
Nectarine Juice	0.69	1.76	1.33	1.10	14.0
Anise Juice	0.28	2.10	1.80	2.28	15.5

An optimal technology for the production of juice from nectarine and anise has been developed, taking into account the sequence of technological operations and thermal processing conditions. As a result, a high-quality natural juice with pronounced antioxidant activity was obtained.

The technological process of nectarine juice production consists of a set of interconnected stages, beginning with the reception of raw materials and ending with the packaging of the finished product. At the initial stage, a thorough inspection of the fruits is carried out, during which damaged or insufficiently ripe fruits are removed, as the quality of raw materials directly determines the sensory properties of the final beverage. This is followed by intensive washing, consisting of several stages, ensuring the complete removal of dust, microorganisms, and pesticide residues from the surface of the fruits.



Technological scheme

At the next stage, juice extraction is carried out using specialized presses. The resulting liquid is then subjected to filtration and homogenization to achieve a uniform consistency. An essential part of the technological process is deaeration, during which oxygen is removed from the juice under vacuum conditions, thereby enhancing its storage stability. At the final stage of production, the juice undergoes high-temperature pasteurization to ensure microbiological safety and is immediately hot-filled into sterile containers. This approach makes it possible to obtain a natural and safe product that retains the inherent aroma and nutritional value of the fruit over an extended storage period.

The studied samples were characterized by a high content of soluble solids, reducing the need for additional sweeteners.

Within the framework of the study, different ratios of nectarine juice and anise extract were selected to determine the optimal composition based on organoleptic and functional properties. Three samples were prepared for the experiment:

- **Sample No. 1** – 100 mL of nectarine juice and 50 mL of anise extract
- **Sample No. 2** – 100 mL of nectarine juice and 100 mL of anise extract
- **Sample No. 3** – 100 mL of nectarine juice and 150 mL of anise extract

Table 2. Comparative Physicochemical Characteristics of Raw Materials (Nectarine, Anise) and Derived Juice Samples

Parameter	Nectarine Juice	Anise Extract	Sample No. 1	Sample No. 2	Sample No. 3
Acidity, %	0.69	0.28	0.55	0.48	0.44
Vitamin C, mg/100 mL	14.7	2.1	10.5	8.4	7.14
Proteins, mg/mL	1.33	1.80	1.49	1.56	1.61
Phenols, mg/mL	1.10	2.28	1.49	1.69	1.81
Total Sugars, %	1.798	2.50	2.03	2.15	2.22

Diagram 1.



Comparative content of proteins, phenols, and sugars in the raw materials (nectarine, anise) and in the juices obtained from them



Diagram 2. Comparison of vitamin C content and acidity in the raw materials (nectarine, anise) and in the juices obtained from them

When developing a blended juice made from nectarine and anise, in addition to physicochemical parameters, organoleptic evaluation plays a decisive role. Although laboratory analyses accurately determine the chemical composition of the beverage, its final consumer value is formed by sensory characteristics—visual appeal, aromatic bouquet, and flavor harmony [4–7].

Table 3. Organoleptic characteristics and comparison of samples

Parameter	Sample No. 1	Sample No. 2	Sample No. 3 (optimal)
Color	Bright yellow	Light yellow	Soft golden
Aroma	Weak, only fruity	Moderate, with anise note	Intense, pleasant and spicy
Taste	Too sweet, monotonous	Moderate, weakly expressed	Harmonious, refreshing, and rich
Aftertaste	Quickly disappears	Short-lasting	Long-lasting and pleasant
Overall rating	Satisfactory	Good	Excellent

Thus, based on the experimental studies conducted, a formulation for a new type of non-alcoholic blended beverage based on nectarine and anise extracts has been developed. The beverage was produced in compliance with all standards and using modern research methods. An optimal ratio of nectarine juice to anise (1:1.5) was established, ensuring synergistic interaction of components and the best organoleptic properties.

REFERENCES

1. Emilie Isidore, Gaëlle Willig, Fanny Brunissen, Christian Magro, Charles Monteux, Irina Ioannou. Selective recovery of glycosylated phenolic compounds from nectarine tree branches (*Prunus persica var*. nucipersica). // Food Chemistry Advances, Volume 4, June 2024, 100585.

2. Gholamhossein Sodeifian, Seyed Ali Sajadian. Antioxidant capacity, physicochemical properties, thermal behavior, and oxidative stability of nectarine (*Prunus persica var*. nucipersica) kernel oil. //Journal of food processing and preservation. 28 December 2020 https://doi.org/10.1111/jfpp.151

3. Ali Esmail Al-Snafi. Constituents, nutritional and pharmacological importance of Prunus persica – A review. // World Journal of Advanced Pharmaceutical and Medical Research, 2022, 03(01), 019–029. Article DOI: https://doi.org/10.53346/wjapmr.2022.3.1.0035

4. Habib Ullah, Athar Mahmood, Bernd Honermei. Essential oil and composition of anise (*Pimpinella anisum L.*) with varying seed rates and row spacing. //Pakistan Journal of Botany, October 201446(5):1859-1864.

5. Mostafa Basheer Elsaid Abouelela, Abdelrahman K Abdelshakour, Abdelrahman M Elshobky, Mini review: Anise (*Pimpinella anisum L.*): phytohemical and Pharmacological activities. //ERURJ 2023, 2, 4, 723 – 733

6. Steve Kupina, Chris Fields, Mark C Roman, Sharon L Brunelle. Determination of Total Phenolic Content Using the Folin-C Assay: Single-Laboratory Validation, First Action 2017.13, //Journal of AOAC INTERNATIONAL, Volume 101, Issue 5, 1 September 2018, Pages 1466–1472, https://doi.org/10.5740/jaoacint.18-0031

7. T. Cabaroglu, Merve DARICI, Abdullah Özonur . Aroma Composition of Aniseed and Aniseed-Flavored Beverages. In book: Natural Products in Beverages, Botany, Phytochemistry, Pharmacology and Processing March 2023, (pp.1-35) DOI:10.1007/978-3-031-04195-2_220-1https://www.researchgate.net/publication/368962690_Aroma_Composition_of_Aniseed_and_Aniseed-Flavored_Beverages

თანამედროვე პირობებში სარწყავი მიწების ეკონომიკური შეფასების ზოგიერთი ასპექტი
Selected Aspects of the Economic Assessment of Irrigated Lands under Contemporary Conditions

თენგიზ ლაჩკეპიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესორი
მაია ლომიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი
მაია კილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესორი
მთვარის თანანაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი
Tengiz Lachkepiani
Georgian Technical University. Professor
Maia Lomishvili
Georgian Technical University. Associate Professor
Maia Kiladze
Georgian Technical University. Professor
Mtvaris Tananashvili
Georgian Technical University. Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია სარწყავი მიწების ეკონომიკური შეფასების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში. ნაშრომი ეხება მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენების ეკონომიკურ საფუძვლებს, ირიგაციის მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მიწის ეკონომიკური შეფასების როლს აგრარული პოლიტიკის ფორმირებაში. განხილულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპები მიწის რესურსების მართვისა და გამოყენების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური შეფასება; სარწყავი მიწები; ირიგაცია; მიწის რესურსები; სასოფლო - სამეურნეო წარმოება; მიწის მართვა.

Abstract. The article examines the theoretical and practical aspects of the economic evaluation of irrigated lands under modern economic conditions. The study addresses the economic foundations of efficient land resource utilization, the importance of irrigation in agricultural production, and the role of land valuation in shaping agrarian policy. It also discusses the principles defined by the legislation of Georgia regarding land resource management and use.

Keywords: economic evaluation; irrigated lands; irrigation; land resources; agricultural production; land management.

მიწის რაციონალური გამოყენებისა და ურთიერთობების რეგულირების საკითხების ეფექტიანი გადაწყვეტისათვის აუცილებელია სანდო, სრული და ყოვლისმომცველი ინფორმაციის არსებობა. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს მიწის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მის ბუნებრივ პროდუქტიულ თვისებებს, ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებს, სამართლებრივ სტატუსსა და გამოყენების ფორმებს.

აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა რეგიონის მიწები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ბუნებრივი თვისებებით, ასევე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ვარგისიანობით. ეს განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და სტრუქტურაზე, არამედ წარმოების დანახარჯებზე, შრომის ნაყოფიერებაზე, მთლიანი პროდუქციის მოცულობასა და წმინდა შემოსავალზე.

ზემოაღნიშნული საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა ხორციელდება მიწის შეფასების გზით, რომელიც სახელმწიფო მიწის კადასტრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მიწის შეფასების შინაარსი და განვითარების პროცესი განისაზღვრება მისი მონაცემების პრაქტიკული გამოყენების მიზნებითა და ამოცანებით. კერძო მიწის საკუთრების პირობებში

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასების ძირითადი მიზნებია: მიწის შეძენა - გაყიდვისა და იჯარის პროცესში მისი კაპიტალური ღირებულების განსაზღვრა; მიწით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის საფუძვლის შექმნა; მემკვიდრეებს შორის მიწის სამართლიანი გადანაწილება; მიწის გადასახადის განსაზღვრის საფუძვლების ჩამოყალიბება; მიწასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის უზრუნველყოფა; დანაკარგების კომპენსაცია სტიქიური უბედურებებისა და სხვა მიზეზებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში.

სოფლის მეურნეობის მართვის ადმინისტრაციულ - ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ამოცანები: ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის პროცესების ანალიზი; პროდუქციის შესყიდვისას ფასების დიფერენციაციის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური რეფორმის პერიოდში, მენეჯმენტის ბიზნეს აღრიცხვის პრინციპების თანახმად, მიწის შეფასების ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად: ბიზნეს აღრიცხვის საქმიანობის ანალიზი და დაგეგმვა; მიწის რაციონალური გამოყენების ორგანიზება და ოპტიმალური წარმოების ერთეულების განსაზღვრა; რეგულაცია და მიწა ურთიერთობები, ხელფასები, მიწის ქირა; კონტროლი გამოყენებსა და უსაფრთხოების მიწების შესახებ; მიწის დავების გადაწყვეტა; მიწის ჩამორთმევასთან და გადანაწილებასთან, სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებული ზარალის კომპენსაციის ოდენობის დადგენა; მიწების ფასებისა და გადასახადის შესახებ განმარტება.

გარდა ამისა, ირიგაციის პირობებში, შესაძლებელია წყლის გამოყენების ფასების, მიწის საერთო შეფასების დადგენასთან და მიწის საერთო გადასახადთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

ბუნებრივია, მიწის შეფასების მეცნიერულ საფუძველს ბიოკლიმატური და ნიადაგ - ეკოლოგიური მონაცემები და ნიადაგის შეფასების ინდიკატორები ქმნიან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება განისაზღვრება საჭირო ნივთიერებების სხვადასხვა შემცველობით, მცენარეული საკვები ნივთიერებებით. ამ ნივთიერებების გამოყენება მცენარეთა კვებისთვის დამოკიდებულია აგროქიმიკატებსა და მექანიზაციაზე, ხოლო ირიგაციის შემთხვევაში, მორწყვის დოზებსა და ნორმებზე. აგრონომიისა და მექანიზაციის გამოყენებით გაზრდილი ნაყოფიერება წარმოადგენს ეკონომიკურ ნაყოფიერებას, რომელიც ემთხვევა ბუნებრივ ნაყოფიერებას. ეს განსხვავებები გავლენას ახდენს საიჯარო შემოსავალზე, რომელიც იყოფა დიფერენციალურ რენტად.

დიფერენციალური რენტის არსი მდგომარეობს თანაბარი ზომის მიწის ნაკვეთებში ჩადებული შრომისა და მატერიალური რესურსების თანაბარი დანახარჯების პირობებში მიღებული შედეგების განსხვავებულ პროდუქტიულობაში. აღნიშნული რენტის წარმოშობის ძირითადი მიზეზი მიწის ბუნებრივი შეზღუდულობაა, რაც შეუძლებელს ხდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას იმავე ფორმით, როგორც ეს ინდუსტრიულ სექტორში ხდება.

საუკეთესო და საშუალო ხარისხის მიწების შეზღუდული ხელმისაწვდომობა განაპირობებს იმ მეურნეობების მონოპოლიურ მდგომარეობას, რომლებიც ფლობენ აღნიშნულ მიწებს. ამასთან, ასეთი მიწებიდან მიღებული პროდუქციის მოცულობა, როგორც წესი, არ არის საკმარისი ბაზრის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება არა საშუალო, არამედ ყველაზე უარესი მიწების წარმოების პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო და საშუალო ხარისხის მიწებზე წარმოებული პროდუქცია სრულად დააკმაყოფილებდა მოთხოვნას, ყველაზე უარესი მიწები დაკარგავდნენ მარეგულირებელ ფუნქციას. თუმცა, რადგან პრაქტიკაში ასეთი ვითარება არ არსებობს, სწორედ ყველაზე დაბალი ნაყოფიერების მქონე მიწებზე წარმოებული პროდუქციის ღირებულება იძენს სოციალურ ხასიათს და განსაზღვრავს საბაზრო ფასებს.

დიფერენციალური რენტა წარმოიქმნება განსხვავების შედეგად, რომელიც არსებობს ყველაზე უარეს მიწებზე წარმოებული პროდუქციის სოციალურ ღირებულებასა და საუკეთესო და საშუალო მიწებზე წარმოებული პროდუქციის ინდივიდუალურ ღირებულებებს შორის.

ამრიგად, რენტა არ წარმოადგენს მიწიდან მიღებულ ნებისმიერ შემოსავალს. იგი არის ზედმეტი შემოსავალი, რომელიც აღემატება წარმოების საშუალო პირობებში მიღებულ შედეგს და ასახვას პოულობს საქონლის სოციალურ ღირებულებაში.

პროდუქტიულობის ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია მთლიანი დახარჯული შრომის დროის ერთეულზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რაც მოიცავს როგორც ცოცხალ, ასევე განივთებულ (წარსულ) შრომას. თუმცა, ცოცხალი შრომის დანახარჯი იზომება დროის ერთეულებში (დღეები, საათები), მაშინ როდესაც განივთებული შრომა გამოხატულია ფულადი ფორმით, რაც ართულებს მათი უშუალო შეკრების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ორივე კომპონენტის ერთობლივი გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან მის გარეშე რეალური ეკონომიკური პროცესების ადეკვატური ასახვა შეუძლებელია.

სასაქონლო წარმოების ფუნდამენტურ კანონად მიიჩნევა ღირებულების კანონი, რომლის მიხედვითაც საქონლის ფასში აისახება მხოლოდ სოციალურად აუცილებელი შრომითი დანახარჯები. წარმოებული პროდუქტი გათვალისწინებულია გაცვლის პროცესში, ხოლო სოციალურად აუცილებელი ხარჯები წარმოადგენს ფასების ობიექტურ საფუძველს.

ამგვარად, საქონლის ღირებულება და ფასი ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს. პირველი არის წარმოების ღირებულება, რომელიც მოიცავს მოხმარებული წარმოების საშუალებების ღირებულებასა და მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. მეორე კომპონენტს წარმოადგენს ფულადი ფორმით გამოხატული ჭარბი პროდუქტი, რომელიც საზოგადოების წმინდა შემოსავალს შეადგენს და ფასის სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

საზოგადოების წმინდა შემოსავლის თანაფარდობა ხელფასის ფონდთან, პროცენტულად გამოხატული, წარმოადგენს წმინდა შემოსავლის ზოგად ნორმას. ღირებულების კანონის შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი თითოეული საქონლის ფასში შედის საშუალო დონეზე, ანალოგიურად წარმოების დანახარჯებისა.

ამ პირობებში, წმინდა შემოსავლის ზრდა უნდა ეფუძნებოდეს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით. აღნიშნული პროცესი ქმნის დიფერენციალური რენტის წარმოშობის ეკონომიკურ საფუძველს.ღირებულების გამოთვლა დიფერენციალური რენტის განსაზღვრის პრობლემის ერთ-ერთი არსებითი ასპექტია. სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის, როგორც მთლიანის, ასევე სხვადასხვა ტიპის პროდუქციის ერთეულის ღირებულების დასადგენად, აუცილებელია: პირველ რიგში, წარმოების დანახარჯებიდან გამოვრიცხოთ წმინდა შემოსავლის ყველა ელემენტი - შესაძლო სტიქიური უბედურებების დაზღვევა, სოციალური უზრუნველყოფა, სესხებზე პროცენტი - და მეორეც, დარჩენილ წარმოების ხარჯებს დავუმატოთ წმინდა შემოსავლის შორის არსებული განაკვეთი.

ღირებულება წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელიც ასახავს პროდუქტის წარმოების მომგებიანობის საშუალო დონეს. ფასები გადახრილია და ობიექტურად უნდა იყოს მიახლოვებული თვითღირებულებისგან, რაც განპირობებულია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებით. ფასსა და თვითღირებულებას შორის რაოდენობრივი შეუსაბამობის შესაძლებლობა ჩადებულია თავად ფასის კონცეფციაში და განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ფასის ფორმირების მექანიზმი, საქონლის რეალიზაციის პირობები, მოთხოვნა - მიწოდების თანაფარდობა, პროდუქტის ხარისხი და მისი სამომხმარებლო თვისებები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემთხვევაში, ფასების გადახრა საქონლის ღირებულებიდან უნდა იყოს კოორდინირებული სამრეწველო პროდუქციის ფასების გადახრებთან, აგრეთვე შესაბამის სექტორებში მოქმედი საგადასახადო სისტემის თავისებურებებთან. აღნიშნული თანაფარდობის დარღვევა და ფასების თვითნებური, ხანგრძლივი გადახრა ღირებულებიდან უარყოფითად აისახება ეროვნული ეკონომიკის სექტორულ განვითარებაზე. ეს პროცესი იწვევს ფულად - საკრედიტო დისბალანსს, რაც გამოიხატება ან ფულის მასის ჭარბ მიწოდებაში, ან მიმოქცევაში აუცილებელი ფულადი რესურსების დეფიციტში, რაც საბოლოოდ ართულებს შრომის ანაზღაურებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებას.

ახალ მიწით ურთიერთობებზე გადასვლამდე დიფერენციალური რენტის ამოღება ხორციელდებოდა ნაწილობრივ ფასების დიფერენციაციის გზით ქვეყნის სხვადასხვა ზონის მიხედვით და ნაწილობრივ მიწის გადასახადის მეშვეობით, როგორც წარმოების პოტენციალის კომპონენტის. აღნიშნული მექანიზმი ატარებდა პირობით და მიახლოებით ხასიათს, ვინაიდან ფასების დიფერენციაცია ვერ უზრუნველყოფდა კონკრეტული რეგიონების, მეურნეობებისა და ფერმების რეალური პირობების ადეკვატურ ასახვას.

მიწაზე ფასის დაწესება და მიწის გადასახადის შემოღება განაპირობებს ჰექტარზე პირდაპირი გადასახადის დაწესების აუცილებლობას მიწის ხარისხისა და მდებარეობის მიხედვით, აგრეთვე ფასების მეშვეობით რენტის ამოღების პრაქტიკის გაუქმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება ერთ ჰექტარზე ორმაგი ფასისა და გადასახადის დაკისრების რისკი, რაც ეკონომიკურად გაუმართლებელია.

პირდაპირი რენტის ანაზღაურების სისტემა გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების ერთგვაროვან დონეს ქვეყნის ყველა ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში, მაშინ როდესაც მიწის ხარისხსა და წარმოების ინტენსიფიკაციის დონეში არსებული განსხვავებები უნდა კომპენსირდებოდეს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმებით.

ამასთანავე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიფერენციალური რენტის გათვალისწინებას სასოფლო-სამეურნეო მიწების, განსაკუთრებით სარწყავი მიწების, ხარისხობრივ და ეკონომიკურ შეფასებაში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, როდესაც ყალიბდება მიწის საკუთრებისა და მართვის მრავალფეროვანი ფორმები.

დასკვნა. სარწყავი მიწების ეკონომიკური შეფასება წარმოადგენს აგრარული ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას. საქართველოს პირობებში ირიგაციის სისტემების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყნის ბევრ რეგიონში ბუნებრივი ნალექიანობა არ არის საკმარისი მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად.

მელიორაციული ღონისძიებები აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, ხელს უწყობს მცენარეთა ფესვთა სისტემის განვითარებას და ზრდის ფოტოსინთეზის ინტენსივობას. შედეგად ფორმირდება ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო გარემო - აგრომელიორაციული ლანდშაფტი, რომელიც უზრუნველყოფს მიწის რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანია მიწის ეკონომიკური შეფასების მეთოდების შემდგომი სრულყოფა, მიწის კადასტრის სისტემის განვითარება და ირიგაციის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს მიწის კოდექსი. რესპუბლიკა საქართველო. (შემოღებუ-ლი/პატიმრებული აქტუალური რედაქციით).
2. საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის შესახებ; საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ. (აქტუალური რედაქციით).
3. FAO. The State of the World's Land and Water Resources for Food and Agriculture. Food and Agriculture Organization of the United Nations. (2015).
4. World Bank. Irrigation and Water Resources: Investment and Financing Strategies. World Bank Publications. (2017).
5. Smith, L., & Jones, M. Land valuation and irrigation: methods and applications. Journal of Agricultural Economics, 69(2), (2018). 123–142.
6. Brown, C. Differential rent and land policy: implications for rural development. Land Economics, 92(4), (2016). 567–585.
7. ნიკოლაძე, ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მიწების ეკონომიკური შეფასება. თბილისი, მიწის კვლევის ცენტრი.(2019).
8. მამედოვი, ვ. ირიგაციის ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. აგრარიული ნაშრომები, 12(3), (2020). 45–62.

Food Production and Circular Economy
სურსათის წარმოება და ცირკულარული ეკონომიკა

Nino Gamkrelidze
Georgian Technical University
Associate Professor
Giorgi Ugrekhelidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Student
Ani Muzashvili
Georgian Technical University
Student
ნინო გამყრელიძე
[1]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
გიორგი უგრეხელიძე
[2]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტი
ანი მუზაშვილი
[3]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტუდენტი

Abstract. Food production is one of the most important and critical sectors in modern world industry. It affects global economic stability, public health, and ecology. Rapid demographic growth, changing living standards. Intensified urbanization is increasing the demand for food every year, which in return leads to an increased demand for natural resources, including land, water, and energy. The traditional economic model involves, overexploitation of natural resources and energy, accumulation of waste, which has negative impact on ecosystems, and therefore no longer responds to modern challenges. In this regard, food production is one of the most resource-consuming and waste-generating sectors and requires even more modernization of technological processes.

On a global scale, waste in food production are large-scale. A significant part of the food produced is lost at various stages of supply, and accordingly, both economical and environmental impacts are large. In this regard, the concept of circular economy, which implies the efficient use and management of resources, waste minimization, and a closed production cycle, is gaining particular attention. Thus, the modernization of food production based on the principles of circular economy is one of the main strategic directions in the face of modern challenges.

Keywords: *Food production, circular economy, biologically active compounds.*

აბსტრაქტი. სურსათის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული სექტორია თანამედროვე მსოფლიო ინდუსტრიაში. იგი გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობაზე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ეკოლოგიაზე. სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, ცხოვრების დონის ცვლილება, ურბანიზაციის ინტენსიფიკაცია ყოველწლიურად ზრდის მოთხოვნას სურსათზე, რაც თავის მხრივ, იწვევს მოთხოვნის გაზრდას ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის მიწაზე, წყალზე, ენერგიაზე. ტრადიციულ ეკონომიკურ მოდელში მოიაზრება ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის გადაჭარბებული ექსპლუატაცია, ნარჩენების დაგროვება, უარყოფითი გავლენა ეკოსისტემებზე და, შესაბამისად, აღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ამ თვალსაზრისით სურსათის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე რესურსმოხმარებადი და ნარჩენწარმომქმნელი სფეროა და კიდევ უფრო მეტად საჭიროებს ტექნოლოგიური პროცესების მოდერნიზაციას.

გლობალურ დონეზე სურსათის წარმოების დანაკარგები და ნარჩენები მასშტაბურია. წარმობული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება მიწოდების სხვადასხვა ეტაპზე და, შესაბამისად, დიდია როგორც ეკონომიკური დანაკარგები, ისე გარემოზე უარყოფით ზემოქმედება (თბური აირების ემისია). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადღებას იძენს ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და მართვას, ნარჩენების მინიმალიზაციას და წარმოების დახურულ ციკლს. ამგვარად, სურსათის წარმოების მოდერნიზაცია ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით ერთ-ერთ მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა თანამედროვე გამოწვევების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: *სურსათის წარმოება, ცირკულარული ეკონომიკა, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები*

The growing demand for food products, resource shortages caused by climate change, declining soil fertility, food losses and waste generated during production, transportation and consumption stages, as well as the inefficient use of energy and water resources, represent major global challenges for food production. Against the background of these challenges, the implementation of circular economy principles in food production ensures the minimization of losses and the transformation of waste into valuable resources. Circular economy implies the maximum utilization of resources - creating products so that all its components fully return to the biological or technical cycle and the minimization of waste - exchanging resources between productions, where the waste of one production will be the raw material for another;

Waste generated in the food production process is an important but often undervalued resource. Especially fruit processing products, vegetable waste, by-products of grain processing.

Citrus is the fruit of a small evergreen tree or shrub. It is distributed in tropical and subtropical regions throughout the world and is the most popular fruit [1,2]. Citrus fruits consist of peel, pulp, seeds and juice. Unlike other fruits, 33–35 % of the fruit is used for juice production, while 55–57 % of the harvest is citrus peel as a waste product [3]. Citrus peel is prone to microbial decay, which can be a source of environmental pollution. Taking this into account, various types of citrus waste products - tangerine, orange and lemon peels - were selected for study. The aim of the study was to isolate biologically active substances from citrus peels, quantify the extracted substances and determine the potential for use of citrus waste products.

The collection of research samples was carried out in November. Ripe, undamaged fruits of different types of citrus were thoroughly washed and peeled. For the experiment, citrus peels were dried in the shade for seven days.

The yield of biologically active substances - phenolic compounds from raw materials of plant origin is influenced by the extraction conditions and the choice of extraction solvent [4]. The optimal extraction conditions are ultrasonic extraction for 90 min at a temperature of 40 - 42 ^{0}C, using a mixture of ethanol and water as the extraction solvent at a ratio of 75 : 25 [4].

Total phenolic compounds, flavonoids and antioxidant activity of the extracts were determined in extracts obtained from tangerine, orange and lemon peels. The results are presented as the average value of three determinations and standard deviations.

The total phenolic compounds was determined spectrophotometrically using the Folin-Ciocalteu method [5]. To the extracts obtained from the peel of different citrus species, were added to 2.5 ml of 10 % Folin-Ciocalteu reagent, neutralized with 2 ml of 7.5 % sodium carbonate. The optical density of the mixture, incubated in the dark for 30 min, was determined at 765 nm (Table 1).

Sample	**Total phenolic compounds** (mg GAE/g)
Mandarin peel	27,15 ± 0,038
Orange peel	30,45 ± 0,125
Lemon peel	35,95 ± 0,024

Table 1. Total phenolic compound content in tangerine, orange and lemon peel.

The total flavonoids was determined by a modified colorimetric method [6]. The method is based on the ability of flavonoids to form a stable yellow-colored complex with aluminum chloride. The optical density of the formed complex was measured at 415 nm (Table 2).

Sample	**Total flavonoids content** (mg QE/g)
Mandarin peel	42,25 ± 0,038

Orange peel	30,35 ± 0,038
Lemon peel	48,3 ± 0,038

Table 2. Total flavonoid content in tangerine, orange, and lemon peel.

The extracts obtained from the investigated samples were analyzed for antioxidant activity (by the DPPH method) [7] and for antioxidant scavenging capacity (by the FRAP method) [8]. The method for determining antioxidant activity is based on the property of antioxidants to bind a stable chromogen radical. An alcoholic solution containing DPPH radicals was added to the obtained extracts, the mixture was placed in the dark for 30 min. The absorbance at 516 nm was determined and the DPPH free radical scavenging capacity was calculated (Table 3).

Sample	**Chromogen-radical inhibition (%)**	**IC_{50} (mg/ml)**
Mandarin peel	82,1 ± 0,86	58,45 ± 0,01
Orange peel	78,2 ± 0,27	73,25 ± 0,03
Lemon peel	87,5 ± 0,46	42,97 ± 0,01

Table 3. Antioxidant activity of extracts obtained from the peel of different citrus species.

The antioxidant recovery capacity of the obtained extracts was also determined by the so-called FRAP (Ferric Reducing Antioxidant Power) method [8]. The method is based on the ability of the samples to reduce Fe^{3+} ions to Fe^{2+} ions. At low pH, in the presence of TPTZ (2,4,6-tripyridine-s-triazine), Fe^{3+} ions (Fe^{3+}+TPTZ) are reduced to Fe^{2+} (Fe^{2+}+TPTZ) due to the reducing capacity of antioxidants. The results are presented in Table 4.

Sample	**FRAP/ Reduction power** (mmol $Fe^{++} \cdot g^{-1}$)
Mandarin peel	78,82 ± 1,03
Orange peel	52,69 ± 0,84
Lemon peel	86,2 ± 0,12

Table 4. Antioxidant reduction power of extracts obtained from the peel of different citrus species.

The content of total phenolic compounds was highest in lime peel, relatively low in orange peel and lowest in mandarin. A similar trend was observed in the antioxidant activity determined by the DPPH method: the extract obtained from lemon peel showed the highest free radical scavenging ability. Phenolic compounds are an important source of hydrogen atoms, which is why their high content affects the antioxidant activity of the sample, which indicates a good correlation between the determined characteristics ($r > 0.9$). The content of total flavonoids was relatively high in mandarin and lemon peel, compared to orange peel. The antioxidant recovery ability determined by the FRAP method was also high in lemon and mandarin peel (correlation $r \approx 0.85$ - 0.9).

The waste product (peel) of various types of citrus fruits is rich in biologically active substances - polyphenols, flavonoids and is an important source of natural antioxidants. This potential of waste can be used in food production as powerful inhibitors of lipid oxidation, which in turn increases the shelf life of products.

Waste by-products generated from citrus-based beverage production can be utilized as raw material rich in biologically active substances for the pharmaceutical and cosmetic industries.

Thus, the integration of the circular economy into food production is one of the most effective approaches in terms of resource management and environmental impact. The circular economy offers a

new vision, where food production is not only about creating food products, but also about sustainable resource management.

References

1. Ehler S.A. Citrus and its benefits. J.Bot., 5, pp.:201 - 207, 2011;
2. Topuz A., Topakci M., Canakci M., Akinci I., Ozdemir F. Physical and nutritional properties of four orange verieties. J.Food Eng., 66, pp.: 519 – 523, 2025;
3. Li S., Lo C., Ho C., Hydroxylated Polymethoxyflavones and Methylated Flavonoids in Sweet Orange (Citrus sinensis) Peel. J.Agric. Food Chem., 54, pp.: 4176 – 4185, 2006;
4. Gamkrelidze N., Kvartskhava G. The influence of the extraction conditions of blackthorn (Prunus spinosa) fruits and leaves on the yield of phenolic compounds, Works of GTU, No. 2 (520), 2021;
5. Singleton V.L.,Rossi J.A. Colorimetry of total phenolics with phosphorrmolybdic-phosphotungstic acid reagents. Am.J.Enol.Viticult.16, pp. 144 – 158. 1965;
6. Chang C.C., Yang M.H., Wen H.M., Chern J.C. Estimation of total flavonoid content in propolis by two complementary colorimetric methods. Journal of Food and Drug Analysis, 10(3), pp.: 178 – 182, 2002;
7. Gyamfi M.A., Yonamine M., Aniya Y. Free-radicals scavenging action of Medicinal herbs from Chana: Thonningia sanguinea on experimentally-induced liver injuries. Gen.Pharmacol., 32, pp.:661 – 667, 1999;
8. Oyaizu M. Studies on products of browning reaction: Antioxidative activity of products of browning reaction prepared from glucosamine. Jpn. J.Nutr. 44, pp.: 307 – 315, 1986.